

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

---

მხარღამჭერი ორგანიზაციები:

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აკ. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

SUPPORTING ORGANIZATIONS:

GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

AKAKI TSERETELI KUTAISI STATE UNIVERSITY

პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილ  
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის  
მასალების კრებული

ეროვნული ეკონომიკები

და

გლობალიზაცია

(28-29 ივნისი, 2012)

Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference  
Dedicated to the 60<sup>th</sup> Birth Anniversary of Professor George Tsereteli

NATIONAL ECONOMIES

AND

GLOBALIZATION

(28-29 June, 2012)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi 2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2012 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

**Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2012**

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ლ. ბელინსკაია, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ი. ბრიტჩენკო, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ა. ვიტასი, მ. იბრაგიმოვი, ე. კაკულია, გ. კასნაუსკიენე, ი. კერიმლი, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ლ. ჩიქავა, თ. ჩხეიძე

**Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, L. Belinskaja, N. Bibilashvili (Executive Secretary), I. Britchenko, L. Chagelishvili, L. Chikava, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, M. Ibragimov, Sh. Gogiashvili, E. Kakulia, G. Kasnauskiene, I. Kerimli, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, A. Vitas.**

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული  
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli  
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი

**Organizing Group of the Conference:**

**T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

2012

ISBN 978-9941-9168-4-7

## კლენარული სხდომა

რამაზ აბესაძე

### გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი

ტერმინი გლობალიზაცია დაკავშირებულია არა მხოლოდ ეკონომიკასთან, არამედ ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან – მეცნიერებასთან, კულტურასთან, ჯანმრთელობის დაცვასთან, სპორტთან, სოციალურ სფეროსთან, პოლიტიკასთან და ა. შ. იგი წარმოდგება სიტყვისგან – “globe” (დედამიწა) და, მაშასადამე, წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციას აქვს საერთოპლანეტარული ხასიათი. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) ბიძგს აძლევს დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; თავბრუსდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია; ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციონალურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ. ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასაჩქარებლად. სწორედ მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის წარმომშობ მიზეზებთან დაკავშირებით. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ გლობალიზაცია არის ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ იგი ორგანიზებულია მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ ეროვნული რესურსების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენების, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებისა და ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ობიექტური ხასიათისაა, ადგილი ჰქონდა საზოგადოების ყველა ეტაპზე და მას ძირითადად განაპირობებს: 1. ადამიანთა საზოგადოების

დაუოკებელი მისწრაფება ცხოვრების კეთილდღეობის დონის ამაღლებისაკენ, რითაც დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა. 2. მეწარმეთა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესში ყველა ქვეყანა დებულობს გარკვეულ სარგებელს, ამ სარგებლის ხარისხი და რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. პრიორიტეტული მდგომარეობა ფაქტია, განვითარებულ ქვეყნებს უჭირავთ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით: 1. იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებს 2. იზიდავენ მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას 3. ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქცია 4. აწარმოებენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გატანას 5. ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით.

სხვა ქვეყნები გლობალიზაციის პროცესში: 1. იყენებენ მსოფლიოში დაგროვებულ დიდ გამოცდილებასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლოეს მიღწევებს. 2. იღებენ დიდ ფინანსურ დახმარებებს 3. წყვეტენ მრავალ (სიღარიბის, ეკოლოგიურ, სამედიცინო) პრობლემას.

იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ადგილი აქვს ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი დებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიანთ საკუთარ რესურსებს – კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს [1; გვ. 60-64].

მაშასადამე, გლობალიზაციას აქვს სუბიექტური ხასიათიც. ამიტომ დადებით მხარეებთან ერთად მას აქვს უარყოფითი ხასიათიც. მისი წარმართვა შესაძლებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

გლობალიზაციის დადებითი მხარეებიდან უნდა გამოიყოს:

1. მან მნიშვნელოვნად განაპირობა საბაზრო მექანიზმზე დამყარებული ეკონომიკური და მეტნაკლებად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. იგი აიძულებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებს აღმოფხვრან ვოლუნტარიზმი და კორუფცია, ჩამოაყალიბონ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა

2. გლობალიზაციის პირობებში ახალი ტექნოლოგიები ვრცელდება ისევე სწრაფად, როგორც კაპიტალი.

3. იგი განაპირობებს მსოფლიო რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას.

4. მსოფლიო არენაზე უმსხვილესი კორპორაციების ფუნქციონირება შესაძლებელს ხდის მასშტაბის ეკონომიის მაქსიმალური ნიშნულის მიღწევას.

5. გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გაძლიერება და ერთობლივი ძალებით უმსხვილესი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელება კიდევ უფრო აჩქარებს ტექნოლოგიის სრულყოფას და ინოვაციების გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც უპირველეს ყოვლისა სასარგებლოა მომხმარებლებისათვის.

6. იგი შესაძლებელს ხდის გლობალური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები გადაჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევის გაერთიანების

შედგება, რესურსების მობილიზაციისა და მოქმედებათა კოორდინაციის საფუძველზე და სხვ.

გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებიდან შეიძლება გამოიყოს:

1. დღეისათვის გლობალიზაციის პირობებში თანდათან იზრდება განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით [2]. სამართლიანობა მოითხოვს, რომ გლობალიზაციის პირობებში განსხვავება უნდა მცირდებოდეს და რაც შეიძლება სწრაფად. სხვა შემთხვევაში ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გლობალიზაციის გზაზე.

2. იგი ხელს უწყობს ერთ რომელიმე რეგიონში წარმოშობილი ნეგატიური პროცესების (მათ შორის კრიზისების) გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით.

3. წინააღმდეგობა გლობალიზაციასა და ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს შორის.

4. გლობალიზაციამ შეასუსტა რა სახელმწიფო რეგულირების სფერო, ამასთანავე არ ჩამოყალიბებულა მისი შემცველი საერთაშორისო რეგულირების ქმედითი ორგანოები.

5. გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება ნარკობიზნესის გავრცელება და იარაღით არალეგალური ვაჭრობა.

6. ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, განვითარებადი ქვეყნების საზიანოდ.

7. ხდება პლანეტის მთელი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის თავმოყრა რამოდენიმე ქვეყანაში.

8. რეალური ხდება პროცესის არასწორად წარმართვის შემთხვევაში გლობალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, რაც საზოგადოებას კატასტროფით ემუქრება და სხვ.

მაშასადამე, გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ისე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ **სამართლიანი გლობალიზაციის** განხორციელება. ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნის ლიდერ (დიდ) სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

### **მაინც როგორია გლობალიზაციის პერსპექტივა?**

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის გაუქმებაც არც ერთ ცალკე ადებულ ქვეყანას არ შეუძლია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ საჭიროა არა გლობალიზაციის საერთოდ უარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარმართოს დიდი სიფრთხილით და ყველა ქვეყნის ინტერესთა გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოდეს გამარჯვებისათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.). ასეთ პირობებში საჭირო აღარ იქნება ომები, სხვისი ტერიტორიების მითვისება. თანდათან უნდა შემცირდეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა. საჭიროა ყველამ გაიაზროს, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომ ჩვენ ყველა ერთ “ქვეყანაში” – დედამიწაზე ვცხოვრობთ და ყველამ ერთად უნდა მივხედოთ მას. სამართლიანი გლობალური ინტერესები უნდა დადგეს ეროვნულ ინტერესებზე მაღლა. მართალია, წარმოიშობა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, ახალი ტრადიციები, შესაძლებელია დაიკარგოს ზოგიერთი ეროვნული ტრადიცია, წესი და ადათი და ა.შ., მაგრამ

შენარჩუნებული უნდა იქნეს ძირითადი ეროვნული ღირებულებები, რომელიც თითოეული ქვეყნისათვის ძვირფასია. ეს მიიღწევა მაშინ, როდესაც გამოირიცხება ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება და ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნება საერთო თანხმობის შედეგად. სხვა მიმართულება გლობალიზაციისა კატასტროფით შეიძლება დასრულდეს.

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შესედელება მცდარია. **მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ იგი იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალებისა და დახმარების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისა.** გლობალიზაცია ამაღლებს ცხოვრების ხარისხს, მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების გარეშე ეროვნული ეკონომიკა მუდამ იქნება წამყვანი ქვეყნის შედარებით მოძველებული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო პროდუქციის გამსაღებელი. გლობალიზაცია არის ობიექტური პროცესი, მაგრამ მისი რეგულირება აუცილებელია ეროვნული სახელმწიფოების თანასწორობის საფუძველზე შექმნილი ზეეროვნული ორგანოების მიერ.

გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ ეკონომიკებზე ძირითადად ვლინდება შემდეგში:

1. ეროვნული ეკონომიკები ხდებიან არა მხოლოდ გლობალიზაციის უბრალო მაცურებლები, არამედ მისი ორგანიზატორები და ცხოვრებაში გამტარებლები.
  2. ხორციელდება სახელმწიფო სექტორის კიდევ უფრო შეკვეცა. პრივატიზება შეეხო ისეთ დარგებსაც კი, რომლებიც ადრე მკაცრი რეგულაციის დარგებად ითვლებოდა (ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი და სხვ.).
  3. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტი ხდება სოციალური პოლიტიკა. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შემცირების გამო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები სოციალურ სფეროში გამოიყენება.
  4. ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების გავლენა, რომელთა წესების შესაბამისად ფუნქციონირებს ეროვნული ეკონომიკის დიდი ნაწილი. ეს ორგანიზაციებია, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შეთანხმება ტარიფისა და ვაჭრობის შესახებ (**GATT**), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (**VTO**), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (**IMF**), მსოფლიო ბანკი (**WB**).
  5. მიმდინარეობს შრომის დანაწილების ახალი ეტაპი, რომლის დროსაც ეროვნული სიმდიდრის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ სხვა ქვეყნები.
  6. ხდება ეროვნულ ეკონომიკაზე ეგზოგენური ფაქტორების გავლენის ზრდა.
  7. მსოფლიო საფინანსო-საკრედიტო სისტემა, რომლის გლობალიზაციის დონემ წინ გაუსწრო რეალურ სექტორში გლობალიზაციას, დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირებაზე.
- დღეისათვის ეკონომიკურ ინტეგრაციას მნიშვნელოვნად ჩამორჩება შესაბამისი საერთაშორისო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რაც გარკვეულწილად განპირობებულია პოლიტიკური ინტეგრაციის ჩამორჩენით ეკონომიკურისაგან. სწორედ არასაკმარისი შეთანაწყობა გლობალური და ეროვნული ინტერესებისა არის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისებისა. გლობალიზაციის პროცესის რეგულირება

აუცილებელია, რისთვისაც ერთმანეთს უნდა შეერწყას რეგულირება მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების მასშტაბით [5]. მსოფლიო მასშტაბით რეგულირებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ყველა ქვეყანა თანაბარი უფლებებით. ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური გამოთანაბრებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ.

ამა თუ იმ ქვეყნის გლობალიზაციაში ჩართულობის შესაფასებლად არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელი. მაგალითად, ერთ-ერთი არის გლობალიზაციის KOF ინდექსი (KOF Index of Globalization), რომელიც შემუშავდა შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტში (KOF Swiss Economic Institute), შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის (Swiss Federal Institute of Technology) მონაწილეობით. იგი ითვალისწინებს **ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ** გლობალიზაციას.

ეკონომიკური გლობალიზაცია მოიცავს: საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას; საერთაშორისო საქმიან აქტიურობას; სავაჭრო ნაკადებს; საერთაშორისო ინვესტიციებს; სატარიფო პოლიტიკას; შეზღუდვებს და გადასახადებს საერთაშორისო ვაჭრობაზე და ა. შ.

სოციალური გლობალიზაცია მოიცავს: კულტურული ინტეგრაციის დონეს; უცხოელი მოსახლეობის პროცენტს; საერთაშორისო პირად კონტაქტებს; სატელეფონო გრაფიკისა და საფოსტო გზავნილების მოცულობას; საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების მოცულობას; საინფორმაციო ნაკადების მოცულობას; საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ.

პოლიტიკური გლობალიზაცია მოიცავს: სახელმწიფოს წევრობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მისიებში; საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების რატიფიკაციას; ქვეყანაში საელჩოებისა და სხვა უცხოური წარმომადგენლობების რაოდენობას და ა. შ.

ბოლო შეფასებების შესაბამისად [6] ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფებიან – ირლანდია, ნიდერლანდები, ავსტრია, სინგაპური, შვეცია, დანია, უნგრეთი, პორტუგალია, შვეიცარია, კვიპროსი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, სლოვაკია, ნორვეგია. ოცეულში ვერ მოხვდნენ ისეთ ქვეყნები, როგორცაა: აშშ, იტალია, იაპონია, გერმანია. ყველაზე ნაკლებად გლობალიზებული ქვეყნებია: ტონგა, სომალი, სან მარინო, პუერტო რიკო, მონაკო, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, ანდორა და სხვ.

ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ნიდერლანდები, უნგრეთი, შვედეთი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ესტონეთი, ჩეხეთი, დანია, ავსტრია, კვიპროსი, სლოვაკეთი, პორტუგალია, ფინეთი, ჩილე, მონტენეგრო. ბოლო ადგილებზეა: მიკრონეზია, ლომინიკა, ჯიბუტი, კუბა, ბუტანი და სხვ.

სოციალური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – კვიპროსი, ირლანდია, სინგაპური, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, ნიდერლანდები, კანადა, დანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, გერმანია, შვეცია, ესპანეთი, კუვეიტი, ლუქსემბურგი. ბოლო ადგილებზეა სომალი, სან მარინო, მონაკო, ნიკრონეზია და სხვ.

პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით პირველ ოცეულში იმყოფება – იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ჰოლანდია, პორტუგალია, კანადა, ეგვიპტე, ნიდერლანდები, დანია, თურქეთი, გერმანია, არგენტინა, ნორვეგია, საბერძნეთი. ბოლო ადგილებზეა: გრენლანდია, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, პუერტო რიკო და სხვ.

ამ ინდექსის მიხედვით საქართველო 208 ქვეყნიდან 69-ე, ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით 29-ე, სოციალური გლობალიზაციის მიხედვით 88-ე, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით 139-ე ადგილზე იმყოფება.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ესტონეთი იმყოფება 26-ე, უკრაინა 44-ე, ლიტვა 48-ე, რუსეთი 47-ე, ლატვია 50-ე, მოლდავეთი 67-ე, აზერბაიჯანი 83-ე, ყაზახეთი 76-ე, სომხეთი 97, ბელორუსია 105-ე, ტაჯიკეთი 159-ე, თურქმენეთი 167-ე, უზბეკეთი 170-ე ადგილზე.

ქვეყნების გლობალიზაციის მაჩვენებლები წარმოდგენას იძლევა ცალკეული ქვეყნის ინტეგრაციაზე მსოფლიო პროცესებში და არა მსოფლიოს გლობალიზაციის ხარისხზე. ამიტომ, უმჯობესია ამ მაჩვენებლებს ქვეყნის ინტეგრაციის ინდექსი ერქვას, ხოლო მსოფლიოს გლობალიზაციის დონის დასახასიათებლად შემოღებულ იქნეს მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსი. იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცავდეს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ტრანსერობნული კორპორაციების საქმიანობა, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, დანახარჯები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროექტებზე, მსოფლიოში შემოსავლების უთანაბრობის (ქვეყნებს შორის), სიღარიბის, სამხედრო ხარჯების, სამხედრო კონფლიქტების, მიზნობრივი (სავალუტო, საკრედიტო და სხვ.) საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციონირების, საერთაშორისო ორგანოებში ცალკეული ქვეყნების მონაწილეობის თანაბრობის მაჩვენებლებს.

სამართლიანი გლობალიზაცია გულისხმობს რა მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას და მათ ჰარმონიულ თანაარსებობას, ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ბუნებასთან რაციონალური თანაარსებობის პროცესებთან ანუ ადამიანის საქმიანობის განვითარებასთან ისე, რომ ზიანი არ მიაღდეს ბუნების კვლავწარმოების პროცესებს. ბიოსფერო თანდათან გადადის “ნეოსფეროში” [3], სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს. გლობალიზაცია და ნეოსფეროს ჩამოყალიბების პროცესი განაპირობებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. სამართლიანი გლობალიზაცია ადამიანთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისკენაა მიმართული, რასაც სრულიად ახალი ტექნოლოგიების ჩამოყალიბება უწყობს ხელს. ამჟამად განვითარებული სამყარო შედის ახალ ეპოქაში – “მოაზროვნე ტექნოსფეროს” (“thinking technology”) ეპოქაში, რომელიც კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს შექმნის სამართლიანი გლობალიზაციისათვის კაცობრიობის სასარგებლოდ.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., „მერიდიანი“, 2006.
2. Бердсолл Н. Усиление неравенства в новой глобальной экономике // Вопросы экономики. 2006. № 4.
3. Вернадский В.И. Биосфера и ноосфера. – М.: Айрис-пресс, 2007.
4. Фукуяма Ф. Конец истории? // Вопросы философии.-1990.-№3.
5. Hirst P., Thompson G. Globalization and the Future of the Nation State // Economy and Society. 1995. Vol. 24. №3.
6. [http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings\\_2012.pdf](http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings_2012.pdf)



**GLOBALIZATION AND SOME ASPECTS OF ITS IMPACT  
ON NATIONAL ECONOMY  
SUMMARY**

The article deals with modern actual issues of globalization and its impact on national economy.

According to the author's explanation globalization is the formation process of the world as an economic, technological, political and cultural entity in the conditions of maintaining the statehood and national identity of separate countries.

Globalization has objective as well as subjective features. That's why globalization includes unprecedented possibilities of development of human society and the threat of its existence. Positive results are achieved when any exposure of abuse is excluded and all decisions are received as a result of common consensus. Other trends of globalization might be ended with disaster.

The article discusses many other issues of globalization and the functioning of national economy under globalization.

*იური ანანიაშვილი*

**ოუკენის პარამეტრის შეფასების ეკონომეტრიკული პრობლემა**

ოუკენის კანონი ემპირიულად დადგენილ იმ დამოკიდებულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაკროეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზის პროცესში. როგორც ცნობილია, ეს კანონი აღწერს შესაბამისობას უმუშევრობის დონესა და მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდეს შორის და გულისხმობს, რომ, როცა ფაქტობრივი უმუშევრობის დონე აღემატება ბუნებრივს, მაშინ ადგილი აქვს პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენას, ხოლო, როცა უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივ დონეზე ნაკლებია, მაშინ ფაქტობრივი გამოშვება პოტენციურს აღემატება. ზოგადი სახით ოუკენის კანონი შემდეგი ფორმულით გამოისახება

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = \lambda(u_t - u^*), \quad (1)$$

სადაც  $Y_t^*$  აღნიშნავს პოტენციური, ხოლო  $Y_t$  – ფაქტობრივი მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობას;  $u$  უმუშევრობის არსებული (ფაქტობრივი) დონეა;  $u^*$  უმუშევრობის ბუნებრივი დონეა;  $t$  დროის (როგორც წესი, წლის ან კვარტლის) აღმნიშვნელი ინდექსია;  $\lambda$  ოუკენის პარამეტრია. ეს უკანასკნელი, განმარტების თანახმად, აკმაყოფილებს პირობას  $\lambda > 0$  და გვიჩვენებს პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენის პროცენტულ ცვლილებას უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ბუნებრივი დონიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრის შემთხვევაში.  $\lambda$ -ს კონკრეტული სიდიდის ცოდნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გამტარებლებისათვის. ამიტომ, უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და პოტენციური გამოშვების მნიშვნელობებთან ერთად,  $\lambda$ -ს რეალურთან მიახლოებული მნიშვნელობის დადგენა ეკონომეტრიკული ანალიზის ერთ-ერთ საინტერესო საკითხია.

პრაქტიკაში  $\lambda$ -ს მნიშვნელობის დასადგენად უშუალოდ (1) გამოსახულების გამოყენება სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგანაც მასში შემავალი  $Y_t^*$  და  $u^*$  არადაკვირვებადი სიდიდეებია. ამ სირთულის გადალახვის ორი მიმართულება არსებობს. ერთი მათგანი გულისხმობს მოდელთა სპეციალური კომპლექსის აგებას, რომელშიც ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან მახასიათებელთან, მათ შორის  $\lambda$ -სთან, ერთად შეფასებას ექვემდებარება პოტენციური გამოშვება და უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ასეთი მიდგომა ორი განსხვავებული სიტუაციისათვის შემოთავაზებულია, მაგალითად, [1,2]-ში. მეორე მიმართულება გაცილებით მარტივია და გულისხმობს (1) დამოკიდებულების გარდაქმნას რეგრესიის განტოლებად ისე, რომ დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით მივიღოთ  $\lambda$  -ს შეფასების მიახლოება. შესაძლებელია გარდაქმნის ორი ვარიანტი და, შესაბამისად,  $\lambda$  -ს მნიშვნელობის შეფასების ორი ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული მოდელის აგება. ამ მოდელებს პირობითად ვუწოდოთ  $\lambda$  -ს შეფასების **A** და **B** მოდელი და განვიხილოთ მათ საფუძველზე მიღებული შეფასებები.

**$\lambda$ -ს შეფასების A მოდელი.** დავიწყოთ მოდელის იმ ვარიანტით, რომლის საფუძველზეც მიღებული შედეგები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მაკროეკონომიკის და ეკონომიკის სახელმძღვანელოებში ოუკენის პარამეტრის კონკრეტული რიცხობრივი მნიშვნელობის როლში [3, 4]. ამ ვარიანტის მისაღებად (1)-ის პარალელურად განვიხილოთ განტოლება

$$\frac{Y_{t-1}^* - Y_{t-1}}{Y_{t-1}^*} = \lambda(u_{t-1} - u^*), \quad (2)$$

რომელიც მართებულია  $(t-1)$  პერიოდისათვის. გამოვაკლოთ (1)-დან (2) და მარცხენა მხარეში მიღებული გამოსახულება გავაერთმნიშვნელიანოთ. გვექნება:

$$\frac{Y_t^* Y_{t-1} - Y_t Y_{t-1}^*}{Y_t^* Y_{t-1}^*} = \lambda(u_t - u_{t-1}). \quad (3)$$

გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ

$$Y_t = Y_{t-1} + \Delta Y_t, \quad Y_t^* = Y_{t-1}^* + \Delta Y_t^*, \quad u_t = u_{t-1} + \Delta u_t.$$

მაშინ (3)-ის მარცხენა მხარე შეგვიძლია შემდეგი სახით გარდავქმნათ

$$\frac{Y_t^* Y_{t-1} - Y_t Y_{t-1}^*}{Y_t^* Y_{t-1}^*} = \frac{\Delta Y_t^* Y_{t-1} - \Delta Y_t Y_{t-1}^*}{Y_t^* Y_{t-1}^*} = \frac{\Delta Y_t^*}{Y_{t-1}^*} \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} - \frac{\Delta Y_t}{Y_{t-1}} \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = (g_t^* - g_t) \frac{Y_{t-1}}{Y_t^*},$$

სადაც  $g_t^*$  აღნიშნავს პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტის, ხოლო  $g_t$  კი ფაქტობრივი მთლიანი შიგა პროდუქტის მატების ტემპს:

$$g_t^* = \Delta Y_t^* / Y_{t-1}^*; \quad g_t = \Delta Y_t / Y_{t-1}.$$

მაშასადამე, (3)-ს შემდეგი ეკვივალენტური გამოსახულება შეესაბამება

$$(g_t^* - g_t) \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = \lambda \Delta u_t. \quad (4)$$

დავუშვათ, პოტენციური გამოშვების მატების ტემპი  $g_t^*$  მუდმივი სიდიდეა და დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე ( $g_t^* = g^*$ ). გარდა ამისა, უგულებელვყოთ (4)-ში შემავალი შეფარდება  $Y_{t-1}/Y_t^*$ , რომლის საშუალო მნიშვნელობა მზარდი ეკონომიკის პირობებში, როგორც წესი, ერთზე ნაკლებია, მაგრამ მასთან მიახლოებული სიდიდეა. ყოველივე ამის

სანაცვლოდ (4)-ში ჩავრთოთ ცდომილებების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ (1)-ის საფუძველზე საბოლოოდ შემდეგი სახის რეგრესიის განტოლებას მივიღებთ

$$g_t = g^* - \lambda \Delta u_t + \varepsilon_t, \quad (5)$$

რომლის შინაარსობრივი მხარე, მართალია, რამდენადმე განსხვავდება (1)-ში ასახული პროცესის შინაარსისაგან, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მის საფუძველზე დაკვირვებადი  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს მნიშვნელობებით შესაძლებელია  $g^*$ -სთან ერთად შევაფასოთ ოუკენის პარამეტრის მნიშვნელობა  $\lambda$ . (5) განტოლებაში  $\lambda$ -ს წინ მდგარი უარყოფითი ნიშანი გვიჩვენებს, რომ თუ რომელიმე პერიოდში უმუშევრობის დონე წინა პერიოდის დონესთან შედარებით გაიზარდა, მაშინ ეს, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფითად აისახება გამოშვების მოცულობის მატების ტემპზე, რაც ნორმალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ითვლება, რომ ამჟამად, მაგალითად, აშშ-ის ეკონომიკისათვის  $\lambda$  დაახლოებით 2-ის ტოლია, ხოლო  $g^*$ -ს მნიშვნელობა კი დაახლოებით 3%-ს შეადგენს [3, გვ. 260; 4, გვ. 137]. ეს შეფასებები მიღებულია სწორედ (5) მოდელის გამოყენებით და ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ჩვენც მოვახდენთ (5)-ის შეფასებას. მაგალითისათვის განვიხილოთ აშშ-ის ეკონომიკის რეალური მშპ-ისა და უმუშევრობის დონის მონაცემები 1948-2011 წლებისათვის<sup>1</sup> და მათ საფუძველზე გამოთვლილი  $g_t$ -სა და  $\Delta u_t$ -ს გამოყენებით შევაფასოთ რეგრესიის (5) მოდელი. მივიღებთ

$$\hat{g}_t = 0,0337 - 1,9369\Delta u_t, \quad R^2 = 0,758; \quad F = 190,8; \quad DW = 1,565, \quad (6)$$

(21,648) (-13,812)

სადაც რეგრესიის კოეფიციენტების ქვეშ ფრჩხილებში მოცემულია სტიუდენტის  $t$ -სტატისტიკის მნიშვნელობები. როგორც ვხედავთ, პოტენციური გამოშვების მატების ტემპის  $g^*$ -ს შეფასება მცირედენ აღემატება 3%-ს, ხოლო  $\lambda$ -ს შეფასებული მნიშვნელობა კი 2-თან საკმარისად მიახლოებული სიდიდეა და შეადგენს 1,94%-ს. ჩვენი აზრით,  $\lambda$ -ს ასეთი შეფასება გადაჭარბებულად მაღალია: ეკონომიკაში, სადაც პოტენციური მშპ-ის მატების საშუალო ტემპი დაახლოებით 3%-ია, ხოლო უმუშევრობის ბუნებრივი დონე სხვადასხვა გაანგარიშებით [3, გვ. 260; 4, გვ. 137] 4,5%-დან 6%-მდე მერყეობს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ დონიდან ყოველ ერთპროცენტიან გადახრას პოტენციური მშპ-დან მიუღებელი გამოშვების საშუალოდ 2%-ანი ცვლილება მოსდევდეს. მიგვაჩნია, რომ (5) ტიპის მოდელით განსაზღვრული  $\lambda$ -ს შეფასება არაკორექტულად გადმოსცემს იმ რაოდენობრივ და თვისობრივ ასპექტებს, რაც გამოშვების მოცულობის ცვლილებას უკავშირდება უმუშევრობის დონის ცვლილებასთან მიმართებაში. ამის ძირითადი მიზეზი (5) მოდელის სპეციფიკაციის არასრულყოფილებაა.

არასრულყოფილება გარკვეულად განპირობებულია იმ დაშვებებით, რაც აუცილებელი გახდა (1) გამოსახულებიდან რეგრესიის (5) განტოლებაზე გადასასვლელად. კერძოდ,  $Y_{t-1}/Y_t^*$  შეფარდების უგულებელყოფა, რაც ჩვენ გავაკეთეთ (1)-დან (5)-ის მისაღებად, ცხადია, შესაბამის ასახვას პოულობს  $\lambda$ -ს შეფასებაში და იწვევს მისი მნიშვნელობის გარკვეული ზომით ზემოთ გადაადგილებას, თუმცა ეს გადაადგილება შესაძლოა ძალიან დიდი არ იყოს. გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმუშევრობის დონის აბსოლუტური  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდით (დიფერენცირებულ)

<sup>1</sup> The US Unemployment Rate – 1948 to 2011; <http://www.miseryindex.us/urbyyear.asp> ; [www.bea.gov](http://www.bea.gov) – აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი.

$\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლა. საქმე ისაა, რომ ასეთი ნაბიჯით უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ყოველწლიურ ნაზრდებს ვაიგივებთ უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გადახრის სიდიდესთან, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. გარდა ამისა, ამ ცვლილებით ორი ეკონომეტრიკული ხასიათის პრობლემა წარმოიქმნება. ერთი მათგანი (5) მოდელის შეფასების პროცესში გამოყენებული დროითი მწკრივების სტაციონარობას უკავშირდება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის მატების წლიური ტემპის,  $g_t$ -ს, დროითი მწკრივი სტაციონარულია. დიკი-ფულერის *ADF* ტესტის 5%-იანი კრიტიკული წერტილების, ასევე ალტერნატიული *KPSS* ტესტის 1 და 5%-იანი კრიტიკული წერტილების მიხედვით სტაციონარულს მიეკუთვნება, აგრეთვე, უმუშევრობის დონის,  $u_t$ -ს, დროითი მწკრივი<sup>2</sup>. ასეთ პირობებში რეგრესიის მოდელში ამხსნელ ცვლადად  $u_t$ -ს ნაცვლად მისი პირველი რიგის სხვაობის  $\Delta u_t$ -ს განხილვა, როგორც წესი, რიგ არასასურველ შედეგს იწვევს. კერძოდ, “დიფერენცირებული” მწკრივი  $\Delta u_t$ , მიუხედავად იმისა, რომ სტაციონარობის თვისებას ინარჩუნებს, საწყის  $u_t$  მწკრივთან შედარებით უფრო მაღალი დისპერსიით ხასიათდება [5, გვ. 381], ხელს უწყობს მწკრივის მომდევნო მნიშვნელობებს შორის ე. წ. პარაზიტული (ცრუ) ავტოკორელაციის გაჩენას, მწკრივის მცურავი საშუალოს *MA* ნაწილს არაშებრუნებადს ხდის და, საბოლოოდ, ეს გარემოებები რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებებზეც აისახება [6, თავი 5, გვ. 25].

რეგრესიის განტოლებაში სტაციონარული  $u_t$  მნიშვნელობებიდან ნაზრდითი  $\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლით გამოწვეული მეორე პრობლემა ეკონომეტრიკულთან ერთად შინაარსობრივ დატვირთვასაც ატარებს. საქმე ისაა, რომ მოდელში ნაზრდით  $\Delta u_t$  მნიშვნელობებზე გადასვლის გამო დაიკარგა ინფორმაცია გრძელვადიანი კავშირის შესახებ [7, გვ. 449-453], რომელიც რეალურად არსებობს მშპ-ის მატების ტემპსა და უმუშევრობის დონეს შორის. ამის გამო,  $t$  წლის შესაბამისი  $g_t$ -ს ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც  $t$  წლის, ასევე წინა წლების უმუშევრობის დონეების ცვლილებით, მთლიანად მიეწერება მხოლოდ  $t$  წლის შესაბამის  $\Delta u_t$ -ს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში (5) განტოლებით შეფასებული  $\Delta u_t$ -ს კოეფიციენტი  $\lambda$  შეიძლება გადააგილებული აღმოჩნდეს.

**$\lambda$ -ს შეფასების B მოდელი.** (5) მოდელის ამ ნაკლოვანებებისაგან გარკვეულად თავისუფალია მოდელის ვარიანტი, რომელიც (5)-ის მსგავსად ოუკენის კანონის ამსახველი (1) დამოკიდებულების გარდაქმნის შედეგად მიიღება. გარდაქმნები, პირველ რიგში, (1)-ის მარცხენა მხარეში ხორციელდება და შემდეგი სახისაა

$$\frac{Y_t^* - Y_t}{Y_t^*} = 1 - \frac{Y_t}{Y_t^*} = 1 - \frac{Y_t}{Y_{t-1}} \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = 1 - (1 + g_t) \frac{Y_{t-1}}{Y_t^*} = \lambda(u_t - u^*),$$

სადაც  $(1 + g_t)$  მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპს აღნიშნავს. ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ მაკროეკონომიკურ დროით მწკრივებს შორის უმუშევრობის დონის მწკრივის განსაკუთრებულობას-სტაციონარობას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნავდნენ დროითი მწკრივების ცნობილი მკვლევარები ნელსონი და პლოსერი (იხ. Nelson C. R. and Plosser C. I. Trends and Random Walks in Macroeconomic Time Series: Some Evidence and Implication// Journal of Monetary Economics, 1982, Vol. 10, p. 139-162.)

$$(1 + g_t) = \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} - \frac{Y_t^*}{Y_{t-1}} \lambda(u_t - u^*). \quad (7)$$

შეფარდება  $Y_t^*/Y_{t-1}$ , რომელიც, როგორც წესი, ერთზე მეტი სიდიდისა, აღვნიშნოთ  $\delta_t$ -თი. განმარტებიდან გამომდინარე,  $\delta$  უახლოვდება პოტენციური გამოშვების ზრდის ტემპს  $(1 + g_t^*)$ -ს, მაგრამ სავარაუდოდ აღემატება მას. ამიტომ  $\delta$ -ს ვუწოდოთ პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი. ამასთან, დავუშვათ, რომ  $\delta$  დამოკიდებული არ არის  $t$ -ზე და ამის სანაცვლოდ (7)-ში ჩავერთოთ ცდომილების აღმნიშვნელი შემთხვევითი სიდიდე  $\varepsilon_t$ . მაშინ არაწრფივი რეგრესიის შემდეგ განტოლებას მივიღებთ

$$(1 + g_t) = \delta - \delta\lambda(u_t - u^*) + \varepsilon_t, \quad (8)$$

რომელშიც  $(1 + g_t)$  და  $u_t$  დაკვირვებადი სიდიდეებია, ხოლო  $\lambda$  და  $\delta$  შესაფასებელი პარამეტრებია. ორივე მათგანის მნიშვნელობა უშუალოდ მიბმულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის  $u^*$ -ს მნიშვნელობაზე, რომელიც, ზოგად შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია<sup>3</sup>. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (8) მოდელის პირობებში  $u^*$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობას  $\lambda$ -სა და  $\delta$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობა შეესაბამება, მაგრამ მათი ნამრავლი,  $\delta\lambda$ , დამოკიდებული არ არის უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობაზე,  $u^*$ -ზე. ამის ნათელ დადასტურებას იძლევა ცხრილი 1, სადაც მოცემულია  $u^*$ -ს რამდენიმე შესაძლო ვარიანტისათვის აშშ-ის 1948-2011 წლების მონაცემების მიხედვით შეფასებული  $\lambda$ -სა და  $\delta$ -ს მნიშვნელობები.

ცხრილი 1.

	$\delta\lambda$	$\delta$	$\lambda$
$u^* = 0,04$	0,57493	1,04246	0,55152
$u^* = 0,045$	0,57493	1,03958	0,55304
$u^* = 0,05$	0,57493	1,03671	0,55458
$u^* = 0,055$	0,57493	1,03083	0,55612
$u^* = 0,06$	0,57493	1,03096	0,55767
$u^* = 0,065$	0,57493	1,02808	0,55923

ცხრილის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზრდის კვალობაზე პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი,  $\delta$ , მცირდება, მაგრამ იზრდება ოუკენის პარამეტრის მნიშვნელობა  $\lambda$ . მაშასადამე, რაც უფრო მაღალია უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობა:

ა) მით მცირეა პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპი (ასევე, დიდი ალბათობით, – ნამდვილი ტემპი);

ბ) ფაქტობრივი უმუშევრობის დონის ყოველი დამატებითი ერთეულით (პროცენტით) ზრდას მით მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის

<sup>3</sup> მაგრამ ეს ფაქტი პრობლემას არ წარმოადგენს იმისათვის, რომ მოცემული  $(1 + g_t)$  და  $u_t$  მწკრივების საფუძველზე შევაფასოთ  $\lambda$  და  $\delta$  პარამეტრები.

პროცენტულ მნიშვნელობაზე და, აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი გამოშვების ზრდის ტემპზე.

აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო გარემოება. ცხრილ 1-ში მოყვანილი პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის  $\delta$ -ს შეფასების ექვსივე მნიშვნელობა საკმარისად ახლოს არის (5) მოდელიდან მიღებულ  $(1+g^*)$ -ს შეფასებასთან, რომელიც შეადგენს 1,0337-ს. სამაგიეროდ ამას ვერ ვიტყვით ოუკენის პარამეტრის შეფასებების შესახებ. უფრო კონკრეტულნი რომ ვიყოთ, (5)-დან მიღებულ  $\lambda$ -ს შეფასება (1,94) შევადაროთ, მაგალითად, ანალოგიური მაჩვენებლის შეფასებას, რომელიც შემდეგი განტოლებიდან მიიღება

$$(1 + \hat{g}_t) = 1,0338 - 1,0338 \times 0,556(u_t - 0,055); R^2 = 0,144, F = 10,5, DW = 1,784 \quad (9)$$

(354,5)      (-3,2337)

როგორც ვხედავთ, ამ განტოლებაში  $u^*$ -ის მნიშვნელობად აღებულია 0,055 ანუ 5,5%. ასეთი არჩევანი იმან განაპირობა, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონის მოცემული მნიშვნელობის პირობებში (9) განტოლებიდან მიღებული პოტენციური გამოშვების ზრდის კვაზიტემპის,  $\delta$ -ს შეფასება 1,034 ემთხვევა (5) მოდელიდან მიღებულ  $(1+g^*)$ -ს შეფასებას და მცირედენ განსხვავდება 1948-2011 წლებში მშპ-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპისაგან, 1,032-საგან<sup>4</sup>. ადვილად შევნიშნავთ, რომ (9) განტოლებაში ოუკენის პარამეტრის შეფასება შეადგენს 0,556-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ (8) მოდელის თანახმად, აშშ-ის ეკონომიკაში უმუშევრობის ფაქტობრივი დონის მისი ბუნებრივი დონიდან (ანუ 5,5%-დან) ყოველი ერთი პროცენტული პუნქტით გადახრის შემთხვევაში პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის სიდიდე საშუალოდ 0,56%-ით იზრდება.  $\lambda$  პარამეტრის ეს მნიშვნელობა (5) მოდელის ანალოგიურ მაჩვენებელზე დაახლოებით 3,5-ჯერ ნაკლებია<sup>5</sup>.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, 1,94 და 0,56 შეფასებებიდან რომელი უფრო რეალურად გადმოსცემს ოუკენის  $\lambda$  პარამეტრის რაოდენობრივ და თვისობრივ ასპექტებს. პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, რამდენად ადეკვატურად ასახავენ (6) და (9) მოდელები ოუკენის (1) ფორმულაში ჩადებულ არსს და როგორია მათი მნიშვნელოვნება სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით.

(6) მოდელის შინაარსობრივი მხარის ნაკლოვანებებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოდელის წარმოდგენილ შეფასებულ ვარიანტში დარბინ-უოტსონის კრიტერიუმის მნიშვნელობა  $DW = 1,56$  მოთავსებულია განუზღვრელობის არეში და ავტოკორელაციის არ არსებობის ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის საშუალებას არ იძლევა, ფორმალურ-სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით (6) საკმარისად დამაჯერებლად გამოიყურება. რაც შეეხება (9) მოდელს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით იგი უკეთესად გადმოსცემს ოუკენის ფორმულის არსს. მის მთავარ ნაკლად კი შეიძლება განვიხილოთ დეტერმინაციის კოეფიციენტის შედარებით დაბალი მნიშვნელობა, თუმცა მოყვანილი  $F$ -სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მთლიანობაში შეფასებული მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

<sup>4</sup> ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, არაპირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აშშ-ში უმუშევრობის ბუნებრივი დონე 5,5%-ის ირგვლივ მერყეობს.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ განხილული (5) და (8) მოდელებიდან მიღებულ ოუკენის პარამეტრის შეფასებაში ასეთი დიდი განსხვავება შეიმჩნევა არა მარტო იმ შემთხვევისათვის, როცა უმუშევრობის ბუნებრივ დონედ აღება 5,5%. როგორც ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, ასეთივე განსხვავებას ადგილი აქვს მაშინაც,

როცა  $u^*$ -ის ცვლილება 4,5%-დან 6,5%-მდე ფარგლებში ხორციელდება.

ჩვენი აზრით, ეს გარემოება სასწორს ოუკენის პარამეტრის იმ შეფასების სასარგებლოდ ხრის, რომელიც (8) მოდელის საფუძველზე მიიღება.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. Ананишвили Ю., Папава В. Налоги, технология производства и экономический рост.// Общество и экономика, №4-5, 2011.
2. ანანიაშვილი ი. უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება. // შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2012. გვ. 40-54.
3. Абель Э., Бернанке Б. Макроэкономика. 5-е изд. - СПб.: Питер, 2010.
4. ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. თარგმანი ინგლისურიდან. თსუ გამომცემლობა, 2010.
5. Канторович Г. Г. Анализ временных рядов. // Экономический журнал ВШЭ, №3, 2002, с. 381.
6. Наско В. П. Эконометрика. Введение в регрессионный анализ временных рядов. Москва, 2002, глава 5, с. 25.
7. Вербик М. Путеводитель по современной эконометрике. Москва, Научная книга, 2008. с. 449-453.

*Ananiashvili Iuri*

### **ECONOMETRIC PROBLEMS OF OKUN'S PARAMETER ESTIMATION SUMMARY**

In this article are examined two econometric models that estimate Okun's parameter. These models are derived from the formula corresponding to Okun's famous law on a basis of several assumptions. From the example of the data of US economy of 1948-2011 years, it is shown that these models give absolutely different estimations from each other of Okun's parameter. Value received from one of these models is approximately 2 and this is in accordance with the value for Okun's parameter, that is widespread in contemporary macroeconomic literature. Value received from the second model is not more than 0.6. On the basis of content and formal aspects analysis we concluded that Okun's parameter value for US economy should be much less than 2.

*როზეტა ასათიანი*

### **სახელმწიფო რობორტ ეკონომიკური ბანკითარებისა და ეროვნული თანხმობის ბარანტი**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და უსაფრთხოება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებზე დარჩება თუ ცხოვრებაში ისინი არ გატარდა გონივრული ეკონომიკური პოლიტიკით, რომლის განმახორციელებელი და გარანტი თვით სახელმწიფოა, ის მმართველი გუნდი, ის ინსტიტუტები, რომლებიც უნდა ფლობდნენ მართვის საიდუმლოებას, უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივ თანხმობას, რომელთა გარეშე ქვეყანაში დიდია ქაოსისა და სიღარიბის საშიშროება.

ახლო წარსულში, როდესაც ნეოლიბერალური დოგმების დამკვიდრება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წარმართვის, შეიძლება ითქვას, ინსტრუქციად იქცა, ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკურმა სტრატეგიამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რამაც, ბუნებრივია, ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია, ფაქტობრივად, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში „მომზადებული“, 2006 წლიდან გამოვლენილი, ხოლო 2008 წელს

ჯერ საბაზრო ფუნდამენტალიზმის ციტადელიდან – აშშ-დან დაწყებული ფინანსური კრიზისი, რომელიც სწრაფად გადაიზარდა მსოფლიო ფინანსურ, ხოლო შემდეგ – მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში.

შეირყა ახალი დასავლური (როგორც ევროპული, ისე ამერიკული) დემოკრატია. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა გლობალიზაციის სწრაფმა ტემპებმა, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ჭრილში. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა ის აქსიომატური ჭეშმარიტება, რომ **დღეს ეკონომიკურ პოლიტიკაში ულტრალიბერალურ ეკონომიკურ ფასეულობებზე მორგებული კონცეპტუალური მიდგომები სახელმწიფოს ჩაურევლად ვერ წყვეტენ საბაზრო სისტემაში იმანენტურად ჩადებული ბიზნესციკლების განვითარებისა და რეცესიის მწვავე პრობლემებს, პირიქით, ხელს უწყობენ არაპროგნოზირებადი რისკების წარმოშობას** [1, 43-50].

პირველი „მაკროეკონომიკური პროდუქტი“ (თითქოს დაუჯერებელი ისტორია, მაგრამ ნამდვილი). „ენდე ბაზარს“ – ამ თეზაზე თითქმის 160 წლის მანძილზე მორგებულმა ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიო მიიყვანა ისტორიაში ყველაზე დრამა 1929-1933 წლების ეკონომიკურ კრიზისამდე. ეს იყო კატასტროფა, თუმცა, თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიაზე (Laissez faire) დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა უცვლელი რჩებოდა, დეპრესიის დაძლევა კი „არაეფექტიანი სამკურნალო ღონისძიებებით“ [2, 85] ფერხდებოდა. სმითისეული „უხილავი ხელის“ თეორიაზე აგებული დრომოჭმული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა კვლავინდებურად „აზრთა კონვერგენციის“ გამოსატყულებას წარმოადგენდა. მაგრამ 1936 წელს გამოცემულ ჯონ მეინარდ კეინის გენიალურ ნაშრომში – „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (შემდგომში – „ზოგადი თეორია“) – წარმოდგენილმა მაკროეკონომიკური რეგულირების მოდელმა ეს რწმენა შეარყია. ახალმა ეკონომიკურმა მიმართულებამ – კეინზიანელობამ (როგორც „დიდი დეპრესიის“ გამოძახილმა), დაწყებულმა 40-იანი წლებიდან, ისტორიაში კარგად ცნობილი „კეინზიანური რევილუციით“ არსებითი გარდატეხა მოახდინა ეკონომიკურ პოლიტიკაში [3, 40-42; 205-211; 215-218]. **დაიწყო კაპიტალისტური სისტემის გამყარების და არა მისი რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური სისტემით ჩანაცვლების პროცესი.** რაც მთავარია, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლით, დასავლურ კაპიტალისტურ სამყაროში ბესტსელერად აღიარებული „ზოგადი თეორიის“ ძირითად პოსტულატებზე და, პირველ ყოვლისა, „მოთხოვნის თეორიაზე“ დაყრდნობით, დაძლეულ იქნა „დიდი დეპრესია“, გაჩნდა სტაბილურობის ნიშნები.

გაბედულმა სიღრმისეულმა ცვლილებებმა უდიდესი პოზიტივი შეიტანა ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგებისა, 1950-იანი წლებიდან (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან) წამოვიდა „სიურპრიზების“ კასკადი: უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონტურები; 1948 წელს გაეროს მიერ პროექტის სახით მიღებულ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, 1953 წელს პირველად მსოფლიო ისტორიაში შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ანუ იმ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკისა და „დანარჩენ მსოფლიოსთან“ (150-ზე მეტ ქვეყანასთან) მისი ეკონომიკური კავშირების შესწავლას; 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის „ინტელექტუალური“ ტექნოლოგიების შექმნას, შესაბამისად, დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატეს ზრდას, მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციასა და მისი განსაკუთრებული როლის წარმოჩენას [4]; ამ ცვლილებათა ფონზე, 1948 წელს, პოლ სამუელსონის ავტორობით მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ისტორიაში გამოვიდა



პირველი სახელმძღვანელო – „ეკონომიქსი“, რომელშიც აისახა ეკონომიკაში მიმდინარე რევოლუციური ძვრები (შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის 50-60-იანი წლები ცნობილია „სამუქელსონის ეპოქის“ სახელწოდებით. ისიც ნიშანდობლივია, რომ იმდენად დიდი იყო დაინტერესება, „ეკონომიქსი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაში ითარგმნა და მის ავტორს დიდი ფინანსური წარმატება მოუტანა). „ამ პერიოდიდან ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, თავის ოქროს ხანაში შევიდა“ [5, 31]. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა კოლონიური უღლისგან რიგი ქვეყნების გათავისუფლება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ვექტორის შეცვლასთან ერთად, საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ამაღლებასაც მიუძღვის.

ამ ზომიერად კონსერვატიული ცვლილებების ფონზე სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და, საერთოდ, ძველი ეკონომიკური ურთიერთობები, შეიძლება ითქვას, „ეროზიას“ განიცდიდა, ეკონომიკური პოლიტიკა კი ახალ შინაარსს იძენდა. წინა პლანზე სოციალურ ორიენტაციაზე მორგებული მაკროეკონომიკური რეგულირების ფენომენი წარმოჩნდა. კეინზი მოუწოდებდა მთავრობებს საზოგადოებრივ პროექტებზე მეტი ფულადი სახსრების გამოყოფისაკენ, რათა ამით შებრძოლებოდნენ უმუშევრობას, განსაკუთრებით, ეკონომიკის ვარდნის პერიოდში.

როგორც იტყვიან, რომი ერთ დღეს არ აშენებულა, თუმცა, რეალურად დაიწყო „ველური კაპიტალიზმის“ ჩანაცვლება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკით. ბაზარს დაეტყო რიგი პოზიტიური ცვლილებები, იგი ახალ ამპლუაში წარმოჩნდა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში (შვედეთი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.) საგრძნობლად გაუმჯობესდა სოციალური ფონი: შემცირდა სიღარიბე; გაიზარდა საშუალო ფენის ხვედრითი წონა და იმ უმაღლესი ხარისხის საქონლის მოხმარება, რომელიც წინათ ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისათვის; საზოგადოების თითქმის 10%-მა ფუფუნების დონეს მიაღწია, რასაც წინათ მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ.

უკვე 60-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის განვითარებაში, შეიძლება ითქვას, დაიწყო ახალი ეპოქა. სწორედ ამ პერიოდიდან მიიღო ეკონომიკურად დაწინაურებულმა ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნის სტატუსი (მათი რიცხვი დღეს 22-ია). ინდუსტრიული საზოგადოება პოსტინდუსტრიულში გადაიზარდა [6].

ამიტომაცაა ჯონ მეინარდ კეინზის „ზოგადი თეორია“ XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების **შედევრი** (როგორც მას ეკონომიკის დარგში 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი პოლ კრუგმანი უწოდებს). „იგი სახელმძღვანელოა, სტაგნაციური ეკონომიკის სიღრმისეული ანალიზია კრიზისების დაძლევისა და დეპრესიის თავიდან აცილებისათვის“ [7, 82].

მეტად საყურადღებოა თვით კეინზის შემდეგი მოსაზრება: როცა ეკონომიკა შეიძლება „ბაზრის შეცდომების გამოსწორებას“, მაშინ „ეფექტიან მოთხოვნაზე“ სახელმწიფოს მიერ აქცენტის გაკეთება აღარ იქნებოდა საჭირო და ამის საპირისპიროდ მთელი ძალით ამოქმედდებოდა ნეოკლასიკურ „მიწოდების თეორიაზე“ დაფუძნებული საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები [8]. ეს იყო რაციონალური ქცევის თეორია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისათვის იყო ანგარიშგასაწვევი. იგი სიდუხჭირიდან ქვეყნის ამოყვანის მსოფლიოში აპრობირებულ მიმართულებას წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, 60-იანი წლებიდან, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში არ იქნა გათვალისწინებული კეინზის რეკომენდაციები, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1974-1975 წლების ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში. განვითარებულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. აშშ-ის ეკონომიკაც რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. „სახელმწიფო ინტერვენცია“ გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, გადასახადების რეკორდულ

გადიდებაში, სახელმწიფო ვალის ზრდასა და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური ზრდის შენელებაში. ნათელი გახდა, რომ მხოლოდ სახელმწიფო არ იყო ყოველისშემძლე ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების ზრდის პრობლემების გადაჭრაში, თუმცა, როგორც მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში კეინზიანური მაკროეკონომიკური პოსტულატების გამოყენების გარეშე ეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება ვერ იქნებოდა მიღწეული [9, 107-117].

შექმნილმა ვითარებამ და მოვლენების ობიექტურმა შეფასებამ განაპირობა ახალი ეკონომიკური თეორიის – „ნეოკლასიკური სინთეზის“ წარმოშობა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც კეინზიანური, ისე ნეოკლასიკური მიდგომების გათვალისწინებას სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთობაში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ „ორივე ხელის სტრატეგიის“ ამსახველი თეორიის ძირითადი დებულებების შემუშავებასა და დასაბუთებაში ლომის წილი პოლ სამუელსონს მიუძღვის. „ნეოკლასიკური სინთეზი“ აისახა აშშ-ში რ. რეიგანის ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელმაც მიიღო „რეიგანომიკის“ სახელწოდება, ხოლო დიდ ბრიტანეთში – მ. ტეტჩერის მთავრობის პოლიტიკაში (ცნობილია „ტეტჩერიზმის“ სახელწოდებით).

1980-იანი წლებიდან, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, განვითარებულ ქვეყნებში შემცირდა ინფლაცია, უმუშევრობა და მიღწეულ იქნა მყარი ეკონომიკური ზრდა. მართალია, ამ პროცესს თან ახლდა სახელმწიფო სოციალური ხარჯების შემცირება, მაგრამ კეთილდღეობის მაკონტროლებელი პროგრამების მნიშვნელოვანი შეკვეცა არ მომხდარა. ინგლისში ჯანმრთელობის დაცვა და განათლება კვლავინდებურად დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში კვლავ შენარჩუნდა სახელმწიფო პროგრამები ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, გაგრძელდა სოციალურად დაუცველი ფენებისთვის სხვადასხვა სახის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წყაროებიდან, დახმარებების გაცემა და ა.შ.

По данным исследования в экспорте Литвы по товарной структуре доминирует продукция, которая низкой добавленной стоимости: минеральные продукты, текстиль и текстильные изделия. Такие пропорции негативно влияют на оптимизацию структуру экспорта, так как происходящие изменения не приводят к увеличению доли продукции высокой добавленной стоимости. Поэтому структурные изменения в экспорте Литвы неэффективны. В 2011 г., по сравнению с 2006 г. (после вступления в ЕС), доля пищевых продуктов, безалкогольных и алкогольных напитков, табака увеличилась в 1,3 раза, продукции химической промышленности на 10 %. Доля минеральных продуктов в 2011 г., по сравнению с 2006 г., уменьшилась на 15 %, изделия промышленного сектора на 3 %, текстили и текстильных изделий почти на 50 %. Такие структурные изменения в экспорте оцениваются негативно, так как они не приводят к увеличению доли продукции высокой добавленной стоимости.

Исследуя структуру экспорта по внешнеторговым связям, очевидно, что Литва после вступления в ЕС, направила свой экспорт в этот регион:



**Рис. 4.** Структура экспорта (%) по внешнеторговым связям в Литве за 1998-2010 г.

**Источник:** составлено авторами с использованием научной литературы и [www.epp.eurostat.ec.europa.eu](http://www.epp.eurostat.ec.europa.eu)

По данным исследования в 2005 г., по сравнению с 1998 г., экспорт в ЕС увеличился в ~ 2 раза. До вступления в ЕС Литва активно экспортировала в СНГ: в 2005 г., по сравнению с 1998 г., торговля в этот регион уменьшился в 2 раза. Такие пропорции понятны, так как вступив в ЕС

открылись новые рынки, поэтому изменилось и направление торговли. Во время мирового экономического кризиса ситуация поменялась: в 2010 г., по сравнению с 2005 г., экспорт в СНГ увеличился в ~ 1,5 раза. Это связано с тем, что во время кризиса экономика России восстанавливалась быстрее чем в ЕС.

### **Выводы**

Структура экспорта тесно связана с отраслевой структурой страны. Структурные изменения происходят из-за изменения особенностей потребностей общества, общего падения или подъема производства, расширения экспорта. Поэтому во время структурных изменений меняется и сама структура экспорта.

Исследование показало, что доля экспорта в ВВП в Литве за 10 лет выросла от 31% до 57% в 2010 году. В 2010 г. больше чем 65 % экспортируемой продукции было направлено в страны ЕС, ~ 25% в СНГ и 10% в другие страны. В 2010 г. в структуре экспорта доминируют товары, приобретаемые для первичной обработки (~55%), потребительские товары (~25%), сырье топлива (~10%) и другие (10%). По данным исследования рост доли экспорта в ВВП в 2 раза показывает, что Литва стала более открытой экономикой и участницей по развитию мирового ВВП.

Исследование показало, что структура экспорта Литвы не оптимальна: 1/2 всего экспорта составляет товары для первичной обработки. Это негативно влияет на оптимизацию структуры экспорта.

### **ЛИТЕРАТУРА**

1. Vitas A. (2011). Theoretical aspects of changes in economic structure. *Ekonomika*, № 90 (3), p. 20 – 33.
2. Eurostat statistical books (2001-2010). European economic statistics. Luxembourg: European Commission.
3. Белоусов А.Р. (2001). Эффективный экономический рост в 2001-2010 гг.: условия и ограничения. Проблемы прогнозирования, № 1, С. 27-46.
4. Бильчак В.С., Сафонова И.Ю. (2008). Проблемы исследования структурных изменений промышленности Калининградской области. Вестник Российского государственного университета им. И. Канта, № 3, С. 13-18.
5. Вольчик В.В., Бережной И.В. (2009). Иерархия и комплементарность институтов в рамках хозяйственного порядка. *Terra Economicus*, Т.7, № 2, С. 65-73.
6. Гасанов М.А.О. (2010). Структурные сдвиги мировой и Российской экономики на основе инноваций. Вестник Томского государственного университета, № 337, С. 135-139.
7. Данеев О.В. (2004). Моделирование отраслевой структуры экономик (региональный аспект). Вестник Финансовой академии, № 3, С. 85-94.
8. Жерлицина О.Ю. (2007). Структурные преобразования национальной экономики. Вестник Тамбовского университета. Серия: Гуманитарные науки, № 9, С. 268-269.
9. Клинов В.Г. (2008). Структурные кризисы и мировая экономическая конъюнктура. Российский внешнеэкономический вестник, № 10, С. 3-10.
10. Кочкурова Е.В. (2010). О структурных изменениях в экономике и их причинах. *Terra Economicus*, Т.8, № 3-3, С. 55-62.
11. Коровкин А.Г., Полежаев А.В., Андрюнин А.В. (2002). Структурные изменения и взаимодействия региональных рынков труда: методы и анализ. Проблемы прогнозирования, № 4, С. 134-148.
12. Методологические положения по статистике (2006). Федеральная служба государственной статистики. Росстат. С. 513.



13. Плеханова Е.Ф. (2007). Анализ структурной динамики отраслей народного хозяйства Челябинской области и ее влияние на инвестиционный климат региона. Вестник Красноярского государственного аграрного университета, № 5, С. 9-15.

14. Сидоренко О.В., Ясеновская И.В. (2005). Региональные проблемы. Оценка структурных изменений в промышленности еврейской автономной области, № 6-7, С. 100-105.

15. Спаская О.В. (2003). Макроэкономические методы исследования и изменения структурных изменений. Научные труды: Институт народнохозяйственного прогнозирования РАН, Т.1, С. 20-39.

16. Титов В.А. (2006). Методологические подходы к анализу структурных преобразований экономики. Транспортное дело России, № 12-IV, С. 45-47.

17. Федеральная служба государственной статистики. Национальные счета. www.gks.ru.

18. Хоршев Д.Ю. (2007). Анализ и оценка структурных сдвигов для обоснования тенденций регионального развития внешнеэкономической сферы. Учет и статистика, № 10, С. 40-48.

*Vitas Arturas*

## **CHANGING STRUCTURE OF EXPORTS IN LITHUANIA: MACROECONOMIC ASSESSMENT SUMMARY**

The purpose of the article is to investigate the changes in Lithuania's export structure. The article analyzes the export structure, evaluate export structure optimization issues and the effects of the changes on economic growth. The article deals with the analysis of Lithuania's export structure changes and their implications for economic development. The research showed that the export to GDP in 10 years increased from 31% to 57% in 2010. This indicates that Lithuania has become an open economy and contribute to the development of the global GDP. In 2010, more than 65% of exports was to the EU, about 25% to the CIS and 10% to other countries. In 2010, the export structure is dominated by primary production (~ 55%), consumer products (~ 25%), raw materials, fuels (10%) and others (10%). According to the research, Lithuania's export structure is not optimal and it is necessary to modify it.

*Гасанова Назрин*

## **ГЛОБАЛИЗАЦИЯ – ЗА И ПРОТИВ, ВЛИЯНИЕ НА СТРАНЫ СНГ**

*Глобализация становится воплощением утопической идеи мондиализма о создании на Земле unitarного наднационального жестко контролируемого сообщества...*

### **1. Что такое глобализация?**

Глобализация международных отношений — это усиление взаимозависимости и взаимовлияния различных сфер общественной жизни и деятельности в области международных отношений. Она затрагивает практически все сферы общественной жизни, включая экономику, политику, идеологию, социальную сферу, культуру, экологию, безопасность, образ жизни, а также сами условия существования человечества.

Отношение к глобализации как специалистов, так и всех жителей нашей планеты очень неоднозначно, а порой и диаметрально противоположно. Это связано с разными точками зрения на последствия глобализационных процессов, в которых одни усматривают серьезную угрозу мировой экономической системе, а другие видят средство дальнейшего прогресса экономики. Несомненно, последствия глобализации могут носить как позитивный, так и негативный характер.

## **2. Позитивные последствия глобализационных процессов**

Позитивное значение глобализации трудно переоценить: неизмеримо умножаются возможности человечества, более полно учитываются все стороны его жизнедеятельности, создаются условия для гармонизации. Глобализация мировой экономики создает серьезную основу решения всеобщих проблем человечества.

В качестве позитивных последствий (преимуществ) глобализационных процессов можно назвать:

1. Углубление специализации и международного разделения труда между странами.
  2. Важным преимуществом глобализационных процессов является экономия на масштабах производства, что потенциально может привести к сокращению издержек и снижению цен, а, следовательно, к устойчивому экономическому росту.
  3. Преимущества глобализации связаны также с выигрышем от свободной торговли на взаимовыгодной основе, удовлетворяющей все стороны.
  4. Преимущества глобализации определяются теми экономическими выгодами, которые получаются от использования передового научно-технического, технологического и квалификационного уровня ведущих в соответствующих областях зарубежных стран в других странах, в этих случаях внедрение новых решений происходит в краткие сроки и при относительно меньших затратах.
  5. Глобализация способствует обострению международной конкуренции. Подчас утверждается, что глобализация ведет к совершенной конкуренции. Глобализационные процессы в мировой экономике выгодны, прежде всего, потребителям, так как конкуренция дает им возможность выбора и снижает цены.
  6. Глобализация может привести к повышению производительности труда в результате рационализации производства на глобальном уровне и распространения передовых технологий, а также конкурентного давления в пользу непрерывного внедрения инноваций в мировом масштабе.
  7. Глобализация дает странам возможность мобилизовать более значительный объем финансовых ресурсов, поскольку инвесторы могут использовать более широкий финансовый инструментарий на возросшем количестве рынков.
  8. Глобализация создает серьезную основу для решения всеобщих проблем человечества, в первую очередь, экологических, что обусловлено объединением усилий мирового сообщества, консолидацией ресурсов, координацией действий в различных сферах.
- Конечным результатом глобализации, как надеются многие специалисты, должно стать всеобщее повышение благосостояния в мире.

## **3. Негативные последствия, потенциальные проблемы и опасности глобализации**

Хоть этот процесс и начался, но нет убедительных свидетельств того, что глобализация обеспечит устойчивый экономический рост на нашей планете, по крайней мере, в ближайшие несколько десятилетий. Предпринятый американским Центром экономических и политических исследований анализ важнейших экономических и социальных показателей стран мира за последние двадцать лет XX-ого века (1980-2000) в сравнении с предшествующим двадцатилетием (1960-1980) показал замедление общемирового прогресса по многим направлениям. Заметно сократились ежегодные темпы экономического роста в расчете на душу населения по всем исследуемым группам стран - от сверх богатых до сверх бедных. Например, в группе беднейших стран они упали с 1,9% до 0,5%, в странах со средним уровнем доходов - с 3% до менее 1%. За исключением группы самых богатых стран, в остальных группах снизилась ожидаемая продолжительность жизни населения, замедлился прогресс в сокращении детской смертности, которая остается у беднейших и средних по доходам стран недопустимо высокой, а также в развитии школьного образования и ликвидации неграмотности.

Процессы глобализации в мировой экономике воспринимаются и оцениваются по-разному. У развивающихся стран из-за неравномерного распределением преимуществ глобализации. Поэтому одним из основных вопросов, вызывающих наиболее жаркие дискуссии, является: кто оказывается в выигрыше от глобализации? Глобализация укрепляет позиции первой группы стран, дает им дополнительные преимущества. В то же время развертывание процессов глобализации в рамках современного международного разделения труда грозит заморозить нынешнее положение менее развитых стран так называемой мировой периферии, которые становятся скорее объектами нежели субъектами глобализации. Несправедливое распределение благ от глобализации порождает угрозу конфликтов на региональном, национальном и интернациональном уровнях. Происходит не выравнивание доходов, а скорее их поляризация. Процветающие 20% стран распоряжаются 84,7% мирового ВВП, на их граждан приходится 84,2% мировой торговли и 85,5% сбережений на внутренних счетах. С 1960 года разрыв между богатейшими и беднейшими странами более чем удвоился, что статистически подтверждает несостоятельность всяких обещаний справедливости в оказании помощи развивающимся странам.

Учитывая неравномерность распределения преимуществ глобализации, безусловно и негативные последствия глобализационных процессов в конкретной стране существенно будут зависеть от места, которое эта страна занимает в мировой экономике. В качестве проблем, потенциально способных вызвать негативные последствия от глобализационных процессов во всех странах, можно назвать:

1. Неравномерность распределения преимуществ от глобализации в разрезе отдельных отраслей национальной экономики;
2. Возможная дестабилизация финансовой сферы, потенциальная региональная или глобальная нестабильность из-за взаимозависимости национальных экономик на мировом уровне.
3. Локальные экономические колебания или кризисы в одной стране могут иметь региональные или даже глобальные последствия.
4. Ослабление суверенности отдельных государств, возможность перехода контроля над экономикой отдельных стран от суверенных правительств в другие руки, в том числе к более сильным государствам, ТНК или международным организациям
5. Многие производимые товары потеряют свою принадлежность к национальным продуктам.
6. Из-за слияния многих транснациональных корпораций уменьшается число рабочей силы, которая может быть занята на производстве.
7. Потеря национального самосознания и самобытности, уход и потеря многих традиций, «обезличивание» народа, популяризация культурной жизни людей.
8. Увеличение технологического отставания от развитых стран;
9. Обнищание основной массы населения;
10. Усиление зависимости менее развитых стран от стабильности и нормального функционирования мирохозяйственной системы;
11. Ограничение ТНК способности государств проводить национально ориентированную экономическую политику;
12. Рост внешнего долга, прежде всего, международным финансовым организациям, который препятствует дальнейшему прогрессу;
13. Прозрачность границ, экономическая взаимозависимость приводят к тому, что государственным структурам становится сложнее контролировать политические, экономические, социальные процессы внутри стран;
14. Когда корпорация растет, она все меньше и меньше интересуется проблемами человека как биологической единицы.

#### 4. Глобализация и страны СНГ

Считается что, так как многие страны СНГ, еще не преодолели трудности переходного периода, они могут оказаться в ситуации постоянного отставания в условиях острой всемирной конкуренции. Открытие рынков для иностранного капитала на территории ряда стран СНГ уже сегодня оборачивается угрозой свертывания важнейших отраслей промышленного и сельскохозяйственного производства, ликвидации многих тысяч рабочих мест.

В качестве угрозы можно отметить, в частности, потенциальный рост безработицы в результате перевода компаниями стран с высокой стоимостью рабочей силы части своих производственных мощностей в страны с низкой оплатой труда. Экспорт рабочих мест может оказаться нежелательным для экономики ряда государств. Но чаще всего в подобных условиях компании развитых стран прекращают выпуск убыточной продукции и переходят к производству товаров, требующих использования высококвалифицированного персонала. Это значит, в странах произойдет перераспределение рабочей силы. В результате рабочие с более низкой квалификацией станут невостребованными, в их среде вырастет безработица, их доходы упадут; и ни для кого не секрет, каково соотношение низкой квалифицированной рабочей силы среди многих стран СНГ. Следовательно, заметно увеличится разрыв в уровнях заработной платы. Прогнозируется, что для функционирования мировой экономики в этом столетии будет достаточно 20% населения. Больше рабочей силы не потребуется. Пятой части всех ищущих работу хватит для производства товаров первой необходимости и предоставления всех дорогостоящих услуг, какие мировое сообщество сможет себе позволить. Эти 20% в какой бы то ни было стране будут активно участвовать в жизни общества, зарабатывать и потреблять, и к ним, пожалуй, можно добавить еще примерно один процент тех, кто, например, унаследует большие деньги. У тех же 80%, которые останутся не у дел, будут колоссальные проблемы.

Растущая глобальная интеграция рынков капитала угрожает экономической политике стран, так как иностранный капитал в виде прямых или портфельных инвестиций таит в себе определенную угрозу для национальной экономики в связи со способностью исчезать из страны столь же быстро, как и появляться. Это является одной из проблем глобализации, еще одна - потенциальная нестабильность из-за взаимозависимости национальных экономик на мировом уровне. В результате локальные экономические колебания или кризисы в одной стране могут иметь региональные или даже глобальные последствия. Как и во всем мире, так и среди стран СНГ глобализацию связывают с потенциальными конфликтами, которыми она чревата, хотя их можно смягчить путем развития глобального сотрудничества на основе соглашений политического характера или создания новых международных институтов.

Антиглобалистские настроения порождают отстранение научных и общественных институтов от активного участия в решении возникающих проблем. Низкий уровень социальной ответственности международного капитала, неспособность национальных органов государственной власти разработать приемлемые механизмы регулирования процессов глобализации, В условиях глобализации концепция развития в государствах СНГ должна строиться на основе национального возрождения, путем создания собственных конкурентных преимуществ, проведения активной социальной политики. В центре ее должны быть права человека, достойный труд, социальное обеспечение, социальный диалог. В этих целях необходимо задействовать и весь интеграционный потенциал Содружества. Следует всемерно поддерживать усилия мирового профсоюзного движения по удержанию глобальных процессов в рамках совместно выработанных правил, исключающих любой произвол на складывающемся мировом рынке труда. Государства СНГ добиваться, чтобы во взаимоотношениях с ведущими странами Запада твердо и последовательно проводилась политика, направленная на усиление социального измерения международной интеграции, выравнивание социального положения трудящихся различных стран на основе прогрессивных норм социальных и трудовых отношений. Очень важно разработать такую социальную политику, чтоб на сгладить и

постараться свести к минимуму негативные воздействия глобализации на жизнь людей, обеспечив занятость и достойный уровень социальной защиты населения. В этих целях должна проводиться работа по совершенствованию национальных, региональных и международных социально-трудовых норм. Необходимо добиваться, чтобы при разработке законов и нормативных актов обеспечивалась их гармонизация с лучшими зарубежными образцами и максимальное соответствие требованиям международных стандартов, в том числе в области заработной платы, пенсий, страховых и социальных систем обеспечения, образования и медицинского обслуживания. Этот шаг позволил бы подготовить и приблизить население к глобализационным процессам, так как человек уверенный в завтрашнем дне не станет настраиваться против этого необратимого процесса.

Страны СНГ объединив усилия должны начать разрабатывать меры, направленные на безусловное выполнение транснациональными корпорациями национального законодательства в области социально-трудовых отношений, обеспечению условий труда и социального обеспечения, сравнимых с теми, которые ТНК предоставляют работникам на своих предприятиях в наиболее развитых странах.

Очень актуальным вопросом, поводом для различных дискуссий относительно глобализации, является возможная унификация культур. Многие ученые отмечают, что в глобально целостной системе этносы не обогащают друг друга, а взаимопоглощаются, культуры не получают импульс для самораскрытия. Насколько это хорошо для стран с богатой древней культурой, народной особенностью? Своеобразие народов уходит в прошлое, в традицию, становится фольклором и существует как пережиток прошлого. Если бы в городах не было старых кварталов и музеев, то путешествовать было бы совершенно бессмысленно: человек неизбежно попадает в окружение изошренно одинаковых автомобилей, одинаковых людей, его преследуют вездесущие рекламы транснациональных корпораций. Но с другой стороны, уже сейчас культура Запада просачивается и смешивается с культурой стран СНГ через всевозможные информационные каналы. Отсюда напрашивается вывод, стоит ли противостоять этому факту так ярко и есть ли смысл?

Во всяком случае, идея объединения всех стран мира в одно целое существовала испокон веков. Александр Македонский, Чингиз хан, да и вообще, почти каждый правитель когда-либо сидевший на троне был ведом этой мечтой. И глобализация это всего лишь вопрос времени. Для стран СНГ, стран постсоветского пространства, для каждого жителя слово «объединение» звучит вполне нормально. Когда-то, наши страны были одним целым, соответственно, нас можно считать наиболее подготовленными к этому процессы странами во всем мире.

Что же в конечном счете глобализация несет странам СНГ— угрозу или новые возможности? Однозначно ответить на этот вопрос практически невозможно, ведь баланс позитивных и негативных последствий постоянно изменяется. Однако «реальность состоит в том, что глобализация представляет объективное и совершенно неизбежное явление современности.

Странам Содружества необходимо адекватно реагировать на глобализационные процессы, чтобы адаптироваться к новым условиям и воспользоваться шансами, которые предоставляет интернационализация мировой экономики. Подводя итог, в целом, рассмотрев детально данный вопрос становится понятно, что данная проблема очень объемная и касается больших масс людей. Таким образом, можно прийти к выводу, что процесс глобализации является неизбежным и его невозможно остановить. Единственное, что человечество может сделать в данной ситуации, так это направить этот процесс по оптимальному маршруту, который будет максимально эффективно удовлетворять потребности людей, не нанося никакого вреда. И если не затрагивать о положительные и отрицательные аспекты этого явления, то можно понять, что глобализация эту в первую очередь стремление человека к единству, к улучшению качеству жизни, к созданию лучших и более благоприятных условий для своего существования, но как и любой другой процесс он не может быть гладок, и поэтому с течением времени ему будет необходимо преодолевать всё более и более серьезные препятствия.

В любом случае, всем жителям этого времени, надо постараться извлечь максимум хорошего из этого явления.

*სიმონ გელაშვილი*

### **სტატისტიკური პროგნოზირება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში**

თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის სფეროში წარმატების მისაღწევად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის საკითხები, რასაც არაერთი სპეციალური პუბლიკაცია ადასტურებს<sup>9</sup>. ამ მიმართულებით ეფექტიანი საქმიანობის მიღწევა შესაძლებელია კომპანიის უკვე არსებული გაყიდვების სისტემისა და პროგნოზირების პროცესის ინტეგრირებით ოპერაციების დაგეგმვასთან მჭიდრო კავშირში<sup>10</sup>.

მიწოდების ჯაჭვი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა ნაკადების ერთობლიობა მომწოდებლებს, მწარმოებლებს, დისტრიბუტორებსა (საცალო, საბითუმო) და მომხმარებლებს შორის. ამ ნაკადებში თითოეულ მონაწილეს, საბოლოო მომხმარებელამდე დასვლამდე, უწევს მარაგების, წარმოების, განაწილების მართვა სხვადასხვა ფორმით. მთელ ამ საქმიანობაში თითოეული მათგანი განსაკუთრებით ცდილობს ხარჯების მინიმალური დონის მიღწევას. კონკურენტულ ბიზნესგარემოში ფორმებმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყონ მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაქსიმალური დონე, ხოლო მეორე მხრივ, აკონტროლონ ხარჯები და საბოლოოდ უზრუნველყონ სტაბილური და მზარდი მოცულების დონე.

მიწოდების ჯაჭვის თანამედროვე მენეჯმენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი სტატისტიკურ პროგნოზირებას უკავია. მაგალითად, თუ მობილური ტელეფონების შესაფუთი მასალების მწარმოებელს სურს, მიაღწიოს საბაზრო წარმატებას, მან უნდა იცოდეს უშუალოდ მობილური ტელეფონების მწარმოებლების როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო საჭიროებები. სამომავლო საჭიროებების ცოდნა კი პირდაპირ პროგნოზირებასთან არის დაკავშირებული. ამისათვის ბევრმა კომპანიამ მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით მიმართა ე. წ. კოლაბორაციული პროგნოზირების სისტემის გამოყენებას, რომლის პირობებშიც მისი მონაწილეები საკუთარ პროგნოზებს და მოლოდინებს უგზავნიან თავიანთ კონტრაგენტებს და პირიქით. ასეთ შემთხვევებში საწყისი მომწოდებლები პროგნოზირებისათვის საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ<sup>11</sup>. ამასთანავე, ასეთი სისტემის პირობებში მიწოდების ჯაჭვის თითოეულ მონაწილეს ხელი მიუწვდება პროგნოზირების არსებულ მაჩვენებლებზე, რაც აუმჯობესებს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

აქვე უპრიანი იქნება მოვიყვანოთ კომპანიის „Motts North America“ მიწოდების სტრატეგიების დირექტორის, ალ ენსის შეხედულება პროგნოზირების როლის შესახებ ბიზნესში: „ბიზნესში წარმატებულ პროგნოზირებას გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს შემოსავლების ზრდისათვის, ვიდრე სხვა ნებისმიერ აქტივობას მიწოდების მთელ ჯაჭვში. ეს ხელდა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ, თუ თქვენ გააკეთებთ სწორ პროგნოზს

<sup>9</sup> იხ. მაგალითად, David Simch-Levi, Philip Kamisky, and Edith Simch-Levi, *Designing and Managing the Supply Chain* (New-York: Irwin/McGraw-Hill), 2000.

<sup>10</sup> Tony Alhadeff, “Engaging the Sales organization for a Better Forecast,” *Journal of Business Forecasting* 23, no. 1 (Spring 2004), pp. 7-10.

<sup>11</sup> კოლაბორაციული პროგნოზირების გაუმჯობესების მიზნით შექმნილია რამდენიმე პროგრამული პაკეტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ვებტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფორმაციის გაცვლას.

მოთხოვნის შესახებ, თქვენ დანარჩენი საკითხების სწორად მართვასაც შეძლებთ. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი თქვენი აქტიუობა უფრო მეტად რეაქტიული იქნება ვიდრე პროაქტიური“<sup>12</sup>.

მოვივანოთ კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც მიუთითებს პროგნოზირების დიდ მნიშვნელობაზე მენეჯმენტში: დეფნი ბარმა, დაგეგმვის კოორდინატორმა კომპანიაში „Velux-America“, რომელიც ლიდერი კომპანიაა ფანჯრებისა და შიდა განათების მოწოდებლობების წარმოებაში, პროგნოზირების პროცესის შესახებ შემდეგი ხედვა შემოგვთავაზა: „მოთხოვნის დაგეგმვა წამყვანი ფაქტორია მიწოდების მთელ ჯაჭვში. მოთხოვნის არცოდნის პირობებში მწარმოებელს ნაკლები შანსი აქვს სწორად მართოს და გაანაწილოს თავისი რესურსები. მარტივად რომ ვთქვათ, მოთხოვნის პროგნოზირება წამყვანი ძალაა მიწოდების მთელ ჯაჭვში, ხოლო მოთხოვნის დაგეგმვა კი თვით პროგნოზირების პროცესის წამყვანი ძალაა“<sup>13</sup>. მაშასადამე, ეს არის ორი მნიშვნელოვანი დასკვნა იმ პროფესიონალებისა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ თავიანთი კომპანიების წარმატებულ საქმიანობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტის შესახებაც: იმის გაცნობიერება, რომ მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგნოზირების ინსტრუმენტების გამოყენებით, ხელს უწყობს ჯაჭვის მონაწილეებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას. ასეთი თანამშრომლობის ერთგვარი მოდელი შემუშავებული იქნა „მრავალინდუსტრიული კომერციული სტანდარტების ასოციაციის მიერ“ (VICS). ეს სტანდარტი ცნობილია, როგორც „კოლაბორაციული პროგნოზირების დაგეგმვა“ (CPFR)<sup>14</sup>. მასში აღწერილია მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებს შორის კოორდინაციის, კომუნიკაციისა და კოოპერირების საკითხები. ზოგადი ფორმით ეს პროცესი შემდეგნაირად აღიწერება: მწარმოებელი, რომელიც აწარმოებს სამომხმარებლო პროდუქციას, აკეთებს მის პროგნოზს. ამ პროგნოზის შედეგების გადაცემა ხდება იმ საცალო მოვაჭრეებზე, რომლებიც საბოლოო რგოლს წარმოადგენენ პროდუქციის მომხარებლებთან ურთიერთობაში. ეს საცალო მოვაჭრეები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ მწარმოებლებს გაყიდვებისა და მოხმარების შესახებ ინფორმაციით. უკუკავშირის გზით მიღებულ ინფორმაციას საბოლოოდ მწარმოებელი იყენებს პროგნოზების განახლებისათვის. ამ გზით პროგნოზირება ორი მხარის კოლაბორაციული სახის ხდება.

კოლაბორაციულ პროგნოზირებას შემდეგი დადებითი მახასიათებლები აქვს:

**1. საინვენტარო და საწარმოო სიმძლავრეების მოცდენის დაბალი მაჩვენებელი.**

ეს მიიღწევა იმით, რომ საწყისი პროგნოზის მაჩვენებლები გადაეცემა მიწოდების ჯაჭვის სხვა მონაწილეებს, რაც მათთვისაც უზრუნველყოფს ზემოთ ნახსენები მაჩვენებლის დაბალ დონეს.

**2. პროდუქციის წარმოებისა და ტრანსპორტირების შემცირებული ხარჯები.**

როდესაც მწარმოებლებს აქვთ ინფორმაცია მათი პროდუქციის გაყიდვებში მოულოდნელი ცვლილებების (ვთქვათ, შემცირების) შესახებ, ისინი იწყებენ პროდუქციის არხებში განაწილებისა და პროდუქციის წინსვლის დაუგეგმავ ცვლილებებს. სწორად გათვლის შემთხვევაში ამ ცვლილებებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი მოგება მოიტანოს.

**3. პროდუქციის შემცირებული დეფიციტის მაჩვენებლები.**

თუ მომხმარებლები მზად არიან შეისყიდონ საქონელი, მაგრამ მიწოდებელს არა აქვს საკმარისი მარაგები, მომხმარებელი სხვა მიწოდების არხებს გამოძებნის. ამგვარი შემთხვევები, საბოლოო ჯამში, მწარმოებელზე უარყოფით გავლენას იქონიებს შესაძლო

<sup>12</sup> Sidney Hill, Jr., "A Whole new outlook," *Manufacturing Systems* 16, no 9 (September 1998), pp. 70-80

<sup>13</sup> Daphney P. Barr, "Challenges Facing a Demand Planner: How to Identify and Handle them," *Journal of Business Forecasting* 21, no. 2 (Summer 2002), pp. 28-29.

<sup>14</sup> Lisa H. Harrington, "Retail Collaboration: How to Solve the Puzzle," *Transportation and Distribution*, May 2003, pp. 33-37.

გაყიდვების დანაკარგებისა და კლიენტების მოთხოვნის ნაკლები დაკმაყოფილების დონის გამო.

#### **4. მომხმარებელთა მზარდი დაკმაყოფილება და უწყვეტი ბიზნესი.**

მყიდველებმა უმრავლეს შემთხვევაში იცინან, რომ მათი მოთხოვნა ხშირად ციკლურ ხასიათს ატარებს. ასეთ შემთხვევებში, თუ მწარმოებელი მზადაა სწრაფად უპასუხოს ამ ციკლურ ცვლილებებს, მაშინ მისადმი ნდობის ხარისხი და გრძელვადიანი თანამშრომლობის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება.

#### **5. უკეთესი მზაობა პროდუქციის წინსვლის სტიმულირების მიმართულებით.**

პროდუქციის ბაზარზე წინსვლის სტიმულირება პროდუქციის გაყიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის სტიმულირება, რომელზეც არის ან იქნება მოთხოვნა მომავალში.

#### **6. უკეთესი მზაობა ახალი პროდუქციის წარდგენისათვის.**

ახალი პროდუქციის ბაზარზე გამოშვება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც რიგი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. უკვე შესამჩნევი საჭიროებების დაკმაყოფილების გზით ახალ პროდუქტს შესაძლოა მნიშვნელოვანი წარმატება ხვდეს წილად.

#### **7. საბაზრო ცვლილებებზე დინამიური რეაქცია.**

ხშირად საბაზრო ცვლილებები ეგზოგენური ფაქტორებით არის გამოწვეული (სამთავრობო კონტროლი, ეკოლოგიური, კულტურული პრეფერენციები და ა. შ.). სამომავლო ცვლილებებზე დროული პასუხი მწარმოებელს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას აძლევს სასაქონლო მარაგების დეფიციტის ან სიჭარბის ნაკლები ალბათობით<sup>15</sup>.

ჩამოთვლილი უპირატესობების განხილვის შემდეგ, ალბათ, გასაკვირი არც არის, რომ ბევრმა კომპანიამ თავის პრაქტიკაში კოლაბორაციული პროგნოზირება დანერგა. ასეთი კომპანიების მაგალითებია: Wal-Mart, Kmart, Sears, EMD Chemicals, Whirlpool, Fuji Photo Film, GoodYear და კიდევ ბევრი სხვა. კოლაბორაციული პროგნოზირების დანერგვამ ამ კომპანიებს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. მაგალითად, კომპანიამ „True Value” თავისი მომსახურების დონე 10-დან 40 პროცენტამდე გააუმჯობესა, ხოლო ხარჯები 10,15 პროცენტით შემცირდა<sup>16</sup>. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტატისტიკური პროგნოზირების თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ. დღევანდელ ბიზნესგარემოში კომპიუტერული ტექნოლოგიები ფართოდ ხელმისაწვდომია. დაახლოებით 15-20 წლის წინათ, როდესაც კომპიუტერული ტექნოლოგიები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზე იმყოფებოდა, მხოლოდ მსხვილ ბიზნესს მიუწვდებოდა ხელი მათ გამოყენებაზე. დღეს ვითარება მკვეთრად განსხვავებულია. მაღალი შესაძლებლობების კომპიუტერების გამოყენების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა: მიკროკომპიუტერები და კომპიუტერული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია თითქმის ყველა იმ ბიზნესსუბიექტისათვის, რომელიც დაინტერესებულია თავის საქმიანობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. კვლევის მიხედვით,<sup>17</sup> 1966 წლისათვის, გამოკითხული კომპანიების 48 პროცენტი იყენებდა კომპიუტერებს პროგნოზირებისათვის. 1986 წლისათვის კი გამოკითხული კომპანიების უკვე 83 პროცენტი იყენებდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებს პროგნოზების შემუშავებისათვის<sup>18</sup>.

<sup>15</sup> “The Improved Demand Signal: Benefiting from Collaborative Forecasting,” PeopleSoft White Paper Series, January 2004, 5 pages. [www.peoplesoft.com/media/en/pdf/white\\_paper/improved\\_demand\\_signal\\_wp\\_1004.pdf](http://www.peoplesoft.com/media/en/pdf/white_paper/improved_demand_signal_wp_1004.pdf)

<sup>16</sup> Peter A. Buxaum, “Psyched Up,” Operations & Fulfillment, Mar.1, 2003. ბოლო წვდომის თარიღი: 9 თებერვალი, 2008. [www.opsandfulfillment.com/warehouse/fulfillment\\_psyched](http://www.opsandfulfillment.com/warehouse/fulfillment_psyched).

<sup>17</sup> Spyros Makridakis, Steven C. Wheelwright, and Victor E. McGee, Forecasting: Methods and Applications, 2<sup>nd</sup> ed., (New York: John Wiley & Sons, 1983), p. 782.

<sup>18</sup> Barry Keating and Holton Wilson, “Forecasting: Practicing and Teachings,” Journal of Business Forecasting 6, no. 3 (Winter 1987-88), p. 12.



ასევე, სხვა მსგავსი კვლევის მიხედვით, გამოკვლევის ობიექტი კომპანიების დაახლოებით 87 პროცენტი იმავე კატეგორიაში ერთიანდებოდა. ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხული მარკეტინგის სპეციალისტებიდან პროგნოზირებისას 40 პროცენტი ეყრდნობოდა მხოლოდ თავის პერსონალურ კომპიუტერს<sup>19</sup>. კვლევის შედეგების მიხედვით ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში სტატისტიკური პროგნოზირების პროცესში პერსონალური კომპიუტერები არსებით როლს ასრულებენ.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ხელმისაწვდომობამ გაამარტივა პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება. სხვა შემთხვევაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ხელით მეტად შრომატევადი პროცესია. ამ მეთოდების უმრავლესობა სტატისტიკურ მეთოდებს მიეკუთვნება, რომელთა პრაქტიკული გამოყენებისათვის შექმნილია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები. ამ პროგრამების ფასი მერყეობს 1000-დან რამდენიმე ათას დოლარამდე. პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, ყველა თეორიულად განხილული მეთოდი გამოყენებულ იქნეს იმ მონაცემთა ბაზებზე, რომელიც პროგნოზირებისათვის არის ხელმისაწვდომი.

პერსონალური კომპიუტერების, მათ შორის პორტატული და მაგიდის კომპიუტერების, გამოყენება სტატისტიკურ პროგნოზირებაში შესაძლებელი გახდა ასევე მათი სიმძლავრის ზრდის კვალობაზე. ასეთი კომპიუტერების მეშვეობით უკვე შესაძლებელია მონაცემთა დიდი ბაზების დამუშავება. მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა, პროგნოზირების პროფესიონალური პროგრამები საკმოდ მოკლე დროში იქნეს ათვისებული. როგორც დოქტორმა ვაშემ აღნიშნა, „პერსონალური კომპიუტერების გამოყენებამ პროგნოზირების პროცესში, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ეკონომისტებს დამატებითი შესაძლებლობები შესძინა, რამაც სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი კლება მოიტანა“. აღნიშნული თანაბრად ვრცელდება კერძო სექტორზეც<sup>20</sup>.

სტატისტიკური მეთოდების მნიშვნელობა პროგნოზირების პროცესში არაერთმა მეცნიერმა თუ პრაქტიკოსმა აღნიშნა. მაგალითად, ჩარლს ჩასე ხელმძღვანელობდა პროგნოზირების სამმართველოს კომპანიაში „Jonson & Jonson“; ამჟამად ბიზნესთან ურთიერთობის მენეჯერია SAS ინსტიტუტში. მისი შეფასებით, „პროგნოზირება მეცნიერებისა და ხელოვნების ნაკრებია. ბიზნესის მსგავსად, 20/80-ზე წესი მასზეც ვრცელდება. პროგნოზირების 80 პროცენტი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი კი შინაარსობრივი ანალიზის გზით მიმდინარეობს“<sup>21</sup>.

კოლაბორაციული პროგნოზირების და კავშირების გამოყენებისას საინტერესო საკითხია მიწოდების ჯაჭვის იმ მონაწილეების მიმართ მიდგომა, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას ინფორმაციის გაცემაში. თუ მწარმოებელი აწვდის თავის პროდუქციას ორ მომხმარებელს, რომელთაგან მხოლოდ ერთი აწვდის მას მონაცემებს, მაშინ რომელ მათგანს უნდა გაუზიაროს მწარმოებელმა პროგნოზირების შედეგები? ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მწარმოებლისათვის პრეფერენციული უნდა იყოს პირველ მომხმარებელზე პროდუქციის უპირატესი მიწოდება. ცხადია, ასეთი სიტუაციის დროს მეორე მომხმარებელმა მიწოდების უწყვეტობა შეიძლება გარკვეული რისკის ქვეშ დააყენოს. ამ პრობლემის მიმართ კომპანიებმა განსხვავებული მიდგომები განახორციელეს: მათმა ნაწილმა ფასების სტრუქტურირება მთელ მის მომხმარებლებზე გაავრცელა ხარჯების დაზოგვის მიზნით. სხვებმა პრეფერენციული მიწოდებისა და მოქნილი ფასების სისტემა გამოიყენეს იმ მომხმარებლების მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ

<sup>19</sup> J. Holton Wilson and Hugh G. Daubek, "Marketing Managers Evaluate Forecasting Methods," Journal of Business Forecasting 8, no. 1 (Spring 1989), p. 20.

<sup>20</sup> Vasche. "Forecasting Process," p. 12.

<sup>21</sup> Charles W. Chase, Jr., "Forecasting Consumer Products", Journal of Business Forecasting 10, no.1 (Spring 1991), p. 2.

ინფორმაციის გაცვლაში<sup>22</sup>. ორმხრივი თანამშრომლობის შემთხვევაში მხარეები ინფორმაციას კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით ცვლიან. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ დაცული იქნეს კონფიდენციალურობა. ამ მიზნით ყველა შესაძლო, მოსალოდნელი პრობლემა მხარეთა შორის ურთიერთმისაღები შეთანხმებით უნდა დარეგულირდეს.

*Gelashvili Simon*

## **STATISTICAL FORECASTING IN SUPPLY CHAIN MANAGEMENT SUMMARY**

The article discusses the role of statistical forecasting and the importance of supply chain management. For the knowledge of future needs the plans of serious companies are directly related to the prediction. Many companies use the collaborative forecasting system for improving the supply chain management. Each participant of the supply chain has access to forecasting indicators, which improves the possibility of optimal decision-making.

The article emphasizes that in modern business environment the availability of computer technology greatly simplified and expanded use of statistical forecasting methods. Microcomputers and computer technologies are available for all business entities that are interested in deployment of computer technologies in their activities. Based on the power of modern computers and appropriate software, processing of large databases is already available, which is an important precondition for the calculation of actual forecasts.

*რეზა გოგობია*

### **ეკონომიკური თეორიის როგორც მენეჯერების განვითარების საკითხისათვის**

ზოგადი ეკონომიკური თეორიის საგნისა და ამოცანების განსაზღვრა მეცნიერული დამუშავებისა და ემპირიული ადაპტაციის ახალ სტადიაშია.

XXს. 90-იან წლებამდე, როცა ეკონომიკური მსოფლმხედველობისა და აზროვნების სოციალიზმის სივრცეში ჭარბობდა მარქსისტული პოლიტეკონომია, მსოფლიო ეკონომიკური ლიტერატურა უმეტესწილად მიჩქმალული დარჩა, როგორც მარქსის სქემებთან არათავსებადი. ეკონომიკური აზროვნების ასეთმა სივრცობრივმა „დაშორიშორებამ“ განაპირობა ეკონომისტთა მეცნიერული მსჯელობა განსხვავებული ცნებებითა და ტერმინებით, ისეთი არარეალურიტაც კი, როგორცაა უშუალოდ საზოგადოებრივი შრომა, უშუალო საზოგადოებრივი პროდუქტი და სხვა მსგავსი.

მარქსისტული მიდგომით, პოლიტეკონომიის საგნის განმარტებაში აქცენტი კეთდებოდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კლასობრივი ხასიათის – საკუთრებით ურთიერთობებზე დაფუძნებულ წარმოებით ურთიერთობათა არსის გახსნასა და მისი როგორც საზოგადოების ეკონომიური ყოფის მამოძრავებლის დახასიათებაზე. ამით, არა თუ შეზღუდული იყო ეკონომიკური თეორიის საგნის არეალები, არამედ უგელეებელყოფილი იყო კაცობრიობის განვითარების ზოგადცივილიზაციური ფაქტორები, და შესაბამისად – გაყალბებული რეალური ეკონომიური გარემო. ყოველივე ამან, რკინის მარწუხებში მოაქცია ეკონომიკური თეორიის და მეურნეობრივი პრაქტიკის არეალები. ასეთ ვითარებაში, ობიექტური აუცილებლობით, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური

<sup>22</sup> Srinivasan Raughunathan, “Interorganizational Collaborative Forecasting and replenishment Systems and Supply Chain Implications,” Decision Sciences 30, no. 4 (Fall 1999), pp. 53-71.

თეორიის საგნის სიღრმისეულად და სივრცობრივად გაფართოების უაღრესად აქტუალური ამოცანა.

ამის გამოძახილი იყო სხვადასხვა ყაიდის „ეკონომიკის“, როგორც თითქოსდა ახლებული აზროვნების შედეგის გამოჩენა წიგნის ბაზარზე. ამით იწყება ეკონომიკური თეორიის გადართვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების კვლევიდან, „ნივთობრივ“ კავშირ-ურთიერთობათა კვლევაზე, ამა თუ იმ ალტერნატიული მიზნის მისაღწევად შეზღუდული ეკონომიკური რესურსების რაციონალური გამოყენების, ასევე ფორმაში წარმოებულ შრომის პროდუქტთა გასაღების ორგანიზაციის კვლევაზე და ა.შ.

საყურადღებოა ის აზრიც, რომ პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკი ერთიმეორეს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ, წყვეტენ რა საერთო და შედარებით დამოუკიდებელ ამოცანებს. ეკონომიკი ამუშავებს ვერსიებს, რომელშიც ჭარბობს აღწარმოებითი და რაოდენობრივ-ოპერაციული მიდგომები, ე.ი. აღწერს და ხსნის საგანს. ეკონომიკი ადამიანს აყენებს შემცნობელის, დამკვირვებლის და უშუალო შემქმნელის მდგომარეობაში. ეკონომიკი თავისებური ინჟინერიაა, რომელიც ემსახურება სამეურნეო და სოციალურ სამყაროს. თუმცა, მათემატიკურმა პრინციპებმა და ხერხებმა მისგან გამოდევნა სამეურნეო პროცესების ფილოსოფიურ-ეკონომიკური განსჯა და გააზრება, რაც „ეკონომიკების“ თუ „ეკონომიკის პრინციპების“ საერთო ნაკლია.

რაც შეეხება ეკონომიკურ თეორიას (პოლიტეკონომიას), მისი საფუძვლები ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში. თანამედროვე ეკონომიკური თეორიისათვის დამახასიათებელია ეკონომიკური სინამდვილის შემეცნების მეთოდებისა და ხერხების უწყვეტი სრულყოფა, რაც სავსებით კანონზომიერი პროცესია.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი მიმართულებებია:

**სოციალურ-ეკონომიკური სკოლა** – საკვლევი მოვლენებისა და პროცესებისადმი კლასობრივი მიდგომა, რომლის საფუძვლები შექმნა მარქსიზმმა და რომელიც სულ უფრო კარგავს აქტუალურობას;

**მარჟინალისტური სკოლა (ა. მარშალი და სხვები)**, რომლის ძირითადი კატეგორიებია ზღვრული სარგებლიანობა და ზღვრული მწარმოებლურობა, რაც გამოიყენება საბაზრო წონასწორობის მოდულების ასაგებად. მარჟინალიზმის თეორია, არსებითად ეკონომიკური თეორიის მიკროეკონომიკური მიმართულებაა;

**კეინზიანური სკოლა (ჯ.მ. კეინზი და სხვები)**, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის გაძლიერებაზე;

**ნეოკეინზიანური სკოლა (დ. რობინსონი, ე. დომარი, ლ. სამუელსონი და სხვ.)**, რომლის ძირითადი ფორმებია ადრეული ნეოკეინზიანელობა და პოსტკეინზიანელობა. ამ უაკანასკნელი მიმდინარეობის ამოცანაა კეინზის კონცეფციის „გაწმენდა“ სხვათა მინარევებისაგან და იმავდროულად მისი გათანამედროვეობა. ამასთან, ისინი იყენებენ სოციალურ-ეკონომიკური სკოლის იდეებსა და ინსტრუმენტებს;

**ნეოლიბერალური სკოლა (ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი და სხვ.)** – ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის კონცეფციითაა წარმოდგენილი. ამ თეორიის ამოსავალია მტკიცება იმისა, რომ ბაზარი მეურნეობის ყველაზე ეფექტიანი სისტემაა, რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნის ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობისთვის.

**მონეტარისტული სკოლა (მ. ფრიდმენი და სხვ.)**, რომლის ძირითადი იდეაა მეწარმეობის თავისუფლება და ფულის წამყვანი როლი წარმოების მოძრაობასა და განვითარებაში, ხოლო სახელმწიფო რეგულირება უნდა შემოსისაზღვროს ფულადი მიმოქცევის კონტროლით.

**ინსტიტუციონალიზმის ეკონომიკური თეორია (ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი და სხვ.)**, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუტების როლს

ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში და მწვავედ აკრიტიკებს საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების თეორიას. ეს თეორია სწავლობს ადამიანთა და მათი ინსტიტუტების ქცევას. ინსტიტუტი მიხნეულია საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალად. ინსტიტუციონალიზმის ძირითადი ნაირსახეობებია – სოციალურ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-სამართლებრივი და კონიუნქტურული ინსტიტუციონალიზმი.

XXს. შუა ხანებში დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებში წარმოჩინდა ეკონომიკური მეცნიერების ორი ძირითადი მიმართულების – ნეოკლასიკურის (ა. მარშალი, მ. ფრიდმენი, ჟ. რიუფი, კ. კლარკი, ა. ვებერი, ა. ფორსტმანი და სხვ) და კეინზიანელობის ერთ მიმართულებად დაახლოების ტენდენცია. კერძოდ, ლ სამუელსონმა შექმნა ახალი კონცეფცია „ნეოკლასიკური სინთეზის“ სახით, რომლის არსია ის, რომ კაპიტალიზმის მომავალი – შერეული ეკონომიკაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მონაწილეობას ბიზნესში. ეს, თავის მხრივ, ეკონომიკის კრიზისებისაგან, ინფლაციისა და სხვა უბედურებებისაგან დაცვის ეფექტიანი საშუალებაა.

ეკონომიკური თეორიის ყველა განხილული მიმდინარეობის მწვავე კრიტიკით გამორჩევა ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმდინარეობა (ჯ. გლბრეითი, რ. არონი, ფ. პერუ, ვ. იუჟმანი და სხვ.), რომელიც ეკონომიკას განხილავს როგორც სხვადასხვა ინსტიტუტის (საწარმოები, პროფკავშირები, სახელმწიფო) ურთიერთმოქმედების ერთობლიობად. მისი მიმდევრების აზრით, სუბიექტთა ქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ნორმებს, მორალურ-ეთიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა თავისებურებებს. ამ მიმდინარეობის როლის გაძლიერებაზე მიანიშნებს მოთხოვნები გაძლიერდეს ახალი მიდგომები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროში, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის გაზრდილი სოციალური მოთხოვნილებები, გამონახოს ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციონირების ახალი გზები და მიმართულებები.

აქვე, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიათა სიმრავლესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეკონომიკური სკოლა თუ მიმდინარეობა არ წარმოადგენს მონოლითურ მთლიანობას, თითოეული ტრანსფორმაციისა და ცვლილების პროცესშია, თითოეულის ინსტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, მეტ-ნაკლები ზომით ჩართულია სხვა სკოლები და შეხედულებები, ანუ ესა თუ ის ეკონომიკური სკოლა ვითარდება არა იზოლირებულად, არამედ თითოეულის განვითარებაში ჩართულია სხვა სკოლები და მიმდინარეობები, უფრო მეტიც, ზოგი სხვების ძლიერ გავლენას განიცდის. მაგალითად, კ. მარქსის ეკონომიკური თეორია განვითარდა სმითისა და დ. რიკარდოს კლასიკური თეორიებიდან, თუმცა, – მათი კრიტიკის საფუძველზე. არც ისაა გამორიცხული, რომ უარიყოფა ადრინდელი სკოლის ყველა ან თითქმის ყველა ამოსავალი წანამდღვარი. ამის კლასიკური მაგალითია ავსტრიული სკოლა, რომელიც განვითარდა როგორც გერმანულ ისტორიზმზე რეაქცია, ასევე ინსტიტუციური სკოლა აღმოცენდა XIXს. 70-იან წლებში – ამერიკული თეორეტიკოს-ნეოკლასიკოსების პიკში – კლასიკური სკოლის კრახის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა როგორც მემკვიდრეობითობას, ასევე წარსულთან კავშირის თითქმის გაწყვეტას. თუმცა, არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა აღმოჩნდება, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგარი ეკონომიკური თეორიების საფუძვლები საერთო დაშვებებია.

ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ თვით ერთი და იგივე მეცნიერული ეკონომიკური სკოლა არაერთგვაროვანია. მაგალითად, კლასიკურ სკოლაში შეიმჩნევა ღრმა განსხვავება სმითსა და რიკარდოს შეხედულებებში, ნეოკლასიკურში – ვალრასსა და მარშალს შორის, თანამედროვე პირობებში კი – კ. ეროუს, მ. ფრიდმანის, რ. ლუკასისა და პ. სამუელსონის „ორთოდოქსალურ“ ნაშრომებს შორის. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ეკონომიკური მეცნიერება არსებობს და ვითარდება სხვადასხვა კონკრეტულ-ეკონომიკურ სიტუაციებში – სხვადასხვა ტიპის ზეწოლის პირობებში. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ

ოდესმე ჩამოყალიბდეს თუნდაც ერთი წმინდა აბსტრაქტული, თეორიულად თანამდევრული და სრული მეცნიერულ-ეკონომიკური სისტემა. აქედან კი კიდევ ერთი ის მტკიცებულება გამოდის, რომ არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი აბსოლუტურად სწორი თეორიულ-ეკონომიკური პოსტულატი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის“ ი. შუმპეტერისეული ინტერპრეტაცია, რამაც ნამდვილი პოპულარობა ლუდვიგ ფონ მიზესის მეშვეობით შეიძინა, რომელმაც ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში – ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა აღნიშნული დოქტრინის ფუძემდებლური დებულებები. მისი აზრით, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპი იმ ფაქტის აღიარებაა, რომ „ყველა მოქმედება იწარმოება ინდივიდების მიერ“ და „კოლექტივი არ არსებობს ცალკეულ წევრთა საქმიანობის გარეშე“.<sup>23</sup>

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკური მეცნიერება გარკვეულ კრიზისს განიცდიდა: მან ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი რადიკალურად შეცვლილი სამეურნეო პოლიტიკის აქტუალურ მოთხოვნებს, ვერ შესთავაზა მეცნიერული პარადიგმები და ეფექტიანი რეკომენდაციები XX საუკუნის მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ეკონომიკური თეორია როგორც განვითარებადი მეცნიერება, გაივლის დაცემისა და აღმავლობის გარკვეულ სტადიებს, მაგრამ ის, რომ თანამედროვე ეკონომიკური აზრი არის სხვადასხვა მიმართულების, მიმდინარეობისა და სკოლების რთული და წინააღმდეგობრივი სისტემა, რომლებიც თავისებურად ხსნიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, გარკვეულწილად მიანიშნებს მის მეტ-ნაკლებად კრიზისულ მდგომარეობაზე.

მიუხედავად შეხედულებათა ასეთი განსხვავებისა, ეკონომიკური თეორიის მიმდინარეობათა უმეტესი წარმომადგენლებისათვის სადავოს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში, ეკონომიკური თეორია საერთო თეორიულ-მეთოდოლოგიური მეცნიერებაა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის საგანი და ანალიზის ობიექტი. ამ თვალსაზრისით, კრიტიკას იმსახურებს მკვლევარ-ეკონომისტთა ერთი ჯგუფის მიერ ეკონომიკური თეორიის კურსის საგნად მხოლოდ ბაზრის ანალიზისა და ფასწარმოქმნის კანონზომიერებათა შესწავლის მიჩნევა. იგივე შეიძლება ითქვას მკვლევართა იმ ჯგუფის შესახებ, რომლებიც, მართალია, მიანიშნებენ ეკონომიკური თეორიის უნივერსალურობაზე, მაგრამ მისი შესწავლის საგნად მიიჩნევენ ადამიანთა ყოველდღიური საქმიანი ცხოვრების, ფულის და საერთოდ საარსებო საშუალებათა მოპოვების შესწავლას. უმეტესობის აზრით, და ეს უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ეკონომიკური თეორია უნივერსალური მეცნიერებაა რესურსთა რაციონალური გამოყენებისა და ადამიანთა საქმიანობის არჩევანის შესახებ.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდამდე ეკონომიკის დინამიკისა და სტატიკის ანალიზისადმი ჩამოყალიბებული იყო ორი მიდგომა: აღწარმოებითი პროცესების ანალიზი და ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებათა კვლევა. აღწარმოებითი მიდგომა მიჩნეული იყო მარქსისტულად, ხოლო ეკონომიკური ზრდის ანალიზი – დასავლურ (ბურჟუაზიულ) მიდგომად. ეჭვს არ იწვევს ეკონომიკის ანალიზისადმი ასეთი დიფერენცირებული მიდგომა დღეისათვის მიუღებელია. მაგალითად, მას საფუძვლად უდევს სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის – მარქსისტულისა და ნეოკლასიკურის პოზიცია, მაგრამ მთავარია ის, რომ ეკონომიკურ გამოკვლევებში მათი ერთობლივად გამოყენება აუცილებელი და ეფექტიანია: ეკონომიკური ზრდის ამოსავალი და საფუძველი

<sup>23</sup> Мизес Л. Фон. Человеческая деятельность: Трактаг по экономической теории, М., 2000, с. 43.

აღწარმოებაა, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდა სხვა არაფერია, თუ არა აღწარმოებითი პროცესის უწყვეტი ციკლის რეალიზაციის შედეგი.

შეიძლება მოგვეყვანა ეკონომიკური თეორიის საგნის განმარტების სხვა ვარიანტებიც, მაგრამ მთავარია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ამ მეცნიერების საგნის ერთიანი, საერთოდ აღიარებული განმარტება.

შედარებით სრულყოფილად მიგვაჩნია, სხვადასხვა შეხედულების შეჯერება-დახვეწის საფუძველზე, ჩამოყალიბებული შემდეგი განმარტება: ეკონომიკური თეორია „სწავლობს, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის დოვლათზე მზარდ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შეზღუდული რესურსების ოპტიმალური არჩევანისა და ეფექტიანად გამოყენების გზებსა და მეთოდებს და ამ პროცესში ადამიანთა შორის ჩამყალიბებულ ურთიერთობებს“.<sup>24</sup> ეს ზოგადი გასაზღვრა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევისათვის როგორც მიკრო, ასევე მაკროდონეზე, თითოეული მათგანის ფუნქციონირება-განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით.

12,100 employers responded to survey in 2011, of which 2,140 who were actively recruiting MBAs and 9,960 recruiting undergraduates or master's students. This compares to the 2157 employers who responded as active MBA employers in 2010, and 760 in 2009. All employers that responded to the survey are guaranteed confidentiality for the components of their individual responses except for any openended feedback on the value of an MBA or concerns with MBA hires they have chosen to provide.

Responses were received from employers across the globe are described on the picture 1:



**Picture 1.** Active MBA employers across the globe

India was the largest single source of MBA employer respondents, followed by Mexico. This breadth of response provides detailed insights into MBA recruiting patterns across the globe. Consulting and professional services was the largest responding sector in 2011, reflecting the surge in demand in this sector. Banking and financial services was the second largest responding sector, followed by HR/recruitment services (often engaged in hiring for the banking and consulting sectors around the world). Manufacturing, IT, FMCG and energy were also extremely well represented in the sample.

### CONCLUSIONS

So, The MBA (Master of Business Administration) is a graduate management degree, which prepares professionals for management responsibility. It is one of the best-known degrees in the world, with more people taking it than any other postgraduate course. Deciding to take an MBA is a crucial step in an individual's career. The QS Global Employer Survey conducted by the QS Intelligence Unit, collects primary data on the state of the recruitment market and predictions of future trends from recruiters in general industry, consulting, financial services and technology. QS also provides career opportunities and networking facilities exclusively for member business schools. Over 100 business schools and 800 employers subscribe to QS Global-Workplace and QS TopMBA Careers.

*Olshantseva T.  
Britchenko Igor*

### BUSINESS EDUCATION IN A GLOBALIZED EDUCATIONAL MARKET SUMMARY

The article is devoted to the specific aspects of business education in a globalized educational market.

*სოლომონ პაველია შვილი*

### თანამედროვე გლობალიზაციის ზოგიერთი ასპექტი

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება ფაქტორთა მთელი კომპლექსით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ტრანსნაციონალურ კომპანიათა მასშტაბური ზრდა, საფინანსო სფეროს გლობალიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კომპონენტი მახასიათებელია ზოგადად გლობალიზაციის



პროცესისათვის, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე თითოეული მათგანის არათანაბარი განვითარება შეიმჩნევა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში აქტიურად დაიწყო მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკების ლიბერალიზაციაზე, მაგრამ პროცესის რეალური განხორციელება ძალზე რთული აღმოჩნდა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ იმ დროისათვის მართვის სოციალისტურ-ადმინისტრაციული წყობა მყარად იყო ფეხმოკიდებული. მსოფლიოს ჰქონდა გასული საუკუნის 30-იანი წლების აშშ-ს კრიზისის ისტორიული გამოცდილებაც, რომლიდანაც თავის დაღწევა სახელმწიფო რეგულაციებით და მკაცრი ეკონომიკური რეგლამენტაციებით იქნა შესაძლებელი, ანუ განხორციელდა კეინზის ეკონომიკური თეორიისა და ფრანკლინ რუზველტის სახელმწიფო გადაწყვეტილებების სინქრონიზაცია.

მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, მომხდარიყო ქვეყნების ეკონომიკების დაახლოება და კარგახსნილობა, დაწყებულიყო ლიბერალიზაციის პროცესი, გარკვეული ნაბიჯები ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იდგებოდა. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების სამი წლისთავზე, 1948 წელს 23-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი გენერალურ შეთანხმებას ვაჭრობის ტარიფების შესახებ (GATT). შემდგომ, 1960-1961 წლებში 39-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი დილონ-რაუნდის შეთანხმებას, 1963-1967 წლებში – 74-მა ქვეყანამ, ხოლო 1986-1993 წლებში – 125-მა ქვეყანამ. მაშინ გადაწყდა GATT-ის გარდაქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად, რომელიც დღეისათვის 157 ქვეყანას აერთიანებს. თუმცა, პირველ ეტაპზე სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ამ პროცესში თითქმის არ მონაწილეობდნენ.

დღეისათვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნებს შორის ვაჭრობის – ექსპორტ-იმპორტის ოპერაციათა ლიბერალიზაცია, სატარიფო ბარიერების მაქსიმალური შემცირება, დემპინგური ფასების არდაშეგება, საქონლის მიმოქცევის გამარტივებული პროცედურების უზრუნველყოფა და სხვა. თუმცა ეს უკანასკნელი უძღური აღმოჩნდა, როდესაც ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტი დაუშსახურებლად, პოლიტიკური მოტივაციის გამო აკრძალა რუსეთის ფედერაციამ. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, ჯერჯერობით ამ საკითხზე მისგან არანაირი მკვეთრი განცხადებები არ ისმის.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღევანდელ ეტაპზე, საბოლოო ჯამში, გლობალიზაციას ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ყველა ერთად ვართ მოწმე იმისა, თუ როგორ ცდილობენ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები, მიიღონ ერთიანი გადაწყვეტილებები, შეიმუშაონ ერთიანი მიდგომები (შეიძლება ეს ზოგიერთი ქვეყნისთვის არასახარბიელოც იყოს) კრიზისის დასაძლევად. “გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას. ეს შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი. ერთი შეხედვით, გლობალიზაცია სხვა არაფერია თუ არა ეკონომიკების ერთიანი სოციალური ორიენტაცია”<sup>69</sup>. თუმცა ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს ამერიკელ მეცნიერს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჯოზეფ სტიგლიცს, რომელიც თვლის, რომ “სწორედ გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკების ურთიერთგამჭობობა გახდა დამატებითი ფაქტორი კრიზისის გაღრმავებისა” და გვთავაზობს, რომ “ეროვნული და კერძო ფინანსური ინსტიტუტი გახდეს რაც შეიძლება გამჭვირვალე, დაცული იქნეს

<sup>69</sup> ს. პავლიაშვილი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გლობალიზაციის თავისებურებანი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 2012, 6-7 აპრილი. გვ. 41.

ერთიანი სტანდარტები ფინანსურ სექტორში და შეიქმნას ვალუტის ერთიანი მსოფლიო რეზერვები”<sup>70</sup>.

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დღემდე განვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო საქონლის შეტანის ტარიფები თითქმის 95%-ით არის შემცირებული. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს აისახა საერთაშორისო ვაჭრობაში. თუ გადავხედავთ მონაცემებს, მსოფლიო ექსპორტის ზრდის საშუალო წლიური ტემპი წინ უსწრებს მშპ-ს მატების ტემპებს. როგორც ცხრილიდან ჩანს, მსოფლიო ექსპორტის ზრდის საშუალო წლიური ტემპი თითქმის ყოველწლიურად იზრდება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს. ეს გამონაკლისი კი 2009 წელია, რომელიც გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით.

**ცხრილი 1. მსოფლიო ექსპორტისა და მშპ-ს მატების საშუალო წლიური ტემპები (%)<sup>71</sup>**

წლები	ექსპორტი (%)	მშპ (%)
1951-1960	6.0	4.2
1961-1970	8.1	4.8
1971-1980	2.7	3.9
1981-1995	2.6	2.7
1986-1990	6.2	3.6
1991-1995	6.3	3.2
1996	6.5	4
1997	10.1	4.2
1998	4.2	2.8
1999	5.3	3.5
2000	12.4	4.8
2001	14.7	5.7
2002	11.5	2.3
2003	12.8	2.7
2004	11.9	3.9
2005	10.3	3.1
2006	9.2	3.9
2007	6.8	3.8
2008	2.2	1.8
2009	-12.1	-2.4
2010	14.2	4.0
2011	4.9	2.5

ვაჭრობის ლიბერალიზაციამ და აქედან გამომდინარე გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებამ ხელი შეუწყო განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო ინტეგრაციას. ამის ნათელი მაგალითია ინდოეთი და ჩინეთი, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინ ძირითადად იმპორტიორი ქვეყანები იყვნენ, ხოლო მათ ექსპორტს ნედლეული და სასარგებლო წიაღისეული შეადგენდა. დღეისათვის ეს ქვეყნები იკავებს წამყვან ადგილს მსოფლიო ექსპორტის სივრცეში. მაგალითად დღესდღეობით ინდოეთს მეორე ადგილი უკავია ფოლადის წარმოებითა და ექსპორტით, რომლის მოცულობაც 10-15%-ით გაიზარდა მიმდინარე წელს, ხოლო საქონლის ხორცის ექსპორტით პირველ ადგილი (57 მილიონი ტონა წელიწადში).

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ნათლად დაგვანახა, რომ პირველ რიგში მას უფრო ფინანსური კრიზისის ხასიათი ჰქონდა, რომლის ერთ-ერთი მიზეზიც იყო იპოთეკური კრედიტების გაცემის გამარტივება, რამაც მიმოქცევაში დოლარის მასის

<sup>70</sup> Джозеф Стиглиц. «Рынок не справился». www.nftegaz.ru 10.07.2009.

<sup>71</sup> Темпы роста мирового валового продукта (Мировой ВВП), % к предыдущему году. <http://www.ereport.ru/graph/gdpworld.htm>; <http://lenta.ru/news/2012/04/12/wto/>

მკვეთრი ზრდა გამოიწვია, რასაც საბოლოოდ საბანკო სექტორის კრაზი მოჰყვა. ამავდროულად, ამ პროცესს თან სდევდა საფონდო ბირჟის კრიზისი, ფინანსური ინსტრუმენტების (ფიუჩერული გარიგებები, ოფციონი, სვოპი, ფორვარდი და სხვა) არასწორი გამოყენება<sup>72</sup>.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ფინანსურმა სფერომ დამოუკიდებელი მნიშვნელობა მოიპოვა. ის რეალური სექტორის თამნდვეი კი აღარ არის, არამედ ჩამოყალიბდა, როგორც ცალკე საფინანსო ნაკადების მიმოქცევის არეალი.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ჩამოყალიბდა ე.წ. ვირტუალური ეკონომიკა, იგი ვლინდება ინფორმაციული და ფინანსური სექტორების ინტენსიური ზრდით მთლიან შიდა პროდუქტში. ვირტუალიზაციის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია უნაღლო ელექტრონული ფულის ერთეულის წილის ამაღლება ფულის მასაში, როდესაც ფულის ნაკადების მოძრაობა ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, რის გამოც აღარ მოძრაობს ფულის რეალური მასა.

ფინანსურ გლობალიზაციას ხელი შეუწყო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებამ, რომლის მოცულობაც მკვეთრად გაიზარდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. მარტო 1986-1993 წლებში მისი მოცულობა (ნომინალის მიხედვით) გაიზარდა 618.8 მილიარდი დოლარიდან 7.8 ტრილიონ დოლარამდე, ე.ი 12,7-ჯერ<sup>73</sup>.

50 – 60-იან წლებში საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური ნაკადების მოცულობა შედარებით უმნიშვნელო იყო. ამის მიზეზს ისევ და ისევ გლობალიზაციური პროცესების შეფერხებითი განვითარება წარმოადგენდა. კაპიტალი უპირატესად ეროვნული ეკონომიკების ჩარჩოებს არ სცილდებოდა. საკრედიტო საპროცენტო განაკვეთი ქვეყნებს შორის მკაფიოდ განსხვავებული იყო, რაც განპირობებული იყო ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებლობის ხარისხით. ისინი ადვილად ზემოქმედებდნენ როგორც ფულის მასაზე, ასევე სავალუტო კურსზე. ფაქტობრივად თითოეულ ქვეყანას გააჩნდა ავტონომიური სავალუტო ბაზარი. ეს ცნობილი ბრეტონ-ვუდსის სისტემით იყო გათვალისწინებული. თუმცა არცთუ იშვიათად გამოითქმება ისეთი მოსაზრებაც, რომ ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები მათი ფუძემდებელთა ჩანაფიქრის მიხედვით არ ფუნქციონირებდნენ<sup>74</sup>.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, ეკონომიკის ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის გაღრმავების შედეგად, ფულის მიმოქცევის, ნაკადების რეგულირების სფერო ძირეულად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ, 1990 წელთან შედარებით 2007 წელს ევრობლიგაციების ემისიის წლიური მოცულობა თითქმის 18-ჯერ გაიზარდა.

საბანკო დაკრედიტების ხარისხი ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკური სექტორის რეალურ მოთხოვნასთან, ანუ ეკონომიკურ აქტივობასთან, მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფინანსური გლობალიზაცია და მისგან გამომდინარე ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც ვლინდება ფინანსური ნაკადების თავისუფალი გადაადგილებით, სხვადასხვა რეგულაციების, შეზღუდვების მოხსნის გზით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები ფინანსური ინსტიტუტების კოოპერაციითა და, ხშირ შემთხვევაში, მათი შერწყმით ქმნიან ერთიან ფინანსურ ბაზარს.

ჩვენი ქვეყნისთვის მთავარია, პირველ რიგში, სწორად განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ის ძირითადი ფაქტორები, რომლითაც შეგვეძლება ეროვნული ეკონომიკისა და გლობალიზაციის პროცესების ჰარმონიული განვითარება. მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონე, პოტენციალი და მასზე მოქმედი გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური

<sup>72</sup> S.Pavliashvili, The World Economic Crisis and Georgia. The Caucasus Globalization. v.5, issue 3-4, 2011, p.57.

<sup>73</sup> Джон Маринал Видул К. Бансал Финансовая инженерия. ИНФРА-М, М; 1998 ст.692-706.

<sup>74</sup> ვ. პაპავა. არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი 2011, გვ.336.

შედეგები. უნდა შევძლოთ მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების განმსაზღვრელ ქვეყნებთან (აშშ, იაპონია, ევროკავშირი) კოორდინირებული მუშაობა, მოვახდინოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული კრედიტების, გრანტების მაქსიმალური ტრანსფორმირება ეროვნული ეკონომიკისთვის. ეროვნული უსაფრთხოების და მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის პროგრამის, ღონისძიებათა ნუსხის რეალიზაცია და მათი მოყვანა თანამედროვე მსოფლიოს ადეკვატურ პროცესებთან. იმპორტ-ჩანაცვლებადი პროდუქციის მაქსიმალური დახმარება და ეროვნული წარმოების მხარდაჭერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციების ფარგლებში.

*Pavliashvili Solomon*

## **SOME ASPECTS OF MODERN GLOBALIZATION SUMMARY**

The article deals with the character and some features of modern globalization. There is shown its previous conditions as its historical process. There is also mentioned each trends of globalization such as transnational companies and the complete liberalization of commercial ties, Financial globalization etc. There is characterized the stable growth trends of the world economic relations and its stipulate conditions. In the article Globalization is shown as an attempt of economically powerful countries, care for the economic crisis, environmental problems, health care or economic, social and political problem solution. There is also discussed the positive and negative sides of globalization.

On the basis of the world experience there are given recommendations about Georgia's simultaneous adaptation in this process.

*ელადიმერ პაპავა*

### **სავალუტო კრიზისის პირობებში “სავალუტო ფარის” ძველითობა ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირებულ ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე)**

2008 წლიდან განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას სავალუტო კრიზისი წარმოადგენს. ამ პერიოდში განსაკუთრებით დაზარალებულნი იყვნენ ის ქვეყნები (განსაკუთრებით, ლატვია), რომლებიც “სავალუტო ფარის” მექანიზმს იყენებდნენ

“სავალუტო ფარი” (“Currency Board”)<sup>75</sup> ეროვნული ვალუტის ფიქსირებული გაცვლითი კურსით რომელიმე სტაბილურ უცხოურ ვალუტაზე მიბმია.

სავალუტო ფარის იდეა ცნობილ ამერიკელ სპეციალისტს სტივ ჰენქსს ეკუთვნის. ამ იდეის ერთ-ერთი გამორჩეული კრიტიკოსი ნობელის პრემიის ღაურეატი ეკონომიკის დარგში პოლ კრუგმანია. შედეგად, სავალუტო ფარის იდეის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის საკმაოდ საინტერესო დისკუსიას აქვს ადგილი.

სავალუტო ფარი, განმარტებიდან გამომდინარე, უცილობლად მოითხოვს, რომ ქვეყანას გააჩნდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა, რათა ფიქსირებული კურსით ვალუტების გაცვლითი ოპერაციები არ შეფერხდეს: როგორც წესი, სახელმწიფოს ხელთ არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები ემიტირებული ფულის 100 პროცენტზე მეტი უნდა იყოს, ამის მიღწევა კი უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინების

<sup>75</sup> ზოგჯერ ამ ტერმინს ინგლისურიდან თარგმნიან, როგორც “სავალუტო საბჭოს”, შეიძლება ითარგმნოს, როგორც “სავალუტო რეგულირებაც”, თუმცა ტერმინი “ფარი”, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად ასახავს მოვლენის არსს, ვიდრე სხვა ტერმინები.

შემთხვევაში შეიძლება. სავალუტო ფარის ინსტიტუტი წმინდა ეთიკური თვალსაზრისით მისასაღებელია, რადგან ის მოცემულ სფეროში სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებებს ზღუდავს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების გამო მეწარმეთათვის საგარეო ეკონომიკური ოპერაციები შედარებით ადვილად პროგნოზირებადია.

სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება გამორიცხავს ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობისათვის სესხის მიცემას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მთავრობამ უარი უნდა თქვას დეფიციტურ სახელმწიფო ბიუჯეტზე და ჰქონდეს მცირედი პროფიციტი მაინც, რათა შექმნას საგანგებო დანიშნულების ფონდები (მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდი) გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარ ვითარებაში კომერციული ბანკები ამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი უარს ამბობენ კვაზიფისკალური დეფიციტის პროექტებში მონაწილეობაზე, როცა სახელმწიფო იმპერატიულად სთხოვს მათ, დააკრედიტონ ეკონომიკურად არამიმზიდველი პროექტები (მაგალითად, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის დაკრედიტება რუსეთის მიერ შესაბამის პროდუქციაზე დაწესებული “საგაჭრო ემბარგოს” პირობებში).

სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება ცენტრალურ ბანკს, როგორც ასეთს, აზრს უკარგავს და, შედეგად, ის უქმდება.

სავალუტო ფარის მექანიზმის შემოღება, როგორც წესი, მიზანშეწონილია მაშინ, როცა ქვეყანაში ძალზე მაღალია ინფლაციის დონე, ანუ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას, რადგან ერთდროულად სტაბილური გაცვლითი კურსისა და პროფიციტული (ან არადეფიციტური მაინც) სახელმწიფო ბიუჯეტის ქონა მაროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ქმედითი ინსტრუმენტია. ეს კი პრაქტიკითაც დადასტურებულია, როცა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში 2 700 პროცენტს მიღწეული წლიური ინფლაცია სწორედ ამ მექანიზმით მოთოკეს; 1992-1995 წლებში ესტონეთში იმავე მექანიზმით წლიური 1 069 პროცენტიანი ინფლაცია 29 პროცენტზე დაიყვანეს, ხოლო ლიტვაში 1994 წელს წინა წელთან შედარებით 390,2 პროცენტიანი წლიური ინფლაცია 72 პროცენტამდე შემცირდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში ჰიპერინფლაცია მხოლოდ 1993-94 წლებში იყო, როცა თვიური ინფლაცია 50-70 პროცენტს შეადგენდა. აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ სავალუტო ფარი სულაც არ არის იმის გარანტი, რომ ღია ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნები (დღევანდელი საქართველო კი სწორედ ასეთია) დაიცვას სხვა ქვეყნებში მიმდინარე საფინანსო კრიზისისაგან, რადგანაც ამ შემთხვევაში სტიმული ეძლევა სპეკულაციურ ოპერაციებს. ამის თვალსაჩინო მაგალითი კი 1994 წელს მექსიკური პესოს დევალვაციაა, როცა უცხოური კაპიტალის გაქცევისაგან არგენტინა სავალუტო ფარმაც ვერ იხსნა.

თეორიდან ცნობილია, რომ სავალუტო ფარი, როგორც ინსტიტუტი, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე გარდამავალი პერიოდისათვისაა შესაფერი და, სწორედ ამის გამო, შეუძლებელია, რომ მთელ მსოფლიოში ერთდროულად იქნეს გამოყენებული. აქვე ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო ომის ფონზე, რაიმე გლობალური მასშტაბის შეთანხმება ერთ რომელიმე ვალუტასთან დაკავშირებით პრაქტიკულად ძნელად მისაღწევი იქნება.

კრიზისულ პერიოდში კი სავალუტო ფარის ინსტიტუტი უსუსურია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, როცა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ის ქვეყანა (ბელორუსია, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუსეთი და უკრაინა), რომელიც ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმს იყენებდა, ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა.

2007 წლის შემოდგომიდან სავალუტო ფარის შემოდგომის საკითხი საქართველოს წინაშეც დაისვა. ამ კონტექსტში აუცილებელია იმის შესვენება, რომ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა პოლანდიური დაავადებით იყო ინფიცირებული.

1959 წელს ჩრდილოეთის ზღვაში გაზის დიდი საბადო იქნა აღმოჩენილი, რამაც პოლანდიას საშუალება მისცა, მნიშვნელოვნად გაეზარდა გაზის ექსპორტი და ამით გაზრდილი სავალუტო შემოსავლები მიეღო. XX საუკუნის 70-იან წლებში უკვე შემდეგი სურათი გამოიკვეთა: უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინებამ ხელი კი შეუწყო ადგილობრივი ვალუტის გამყარებას (რევალვაციას), მაგრამ შედეგად, გაზის გარდა, სხვა პროდუქციის (კერძოდ კი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის) ექსპორტი გაძვირდა, ხოლო იმპორტი კი გაიადფა. გაზის გარდა, სხვა პროდუქციის ექსპორტი შემცირდა, რაც, მთლიანობაში, პოლანდიის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა. ამ ფენომენს, როცა უცხოური ვალუტის დიდი ოდენობის შემოდინების შედეგად მოცემული ქვეყნის ეროვნული ვალუტა მყარდება, რაც, საბოლოო ჯამში, ამუხრუჭებს ექსპორტს, სახელად “პოლანდიური დაავადება” (Dutch Disease) დაერქვა.

როცა ეროვნული ვალუტის გამყარებაზე საუბარი, ხაზგასასმელია, რომ პოლანდიური დაავადებით ინფიცირებისას მნიშვნელობა აქვს არა ნომინალური, არამედ რეალური გაცვლითი კურსის რევალვაციას.

პოლანდიური დაავადება, როგორც წესი, დამახასიათებელია ნავთობისა და გაზის ექსპორტიორი ქვეყნებისათვის. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამის არაერთი მაგალითია, თუნდაც რუსეთის ან აზერბაიჯანის სახით. თუმცა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა მიზეზითაა განპირობებული ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ზრდა, რის გამოც ეკონომიკა პოლანდიური დაავადებით ინფიცირდება.

იმისდა მიხედვით, თუ რა არის პოლანდიური დაავადების გამომწვევი მიზეზი ამა თუ იმ ქვეყანაში, მას პოლანდიურის ნაცვლად იმ ქვეყნის სახელსაც კი უწოდებენ. მაგალითად, თუ ამ დაავადების გამომწვევი არის მხოლოდ ნავთობი, მაშინ მას ინდონეზიურ, ნიგერიულ, მექსიკურ ან ვენესუელურს უწოდებენ, თუ დაავადების გამომწვევი ერთდროულად არის ბრინჯი, კაუჩუკი და კალა – მას ტაილანდურს ეძახიან, ერთდროულად კაუჩუკითა და კალით გამომწვეულს – მალაიზიურს, ერთდროულად ყავითა და შაქრით – ბრაზილიურს, მხოლოდ ყავით – კოლუმბიურს, ერთდროულად ყავით, კაკაოთი და მერქნით – კოტ დიუარიულს, მხოლოდ უცხოური დახმარებით – ბანგლადეშურს, ერთდროულად ტურიზმის, ფულადი გზავნილებისა და უცხოური დახმარებით – ეგვიპტურს, მხოლოდ ფულადი გზავნილებით – იორდანულს, მხოლოდ სპილენძით – ჰამბიურს ან ზაირიულს, მხოლოდ კაკაოთი – განურს და ერთდროულად ტურიზმითა და ყავით – კენიურს. მიუხედავად ამისა, დაავადების გამომწვევი ნებისმიერი მიზეზისას, საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი “პოლანდიური დაავადება”.

საყურადღებოა, რომ ის ქვეყნები, სადაც ნეკროეკონომიკა შედარებით ფარო მასშტაბითაა წარმოდგენილი, პოლანდიური დაავადებიდან ნაკლებად ზარალდებიან, რადგან ნეკროეკონომიკური საწარმოების შესაძლებლობა, საექსპორტო პროდუქცია აწარმოონ, ნულის ტოლია.

ცენტრალური ბანკი პოლანდიური დაავადების უარყოფითი შედეგების გასანეიტრალებლად ცდილობს, ქვეყანაში შემოსული მზარდი ოდენობის უცხოური ვალუტა შეისყიდოს (ეროვნული ვალუტის გაყიდვის ხარჯზე) და ამით სავალუტო ბაზარზე გაზარდოს ეროვნული ვალუტის და შეამციროს უცხოური ვალუტის ოდენობები. შედეგად, ცენტრალური ბანკი სავალუტო რეზერვებსაც ზრდის. ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ცენტრალური ბანკისათვის აუცილებლად

გასათვალისწინებელია ეროვნული ვალუტის გაყიდვით ბრუნვაში ფულის მასის ზრდის პარამეტრებიც, რათა ინფლაციის დონის არასასურველი ზრდა აიცილოს თავიდან.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკაც აღმოჩნდა ჰოლანდიური დაავადებით ინფიცირებული. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ვარდების რევოლუციის შედეგად გატარებულ ღონისძიებებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ კორუფციასთან ბრძოლის საბაბით არაერთი თანამდებობის პირი დააკავეს, რომლებმაც თავისუფლება შესაბამისი საფასურის გადახდით მიიღეს. ბუნებრივია, მათ თანხა დოლარებში ჰქონდათ გადანახული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთადერთი კანონიერი საგადასახდელი საშუალება ლარია, ამიტომ ბაზარზე დიდი ოდენობით დოლარი გადახურდავდა ლარში.

ვარდების რევოლუციით ხელისულებაში მოსულ მთავრობას აღმოაჩნდა იმის პოლიტიკური ნება, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში წესრიგი დაემყარებინა, რის შედეგადაც გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები, რაც იმას ნიშნავს, რომ გაიზარდა მოთხოვნა ლარზე. კერძოდ, თუ რევოლუციამდე საგადასახადო და საბაჟო სამსახურების თანამშრომლები ქრთამის სახით იღებდნენ აშშ დოლარებს, ხოლო გადასახადების არგადამხდელებიც არგადახდილ თანხებს იმავე ვალუტაში აგროვებდნენ, გადასახადების გადახდაში წესრიგის დამყარებამ ურჩი არგადამხდელები აიძულა, უცხოური ვალუტა ლარში გადაეხურდავებინათ საგადასახადო ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამის გარდა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხრიდან თანხების გადმორიცხვის მასშტაბიც გაიზარდა: 2000 და 2006 წლების მონაცემებს თუ შევადარებთ, მარტო საბანკო არხებით ფულადი გზავნილების მოცულობა 5-ჯერ არის გაზრდილი. რამდენი შემოდის საბანკო არხების მიღმა, ამის გაკონტროლება კი შეუძლებელია: სავარაუდოდ, ასეთი გზავნილების მოცულობაც მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

ვარდების რევოლუციამ საქართველოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი მოუტანა, რამაც პრივატიზაცია მიმზიდველი გახადა. ინვესტორებს უმთავრესად აშშ დოლარი (ნაკლებად ევრო) შემოაქვთ, მაგრამ რადგანაც ქვეყანაში კანონიერი საგადასახდელი საშუალება ლარია, ეს დოლარებიც ლარში გადაიცვლება. უცხოური კაპიტალი საქართველოში პრივატიზაციის გარეშეც შემოდის, როცა საქართველოს რეზიდენტისაგან ყიდულობენ კერძო საკუთრებას. ამ ყველაფერმა 2004-2008 წლებში აშშ დოლარის მასის ზრდა და მისი გაუფასურება, ხოლო ლარის გამყარება გამოიწვია.

მაშასადამე, საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევი მიზეზები იყო ანტიკორუფციული ღონისძიებები, ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. სხვა სიტყვებით, ამ სამი ფაქტორით გამოწვეულ დაავადებას, ისე, როგორც ეს ხდება სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, პირობითად **“ქართული დაავადება”** შეიძლება ეწოდოს.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევ მიზეზებს აშკარად არ გააჩნდა სტაბილური ხასიათი. კერძოდ, კორუფციის მასშტაბების შემცირების კვალობაზე, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის მუდმივი ზრდის მასტიმულირებელი ფუნქცია ვეღარ ექნებოდა; რაც შეეხება ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, როგორც წესი, თანდათანობით სუსტდება, ხოლო თუნდაც რეგიონული (რომ არაფერი ვთქვათ გლობალური) ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში მათი მოცულობა არსებითად ეცემა. საქართველოში სიტუაცია სწორედ ამ სცენარით წარიმართა და ქვეყანა 2008 წელს განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად ჰოლანდიური დაავადებისაგან საკმაოდ სწრაფად “განიკურნა”.

ჰოლანდიური დაავადება ერთი მხრივ სავალუტო ფარის რეჟიმის ამოქმედებას უწყობს ხელს, რადგან უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება ზრდის სახელმწიფოს ხელთ არსებულ სავალუტო რეზერვებს. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტურობა არა მარტო შეუძლებელს ხდის სავალუტო ფარის შემოღებას, არამედ ჰოლანდიური დაავადების გამწვავებასაც უწყობს ხელს. და თუ სავალუტო ფარს მაინც შემოვიღებდით, მაშინ, ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში, ლარის სულ უფრო მეტი ოდენობით ემისია იქნებოდა საჭირო, რაც ინფლაციას კიდევ უფრო გააღრმავებდა.

სავალუტო ფარის რომელიმე აპოლოგეტმა შესაძლოა იმის მტკიცებაც კი დაიწყო, რომ სწორედ ამ ინსტიტუტის შემოღება შეიძლება გახდეს ის იძულების მექანიზმი, როცა მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩება, რომ დეფიციტურიდან პროფიციტულ ბიუჯეტზე გადავიდეს. ეს კი ნაკლებად სავარაუდოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობას უახლოეს მომავალშიც დასჭირდება უცხოური დახმარების მიღება.

თავიდანვე ნათელი იყო რომ, თუ ჰოლანდიური დაავადების ზემოხსენებული მიზეზები შესუსტდებოდა ან საერთოდ გაქრებოდა, მაშინ საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალისა და რუსეთის მიერ დაწესებული “სავაჭრო ემბარგოს” გათვალისწინებით, ხსენებული სავალუტო რეზერვი მყისიერად შემცირდებოდა, რაც მძიმე ფინანსური კრიზისის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. მხედველობაში აუცილებლადაა მისაღები, რომ საქართველოში ჰოლანდიური დაავადების გამომწვევ მიზეზებს სტაბილური ხასიათი არ ჰქონდა და მათი მნიშვნელობა, 2008 წლიდან მოყოლებული, იმდენად შესუსტდა, რომ ქვეყანა ამ დაავადებისაგან მყისიერად “განიკურნა” კიდევ.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ არასტაბილური ხასიათის მქონე მიზეზებით გამოწვეული ჰოლანდიური დაავადების იმედოდ საქართველოში სავალუტო ფარის შემოღება უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

*Papava Vladimer*

**ON THE EFFECTIVENESS OF THE “CURRENCY BOARD” DURING THE CURRENCY CRISIS  
IN THE ECONOMY INFECTED WITH THE DUTCH DISEASE: CASE OF GEORGIA  
SUMMARY**

The essence of the Currency Board is to anchor a national currency at a fixed rate to a stable foreign currency or a currency basket and carry out the conversion with that specific currency or one of the basket currencies without any restrictions in an automatic regime.

After the Rose Revolution, Georgia contracted the Dutch Disease. This created the tendency of strengthening the national currency, the lari, which, first and foremost, had an adverse effect upon the current account balance. Amongst the causes of this disease, those worth noting are the establishment of the fiscal order in the country (especially at the customs) where importers pay the state taxes in lari out of previously hidden and accumulated revenues in US dollars and a large-scale privatization implemented with the participation of foreign capital and foreign direct investments. In order to carry out these transactions inside the country, foreign investors have to convert US dollars into the national currency. Georgian labor migrants' remittances (usually in US which is converted into lari to cover current costs) is another factor which facilitates the appreciation of the lari.

It is well known that the Currency Board is a rather inflexible mechanism against a real appreciation of a national currency of any particular state. It was also one of the reasons that this mechanism was not applied in the past in Georgia since it was expected that the financial stabilization would be followed by a real appreciation of the lari, which, in fact, happened on a certain scale but that was not a result of the Dutch Disease.



In order to impede the process of appreciation of the lari caused by the Dutch Disease, the National Bank of Georgia permanently purchased US dollars flowing into the country.

Large inflows of foreign currency, accompanied by the Dutch Disease, create, at a glance, a prerequisite for introducing the Currency Board regime as the large inflows of foreign currency lead to the increase in foreign currency reserves of the state. The deficit in the national budget, however, makes it not only impossible to introduce the Currency Board but also contributes to the aggravation of the Dutch Disease. If the Currency Board is nonetheless introduced, it will be necessary, given the fixed exchange rate, to emit increasingly more currency which will further accelerate the inflation.

After the global financial crisis of 2008 the abovementioned causes of the Dutch Disease in Georgia become weaker. In a such situation the Currency Board can provoke a deep currency crisis.

### *ავთანდილ სულაბერიძე*

#### **ოჯახის ტრანსფორმაციის პრობლემები საქართველოში**

თანამედროვე ეტაპზე ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც საზოგადოებრივ ფასეულობათა სისტემაში ფორმირებული ინდივიდუალური ორიენტაციის შესაბამისი ქცევის ახალი სოციალურ-დემოგრაფიული ფასეულობათა და ნორმების ჩამოყალიბება ოჯახში. გასული საუკუნის 70-იან წლებში ევროპაში სოციოლოგებმა და დემოგრაფებმა თანამედროვე ოჯახის მოდერნიზაციის ოთხი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი გამოყვეს: 1. იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლივი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება; 2. ოჯახის ბავშვთა ცენტრული მოდელიდან შვილზე ინდივიდუალურად ორიენტირებულ პარტნიორულ წყვილზე გადასვლა; 3. შვილიანობის შეცნობილ გეგმიანობაზე გადასვლა; 4. ოჯახის ტრადიციული მოდელიდან დემოკრატიულ-პლურალისტურმოდელზე გადასვლა. ზოგიერთი დემოგრაფი მომავალში ოჯახის ინსტიტუტის გაქრობასაც კი ვარაუდობდა.

თუ ამ ნიშნებს საქართველოში განვიხილავთ, მეორე და მესამე ნიშანი ქართულ ოჯახში ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან აღინიშნება, რაც საზოგადოებაში დასავლური სოციალურ-ეკონომიკური ქცევის ფარულ გავრცელებას მოჰყვება. პირველი და მეოთხე ნიშანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოფიციალურად არაღიარებულ ჯვრისწერას, ცალკეული შემთხვევების სახით, ძირითადად 2000 წლიდან აღინიშნება.

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ოჯახის მოდერნიზაციაზე ფუნდამენტურ (განვითარების ობიექტური კანონზომიერებები) ფაქტორებთან შედარებით, არსებითი გავლენა ლოკალურმა სპეციფიკურმა ფაქტორებმა იქონია (ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა და სხვ.). ევროპის ქვეყნებში მოქმედი ფუნდამენტური ფაქტორები საქართველოში განსხვავებულია წარმომავლობით, მოქმედების ძალით, ხანგრძლივობით და სოციალური შედეგებით. საქართველოს საზოგადოება და ოჯახი კი მოუძზადებელი შეხვდა ობიექტურობით განპირობებული ქვეყნის როგორც სხვა, ისე სოციალურ-დემოგრაფიულ მოდერნიზაციას.

აღნიშნული არსებითად განაპირობა 1990-იან წლებში განვითარებულმა ცნობილმა პოლიტიკურმა და სოციოლურ-ეკონომიკურმა ქაოსმა. ამ პერიოდში საქართველოში დაირღვა მოსახლეობის აღწარმოების ევოლუციური პროცესი. კერძოდ, დაჩქარდა მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპიდან მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე გადასვლის გარდამავალი ეტაპი. ამ თვალსაზრისით, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ცივილიზებული ტიპისთვის

დამახასიათებელი დეპოპულაციის პროცესი შობადობის და ჩვილთა მოკვდაობის დაბალი დონის პირობებში მიმდინარეობს, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა განაპირობებს მოკვდაობის მაღალ დონეს, ანუ, გარდაცვლილთა უმეტესობა, მოსახლეობის დაბერების შედეგად, მაღალ ასაკობრივ ჯგუფებზე მოდის. საქართველოში კი, გარდა ჩვილთა მაღალი მოკვდაობისა, გარდაცვლილთა საკმაოდ დიდი ნაწილი შრომისუნარიან ასაკზე მოდის, მამაკაცთა მოკვდაობა ამ ასაკებში საშუალოდ 2,8-ჯერ აღემატება ქალებისას, რის შედეგადაც მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 8-9 წლით ჩამორჩება ქალთა ანალოგიურ მაჩვენებელს.

გარდამავალი ეტაპის მოსამზადებლად ქვეყანაში არ გატარებულა არავითარი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს. ამიტომ, ოჯახის მოდერნიზაცია 2000 წლამდე უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე ევოლუციური. თუ 2000 წლამდე ქართული ოჯახის ძირითად ფუნქციებზე (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სულიერი და სხვა), ფუნდამენტურ ფაქტორებთან შედარებით, უფრო მეტი გავლენა სპეციფიკურმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა იქონია, 2000 წლის შემდეგ, სპეციფიკურთან შედარებით, უფრო მეტად გამოიკვეთა ფუნდამენტურ ფაქტორთა მოქმედების ძალა.

თუ განვითარებულ ქვეყნებში იზრდება მარტივ და მცირდება რთულ ოჯახთა წილი, საქართველოსთვის სხვა ტენდენციაა დამახასიათებელი. თუ 1970-1989 წწ. ოჯახის სიდიდეზე მოქმედებდა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) ახალგაზრდული ქორწინებების მნიშვნელოვანი ზრდა; ბ) ნუკლეარიზაცია; გ) შობადობის შემცირება და მცირეშვილიან ოჯახთა გავრცელება, 1990 წლიდან ვითარება შეიცვალა.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, 1989-2002 წწ. ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა 4,1-დან 3,5 სულამდე შემცირდა.

ის, რომ ახალგაზრდა ოჯახების ცალკე გამოყოფის შედეგად (ნუკლეარიზაცია) განხორციელებულიყო პროგრესულ მოვლენად ჩაითვლებოდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო. 2002 წლისათვის, მარტოხელები თითქმის გაუთანაბრდნენ 2 და 3 წევრიან, ხოლო 6 და მეტწევრიან ოჯახებს კი 2-3-ჯერ გადააჭარბეს. აღნიშნული გამოწვეულია: დაქვრივების მაღალი დონით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად, ქვეყნისათვის მანადმე უცნობი, ფორმირებული დევნილი ოჯახების წარმოქმნით, მაღალი ემიგრაციული პროცესებით, 30 წლის ზემო ასაკში დასაქორწინებულთა მაღალი წილით (ოჯახთა საერთო რაოდენობის 16,1%) და სხვ.

**ცხრილი 1. საქართველოს ოჯახების განაწილება ოჯახის წევრთა რიცხოვნობის მიხედვით (%-ით) 1970-2002 წწ. (მოსახლეობის აღწერების მიხედვით)**

წლები	ოჯახები სულ (%)	მ.შ. ოჯახი შედგება							
		1 წევრისაგან	2 წევრისაგან	3 წევრისაგან	4 წევრისაგან	5 წევრისაგან	6 წევრისაგან	7 და მეტი წევრისაგან	ოჯახის საშუალო სიდიდე
1979	100.0	-	21.1	19.9	25.0	16.7	9.8	7.5	4.0
1989	100.0	-	21.3	19.5	25.2	16.1	9.8	8.0	4.1
2002	100.0	16.1	17.4	17.0	21.6	13.8	8.3	5.2	3.5

ოჯახის დემოგრაფიულ ტიპს ძირითადად განსაზღვრავს „ოჯახის ბირთვი,“ რომელიც შეიძლება იყოს სრული და შედგებოდეს დაქორწინებული წყვილისაგან შეილებით ან უშვილებოდ და არასრული, რომელშიც მხოლოდ დედაა (მამაა) შეილებით. ასეთი ტიპოლოგია საშუალებას იძლევა, გამოვეყოთ ოჯახი საოჯახო ბირთვით და საოჯახო

ბირთვის გარეშე. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ყველა აღწერის დროს თანდათან სრულყოფილი ხდებოდა ოჯახის ტიპოლოგია, რაც ოჯახის პრობლემათა შესწავლაში არსებით როლს თამაშობდა. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერისას გამოიყო 17 ტიპი.

ოჯახის ცვლილების ტენდენციის დინამიკაში შესწავლის მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ უფრო გამსხვილებული სპეციფიკური ტიპოლოგია, რომელიც, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა და ნაკლისა, საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ 1970-2002 წწ. აღწერებს შორის პერიოდში ოჯახების ტიპთა ცვლილების დინამიკა.

**ცხრილი 2. მოცემული ტიპის ოჯახთა წილი ოჯახთა საერთო რაოდენობაში 1970-2002 წწ. (%)**

წლები	ტიპი I	ტიპი II	ტიპი III	ტიპი IV	ტიპი V	ტიპი VI
1970	56,3	22,3	10,1	6,6	3,0	1,7
1979	57,2	17,4	8,9	10,4	1,7	4,4
1989	51,5	18,1	12,6	11,1	2,0	4,7
2002	41,5	11,8	9,8	10,0	2,4	2,3

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 1970-2002 წწ. რთული, სრული ოჯახების ხვედრითი წილის შემცირების (ტიპი V) ფონზე, უარყოფით ტენდენციად წარმოგვიდგება მარტივი არასრული ოჯახების (ტიპი IV) წილის ზრდა. ასეთი ოჯახები, როგორც წესი, სრულ ოჯახში განქორწინების ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შედეგია. მათი გარკვეული ნაწილი იქმნება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის და ერთ-ერთი ცალკე მცხოვრები შვილის გაერთიანებით, ასევე, მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შედეგად.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ყველა ოჯახთა შორის უმრავლესობას შეადგენს ოჯახები საქორწინო წყვილებით, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ოჯახის უპირატესი ტიპი, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული იყო და არის ჩვენს ქვეყანაში, არის მარტივი ოჯახი, რომელიც შედგება ცოლქმრული წყვილის შვილებით ან უშვილო ცოლქმრული წყვილისაგან (ტიპი I).

**ცხრილი 3. ოჯახთა ხვედრითი წილი „საოჯახო ბირთვით“ და დაქორწინებული წყვილით ოჯახთა საერთო რაოდენობაში 1970-2002 წწ. (%)**

	ოჯახები „საოჯახო ბირთვით“ ყოველ 100 ოჯახზე				ოჯახები დაქორწინებული წყვილით ყოველ 100 ოჯახზე			
	1970	1979	1989	2002	1970	1979	1989	2002
საქართველო	97,1	95,6	95,3	94,8	83,6	83,6	82,1	81,4

მოსახლეობის აღწერის მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1970-2002 წწ. საქართველოში, მიუხედავად “საოჯახო ბირთვით” ოჯახების ხვედრითი წილის 2,3%-ით შემცირებისა, 2002 წლისათვის უმრავლესობას მაინც ისინი შეადგენენ.

ოჯახის მოდერნიზაცია უწინარესად მის ფორმირებაში, კერძოდ, ქორწინებით ქცევაში აისახა. კერძოდ, გაიზარდა პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკი. თუ 1990-2010 წწ. ქალისთვის იგი 23,7-დან 25,8 წლამდე, მამაკაცისათვის 27,0-დან 29,5 წლამდე გაიზარდა. საქართველოსთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ქორწინებითი ქცევის ევროპული ტიპი, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ფუნდამენტური (ქალთა ემანსიპაცია, განათლებისკენ სწრაფვა, კარიერაში და ა.შ.), მეორე მხრივ, სპეციფიკური (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური, საბინაო, ემიგრაციული, უმუშევრობის და სხვა პრობლემებით გამოწვეული ქორწინებათა გადაადგება) ფაქტორებით. გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, 1992-2003 წლები ქორწინებათა რაოდენობის შემცირების პერიოდია, 2003

წლიდან ქორწინება საქართველოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება 2003–2010 წლებში 12,7-დან 34,7-მდე, ანუ 3,2-დან 9,2 პრომილამდე, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

ქორწინებითი ქცევის ცვლილების ერთ-ერთი ნიშანია საშუალო ასაკის ზრდა პირველი ქორწინებისას. 1990 წელს საპატარძლოების ასაკი 23,7 წელს, 2010 წელს კი – 25,6 წელს შეადგენდა. ამავე პერიოდში 2,3 წლით გაიზარდა საქმროების საშუალო ასაკი – 27,0-დან 29,3 წლამდე.

ეს ოჯახის ტრანსფორმაციის დაწყების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, ოჯახის შექმნის გადაგადებას ის პირები ახდენენ, რომლებიც მისი შექმნის ტრადიციულ ხერხებს უჭერენ მხარს. მათთვის ოჯახის შექმნა ქორწინების ოფიციალურად რეგისტრაციას გულისხმობს. საერთოდ ქართველებისათვის გვიანი ქორწინებები არა მარტო ამჟამად, არამედ ორი ათეული წლის წინათაც იყო დამახასიათებელი. მე-20 საუკუნის 70-იან წლებშიც კი ქართველი ქალების საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას საგრძობლად აღემატებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ყოველ 20-25 წელიწადში გარკვეულწილად იმეორებს დემოგრაფიული განვითარების იმ გზას, რომელიც ევროპამ გაიარა. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2020-2025 წლისათვის საშუალო ასაკი პირველი ქორწინებისას მიაღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებშია.

გაიზარდა განქორწინების მაჩვენებელი, რომელმაც 2010 წელს 1992 წლის დონეს გადააჭარბა და 1,1% შეადგინა. 2000-2010 წწ. განქორწინებულთა რაოდენობა 1854-დან 4726-მდე, ანუ 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. ამ ფონზე 2010 წელს განქორწინებულ მამაკაცთა საშუალო ასაკმა 39,3, ხოლო ქალების 36,1 წელი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია. საინტერესოა, რომ 1990-იან წლებთან შედარებით გაიზარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში 20 წელზე მეტი ხანგრძლივობით მყოფთა განქორწინების მაჩვენებელი და 2010 წლისათვის 22,1% შეადგინა. მისგან განსხვავებით, წინა წელთან შედარებით 4%-მდე შემცირდა 1 წლამდე ქორწინებაში მყოფთა განქორწინების დონე. საერთოდ, 2000-2010 წწ. განქორწინებულთა ქორწინებაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა 11-12 წლების ფარგლებში ვარირებს, რაც 1990-იან წლებთან შედარებით გაზრდილია.

ოფიციალურ ქორწინებათა რიცხვის შემცირება გარკვეულწილად კომპენსირდება არარეგისტრირებული კავშირებით და ჯვრისწერით. ამას ადასტურებს ოფიციალური ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილის ზრდა, რაც 1990-2006 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად 18,2-დან 54,4%-მდე გაიზარდა, თუმცა 2010 წლისთვის იგი 36,6 %-მდე დაეცა. რამდენადაც ჯვრისწერა სამოქალაქო ქორწინებასთან არ არის გათანაბრებული, ამიტომ, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 2010 წელს ნაცვლად 36,6%-სა რეალურად 4,0%-ია. შეფასების ამავე მეთოდით 2010 წელს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა 20 წლამდე ასაკის დედებში ნაცვლად 53,1%-ისა, შეადგენს 5,1%-ს, ხოლო 20-24 წლების ასაკის დედებში ნაცვლად 34,4%-სა, 3,4%-ს, ანუ რეალურად 10-ჯერ დაბალია.

2006 წელს თბილისში ჩატარებული დემოსოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით ქორწინების გარეშე შობადობას ყოველმხრივ გამართლებულად თვლის სტუდენტთა 12,1 %, ასევე გამართლებულად თვლის მას ერის გამრავლების მიზნით 17,1 %. გამოკითხულ რესპონდენტთა 30,0% კი, ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას გაუმართლებლად მიიჩნევენ ახალგაზრდა ასაკში და გამართლებულად მაღალ ასაკში, ხოლო ზნეობრივად გაუმართლებლად 42,8%. საინტერესოა რესპონდენტთა პასუხები სქესის მიხედვით. ვაჟთა უმრავლესობა უფრო ლიბერალურად არის განწყობილი ქორწინების გარეშე შობადობის

საკითხისადმი. ამ გამოკითხვის მონაცემებს პროგნოზული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მომავალში ქორწინებისგარეშე შობადობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს სწორედ ახალგაზრდების ამგვარი დამოკიდებულების გამო (ახალი გამოკვლევის ჩატარება საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ამჟამად საქართველოში).

ახალგაზრდობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქორწინების იურიდიულად რეგისტრაციას და დიდ ყურადღებას – რელიგიურ ქორწინებას. თუმცა ქორწინების იურიდიულად რეგისტრაციას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ახალგაზრდების 87,9 % მას არ თვლის მოძველებულად, განსაკუთრებით გოგონები – 94,0 % (თუმცა სტუდენტთა 12,1 %, რომელიც მას მოძველებულად თვლის, არცთუ ისე მცირე სიდიდეა). ასევე დადებითია სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიური ქორწინებისადმი. ახალგაზრდობის 93,8 % რელიგიურ ქორწინებას არ თვლის მოძველებულად. აქაც ისევ გოგონების წილია მეტი (98,4 %). რესპონდენტთა 69,3%-ს მიაჩნია, რომ სადღეისოდ საჭიროა ქორწინების ორივე ფორმა ერთად – როგორც იურიდიულად რეგისტრირებული, ასევე საეკლესიო.

1990-იანი წლების შუა ხანებიდან გაიზარდა ოჯახის ინსტიტუტზე ახალი ფაქტორების ზემოქმედება. უმუშევრობის ზრდამ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებმა არალეგალური შრომითი მიგრაციის უზარმაზარი ნაკადები წარმოქმნა. ინტენსიურ ემიგრაციულ პროცესებში უმთავრესად 16-49 წლის დასაქორწინებელი და გასათხოვარი ადამიანები მონაწილეობენ. გასაგებია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც საზღვარგარეთ არსებობის საშუალებებს ეძებენ, ოჯახებს იშვიათად ქმნიან და ასევე იშვიათად აჩენენ შვილებს. გარდა ამისა, ემიგრანტები დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ცხოვრების სტილის, ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის, ფასეულობების შესახებ ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენენ. ეს გარემოება საქართველოში დასავლეთის ქორწინებითი ქცევის მიბაძვასა და გავრცელებას უწყობს ხელს, რის შედეგადაც ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა დასავლეთის ფასეულობებს ითვისებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს, ისევე, როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას, საზღვრები გაეხსნა და შესაბამისად იაფფასიანი კულტურის გავლენისაგან დაუცველი გახდა. იზოლაციაგადატანილი ქვეყანა ადვილად ითვისებს ევროპის ქვეყნების როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ, სულიერ ფასეულობებს და ქცევის ნორმებს, მათ შორის, ქორწინებით ქცევას. აღნიშნული გარემოება ჩვენს ქვეყანაში ოჯახის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ფაქტორია.

ყველა ფაქტორი, რომელიც მატრომონიალურ ქცევაზე გავლენას ახდენს (საბაზრო ურთიერთობები, სოციალური ტრანსფორმაცია, ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობა, ცხოვრების პირობებისა და სტილის, ფასეულობების, ნორმების, ქცევის შეცვლა), მრავალმხრივად გადაიკვეთებიან და მათგან უფრო გადამწყვეტი ხდება ოჯახის ტრანსფორმაციის არა სპეციფიკური, არამედ ფუნდამენტური ფაქტორები: ინდივიდუალიზმი, ემანსიპაცია, ინდივიდის თავისუფლება და სხვ.

სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში სწრაფმა და არსებითმა ცვლილებებმა ოჯახის ტრანსფორმაცია განაპირობა. მისი ტრადიციული ნიშნები ნელ-ნელა ქრება და ახალ თაობაში წინანდელისგან განსხვავებული ნიშან-თვისებები ფუძნდება. მოსაზრება ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის თანდათან გაქრობის თაობაზე, საქართველოზე ნაკლებ რეალურია. ქორწინებითი ქცევის უარყოფით ტენდენციებზე საზოგადოება საკმაოდ მკვეთრად რეაგირებს და დამოკიდებულება ოჯახის ინსტიტუტთან მიმართებაში დადებითია. მიუხედავად ევროპული ორიენტაციის ოჯახის ტიპის

თანდათანობით გავრცელებისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ორიენტაცია ტრადიციულ ოჯახზე.

2006 წლის გამოკვლევის თანახმად, ახალგაზრდებში, სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, ოჯახის როლი ძალზე დიდია. გოგონების 95,4, ხოლო ვაჟების 93,3% მიიჩნევენ, რომ მათ პიროვნებად ფორმირებაში ოჯახის როლი განსაკუთრებით მაღალია. 60,6% ყველაზე უკეთ ოჯახში გრძნობს თავს, მათგან 81% ენდობა მშობლებს და ა.შ.

*Sulaberidze Avtandil*

## **FAMILY TRANSFORMATION PROBLEMS IN GEORGIA SUMMARY**

In Georgia with comparison to other countries family modernization, relative to fundamental factors, was influenced essentially by local specific factors which as compared with European countries are different in their origin, by strength of action, length and social consequences.

In 1989-2002 the average number of family members decreased from 4.1 to 3.5 people. If it was as a result of family separation and not the increase of the lonely then it could be considered as a progressive phenomenon, but for 2002 the number of the lonely was almost equal to the number of families with 2 and 3 members and exceeded 2-3 times the number of families with 6 and more members.

The population census materials showed that in 1970-2002 in Georgia despite the decrease of “nuclear family” shares by 2.3%, in 2002 they were still the majority.

One of the signs of the transformation of family formation is the increase of the median age at first marriage that in 1990-2010 for females increased from 23.7 to 25.6 years and for males – from 27.0 and 29.3 years.

In 2000-2010 the rate of divorce increased 2 times and more. At that, the median age of males divorce was 39.3 and female divorce – 36.1 years. The median length of marriage for divorcees is 11-12 years and it increased compared with the 1990s.

In 1990-2010 an out-of-wedlock birth increased also from 18.2% to 36.6%. However, because the religious wedding is not equal to civil marriage, in fact it is 4.0%.

In Georgia, in the process of family transformation the traditional family role is still steady. According to the research as compared with other institutions of society, 95.4% of females and 93.3% of males give preference to families in the formation of personality, and 60.6% of them feel best in family.

*Сябро Оксана*

## **НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИНСТИТУЦИОНАЛЬНЫХ РЕФОРМ В ГРУЗИИ В ФОРМАТЕ ВОСТОЧНОЕВРОПЕЙСКОГО ПАРТНЕРСТВА**

Важным составляющим Европейской Политики Соседства 2004 года (ENP) и, конкретно, Плана Действий этой политики для Грузии (ENPAR), принятой в 2006 году, является регуляционное сближение с ЕС в экономической, правовой, социальной и др. сферах. План был рассчитан на 5 лет, хотя первоначально Правительство Грузии намеревалось выполнить его за 3 года. Однако, вскоре власти Грузии обнаружили, что ENP не содержит достаточных стимулов для того, чтобы ради него отказаться от стратегии ультралиберального дерегулирования экономики, в основе которой лежит доктрина Либертарианизма. Доктрина эта проповедует минимальное вмешательство государства в экономику и значительно отличается от концептуальных основ регуляционной модели Евросоюза. Масштабное дерегулирование экономики, по мнению правительства Грузии и международных финансовых организаций, обеспечила в 2005-2007 годах высокие темпы экономического роста (в

среднем 10,4% в год) и невиданный ранее приток прямых иностранных инвестиций. Вместе с тем грузинские власти одобрили ряд изменений в законодательстве страны (например, в трудовом законодательстве, законодательстве, регулирующем конкуренцию и т.д.), которые, по замыслу правительства, способствовали бы ускорению экономического развития, не соответствовали требованиям Договора о партнерстве и сотрудничестве между ЕС и Грузией 1999 года (РСА) и ENPAP [1].

Следует отметить, что большинство положений Плана Действий Европейской Политики Соседства вполне укладывается в рамки экономической стратегии правительства Грузии. Особенно это касается таких приоритетных сфер ENPAP, как улучшение предпринимательского и инвестиционного климата и продолжение борьбы с коррупцией, стимулирование экономического развития, действия по преодолению бедности и т.д. Вместе с тем, в ENPAP впервые оговаривается возможность заключения Договора о Свободной торговле с Евросоюзом, что дало новый импульс процессу регуляционной конвергенции с ЕС, в том числе и в тех сферах, где имелись существенные концептуальные расхождения между Правительством Грузии и Евросоюзом.

Новые подходы Европейского союза к принципам свободной торговли связаны с программой повышения конкурентоспособности экономики ЕС и принятой в марте 2000 года Лиссабонской Стратегией, изложенной в документе «Глобальная Европа: конкуренция в мире» [2]. Цель этой Стратегии – превращение торговой политики в один из главных инструментов указанной выше программы. Для достижения поставленной цели недостаточно заключения простых двусторонних договоров о либерализации торговли в соответствии с нормами Всемирной Торговой Организации (т.н. ВТО+). Новые правила ЕС предусматривают заключение «глубоких и всеобъемлющих» договоров о свободной торговле, которые не ограничиваются лишь понижением или устранением тарифных барьеров. Необходимыми условиями становятся такие, как: снижение нетарифных барьеров, санитарная и фитосанитарная практика (SAS), защита прав на интеллектуальную собственность (IPR), совершенствование механизма государственных закупок, антимонопольное регулирование, изменение трудового законодательства. Таким образом, страны-партнеры «стимулируются» к гармонизации законодательства в соответствии с европейскими нормами [2].

Заключение Договора о Глубокой и Всеобъемлющей Свободной Торговле (DCFTA) между Грузией и Евросоюзом является одним из важнейших приоритетов торговой политики Грузии в среднесрочной перспективе. От свободной торговли с ЕС страна может ожидать решения фундаментальных проблем, прежде всего, во внешнем секторе экономики, а именно: увеличение объема и диверсификация экспорта товаров и услуг; рост импорта технологий и ноу-хау; повышение конкурентоспособности экономики в целом и улучшение торгового баланса; увеличение притока прямых иностранных инвестиций.

Достижение этих целей будет способствовать ускорению темпов экономического развития Грузии, поскольку это сможет вызвать существенное совершенствование модели экономического роста, которая сложилась после Революции Роз 2003 года. Отличительной чертой этой модели является чрезмерная зависимость грузинской экономики от прямых иностранных инвестиций, приток которых в условиях ухудшения геополитического положения страны после августовской войны 2008 года с Россией и роста нестабильности мировой экономики, резко сократился.

Расширение экспортного потенциала страны в рамках DCFTA может превратиться в долгосрочный фактор относительно устойчивого роста ВВП Грузии. При этом, гармонизация законодательства и регуляционной среды Грузии Европейским *acquis* может дать новый импульс притоку прямых инвестиций из стран-членов ЕС. Перспектива же выхода на европейский рынок может заинтересовать инвесторов из третьих стран вкладывать средства в реальный сектор грузинской экономики с целью последующего экспорта продукции в ЕС.

Вместе с тем, следует отметить, что формально Грузия активно пропагандирует свою европейскую ориентацию, но как только дело доходит до реальных шагов, решения правительства носят, мягко говоря, неадекватный характер.

Лауреат Нобелевской премии в области экономики за 1980 г., профессор Пенсильванского университета **Лоуренс Клейн (Lawrence Klein)**, рассматривает проблемы и противоречия, возникающие в национальных экономиках в процессе глобализации с точки зрения процессов, происходящих в экономике самой страны, особенно акцентируя на роли государства в управлении этими процессами. В своем труде «Глобализация: вызов национальным экономикам», он подчеркивает, что прежде всего «необходимо отказаться от попыток навязать глобализацию методами, напоминающими шоковую терапию» и для того, чтобы «глобализация работала эффективно, нужно соблюдать определенные нормы международного поведения. «Ни глобализация, ни другие формы международного сотрудничества и интеграции не будут работать,- отмечает Л.Клейн,- если не исправить все ...отклонения от надлежащих норм международного поведения, которые в дальнейшем должны четко соблюдаться. Нужно предпринять позитивные шаги по созданию необходимых институтов, стимулировать тщательный сбор информации и движение ее постоянно растущих потоков», «необходимо ликвидировать незаконную торговлю и покровительство с помощью скрытых связей («блатной капитализм»), устранить легитимным путем все другие формы коррупции». Л. Клейн считает, что поскольку многие страны находятся на разной стадии экономического развития, имеют отличные по характеру институты, приоритеты и так далее, «они не могут и не должны осуществлять политику открытых дверей все сразу и в равной мере». В то же самое время «нельзя бесконечно сопротивляться силам глобализации, необходимо постепенно научиться **управлять этим процессом**, направляя экономику в его русло».

Среди факторов, способствующих продвижению в сторону глобализации и которые необходимо развивать в правильном направлении, он выделяет следующие: движение товаров между странами и секторами экономики; движение услуг между странами и секторами экономики; движение финансового капитала между странами; передвижение людей между странами, вызванное потребностям осуществления экономических функций; валютные операции на международных валютных рынках; движение интеллектуальной продукции и идей между исследовательскими и учебными центрами. Подробно анализируя каждый из этих факторов, Л. Клейн приходит к выводу, что можно много перечислять условия, которые должны быть выполнены, чтобы глобализация стала реальной и справедливой, но они не выполнимы будут никогда, пока нет единого взаимопонимания и доверия между государствами. А значит, развитие глобализации должно идти по пути создания равноправного партнерства и исключения однополярности.

С именем **Джеймса Тобина (James Tobin)** (1918 - 2002гг.) – известного американского экономиста, лауреата Нобелевской премии за 1981г. связывают зарождение движения антиглобалистов. Название организации «АТТАС» - «Action pour une taxe Tobin d'aide aux citoyens», являющейся основоположницей современного антиглобализма, в переводе означает: «За введение налога Тобина в помощь гражданам». Следует отметить, что и в 2011 - 2012 гг. требование введение налога Тобина не раз звучало и во время акций движения «Occupy Wall Street» .

Еще в начале семидесятых годов прошлого столетия Дж.Тобин выдвинул идею о введении налога на свободные перемещения капитала в мировой экономике, на спекулятивные, а значит краткосрочные переливы капиталов из одной валюты в другую. Данный налог американский ученый предлагал установить в размере всего 0,05 – 0,1%, однако в масштабах мировой экономики это нововведение могло бы позволить собирать ежегодно более 150 млрд долл. Речь идет о так

называемом «налоге Тобина». Вырученные средства предполагалось направить на перераспределение финансовых ресурсов между богатыми и бедными странами в пользу последних. Это позволило бы начать преодоление ужасающего разрыва между развитыми и развивающимися государствами, как следствия процессов глобализации. В середине 1990-х годов во Франции была создана национальная организация в поддержку налогообложения финансовых операций в пользу граждан, выступавшая за претворение в жизнь вышеуказанных проектов. Сейчас подобного рода организации действуют примерно в сорока странах. Кризис 2008–2009 годов, который по существу до сих пор не закончился, угрожая мировой экономике повторными волнами заставил опять обратить внимание на налог Тобина. Вызванные им потрясения вынудили страны "большой двадцатки" заговорить о необходимости новой мировой финансовой архитектуры. В качестве одного из способов усилить регулирование рынков, бесконтрольность которых поставила мир на грань катастрофы, рассматривалось и введение налога на финансовые транзакции. Следует отметить, что, во-первых, сегодня налог Тобина толкуется более широко – не как налог на валютных спекулянтов, а как налог на финансовые транзакции вообще. Во-вторых, эффективность налога Тобина совершенно справедливо ставится в зависимость от того, будет ли он глобальным.

В 2011 году власти Германии и Франции возродили эту идею, введение нового сбора поддержала и Еврокомиссия. В соответствии с предложениями Еврокомиссии планируется взимать 0,1 процента от суммы операций с акциями и 0,01 процента - от суммы операций с производными финансовыми инструментами. Сумма сборов, по прогнозам ЕК, может составить до 57 миллиардов евро в год. Вступление закона в силу во всех странах Евросоюза ожидается в конце 2014 года. Против введения «налога Тобина» выступают Великобритания, Ирландия, Швеция, Мальта и Чехия. В частности, британский премьер-министр Дэвид Кэмерон заявлял, что постарается приложить все усилия, чтобы блокировать ввод нового сбора. По его мнению, вводить налог на финансовые транзакции необходимо во всем мире, иначе пострадает экономика ЕС.

Отметим, что ввод новых налогов для покрытий государственного долга в европейских странах вызывает однозначно негативную реакцию со стороны предпринимателей и населения. В европейских странах сложился замкнутый круг, снижение государственных расходов и увеличение налоговой нагрузки приводит, как видим, к заметному сокращению валового внутреннего продукта в данных странах. Заметно растет количество безработных, что также приводит к сокращению налогооблагаемой базы, и в итоге получаем в очередной раз снижение сбора налогов.

Идеи, подобные, выдвинутых Дж.Тобиным, десять лет спустя были поддержаны и другим нобелевским лауреатом (1969г.), голландским экономистом **Яном Тинбергеном (Jan Tinbergen)** в известном докладе Римскому клубу «Пересмотр международного порядка», а также в работах лауреата Нобелевской премии 1979 года **Артура Льюиса (Arthur Lewis)**, шведского экономиста, лауреата Нобелевской премии по экономике 1974 года **Гуннара Мюрдала (Gunnar Myrdal)**. Основная идея этих работ состоит в том, что международные экономические отношения изначально были сформированы индустриально более развитыми странами и, следовательно, отражают в первую очередь их интересы, т.е. экономические интересы «Севера». Авторы призывают к созданию «нового международного порядка», в рамках которого, по их мнению, возможен «гуманистический социализм», способствующий сохранению окружающей среды, достижению всеобщего равенства, усвоению и переработке культурных ценностей человечества. Для того чтобы пересмотреть установившиеся международные экономические отношения, сделать их приемлемыми для стран вступивших на путь индустриального развития, была создана влиятельная политическая организация «Группа 77» (в нее входит 130 стран).

Лауреат Нобелевской премии по экономике (2001) **Джозеф Стиглиц (Joseph Stiglitz)**, который и в настоящее время осуществляет активную научную деятельность, в своих работах затрагивает проблемы глобализации и ее влияние на развитие национальных экономик. Этим вопросам посвящены такие его труды как: «Глобализация: вызов национальным экономикам», «Человеческое

лицо глобализации», «В тени глобализации», «Глобализация и ее негативные последствия», а его труд «Making Globalization Work» («Заставить глобализацию работать»), опубликованный в 2006 г., признан классической работой в данном направлении. Определяя глобализацию как устранение барьеров на пути свободной торговли и тесную интеграцию национальных экономик, Дж. Стиглиц определяет современный период глобализации, как новую форму колониализма, производную от экспансионизма США, возникшего в годы холодной войны. Условия, навязываемые МВФ («поставщиком ортодоксальной идеологии») стране-клиенту и повышающие только вероятность возврата кредита, но не её экономический рост, превращают кредит в политический инструмент, подрывающий национальный суверенитет. «Экономическая эффективность обусловленности не доказана, - отмечает Стиглиц в своем труде, - условия, в краткосрочной перспективе ослабляющие экономику страны, сомнительны и в долгосрочном плане». Вопрос о формировании и необходимости резервного фонда, с точки зрения Стиглица, также спорен, поскольку страна, контролируемая МВФ, не может тратить деньги на насущные проекты, и вынуждена держать средства в казначейских обязательствах США. Политический курс и программы, чтобы стать успешными, должны стать «собственностью стран», а не навязываться им. Издержки и выгоды процесса глобализации распределяются между участниками крайне неравномерно. Повышение производительности, сокращение затрат, рост доходов и благосостояния на одном полюсе достигаются ценой увеличения неопределенности, рисков, неравенства, бедности на другом. Необходимы новые функциональные формы и механизмы для гармонизации национальных экономических интересов, национальных политик и действий, для разрешения конфликтов, защиты более слабых партнеров и принятия санкций против тех, кто нарушает общепринятые правила игры.

Происходящие в современном мире процессы только усилили глобальную нестабильность, чреватую «огромными издержками»: высоким уровнем безработицы, обострением экологических проблем, коррупцией, распадом социальных структур, ущемлением интересов потребителей, ростом насилия и обострением этнических конфликтов. Глобализация принесла пользу только тем странам, которые приняли ее на своих собственных условиях и придали ей собственный постепенный темп и порядок.

Глобализация, по мнению Стиглица, означает растущее признание того, что есть сферы, где требуются глобальные коллективные действия, и для этого важны системы глобального управления. Он справедливо определяет оппозицию глобализации как оппозицию определенному пакету доктрин, политике Вашингтонского консенсуса. Рыночный фундаментализм - это не более чем личные взгляды некоторых экономистов. Единой и единственной рыночной модели не существует. Специфику партнерства государства и рыночного механизма определяет уровень экономического и политического развития каждой страны, а также характер правительства. Рыночный механизм, справедливо замечает Стиглиц, порождает недопроизводство в сфере фундаментальных исследований и перепроизводство загрязнений; рецессии и депрессии являются периодическими срывами рыночного механизма за последние двести лет, порождая устойчивую безработицу и незагруженные мощности. Дж. Стиглиц совершенно справедливо подчеркивает, чтобы плоды глобализации распределялись более равномерно, необходима, прежде всего, коренная ревизия системы управления (и в этом его мнение перекликается с мнением Лоуренса Клейна), т.е. руководящих и контролирующих структур международных экономических институтов, глобализацию необходимо выстраивать так, чтобы раскрыть ее позитивный потенциал. Он предлагает конкретные меры для того, чтобы последствия глобализации перестали быть негативными для большинства стран, чтобы национальные экономики могли эффективно развиваться в современных экономических условиях под действенным контролем и управлением со стороны международных организаций. К числу этих мер он относит:



необходимость сокращения до возможного минимума влияния интересов различного рода (финансовых, статусных, и т.п.) и уровня (как личных, так и корпоративных), а также идеологических воззрений на процесс принятия решений ;

необходимость создания международных общественных институтов, которые устанавливали бы правила работы в условиях глобализации;

необходимость коренным образом изменить систему управления (руководства) в крупнейших международных организациях (МВФ, Мировой Банк, ВТО);

необходимость увеличить открытость и «прозрачность» международных организаций, в первую очередь перед обществом;

необходимость реформ глобальной финансовой системы, в том числе:

- реформирование системы банкротства,
- реформирование системы банковского регулирования,
- совершенствование работы в области управления рисками,
- реформирование системы страхования и др.;

необходимость реформы Мирового Банка и всей системы помощи развивающимся странам и странам, переживающим переходный период;

необходимость реформы ВТО и организация сбалансированной торговой системы.

Подытоживая вышеизложенное, можно сказать что не существует однозначного ответа на вопрос, что же в конечном счете глобализация несет странам – угрозу или новые возможности, поскольку баланс позитивных и негативных последствий постоянно изменяется. Странам необходимо адекватно реагировать на глобализационные процессы, чтобы адаптироваться к новым условиям и воспользоваться шансами, которые предоставляет интернационализация мировой экономики. Глобализация требует соответствующего мышления, подхода к миру как единому целому, что крайне необходимо для управления всеобщими проблемами и постоянного политического диалога по жизненно важным сферам общей безопасности и сотрудничества, особенно в научной и экономической сфере и с этой точки зрения, взгляды нобелевских лауреатов несомненно заслуживают огромного внимания.

## **ЛИТЕРАТУРА**

1. <http://www.lawlibrary.ru/izdanie9948.html>
2. <http://www.rbcdaily.ru/2012/03/12/world/562949983220079>
3. <http://www2.gsb.columbia.edu/faculty/jstiglitz/index.cfm>
4. Joseph Stiglitz. Making Globalization Work, WW Norton, September, 2006
5. Joseph Stiglitz. Globalization and Its Discontents, W.W. Norton & Company, June, 2002.
6. <http://www.r-reforms.ru/indexpub216.htm>

*Davlasheridze Nata*

## **VIEWS OF NOBEL PRIZE WINNERS ABOUT GLOBALIZATION INFLUENCE ON NATIONAL ECONOMY SUMMARY**

In the article questions influence of globalization processes on the national economy both from positive and from negative sides, reflected in the works of the Nobel winners, in particular, of Lawrence Klein, Joseph Stiglitz, James Tobin, Jan Tinbergen, Arthur Lewis, Gunnar Myrdal etc. are considered.

**ვემპროვული ავტორებრების მოღელი  
(2011 წლის ნოემლის პრემია ეკონომიკაში)**

თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, ეკონომიკაში ციკლური რყევების წყარო მოულოდნელი შემოვლებები, ანუ შოკებია. ამგვარი შოკები, როგორცაა ნავთობსა და სხვა რესურსებზე ფასების უცარი ცვლილება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ტექნოლოგიური სრულყოფა, რაც გავლენას ახდენს მწარმოებლურობას. ბაზრის არასრულყოფილების პირობებში ამგვარ მერყეობებს თან ახლავს მაღალი უმუშევრობაც. მთავრობას შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება ბიზნესციკლებზე ფისკალური (საგადასახადო-საბიუჯეტო) და მონეტარული (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით, რისთვისაც მას ესაჭიროება მაკროეკონომიკურ მანევრებლებს შორის მიზეზშედევობრივი კავშირების ნათელი სურათი. მკვლევართა ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი არ იძლევა ეკონომიკურ მანევრებლებს შორის მიზეზშედევობრივი კავშირების გამოკვეთის საშუალებას. თუ ორი ცვლადი ურთიერთდამოკიდებულია, შესაძლებელია ვივარაუდოთ ერთი დამოკიდებულია მეორეზე, მეორე დამოკიდებულია პირველზე, ან ორივე ერთდროულად დამოკიდებულია მესამეზე. შესაძლებელია თვალსაჩინო იყოს კორელაცია ეკონომიკურ მანევრებლებს შორის, მაგრამ მხოლოდ ეს არ იძლევა მიზეზ-შედევობრივი მიმართულების ახსნას. ამგვარი არაცხადი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს კორელაცია ზოგიერთ ქვეყანაში მშპ-ს და ფულის მასას შორის. არსებული მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ ეკონომიკური ბუმის დროს ფულის მასა იზრდება. მაგრამ რა დგას ამ კავშირის უკან? შესაძლებელია ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მასის ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას? ან პირიქით, ცენტრალური ბანკი ზრდის ფულის მასას ეკონომიკური ბუმიდან გამომდინარე, ვინაიდან ეკონომიკური ბუმის დროს იზრდება ფულზე მოთხოვნა.

„როგორი იქნება ნავთობის ფასების მოულოდნელი ზრდის ან სხვა რომელიმე ეკონომიკური შოკის ეფექტი გამოშვებაზე, ინფლაციაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მანევრებლებზე?“, „რამდენით გაიზრდება გამოშვების მოცულობა ან დასაქმება სახელმწიფო დანახარჯების გაზრდით?“, „როგორ შეიცვლება უმუშევრობისა და ინფლაციის დონეები, თუ საგადასახადო ტვირთი 10%-ით გაიზრდება?“ – ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად მაკროეკონომისტმა უნდა მიმართოს ამა თუ იმ მაკროეკონომეტრიკულ მოდელს. ესაა განტოლებათა სისტემა, რომელიც ემყარება თეორიულ წინამძღვრებს და რეალურ მონაცემებს. მისი ამოხსნა კი მოგვცემს პასუხს დასმულ შეკითხვაზე, ამავედროულად მოგვცემს წარმოდგენას მიზეზშედევობრივი კავშირების ბუნებაზე.

არსებობს ე.წ. მიზეზშედევობრივი ტესტებიც (მაგალითად, ეკონომისტებისთვის ცნობილი „გრეინჯერის ტესტი“), მაგრამ იგი ამოწმებს ჰიპოთეზას იმის შესახებ რომ, თუ ურთიერთდამოკიდებული ცვლადებიდან ერთის ცვლილება რეგულარულად ხდება მეორის ცვლილებამდე, გონივრულია ჩავთვალოთ, რომ სწორედ მისი ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას. მაგრამ, ამგვარი დასკვნის გაკეთება ყოველთვის მართებული არ არის. ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარება ამ კავშირების ბუნების გამოსავლენად შეუძლებელია. მაშ რა მეთოდოლოგიითაა შესაძლებელი ამის გამოვლენა?

პასუხი ამ შეკითხვებზე საინტერესოა არა მხოლოდ აკადემიური წრეებისა და მკვლევარებისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სტაბილიზაციის პოლიტიკის გამტარებელი ჩინოვნიკებისათვის. ამ კითხვაზე პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ მიზეზშედევობრივი დამოკიდებულებების გამოვლენისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებზე დაყრდნობა, არამედ მისი ეკონომიკურ

თეორიასთან ერთად გამოყენება. ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად საჭიროა ეკონომიკური შოკების იდენტიფიცირება და ამ შოკებზე ეკონომიკის გამოძახილის შეფასება.

სწორედ ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევებისათვის 2011 წლის ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭათ ამერიკელ ეკონომისტებს *ტომას სარჯენტს* (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი) და *კრისტოფერ სიმსს* (პრინსტონის უნივერსიტეტი) „მაკროეკონომიკაში მიზეზშედეგობრივი კავშირების ემპირიული კვლევისათვის“ („For their empirical research on cause and effect in the macroeconomy“) – ამგვარია ნობელის კომიტეტის ფორმულირება. ეს ორი მეცნიერი ფაქტობრივად თანამედროვე ემპირიული მაკროეკონომიკის ინსტრუმენტარიის შექმნის ფუძემდებლები არიან. *ტომას სარჯენტმა* (Thomas Sargent) საფუძველი ჩაუყარა სტრუქტურულ მაკროეკონომიკას, ხოლო *კრისტოფერ სიმსმა* (Chrisrofer Sims) მაკროეკონომისტთა არსენალში შემოიტანა ვექტორული ავტორეგრესია. მათ მიერ შემუშავებული მიდგომები ემსახურება არა მარტო კანონზომიერებების დადგენას, ისინი საშუალებას იძლევა შემოწმდეს სტრუქტურული ჰიპოთეზები.

რაში მდგომარეობს სარჯენტისა და სიმსის მეთოდის არსი? ნობელის კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ წარმოუდგენელია ამ სფეროს განვითარება იმ წვლილის გარეშე, რაც შეიტანეს ტომას სარჯენტმა და კრისტოფერ სიმსმა.

ორი მეთოდი – *სტრუქტურული მაკროეკონომეტრიკა* და *ვექტორული ავტორეგრესია* წარმოადგენს ორ ურთიერთშემავსებელ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა, გადაიტარას ზემოთ აღნიშნული პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარჯენტისა და სიმსის ერთიანი მეთოდი არ არსებობს. მართალია მათ ჰქონდათ ერთობლივი პუბლიკაციები, მაგრამ ერთად არ უმუშავიათ. ნობელის კომიტეტმა პრემიით აღნიშნა სარჯენტის მიერ *მაკროეკონომეტრიკული მოდელების ტესტირების განსაზღვრული პრინციპები. სიმსმა შემოგვთავაზა ვექტორული ავტორეგრესიის მეთოდი.*

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ რას წარმოადგენს ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. მისი გადმოცემა შესაძლებელია შემდეგნაირად:

$$Y_t = a_{11}Y_{t-1} + a_{12}\pi_{t-1} + a_{13}i_{t-1} + g_{11}\varepsilon_t + g_{12}\eta_t + g_{13}\xi_t, \quad (1)$$

$$\pi_t = a_{21}Y_{t-1} + a_{22}\pi_{t-1} + a_{23}i_{t-1} + g_{21}\varepsilon_t + g_{22}\eta_t + g_{23}\xi_t, \quad (2)$$

$$i_t = a_{31}Y_{t-1} + a_{32}\pi_{t-1} + a_{33}i_{t-1} + g_{31}\varepsilon_t + g_{32}\eta_t + g_{33}\xi_t, \quad (3)$$

სადაც  $\{a_{ij}, g_{ij}\} \quad i,j=1,2,3$  უცნობი პარამეტრებია, რომელთა გამოსახვა შესაძლებელია (4)-(6) განტოლებათა სისტემის პარამეტრების მეშვეობით.

$$Y_t = E_t Y_{t+1} - \sigma(i_t - E_t \pi_{t-1}) + \varepsilon_t, \quad (4)$$

$$\pi_t = \beta E_t \pi_{t+1} + k Y_t + \eta_t, \quad (5)$$

$$i_t = \phi i_{t-1} + \rho + \pi^* + \gamma_\pi (\pi_t - \pi^*) + \gamma_y Y_t + \xi_t, \quad (6)$$

სადაც უცნობებია  $Y_t$  გამომწევა,  $\pi_t$  ინფლაცია და  $i_t$  ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, რომლებიც გამოიხატება როგორც ტრენდული მნიშვნელობებიდან გადახრები. შემთხვევითი შოკები  $\varepsilon_t$ ,  $\eta_t$ ,  $\xi_t$  კი წარმოადგენენ ციკლური მერყეობების ფუნდამენტური წყაროებს, ხოლო  $E_t$  აღნიშნავს მათემატიკურ ლოდინს, მიღებულს დროის  $t$  მომენტში ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

(1)-(3) დამოკიდებულებები უფრო კომპაქტურადაც შეიძლება ჩაიწეროს:

$$x_t = Ax_{t-1} + G\xi_t, \quad (7)$$

სადაც  $x_t = (Y_t, \pi_t, i_t)'$  ევზოგენური ცვლადების ვექტორია,  $\xi_t = (\varepsilon_t, \eta_t, \xi_t)'$  შემთხვევითი შოკების ვექტორი, ხოლო  $A = \{a_{ij}\}$  და  $G = \{g_{ij}\}$  – უცნობი პარამეტრების მატრიცები.

ფორმალურად (1)-(3) მოდელი წარმოადგენს *პირველი რივის ვექტორულ ავტორეგრესიას*. განტოლებების მარცხენა მხარეს მოცემული ცვლადებია, ხოლო მარჯვენა მხარეს კი ამ ცვლადთა ლაგები და „ინოვაცია“, თითოეული ცვლადისათვის. „ინოვაცია“ წარმოადგენს მოცემული ცვლადის ცვლილების ნაწილს, რომლის გამოსახვა ლაგით ან სხვა ცვლადებით შეუძლებელი იქნებოდა. ხორციელდება (1)-(3) მოდელის შეფასება. ჩვენთვის საინტერესო სტრუქტურული შოკების შეფასების ნაცვლად ვიღებთ ამ შოკების წრფივ კომბინაციას. მიიღება ეგრეთ წოდებული რეკურსიული იდენტიფიკაცია. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ინფლაცია საკმაოდ სწრაფად რეაგირებს მხოლოდ საწარმოო დანახარჯების შოკებზე, სხვა სტრუქტურულ შოკებზე კი (როგორცაა ერთობლივი მოთხოვნა და ფულადი პოლიტიკა) – დაგვიანებით. ჩავთვალოთ, რომ გამოშვება საკმაოდ სწრაფად რეაგირებს დანახარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის შოკებზე, ხოლო დაგვიანებით ფულადი პოლიტიკის შოკზე. და, ბოლოს, ჩავთვალოთ, რომ ფულადი პოლიტიკა საკმაოდ ოპერატიულად რეაგირებს დანახარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის შოკებზე. ალგებრულად ეს ასე შეიძლება გამოვსახოთ:

$$Y_t = a_{11}Y_{t-1} + a_{12}\pi_{t-1} + a_{13}i_{t-1} + \theta_{11}\varepsilon_t + \theta_{12}\eta_t \quad (8)$$

$$\pi_t = a_{21}Y_{t-1} + a_{22}\pi_{t-1} + a_{23}i_{t-1} + \theta_{21}\varepsilon_t + \theta_{22}\eta_t \quad (9)$$

$$i_t = a_{31}Y_{t-1} + a_{32}\pi_{t-1} + a_{33}i_{t-1} + \theta_{31}\varepsilon_t + \theta_{32}\eta_t + \theta_{33}\zeta_t \quad (10)$$

სტრუქტურული შოკების ტრაექტორიის შეფასება საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ იმპულსური გამოძახილების ფუნქცია – რეგრესია, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას ცვლადებისას შესაბამისი შოკების ლაგებთან. იდენტიფიკაციის ზემოთ აღწერილი სქემა რეკურსიულია იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ იდენტიფიცირდება ერთი შოკი, შემდეგ მეორე და ა.შ. ყოველი შემდგომი შოკის იდენტიფიკაციისთვის კი გამოიყენება წინა ნაბიჯზე იდენტიფიცირებული შოკის შესახებ ინფორმაცია.

მაკროეკონომიკური კვლევების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის შეფასებული კოეფიციენტები (SVAR). ისინი წარმოადგენენ ფუნდამენტური პარამეტრების ფუნქციებს და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთგვარ ემპირიულ ორიენტირებად და ადეკვატურობის კრიტერიუმებად ალტერნატიული თეორიული მოდელებისათვის. ეკონომეტრიკული მოდელი ადეკვატურად უნდა ასახავდეს ადამიანთა ქცევას, რომლებიც განპირობებულია მოლოდინის, სახელმწიფოს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ცვლილებებით. ეკონომეტრიკული მოდელი უნდა ითვალისწინებდეს შემთხვევით ფაქტორებსაც. მოდელში შესაძლებელია ეგზოგენურ მაკროეკონომიკურ ფაქტორთა ჩართვა, რომელთაც შოკებს უწოდებენ. ამგვარი მოდელი იძლევა იმ მაკრომაჩვენებლების გენერირების საშუალებას, რომელთაც შემთხვევითი ხასიათი აქვთ.

სარჯენტისა და სიმსის მოდელების მეშვეობით შესაძლებელია უფრო სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი ფულადი პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. ნებისმიერი თეორიული დებულებისა თუ პოსტულატის შეფასებისათვის აუცილებელია ემპირიული შემფასებელი.

მათი მთავარი დამსახურება, გარდა იმისა, რომ შეიმუშავეს მეთოდოლოგია, ისაა რომ მათ მოახდინეს იმის დემონსტრირება თუ როგორ არ უნდა აღვიქვათ ემპირიული კანონზომიერებები. მათ დაასაბუთეს, რომ აუცილებელია ემპირიული კანონზომიერებების არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ მათი სწორი ინტერპრეტაცია, სწორი მიზეზშედგობრივი კავშირების გამოვლენა.

ტომას სარჯენტის რეკლუციური იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მაკრომოდელებს უნდა ჰქონდეს მიკროეკონომიკური საფუძველი. ამგვარი მოდელის მიხედვით ნათლად იყოფა საბაზო სტრუქტურული ფაქტორები და სახელმწიფო პოლიტიკა.

უმარტივესი მოდელი უნდა შეიცავდეს მთავარ სტრუქტურულ ფაქტორს – რაციონალური აგენტების ქცევას. სტრუქტურული განტოლებები იგება თეორიული დებულებების საფუძველზე. პოლიტიკის ცვლილება შესაძლებელია სისტემატური ან მოულოდნელი იყოს, მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია, ისინი ზემოქმედებენ აგენტების ქცევაზე მხოლოდ მოლოდინის ცვლილებით. მაგალითად, „ტილორის წესის“ სახელით ცნობილ განტოლებაში საბაზო საპროცენტო განაკვეთი წრფივად დაამოკიდებული ინფლაციისა და მშპ-ს ფაქტობრივ ტემპებზე, ასევე შემთხვევით ფაქტორებზე.

სარჯენტმა რაციონალური მოლოდინი ჩართო სტრუქტურულ მაკრომოდელში, უდიდესი ყურადღება მიაქცია რა პოლიტიკის სისტემატური ძვრების შედეგების ანალიზს. ამგვარი მიდგომის გამოყენების საფუძველზე მან განახორციელა აშშ-ში დასაქმების ბუნებრივი დონის ჰიპოთეზის ტესტირება და დაასაბუთა აქტიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობა. პოლიტიკის სისტემური ეფექტები გაითვალისწინება წინდაწინ ბაზრის მოლოდინის სახით, მაშინ, როცა გაუთვალისწინებელი ეფექტები აიძულებს მონაწილეებს, მოერგონ, ამას კი შეუძლია გამოიწვიოს მაკრომაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილება. სტრუქტურული მაკროეკონომეტრიკული მოდელები საშუალებას იძლევა, განვასხვავოთ პირველი მეორისაგან. სწორედ ამ მიდგომის რეალიზაცია მოახდინა კრისტოფერ სიმსმა. მისთვის მთავარი საკითხი იყო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე შოკური ზემოქმედებების და მათი გავრცელების იდენტიფიკაცია.

სიმსის, ისევე, როგორც სარჯენტის მოტივაცია მდგომარეობდა არსებული მაკროეკონომეტრიკული მოდელების სრულყოფაში. სიმსი თვლიდა, რომ ისინი არ იძლევიან საიმედო პროგნოზებს და ვერ ავლენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ალტერნატივის სახით მან შეიმუშავა ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) გამოყენების მეთოდოლოგია. ესაა რეგრესია განსაზღვრული ენდოგენური ცვლადებისა მათივე ლაგური მნიშვნელობების მიმართ. ამგვარი მიდგომის გამოყენებით მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს შერჩეული ეკონომიკური ცვლადები, რომლებიც საკმაოდ სრულყოფილად აღწერენ ეკონომიკურ დინამიკას. ვექტორული ავტორეგრესიის მოდელების ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ არიან მიბმული სტრუქტურული მოდელების რაიმე კლასზე. ამ მიზეზით VAR მოდელები უფრო გამოსაყენებელია რეალური მონაცემების აღწერისათვის, და, რაც მთავარია, ისინი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თეორიული შეზღუდვების გარეშე.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ VAR მოდელებისთვისაც გადაუჭრელია ე.წ. ფუნდამენტური შოკების იდენტიფიკაციის პრობლემა, რომლებიც თითოეულ ენდოგენურ ცვლადზე ცალ-ცალკე მოქმედებენ. ეს შოკები ურთიერთდამოკიდებული უნდა იყოს, ამიტომ არ ემთხვევა რეგრესიის შეცდომებს. სიმსმა ამ პრობლემის გადაჭრაც მოახერხა – მან აჩვენა, რომ ფუნდამენტური შოკები გამოითვლება მოცემული სქემის დახმარებით ავტორეგრესიის შეცდომებიდან, შემდეგ კი გამოიყენება ე. წ. იმპულსზე გამოძახილის ფუნქციის ასაგებად. ეს ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტია შემოთავაზებული სიმსის მიერ, ვიზუალური ანალიზისათვის, თუ როგორ ვრცელდება შოკები მაკროცვლადებზე. ვექტორული ავტორეგრესია (VAR) წარმოადგენს მინიმალისტურ მიდგომას და საშუალებას იძლევა, დადგინდეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ქცევის ემპირიული კანონზომიერებები მათი იმპულსური გამოძახილების ჩათვლით, როგორც იდენტიფიცირებად სტრუქტურულ შოკებზე პასუხი. ეს იმპულსური გამოძახილები, როგორც წესი, თეორიული (სტრუქტურული) მაკრომოდელების ადეკვატურობის კრიტერიუმად გვევლინება.

სიმსმა და სარჯენტმა ფაქტობრივად ორი ურთიერთშემავსებელი მიდგომა შემოგვთავაზეს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების ანალიზისათვის. ვინაიდან ვექტორული ავტორეგრესია წარმოადგენს მაკრომოდელის დაყვანილ ფორმას რაციონალური მოლოდინებით, ფუნდამენტური შოკების იდენტიფიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სტრუქტურული პარამეტრების იდენტიფიკაციასთან. გარდა ამისა, ორივე მიდგომა აფუძნება მცირე ზომის მოდელების გამოყენებას, რაც აადვილებს შეფასების შედეგების ინტერპრეტაციას და მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგებას.

გარკვეულწილად, ამ მიზეზის გამო, მაკროეკონომეტრიკის მეთოდები ფართოდ გამოყენებადია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას (განსაკუთრებით მონეტარული პოლიტიკის). ისინი იძლევა მიზეზშედეგობრივი კავშირების სრულ სურათს მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის. მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა, შეფასდეს აქტიური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების პოტენციური ინფლაციური ეფექტებიც.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Замулин О., Стырин К. Как различать причину и следствие. ж. Вопросы экономики. 2012. №1.
2. [http://www.nobelprize.org/nobel\\_prizes/economics/laureates/2011/press.html](http://www.nobelprize.org/nobel_prizes/economics/laureates/2011/press.html)
3. [http://www.minneapolisfed.org/publications\\_papers/pub\\_display.cfm?id=3168](http://www.minneapolisfed.org/publications_papers/pub_display.cfm?id=3168)
4. <http://www.businessweek.com/news/2011-10-10/nyu-s-sargent-princeton-s-sims-win-nobel-prize-in-economics.html>
5. [http://www.sfu.ca/~kkasa/sargent\\_84.pdf](http://www.sfu.ca/~kkasa/sargent_84.pdf)
6. [http://www.ekonometria.wne.uw.edu.pl/uploads/Main/macroeconomics\\_and\\_reality.pdf](http://www.ekonometria.wne.uw.edu.pl/uploads/Main/macroeconomics_and_reality.pdf)

*Totladze Lia*

### **VECTOR AUTOREGRESSION MODEL (NOBEL PRIZE IN ECONOMIC SCIENCES IN 2011) SUMMARY**

The Americans Thomas Sargent and Christopher Sims have won the Nobel economics prize for modern empirical macroeconomic analysis methodology. They had enhanced the understanding of cause and effect in macro-economic modeling, allowing policymakers to better estimate the effect of their own policies and other influences. In the work special place is given for the vector auto-regression models.

*მარიამ კაპანაძე  
ვალიდა სესაძე  
ლიანა ლაჭყევიანი*

### **თვითორგანიზაცია და თერმოდინამიკის კანონები ეკონომიკაში**

თანამედროვე პირობებში ძალიან ძნელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური პროცესების ანალიზის ტრადიციული მეთოდები, რადგანაც დღევანდელი ეკონომიკა ატარებს არაწრფივ ხასიათს. ეკონომიკური გარემოსათვის დამახასიათებელია სწრაფი ცვალებადობა, არააქტუალური ხდება გრძელვადიანი პროგნოზები [2].

სინერგეტიკა - სინთეზური მეცნიერებაა, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ბუნების დინამიკური სისტემების თვითორგანიზაციის ზოგად კონცეფციას. მისი კანონები ზოგადი ფიზიკური იდეებისა და მათემატიკური მეთოდების ერთობლიობა კი არ არის, არამედ ახალი კონცეპტუალური ხედვაა მეცნიერებაზე. სინერგეტიკული მიდგომა მეცნიერებაში

მოვგავონებს სისტემურ მიდგომას. სინერგეტიკას გააჩნია მნიშვნელოვანი შეხების წერტილები სისტემების ზოგად თეორიასთან. მისთვის, ისევე როგორც სისტემების თეორიისათვის, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბუნების მქონე მოვლენებს შორის არა მხოლოდ ზედაპირული ანალოგიები, არამედ განსახილველი სისტემის შემადგენელ კომპონენტებს შორის საკმაოდ მკაცრი შესაბამისობები. სინერგეტიკულ მიდგომაში ზოგადი სისტემური მიდგომისაგან განსხვავებით შეისწავლება ბუნებრივი და ტექნიკური სისტემების თვითკონსტრუირების კონკრეტული პრინციპები და მექანიზმები. სხვანაირად რომ ვთქვათ, სისტემების ზოგადი თეორიისაგან განსხვავებით, სინერგეტიკა ამხვილებს ყურადღებას რთულ არაწრფივ სისტემებში წარმოშობილ კოოპერატიულ, კოგერენტულ და თვითშეთანხმებულ პროცესებზე. თვითორგანიზებად პროცესებს საფუძვლად უდევს დაქვემდებარების სინერგეტიკული პრინციპი, რომლის თანახმადაც საწყისი რთული სისტემა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს იერარქიული სისტემების სახით, რომელიც შედგება დინამიკური ქვესისტემების ერთობლობისაგან, რომლებიც ექვემდებარებიან ერთმანეთს და იმყოფებიან გარკვეულ დინამიკურ ურთიერთკავშირში. სინერგეტიკას რთულ წრფივ დინამიკურ სისტემებში საფუძვლად უდევს თვითორგანიზაციის ფუნდამენტალური მოვლენა. თუმცა სინერგეტიკაში ჯერ არ შეუქმნიათ ზოგადი და ერთიანი თვითორგანიზაციის თეორია, რომელიც სამართლიანი იქნება ყველა სახის ბუნებრივი და ტექნიკური სისტემებისათვის, ამიტომ, სინერგეტიკული მიდგომა იძენს განმასხვავებელ თავისებურებებს და შინაარსს [1, 2].

საერთაშორისო ბიზნესში, მიზნის გლობალური თვალთახედვიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი შესაბამისობის გათვალისწინება ცვალებად საერთაშორისო და საშინაო გარემოსთან. ეს ცვალებადობა უკავშირდება გლობალიზაციას, რომელიც მსოფლიოს ეკონომიკას ხდის სულ უფრო განუჭვრეტელს და არაპროგნოზირებადს. ნებისმიერი კომპანია ცვლის თანაფარდობას გლობალურ და ლოკალურ სტრატეგიებს შორის პროდუქციის სახის, მიზნის, ქვეყნის გათვალისწინებით. ერთის მხრივ, გლობალური სტრატეგია უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა რეაგირება მოახდინოს ახალ შესაძლებლობებზე, მეორე მხრივ კი - უარყოფილ იქნას ნაკლებად მომგებიანი საქმიანობები. საწყის ეტაპზე კომპანიას ვერ ჰყოფნის გამოცდილება უცხოური ბაზრების ათვისების ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისათვის. კომპანია უბრალოდ ახერხებს რეაგირებას შექმნილ შესაძლებლობებზე, რომელთა დიდი ნაწილი ხელსაყრელი ხდება.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკურმა თეორიამ მიაღწია შთამბეჭდავ პროგრესს, მაგრამ ავტორიტეტული მკვლევარები მის თანამედროვე დონეს ახასიათებენ როგორც კრიზისულს. ეკონომიკური თეორიის საფუძველია წონასწორობის პრინციპი, რომელიც ეკონომიკური წონასწორობის ზოგადი თეორიის საფუძველს წარმოადგენს. კლასიკური თეორიის ფუძემდებელმა ადამ სმიტმა ნაშრომში “ხალხთა სიმდიდრე” წონასწორობის პრინციპი წარმოადგინა “უჩინარი ხელის” მეტაფორის სახით, რომელიც მოქმედებს იდეალური კონკურენციის პირობებში. ლ. ვალრასის მიწოდება-მოთხოვნის ბალანსირების საბაზრო მექანიზმში წონასწორობის პრინციპს წარმოადგენს ფასი. წონასწორული მდგომარეობიდან გადახრა განაპირობებს ისეთი ძალების წარმოშობას, რომლებიც იწვევენ სისტემის დაბრუნებას საწყის მდგომარეობაში.

ეკონომიკური წონასწორობის მათემატიკური მოდელის დამუშავებასთან ერთად წონასწორობის პრინციპი პოსტულატებიდან გადაიქცა მკაცრად მტკიცებად დებულებებად. სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაცია წარმოადგენს დინამიკური სისტემის პოტენციალის ანალოგს. ეკონომისტებისათვის სარგებლიანობის ფუნქცია არ არის ცხადი სახით წარმოდგენილი განსხვავებით მექანიკაში ლაგრანჟის ფუნქციისაგან. ხშირ შემთხვევაში, საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელები ადექვატურნი არიან რეალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა. გამონაკლისს წარმოადგენს სფეროები,

როგორებიცაა: საფონდო და ფინანსური ბაზრები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი, რადგანაც ამ ტიპის ეკონომიკური სისტემები შეიძლება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში არაწონასწორულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ [3, 4].

სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზაციის პრინციპი შესაძლოა განხილულ იქნას არა მარტო როგორც ჰამილტონის პრინციპის ანალოგი მექანიკაში, არამედ როგორც ენტროპიის მაქსიმიზაცია თერმოდინამიკაში: მექანიკურ და თერმოდინამიკურ მიდგომებს შორის განსხვავების მიუხედავად, „აბსტრაქტული თვალსაზრისით, ნებისმიერი წონასწორობის თეორია იგივეა, რაც კრიტიკული წერტილების ასახვის თეორია, ე.ი. წარმოადგენს დიფერენციალური ტოპოლოგიის ნაწილს“.

ამრიგად, თერმოდინამიკური მეტაფორა აღმოჩნდა მისაღები, რადგანაც შესაძლებელია იგი გამოყენებულ იქნას სისტემის შესახებ ინფორმაციის არასრული ცოდნის პირობებში. მექანიკური მეტაფორისგან განსხვავებით, თერმოდინამიკურ მეტაფორაში წონასწორობა ნიშნავს არა დიფერენციალური განტოლებათა სისტემის განსაკუთრებული წერტილის ანუ პოტენციალური ფუნქციის ექსტრემუმის არსებობას, არამედ პფაფის განტოლების ინტეგრალურ ზედაპირზე (მდგომარეობის განტოლებათა ზედაპირზე) გადაადგილებას. წონასწორობის თერმოდინამიკურ მეტაფორაზე დაყრდნობილ მიდგომებს გააჩნიათ შეზღუდვები. ამასთან, შესაძლებელი აღმოჩნდა შეიქმნას ეკონომიკური წონასწორობის მათემატიკური თეორია სარგებლიანობის ცნებაზე დაყრდნობის გარეშე. ეკონომიკური თეორია, რომელიც ემყარება წონასწორობის პრინციპს (როგორც მექანიკურის, ისე თერმოდინამიკურის), აღმოჩნდა არაადექვატური თვითორგანიზების ეკონომიკური პროცესების აღწერის მცდელობისას. ეკონომიკურ სისტემათა თვითორგანიზების პროცესში კლასიკური თეორია უსუსურია წინასწარ განჭვრიტოს, აღწეროს მიმდინარე ცვლილებები. დისციპლინათა შორის მიმართულება, რომელიც იწოდება თვითორგანიზაციის თეორიად, ჩამოყალიბდა შემდეგ მიმართულებათა ბაზაზე: კიბერნეტიკა, შეუქცევადი პროცესების თერმოდინამიკა, ქიმიური რეაქციების კინემატიკური თეორია, ეკოლოგია, ფაზური გადასვლების ფიზიკური თეორია, ფრაქტალური გეომეტრია. აღმოჩნდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, არატრივიალური სივრცობრივი ან დროითი სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესები თვისობრივად აღიწერება მსგავს განტოლებათა სისტემებით. სწორედაც სინერგეტიკა გადმოგვცემს მათემატიკურ ფორმალიზმს უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ეს ხდება კონკრეტული სფეროებში. უკანასკნელ პერიოდში სინერგეტიკის, როგორც მულტიდისციპლინალური მეცნიერების წარმატებამ განაპირობა მისი გამოყენება საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, მათ შორის ეკონომიკაშიც.

კლასიკურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში სისტემის მდგომარეობის ცვლილების მიზეზი იძებნება სისტემის გარეთ, თვითორგანიზაციის თეორია კი მიზეზებს ეძებს სისტემის იმანენტურ თვისებებში. კლასიკური მსოფლმხედველობით სისტემა შედგება მარტივი ელემენტებისაგან. თვითორგანიზაციის თეორიის მიხედვით სისტემა წარმოადგენს იერარქიულ ქსელში მოწესრიგებულ ავტონომიურ ქვესისტემათა ერთობლიობას, რომელიც ღიაა რეორგანიზაციისათვის. კლასიკური მოსაზრებით რთული პროცესების ანალიზი დაიყვანება ცალსახა მიზეზ-შედეგობრიობაზე, ხოლო თვითორგანიზაციის ჩარჩოებში კი მიზეზები და შედეგები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთთან ციკლში, რაც იწვევს ინდეტერმინიზმს ან ალბათურ დეტერმინიზმს.

კლასიკურ შემთხვევებში არსებობს ერთი აბსოლუტური დრო, ხოლო თვითორგანიზაციის შემთხვევაში სისტემა საკუთარი შიდა პროცესების კოორდინაციას ახდენს საკუთარი დროის შესაბამისად (სისტემური დროის რელატივიზმი). ამიტომაც სინერგეტიკის იდეების გამოყენება ეკონომიკაში არ დაიყვანება მხოლოდ ჩვეულებრივი



კვლევის მეთოდების ფრაქტალური ანალიზით შევსებაზე, არამედ მოიცავს მკვლევართა პარადიგმალური წარმოდგენების ცვლილებას, ანუ მიმდინარეობს ახალი პრინციპების შერჩევა, რომელთა საფუძველზეც მომავალში განვითარდება ეკონომიკური თეორიის ახალი ვარიანტები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სინერგეტიკული და თერმოდინამიკური მიდგომა გამოიყენება განსხვავებული ხასიათის სისტემებისთვის. თერმოდინამიკური მიდგომა კორექტულია იმ შემთხვევებში, როდესაც სისტემა შედგება ერთგვარი ელემენტებისაგან, რომელთა შორისაც არსებობს თვისობრივად მსგავსი კავშირები. ამ ტიპის სისტემებისთვის ჭეშმარიტია თერმოდინამიკის მეორე კანონი (მსგავსი სისტემის მაგალითს წარმოადგენს იდეალური გაზი). მაგრამ რთული ფიზიკური, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისთვის მოწესრიგებულობის დონის განსაზღვრა შენონის ცნობილი ფორმულის გამოყენებით უაზროა ან ატარებს ფორმალურ ხასიათს.

განვიხილოთ სინერგეტიკული სისტემა, რომელიც აღწერილია შემდეგი დიფერენციალური განტოლებით [4]:

$$\partial u / \partial t = F(U) + D \Delta U \quad (1)$$

სადაც:

U- ელემენტალური მოცულობის მდგომარეობის ვექტორია (საწარმოთა, ფულის, რესურსების, აქციების რაოდენობაა ფართობის ერთეულზე);

D - გადატანის კოეფიციენტების მატრიცა (ენერჯის, ინფორმაციის, ფინანსების);

F(U) - ურთიერთქმედების სიჩქარის არაწრფივი ფუნქცია (კონკურენციის, ქიმიური რეაქციების, რესურსების) ელემენტალურ მოცულობაში.

აღნიშნულ პირობათა არარსებობის შემთხვევაში არ მოხდება არავითარი თვითორგანიზაცია და პირიქით.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ეკონომიკური თვითორგანიზაციის ცნება. ტრადიციული აზროვნების მიხედვით თვითორგანიზაციას ზოგადად უწოდებენ ფასების საბაზრო დაბალანსების პროცესს. სინერგეტიკული მიდგომის მიხედვით კი ეს პროცესი განიხილება არა როგორც თვითორგანიზაცია, არამედ ეკონომიკური სისტემის მიერ წონასწორული მდგომარეობის მიღწევა მასზე უკუკავშირის მოქმედების შედეგად. სინამდვილეში “ბაზრის უჩინარი ხელი” ვერ ქმნის სივრცობრივ-დროით სტრუქტურებს (განსხვავება ფასებში, მოგების ნორმაში და სხვ.). პირიქით, მათ იგი უგულვებელყოფს. მკაცრი განმარტებით თვითორგანიზაცია ეკონომიკაში საბაზრო რეგულაციის თვითნებური რღვევის პროცესია რომელსაც თან ახლავს ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ნაწილებში ამა თუ იმ პარამეტრებს შორის მდგრადი სხვაობის წარმოქმნა. მსგავს მოვლენებს მიეკუთვნება საქმიანი კონიუქტურის ციკლები (რყევის რეჟიმი), თეორიულწონასწორული მნიშვნელობიდან ვალუტის გაცვლითი კურსის მდგრადი გადახრა, საბირჟო პანიკები (ქაოსური რეჟიმი) და ა.შ. მსგავსი სინერგეტიკული ეფექტები ტრადიციული თვალთახედვით წარმოადგენს არასასურველს საზოგადოებისათვის (ფასების ცვლილებით გამოწვეული ინფორმაციის დამახინჯება). იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ეს მოვლენები, უნდა გაირკვეს, თუ რა უდევს ამ პროცესს საფუძველად. ნეოკლასიკური მიკროეკონომიკური თეორია აქ უძლურია პრობლემის გადაჭრისათვის მისი პარადიგმალური შეზღუდვების გამო. უნდა აღვნიშნოს, რომ სინერგეტიკული ეფექტები ეკონომიკურ სისტემას სძენს ისეთ თვისებებს, როგორცაა ეკონომიკური ტრანსაქციების გაშლადობა დროსა და სივრცეში.

რამდენადაც სინერგეტიკული ეკონომიკა იკვლევს ეკონომიკის ევოლუციას, იგი წარმოადგენს ეკონომიკური დინამიკის თეორიის ნაწილს, რომელიც მოიცავს აგრეთვე საქმიანი ციკლების თეორიას, ეკონომიკური ზრდის თეორიას და სხვა ანალიზურ

მეთოდებს. ყველა ეს მეთოდი მიეკუთვნება ეკონომიკური დინამიკის ტრადიციულ თეორიებს. სინერგეტიკული ეკონომიკა კი განაზოგადებს ეკონომიკური დინამიკის ტრადიციული თეორიას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სინერგეტიკული თეორია ეკონომიკაში შესაძლებელს ქმნის არა მარტო განმარტოს, არამედ წინასწარ განჭვრიტოს დინამიკური ეკონომიკური პროცესები, რომლებიც ვერ აიხსნება ტრადიციული თეორიითა და მეთოდებით. სინერგეტიკული ეკონომიკა ახალი იმედისმომცემი მიმართულებაა რთული ეკონომიკური მოვლენების ანალიზში.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. გუგუშვილი. მართვის სისტემები, მესამე ნაწილი. სინერგეტიკა. სტუ. თბილისი. 690 გ., 2004.
2. Прангишвили И.В. Системный подход и общесистемные закономерности. М.: СИНТЕГ, 2000. – С. 528
3. Пугачева Е.Г., Соловьев К.Н. Самоорганизация социально-экономических систем. Иркутск: Изд-во БГУЭП, 2003. <http://spkurdyumov.narod.ru/Obrazo.htm>
4. ვ. სესაძე, ვ. კეკელიძე, ნ. სესაძე. სინერგეტიკა, არაწრფივი სისტემების სინთეზი. მონოგრაფია, სტუ.თბილისი. 275 გ., 2009.

*Kapanadze Mariam  
Sesadze Valida  
Lachkebiani Diana*

### **SELF-ORGANIZATION AND THERMODYNAMIC LAWS IN ECONOMY SUMMARY**

In this article there are discussed non-traditional methods of analyzing economic processes, namely synergetic and thermodynamic approaches which are used for analysing different systems. It is shown that in a world of globalization it is impossible to study the economic processes with traditional methods, because the modern economy is nonlinear, economic environment changes very fast and long-term forecasting is not actual. The existence of synergetic effects in economy requires forecasting, planning and searching for new approaches of regulation in economics from the level of individual firms, up to the economy of the country.

*გიორგი კვინიკაძე  
ნათია ღვინჯილია*

### **გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრიულობის გეოეკონომიკური მოდელები**

თანამედროვე პოლიტეკონომიკურ, საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ და გეოეკონომიკურ კვლევებში აქცენტი კეთდება სივრცისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირზე. თანამედროვე გეოეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია სივრცის პოლიტეკონომიკური ასპექტების ურთიერთკავშირის შესწავლა. ამ მხრივ თანამედროვე გეოეკონომიკურ კვლევებში აშკარად შეიმჩნევა ოთხ ძირითად გეოეკონომიკურ მოდელზე ფოკუსირება. ეს მოდელებია:

- ლიბერალურ-გეოეკონომიკური მოდელი;
- კონსერვატულ-რადიკალური მოდელი;
- „შერეულ“-ემპირიული მოდელი;
- „გლობალური კარების“ მოდელი.

ის ლიბერალური და კონსერვატულ-რადიკალური მოდელები, რომლითაც ხდება თანამედროვე მსოფლიოს სტრუქტურის აღწერა, მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გააზრების კუთხით, გარკვეულწილად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამასთან, ეს ორივე მოდელი ატარებს მძლავრ ნორმატიულ-იდეოლოგიურ მუხტს. ლიბერალების აზრით, ეკონომიკური აქტივობა უკავშირდება მსოფლიოს სივრცობრივი სტრუქტურის ხარისხობრივად ერთგვაროვნებისაკენ სწრაფვას. კონსერვატულ-რადიკალური მოდელის მიხედვით კი, მსოფლიო ეკონომიკა შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ხარისხობრივი არაერთგვაროვნების გარეშე, ანუ ერთის მეორეზე გავლენის გარეშე.

„შერეული“ მოდელი ატარებს ემპირიულ ხასითს. იგი აერთიანებს ეკონომიკური ერთგვაროვნებისა და არაერთგვაროვნების იდეებს. ამასთან, სხვადასხვა ტიპის აქტორთა სტრუქტურაშემქმნელი საქმიანობა განსაზღვრავს მასში კომპოგენიზაციისა და იერარქიზაციის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების თანაფარდობას. ამ მოდელში საუბარი უკვე აღარაა იმ თანაბარ სარგებლიანობაზე ან ექსპლუატაციაზე, რომელიც მეტაფიზიკურადაა ჩამჯდარი შრომის გლობალური დანაწილების ბუნებაში. მიგვანია, რომ თვით ისტორია ქმნის ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობით.

ინგლისელი პოლიტეკონომის კლასიკოსის, ადამ სმიტის თეორიის თანახმად, ქვეყნებს შორის გაცვლები ურთიერთსასარგებლოა ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან მას მიყვარათ შრომის განაწილების ეფექტურობამდე და შედარებითი უპირატესობის გამოყენებამდე. თუმცა, მან თავის კვლევებში საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება პრობლემის ტერიტორიულ (გეოგრაფიულ, გეოეკონომიკურ) ასპექტზე. მთლიანობაში ადამ სმიტისთვის სოციალურ-ეკონომიკური სივრცე ერთგვაროვანია, არაერთგვაროვნება არსებობს მხოლოდ ბუნებრივი ხასიათის შედარებითი უპირატესობის განაწილებაში.

შემდგომში, ემპირიულად შემჩნეული ყველა მხარის უთანაბრობას ეკონომისტი ლიბერალები ჩვეულებრივ ხსნიდნენ მოდერნიზაციის უთანაბრობით. ამასთან, ფაქტია, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელს უწყობს ღარიბი ქვეყნების განვითარებას, რითაც პოლიტიკური სტრუქტურების სივრცობრივი არაერთგვაროვნება „დროებითი“ ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ზოგიერთმა ტერიტორიებმა „გაასწრეს“ დროს, ხოლო „ჩამორჩენილი“ ტერიტორიები მოწინავე ტერიტორიებთან ინტენსიური ურთიერთკავშირის ხარჯზე ცდილობენ შეამცირონ ეს ჩამორჩენა.

მსოფლიო, როგორც არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, გამოვლენილია „გლობალური“ სოფლის მოდელში (Mc. Luhan: 1989), რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის პროცესის განვითარების კვალობაზე ხდება მსოფლიოს სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია და კომპოგენიზაცია. ზოგიერთი მეცნიერი და პუბლიცისტი ემხრობა მსოფლიო ეკონომიკაზე მონეტარულ შესხედულებებს (მ. ფრიდმენი). ისინი ვარაუდობენ, რომ სწორედ გლობალური ეკონომიკაა ის ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთკავშირების ისეთ მეტ-ნაკლებად თანაბარ განაწილებას, რომელიც გლობალური ეკონომიკის ყველა აქტორისათვის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებსა და (იდეალში) სტაბილურ განვითარებას.

კონსერვატულ-რადიკალური მოდელი გულისხმობს კლასიკური ინგლისური პოლიტეკონომის რადიკალურად საპირისპიროს. ამ მოდელში კონტინენტალური ევროპის, როგორც კონსერვატული, ასევე რადიკალურ-სოციალისტური მიმართულების მოაზროვნეები ხაზს უსვამენ სივრცის სოციალურ-ეკონომიკური ერთგვაროვნების აუცილებლობას. ამასთან, საუბარია მათ შორის შრომის არა უბრალო დანაწილებაზე, არამედ მსოფლიოს ერთი ტერიტორიის მიერ მეორე ტერიტორიის გეოეკონომიკურ კონტროლზე.

გერმანულ ეკონომიკურ სკოლაში ეკონომიკური სივრცის ხარისხობრივი არაერთგვაროვნების პრობლემის კვლევა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობს. კერძოდ, ქალაქების გარშემო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური იერარქიის პრობლემა დააყენა ჰენრიხ ფონ ტიუნენმა თავის ნაშრომში „იზოლირებული სახელმწიფო“. მსგავს იდეებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ სისტემაზე დაყრდნობით ავითარებდა ისტორიკოს-გეოეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი. ინგლისური ფრიტრედეროების<sup>93</sup> საპირისპიროდ, იგი მუთითებდა საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის აუცილებლობაზე, რათა განვითარებულიყო ქვეყნის საწარმოო ძალები. მისი აზრით, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის თავისუფალ ვაჭრობას მიყვავრთ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან მათ ეკონომიკურ „კოლონიზაციამდე“.

რაც შეეხება კლასიკურ მარქსიზმს, მან აქცენტი გააკეთა კაპიტალისტური ეკონომიკური სივრცის შიგნით არსებულ ექსპლუატაციაზე. ამასთან, მარქსისა და ენგელსის პროლეტარები და ბურჟუაზია, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრობდნენ ევროპაში. პრაქტიკულად ამის იქით ისინი არ წასულან. თუმცა, მარქსისტების შემდეგი თაობა ხაზს უსვამდა კოლონიების როლს კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბებაში. შედარებით გვიან მარქსიზმისთვის მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის სივრცობრივი დიფერენციაცია გახდა გარკვეული პარალელის გავლების საფუძველი მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

მსგავსი იდეები, ფ. ბროდელზე დაყრდნობით, განავითარა იმანუელ ვალერშტაინმა (Wallerstein I.: 1974; 1979; 1980; 1989) „მსოფლიო სისტემების“ თეორიაში. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიო წარმოადგენს იერარქიულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. ამასთან, საუბარია შრომის არა მარტივ დანაწილებაზე, არამედ სისტემაზე, სადაც ხდება ბირთვის სახელმწიფოების მიერ პერიფერიული ტერიტორიების ექსპლუატაცია. მსგავსი ინტერპრეტაციები დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეებისათვის, რომლებიც არ შედიან ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში (განსაკუთრებით რუსეთში, ჩრდილოეთ კორეასა და კუბაში).

გლობალიზაციის ერთ-ერთ თანამედროვე მოდელში, რომელიც ცნობილია, როგორც „ოქროს მილიარდის“ თეორია, ასევე ხაზგასმულია თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური პოტენციალის არათანაბარი განაწილება.

რაც შეეხება „შერეულ“-ემპირიულ მოდელს, იგი, უპირველეს ყოვლისა, სათავეს იღებს ფ. ბროდელის შრომებიდან. მისი შეხედულებების თანახმად, ისტორიულად არსებობდა განსაკუთრებული სტრუქტურები: ეკონომიკის – სამყარო, რომელიც შედარებით ჩაკეტილი იყო სხვა ეკონომიკის – სამყაროთა მიმართ. მათი საზღვრები კი საკმაოდ მყარი იყო. ამჟამად, ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური ეკონომიკური სამყაროს პირობებში, რომელიც შეიქმნა დასავლეთევროპული ეკონომიკის სამყაროს ექსპანსიით და სათავეს იღებს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან. ამჟამინდელი ეკონომიკის სამყაროთა სტრუქტურა ძლიერ არასტაბილურია. იგი სიმჭიდროვეს და „სიღრმეს“ ფლობს მხოლოდ ცენტრალურ ზონაში.

თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სტრუქტურისა და ფ. ბროდელის მსგავსი მოდელი დამუშავებული იქნა „გლობალური კარების“ თეორიის ჩარჩოებში (Casey T., 2004; Casson M., 2002; Ansell C., 2000; Sassen S., 1991; Trigilia C., 2001 და სხვა). ამ თეორიის ფორმატში მსოფლიო კონომიკა განიხილება, როგორც მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომლის „ხედა“ სართულს შეადგენს ე.წ. „გლობალური სამყაროს კარების“ ქსელი (ჩვენი

<sup>93</sup> მიმართულება ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკაში, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია ვაჭრობის თავისუფლება და სახელმწიფოს ჩაურევლობა კერძო მეწარმეთა საქმიანობაში.

აზრით, ის არის თანამედროვე გეოეკონომიკური მოდელი). მასში მოიაზრება იმ მეგაპოლისების კომპაქტური ტერიტორიები, რომლებიც თავის თავში ითავსებს სატრანსპორტო კვანძების, ფინანსური ცენტრების, ასევე განათლების, მეცნიერების და პოლიტიკური გავლენის ფუნქციებს.

„გლობალური სამყაროს კარები“ უზრუნველყოფს იმ ფართო ტერიტორიების შესვლას გლობალურ ეკონომიკაში, რომლებიც შედიან მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზიდულობის სფეროში. რასაკვირველია, ყველა ქვეყანას არ გააჩნია ასეთი „კარები“. ამიტომ მან შეიძლება მოიცვას არა ერთი, არამედ რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორია, ამდენად, „გლობალური კარების“ თეორიაში გამოვყოფთ: **„გლობალურ კარებს“ (პირველი რიგის), „რეგიონულ კარებს“ (მეორე რიგის), „გლოკალურ კარებს“ (მესამე რიგის) და „ლოკალურ კარებს“ (მეოთხე რიგის).** (კურსივი ჩვენია გ.კ.; ნ.დ.).

„გლობალური კარების“ ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ტრანსაქციული ეკონომიკა (სხვადასხვა მაღალსპეციალიზებული ფინანსური და მენეჯერული მომსახურება), ცოდნის ეკონომიკა (განათლების, მეცნიერებისა და კვლევების სფეროში საქმიანობა), ასევე თანამედროვე სატრანსპორტო და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დიდი დინების სწრაფ გადაცემას და ადამიანური კონტაქტების მედიაციის უნარს (აეროპორტები, სასტუმროები, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ.). „კარებების“ ტერიტორიებზე თავმოყრილია იმ აზრებისა და ტექსტის სახეები (სემიოტიკური აზრით), რომელთა ტირაჟირება ხდება გლობალურ დონეზე (კინოწარმოების ცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები, გლობალური ტელეკომუნიკაციების საშუალებები, მაღალი მოდა, საგამომცემლო ინდუსტრია, გლობალური რეკლამა და გლობალური პიარი).

„გლობალური კარებები“ იქმნება ერთ გეოგრაფიულ წერტილში სოციალური ქსელების უკიდურესად მაღალი კონცენტრაციით, უპირველეს ყოვლისა კი, ნდობის ქსელებით. სხვადასხვა ტიპის სოციალური ქსელების კონცენტრაცია ერთ წერტილში უზრუნველყოფს ტრანსაქციული დანახარჯების მკვეთრ შემცირებას, რის შედეგადაც უდიდეს ტერიტორიებზე ხდება შუამავალი ცენტრების აღმოცენება ურთიერთქმედების ყველა ტიპისათვის.

ეკონომიკურ მოსაზრებებს (მაგ., საზღვაო ქვეყნების სავაჭრო ეკონომიკის თანაფარდობა ხმელეთის ქვეყნების ნატურალურ ეკონომიკასთან) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიციულ გეოეკონომიკაში. გეოეკონომიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის მიწურულს. ბოლო წლებში იგი საკმაოდ სწრაფად ვითარდება მთელ მსოფლიოში, ვინაიდან ძალიან არის გაზრდილი ეკონომიკური პროცესების როლი გლობალური სივრცის პოლიტიკურ სტრუქტურისაში (Attal S., 1990; Luttwak E. N., 1990; Luttwak E. N., 1999; Luttwak E. N., 1998; Krugman P., 1991; Porter M., 1990; Jean C., 1995; Vernon R., 1993, 1994; Prucker P. F., 1994 და ა.შ.).

ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამომხატველია ედვარდ ლუტვაკი. სტატიაში „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა“ ის უპირისპირებს საგარეო გეოპოლიტიკურ მიზნებს გეოეკონომიკას, როგორც სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვებაზე (გ. კვინიკაძე, 2008).

გეოეკონომიკის მეორე ფუნდამენტური იდეაა წარმოდგენები თანამედროვე მსოფლიოს სამ წამყვან ეკონომიკურ ზონაში უპირატესი გეოპოლიტიკური როლის შესახებ: ჩრდილოეთ ამერიკის სივრცე აშშ-ს ირგვლივ, ევროპის ტერიტორია, რომელიც ინტეგრირებულია ევროკავშირის შიგნით და აზიური წყნაროკეანური რეგიონი, რომელსაც გააჩნია რამდენიმე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ცენტრი (ტოკიო, შანხაი, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური).

ამდენად, თანამედროვე გეოეკონომიკური კვლევები ეხება რიგ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც მულტიდისციპლინური ხასიათისაა (ტერიტორია, ეკონომიკა, გეოპოლიტიკა) და რომლის გადაჭრაც მოუწევს ახალ დისციპლინას – გეოეკონომიკას. ეს პრობლემებია:

ა) მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობის სივრცობრივი სტრუქტურების მეთოდებით თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირების შესწავლა გეოპოლიტიკურ, სამხედრო, გეოცივილიზაციურ სფეროებთან;

ბ) მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი სტრუქტურების (ტნკ, ეკონომიკური რეგიონები, ქალაქები, ქსელური და არაფორმალური სტრუქტურები) გავლენა მსოფლიოს ახალ წესრიგზე (რომელსაც ჩვენ გლობალურ გეოეკონომიკურ წესრიგს ვუწოდებთ, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი უკვე აღარ ემთხვევა მის პოლიტიკურ საზღვარს);

გ) იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურის იმ ნაწილში, რომლებიც არეგულირებენ გლობალურ გაცვლებსა და ინვესტიციებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში სხვადასხვა დონეზე;

დ) გლობალური ეკონომიკის სხვადასხვა აქტორთა თანაფარდობის კვლევა შრომის ახალი გეოეკონომიკური დანაწილების საფუძველზე (მაგ., ახალი მაღალტექნოლოგიური, სანედლეულო და ა.შ.);

ე) გლობალური ეკონომიკის განვითარება და კრიზისის რეგულირების გეოეკონომიკური ტექნოლოგიების შექმნა სახელმწიფოთა დონეზე.

#### ბამოყენებული ლიტერატურა

1. Mc. Luhan H.M., Powers B.R. The Global Village: Transformations in World Life and Media in the 21<sup>st</sup> Century. Oxford University Press, 1989;
2. Wallersterin I. The Modern World-System I: Capitalist Agriculture and the Origins of the European World-Economy in the Sixteenth Century. N.Y.,L., 1974;
3. Wallersterin I. The Capitalist World-Economy. Cambridge., 1979;
4. Wallerstein I. The Modern World-System II: Mercantilism and the Consolidation of the European World-Economy, 1600-1750. N.Y.,1980;
5. Wallerstein I. The Modern World-System III: The Second Great Expansion of the Capitalist World-Economy , 1730-1840's. San Diego, 1989;
6. Casey T. Social Capital and Regional Economies in Britain. – Political Studies, vol. 25. №1., 2004;
7. Casson M. Analyzing Regional Business Networks: An Economic Perspective. University of Reading, Department of Economics Working Paper., 2002;
8. Ansell C. The Networked Polity: Regional Development in Western Europe, - Governance, vol. 13, №2., 2000;
9. Sassen S. The Global City: New York, London, Tokyo, Princeton. 1991;
10. Trigilia C. Social Capital and Local Development. – European Journal of Social Theory, №4, 2001;
11. Attali J. Lignes d'horizon. Paris, 1990;
12. Luttwak E. N. From Geopolitics to Geo-economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce. //The National Interest. Summer 1990. p. 17-23;
13. Luttwak E. N. The Endangered American Dream., New York: Simon and Schuster, 1993;
14. Luttwak E. N. Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy. L., 1998;
15. Paul Krugman (ed.). Geography and Trade. Cambridge (Mass.): Mit, Cambridge University Press, 1991;

16. Porter Michael. The Competitive Advantage of Nations, London: macMillan, 1990;
17. Carlo Jean, Geopolitica, Laterza. Roma, Bari, 1995;
18. Vernon R. Geo-Economics // The National Interest, Winter 1991/1994;
19. Drucker P.F. Trade Lessons from the World Economy // Foreign Affairs, jan./feb. 1994. p. 99-108.
20. კვინიკაძე გ. გეოეკონომიკა. თბილისი, 2008.

*Kvinikadze Giorgi  
Ghvinjilia Natia*

## GEO-ECONOMICAL MODELS OF THE ASYMMETRY OF GLOBAL ECONOMIC SPACE SUMMARY

In the last two decades, political-economic, human-geographical and geo-economic research focus on the relationship of space and economy. It is going the process of economization of policy. A new direction of social sciences – geo-economics is forming, which starts its function into the new global economic space clearly expressed in terms of asymmetry. Authors separated four major geo-economical models of the global economical space (liberal-geo-economic, conservative-radical, “mixed”-empirical, “global door”). Are assessed the strengths and weaknesses of these models from the position of Geo-economics. The future Geo-economic researches major orients in the context of asymmetry of the global economic space is defined by the authors.

*ელგუჯა კონჯარია*

### ეკონომიკის გლობალიზაციის არსის ბაზებისათვის

დღევანდელი ეკონომიკა განუყოფელია გლობალიზაციისაგან. გლობალიზაციის თემის პოპულარობა 90-იანი წლებიდან მომდინარეობს. ბევრი სწავლული ცდილობდა, ეპოვა თანამედროვე გლობალიზაციისა და მისი ისტორიული ანალოგების საერთო ძირები.

გლობალიზაციის ისტორიული პრეცედენტები შეგვიძლია ვეძებოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში. თუმცა გლობალიზაციის ადრეული ფორმები არსებობდა ძველ მსოფლიოშიც, ამის მაგალითია რომის იმპერია, ხანის დინასტია. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყო „აბრეშუმის გზის“ მშენებლობა. ასევე შეგვიძლია დავასახელოთ „ისლამის ოქროს ხანა“. მუსულმანმა ვაჭრებმა მოახდინეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზება. მონღოლთა იმპერიაში კი აბრეშუმის გზამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. 1850 წელს ინდუსტრიული რევოლუციის მხარდმა აღმავლობამ მოითხოვა მეტი რესურსები და გლობალური ბაზარი. ასეთ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი „გამოუსადგარი“ გახდა. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას.

გლობალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ პროცესებს. იან შოლტეს განმარტებით, „გლობალიზაცია აღნიშნავს პროცესებს, რომელთა მეოხებითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები“. შოლტე ასევე გამოყოფს გლობალიზაციის ასპექტებს.

კომუნიკაციების სფეროში გლობალიზაციას ციფრულმა ტექნოლოგიებმა, სატელეფონო კავშირმა, ელექტრონულმა მასმედია და სხვა საშუალებებმა შეუწყო ხელი.

ორგანიზაციების სფეროში გლობალიზაცია გამოიხატება კომპანიების, ასოციაციების და მარეგულირებელი უწყებების ზრდით.

ეკოლოგიურად გლობალიზაცია გამოიხატა ისეთ ფენომენში, როგორცაა პლანეტის ჰავის ცვლილება, ცალკეული ბუნებრივი რესურსის შესაძლო ამოწურვა და დედამიწის ბუნებრივი მრავალფეროვნების შემცირება. ამ მოვლენის იზოლირება შეუძლებელია.

წარმოების სფეროში იზრდება „გლობალური ფაბრიკები“, რომლებმაც მოიცვეს ისეთი სექტორები, როგორცაა საავტომობილო მრეწველობა და მიკროელექტრონიკა. რამდენიმე ქვეყანა ერთ საწარმოო ხაზად ერთიანდება. გაჩნდა საფონდო ბირჟები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოცდაოთხი საათი მუშაობენ. გლობალიზაციას უკავშირდება დედამიწის ყველა კუთხეში აღიარებული საკრედიტო ბარათების გავრცელება და ზოგიერთი ვალუტის მზარდი გამოყენება.

სამხედრო სფეროში თვალსაჩინო გახდა გლობალური შეიარაღების ეპოქის დადგომა. კონტინენტაშორისი ბალისტიკური რაკეტების, საჯაშუშო თანამგზავრებისა და მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მთელი მსოფლიო ერთ სტრატეგიულ არეალად გადაიქცა.

რა კავშირშია ეკონომიკა და გლობალიზაცია ერთმანეთთან?

ეკონომიკა ადამიანების სამეურნეო ურთიერთობების სფეროა, სადაც ზოგი ქმნის პროდუქციას ან მომსახურებას და ზოგიც მოიხმარს მათ. პროდუქციის შექმნა რთული პროცესია.

ეკონომიკური გლობალიზაცია, ანუ სამეურნეო და გაცვლითი ურთიერთ-თანამშრომლობა ქვეყნების გარეთ მსოფლიოში დიდი ხანია დაწყებულია. ეს, სულ მცირე, მას შემდეგ ხდება, რაც მეფეები ყველა მიმართულებით გზავნიდნენ მოგზაურებს, რათა გაერკვიათ სხვა ქვეყნების შესახებ ინფორმაცია.

გლობალიზაცია, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ობიექტური ტენდენცია, დამატებით შესაძლებლობებს ქმნის და მნიშვნელოვან სარგებლობას ჰპირდება ცალკეულ ქვეყანათა ეკონომიკას. ამ ობიექტური პროცესის შედეგად მიიღწევა ეკონომია წარმოების დანახარჯებში, ოპტიმალურად განთავსდება რესურსები მსოფლიო მასშტაბით, ფართოვდება საქონელთა ასორტიმენტი და მადლდება მისი ხარისხი ეროვნულ ბაზრებზე.

გლობალიზაციის პროცესი მე-20-21-ე სს. მიჯნაზე, ისეთი თვისებრივად ახალი მომენტებით აღინიშნება, როგორცაა სისწრაფე, მასშტაბურობა, მრავალფეროვნება. ამასთან წარმოების ინტერნაციონალიზაციის ახალი, თანამედროვე ეტაპი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირშია, მის განვითარებასა და შედეგებს აქვს მსოფლიო ხასიათის რიგი ნიშან-თვისება, რაც განპირობებულია ერთობლივი საერთაშორისო ძალისხმევით. თანამედროვე, უწყვეტი და განახლებადი მეცნიერება, ტექნიკა და ტექნოლოგია იმდენად მასშტაბური და ყოველმხრივია, რომ მათი გამოყენება და მართვა შეუძლებელია მხოლოდ ერთი, თუნდაც დიდი და ძლიერი ქვეყნისათვის.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინსტიტუციურ საფუძველს ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს. გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც უმთავრესად მიმართულია ეკონომიკური განვითარების არსებული დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამაღლებსაკენ.

იმისათვის, რომ ეკონომიკის გლობალიზაციისაგან მაღალი ეფექტიანობა მივიღოთ, აუცილებელია მაღალი საერთაშორისო ქცევის განსაზღვრული ნორმების დაცვა, ჯერ ერთი უნდა მივაღწიოთ ინფორმაციის გახსნილობას და გამჭვირვალობას და, მეორე, ლიკვიდირებული უნდა იქნეს მფარველობა, კორუფცია და სხვა. სახელმწიფოთა მთავრობებმა დროულად უნდა აღიარონ და გამოასწორონ დაშვებული შეცდომები.

ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით მიმდინარე იმ პროცესს, რომელიც გამუდმებით აძლიერებს ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთგავლენას და ურთიერთდამოკიდებულებას. ეკონომიკური



გლობალიზაცია ვლინდება საგარეო ვაჭრობის და კაპიტალების საერთაშორისო მოძრაობის მასშტაბის და მნიშვნელობის ზრდაში, ეკონომიკური ინტეგრაციისა და კოოპერაციის გაძლიერებაში როგორც სახელმწიფოთაშორისი, ასევე ცალკეული კომპანიების დონეზე, აგრეთვე ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის ზრდაში.

გლობალური ეკონომიკა შეგვიძლია ერთგვარად დავახასიათოთ მისი შემდეგი სამი პოსტულატის მეშვეობით: პირველი, ესაა ეკონომიკურ ურთიერთობათა პრინციპულად ახალი სისტემა, რომელიც ეროვნულ მეურნეობათა სტრუქტურასა და დინამიკას განსაზღვრავს; მეორე, მისი მთავარი შემოქმედია ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეროვნული მეურნეობები და ლოკალური ცივილიზაცია; მესამე, მის, ერთიანობას უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზრის, კვლავწარმოებითი პროცესების, ტექნოლოგიური დინამიზმის ეკოლოგიური პრობლემებისა და ფასეულობითი მექანიზმების ერთიანობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში საქონლისა და ნედლეულის ბაზრები მსოფლიო ფინანსური ბაზრის მიერ ნებისმიერი ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების კონტროლის ელემენტარულ საშუალებასაც არ იძლევა. სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შესაფასებლად მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია სამეურნეო სისტემის ეკონომიკური პოტენციალის მაჩვენებელი.

„ეკონომიკური პოტენციალის“ კატეგორია მჭიდრო კავშირში ურთიერთობაშია ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა: „ეროვნული სიმდიდრე“, „ეკონომიკური ძლიერება“, „რესურსები“ და ა.შ.

„ეროვნული სიმდიდრე“ – ეს არის მატერიალური კეთილდღეობის ერთობლიობა, რომელიც შექმნილია წინამორბედი და ახლანდელი თაობების მიერ და ჩართულია ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების პროცესში. მოკლედ „ეროვნული სიმდიდრე“, ეს არის ბუნებრივი რესურსები, შექმნილი წარმოების საშუალებების, მატერიალური დოვლათის და სხვა ფაქტორთა ერთობლიობით, რომელსაც ქვეყანა ფლობს.

ეკონომიკური პოტენციალის არსის გასარკვევად შეიძლება გამოვყოთ 4 მიდგომა:

1. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც ეროვნული მეურნეობის დარგთა ერთობლივი შესაძლებლობა;
2. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც არსებული რესურსების ერთობლიობა;
3. ტერმინების: „ეკონომიკური პოტენციალის“, „ეკონომიკური ძლიერების“, „სახალხო მეურნეობრივი პოტენციალის“ გაიგივება;
4. ეკონომიკური პოტენციალი, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტებს შორის ეკონომიკური და წარმოებით ურთიერთობათა შედეგი.

რა იყო ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აღმასვლას?

ეკონომიკური კავშირების მოშლა, რუსეთის ხელისუფლების იმპერიული ზრახვებისაკენ კვლავინდებური ღტოლვა, ეროვნებათაშორისი შუღლი, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ადმინისტრაციულ-მხრძანებლური სისტემის გადმონაშთების არსებობა, 400-ათასიან ლტოლვილთა შენახვა, აი პრობლემათა წრე, რომლებიც ართულებდა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განხორციელებას.

ამას ისიც დაემატა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოცდილების არარსებობისა და ყოველგვარი მომზადების გარეშე დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შედეგი ვერ მოგვცა და ეს გაგრძელდა 2004 წლამდე.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე ეკონომიკური ცხოვრების მოშლამ, ჰიპერინფლაციამ, კორუფციის ფართო მასშტაბებმა, სუსტმა საგადასახადო ადმინისტრირებამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაუგონარ დონემდე შემცირება. ამასთან, ქვეყანას 1995 წლამდე დამტკიცებული ბიუჯეტი არ გააჩნდა.

ეკონომიკასა და განსაკუთრებით ფინანსების გლობალიზაციის ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა ევროკავშირის ქვეყნების მიერ ვალუტათა კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება. სწორედ ევროპული ვარიანტი იძლეოდა საშუალებას, ლიკვიდირებული ყოფილიყო სავალუტო კურსების გაურკვეველობა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შეერთდნენ ევროპის სავალუტო კავშირში. სავალუტო კურსების მერყეობა ევროპის და სხვა ქვეყნებს შორის კვლავაც შენარჩუნდა.

გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიოში კონფლიქტების მასშტაბების შემცირებას და საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერებას. გლობალიზაციას შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, თუმცა ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები იმისდა მიხედვით, თუ ისინი როგორი ეფექტიანობით გამოიყენებენ გლობალიზაციის საგნობრივ რეალურ შესაძლებლობებს. ამასთან, გლობალიზაციას შინაგანად გააჩნია რისკის მრავალმხრივი შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის არასტაბილურობასა და უთანაბრო განვითარებასთან. გლობალიზაცია ეკონომიკის არასტაბილურობის გაძლიერებას იმის გამო იწვევს, რომ ადგილი აქვს კაპიტალის უფრო სწრაფ მოძრაობას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მცდარი გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგების გაძლიერებას.

გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური შედეგი შეგვიძლია ვნახოთ სავალუტო სფეროში – პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში შესაძლებელია ვნახოთ სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულების გადამცვლელი პუნქტები და ბანკები, რომლებიც სრულიად ადვილად ახდენენ ადგილობრივი ფულის ნიშნებში გადაყვანას. ეს შესაძლებელს ხდის, გამოძრაოთ ფინანსური რესურსები განსაკუთრებული წინააღმდეგობების გარეშე. ამ სფეროში გლობალიზაციის შედეგები კიდევ უფრო კარგად ჩანს სავალუტო, საფინანსო ან საქონლის ბირჟების ყოველ საათობრივ ინფორმაციაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში; ნიუ-ორკის, ლონდონისა და ტოკიოს ბირჟებზე დოლარის კურსი სხვა ვალუტებთან ან საქონლის ფასები ერთი და იმავე დროს პრაქტიკულად ერთნაირია, რაც მიიღწევა გაცვლების ინფორმაციის სწრაფი გავრცელებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით. გლობალიზაციის პირობებში რესურსების გამოყენება გაცილებით უფრო გამარტივდა და ხელმისაწვდომი გახდა.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ასპექტი ასევე დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელების ხარისხთან. ინფორმაციის გავრცელების სიჩქარემ დღეს მანამდე წარუდგენელ დონეს მიაღწია. კომუნიკაციები დღეს კარდინალურად განსხვავდება არა მარტო ერთი საუკუნის წინანდელი მდგომარეობისაგან, არამედ 10 წლის წინანდელისაგან. ფასები 20 წელიწადში 20-ჯერ და მეტჯერ დაეცა.

ინტერნეტმა გლობალიზაცია ახალ ეტაპზე გაიყვანა. დღევანდელ პერიოდში ყოველდღიურად 300-400 მლნ ადამიანი უკავშირდება ინფორმაციის გლობალურ ბანკებს.

გლობალიზაციამ შექმნა პირობები უფრო ინტენსიური კავშირებისა და თანამშრომლობისათვის. ბოლო 50 წელიწადმა მსოფლიო უფრო გახსნილი გახადა, რამაც გაზარდა ვაჭრობის შესაძლებლობები. სულ უფრო მეტი და მეტი ინვესტირება ხდება განვითარებად სამყაროში.

გლობალიზაციის ეკონომიკური შედეგები შესაძლებელია მხოლოდ დადებითად შეფასდეს. მეტი გლობალიზაცია, ანუ ეკონომიკური კარგახსნილობა და თანამშრომლობა გაცილებით მეტ განვითარებას გვპირდება, განსაკუთრებით კი ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს. გლობალიზაცია კარგი სკოლაა მათთვის, რათა შეეგუონ მსოფლიო ბაზრის წესრიგს და კონკურენციას და ისწავლონ წარმატებების მიღწევა. გლობალიზაცია ამსხვრევს ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ბარიერებს და მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას აძლევს უბრალო ადამიანებს, რათა მათ საკუთარი ტალანტები და

უნარები უკეთ გამოიყენონ. გლობალიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ინდივიდებსა და საწარმოებს, სხვადასხვა ქვეყნების ამომრჩეველებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ დაპირისპირებას და მხარს უჭერენ მშვიდობას. გლობალიზაციის პროცესი უაღრესად წინააღმდეგობრივია და მას, პოზიტიურთან ერთად, ნეგატიური მოვლენებიც ახლავს თან. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ „გლობალიზაცია პოზიციებს უმაგრებს და აყვავებას უქადის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკას, ხოლო დეპრესიაში აგდებს სუსტ და კონკურენტუნარიან მეურნეობებს; უზარმაზარ სიმდიდრეს აგროვებს მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების სისტემის ერთ პოლუსზე, არასტაბილურობასა და სიღატაკეს კი – მეორეზე“.

*Konjaria Elguja*

## **CONCERNING COMPREHENSION OF THE ESSENCE OF GLOBALIZATION OF ECONOMY SUMMARY**

The world economy is indivisible from globalization today. Globalization could be explained as a process that breaks national borders, brings together national economies, cultures, technologies, enterprises.

The global economy connects the fate of countries and the failure of one country is chained to another and when its scale grows, it becomes dangerous to regulate it.

The most important form of the globalization of the world economy is the globalization of the manufacturing processes. Out of all its forms, the most essential and large-scaled is the functioning of transnational capital.

It looks that it is home how separated from the country today and it is equally vital phenomenon with organizational structure and internal interests and tasks.

The main point of the globalization of economy lies in its liberalization and joining the countries in the world economic cooperation, trade investments and other directions.

Any country of the world sooner or later will have to join international or regional economic organizations to work out the proper strategy and politics of globalization.

Globalization causes the reinforcement of non-stability of economy, because the movement of capital speeds up and it increases the advance effects of wrong decisions

For functioning the methods of globalization effectively in developing countries, it is necessary to set up rules defining international relationships. It is about imposing the restrictions in the functioning sphere of globalization.

*რამაზ ნამიჭეიშვილი*

**საქართველოს ევროპიზაცია, ანუ ეკონომიკური დამოუკიდებლობის დასასრული**

*ღვთისა გემინოდეს და დაიცავი მცნებანი  
მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი  
ეკლესიასტე*

დასავლეთ ევროპის დასასრული მეოცე საუკუნის მიჯნაზე წარმოაჩინა ოსვალდ შპენგლერმა<sup>94</sup> იმავე საუკუნის დასაწყისს, რომელიც გაიზიარა ნიკოლაი ბერდიაევმა<sup>95</sup>.

<sup>94</sup> ოსვალდ შპენგლერი – გერმანელი იდეალისტი, სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი, კონსერვატორულ-ნაციონალისტური მიმართულების პუბლიცისტი. მხედველობაში მაქვს მისი გახმაურებული შრომა “ევროპის დასასრული”, ტ. 1 და 2.

<sup>95</sup> ნიკოლაი ბერდიაევი – რელიგიისა და პოლიტიკის ფილოსოფოსი, ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი.

შპენგლერი ევროპის დასასრულს იმით ხსნიდა, რომ ევროპამ სულიერ და მატერიალურ განვითარებას შორის არჩევანი უკანასკნელზე შეაჩერა. სულიერებას, მისი აზრით, კულტურა ავითარებს. კულტურა კულტისაგან წარმოსდგება და პირდაპირ უკავშირდება წინაპრების ტრადიციებს, წმინდა წერილებისადმი თაყვანისცემას. ამდენად, იგი რელიგიურია. მატერიალურზე ორიენტაციას ცივილიზაცია ქმნის, რომელიც სრულიად გულგრილია კოლექტიური სულიერებისადმი, ხელოვნებისა და რელიგიისადმი.

ცივილიზაცია ქმნის ტექნიკურ პროგრესს, იგი კულტურის ბედისწერაა, ვინაიდან იწვევს ზნეობრივი ინსტიტუტების დავიწყებას, ოჯახის მოშლას, უშიშრობას (უნაყოფობას) და ერის გადაშენებას. შპენგლერის მაშინდელი შორეული ხედვები ახლა ფაქტობრივია – ევროპა იღუპება და თავის თავს ვერაფრით შეველის, ყველაფერი იმ სცენარით მიდის, როგორც შპენგლერმა დაწერა: ჩვენ მოვკვდებით შეგნებულად, გამოცდილი ექიმის თვალს გაგაყოლებთ ჩვენი გახრწნის თითოეულ სტადიას.

ევროპული წარმოშობის ადამიანები 1960 წელს მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდა, 2000 წელს – მეექვსედს, 2050 წელს მეთექვსედი იქნება, ანუ 10 აქტიურ მუშაკს 7 პენსიონერი “ჩამოეკიდება“. ავადმყოფობა ყველაფერს ემართება, კატასტროფას იწვევს, როცა ეპიდემიის ხასიათს მიიღებს. მართალია, ევროპის ცხოვრების მაღალი სტანდარტები სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაგრძელების საშუალებაა, მაგრამ მან, იმავდროულად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება და დაბერების საშუალო ასაკის მატება გამოიწვია. 2050 წელს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური ნაწილი 52 მლნ ადამიანით ნაკლები იქნება, ხოლო 65 წლისა და უფრო მაღალი ასაკის ადამიანების რიცხვი მათი მოსახლეობის მესამედი გახდება. ამის საბოლოო შედეგი იქნება ის, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის სიკვდილიანობა მოხუცებულობის გამო გადააჭარბებს სიკვდილიანობას.

ევროკავშირში შობადობა, საშუალოდ, ერთ ქალზე 1,5 ბავშვს არ აღემატება, მაშინ, როცა მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოებისათვის ერთ ქალზე შობადობა 2,1 ბავშვი უნდა იყოს. გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, ფინეთში, ბელგიაში, რუმინეთსა და ბულგარეთში, ბალტიის ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება უარყოფითი სიდიდისაა – ნულზე დაბალია. ეროვნული თვითმყოფადობის შეხსენებად ისმის პ. ბიუკენენის სიტყვები: გერმანიაში კუბოები უფრო მეტად სჭირდებათ, ვიდრე ბავშვის საწოლები<sup>96</sup>. ასეთი დემოგრაფიული სიტუაციის გაგრძელება, როგორც ეს ევროპის დემოგრაფიული საბჭოს მოხსენებიდან ჩანს, გამოიწვევს იმას, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან წამოსულები ინგლისის უძველესი ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა გახდება. პარიზის ელისეის მინდვრებზე არაბული ენა იმძლავრებს, თურქული ენა გერმანიაში სახელმწიფო ენის სტატუსს მოიპოვებს, ალბანელები აავსებენ რომის ქუჩებს, რუსეთი “გაყვითლდება” ურალიდან ვლადივოსტოკამდე...

ევროპაში დეპოპულაციის ტენდენცია მაშინ გაჩნდა, როცა სულიერი კულტურის ტრადიციას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მატერიალური მოტივაციები შეენაცვლა. შეიქმნა ყალბი ლიბერალური დოქტრინა და მისგან გამომდინარე პოლიტიკა, რომლის თანახმად, ადამიანი, როგორც ინდივიდი, თავისუფალია და დამოკიდებულია სოციალურ აღზრდაზე, მეორეხარისხოვანია ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, რასობრივი და იდენტობის ფენომენები. ამოქმედდა ფსევდოპოლიტიკური დოქტრინა, რომლის თანახმად, ადამიანი ერთნაირია რელიგიური აღმსარებლობის, ადგილმდებარეობისა და კანის ფერის მიუხედავად, რომ ევროპულ სახელმწიფოებში სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიგრაცია,

<sup>96</sup> პატრიკ ბიუკენენი – ამერიკელი პოლიტიკოსი და ტელეკომენტატორი, რიჩარდ ნიქსონისა და რონალდ რეიგანის მრჩეველი. ავტორი ბესტსელერისა “დასავლეთის სიკვდილი”.

რომელიც მათ დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად სჭირდებოდათ, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ასიმილაციას გამოიწვევდა. ამ სოციალურ დოქტრინას ფრანკფურტის სკოლა ავითარებდა<sup>97</sup>. მისი წარმომადგენლები დ. ლუკაჩი, ა. გრამში, ჩ. რაიხი, ე. ბერკი, ჰ. მარკუზე იდეოლოგიური მტრები არიან დასავლეთ ევროპის კულტურისა, ქრისტიანობისა, ოჯახის ავტორიტეტისა, პატრიარქატისა, ტრადიციებისა, რწმენისა, პატრიოტიზმისა, ნაციონალიზმისა, ეთნოცენტრიზმისა, კონფორმიზმისა და კონსერვატიულობისა. მათი აზრით, ტრადიციული ოჯახის განადგურება იოლად შეიძლება დაწყებითი სკოლის პროგრამებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილების შემოღებით. ეს უბედური – სექსის, ფუფუნების, გართობის თეორია, არაქრისტიანულად და არაადამიანურად სწორია.

აღზრდის პრინციპები შეზღუდვებს გულისხმობს, ბავშვები ხომ სიღრმისეულად არ აზროვნებენ, შორეული მიზნები არ გააჩნიათ, მათ ქმედებებში ცხოველური ინსტინქტები ჭარბობს. “როცა მოსწავლეები გარკვეულ ასაკს აღწევენ, ბუნებრივად იძენენ ინსტინქტებს, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენს მათ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, თუ მას არ ალაგმავენ აღზრდის სწორი და მიზანმიმართული სისტემით. ამ სისტემის ალაგმვა, ახალგაზრდის გონებრივი განვითარების წარმართვა ისე, რომ ამ ინსტინქტებს დრომდე უმწიკვლოდ ეძინოთ, აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა როგორც სახლში, ასევე სკოლაში”<sup>98</sup>. საზოგადოებრივმა ცხოვრებამ აიძულა ადამიანი ბავშვობიდანვე ესწავლა ინსტინქტების მართვა, შემოელო აკრძალვები და პასუხისმგებლობრივი პრინციპები, რომელიც, საბოლოოდ, ინსტიტუტის ფორმას იღებს. ეს ინსტიტუტები ბავშვობის ასაკში მუშაობს რწმუნებებისა და აკრძალვების (აკრძალვები აღზრდის მიმმართველებია) რეჟიმებით. რელიგია აკრძალვებით ქმნის ადამიანის თავისუფლებას, სხვანაირად თავისუფლების ფილოსოფია გაუგებარი იქნებოდა. ახლა ხილული სინამდვილეა – ევროპა თავიკვე დაეშვა და ეს მის უმრავლესობას არც აღეღებს, ვინაიდან ეროვნული პასუხისმგებლობა დაკარგული აქვს და არც აინტერესებს რა საჭიროა იგი.

ბიუკენენი დასახელებულ წიგნში არ ხსნის იმას, თუ რამ მისცა ასეთი მასობრივი ხასიათი ფრანკფურტის სკოლას, რომლის ადამიანის გამხრწნელი თეორია ევროპიდან მთელი განვითარებული მსოფლიოს ცხოვრების წესად იქცა. იგი ამ თეორიის საფუძველს მარქსის მოძღვრებაში ხედავს, რაც, ჩემი აზრით, მთლად სწორი არ არის. მარქსის დოქტრინა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ თეორიად ვერ იქცა, სამაგიეროდ მისმა დოქტრინამ შექმნა აზრი უღმერთო ადამიანის მოვლენადობაზე ფსევდოთეორიის კონსტრუირების გზით. თუკი მარქსის დოქტრინამ მასობრიობა ვერ პოვა (მარქსის სოციალისტურ დოქტრინასა და სოციალისტურ სისტემას შორის პრინციპული სხვაობაა), მასებს ვერ დაეუფლა, მაშინ რამ განაპირობა უღმერთობისა და მომხმარებლობის თეორიის ასეთი აპოკალიფსური მასშტაბები? არც ამ კითხვაზე იძლევა ბიუკენენი პასუხს.

მარქსი პროლეტარიატს მიიხნევდა სოციალური მოძრაობის ძალად, რომელიც მაშინ მოსახლეობის უმრავლესობას არ შეადგენდა. მისმა კრიტიკოსმა ფრანკფურტელებმა, თავიანთი დოქტრინის ობიექტად, მოსახლეობის საშუალო ფენა აირჩიეს, რომელიც მზა სახით მაშინ არ არსებობდა, მაგრამ გამოყვანა შეიძლებოდა მათი დოქტრინის ამოქმედებით – დაწყებითი სკოლის სასწავლო პროგრამებში სექსუალური აღზრდის შემოღება, ღმერთსა და კაცობრიობაზე შეხედულებების შეცვლა, ცხოვრებისა და

<sup>97</sup> ფილოსოფიისა და სოციოლოგიის გერმანული სკოლა. დააფუძნა უნგრელმა ებრაელმა დ. ლუკაჩმა და რამდენიმე გერმანელმა კომუნისტმა 1923 წ. ფრანკფურტის უნივერსიტეტში სოციალური კვლევების ინსტიტუტის სახით, რომელსაც შემდგომ ფრანკფურტის სკოლა ეწოდა. რადგან მათი თანამშრომლების უმეტესი ნაწილი ებრაელი იყო, ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ისინი აშშ გადაბარდნენ და ნიუ-იორკში დაფუძნდნენ.

<sup>98</sup> ნიკოლაე ნ. თანამედროვე აღზრდის აქილევსის ქუსლი. გვ. 472. თხზ. ტ. 4. თბ., 1964.

შემოქმედების მიზნობრივი ორიენტაცია სიმდიდრის მოპოვებაზე, ტარდიციების უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი მესხიერების მოშლა, რომლის ტექნიკური უზრუნველყოფა არის ტელევიზია, რასაც სამართლიანად უწოდებენ ტელეკრატიას და რომელსაც ახლა სწარფად ენაცვლება კომპიუტეროკრატია.

ადამიანს ბევრი უხეირო და ბოროტი განზრახვა მოსვლია მიზნად, მაგრამ ეს სხეულისთვის მიბაძვად არ ქცეულა. ამის გაკეთება უზნეო განათლების ფართო მასშტაბური აზროვნების ადამიანთა ჯგუფს შეუძლია, რასაც რელიგია სატანას უწოდებს. ფრანკფურტის სკოლა მარქსის დოქტრინის ბედს ვერ გასცდებოდა მის გვერდით დაინტერესებული, დიდი ფულის ადამიანები რომ არ გაჩენილიყვნენ. დოქტრინა რომ თეორიად აქციო, სასწავლო პროგრამებში შეიტანო, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა უნდა გქონდეს. გასაგებია: უღმერთო, უზნეო, ფულზე დაგეშილი საზოგადოება ადვილად მართვადია. მას არც მშობლების დარდი აქვს, არც რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობს ტრადიციებისა და ოჯახის წინაშე, არც ქორწინებისადმი სიწმინდე აწუხებს. ოჯახი მისთვის ტვირთია, სულით ფულზე არის ჩამოკიდებული, ფული მისი ღმერთია, მერე თვითონ არის და რასაც უნდა იმას აკეთებს: კონტრაცეპცია, სტერილიზაცია, აბორტი და ევთანაზია. ამ უბედურების ყველა გზა პოლიტიკურ ელიტასთან მიდის. მან დაუჭირა მხარი და იარაღად აქცია უღმერთობისა და უპასუხისმგებლობის ფრანკფურტული დოქტრინა ლიბერალურ თეორიად, ხოლო პოლიტიკური პარტიები – მსოფლიო კლასებად და კასტებად. მსოფლიოში 1226 მილიარდერია, რომელიც 4,6 ტრლ დოლარის ქონებას ფლობს, რაც ჩინეთის მთლიანი ნაციონალური პროდუქტის მოცულობას უახლოვდება. 358 მილიარდერი იმდენივე სიმდიდრის პატრონია, რამდენიც აქვს მსოფლიოს 2,5 მლრდ ადამიანს. განვითარებული ქვეყნების 20% განაგებს მსოფლიოს მთლიანი ნაციონალური პროდუქტის 84,7%, მათი მოქალაქეების წილად მოდის მსოფლიო ვაჭრობის 84,2% და საბანკო დანაზოგების 85,5%. მსოფლიო მოსახლეობის 5% აკონტროლებს ყველა რესურსის 80%.

ევროპის დემოგრაფიული აღმავლობისაკენ მიბრუნების გზებს დემოგრაფები ვერ პოულობენ. ცივი ომის სტრატეგის ჯ. ვერნემის აზრით, გაჩნდა ევროპული აზროვნების ტიპი, რომელიც შეგუებულია მის აღსასრულს. ამ აზროვნების საზოგადოებაში გაგრძელებას მან “დასავლური თვითმკვლევლობის იდეოლოგია” უწოდა. ბიუკენენმა ევროპას მოსიარულე სიკვდილი შეარქვა. ევროპა თვითგადაშენების გზაზეა, რომელსაც ახლა მოწყალეების თვალი აღმოსავლეთ ევროპისკენ აქვს მიდრეკილი. ბალტიისპირელები, ბელორუსები, ქართველები, რუსები, უკრაინელები მათი დეფიციტის შევსების რეზერვები არიან. ამ ქვეყნების მოსახლეები თავქუდმოგლეჯილი გარბიან ევროპისაკენ ეკონომიკური სიდუხჭირისაგან შეწუხებულები. ცალსახაა ის, რომ დასავლეთ ევროპას აზიის, არაბეთის, აფრიკის და საერთოდ მუსულმანურ ემიგრანტებს აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანები ურჩევნია. ჟურნალ „Prospect“-ის შეკვეთით MORI ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის თანახმად, ბრიტანელთა 39% უპირატესობას ანიჭებს იცხოვროს იმავე ან ანალოგიური ეთნიკური ჯგუფების რაიონში, რომელსაც თვითონ ეკუთვნს (სულ უფრო მეტი ბრიტანელი ცდილობს, იცხოვროს ფერადკანიანებისაგან მოშორებით). აქედან გამომდინარე, გასაგებია დასავლეთ ევროპელებისა – აღმოსავლეთ ევროპელებისაგან დემოგრაფიული პრობლემები არ გაუჩნდებათ. ეს თვალხილული სინამდვილეა: ევროკავშირის გაფართოება, სავიზო რეჟიმების გამარტივება, სასწავლო პროგრამების, პროფესიული დიპლომების ყოველადობა (აღიარებითობა) და სხვა.

ევროპა საქართველოში თავის საქმეს აკეთებს და ხელისუფლებაც მეტ-ნაკლებად ევროპულია და არაქართული. დავიწყებას ეძლევა უძველესი ტრადიციები, მონოგამიური ქორწინება, ოჯახის სიმტკიცე, ერთგულება, ენის სიწმინდის დაცვა, სირცხვილი, ნაშუსი,

პატიოსნება. ვაგინებთ და წყალს ვატანთ წარსულს, აღზევდა პორნოგრაფია, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ტელეეკრანებიდან დედის გინება და ლანძღვა, აღვირახსნილი ცხოვრების ამსახველი ფილმების ჩვენება, პირუტყვიული სექსის პროპაგანდა, ადამიანური ღირსებების შელახვა, უფროსი თაობისადმი უპატივცემულობა, იმიგრაციისადმი მხარდაჭერა. ჩვენნი ირი გაჭირვებული ქვეყანა მთლიანად დაკავებული უნდა იყოს ეკონომიკის აღმავლობის პროგრამების შემუშავებაზე, მასში ჩართული იყოს სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, უწყებრივი დაწესებულებები, მოსახლეობის აქტიური ნაწილი. ის, რაც ახლა კეთდება, ვიდაცას სჭირდება “ზემოთ” ან ევროპულ “მამა და მარჩენალებს”. რას ნიშნავს განათლების რეფორმა საქართველოში!

სასწავლებლის გაუქმება ბუნებრივი მოვლენაა, თუ იგი სწავლების სათანადო ხარისხს ვერ უზრუნველყოფს და მსმენელებს დაკარგავს. რატომ ვუშლით ხელს ბუნებრიობას. განათლება ფუნდამენტია, რაზეც ქვეყანა დგას. ამიტომ არ შეიძლება მისი ბიზნესის სფეროში შეტანა. ეს მას საფუძვლებს მოუშლის. მთავარი, სახელმწიფოებრივ ზედამხედველობასთან ერთად, სასწავლებლისადმი მზრუნველობა და მეთოდური ხელშეწყობაა. მიუტევებელი შეცდომაა სასწავლებლის შემოწმება ნაკლოვანების აღმოჩენის მიზნით და იქიდან ვერდიქტი მის გასაუქმებლად. ასევე მიუტევებელია ყველანაირი ნაწერის სამეცნიერო შრომად და სახელმძღვანელო წიგნად გასაღება, რასაც ახლა აქვს ადგილი. არავის აინტერესებს რამდენად შესაბამისია წერილობითი ფაქტურა მეცნიერულ ღირებულებასთან, სტუდენტის სახელმძღვანელო წიგნის ძირითად პრინციპებთან. ბოლოდროინდელი სადისერტაციო მართონი აკადემიკოს ტიმირიაზევის იმ შეფასებას მახსენებს, თავის დისერტანტს რომ მისცა: თქვენს დისერტაციაში ძალიან ბევრი სიახლეა და ძალიან ბევრი სიმართლე. ის, რაც ახალია, მართალი არ არის, ხოლო რაც მართალია – ახალი არ არის. რამდენად პრესტიჟულია მეცნიერების დოქტორის სტატუსი და რამდენად აღმაშფოთებელია, როცა მას ანიჭებენ პირს, რომელმაც თვითონ გადაწერა ვიდაცის ნაშრომი ან სხვამ გადაუწერა იგი გასამრჯელოს ფასად.

ოჯახი ურთულესი ინსტიტუტია და მის შესაქმნელად ახალგაზრდებს არა მარტო იმის შეგნება სჭირდებათ, რომ ოჯახი სახელმწიფოებრივი უჯრედი, გვაროვნული და ტარდიციული პასუხისმგებლობრივი სისტემაა, არამედ იმის გაცნობიერებაც, რომ ოჯახი თანაცხოვრებაა და ამიტომ ადაპტაციურია, დროში გაშლილი მოვლენაა, თაობათა თანაცხოვრების მშენებლობაა, ორგანიზაციული მთლიანობაა. ოჯახი წყვილისაგან ურთიერთდათმობას, ურთიერთპატივისცემას მოითხოვს, როგორც ერთმანეთისადმი, ასევე იმ ადამიანებისადმი, რომლებიც გვაროვნულ-ნათესაურ ერთიანობას შეადგენენ. ბევრ ჩვენგანს ახსოვს – ოჯახური კონფლიქტის დროს როგორ ოპერატიულად შეიკრიბებოდნენ მეუღლეთა ოჯახის ახლობლები, ნათესავეები და ყველაფერს იღონებდნენ უთანხმოების მოსაგვარებლად. განქორწინება უკიდურესი ფორმა იყო. ახლა ყოფილი ცოლების კლუბი ეძებს თუ სადმე რაიმე კონფლიქტია და ქმარგაცილებულთა “სამყაროს” ქმნიან. ხელს უწვდიან სამუშაოზე მოწიბებაში, ბინის მოძებნაში ან თავშესაფარის პოვნაში. განა ოჯახის დანგრევისაგან გადარჩენა უკეთესი საქმე არ არის? – არის, მაგრამ ამ საქმეში ფულს არ იძლევიან, ფულს ოჯახის მოშლაში გიხდიან. საკუთარი ხელით გვანგრევიან მშობლიურ კერას. უკეთილშობილესი საქმეა მიუსაფარი, უმწეოდ დარჩენილი მარტოხლა დედის ან ბედის ანაბრად მიტოვებული ახალგაზრდა ქალისადმი მზრუნველობა, მაგრამ დანაშაულია ამის პროპაგანდა რაღაც ჯგუფების მიერ, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რასაც აკეთებენ. პროპაგანდა მრავალშვილიან ტრადიციულ ოჯახებს უნდა გაუწიოთ, ქვეყანამ რომ ეროვნული თვითმყოფადობა შეინარჩუნოს. მათი ადგილების შეცვლა ხელს უწყობს ოჯახის ზნეობრივ დეგრადაციას, რომელიც ახლა სექსუალური თავისუფლების ცეცხლზე დგას და სულს უბერავენ, რათა უფრო გაღვივდეს და უნიკალური ქართული ზნე-ჩვეულებები აქაფგაფებულ მღუღარეში მოხარშონ და მერე

საკანალიზაციო არხში გადაღვარონ, სიყვარული სულის სიღრმიდან ამოაფრინონ სექსის ჩასახსნებლად, რომელიც ადამიანს ღმერთს მოაშორებს და სიცოცხლის გაგრძელების ინტერესს ჩაუქრობს. “მოელი საინფორმაციო-გასართობი ინდუსტრია ქალების ჟურნალიდან პოლიგუდის ფილმების ჩათვლით ერთი და იგივეთი ბურღავდა ტვინს: ქალის ჭეშმარიტი მოწოდება დედობა და ოჯახური ბედნიერება კი არ არის, არამედ კარიერა, სექსუალური კმაყოფილება და მამაკაცისაგან (რაც არ უნდა დაჯდეს) დამოუკიდებლობა” [8].

სიყვარული ადამიანის კეთილშობილური ფენომენია, რომლისგანაც ოჯახი შენდება. სექსი ინსტინქტია, მოთხოვნილებაა, ადამიანის საქონლური მოხმარებაა. ბუნებრივია, ლეგალურ სექსს ვგულისხმობ და ისეთ საზოგადოებას, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა. ასეთ შემთხვევაში კი არსებითია კასტრაცია, ევთანაზია... ცხოვრების მობეზრება და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვანი ნიშნულიდან დაშვება.

ენა ქვეყნის მოსახლეობის სისხლძარღვოვანი სისტემაა. ეროვნულ უმცირესობებს არ შეიძლება აეკრძალოს თავიანთი ენა, ხელყონ მათი ცხოვრების წესი, მაგრამ ეროვნულმა უმცირესობებმა არ ისწავლონ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენა, სადაც მოსახლეობენ, ნიშნავს მათ არსებობას სეპარატიზმის პოტენციურ კერებად, რომელიც შესაბამის სიტუაციებში სიგნალზე აფეთქდება. ბიუკენენი აღშფოთებას ვერ მალავს აშშ ორენოვანი სწავლის მიზანშეუწონლობის გამო. მან არ იცის, რომ მაგალითი ჩვენი ქვეყნიდან უნდა აიღოს. აფხაზი, ოსი და საქართველოს სხვა ეროვნული უმცირესობანი ამისი ფაქტობრივი მასალებია. ჩვენ ამ უმცირესობებს ჩვენივე ქვეყანაში რუსულ ენაზე ვესაუბრებოდით და ახლაც ასე ვაგრძელებთ. ამას ქვეყნის პოლიტიკური დოცტრინა კჰქვია. შენს მიწა-წყალზე მოსული და გაზრდილი, რომელიც შენი ქვეყნის ყველა სიკეთით სარგებლობს, იმდენად თავხედიან, რომ ქართულად ლაპარაკს არ სწავლობს. საქართველოში ებრაელები 26 საუკუნეა რაც მოსახლეობენ, ქართულსაც ჩვენზე ნაკლებად არ სწავლობენ და არც თავისი ენა დავიწყებიათ. ენის სიწმინდის, მისი ცოდნის საყოველთაო ვალდებულება ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის წესია. პასუხისმგებლობა რელიგიური ფენომენია. უზენაესმა ზნეობრივი ცხოვრების დასაცავად მოაგლინა მაცხოვარი, რომელმაც იქადაგა ოჯახის, ქორწინების სიწმინდე, დედისა და მამის, მტრის სიყვარულიც კი. არ უსმინა დასავლეთ ევროპამ მაცხოვარს: “ნუ ზრუნავთ თქვენი სულისთვის, რა ჭამოთ და სვათ. ნურც თქვენი სხეულისთვის, თუ რითი შეიმოსოთ”. ევროპამ ხვალინდელი დღეც ამიტომ შეიზარა. “დასავლეთი დიდი ბორდელია. რაგინდ რა უნდა იყოს, ბორდელის მოსახლეობა არ მრავლდება, მაგრამ მუდმივად ივსება სხვა ქვეყნის ადამიანებით”[9].

ქართველი ღმერთს მიუბრუნდა. ახლა სჭირდება ქვეყანას რუის-ურბნისის ტოლფასი საეკლესიო კრება. ეკლესია უნდა გათავისუფლდეს მიტმასნილთაგან და ფარისეველთაგან. აქედან დაიწყება ქართული ეროვნულობის ახალი სულიერი აღმავლობა.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. Освальд Шпенглер и закат Европы. [magister.msk.ru/ocr/philos/shpng104.htm](http://magister.msk.ru/ocr/philos/shpng104.htm).
2. Бердяев Н. Судьба России. II Проблема национальности. Конец Европы. [kratov.info/library/02-b/berdyayev/1918\\_15\\_13.htm](http://kratov.info/library/02-b/berdyayev/1918_15_13.htm).
3. Бьюкенен П. Смерть Запада. [lib.rus.ec/Книги/4577/read](http://lib.rus.ec/Книги/4577/read).
4. Фукуяма Ф. Конец истории и последний человек. [lib.ru.POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC\\_istorii.txt](http://lib.ru/POLITOLOG/FUKUYAMA/KONEC_istorii.txt)
5. Малашиха Г. Экономика человечная. Экономико-философские суждения. Санкт-Петербург-Тбилиси, 2009, с. 250.
6. Глобализация мировой экономики: проблемы и последствия. [chin.run.pass/management/roof-3/10shim](http://chin.run.pass/management/roof-3/10shim).



7. Электронная версия бюллетеня Население и общество. № 249-250 (19 января -1 февраля 2009)
8. [www.htt.planeta.by/artikle/47](http://www.htt.planeta.by/artikle/47)
9. Неведимов Д. Религия денег или лекарство от рыночной экономики. с. 490. [www.koob.ru](http://www.koob.ru)

*Namicheishvili Ramaz*

## **EUROPIZATION OF GEORGIA AND THE END OF ITS ECONOMIC INDEPENDENCE SUMMARY**

The conception of the end of Europe was put forward by German scientist O. Spengler in his work in 1918 as the main reason which he believed the choice of material substance of Europe at the expenses of the spiritual. Over the past 50 years, the demographic situation in Europe was not going for the better. The influx of people from African, Arab and Asian countries has caused a sharp conflict with the local population. A more reliable source of improving the demographic situation is the Europeanization of the eastern part including Georgia. Based on the high living standards of Western countries and the economic situation in Georgia, Europeanization will make effort and high rates of migration of the Georgian population in Europe and the end Georgian nationality in the nearest future. Leading blocking factor in the reduction of migration is the Orthodox clergy, which in recent years acquired enormous authority among the population.

*იულია ონიანი*

### **საცხოვრებელი მომსახურების ღირებულების შეფასების ახალი მეთოდოლოგია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში**

ბოლო წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია იძლევა ახალ მეთოდურ მითითებებსა და რეკომენდაციებს საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებასთან დაკავშირებით მომსახურების ღირებულების შეფასებისათვის. ამ პრობლემის მნიშვნელობა ძალიან დიდია, რამდენადაც იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშპ-ს სიდიდეზე, შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობასა და სტრუქტურაზე. გარდა ამისა, ამ მომსახურების არაზუსტი აღრიცხვა ართულებს მშპ-ს საერთაშორისო შესადარისობას.

საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასების პრობლემა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას-ის) დანერგვის პირველსავე ეტაპზე არსებობდა. რადგან ეას-ის მიერ შემოთავაზებული საკუთარ სახლში ცხოვრებისათვის პირობითი რენტის შეფასების მეთოდოლოგია ორიენტირებული იყო განვითარებული საბაზრო ურთიერთობისათვის, რომელიც არსებითად განსხვავდება საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეკონომიკისაგან, სადაც, ჯერ კიდევ, საცხოვრებელზე საკუთრებითი ურთიერთობა შეიცვალა იურიდიულად, ხოლო ფაქტობრივად ეკონომიკური ურთიერთობა ამ სფეროში ისევ იგივე რჩებოდა.

ბოლო პერიოდში, საცხოვრებლების პრივატიზაციის შედეგად, გაჩნდა კერძო მრავალბინიანი სახლები, შესამჩნევად გაიზარდა ფართო მასშტაბის როგორც მრავალბინიანი, ისე კერძო სახლების ინდივიდუალური ბინათმშენებლობები, რომლებიც შინამეურნეობების საკუთრებას წარმოადგენს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სახელმწიფოს მხრიდან მომსახურების მწარმოებლების (საბინაო-საექსპლუატაციო კომპანიები და სხვა ამგვარი სამსახურები) საცხოვრებელი მომსახურებისათვის სუბსიდირება. ეს არის კომპენსაცია, რომელიც ეძლევათ ამ

მომსახურების მწარმოებლებს ეკონომიკურად დადგენილ ტარიფებსა და მოცემულ პერიოდში ბაზარზე მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობის გამო.

საცხოვრებლით მომსახურების მწარმოებლების სუბსიდირების გარდა, ფართო გავრცელება პოვა მოსახლეობის საცხოვრებლით მომსახურების ხარჯებისათვის სახელმწიფოს სოციალურმა დახმარებამ. ეს დახმარება მოიცავს მოქალაქეებზე გაცემულ სუბსიდიებს საცხოვრებლით მომსახურებისათვის. ამგვარი სუბსიდიების სიდიდე დამოკიდებულია ოჯახის ერთობლივ შემოსავალზე და აგრეთვე იმ შეღავათებზე, რომელიც აქვთ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირებს ამ მომსახურების მიხედვით. ამასთან, მოსახლეობისათვის ამ მიმართულებით სოციალური დახმარების აღმოჩენა არ არის დამოკიდებული იმ საცხოვრებელი ფონდის საკუთრების ფორმაზე, რომელშიც ის ცხოვრობს.

საცხოვრებლით მომსახურების სუბსიდირებულობის მაღალი ხარისხი და სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სოციალური მხარდაჭერა არ შეესაბამება ამ მომსახურების საბაზრო გამოშვების შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება შეუძლებელია, როცა არ არსებობს მონაცემები საცხოვრებელი ფონდის საბაზრო ღირებულების შესახებ.

ეას-ის მიხედვით ჯერჯერობით მიღებულია, რომ საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასება მოხდეს ორი ინსტიტუციური სექტორის მიხედვით. კერძოდ, საცხოვრებელი ფონდის მართვითა და ექსპლუატაციით დაკავებული ორგანიზაციებისა და შინამეურნეობების მიხედვით. პირველის მთლიანი გამოშვება მოიცავს შემოსავლებს, რომელიც მიიღება საცხოვრებელი ფონდის მომსახურების რეალიზაციის შედეგად და სუბსიდიებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გამოშვების გაანგარიშება ხდება მრავალბინიანი სახლების მთელი საცხოვრებელი ფონდის მიხედვით, იმის მიუხედავად, პრივატიზებულია თუ არა მოცემული საცხოვრებელი ფართობი.

შინამეურნეობების მიხედვით ამ მომსახურების მთლიან გამოშვებაში შედის საკუთარ სახლში ცხოვრებისათვის პირობითი რენტის ღირებულება, დანახარჯები სამშენებლო მასალების შესყიდვასა და მიმდინარე რემონტზე, საცხოვრისის შენახვაზე, სადაზღვეო მომსახურებაზე, გადასახადებზე, აგრეთვე მასში შეიტანება ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (ეეკ) რეკომენდაციას უწევს საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასების ორ მეთოდს: 1. სტრატეგიკაციის მეთოდი (ეკვივალენტური რენტა) და 2. საცხოვრებლის გამოძყენებელთა დანახარჯების მეთოდი.

ეკვივალენტური რენტის მეთოდის მიხედვით რეკომენდებულია საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ხარჯები შეფასდეს იმ გადასახდელით, რომელსაც ფაქტობრივად უხდიან გამქირავებელს ანალოგიური ხარისხის საცხოვრებლისათვის. ეს მეთოდი იძლევა უფრო ზუსტ შედეგებს, მაგრამ მისი გამოყენების დროს საჭიროა რიგი პირობების შესრულება:

- ქვეყანაში უნდა არსებობდეს საცხოვრებლის კომერციული არენდის განვითარებული ბაზარი;
- კომერციული არენდის ღირებულება 3-ჯერ უფრო მეტად არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებლის სხვა სახის გადასახდელს;
- არენდირებული საცხოვრებლის წილი უნდა იყოს თანაბარი ქვეყნის მთელი ტერიტორიის მიხედვით.

საცხოვრებლის გამომყენებელთა დანახარჯების მეთოდი გულისხმობს სახლის მესაკუთრის მიერ შენობის მიმდინარე შენახვაზე (მიმდინარე რემონტი, დაზღვევა, გადასახადები და ა.შ.) გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების და აგრეთვე იმ პირობითი მოგების შეფასების, რომელსაც პირი საცხოვრებლის მფლობელობისათვის მიიღებდა.

საცხოვრებლის გამომყენებლის დანახარჯების მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია, მაშინ, როცა არენდით გაცემულია საცხოვრებლის არაუმეტეს 10%-ისა და განსხვავება კომერციული არენდის ფასსა და სხვა სახის გაქირავების (სოციალური ქირა, სამსახურებრივი საცხოვრებელი და ა.შ.) ფასს შორის სამჯერ უფრო მეტია. ორივე ამ პირობის შესახებ ინფორმაცია მიიღება შინამეურნეობების საბიუჯეტო გამოკვლევების, აგრეთვე მოსახლეობის აღწერის მონაცემებიდან.

ზემოთ მოცემული მეთოდებიდან ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მისაღებია საცხოვრებლის გამომყენებლის დანახარჯების მეთოდი. ამ მეთოდის პრაქტიკული რეალიზაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საცხოვრებლის მფლობელობისათვის მოგების შეფასება, რომლის გაანგარიშება უნდა მოხდეს საცხოვრებელი ფონდის საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

საცხოვრებლის გამომყენებელთა დანახარჯების მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შინამეურნეობა, რომელიც ცხოვრობს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელში, განიხილება, როგორც არაკორპორაციული საწარმოს მფლობელი, ხოლო ამ საწარმოს მთლიანი გამოშვება შეფასდება შემდეგი კომპონენტების შეჯამების გზით: შუალედური მოხმარება, გადასახადები წარმოებაზე, ძირითადი კაპიტალის მოხმარება და წმინდა მოგება. შუალედურ მოხმარებაში შედის ხარჯები საცხოვრებლის მიმდინარე შენახვაზე და წმინდა სადაზღვეო მოგება.

საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ეეკ-ის) რეკომენდაციებმა ასახვა პოვა ეას-ის ახალ ვერსიაში - „ეას-2008“, რომლის მიხედვითაც, საცხოვრებლის მიმდინარე შენახვაზე ხარჯების შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს შინამეურნეობათა საბიუჯეტო გამოკვლევის მონაცემები. წმინდა სადაზღვეო პრემია, რომელიც წარმოადგენს საცხოვრებლის დაზღვევისათვის მომსახურების საზღაურს, განისაზღვრება სადაზღვეო კომპანიებიდან მიღებული მონაცემებით.

სხვა გადასახადები წარმოებაზე - ეს არის გადასახადები ფიზიკური პირების ქონებაზე, რომელსაც იხდიან საცხოვრებელი სახლის და ბინის მფლობელები.

საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებით მოსალოდნელი მთლიანი მოგების შეფასებისათვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის რეკომენდაციებში შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულა

$$U_t = [(I + S_t)r_t + d_t]W_t$$

სადაც,  $U_t$  არის მთლიანი მოგება;

$W_t$  - საცხოვრებელი ფონდის საშუალო წლიური საბაზრო ღირებულება;

$r_t$  - რეალური შემოსავლიანობის წლიური განაკვეთი;

$d_t$  - ძირითადი კაპიტალის მოხმარების კოეფიციენტი;

$(I = S_t)$  - ინფლაციის მაჩვენებელი საანგარიშო წლისათვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც იყენებენ საცხოვრებლის გამომყენებელთა დანახარჯების მეთოდს, სარგებლობენ მოგების პირობითი ფიქსირებული ნორმით, რომელიც 2,5%-ს შეადგენს და რეკომენდებულია, როგორც რეალური საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, შემოთავაზებულია ალტერნატივები - მიმდინარე წელს გაცემული საცხოვრებლისათვის აღებული კრედიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი; მიმდინარე წელს

გაცემული გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა. ნებისმიერ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტაბილური უნდა იყოს. სწორედ ამასთან დაკავშირებით გამოიყენება ექსპერიმენტულ გაანგარიშებებში მოგების ფიქსირებული ნორმის პირობითი განაკვეთი, ხოლო ინფლაციის გავლენის კორექტირებისათვის გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი.

ვას-ის რეკომენდაციით, საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასება გამოყენებულთა დანახარჯების მეთოდით, შესაძლებელია, საცხოვრებელი ფონდის მიმდინარე საბაზრო ღირებულების ექსპერიმენტული გაანგარიშების საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის განვითარება და მისი შესაბამისი სტატისტიკური დაკვირვების ორგანიზება შესაძლებელს ხდის, ჩატარდეს საცხოვრებელი სახლების მიმდინარე საბაზრო ღირებულების ექსპერიმენტული გაანგარიშება. ამისთვის გამოყენებული უნდა იყოს შედარების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია საცხოვრებლის მეორად ბაზარზე ფასების შესახებ მონაცემების გამოყენებაზე.

გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნიკური აღრიცხვისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საცხოვრებელი ფონდისა და საცხოვრებელი ფონდის ბაზარზე ფასების დონის შესახებ შერჩევითი გამოკვლევის მონაცემები. ასეთ გამოკვლევებს ატარებენ იურიდიული და ის ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციებს უძრავი ქონებით.

ინდივიდუალური სახლის საშუალო ფასი როგორც ქალაქად, ისე სოფლად დადგინდება დაკვირვების გზით შესწორების კოეფიციენტის გათვალისწინებით. თავის დროზე ეს ფასი იანგარიშებოდა 1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის ღირებულების მიხედვით, რომლის შესახებ მონაცემები აიღებოდა იურიდიული და ფიზიკური პირებიდან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საცხოვრებელი შენობების საბაზრო ღირებულების გაანგარიშებებით მიღებული შედეგები კორექტირდება ავარიული და დაძველებული საცხოვრებელი ფონდის ღირებულების მიხედვით.

შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფონდის საბაზრო ღირებულების გაანგარიშების ასეთნაირად წარმოება მნიშვნელოვნად გაზრდის მათი საბაღანსო ღირებულების მაჩვენებლის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

საცხოვრებლის გამოყენებულთა დანახარჯების მეთოდის გამოყენება საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისათვის არსებით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სიდიდეზე.

ცხრილ 1-ში მოყვანილია მონაცემები მშპ-ში საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების წილის შესახებ. შეფასებები ჩატარებულია საცხოვრებლის გამოყენებლის დანახარჯების მეთოდის საფუძველზე ევროკავშირის ათი ახალი წევრი ქვეყნის მიხედვით.

**ცხრილი 1**

**საკუთარ საცხოვრებელში საცხოვრისის მომსახურების წილი მშპ-ში (პროცენტებში)**

ქვეყნები	წილი მშპ-ში
ბულგარეთი	11,2
ჩეხეთის რესპუბლიკა	4,9
უნგრეთი	6,2
ესტონეთი	9,6
ლატვია	8,2
ლიტვა	5,7
პოლონეთი	4,7

სლოვაკეთი	5,3
რუმინეთი	7,3
სლოვენია	6,5

გარდა ამისა, ახალი მეთოდოლოგია არ ზემოქმედებს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსებულობაზე, მაგრამ არსებითად ცვლის მის სტრუქტურას.

პერსპექტივაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ქვეყნის ეროვნულ ანგარიშებში საკუთარ საცხოვრებელში ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შესაფასებლად დაინერგოს საცხოვრებლის გამოყენებულთა დანახარჯების მეთოდი;

- მნიშვნელოვანია, უზრუნველყოთ სხვადასხვა სახის საკუთრების საცხოვრებელი ფონდის მიხედვით ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების შეფასების მეთოდოლოგიური შეთანხმებულობა;

- ცხოვრებისათვის მომსახურების ღირებულების გაანგარიშება გამოყენებულთა დანახარჯების მიხედვით უნდა მოხდეს არანაკლებ 70-80 სუბიექტის მიხედვით.

- გაანალიზდეს მისი გავლენა მშპ-ზე და გაკეთდეს დასკვნები რეგიონულ დონეზე არსებული ინფორმაციული ბაზიდან გამომდინარე, ამ მეთოდის შეფარდებითი გამოყენების შესახებ;

- მომავალში, მნიშვნელოვანია, დამუშავდეს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული აგარაკებისა და სხვა დროებითი საცხოვრებლების კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური მიდგომები, რათა მოხდეს საცხოვრებლით მომსახურების მთლიან გამოშვებაში მათი ჩართვა.

საცხოვრებელით მომსახურების ღირებულების შეფასების ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა, უდვოდ მოითხოვს მშპ, შინამეურნეობების შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურის და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ახლებურ გააზრებას, მაგრამ არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რომ ეს სამუშაო იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის ეას-ის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის შესადარისობის უზრუნველყოფის გზაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2008.
2. Кулагина Г. Д. Национальное счетоводство; Учебник. М. «Финансы и статистика», 1997.

*Oniani Iulia*

### NEW METHODOLOGY FOR CONDITIONAL RENT EVALUATION TO LIVE IN AN OWN DWELLING SUMMARY

Last years organization of economic collaboration and development gives a new methodic directions and recommendation related to service fee (rent) for living in an own dwelling. The meaning of the problem is wide as it will make significant influence upon size of national produce, volume of revenues and expenses and structure. Besides, inexact calculation of service complicates international comparability of national produce.

In the work is discussed two methods for calculation of service fee to live in an own dwelling: 1. Stratification method (equivalent rent) and, 2. Method of expenses of users of the dwelling. The mentioned methods are recommended by UNO European Economic Committee.

There is made a conclusion on introduction of the method of expenses of users of the dwelling to evaluate service fee in Georgian national accounts for living in the dwelling.

**კონფლიქტების ობიექტური და სუბიექტური ბუნების შეფასების შესახებ**

საზოგადოება, პირველ რიგში, კოლექტიურ წარმოდგენებზე დაფუძნებული სულიერი რეალობაა, რომელიც ინდივიდზე მაღლა დგას; ყოველ ადამიანს, დაბადებისას, მზა სახით ხვდება საზოგადოება და მისი მდგენელები. ის, რაც რაიმენაირად ამთლიანებს ადამიანებს, არის სწორედ სოლიდარობა. იგი შეიძლება იყოს ან მექანიკური, რომელიც გამოხატავს ინდივიდების ერთნაირ დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, ან ორგანული, რომელიც აფიქსირებს თვით ინდივიდთა არაერთგვაროვნებას, განსხვავებას მათ შორის, რაც განსაკუთრებით ცხადად ვლინდება შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში.

ადამიანთა დაახლოებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა ინტერესს, (რადგან ინტერესთა ყოველი ჰარმონია შეიცავს ფარულ და მომავლისთვის გადადებულ კონფლიქტს), არამედ ზნეობრივ თვითშეგნებას, ადამიანის მიერ თავისი უფლებამოვალეობების გაცნობიერებას. სწორედ ზნეობრიობა, როგორც ადამიანთა რეალურ ქცევაზე მოქმედი ნორმების კონკრეტული ერთობლიობა, არეგულირებს კონფლიქტებს. „ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს ინდივიდუალური ეგოიზმის განელება, – აღნიშნავდა დიურკჰაიმი, – ეს არის ჯგუფის ძალა; ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს ჯგუფის ეგოიზმის განელება, – ეს არის მათი ჯგუფების გამაერთიანებელი სხვა ძალა“.

გერმანელი სოციოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მაქს ვებერისათვის სოციალური ქმედების სუბიექტს მთლიანად საზოგადოება კი არ წარმოადგენს, არამედ ინდივიდი, რომლის მდგომარეობა დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ სტატუსთან. მისი შეხედულებით, საზოგადოება – ეს არის ადამიანთა ურთიერთქმედება, რომელიც წარმოადგენს სოციალური, ანუ სხვა ადამიანებზე ორიენტირებული ქმედებების პროდუქტს; ეს არის არენა, სადაც მოქმედებს პოზიტიურად და ნეგატიურად პრივილეგირებული სტატუსის მქონე ჯგუფები. ისინი ზრუნავენ იმაზე, რომ მატერიალური და იდეალური ინტერესების კონფლიქტის პირობებში შეინარჩუნონ და განიმტკიცონ თავიანთი ეკონომიკური პოზიციები, ასევე ამბიციები და ცხოვრებისეული ორიენტირები.

პრაქტიკამ თვალნათლივ დაგვანახა იდეალური მოდელის შეხედულობა და არსებითი ხარვეზები. ეს მოდელი იმეორებდა მოთხოვნებს ორგანიზაციის ფუნქციონირების, როგორც ჩვეულებრივი ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმისადმი. რეალობაში, საწარმოს კომპონენტები არც ისე მკაცრად დაკავშირებული ერთმანეთთან, მისი ცალკეული ნაწილები უფრო პასუხისმგებლობით, ავტონომიურად ფუნქციონირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ემსახურებიან სხვადასხვა მიზანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციის ნებისმიერი ტიპის დროს კონფლიქტებისათვის სახეზეა ნოყიერი ნიადაგი.

სოციალური – ეს, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ინდივიდთაშორისი ურთიერთობებია. ამ პრიზმაში უნდა გაანალიზდეს როგორც საზოგადოების დიფერენციაცია, ისე ადამიანურ გარემოში განმეორებადი პროცესები – მაგალითად, სოციალური ფორმები, როგორცაა: კონტაქტი და ხელშეკრულება, კონფლიქტი და თანამშრომლობა, ბატონობა და მორჩილება, ავტორიტეტი, ადაპტაცია და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი უთანხმოების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, იმავედროულად იგი გამოდის, როგორც ინტეგრაციული ძალა, რომელიც აერთიანებს მოწინააღმდეგეებსაც, ხელს უწყობს საზოგადოების სტაბილიზაციას, განამტკიცებს კონკრეტულ ორგანიზაციებს.

ფირმის ხელმძღვანელები და სპეციალისტები საჭირო მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიოლოგიურ, ფსიქოფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავსებადობას კოლექტივის წევრებში, ითვალისწინებენ სქესობრივ და ასაკობრივ განსხვავებებს ერთად მომუშავე

ადამიანებში, მათ ტემპერამენტსა და ხასიათს. ეს ყოველივე მხედველობაში მიიღება კონფლიქტური სიტუაციების პროფილაქტიკაში, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების შეთავაზებაში. მაგალითად, ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებისას სამუშაო კოლექტივში, ყველა დონის ხელმძღვანელმა უნდა აჩვენოს პირადი მაგალითი, ასაკით უფროსი ადამიანისადმი პატივისცემა, ახალგაზრდა თანამშრომლების აღზრდის პროცესში მონაწილეობა, ხელმძღვანელმა ასევე უნდა ჩაატაროს მცირედი ტესტირებები ამა თუ იმ ადამიანთა ერთობლივად მუშაობის გამოსაკვლევად.

ამასთანავე, ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ ექცევა კონსტრუქციული ქცევის სტიმულირება კონფლიქტურ სიტუაციაში. იმის გათვალისწინებით, კონფლიქტი პიროვნულია თუ საქმიანი დღის წესრიგში დგება საკითხი – მიეცეს კონფლიქტს ან პროზიტიური მიმართულება, ან მოხდეს მისი საფუძვლის აღმოფხვრა. ამასთან ერთად გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები: ხელის შეწყობა, დარწმუნება, ასევე საყვედური. მსგავსი ქცევები ხელს უწყობს ეფექტურობის ამაღლებას საერთო საქმიანობაში.

სშირად კონფლიქტი აღმოჩნდება არა მარტო გარდაუვალი, არამედ მისაღები „გამოსავალი“ შექმნილი სიტუაციიდან, ადამიანთა შორის დარღვეული ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი საშუალება. ის ასევე შესაძლოა განვიხილოთ როგორც ერთობლივ საქმიანობაში, ისე კერძო და საერთო ინტერესებში, ქცევის ნორმებში შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაც.

საქმის ამგვარი ვითარებისას საჭიროა კონფლიქტების ობიექტური და სუბიექტური ბუნების შემეცნების, მათი უშუალო მიზეზებისა და მოტივების შესწავლა, ორიენტირება იმაში, თუ რა ფორმით მიმდინარეობს კონფლიქტები და როგორი გზებითაა შესაძლებელი მათი გადაჭრა, მათი მართვის ხელოვნების დაუფლება. ეს ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნებისმიერი დონის მენეჯერებისა და ხელმძღვანელებისათვის.

კონფლიქტების ძირითადი პრინციპების ცოდნა აუცილებელია მმართველობითი საქმიანობის ყველა სახეობისათვის. მენეჯმენტთან მიმართებით მისი ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ აიძულოს ხელმძღვანელი, რეალურად შეხედოს კონფლიქტურ სიტუაციებს, არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ინტუიციითა და ჯანსაღი აზრით, არამედ ადამიანებთან მუშაობაში დაიცვას კონფლიქტების მართვის განსაზღვრული, მეცნიერულად დადგენილი წესები და ხერხები.

მეცნიერული მიდგომა გულისხმობს სისტემურად ორგანიზებულ, პრინციპულად სტრუქტურირებულ, მეთოდოლოგიურად ზუსტ ცოდნას საგნის (მოცემულ შემთხვევაში კონფლიქტების) შესახებ, ორიენტაციას რეალური სამყაროს კანონზომიერებებისა და ობიექტური ჭეშმარიტების შესამეცნებლად. ნებისმიერი მეცნიერება, კონფლიქტოლოგიის ჩათვლით, კონსტრუქციულია, გათვლილია მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების, ახალი პროექტების შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობაზე. სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობა, მათ შორის კონფლიქტების რეგულირება, როგორც წესი, ხორციელდება ანალიტიკური გაანგარიშების, სოციალური კავშირებისა და ურთიერთქმედების მონაწილეებზე გეგმაზომიერი და მრავალმხრივი გავლენის, მეცნიერულად შემოწმებული რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე.

ჩვეულებრივი ცოდნა, რამდენადაც ფართო არ უნდა იყოს იგი, ჩამორჩება მეცნიერულს. კონფლიქტების შესახებ ამგვარი ცოდნა ჩვენი საგნის შესახებ სხვადასხვაგვარი, მაგრამ ზედაპირული ცნობების ნაკრებია და ვერ აღწევს სოციალური ცხოვრების მოვლენათა სიღრმეში, იგი მხოლოდ ფაქტებისა და წინამორბედი გამოცდილების კონსტატაციას ახდენს. ამიტომაცაა, რომ ალღოსა და გამჭრიახობაზე დაფუძნებული ჯანსაღი აზრი და ინტუიცია შეზღუდულია თავის შესაძლებლობებში. თუმცა, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს კონფლიქტური სიტუაციების გაცნობიერების,

თავიდან აცილებისა და მოგვარებისას, ჯანსაღი აზრი და ინტუიცია შესაძლოა დაგვეხმაროს გარემოებებთან პრაგმატულ მისადაგებაში და თუ კონფლიქტი მაინც გარდაუვალია, იპოვოს მისგან თავის დაღწევის საუკეთესო გამოსავალი.

რასაკვირველია, კონფლიქტური შეჯახებების სხვადასხვა ტიპები, გადამეტებული სოციალური დაძაბულობის გამოვლინებები მათში შეისწავლება არა ცნობისმოყვარეობისა და ცხოვრების პერიპეტეიების შესახებ ცოდნის უბრალო გამდიდრების გამო, არამედ იმისათვის, რომ მოხდეს კონფლიქტების პროფილაქტიკისა და რეგულირების მეთოდების (ხერხებისა და წესების) შესწავლა, რათა კონკრეტული წარმოდგენა შევიქმნათ შერიგების პროცედურებზე, რომლებიც შესაძლებელს ხდის შრომითი, ქონებრივი დაკავების, სხვა სოციალური კონფლიქტის მონაწილეთა მიყვანას შეთანხმებად. მნიშვნელოვანია მზადყოფნა კონფლიქტური ქცევის შესაბამისი სტილის დახასიათება-შეფასებისათვის, ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებებში ურთიერთობის მაღალი კულტურის შექმნა-შენარჩუნებისათვის, ურთიერთგაგების, თანამშრომლობის, ფუნქციონალური და სოციალური პარტნიორობისათვის.

მთავარი ის კი არაა, რომ ვისწავლოთ კონფლიქტების ამოცნობა, ვიწინასწარმეტყველოთ მათი შედეგები, არამედ ვისწავლოთ მათი მართვა, გვექონდეს ნათელი წარმოდგენა ამგვარი მართვის ამოცანებსა და ფუნქციებზე. იმავდროულად, უპირობოდ, გამოსაყოფია კონფლიქტურ სიტუაციებში ხელმძღვანელის როლი, მისი ინტელექტუალური, ნებელობითი და ემოციონალური თვისებები, რომლებიც საჭიროა კონფლიქტების პროფილაქტიკისა და გადაწყვეტისათვის.

ადამიანთა დაახლოებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა ინტერესს (რადგან ინტერესთა ყოველი ჰარმონია შეიცავს ფარულ და მომავლისთვის გადადებულ კონფლიქტს), არამედ ზნეობრივ თვითშეგნებას, ადამიანის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებას. სწორედ ზნეობრიობა, როგორც ადამიანთა რეალურ ქცევაზე მოქმედი ნორმების კონკრეტული ერთობლიობა, არეგულირებს კონფლიქტებს. „ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს ინდივიდუალური ეგოიზმის განელება, – აღნიშნავდა დიურკჰაიმი, – ეს არის ჯგუფის ძალა; ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს ჯგუფის ეგოიზმის განელება, – ეს არის მათი ჯგუფების გამაერთიანებელი სხვა ძალა“.

იმ საზოგადოებისა და კულტურის ცოდნის გარეშე, რომელშიც იბადება და იზრდება მოცემული ინდივიდი, მისი ვერანაირი პირადი თვისება – რწმენა, იდეები, შეხედულებები, გემოვნება, მიდრეკილებები და ისიც, რაც მტრობას იწვევს, – ვერ იქნება გაგებელი. ამგვარი ცოდნის გარეშე გაუგებარია ადამიანის ქცევა, მისი აზროვნების სტილი, მანერა და ზნეობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტი უცილობლად არის დაკავშირებული ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მისი წყაროა ადამიანის განმსაზღვრელი, უპირატესად საბაზო მოთხოვნილებათა ჩახშობა.

რა თქმა უნდა, ეროვნული ხასიათის გარკვეული თვისებებიც მათ მიეკუთვნება. ფაქტობრივად, ყოველი ხალხი ინდივიდუალურია. მისთვის დამახასიათებელია თავისი განსაკუთრებული თვისება, ბუნების, ისტორიის, სულის გამოვლინება.

მეცნიერები კონფლიქტს უკვე აღიარებდნენ ნორმალურ სოციალურ მოვლენად, მიუთითებდნენ კონფლიქტის გამომწვევ მთელ რიგ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სხვა ფაქტორებზე. მკვლევარები აღნიშნავდნენ, რომ კონფლიქტებს, თავის მხრივ, შეუძლიათ შეასრულონ პოზიტიური როლი და მათი მეშვეობით ხერხდება სოციალური ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ძალების შეუთავსებელი ინტერესების დაბალანსება. საზოგადოების, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობების სისტემის, შემაკავშირებელ რგოლს ნორმები და ღირებულებები წარმოადგენს. მეცნიერი პარსონსის მიხედვით, ჩვენც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებებით:

ა) ნებისმიერი სოციალური სისტემა შედარებით მყარ, სტაბილურ და კარგად



ინტეგრირებულ სტრუქტურას წარმოადგენს;

ბ) ამ სისტემის ყოველ ელემენტს განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია და ამით მის სიმყარეში გარკვეული წვლილი შეაქვს;

გ) სოციალური სტრუქტურის ფუნქციონირება ეფუძნება საზოგადოების წევრთა ღირებულებით თანხმობას, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ სტაბილურობასა და ინტეგრაციას.

კონფლიქტის შესაძლებლობა ჩადებულია თავად სოციალიზაციის პროცესში, რომლის მსვლელობისას ადამიანი ეზიარება არა მარტო სოციალური სისტემის ფუნქციონირების ხერხებს, არამედ შესაბამისი კულტურის ნორმებსა და ღირებულებებს. კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს ორგანიზმის შინაგან ფიზიოლოგიურ მოთხოვნებსა და სოციალურ ურთიერთობებში ადამიანის მოთხოვნებს შორის სოციალიზაციის დროს ჩამოყალიბებული შეუსაბამობა, გარკვეული დაძაბულობა.

სოციალურ სისტემაში იგულისხმება ერთგვარი კოლექტიურობა ოთხი ფუნქციონალური მოთხოვნით: გარეგანი ობიექტებისადმი ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ქვესისტემების ინტეგრაცია, ნორმატიულ-ღირებულებითი ნიმუშის სტრუქტურული ფორმების განახლება. ამასთან, მიიჩნეოდა, რომ ადაპტაციას უზრუნველყოფს ეკონომიკური ურთიერთობები, მიზნის მიღწევას – პოლიტიკური პირობები, ინტეგრაციას – სამართლებრივი ნორმები და ჩვეულებები, სტრუქტურის განახლებას – სოციალური ინსტიტუტები, რწმენა და მორალი.

ძალზე არსებითია სოციალური სისტემის შიდა წინააღმდეგობრიობის აღიარება და, მაშასადამე, კონფლიქტების წარმოქმნის რეალურობა. მაგრამ, მთლიანობაში, მთელი რიგი მეცნიერები მხარს უჭერენ სისტემის ელემენტებს შორის „ჰარმონიულ“, ე.ი. უკონფლიქტო ურთიერთობას. კონფლიქტი მათ წარმოედგინათ სოციალურ ანომალიად, ერთგვარ ავადმყოფობად, რომლის დაძლევა აუცილებელია.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ კონფლიქტები უცვლელად წარმოიქმნება ისეთ ორგანიზაციებშიც კი, რომლებიც უნაკლოდ იმართება და ფუნქციონირებს. ეს გარემოება კვლავ და კვლავ ეჭვქვეშ აყენებდა იმას, რომ სოციალური სისტემის რომელიმე მოდელს შეუძლია უზრუნველყოს სტაბილური კონსენსუსი (ერთსულოვნება, ერთპირობა). ამასთანავე, მტკიცდებოდა კონფლიქტში გადაზრდილი სოციალური წინააღმდეგობების გათვალისწინების აუცილებლობის გაგება და კანონზომიერი ხასიათი.

ნებისმიერ კონფლიქტურ დაპირისპირებაში ჩადებულია პოზიტიური პოტენციალი. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კონფლიქტი ხელს უწყობს ინდივიდების სპეციალიზაციას და სოციალური ჯგუფების წარმოქმნას, შიდაჯგუფური და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შედარებით სტაბილური სტრუქტურის შენარჩუნებას, ძალთა ბალანსის შექმნასა და დაცვას, ამა თუ იმ სოციალური პრობლემებისა და ნაკლოვანებების სიგნალიზაციას.

*Paresashvili Nino*

## **ON COGNITION OF OBJECTIVE AND SUBJECTIVE NATURE OF ORGANIZATION CONFLICTS SUMMARY**

In the article the author acknowledges internal opposition feature of the social system and therefore reality of eruption of conflicts. Though, as a whole they support “harmonic” that is conflict-free relation between the system elements. Like other scientists they consider conflicts as social anomaly, so-called sickness which should be overcome by all means. Within any confrontation lies positive potential. This is

connected with the fact that the conflict facilitates specialization of individuals and creation of social groups, retention of comparatively stable structures for relations within groups and between groups, creation and protection of powers balance, alarm for any social problems and setbacks.

## ნანა ფირცხელავა

### PR და ინტერნეტი

PR – სპეციალისტების მიერ ინტერნეტის გამოყენება შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდება და ეს გამოწვეული იქნება სამი მიზეზით:

1. განათლებაზე მოთხოვნა გაყიდვების მოთხოვნის წინააღმდეგ. დღევანდელი მომხმარებლები უფრო ჭკვიანები, განათლებულები და საზრიანები არიან. მათ ადვილად შეუძლიათ გამოავლინონ წამქეზებლები და თაღლითები. ამგვარად, საინფორმაციო პროგრამები უნდა ემყარებოდეს საგანმანათლებლო ინფორმაციას და არა უბრალოდ საქონლის წინ წაწევას და მომსახურებას. შესაძლოა ითქვას, რომ ინტერნეტი ასეთი ინფორმაციის უმსხვილეს მსოფლიო მიმწოდებელს წარმოადგენს.

2. მოცემულ დროში სამუშაოზე მოთხოვნა. მსოფლიო იცვლება ძალიან სწრაფად, ყველაფერი ხდება წამიერად, თვალის დახამხამებაში, როგორც Маклюэн-მა იწინასწარმეტყველა, 21-ე საუკუნეში მსოფლიო გახდა „დიდი სოფელი“, რომელსაც დასჭირდა წამიერი ურთიერთობები. PR-სპეციალისტებს შეუძლიათ, ეს თავიანთი მოგებისათვის გამოიყენონ, ინფორმაციის სტრუქტურირება რომ მოახდინონ წამიერი რეაქციისათვის წარმოშობილ პრობლემებსა და ბაზრის ცვლილებებზე.

3. მოთხოვნა კლიენტების მოთხოვნილების შესაბამისად. ადრე არსებობდა სამი ძირითადი სატელევიზიო არხი. დღეს 500-ზე მეტი არხია. თანამედროვე მომხმარებლები ელოდებიან უფრო ფოკუსირებულ, მიზნობრივ, ინდივიდუალურ ურთიერთობებს. ყველა ორგანიზაციას იძულებით დაჰყავს თავისი შეტყობინება ყველა უწვრილეს საზოგადოებრივ სეგმენტზე. რეპორტიორების, ანალიტიკოსების, საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისა და მომხმარებლებისათვის ინტერნეტი ასეთ სეგმენტაციას გვთავაზობს:

- *ელექტრონული ფოსტა.* ის გახდა ყველაზე უფრო გავრცელებული საკომუნიკაციო ინსტრუმენტი. ორგანიზაციების უმრავლესობისათვის ელექტრონულმა ფოსტამ შეცვალა ტრადიციული ბეჭდვითი გამომცემლობა, ფაქსის ტექნოლოგია, რადგან ეს არის ინფორმაციის მიწოდების წამიერი გზა. ელექტრონული ფოსტის მრავალსახეობა – ინტრანეტი და შიდა ვებსაიტები წარმოადგენს კიდევ უფრო განვითარებად ფენომენს.

- *ინტერნეტ-საიტი.* PR-სპეციალისტებით ინტერნეტის გამოყენების სხვა სწრაფად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს თვითონ ორგანიზაციების შექმნა და შენარჩუნება, ასევე მათი პროდუქციის.

- *ონლაინ კავშირები მედიასთან.* გარდა საიტის შექმნისა, მედიასთან ურთიერთობისთვის, PR-სპეციალისტები იყენებენ ინტერნეტს. ჟურნალისტების უმრავლესობა მიმართავს ინტერნეტს, როგორც ორგანიზაციისათვის ინფორმაციის შექმნის ძირითად წყაროს. ბევრი ჟურნალისტი ურთიერთობს თავიანთ PR-ინფორმატორებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მაღალი ტექნოლოგიის სფეროებისათვის და ბოლოს, მთავარი ბეჭდვითი გამოცემების ონლაინ ვერსიების მზარდი რიცხვი და ელექტრონული ჟურნალების განვითარება აფართოებს მასში PR-სპეციალისტების როლს და პოპულარიზაციის შესაძლებლობას.

- *ონლაინ მონიტორინგი.* ინტერნეტში ადვილი შედწევა PR-სპეციალისტებისათვის ზოგიერთ პრობლემა ქმნის, რომელიც დაკავშირებულია მეტვალყურეობის სიძნელებთან,

უარყოფით კომენტარებთან და მუქარასთანაც კი, რომელიც მიმართულია მათი ორგანიზაციებისკენ, რაც PR-სპეციალისტებს აიძულებს, მუდმივად თვალყური ადევნონ ამ საიტს.

- *საქონლის წინ წაწევა.* მომხმარებლებთან პირდაპირი კავშირის შესაძლებლობა კიდევ ერთ-ერთი უპირატესობაა ინტერნეტის უპირატესობათა შორის. ამ სფეროში PR მხარს უჭერს ინტერნეტის ინტეგრირებულ მარკეტინგულ ძალისხმევას.

- *ინვესტორებთან კავშირი.* პირდაპირი კავშირი ინვესტორებთან და პოტენციურ ინვესტორთან კიდევ ერთ-ერთი სირთულეა PR-სპეციალისტებისათვის. საქმე ისაა, რომ ინტერნეტი საშუალებას აძლევს ინვესტორებს, ყოველდღიურად შეამოწმონ ორგანიზაციის საქმიანობა, რომ აიძულოს კომპანია, განამტკიცოს თავისი საქმიანობა საკუთარ აქციონერებთან ურთიერთობის სფეროში.

**ელექტრონული ფოსტა.** ორგანიზაციებთან ურთიერთობის ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალება გახდა ელექტრონული ფოსტა. ორგანიზაციების უმეტესობისათვის ელექტრონული ფოსტა უკვე ემსახურება შიდა საინფორმაციო წერილების გავრცელებას.

ელექტრონული საინფორმაციო წერილები გარეშე მომხმარებლების, კლიენტების, ინვესტორების ან მედიის წარმომადგენლებისათვის ასევე პოპულარული და ღირებულია. ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტით ხასიათდება, რომელიც განასხვავებს მას თავისი ბეჭდვითი ნათესავებისაგან.

- *არაუმეტეს ერთი გვერდისა.* პერსონალი არ დაიწყებს გრძელი ინფორმაციის კითხვას კომპიუტერის ეკრანიდან. ამიტომ საინფორმაციო ელექტრონული შეტყობინებების ტექსტი უნდა იყოს მოკლე.

- *ბმულები.* ინფორმაცია მომზადებული უნდა იყოს ბმულებით სხვა მასალებზე, ისეთები, როგორცაა: სტატიის ანონსები და შეთავაზებული პროდუქტები.

- *რეგულარული გავრცელება.* ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამოვუშვათ ელექტრონული საინფორმაციო შეტყობინება რეგულარული ინტერვალით, რათა მიმღები ელოდებოდეს მას.

- *უკუკავშირის წახალისება.* აუცილებელია ვთხოვოთ საიტის მომხმარებლებს, დატოვონ თავინთი სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საწარმოს დასახელება და რჩევები კორესპონდენციის ფორმატთან დაკავშირებით.

**ევექტური საიტის შექმნა.** არც ერთ კომპანიას, პროფესიულ ასოციაციას, არაკომერციულ სააგენტოებს, პოლიტიკურ კანდიდატებს და ბიზნესმენებს, დღეს არ შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი არსებობა საკუთარი საიტის გარეშე ინტერნეტში. როგორც კი წარმოიშვა ინტერნეტსაიტების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა, წარმოიშვა დავა იმის შესახებ, ვინ უნდა აკონტროლოს საიტი, ოპერატორებმა, სისტემის ანალიტიკოსებმა, მარკეტინგმა თუ PR-სპეციალისტებმა. ბევრ ორგანიზაციაში PR-სპეციალისტები იბრძვიან იმისათვის, რომ გააფართოონ საიტის მოცვის სფეროს მიღმა პროდუქტებისა და მომსახურების ზღვარი. კომპანიის უმრავლესობა შეიმუშავებს გარეშე ქსელებს, რომელიც მოწოდებულია „სიახლეების კორპორაციულ განყოფილებად“, რომელსაც იყენებს მხოლოდ მედია.

როგორი უნდა იყოს ევექტური საიტი? პირველ რიგში აუცილებელია ვუპასუხოთ რამდენიმე სტრატეგიულ კითხვას.

1) როგორია ჩვენი ამოცანა? გავაფართოოთ ბიზნესი? გავყიდოთ მეტი პროდუქტი? გამოვიმუშაოთ მეტი ფული? ისევე, როგორც PR-საქმიანობის ნებისმიერი მიმართულების, აუცილებელია განისაზღვროს მიზანი.

2) როგორი შინაარსით შევავსებთ საიტს? მიზეზი, რის გამოც ბევრი საიტი ითვლება მოსაწყენად და შემაწუხებლად, იმაში მდგომარეობს, რომ საიტის შინაარსი ყურადღებით არ იყო მოფიქრებული.

3) რამდენად ხშირად მოვახდინოთ საიტის რედაქტირება? მოძველებული სიახლე და სიახლეების არასაკმარისობა ინტერნეტსაიტების საერთო პრობლემაა. საიტი აუცილებელია განვაახლოთ რეგულარულად, მეორე პრობლემაა საიტების ინფორმაციით გადატვირთვა.

4) როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ დიზაინი? საიტის სტილი არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუ საიტის მთავარი გვერდი არ არის მიმზიდველი, ის ვერ მოიზიდავს მნახველების საჭირო რაოდენობას.

5) რამდენად ინტერაქტიული იქნება საიტი? ტრადიციული კომუნიკაცია ცალმხრივია. ინტერნეტის მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიძლება იყოს ორმხრივი.

6) როგორ შევძლებთ მოხმარების კონტროლს? როგორც ნებისმიერი კომუნიკაციის პროექტში, საიტის მოხმარება უნდა გაიზომოს, რომელიც შესაძლებელია საიტზე შესვლის შეფასებით. შედეგიანობა შეიძლება იყოს მრავალმხრივი და შეიცავდეს მოცულობის ანალიზს დღის გარკვეულ მონაკვეთში. შედწვევის ტიპები, კონკრეტული გვერდები, რომელშიც მნახველები პირველ რიგში შედიან და შემდგომი მოქმედებები, რომელსაც შემდეგ ახორციელებენ.

7) ვინ იქნება პასუხისმგებელი საიტზე? საიტის მართვა, ამოცანის სწორი დაყენების შემთხვევაში, უნდა იყოს სპეციალურად გამოყოფილი საშტატო თანამშრომლის მოვალეობა.

**საიტის მართვა.** ორგანიზაციის საიტი წარმოადგენს ყველაზე მარტივ და ხელულ საკომუნიკაციო საშუალებას, რომელშიც შედწვევა შეუძლია ნებისმიერ მსურველს. 21-ე საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვან საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ვებგვერდი. ამასთან დაკავშირებით საიტის პროფესიული მართვისათვის PR-სპეციალისტებმა ვებგვერდის ექვსი წესი უნდა დაიცვან.

1. არავითარი „მკედარი“ ბმულები. ყველა ბმული უნდა მუშაობდეს. ისინი დაკავშირებულნი უნდა იყვნენ შეპირებულ ინფორმაციასთან.

2. საკონტროლო ინფორმაცია. თუ მნახველს სურს დამატებითი ინფორმაცია, უნდა შევძლოთ ვუთხრათ, როგორ შეუძლიათ მომხმარებლებს ამის მიღება.

3. ინფორმაციის განთავსება. რამდენადაც ჩვენ ვკითხულობთ მარცხნიდან მარჯვნივ, ამდენად ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია განლაგებული უნდა იყოს ეკრანის მარცხენა მხარეს, იმისათვის, რომ მომხმარებელმა პირველ რიგში წაიკითხოს.

4. ფერების გამოყენება. ფერები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი არა მარტო გავლენას ახდენენ ინფორმაციის ჩატვირთვაზე, არამედ წარმოაჩენენ კომპანიას.

5. გამოყენების სიმარტივე. ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული. ჰიპერბმულები უნდა იყოს ზუსტი და მკაფიოდ გამოყოფილი. ყოველი დონე, საიტის შიგნით, საშუალებას უნდა აძლევდეს მომხმარებელს, დაუბრუნდეს წინა დონეს ან გადავიდეს შემდეგზე.

6. მიზანი. საიტის მიზანს განსაზღვრავს ხარისხი და განლაგებული ინფორმაციის სახე. საიტი სამ კატეგორიად შეიძლება დავეყოთ:

- დასწრების ფორმა. გათვლილია იმაზე, რომ ინტერნეტში ყოფნა დაფიქსირდეს, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის, მისი პროდუქციისა და მომსახურების წინ წაწევას.

- საინფორმაციო ფორმა. დატვირთულია მასალებით, რომელიც მოიცავს პუბლიკაციებს და განკუთვნილია იმისათვის, რომ ორგანიზაციის სრული სურათი შეიქმნას.

• ელექტრონული კომერციის ფორმა. გათვლილია გაყიდვების შექმნასა და გაყიდვების წინ წაწევაზე.

**მედიასთან კავშირი.** ძირითადად, მედიასთან ონლაინ-კავშირებში შედის შემდეგი:

*სიახლეების განყოფილება.* ყველა მოწინავე ორგანიზაცია ქმნის გარეშე ქსელს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ მედიასთვის და წარმოადგენს მათი ინტერნეტ-საიტების მწარმოებელს. ეს არის „სიახლეების კორპორაციული განყოფილება“, რომელიც მოიცავს ყველა ტრადიციულ მასალას, რომელსაც მოითხოვს მედია.

*პრეს-რელიზები.* ყოველი საიტი იწყება პრეს-რელიზით, ორგანიზებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

*ხელმძღვანელის გამოსვლა.* ყველა ხელმძღვანელის გამოსვლა და სიტყვა უნდა იყოს შესული სიახლეების განყოფილებაში. საუკეთესო საიტებს აქვთ საშუალება, გამოსვლის ტექსტი გაუზზავნონ ყველა მსურველს ელექტრონული ფოსტით.

*წლიური ან კვარტალური ანგარიშები.* ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, წელიწადში ოთხჯერ ჩააბაროს ანგარიში თავის აქციონერებს მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით, ამიტომ კომპანიების უმრავლესობა უშვებს სამკვარტალურ ანგარიშს და ერთწლიურს. ეს ანგარიშები ასევე აუცილებელია გამოჩნდეს სიახლეების კორპორაციულ გვერდზე.

*ყოველწლიური შეკრება.* ბევრმა კომპანიამ დაიწყო აქციონერებთან ყოველწლიური შეხვედრების ვიდეოზე ჩაწერა ან მისი გადმოცემა ინტერნეტის საშუალებით იმისათვის, რომ ვისაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, პირადად დასწრებოდა შეხვედრას ამის გაკეთება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით.

*ინტერვიუ.* ონლაინ-პრესკონფერენციები და ინტერვიუ ასევე გახდა სტანდარტული პროცედურა. ამით კომპანიები ინფორმაციას აძლევენ ჟურნალისტებს დროსა და პაროლზე, რომელიც აუცილებელია შეღწევისათვის კონკრეტული ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, ინტერვიუსათვის.

*ფოტოები.* ხელმძღვანელის ბიოგრაფია, სარეკლამო მასალები და სხვა. ეს ყველაფერი წარმოადგენს სტანდარტული შინაარსის სიახლის განყოფილებას.

*ციფრული პრეს-ნაკრები.* ყველა მასალა, მათ შორის პრეს-ნაკრები, პრეს-რელიზები, ფოტოები, დამატებითი ინფორმაცია დუბლირებულია ინტერნეტში ისე, რომ ჟურნალისტებმა შეძლონ მისი გადმოქაჩვა.

*პრეს-რელიზები საინფორმაციო სააგენტოებიდან.* ღია საზოგადოების აქციონერებისათვის მნიშვნელოვანი გახდა გამოუშვან პრეს-რელიზები საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით. საინფორმაციო სერვერები შეიძლება იყოს ონლაინ მონაცემთა ბაზაში, როგორცაა: Yahoo, lexis Nexis და სხვები. თუ კომპანიებს აქვთ სურვილი, მისმა აქციონერებმა და პოტენციურმა ინვესტორებმა გაიგონ მათი საქმიანობის შესახებ ონლაინ რეჟიმში, მაშინ კომპანიის პრეს-რელიზები წარმოდგენილი უნდა იყოს საინფორმაციო მომსახურებით.

*ონლაინის პოპულარიზაცია.* როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმსხვილესი პერიოდული გამომცემლობის ონლაინ ვერსიების გამოჩენამ Chccago და New ork Tines-დან business week და World Report-მდე გახსნეს პოპულარიზაციის ახალი არხები PR-პროფესიონალებისათვის. ამ ონლაინ ვერსიების უმრავლესობის ძველ გამოცემებში მუშაობენ ჟურნალისტები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ ინტერნეტ-გამოშვებით.

და, ბოლოს, ინტერნეტი გვთავაზობს პოპულიზებული მასალების მიღების შესაძლებლობას პირდაპირ მიზნობრივ სეგმენტზე.

**ონლაინ მონიტორინგი.** ინტერნეტი გადავსებულია ყალბი საიტებით და უკმაყოფილო კლიენტებით, აქციონერებით, რომლებიც ლანძღავენ ხელმძღვანელობას.

სადისკუსიო ჯგუფები (ფორუმები) და ჩატები. ეს არის უკმაყოფილო აქციონერების და მომხმარებლების განყოფილება. მცირე კომპანიები უნდა ყოველთვის საქმის კურსში იყვნენ, რას ამბობენ მათზე ონლაინ ფორუმებში. ასეთნაირად საინფორმაციო ჯგუფები მუდმივად უნდა იყვნენ სამუშაო მდგომარეობაში მათი PR-სპეციალისტებისათვის.

ყალბი საიტები უნდა კონტროლდებოდეს ორგანიზაციებიდან, რომელსაც ისინი ესხმიან თავს. იმდენად, რამდენადაც სასამართლო პროცესი მინიმალურ გავლენას ახდენს ყალბი საიტების მფლობელებზე, ამდენად უკეთესია, უბრალოდ, ფრთხილად მივხედოთ მათზე გავრცელებულ ინფორმაციას. ეს უნდა იყოს რუტინული სამუშაო PR-სპეციალისტებისათვის.

**პროდუქციის წინ წაწევა.** ინტერნეტი წარმოგვიდგება, როგორც ვირტუალური ლაბორატორია PR გამოყენებისათვის, სარეკლამო და მარკეტინგული მეთოდებით პროდუქციის წინ წაწევისათვის. დადებითად ითვლება ის, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ თქვენს ინფორმაციაში შეღწევის შესაძლებლობა. უარყოფითია ის, რომ თქვენ, ყურადღების მიპყრობაში, კონკურენციას უწევთ ათასობით სხვა ინფორმაციის მატარებელ მომხმარებლებს.

საქონლის წინ წაწევის ერთ-ერთ პოპულარულ საშუალებას წარმოადგენს სარეკლამო გზავნილები. ჩვეულებრივ საქონლის წინ წაწევისათვის გამოიყენება მაცდური მასალები და დამაინტრიგებელი ნახატები. სარეკლამო გზავნილს შეუძლია მნახველი დააკავშიროს ჰიპერგზავნილთან და საიტთან.

ონლაინ სადისკუსიო ჯგუფები – ეს არის პროდუქციის წინ წაწევის კიდევ ერთი წყარო. მოხერხებული კომპანიები ყურადღებას აქცევენ საინფორმაციო ჯგუფების მუშაობას იმისათვის, რომ გაიგონ ხომ არ არის ნახსენები სხვა კომპანიის სახელები, პროდუქცია ან სპეციალიზაცია.

მარკეტინგი, ინტერნეტის საშუალებით, საშუალებას იძლევა, გადავიდეთ კლიენტთან ურთიერთობის ახალ დონეზე. კარგი საიტები არა მარტო ყიდნიან პროდუქციას, არამედ იძლევიან ინფორმაციას და ასწავლიან მომხმარებლებს. აქ თამაშში ერთგვებია PR-სპეციალისტები. მაგალითად, მუსიკალური ჩანაწერის პოტენციურ მომხმარებელს შეიძლება განუვითარდეს გემოვნება მუსიკის მიმართ. საიტის კონსულტანტი სთავაზობს მოდელის არჩევას. მომხმარებელს შეუძლია მოუსმინოს ალბომს და რომელიც სურს შეიძინოს.

ყველა ეს შესაძლებლობა, საქონლის წინ წაწევისათვის, წარმოადგენს კლიენტებთან პირდაპირი კავშირის საშუალებას და ფლობს უდიდეს პოტენციალს PR-პრაქტიკისათვის.

**ინვესტორებთან კავშირი ინტერნეტით.** იგივე ეხება ინვესტორებთან კავშირს PR-საქმიანობის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის აქციონერებსა და საზოგადოებასთან, ბროკერებთან, ანალიტიკოსებთან და სხვა. წვრილ ინვესტორებთან, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ინფორმაციის უდიდეს ნაკადს, რომელიც მიმართულია ანალიტიკოსებზე, ბროკერებსა და დიდ ორგანიზაციებზე, ინტერნეტი გახდა ინფორმაციული სიკეთე. ინვესტორებს აქვთ შესაძლებლობა, მიმდინარე დროის რეჟიმში თვალყური ადევნონ თავიანთ საინვესტიციო ბაზრებს ინფორმაციული შუამავლების გარეშე.

**ინტრანეტი (შიდა ქსელი), ექსტრანეტი (გარე ქსელი) და CD-ROM.** ინტრანეტი წარმოადგენს კიდევ უფრო სწრაფად განვითარებულ ფენომენს ამერიკულ კომპანიებს შორის. კომპანიების უმრავლესობას უკვე აქვს ორგანიზაციული ინტრანეტი ან აპირებენ ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში.

ინტრანეტი – ეს არის შიდა მექანიზმი, რომელიც ინტეგრირებას უკეთებს შეტყობინებების ნაკადის მუშაობას, მართვას, პროცესებს, ინფრასტრუქტურას და საქმიანობის

სხვა ასპექტებს. ინტრანეტი საშუალებას აძლევს კომუნიკატორებს, ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს, ჩქარა და ეფექტურად გაცვალონ ინფორმაცია. სხვა სიტყვებით, ინტრანეტი არის კონკრეტული ორგანიზაციის ინტერნეტი, რომელიც გათვალისწინებულია აუცილებელი ინფორმაციის მისაწოდებლად მწარმოებლურობის ამალგების მიზნით.

ექსტრანეტი საშუალებას იძლევა, ინტერნეტი გამოვიყენოთ ინფორმაციის გაცვლის მიზნით მიზნობრივ აუდიტორიაზე, როგორცაა მედია, ინვესტორები, მიმწოდებლები, მთავარი კლიენტები. ინფორმაციის ასეთი სეგმენტების და მისი გავრცელების დაცვით, მიზნობრივ აუდიტორიას შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული იქნება.

CD-ROM გახდა PR-საქმიანობის ინსტრუმენტი, რომელსაც PR-სპეციალისტები ავრცელებენ ბეჭდვით და ვიდეოჩანაწერების ნაცვლად.

*Pirtskhelava Nana*

## PR AND INTERNET SUMMARY

Today PR changes form of the internet; as for the internet, it changes the practice of PR. Promotion and public perception is such important for differentiation of internet firms as engineering of their products. According to large number of firms, which aspire for recognition and have limited finances, new internet companies have to depend on PR and more exactly they depend on promotion, which should help them to enter in the market in order to be in front of public. They produce press releases continuously but the great demand for internet companies and PR - proved their superiority but they have problems: unnecessary and false releases, sometimes false report of research for preventing companies.

The primary requirement for PR specialist became to get to know with Internet technologies and their adaptation.

*გიული ქეშელაშვილი*

### ორგანიზაციული განვითარების ეკონომიკური ასპექტები

გლობალიზაციის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა ქართულ კომპანიათა შიდა ურთიერთობების გადახედვის საკითხი. გაძლიერდა კონკურენცია საერთაშორისო ბაზრებზე. თანამედროვე მენეჯერებმა, რომლებიც კომპანიათა წინსვლით არიან დაინტერესებულნი, უნდა შეძლონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების აღქმა და პერსპექტივათა სწორი განსაზღვრა. ჩნდება კითხვა: „როგორ გამოვიყენოთ პოტენციური შესაძლებლობანი კრიტიკულ სიტუაციაში?“

დღეს, როდესაც მუდმივად იცვლება კომპანიათა კონფიგურაცია, ქრება ორგანიზაციული სტრუქტურების არა მხოლოდ ტრადიციული, იერარქიული ელემენტები, არამედ თვით ბიზნეს-პროცესებიც, ადგილი აქვს თანამშრომელთა მასიურ დათხოვნებს, აქცენტის გადატანა ხდება სამუშაოს სოციალურ-ფსიქოლოგიურ მხარეზე, მნიშვნელოვანია ამ ნეგატიური მოვლენების კომპენსირება ისეთი სოციალური პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება უმუშევრობის წინააღმდეგ.

ჩვენ განვიხილავთ ორგანიზაციულ ცვლილებებს, როგორც ორგანიზაციული ეფექტიანობის ამალგების მიზნით სასურველ მომავალ მდგომარეობაში ორგანიზაციის გადაყვანის დინამიკურ პროცესს. აუცილებლად მიგვაჩნია ორგანიზაციული

შეხედულებების ფუნდამენტური გადახედვა და ბიზნეს-პროცესების რადიკალური ცვლილებების განხორციელება ისეთი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, როგორცაა დანახარჯების სტრუქტურა, ხარისხი, მომსახურება და ქმედებათა ოპერატიულობა. საინტერესოა მათი განხილვა ორგანიზაციული კულტურის ზოგიერთ ელემენტთან მიმართებაში. ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნება ორგანიზაციული კულტურის ტრადიციული განმარტება, რომლის თანახმადაც კომპანიის კულტურა უნიტარულია, ისტორიულია, ასრულებს ორგანიზაციის მართვის ინსტრუმენტის როლს, დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტის, ან ბიზნესის დამფუძნებლის ქცევაზე. ამოსავალ განმარტებას წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის განმარტება, შემოთავაზებული ო.ს. ვიხანსკისა და ა.ი. ნაუმოვის მიერ: ორგანიზაციული კულტურა არის ორგანიზაციის უდიდესი ნაწილის მიერ აღიარებული მართვის ფილოსოფია და იდეოლოგია, მოსახრებები, ფასეულობებზე დაფუძნებული მიმართულებები, წარმოდგენები, მოლოდინი, დადგენილებები და ნორმები, რომელთა საფუძველზეც იმართება ურთიერთობები და ურთიერთქმედება როგორც ორგანიზაციაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ანალიზი დაიწყო ორგანიზაციული კულტურის ადგილისა და როლის შესწავლით რეინჟინირინგის ღონისძიებების მიღების პროცესში. როგორც მ. ჰამერი და ჯ. ჩამპი წერენ, რეინჟინირინგი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტურ გადაფასებასა და რადიკალურ რეორგანიზაციას თანამედროვე ბიზნესის ისეთი საკვანძო მაჩვენებლების არსებითი გაუმჯობესების მიზნით, როგორცაა დანახარჯები, ხარისხი, მომსახურების დონე და ოპერატიულობა. მოცემულ განსახილველში ოთხი საკვანძო სიტყვა გვხვდება: ფუნდამენტური, რადიკალური, არსებითი და პროცესები. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს შემდეგს: 1) ფირმის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას; 2) წარმოების უფრო დახვეწილი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას; 3) ფირმის „მიახლოებას“ საბოლოო მომხმარებელთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ტექნოლოგიური სტრუქტურული ერთეულებიდან ეკონომიკურ ერთეულებზე გადასვლით. თვით ერთეულების გარდაქმნის შედეგად იცვლება ორგანიზაციული სტრუქტურები, ხდება იერარქიული ბიუროკრატიული ორგანიზაციის გარდაქმნა მარტივ, ჰორიზონტალურ, ქსელურ, ან სხვა სახის სტრუქტურად, სადაც ნაწილების ურთიერთშეთანხმებისა და მათი ერთ მთელად გაერთიანების განსხვავებული პრინციპები მოქმედებს<sup>99</sup>. ამის გარდა, რეინჟინირინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც მთელი ორგანიზაციის, ისე მისი ცალკეული ქვედანაყოფების მასშტაბით. სარგებელი, რომელიც ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს რეინჟინირინგის ხარჯზე, შემდეგია<sup>100</sup>: იხვეწება მართვის სისტემები; იზრდება ეკონომიკური ეფექტიანობა; იზრდება საწარმოს სოციალური მნიშვნელობა და საწარმოს მიერ ინერგება მართვის ავტომატიზირებული სისტემა.

რა სახის კავშირი არსებობს რეინჟინირინგსა და ორგანიზაციულ კულტურას შორის?

ორგანიზაციული კულტურა – უპირველეს ყოვლისა, კომპანიის სოციალური ორგანიზმის სულია. ამ სულის მატარებლებად და შემქმნელებად ორგანიზაციის თანამშრომლები გვევლინებიან.

რეინჟინირინგის ღონისძიებათა წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა:

- ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების ინტერესთა დაბალანსება. ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს კულტურა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ძირითადი ჯგუფის ინტერესთა დაკმაყოფილებას, იქნება ეს მენეჯერი, აქციონერი, მომხმარებელი თუ

<sup>99</sup> Акулов Б. В., Теория организации, Петрозаводск, 1999. С. 230.

<sup>100</sup> Бородин А. И., Методология и инструментальные средства для проведения реинжиниринга // Менеджмент в России и за рубежом. 2003. №3. С. 45.



რიგითი თანამშრომელი. ინტერესების გადაწონვა რომელიმე ჯგუფის სასარგებლოდ შეიძლება რეინჟინირინგის წარუმატებლობის მიზეზი გახდეს.

- მარკეტინგული, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დაბალანსება. ორგანიზაციული კულტურა უნდა იყოს ისეთი სახის, რომ ხელს უწყობდეს მენეჯერული პოლიტიკის გატარებას რეინჟინირინგის ღონისძიებათა ხარჯზე.

- ბალანსის მიღწევა ორგანიზაციული კულტურის სხვადასხვა დონეებს შორის.

- ბალანსის მიღწევა ორგანიზაციული კულტურის ერთი და იგივე დონის სხვადასხვა ელემენტებს შორის.

1960-70-იან წლებში სამსახურიდან ძირითადად დაბალკვალიფიციურ მუშაკებს ითხოვდნენ, დღეს სამსახურიდან ძირითადად კვალიფიციურ პერსონალს, დაბალი და საშუალო დონის მენეჯერებს ითხოვენ. მმართველობითი ცვლილება უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკურ კრიზისს და ეროვნული, ან მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბების შემცირებას.

1980-იან წლებში ამერიკის ეკონომიკას დარტყმა მიაყენა იაპონურის შემოჭრამ. ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა ამერიკელი საქონელმწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებების გამოძებნა. გამოსავალი მოიძებნა, რომელსაც უილიამ ოუნიმ სრულიად ლაკონურად „თეორია Z“ უწოდა. „თეორია Z“-ის თანახმად ბიზნესის ეფექტიანობის ზრდის პროცესში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს რიგითი მუშაკის დაინტერესებასა და მის ხანგრძლივ დასაქმებაზე. სწორედ ეს ახალი შეხედულება მუშაკის შესახებ გახდა ფსიქოლოგიური კონტრაქტის საფუძველი: ბიზნესი ყოველმხრივ ზრუნავს დაქირავებულ თანამშრომლებზე, რომლებიც თავის მხრივ თავდაუზოგავად ემსახურებიან კომპანიის ინტერესებს. ფსიქოლოგიური კონტრაქტი დიდი ხნის მანძილზე ამართლებდა, რაზეც აშკარად მეტყველებდა მრავალი ამერიკული კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

1990-იან წლებში ამერიკულ კომპანიებს სამსახურებიდან მასიური დათხოვნის ტალღამ გადაუარა. თუმცა, ამერიკულმა კომპანიებმა ნაცვლად 40 მილიონი ძველი სამუშაო ადგილისა შექმნეს 70 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი. ამასთან, სამსახურიდან დათხოვნილი მუშაკების მხოლოდ 35% შოულობდა სამსახურს იგივე ანაზღაურებით. ყველა სხვა შემთხვევაში მათ სამსახურში იღებდნენ უფრო დაბალი ხელფასით წინა სამუშაო ადგილთან შედარებით. როგორც წესი, ეს იყო დროებითი, ან ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო. ანალოგიურ ღონისძიებებს სახელმწიფო მართვის სექტორშიც იყენებენ ისეთი იდეოლოგიური დევიზებით, როგორცაა მაგალითად, „ყოველი თანამშრომელი მეწარმეა!“, „შევუმცირეთ სახელმწიფო გადასახადები გადასახადის გადამხდელებს!“.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კლინტონის ადმინისტრაციამ 272 400 ფედერალური სამუშაო ადგილი გააუქმა, სამსახურებიდან მასიური დათხოვნა საზოგადოებაში პესიმისტური განწყობილების მიზეზი გახდა, რაც აისახა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა მორალურ მდგომარეობაში. ამის გარდა, გატარებულმა ღონისძიებებმა მრავალი კომპანიის იმედი ვერ გაამართლა: ბიზნესის რენტაბელობა უმნიშვნელოდ გაიზარდა.

საწარმოთა ხელმძღვანელები ცდილობენ გაატარონ აქტიური სტრატეგიული პოლიტიკა და ამ გზით შეცვალონ სტეოკჰოლდერების ინტერესთა ბალანსი. ფსიქოლოგიური კონტრაქტის რღვევა იწვევს ორგანიზაციის ტოპ-მენეჯმენტისა და აქციონერების ინტერესების აშკარა გადაწონვას რიგითი თანამშრომლების ინტერესებთან შედარებით, რასაც ცხადყოფს შრომის ანაზღაურების ის კოლოსალური განსხვავება, რომელიც არსებობს დღეს მმართველობითი პირამიდის წვერსა და მის ძირში მყოფ რიგით

თანამშრომლებს შორის. მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შემცირების გზით ტოპ-მენეჯმენტი ზოგავს კორპორაციის იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც იხარჯება ხელმძღვანელობის პრემიებისა და აქციონერების მაღალი დივიდენდების დასაფარად.

ამგვარად, გასატარებელ ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია არა მხოლოდ ფირმის საქმიანობაზე მოქმედი შიგა ფაქტორების, არამედ გარე ფაქტორების გათვალისწინებაც. შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციული კულტურის არსებობა, რომელიც მოგვცემს თანამშრომელთა უმეტესობისათვის მენეჯერული ცვლილებების უმტკივნეულოდ განხორციელების საშუალებას. გარე ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ უპირველეს ყოვლისა, სოციალური პოლიტიკის ის თავისებურებანი უმუშევრებთან მიმართებაში, რომელიც ტარდება ამა თუ იმ ქვეყანაში.

ამჟამად, მაღალი კონკურენციის პირობებში, წარმატებას აღწევენ ის კომპანიები, რომლებიც აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნებს ხარისხთან, მომსახურებასთან და ფასებთან მიმართებაში. ეს ფაქტი მოასწავებს ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის ეპოქის დადგომას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციისა და მისი ყველა წევრის ზრუნვა მაღალ ხარისხზე, მუდმივ გაუმჯობესებაზე და მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ მიდგომას შეესაბამება მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც მთელ თავიანთ ძალისხმევას წარმართავენ მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამ იდეის წარმოდგენა შესაძლებელია გადაბრუნებული ორგანიზაციული პირამიდის სახით, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა მომხმარებლებისა და კლიენტების მომსახურების ხარისხს, რომლებიც განლაგებულნი იქნებიან ორგანიზაციის მწვერვალზე.

ამგვარად განხორციელებული მენეჯმენტი მოითხოვს, რომ მუშაკები უშუალო გავლენას ახდენდნენ მომხმარებლებზე, საშუალო დონის მენეჯერთა და ოსტატთა ქმედებანი მიმართული იყოს მუშაკთა მხარდასაჭერად, ტოპ-მენეჯერებმა კი მკაფიოდ ჩამოაყალიბონ ორგანიზაციის მისია, მიზნები, ამოცანები, დასახონ სტრატეგია და ეფექტიანად გამოიყენონ რესურსები.

ჩვენ ვცხოვრობთ მუდმივი ცვლილებების ეპოქაში, სადაც ხდება ორგანიზაციული პროცესების ახლებური გააზრება და დაგეგმვა, ეს პროცესები მიმართული უნდა იყოს ინოვაციათა დანერგვასა და ეფექტიანობის ზრდაზე და უნდა უზრუნველყოფდეს ორგანიზაციის მიზნის მიღწევას საქმიანობის მოდერნიზაციისა და რეკონფიგურაციის განხორციელების შედეგად. საქართველოში იქმნება და ვითარდება ელექტრონული კორპორაციები, რომლებიც იყენებენ ინტერნეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ განახორციელონ საქმიანობის კომპიუტერული ინტეგრაცია, ანუ იქმნება „ეკონომიკა აგენტების გარეშე“. ეს ხელს უწყობს ადამიანში საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენას, რადგან იგი ადამიანს მიიჩნევს მაღალი ორგანიზაციული შედეგის მიღწევის მთავარ რესურსად.

*Keshelashvili Giuli*

## **ECONOMIC ASPECTS OF ORGANIZATIONAL DEVELOPMENT SUMMARY**

Work provides analysis of dramatical reorganization of the business processes for improvement of such key indicators of business as costs, quality, service level and operability. This could be achieved via transformation from technological structural units to the economic units. This requires transformation of the bureaucratic organizational structures into such simple, horizontal, network or other structures, where the

different principles of harmonization of its components and unifying into one whole will apply. In Georgian companies, for successful implementation of transformations the interests of the parties interested in their activities should be balanced; as well as balancing of the marketing, IT and technologies related to transformation of organizational structure; achievement of balance between different levels of organizational culture; achievement of balance between different elements of one and the same level and achievement of such level of development of the organizational ideology, where the efforts of the personnel and innovations will be implemented at fullest possible extent.

## *რევაზ ჯავახიშვილი*

### **გლობალიზაციის ისტორიული წინამძღვრები**

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ეროვნული სახელმწიფოებისა და მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. თანამედროვე ეპოქა უდიდეს მოსაბრუნს წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში, რაც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი გლობალური რეკოლუცია, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან და რომლის ზეგავლენა მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე დღითიდღე ძლიერდება.

ეტიმოლოგიურად, ცნება “გლობალიზაცია” წარმოსდგება ინგლისური სიტყვისაგან (Globe), რაც დედამიწის, გლობუსის აღმნიშვნელია, ხოლო “გლობალური” ნიშნავს საყოველთაოს, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას. ტერმინი “გლობალიზაცია” ფრაგმენტაციის (დაყოფა, დანაწევრება) საპირისპიროდ გაჩნდა გასული საუკუნის 80-იანი წლებში, როცა პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თ. ლევიტმა გამოიყენა იგი ცალკეული ბაზრების ურთიერთშერწყმის ასახსნელად. ფართო გაგებით კი ეს ცნება გამოიყენება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ჰარვარდის ბიზნესის სკოლის იაპონელმა კონსულტანტმა კ. ომემ გამოაქვეყნა ნაშრომი “მსოფლიო საზღვრების გარეშე” და როცა მისივე რედაქტირებით გამოიცა ნაშრომების კრებული “გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება” [3; 10]. ეს ტერმინი თავდაპირველად წმინდა ეკონომიკურ შინაარსს ატარებდა, სულ მალე კი მან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ამ თვალსაზრისით ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა მ. ელბროუმ გამოიყენა მსოფლიო ქვეყნებისა და ხალხების სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ერთიანობის გამოსახატავად [4; 30].

თანამედროვე გლობალიზაციის არსის სწორი გაგებისათვის საჭიროა მისი წარმოშობის ისტორიული წინამძღვრების სათანადო ანალიზი და შესწავლა. ამ მხრივ სავსებით სწორად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ გლობალიზაცია უნდა განიხილოს როგორც ზოგადპლანეტარული მეურნეობრივი სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რომელსაც საკუთარი პრეისტორია გააჩნია. ეკონომიკის გლობალიზაციის პრეისტორია გაცილებით უფრო ფართო და ზოგადია, ვიდრე საკუთრივ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ისტორია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ-ეკოლოგიურ და სხვა ასპექტებს [3; 19].

თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაციის წარმოშობის ისტორიული წინამძღვრები შორეული წარსულიდან იღებს სათავეებს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო მეურნეობის წარმოშობას, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებასა და გაღრმავებას. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა არის გლობალური

ეკონომიკური ორგანიზმი, მუდმივ მოძრაობაში, განვითარებასა და მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტური კანონების მოქმედებასა და მთლიანობაში ქმნის ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები კი გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც გვიხასიათებენ ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთმიმართებას, ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებას, სავაჭრო, საწარმო-ტექნოლოგიურ, საინვესტიციო, სავალუტო-საკრედიტო და კორპორაციული კავშირების განვითარებასა და გაღრმავებას.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობამ, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის მნიშვნელოვანმა წინამძღვარმა, თავისი ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ზოგიერთი მკვლევარი მსოფლიო მეურნეობის წარმოშობის საწყის ეტაპად რომის იმპერიას მიიჩნევს, რამდენადაც იგი იყო პირველი მსოფლიო იმპერია, რომელსაც საფუძვლად ედო კერძო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა.

მკვლევართა მეორე ნაწილი მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბებას უკავშირებს მე-15-16 სს-ის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ძვირფასი ნაკეთობებით, კეთილშობილი მეტალებით, ფუფუნების საგნებითა და მონებით საგარეო ვაჭრობის გაფართოებასა და ამ ნიადაგზე ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებასა და გაღრმავებას.

ერთიანი მსოფლიო მეურნეობის წარმოშობა, როგორც თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი წინამძღვარი, რეალურად უკავშირდება სამრეწველო გადატრიალების ეპოქას, კერძოდ, თავისუფალი კონკურენციიდან კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში გადაზრდას, მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სისტემის შექმნას. საქმე ისაა, რომ მანამდე არსებული მსოფლიო იმპერიების ეკონომიკური და პოლიტიკური მთლიანობა, უმეტესწილად, ეფუძნებოდა ზედნაშენური კატეგორიების მოქმედებას, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ძლიერებასა და შედარებით ნაკლები იყო ეკონომიკური ფაქტორების მოქმედება და მნიშვნელობა. შუა საუკუნეების გეოგრაფიული აღმოჩენებიც უფრო მეტად სპონტანურ ხასიათს ატარებდა და ვერ ქმნიდა მსოფლიო მასშტაბით ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებისათვის საჭირო პირობებს.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში, როცა მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური ფაქტორები – ვაჭრობა, კაპიტალის გატანა, საკრედიტო-სავალუტო ურთიერთობები და ა.შ. ამასთან, კაპიტალისტური განვითარების ეპოქაშიც მსოფლიო მეურნეობის განვითარებასა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებაში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავება. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო მეურნეობა ეფრო მეტად ეფუძნებოდა გარეშე ეკონომიკურ იძულებას, იმპერიალისტური ძალების გავლენას, ვიდრე “კაპიტალის ძალას”. ამ პერიოდში მსოფლიო მეურნეობა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები შეიცავდა მწვავე პრობლემებსა და წინააღმდეგობებს, რამაც ჩვენი პლანეტა შეიყვანა ჩიხში, რასაც შედეგად მოჰყვა ორი დამანგრეველი მსოფლიო ომი.

გასული საუკუნის შუა პერიოდში მსოფლიო მეურნეობა გაიყო ორ ნაწილად – მსოფლიო კაპიტალისტურ და სოციალურ სისტემებად, სადაც გადამწყვეტი ადგილი ეჭირა მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას, რომლის წილად მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვის 90 პროცენტი. გასული საუკუნის 80-იან წლებში სოციალისტური სისტემის ქვეყნები აწარმოებდნენ მსოფლიო ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ 1/3-ს.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან მეურნეობის მსოფლიო სისტემაში შევიდნენ განვითარებადი ქვეყნები. ცოტა მოგვიანებით კი, 70-იანი წლების შუა პერიოდიდან, მათგან თვალნათლივ წარმოჩინდნენ ე.წ. “ახალი ინდუსტრიული ქვეყნები” – სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური, უფრო მოგვიანებით – ლათინური ამერიკის ქვეყნები: ბრაზილია, არგენტინა და მექსიკა.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენს მსოფლიო ქვეყნების დიდი ნაწილის ჩაკეტილი ნაციონალური მეურნეობიდან ღია ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა და მსოფლიო ბაზარში ჩართვა. ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთის სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად თავისუფლდებიან ჩაკეტილი, ავტარკიული მეურნეობის ჩარჩოებიდან და ერთგვრიან მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მ წამოაყენა თეზისი “ვაჭრობის თავისუფლებისა” და “ღია ეკონომიკის” შესახებ, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებას. ეს პროცესი გახდა შეუქცევადი, რაზედაც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან გადამწყვეტია სახელმწიფოებისა და მათი მთავრობების მიერ საექსპორტო წარმოების სტიმულირება, საქონლისა და მომსახურების გატანის წახალისება, უცხოეთის ფირმებთან თანამშრომლობა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მტკიცე სამართლებრივი ბაზის ფორმირება, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა უცხოური ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიების, სამუშაო ძალისა და ინფორმაციის მოზიდვისათვის.

ღია ეკონომიკაზე გადასვლისა და ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი საგრძნობლად დააჩქარა ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნამ. ისწრაფოდნენ რა მსოფლიო ბაზრების დაპყრობისაკენ, ისინი მოხერხებულად უვლიდნენ გვერდს უცხო სახელმწიფოთა პროტექციონისტულ ბარიერებს, რითაც მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლის ინტერნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარებას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა, აგრეთვე, სატრანსპორტო და საინფორმაციო საშუალებების არნახულმა პროგრესმა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობის მობილურობა, დააჩქარა ქვეყნებს შორის სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და მათი მსოფლიო ბაზრების ფორმირება. მსოფლიოში თანდათანობით იმსხვრეოდა სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო ბარიერები, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განხორციელებული რევოლუციური გარდაქმნების შემდეგ მსოფლიო მეურნეობა იძენს ერთიანი, მთლიანი წარმონაქმნის ნიშნებს. თანამედროვე ეტაპზე სწრაფად ხორციელდება ერთიანი გლობალური ეკონომიკის ფორმირება, რომელიც, რა თქმა უნდა, არაა ერთტიპური და თავის თავში შეიცავს სამრეწველო დონის მიხედვით განვითარებულ ქვეყნებს, განვითარებადი ქვეყნებისა და გარდამავალი ტიპის ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნების ნაციონალურ მეურნეობებს.

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოადგენს კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა, ქვეყნების ეკონომიკური დაახლოება და გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება. სამომავლოდ ამას შედეგად მოჰყვება ჰუმანური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბება, სადაც ქვეყნებს შორის ურთიერთობა დამყარებული იქნება არა ძალის პოზიციებზე, არამედ ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობაზე, ადამიანთა უფლებების დაცვაზე, ჰუმანურ მიზნებსა და დემოკრატიული ინსტიტუტების მოქმედებაზე, ეკონომიკის,

კულტურისა და პოლიტიკის სფეროში თავისუფალ, თანასწორუფლებიან და შეუზღუდავ თანამშრომლობაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბილისი, 2005.
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, 2011.
3. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბილისი, 2009.
4. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი, თბილისი, 2010.
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, 2006.

*Javakhishvili Revaz*

### **HISTORICAL PRECONDITIONS OF GLOBALIZATION SUMMARY**

The most important for the determinant factors of the modern globalization is the creation of a single system of the World Economy, which is associated with the epoch of capitalism development. On the way of the economic globalization, the great role played transition from the closed National Economic System to the Open Economy and the process of deepening the economic integration between countries. In this process the determinant role were played by the transnational corporations, modern information, transport and communication facilities and by the international financial-economic organizations by building up and entry into force the appropriate legislative base for the doing regular business in the global economic expanse.

ელექტრონული მთავრობა და გლობალიზაცია

მსოფლიო საზოგადოების ინტენსიურმა კომპიუტერიზაციამ და ინტერნეტიზაციამ მრავალმხრივი ზეგავლენა იქონია ადამიანის საქმიანობის მრავალ ასპექტზე (განსაკუთრებით ეკონომიკის, პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, კულტურის, ცოდნისა და განათლების სფეროში) და მოიტანა გლობალური და ლოკალური ინფორმაციული სივრცის ფორმირება, მსოფლიო ცივილიზაციის მოთხოვნების ცვლილება და გლობალიზაციის თანმდევი პროცესების დიფუზია.

გლობალური ინფორმაციული სივრცე (გლობალური კიბერსივრცე) განიხილება, როგორც ინფორმაციული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ინფორმაციის გადაცემის არხების, სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და საერთო მოხმარების ქსელის [1] ერთობლიობა (რომლითაც შედგება სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთაშორისი ქსელი), რაც წარმოადგენს გლობალიზაციის ტექნიკურ-სოციალურ საფუძველს.

გლობალიზაცია, როგორც ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესი, აღწევს ეკონომიკის, პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, კულტურის, კომუნიკაციის და ცხოვრების ყველა სფეროში. დღეისათვის გლობალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე შესამჩნევ და მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს მედიანაკადების სტანდარტიზაცია [2]; ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების განვითარება, კულტურული ღირებულებების უნიფიკაცია; მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფუძველზე უსაფრთხოების ახალი მოდელის შექმნა [3]; კიბერდაცვის სტრუქტურის სტანდარტიზაცია და სრულყოფა ძირითადი ობიექტების დაცვის მიზნით [4], ელექტრონული მთავრობის სტრატეგიაში საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრუქტურირება და სტანდარტიზაცია [5].

გლობალიზაცია არ არის ავტომატური ან თვითმწარმოებლური პროცესი. პირიქით, თანამედროვე გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური რეგულირება, ინსტიტუციონალიზაცია ყველა დონეზე და ერთიანი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ახდენს განსაზღვრული გლობალური პროექტების რეალიზებას გლობალურ ბაზრებზე. გლობალიზაციამ ეკონომიკურ სფეროში გამოიწვია ურთიერთობების გარდაქმნა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, ადმინისტრაციული მართვის სფეროში – სახელმწიფო უწყებებსა და მოქალაქეებს, ასევე ბიზნესორგანიზაციებს შორის. შეცვალა სახელმწიფოს ძალაუფლების გამოვლინების პირობები და წესები, შეასუსტა ძალაუფლება და მოქმედებისა და ზეგავლენის სფეროები და, მთლიანობაში, წარმოადგენს ღრმა სტრუქტურული ტრანსფორმაციის ძალას. გლობალიზაცია არ წარმოადგენს ჰომოგენიზირებულ ძალას<sup>101</sup>, მისი გავლენა ძირითადად მიმართულია მსოფლიოს პოლიტიკის, სამხედრო და ეკონომიკური იერარქიის, მის შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის, საინფორმაციო გარემოს, განსაკუთრებით სახელმწიფოების რეჟიმისკენ [6].

გლობალიზაცია განსაზღვრულია, როგორც ტრანსნაციონალური ძალა, რომელიც მოიცავს ისეთ ტრანსნაციონალურ ინფორმაციულ სტრუქტურას, როგორცაა ინტერნეტი. იგი გადაწყვეტილების მიღებისათვის ქმნის ახალ კონტექსტსა და ახალ საფრთხეებს (კიბერტერორიზმი) და გლობალიზაციის გამოწვევებზე ეძებს პოლიტიკურ პასუხებს [7]. გლობალიზაციის პროცესის მძლავრი ინსტრუმენტი ინფორმაციული ტექნოლოგიები,

<sup>101</sup> თვისებებით ერთგვარი.

განპირობებული გლობალური კომპიუტერული ქსელის – ინტერნეტის წარმოშობითა და მძაფრი განვითარებით.

გლობალიზაცია პროცესების ერთობლიობით საერთო პლანეტარული ტრანსფორმაციისა და მსოფლიოს ერთიანი სისტემის სახე გახდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროში [6]. დღევანდელ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სისტემაში ინფორმატიზაციამ და გლობალიზაციამ გამოიწვია სახელმწიფოს მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიებით მართვის ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა.

სახელმწიფოების მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად გლობალიზაციის ეფექტური მიმართულებებია ელექტრონული მთავრობის რეჟიმის ჩამოყალიბება და განვითარების ნორმების მიღწევა, ხოლო თვით გლობალიზაცია არის ელექტრონული მთავრობის პროგრესის ხელშემწყობი ძალა.

გლობალიზაციის პროცესის განვითარება ელექტრონული მთავრობის მიმართულებით იწვევს გლობალიზაციის პროცესის სწრაფ გაძლიერებასა და მის ტრანსფორმირებასთან კავშირში საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან და ინტერნეტქსელთან ურთიერთქმედებით მძაფრ განვითარებას.

გლობალიზაციის სპექტრში ელექტრონული მთავრობა წარმოადგენს ნაციონალური და ფედერალური ორგანოების, მოქალაქეებისა და ბიზნესორგანიზაციებს შორის ინტერნეტისა და ტელეკომუნიკაციის სხვა ქსელების მეშვეობით გლობალურ ქსელურ, რთულად ორგანიზებულ მრავალდონიანი ურთიერთქმედების სტრუქტურას, რომელიც ვითარდება თავისი სპეციფიკური მიზნებისა და ეფექტურობის კრიტერიუმების შესაბამისად.

გლობალიზაციის პირობებში მომსახურების/პროდუქტებისა და ინფორმაციის გაცვლის აქტივიზირებით არსებითად იზრდება სამთავრობო უწყებებს, მოქალაქეებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის ელექტრონული მთავრობის ამოცანებისა და ფუნქციების მნიშვნელობა, რომელიც ადვილად რეალიზდება ინტერნეტქსელთან ეფექტური ინტეგრაციის პირობებში.

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ელექტრონული მთავრობა განიცდის სხვადასხვა ცვლილებებს და შეიმუშავებს არსებობის ახალ საშუალებებს, გამოიმუშავებს კრიზისთან და სოციალურ ძვრებთან ადაპტაციის ახალ ფორმებს, ამგვარად გლობალიზაციის მზარდ ტალღას წარმოადგენს როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს, ასევე სამთავრობო უწყებებს შორის ურთიერთობებისა და საბაზო ფასეულობების ცვლილება, რომლის შემადგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ ინტერნეტის გამოყენება ამ პროცესში.

დღეისათვის გლობალიზაციის დიდი ბენეფიციარებია: მედიაიმპერიები, ფედერალური და ადგილობრივი ე-მმართველობა, ინტერნეტორგანიზაციები და ინფორმაციული საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები და სხვა ინსტიტუტები, რომელთაც აქვთ გავრცელების ფართო პოტენციალი.

გლობალიზაცია ითვალისწინებს საკომუნიკაციო სისტემის განვითარებას და გლობალური სივრცის გამოყენებას ინფორმაციის გადაცემისათვის, გლობალური ინფორმაციული სისტემის სწრაფ ზრდას, კაცობრიობის ცხოველმოქმედი პროცესების კომპიუტერიზაციას, ბიზნესისა და ფინანსების მართვისათვის გლობალური სისტემის შექმნას, საწარმოო პროცესების მართვას ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ბაზაზე და სხვა.

ნაწილობრივ გლობალიზაციის პროცესის შედეგია “დემოკრატიული მართვა”, რომლის კონცეფცია მოიცავს ეფექტური მომსახურების მართვის საჯარო სექტორს, განვითარებულ გარემოს, ადამიანის უფლებების დაცვას, ფუნდამენტურ თავისუფლებას და



სხვა [8]. თავის მხრივ, სახელმწიფოს მმართველობა განვითარების ყველა სტადიაზე გლობალიზაციის გამოწვევების წინაშეა.

ინტერნეტმა მოიცვა გლობალური სოციუმის კომუნიკაციური გარემო და დაადგინა ახალი პრინციპები. ინტერნეტის ფასეულობა პროპორციულად ზრდის გლობალიზაციის სარგებელს.

ინტერნეტის საფუძველზე პოლიტიკის გლობალიზაციამ ძლიერ შეამცირა ცალკეული ქვეყნების იზოლაცია და საჭიროებს ძლიერ კომპლექსურ და თანამიმდევრულ რეზოლუციებს (გადაწყვეტილებებს) ნაციონალური პოლიტიკის ზეგავლენისათვის. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები გლობალური ქსელის საკანონმდებლო ორგანოებთან თანამშრომლობით, უნდა ჩაერთონ მსოფლიოს ე-გარემოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში [9], რადგან ინტერნეტის ტექნიკურ და უნივერსალურ სტანდარტებს თანაბრად ინაწილებს მსოფლიოს ყველა ერი.

თუ მთავრობა განვითარების ყველა ეტაპზე გლობალიზაციის პრობლემების გამო „ახდენს სახელმწიფო მართვისა და საჯარო ადმინისტრაციის სრულყოფას“, ელექტრონული მთავრობა ხელს უწყობს გლობალიზაციის პრობლემების გადაჭრას. რადგან ელექტრონული მთავრობის პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება იწვევს ახალი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შექმნას, დემოკრატიის ზრდას, მეტი მოქალაქის ჩართვას მართველობით პროცესებში, უზრუნველყოფს ორგანიზაციების რესტრუქტურისა და ნაციონალური და ადგილობრივი ელექტრონული მთავრობის მზადყოფნას [10]. თუმცა გლობალიზაციის გამოწვევების გამო ელექტრონული სახელმწიფო სექტორს მდგრადი განვითარებისათვის ისეთივე უწყვეტი განვითარების გამოწვევის მიღება სჭირდება, როგორც ამას ბიზნესსექტორი აკეთებს.

გლობალიზაცია ამაღლებს ნაციონალური პოლიტიკის მოთხოვნებს ელექტრონული მთავრობის დანერგვის მიმართულებით, და ამასთანავე ამცირებს ტრადიციული მთავრობის შესაძლებლობებს. გლობალიზაციის გამოწვევებისა და შეუქცევადი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე მთავრობა საჭიროებს თავისი როლის ტრანსფორმაციას ელექტრონული მთავრობის ფორმატში.

ელექტრონულ მთავრობას ტრადიციულ მთავრობასთან შედარებით ადვილად და ეფექტურად შეუძლია დაძლიოს გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციები, აამაღლოს მოქალაქეების პოლიტიკური ჩართვის დონე, და გაამარტივოს მოქალაქესა და მთავრობას შორის პირდაპირი კონტაქტი. პოტენციურად ინტერნეტ-მოქალაქე თვითონ შეიძლება იყოს საკუთარი შიდა ვირტუალური სამყაროს შემოქმედი.

მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებით სერიოზულად უდგება სამთავრობო უწყებებსა და მეორე მხრივ მოქალაქეებსა და ბიზნესორგანიზაციებს შორის მაქსიმალურად ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფას. მსოფლიოში მთავრობის წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანა: მოქალაქეებს სურთ მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება და ეფექტური საგადასახადო გარემოს მომსახურება [11], რაც ელექტრონული მთავრობის სტრატეგიის ხერხემალია.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები პლანეტარული მასშტაბით განიხილება, როგორც მუდმივად მზარდი კავშირურთიერთობა და ურთიერთდამოკიდებულება სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, ასეთ პლანეტარულ მასშტაბის პროცესებს ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუცია და ციფროვიზაცია[1].

მსოფლიოში კრიზისული სიტუაციის პირობებში, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნის შედეგად, გლობალიზაციის განვითარების პროცესმა დაიწყო პირდაპირი და არაპირდაპირი ურთიერთქმედება ელექტრონული მთავრობის განვითარებასთან. სხვადასხვა ქვეყანაში ეს პროცესი მიედინება სხვადასხვაგვარად, ზოგან

ეს ხდება ძალიან მტკივნეულად, პირდაპირ ახდენს გავლენას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

გლობალიზაციის გამო წინა პლანზე გამოდის ისეთი საკითხები, როგორცაა: ინფორმაციული აგრესია, ინფორმაციული ოკუპაცია, ინფორმაციული გენოციდი. ამ გამოწვევების პასუხები ჯერ კიდევ ნათელი არ არის.

გლობალური ინფორმაციული სივრცის ფორმირებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ელექტრონული მთავრობის სტრატეგიული მიმართულებები და ელექტრონული მთავრობის მომსახურების სახეები.

გლობალიზაციის გამო გლობალური მასშტაბით ფორმირდება ინტეგრირებული სოციოკულტურული და ინტერნეტკულტურული წყობილება, რომლის პირობებშიც ინტერნეტკულტურის ფუნქციონირება წარმოადგენს საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს, სადაც ერთდროულად წარმოებს აზროვნებისა და ენის გამდიდრება და გაერთიანება, გლობალურ დონეზე ნაციონალური და რეგიონული შემოქმედებითი ფასეულობითა და ტრადიციებით ფორმირდება ადამიანური კულტურული ფასეულობები და შეხედულებები. ადგილი აქვს გლობალიზაციის ციფროვიზაციას, მსოფლიო განვითარების კანონზომიერ ეტაპს [12].

გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება საგარეო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური ფაქტორების მოდიფიკაცია და ტრანსფორმაცია, სამრეწველო წარმოებიდან სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციურ წარმოებაზე გადასვლა, საზოგადოებრივი აზროვნებისა და ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის როლი, სახელმწიფო მართვის ავტომატიზაცია (ელექტრონული მართვა, ელექტრონული მთავრობა) და სხვა [13].

ელექტრონული მთავრობის დიფუზიის შედეგები წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესების, დემოკრატიის, მოქალაქესა და ბიზნესზე ორიენტირებული, ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მთავრობის, ქსელურ ეკონომიკასთან კავშირში მზარდი საერთაშორისო კონკურენციის ინდიკატორს.

გლობალიზაციის ტენდენციებიდან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესების განვითარება ქართული ელექტრონული რეჟიმის მიერ ქართულ ბიზნესთან კოორდინირებული ღონისძიებებით საჭიროებს “პრობლემების გადაჭრას” და ელექტრონული მთავრობის განვითარებისა და ინფორმაციული საზოგადოების მიღწევის სტრატეგიულ გეგმაში შემდეგ საკითხებზე ფოკუსირებას (მოკლევადიან პერიოდში საშუალოდ 3-5 წელი):

- ინტერნეტიზაცია და კომპიუტერიზაცია მოსახლეობის 50%-ში;
- დისტანციური სამუშაო ადგილების რაოდენობის გაორმაგება;
- IT სპეციალისტების მოზიდვა/ განათლების სრულყოფა;
- ახალი ინფორმაციულ-ნაციონალური პოლიტიკის გატარება;
- ახალი კორპორატიული და ინტერნეტსაზოგადოების ეთიკური ქცევის სტანდარტების შემუშავება;
- ტექნოლოგიური მიღწევებისა და თანამშრომლობის ახალი ფორმების ინიცირება;
- ე-კომერციის ათვისებისათვის რესტრუქტურის პოლიტიკის მომზადება, რომლითაც კომპანიები ტრანსფორმირებულნი იქნებიან ინტერნეტეკონომიკაში;
- აქტიური ინფორმაციული პოლიტიკის გატარება, სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარისხის რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სამართლებრივი ბაზის ცვლილება, IT ტრენინგებისა და ინოვაციების სტიმულირება, ელექტრონული მთავრობის მომსახურებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა [14].

▪ გლობალიზაციის ციფროვიზაციის პირობებში ინტერნეტგარემოს ფორმირება, მოსახლეობის განათლება, ინფრასტრუქტურასთან მისაწვდომობა, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის ტემპების ზრდა, რაც ელექტრონული მთავრობის წარმატების მთავარი ინდიკატორია.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. <http://old.nlb.by/mba/docs/4.pdf>
2. <http://sun.tsu.ru/mminfo/000063105/fil/10/image/10-081.pdf>
3. <http://www.guliyev.org/news/a-357.html>
4. Johnson A., Spector K. Deterring Cyber War: A U.S.-Led Cybersecurity Summit. The National Security Program. October 2010.  
[http://content.thirdway.org/publications/343/Third\\_Way\\_Idea\\_Brief\\_-\\_Deterring\\_Cyber\\_War-A\\_US-Led\\_Cybersecurity\\_Summit.pdf](http://content.thirdway.org/publications/343/Third_Way_Idea_Brief_-_Deterring_Cyber_War-A_US-Led_Cybersecurity_Summit.pdf)
5. Maheshwari B., et al. / E-Government Portal Effectiveness : Managerial Considerations for Design and Development. <http://www.iceg.net/2007/books/1/27.pdf>
6. <http://zsfrap.tom.ru/index.php/publikatsii/103-2011-04-12-04-33-01>
7. [http://www.bestdisser.com/work/work\\_36050.html](http://www.bestdisser.com/work/work_36050.html)
8. [http://www.undp.org/governance/focus\\_access\\_information.shtml](http://www.undp.org/governance/focus_access_information.shtml)
9. [http://www.europarl.europa.eu/pdf/oppd/Page\\_8/ICT\\_FINAL.pdf](http://www.europarl.europa.eu/pdf/oppd/Page_8/ICT_FINAL.pdf)
10. <http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=8812&Cr=internet&Cr1=government>
11. [ftp://lib.herzen.spb.ru/text/sultanov\\_104\\_66\\_76.pdf](ftp://lib.herzen.spb.ru/text/sultanov_104_66_76.pdf)
12. [http://www.bestdisser.com/work/work\\_36050.html](http://www.bestdisser.com/work/work_36050.html)
13. <http://www.cyberpolitics.ru/content/view/395/34/>
14. Brousseau E., Kraemer. K.L. Globalization and E-Commerce III: The French Environment and Policy. Communications of the Association for Information Systems (Volume 10, 2003)73-128 .  
<http://perso.univ-rennes1.fr/thierry.penard/projetman/brousseaukraemer2003.pdf>

*Abuladze Rati*

#### **E-GOVERNMENT AND GLOBALIZATION SUMMARY**

Globalization, which is reaching the process of integration and unification in all the fields of state administering politics, communication, economics and live.

Globalization, which became the unified face of planet transformation and the world system, caused the requirement of creating of a new model of state administering by information technologies, transformation of relationships in the field of administration managing and transformation of the role of Government in the format of E-government.

Globalization is increasing the requirements of national politics in trends of implementation of E-government and is reducing the opportunities of traditional government.

On the background of calling the globalization and development of irrevocable information technologies, E-government is under the different changes and works out the new opportunities of existence, works out the new forms of adaptation with crisis and social initiations.

Internet and cultural structure and information society is formed because of globalization, there is strengthened the automation of state management, the role of engaging of the citizens in social thinking and E-government.

The results of diffusion of E-government is indicator of increasing international competence of the process of globalization, efficient, transparent and responsible government oriented on democracy, citizen and business in relation with network economics.

*ნაწილი არევაძე*

**გლობალიზაციის გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე  
კოსტორმუნისტურ ქვეყნებში**

გლობალიზაცია, ანუ მსოფლიო მეურნეობის გადაქცევა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში წამყვან ტენდენციას წარმოადგენს, რამდენადაც მისი გავლენა შეიმჩნევა თვით ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებზეც კი. მართალია, ეს ქვეყნები სუსტად მონაწილეობენ ტრანსნაციონალიზაციის, ინტეგრაციისა და პოსტინდუსტრიალიზაციის პროცესებში, მაგრამ დიდად არიან დამოკიდებულნი საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებზე, რამდენადაც იღებენ დახმარებებს, ახდენენ საკუთარი ჭარბი სამუშაო ძალის ექსპორტს და სხვადასხვა საქონლისა და ცოდნის იმპორტს.

გლობალიზაცია არის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული ეტაპი, ობიექტური და მრავალმხრივი პროცესი, რომელიც ადეკვატურად ასახავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საზღვრებს, მოიცავს პოლიტიკას, იდეოლოგიას, მორალს, რელიგიას, აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს, მათ ეკონომიკებს შორის ურთიერთკავშირებს, ერთიანი ინფორმაციული სივრცის, საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრების ფორმირება-განვითარებას, აღრმავებს ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების წანამძღვრების შექმნას.

თანამედროვე გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია საზღვრების წაშლა ეროვნულ და მეზობელ საქონლისა და მომსახურების ბაზრებს შორის (განსაკუთრებით ინტეგრაციულ გაერთიანებებში) და გარედან შემოსული და შიგნით არსებული ეკონომიკური რესურსების (სამუშაო ძალა, კაპიტალი, ცოდნა) ურთიერთ შესადარისობის გაძლიერების ტენდენცია, რასაც ძლიერ უწყობს ხელს უცხოური და საკუთარი ტექსაქმიანობა და ეროვნული ეკონომიკების საგარეო ეკონომიკური ლიბერალიზაცია.

გლობალიზაციის ძირითად შედეგებად შეიძლება მივიჩნიოთ მასში აქტიურად ჩართული ქვეყნების ეკონომიკების ზრდის დაჩქარება და მსოფლიო მეურნეობის ყველა მონაწილის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. გლობალიზაციის აქტიური მონაწილეები მთლიანად იყენებენ საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის, ანუ წარმოების ფაქტორების საკუთარ უპირატესობებს და ცდილობენ ისეთი საქონლისა და მომსახურების წარმოებას, რომელთაც ყველაზე ეფექტიანად აწარმოებენ, ახდენენ ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური რესურსების ექსპორტს და არასაკმარისი რესურსების იმპორტს. ამ პროცესიდან მოგებას იღებს მასში ჩართული ყველა მხარე, თუმცა ყველაზე უფრო მეტს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები, ქვეყნები, რომელთაც აქვთ უკეთესი ცოდნა, იაფი კაპიტალი და ფართო სამეწარმეო რესურსები.

გლობალიზაციაში ჩართული ყველა მონაწილის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პოზიტიურ შედეგებად შეიძლება ჩაითვალოს გარე ბაზრებისა და გარე რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც ქვეყნების მაღალკონკურენტულ დარგებს ეხმარება ბევრი სხვა ქვეყნის ბაზრებზე იოლად შეღწევაში. ბუნებრივი რესურსების, კაპიტალისა და

ცოდნის უკმარისობის შერბილება კი ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია მისი სხვა ქვეყნიდან აქტიური იმპორტით.

გლობალიზაციის ყველაზე ნეგატიურ შედეგებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონკურენციის გაძლიერება შიდა ბაზრებზე, ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობების შემცირება და მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურაზე ეროვნული ეკონომიკების დამოკიდებულების ზრდა. სწორედ ამიტომ, ბევრ ქვეყანაში არაკონკურენტული დარგები ამცირებენ თავიანთ საქმიანობას ან სულაც იხურებიან საზღვარგარეთის ანალოგიური საქონლის ზეწოლის გამო (მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი ქვედარგის საწარმოები საქართველოში), რაც იწვევს საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ადგილების დიდ დანაკარგს, ხოლო როცა ქვეყანაში ძლიერდება გარეგანი ფაქტორების ზეგავლენა, სახელმწიფოს ხელში სულ უფრო ნაკლები ბერკეტები რჩება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედებისათვის; ამასთან, გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში, ცალკეულ ქვეყანაში წარმოქმნილი კრიზისი სხვა, ადრე მასთან სუსტად დაკავშირებულ ქვეყნებამდე ძალზე სწრაფად აღწევს, როგორც ეს მოხდა 1997 – 1998 წლებში, როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში წარმოქმნილი კრიზისი თითქმის მთელ მსოფლიოზე გავრცელდა. 2008 წელს ამერიკაში აღმოცენებული კრიზისი კი, სწორედ მისი გლობალური ხასიათის გამო, გავრცელდა მთელ მსოფლიოში, მთლიანად ეკონომიკაში და მის ყველა სფეროში. ამასთან, ახლაც, 2012 წელს, მის დასაძლევად გაღებული უდიდესი ღონისძიებებისა და სახსრების მიუხედავად, ჯერაც არ არის სრულად დაძლეული. **მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ გლობალიზაციის ზეგავლენა არა მარტო ზრდის ციკლური კრიზისის გავრცელების მასშტაბებს, არამედ მნიშვნელოვნად ართულებს და ახანგრძლივებს მისი დაძლევის ვადებს და, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაახანგრძლივებს მომავალში, შედეგად კი შეამცირებს პერიოდებს ციკლებს შორის.** რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის გლობალურ კრიზისთან ბრძოლის გაძლიერების საკითხს.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ახალი ფინანსური არქიტექტურის მომხრეები დიდი ხანია აყენებენ მსოფლიო ფინანსური სისტემის გაძლიერების პროექტებს კრიზისების თავიდან აცილების მიზნით, რომელიც ძირითადად უკავშირდება მსფ ბოლო ინსტანციის კრედიტორად გადაქცევას. ამ პროექტების მიხედვით მსფ-მა კრიზისებით განპირობებული ცალკეული ქვეყნების დეფოლტი ძირითადად სამი საშუალებით უნდა აღკვეთოს: განახორციელოს კრიზისების პროფილაქტიკა, მისცეს ქვეყნებს საკმარისი კრედიტები კრიზისების დროს, შექმნას ისეთი საერთაშორისო წესები, რომელიც გაითვალისწინებს კრედიტორების პრეტენზიების მიხედვით გადასახადების გადავადებას და გააჯანსაღებს ბანკროტი ქვეყნების ფინანსებს და სხვა.

უნდა ითქვას, რომ კრედიტების გაცემა მსფ პრაქტიკაში უკვე დიდი ხანია გამოიყენება, რამდენადაც ფონდი წინა ათწლეულებშიც ცალკეულ ქვეყნებს რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აძლევდა მათი ფინანსური კრიზისების სალიკვიდაციოდ (მაგალითად 50 მლრდ დოლარი მექსიკას – 1995 წ., 57 მლრდ დოლარი სამხრეთ კორეას 1997 წ. 22 მლრდ არგენტინას 2000 წ. და ა.შ.), რაც, ჩვეულებრივ, ეხმარებოდა კრიზისში მყოფ ქვეყნებს. მაგრამ საქმე რთულდება, როცა კრიზისი ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაშია ხდება და საჭირო ხდება არა ათეულობით, არამედ ასეულობით მილიარდი დოლარი, რაც ძალზე ბევრია თვით მსფ-ისთვისაც კი.

2008 წ. გლობალურ კრიზისთან საბრძოლველად მსფ გამოეყო ბელორუსიას – 1,6 მლრდ სსუ<sup>102</sup>, უკრაინას – 11 მლრდ (ანუ 16,5 აშშ დოლარი) ლატვიას – 1,5 მლრდ, სომხეთს – 368 მლნ სსუ და ა.შ.

გლობალიზაცია, როგორც პროცესი და ტენდენცია, უშუალოდ ზემოქმედებს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაზე, თუმცა გლობალიზაციის გავლენა ყოველი ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე განსაკუთრებით ძლიერად იმ ქვეყნებზე შეიმჩნევა, რომელთაც დიდი ეკონომიკა აქვთ და ღრმად არიან ჩართულნი მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში. სწორედ ამიტომ, მიმდინარე გლობალურ კრიზისთან საბრძოლველად მათ ძალზე დიდი მოცულობის თანხები დასჭირდათ, რის შედეგადაც გლობალურ კრიზისთან ბრძოლის მოტივით მსოფლიოში საგარეო ვალის მოცულობა 7 ტრილიონი დოლარით გაიზარდა და ახლა 37 ტრილიონ დოლარზე მეტია, მ.შ. აშშ სახელმწიფო დავალიანების მოცულობამ 15 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის ზეგავლენა საქართველოზე შედარებით სუსტია, რამდენადაც ქვეყანას მცირემასშტაბიანი ეკონომიკა აქვს და გლობალურ ეკონომიკაშიც ღრმად ინტეგრირებული არ არის, რაც ნათლად ჩანს გლობალიზაციის ხარისხის მაჩვენებლებიდან, რომლის კვლევას შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტი 2002 წლიდან ახორციელებს და აქვეყნებს ე.წ. KOF-ის ინდექსებს, რომელიც სამი ძირითადი მაჩვენებლით ხასიათდება, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციით, მათგან **ეკონომიკური** გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს – საქონლის, კაპიტალის, სამომხმარებლო სფეროს პროდუქციასა და ინფორმაციას; საზღვარგარეთ გატანის მონაცემებს, უცხოური ინვესტიციის მოცულობას ქვეყანაში, საერთაშორისო ვაჭრობაში საბაჟო პოლიტიკის სიმკაცრის ხარისხს და ა.შ.

**პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსში** შედის: საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, საელჩოების რაოდენობა ქვეყანაში, საერთაშორისო ხელშეკრულებები, გაეროს უშიშროების საბჭოში მონაწილეობა და ა.შ.

სოციალური გლობალიზაციის ინდექსი აერთიანებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა პერსონალური კონტაქტების რაოდენობა (საერთაშორისო ტურიზმი, სატელეფონო კავშირები, საერთაშორისო მიმღწერა), ინფორმაციული ნაკადები (ინტერნეტის, ტელევიზორების, გაზეთების მომხმარებლების მიხედვით), კულტურული სიახლოვე და სხვა. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო 2006 წლის მონაცემებით 158 ქვეყანას შორის ასე გამოიყურებოდა (ინდექსი 0-დან 100-მდე მერყეობს):

საერთო ინდექსი – 90-ე ადგილი, 66,42 ქულა

ეკონომიკური ინდექსი – 51-ე ადგილი, 69,43 ქულა

სოციალური ინდექსი – 83-ე ადგილი, 58,94 ქულა

პოლიტიკური ინდექსი – 138-ე ადგილი, 46,08 ქულა.

ამ წელს მოწინავე პოზიციები ეკავათ **საერთო ინდექსის მიხედვით** – ბელგიას – 91,51 ქ. (I ადგილი), ირლანდიას – 91,02 ქ. (II ადგილი), ჰოლანდიას – 89,92 ქ. (III ადგილი).

**ეკონომიკური ინდექსის მიხედვით** – სინგაპურს – 96,67 ქულა (I ადგილი), ლუქსემბურგს – 93,43 (II ადგილი), ირლანდიას – 92,63 (III ადგილი).

**სოციალური ინდექსის მიხედვით** – ლუქსემბურგს, შვეიცარიას, ირლანდიას.

**პოლიტიკური ინდექსის მიხედვით** – საფრანგეთს, იტალიას, ბელგიას.

2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მაჩვენებლებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა 156 ქვეყანას შორის და შეადგინა:

საერთო ინდექსმა – 69-ე ადგილი, 61,29 ქულა (-4,13 ქ.)

<sup>102</sup> სესხების სპეციალური უფლება, ანუ სპეციალური საერთაშორისო ვალუტა ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებისათვის, რაც დოლარზე მეტია.

ეკონომიკურმა ინდექსმა – 30-ე ადგილი, 79,89 ქულა (+10,46 ქ.)  
 სოციალურმა ინდექსმა – 94-ე ადგილი, 51,35 ქულა (-7,59 ქ.)  
 პოლიტიკურმა ინდექსმა – 138-ე ადგილი, 49,21 ქულა (+3,03 ქ.)  
 მაშასადამე, გაუარესდა სამი, ხოლო გაუმჯობესდა ორი მაჩვენებელი.

როგორც ვხედავთ, საქართველო გლობალიზაციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლებით არ გამოირჩევა. აქვე იმის აღნიშვნაც აუცილებელია რომ გლობალური კრიზისის გავლენა საქართველოზე გადაჯაჭვულია რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებთან და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასთან, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს, აგრეთვე სხვა უარყოფით მოვლენებთან, მათ შორის შიგა და გარე პოლიტიკურ არასტაბილურობასთან, სამოქალაქო დაპირისპირებებთან, ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის ხარვეზებთან, რაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ხიფათისა და ზიანის მომტანი იყოს. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ჯერაც არ არის დაძლეული ტრანსფორმაციული პერიოდის არაციკლური კრიზისის – ეკონომიკური დაქვეითების შედეგები, რომელთა დაძლევაც ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ ოცი წლის მერეც ვერ მოახერხა (მხედველობაში გვაქვს მშპ წარმოების მოცულობა 1990 წლის დონეზე). მაშინ, როცა ბევრმა პოსტსაბჭოთა სახელმწიფომ ეს რამდენიმე წლის წინ შეძლო. საქართველოს ეკონომიკაში სახეზეა სხვადასხვა სახის კრიზისების ურთიერთგადაჯაჭვით განპირობებული ვითარება. მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა წარმოდგენილია №1 ცხრილში.

**ცხრილი 1**

წლები	მშპ-ს ზრდა %-ში	მშპ მუდ. ფასებით 1 სულ მოსახლეზე, ლარი	მშპ (მიმდ. ფ.) 1 სულ მოსახლ., დოლარი	ექსპორტი, მლნ. დოლარი	იმპორტი, მლნ. დოლარი	წმინდა ექსპორტი, მლნ. დოლარი	სავაჭრო ბრუნვა	პირდაპირი უცხო. ინვესტიცია, მლნ. დოლარი
2005	9.6	2689.1	1483.5	866.7	2490.9	-1624	3357.6	449.8
2006	9.4	3133.1	1763.5	993.1	3681.2	-2688	4674.3	1190.4
2007	12.3	3866.9	2314.6	1232.4	5214.9	-3983	6447.3	2014.8
2008	2.3	4352.9	2921.1	1496.1	6304.6	-4809	7800.7	1564.0
2009	-3.8	4101.3	2455.2	1134.9	4378.1	-3243	5513.0	759.1
2010	6.3	4675.7	2623.0	1583	5095	-3512	6678	814.5
2011	7.0	5421.4	3215.4	2189.1	7057.8	-4868.7	9246.9	980.6

წყარო: <http://geostat.ge>

ცხრილიდან (1) ირკვევა, რომ საქართველოს ეკონომიკაში მშპ ზრდა შეფერხდა 2008 წელს, ხოლო 2009 წ. უკვე უარყოფითი სიდიდე გახდა. 2010 წელს ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა (6.3%), მაგრამ ომის წინა 2007 წლის ტემპს (12.3%) 2011 წელსაც ვერ მიაღწია. მშპ-ის (მუდმივი ფასებით) მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 2005 – 2011 წლებში 2-ჯერზე მეტად გაიზარდა. ექსპორტი – 2,5-ჯერ, იმპორტი – 2,8-ჯერ. სავაჭრო

ბრუნვა მთლიანად – 2,75-ჯერ. წმინდა ექსპორტი მთელი ამ ხნის განმავლობაში უარყოფითი სიდიდე იყო, რომელიც, ამავე დროს, ზრდის ტენდენციითაც ხასიათდებოდა (თითქმის 3-ჯერ).

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა თავის მაქსიმუმს 2007 წელს მიაღწია, შემდგომ წლებში მცირდებოდა და 2011 წელს წინა წლის მიმართ ზრდა მხოლოდ 20% იყო, 2007 წლის დონის მიმართ კი ჩამორჩენამ 51,4 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ ომისა და კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევა საქართველოსათვის ბევრად უფრო რთული იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ის დიდი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობამ საქართველოს 4,5 მლრდ დოლარის სახით გამოუყო, და საზღვარგარეთ სამუშაოდ მყოფი ჩვენი თანამოქალაქეების აქტიური დახმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მსოფლიოში 2006 – 2011 წლებში მაქსიმალური 2006 წელს იყო, როცა ის წინა წლის მიმართ 4,0%-ით გაიზარდა, მომდევნო წელს ოდნავ შემცირდა, კრიზისის დასაწყისში (2008 წ.) ზრდამ მხოლოდ 1,6% შეადგინა. 2009 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უარყოფითი სიდიდე გახდა – 2,0%. ამ წელს გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენით მშპ ზრდას ადგილი აღარ ჰქონია მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, მ.შ. მშპ ზრდა წინა წლის მიმართ შემცირდა ევროკავშირში 4,1%-ით, დიდ ბრიტანეთში – 4,9%-ით, იაპონიაში – 5,2%-ით, აშშ-ში – 2,6%, რუსეთში – 7,9%, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებში – 2,1%, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში – 6,7%, მექსიკაში – 6,5%, სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში – 1,8%, დასავლეთ აზიის – 1,0%, თურქეთში – 4,7%-ით და ა.შ. ზრდას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ჩინეთში – 9,1%-ით, თუმცა 0,5%-ით შემცირდა წინა წლის მიმართ. ყოფილი პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან მშპ ზრდის მსოფლიოში ყველაზე უარესი მაჩვენებელი ლატვიაში აღინიშნა, სადაც შემცირებამ 17,8% შეადგინა, ლიტვაში – 16,8%, უკრაინაში – 14,1%, ესტონეთში – 13,7%.

როგორც განხილული მონაცემებით ირკვევა, გლობალური კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო, მათ შორის საქართველოსაც, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, შედარებით მცირე ზომით. ამჟამად საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ რჩება საგარეო და შიგა პოლიტიკური არასტაბილურობა და დაპირისპირება, რასაც შეუძლია ეკონომიკისათვის, მთლიანად ქვეყნისა და ცხოვრების ყველა მხარისათვის უდიდესი ზიანის მიყენება თუ ის მოქმედებაში გადაიზარდა. ამიტომ უპირველესი ამოცანა, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემცირებასთან ერთად, ამგვარ პროცესთა თავიდან აცილებას ენიჭება.

მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი სხვა პრობლემაც, მაგალითად ეკონომიკის მართვაში დაშვებული შეცდომები, რომელიც ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო სტრუქტურების რჩევებს ეყრდნობა და არ ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს. შეიძლება ზოგიერთი სხვა პრობლემის დასახელებაც, რომელიც შესაძლოა გამოუცდელობის შედეგიც იყოს, მაგალითად ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახურისა და შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობა, რომლის არარსებობა ხელს უწყობს მონოპოლიების წარმოქმნას, ფასების უკონტროლო ზრდას და კარტელური შეთანხმებების ხელშემწყობი პირობების წარმოქმნას. ასევე, ძალზე პრობლემატური შეიძლება გახდეს ქვეყნის საერთო დავალიანების, განსაკუთრებით საგარეო ვალის ზრდა, რომელიც 11,2 მლრდ დოლარის, ანუ 18,6 მლრდ ლარის ტოლია 2011 წ. 31. XII. მონაცემებით.

უნდა აღინიშნოს საკუთრებითი უფლებების დაუცველობის შემთხვევებზეც, უმუშევრობის მაღალ დონეზე, სიღარიბეზე და ა.შ., რაც შეიძლება სიტუაციის კიდევ უფრო დამამძიმებელი და სოციალური დაძაბულობის გაღრმავების პირობა გახდეს.



### გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, რ. სარჩიშვილი, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი, ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები, „უნივერსალი“, თბ., 2004.
2. რ. აბესაძე, ნ. ბიბილაშვილი, ც. თეთრაული, მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, IV. თბ. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
3. ნ. არევაძე, თ. ჩხეიძე, გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, „მეცნიერება“, თბ., 2004.
4. მაღაშხია გ., კრიზისი და განვითარება, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 8, „სიახლე“, თბ., 2010.
5. მიქიაშვილი ნ., გლობალიზაციის პროცესი, გლობალიზაციის ინდექსი და საქართველო. ჟ. „ეკონომისტი“, 2009, №2.
6. მესხია ი., ფინანსური დავალიანების ზრდა – ეროვნული უზრუნველყოფის მუქარა, საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 8, „სიახლე“, თბ., 2010.
7. ჭითანავა ნ., გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 8, „სიახლე“, თბ., 2010.
8. Мировая экономика, 2-е издание, М., экономистъ, 2007.
9. <http://globalizacion.kof.enthr.ch/static>

*Arevadze Nanuli*

### EFFECTS OF GLOBALIZATION ON THE MACROECONOMIC INDICATORS OF POST-COMMUNIST COUNTRIES SUMMARY

The aim of the article is to show the links between the process of globalization and economic performance of the countries in the world. According to the conducted research it is evident that globalization effects are deeper in the big economy countries. At the same time the influence of globalization is especially evident in cyclical process of the economic development with the inclusion of the small economy countries, among them is Georgia as well. But in latter case economic crises are tied with the political ones, namely the war with Russia in the August of 2008 and with its accompanied results: abrogating of the territorial integrity and some other subjective and objective reasons. It is widespread and agreed view that without the moral and financial support of 4, 5 billion dollars for Georgia the situation would had been more difficult.

*Arnania-Kepuladze Tamila*


### GENDER DISPARITY IN EMPLOYMENT: GEORGIAN-CZECH CONTEXT

#### 1. Gender features of labour force partisipation.

One of the fundamental notions of labour market is the economically active population, economic activity rate and employment rate. The economically active population or labour force or shortened to the active population, includes both employed and unemployed people, but not the economically inactive, such

as pre-school children, school children, students and pensioners [3]. Economic activity rate is defined as the ratio between the labour force and the working age population.


**1.1. Gender features of economic activity in EU 27.** As the figure below illustrate the economic activity rate of women is lower that of men in all countries within EU 27 (see Figure 1).



**Figure 1.** Economic activity rate (%), EU 27, 2010. *Source:* Eurostat

The small gender gap in economic activity rate within EU 27 is observed in Denmark (82.7% men and 76.1% for women), in Estonia (respectively 76.8% and 71.0%) and the smallest gap is in Finland (76,4% for men versus 72.5% for women) and Sweden (respectively 82.3% for men vs. 76.6% for women).

**1.2. Gender features of economic activity in Czech Republic.** As the figure bellow (Figure 2) shows the economic activity rate in Czech Republic after 1995 slightly and steadily decreasing. In 1993 and 1995 the economic activity rate of women was 52.3% and the rate falls till 49.3% in 2010.



**Figure 2.** Economic activity rate (%), Czech Republic. *Source:* Eurostat


The same goes to men. If in 1993 the economic activity rate for men was 71.3%, after small increase in 1995 (the activity rate was 71.5%), the index falls till 68.0% in 2010.

But in all period from 1993 to 2010 the economic active rate of female was lower than that of male and the gender gap of economic active rate fluctuated within maximal gap of 19.2% in 1995 and minimal gap of 18.1% in 2005 and 2006.

So, the labour force participation rate in Czech to both men and women experienced a consistently decrease in the period of 1993-2010. Furthermore, there was vast gender gap in the labour market participation and women’s economic activity rate always was lower than that of men during the period.

**1.3. Gender features of economic activity in Georgia.** The characteristics of male and female economic activity in Georgia are illustrated by the Figure 3.

The dynamic of economic activity rate in Georgia in the period 1998-2010 is not well-defined: there were periods with increasing of economic activity rate (1999-2001) and periods with falling of economic activity rate (2003-2006).



**Figure 3.** Economic activity rate (%), Georgia. *Source:* GeoStat


During all period from 1999 to 2010 female’s economic activity rate was below that that male’s economic activity rate. The largest gender gap in economic activity rate of 20.3% was registered in 2009 and smallest gap of 17.4% was in 2004.

As it was shown, in all countries within EU27, including Czech Republic and in Georgia too, the economic activity rate of women is lower than that of men.

**2. Gender disparities in employment rate**

How the employment rate is defined? According to Eurostat, employment rate represent persons in employment as a percentage of the population of working age (15- 64 years).

**2.1. Gender Disparity in Employment Rate in Czech Republic.** The figure below (Figure 4) shows the dynamic of employment rate of men and women in Czech Republic from 1993 to 2010. As it is viewed, the employment rate of women as well as of men constantly was decreasing during the period. If the employment rate of men in 1993 was 68.9%, in 2010 it fell till 63.7%. The same goes to women. In 1993 the employment rate of women was 49.5% but to 2010 the index equaled to 45.1%. In addition, women’s employment rate has always been lower than men’s employment rate (Figure 4).




**Figure 4.** Employment rate (%), Czech Republic. *Source:* Eurostat

During the given period the largest gap in male-female employment rate (19.4%) was found in 1993 and 2008. The lowest gender employment rate gap of 18.1% was noted in 2004. So, over the period of 1993-2010 the gender employment rate gap fluctuated within the bounds of 18.1%-19.4%. The lowest employment rate of men (63.6%) was found in 2004 and the lowest employment rate of women was in 2010 and equaled 44.2%.

The average employment rate of men was 65.3% and of women – 46.2 % or women’s employment rate always was on about quarter less than that to men.

The analogical situation is characterized to Georgia.

**2.2. Gender Disparity in Employment Rate in Georgia.** The Figure 5 illustrates the dynamic of gender features of the employment rate of men and women in Georgia for the period from 1998 to 2010.



**Figure 5.** Employment rate (%), Georgia. *Source:* GeoStat

During the period of 1999-2003 the employment rate of men increased from 63.4% to 67.5% but in 2004-2005 the employment rate was significantly dropping and touched bottom of 63.1%. Such position remained unchangeable till 2010. The lowest employment rate of women was noted in 2008 and was coincident with year of beginning of World financial crisis. In this year the employment rate of women equaled 44.9%. The highest level (52%) of employment rate within women was noted in 2001.

During the period 1998-2010 the fluctuation of employment rate of men equaled 4.4 per cent points and for women – 7.1 per cent points. It means that women were to a greater degree touched by dropping of employment rate. In Georgia in the period of 1998-2010 the average employment rate of men equaled 63.9 % and of women - 49 %. The gender employment rate gap in Georgia fluctuated from minimal of 13.6% in 1999 to maximum of 16.5% in 2003.

As it was found, the average employment rate of men in Georgia was below of same index in Czech Republic (respectively 63.9 % and 65.3%) but the average employment rate of women in Georgia was above than in Czech (respectively 49 % and 46.2 %).

Despite of small differences the common tendency of gender disparities of employment rate was similar to Georgia and Czech Republic.

### 3. GENDER-BASED EMPLOYMENT SEGREGATION

Does the investigation of employment segregation matter? The answer should be yes as much as the segregation involves unequal results of similar efforts and might obstacles to functioning of labour marker and economic system as whole. “Economists have shown that the gender division of labour allocation...has implications for the effectiveness of economic policy aimed at altering output” [1]. Employment sphere gender division means the allocation of men and women by different types of work.

Gender-based employment segregation is given in terms of vertical and horizontal segregation.

*Horizontal segregation* is understood as under- (over-) representation of given group in occupations or sectors, not ordered by any criterion, and is often referred to as segregation *tout court* [2, p.7].


*Vertical segregation* denotes the under- (over-) representation of given group in occupations or sectors at the top of an ordering based on “desirable” attributes – income, prestige, job stability, etc [2, p.7].

*Hierarchical segregation* stands for under- (over-) representation of given group at the top of occupation-specific ladders [2, p.7].

There are some semantic disagreement persists in the literature regarding hierarchical and vertical segregation [2, p. 30] and the discussion below is focused on the dimensions of ‘vertical’ and ‘horizontal’ segregation.

**3.1. Gender labour division by selected branches in EU27.** As the figure below illustrate the significant gender differences in the distribution of male and female between branches of economy within EU27 (Figure 6).

The data, presented in the Figure 6, provides that both men and women predominantly employed in agriculture. But there are certain differences in the male-female division in agriculture: 82% of all employed women and 55% of all employed men are working in agriculture. It means that women more frequently are working in this branch of economy.



**Figure 6.** Employment by selected branches (%). EU27, 2010. *Source:* EuroStat

The second large branch of employment is industry. There are working about three times more men than women or in industry works 14% of all working women and 40% of all working men. Industry presents the branch of economy with predominantly men's employment.

In respect to service, there works relatively negligible amount of employees. There are not significant differences in male-female employment in service: there works 5% of women and 4% of men.

**3.2. Employment Gender Division by Kind of Activity.** There are significant gender differences in men's and women's employment by kinds of activity. Women are predominant work in underpaid sectors such as education, healthcare, social services, accommodation and food service, and households. What differences and what similarities exist in division of men and women employment in Czech Republic and Georgia?

There are short odds in gender disproportions by the kind of activities such as financial and insurance activities, real estate activities, accommodation and food service activities, public administration. According to analysis of available data, in education sphere there are 3.2 times more women than men in Czech Republic and 4.8 times more in Georgia.

The gender disparity in labour division by kind of activities is more significant in healthcare and social services to Czech Republic as well as to Georgia. In Czech Republic there are 3.9 times more women than men are working in healthcare and social services. For Georgia the index is vaster and equals 5.4.

Greater disparity in male-female division by kinds of activities was found in the households activities. The data calculation shows that there are 6.3 times as much women-employed that men-employed in the households in Czech Republic and 7.0 times – in Georgia. Those kinds of activities are female-dominated sphere. The sectors are less attractive to men because of low pay and men are less concentrated there. Conversely, men are more often employed in the highly-paid sectors of economy.

Construction, mining and quarrying, transport and storage, electricity, gas and water supply are biggest employers, providing jobs for men in work in all of them. So, in Czech Republic the highest disparities in the concentration of female's-male's employment are in construction where works 12.2 times more men than women. Large gender gap exists also in mining and quarrying where men's employment in 4.9 times exceeds women's employment. Analogical situation is characterized to electricity, gas and water supply where works 3.6 times more men than women, to transportation and storage where men are 2.8 times more than women.

The same goes to Georgia but disparity in male-female distribution by kinds of activities is more significant there. Specifically, in construction there works 14.4 times more men than women, in transportation and storage as well as in mining and quarrying men are 10.9 and 10.7 times more than women respectively.

As the data analysis show the employment sphere is significantly gender-segregated and there is large gender gap between kinds of activities. Moreover, the employment sphere is more segregated in Georgia and the men-women disparity is more significant there. Women are concentrated predominantly in low-pay sectors while the men-dominant sectors are highly-paid.

**3.3. Employment Gender Division by Occupation.** There is large difference between the occupations which men and women have or male and female vary in the jobs that they do.

One of occupation group in which men work in relatively to women in a large number is “Legislators, senior officials and managers”. It is the most prestigious occupational group with high qualified employees. The ratio between men and women in this occupation position is 66.8% and 33.2%. Other prestigious occupational position is “Professionals”. Despite that 11.19% of all working women and 9.36% of all working men are employed in the “Professionals” position, within the occupation group the ratio between men and women is 50% / 50%.

Other occupation groups in which men work in large number are “Craft and related trades workers” and “Plant and machine operators and assemblers”. In the occupation position “Craft and related trades workers” work 89% of men and 11% of women. In respect to “Plant and machine operators and assemblers” occupation group there work 75% of men and 25% of women.

Women are more likely than men to work in the occupational group “Clerks”, “Service and market sales workers” and “Elementary occupations”. The ratio between men and women in those occupation positions are respectively 76% and 24%; 65% and 35%; 61% and 39%.

The analogical disproportion in occupation faced the employed male and female in Georgia.

ოპტიმალური ჩართვის სტრატეგიის შემუშავებას და მის თანმიმდევრულ რეალიზაციას, ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, პერსპექტიული დარგების დაცვას და იმპორტშემცველი წარმოების განვითარებას. ქვეყანამ კიდევ უფრო უნდა აიმაღლოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, დაეყრდნოს იმ დარგებსა და წარმოებებს, რომელთაც ამისათვის კარგი წინაპირობები აქვთ.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვლ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. მონოგრაფია. თბ., 2012.
2. გეჩბაია ბ. რეგიონული კონკურენტუნარიანობა: ანალიზის თეორიული ასპექტები. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XVI–XVII. 2012. გვ. 73-75.
3. მესხია ი. საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №2(14), 2010.
4. ხარაიშვილი ე., გეჩბაია ბ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ჟურნალი ბიზნესი და მენეჯმენტი. №2. 2010 წ.
5. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბ., 2010.
6. ნათელაური ი., ნათელაური ნ. საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ჟურნალი „ეკონომისტი“, №4, 2010.
7. The Global Competitiveness Report 2010-2011 @ World Economik. Forum.www.Weforum.org
8. Porter, Michael L., The Competitive Advantage of Nations. The Free Press, New York, 1990
9. <http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=1157> (28.04.2012)

***Gechbaia Badri***

***Devadze Anzor***

### **GLOBAL COMPETITIVENESS OF GEORGIA IN CURRENT CONDITIONS SUMMARY**

The article states the urgency and significance of the competitive problems of Georgian economy. On the basis of the works of classical authors and conclusions of experts the article estimates the facts defining the competitiveness within the country.

According to the modern theory the article gives the analysis of the natural and developed advantages of Georgia. On the basis of this analysis we can make the conclusion that Georgia has got the natural advantages while the developed advantages are far more backward from the leading world positions.

The facts defining competitiveness are estimated at the macro and micro levels, and the correlative links between them are also analyzed.

***შალვა გოგიაშვილი***

***სლავა ფეტელავა***

### **დემონოპოლიზაცია და კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა**

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დემონოპოლიზაცია წარმოადგენს ქვეყნის კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც შედარებით ეფექტურად და მარტივად ხორციელდება, თუ დროში ემთხვევა ან წინ უსწრებს მონოპოლისტ საწარმოთა პრივატიზაციის პროცესს. დემონოპოლიზაცია ნიშნავს

ერთი საწარმოს დაყოფას ორ ან მეტ საწარმოდ, რომლებსაც გამოცალკევებული საკუთრება და მმართველობა ექნებათ, რათა წარმოქმნან და განავითარონ კონკურენცია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილება ცალსახად აჩვენებს, რომ სახელმწიფოს კუთვნილი და მართვადი საწარმოების გარდაქმნას კერძო საწარმოებად (თუ შეიქმნება კერძო მონოპოლიები, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან ფასების მომატებით თავიანთ პროდუქციაზე და მყიდველების კანონიერი მოთხოვნების იგნორირებით) არ მოჰყვება ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება და კეთილდღეობის ზრდა. მხოლოდ კონკურენციულ გარემოში მოქმედი კონკურენტუნარიანი კერძო საწარმოები არიან მიმართულნი მომხმარებლების მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე, მაღალი ხარისხის საქონლისა და მომსახურების ეფექტურ წარმოებასა და ზღვრულ ფასებთან დაახლოებული ფასებით მათ რეალიზაციაზე.

დემონოპოლიზაციის პროცესის დაყოვნება უარყოფითად აისახება ეკონომიკის განვითარებაზე; დემონოპოლიზაცია მნიშვნელოვნად გართულებს, თუ იგი პრივატიზაციას მოჰყვება, რადგან პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი საწარმოები წინააღმდეგობის ძალას შეიძენენ. ამასთან, თავად პრივატიზაცია შეიძლება გართულებს მისი შემდგომი დემონოპოლიზაციის პერსპექტივით, ვინაიდან შეიქმნება გაურკვეველობა განსახელმწიფოებრიობას დაქვემდებარებული საკუთრების შეფასებისას; გარდა ამისა, შესაძლოა საკუთრება იმათ ხელში აღმოჩნდეს, ვისგანაც დემონოპოლიზაციისადმი ყველაზე სასტიკი წინააღმდეგობაა მოსალოდნელი.

ასევე არსებობს დემონოპოლიზაციის პროცესის შენელების ანდა დაჩქარების ცდუნება იმის იმედით, რომ სახელმწიფომ მეტი სარგებელი ნახოს; ეკონომიკური გამოცდილება გვეკარნახობს, რომ ეს ცდუნება დაძლეული უნდა იქნეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განხორციელებული დემონოპოლიზაცია გაზრდის სახელმწიფოს შემოსავლებს პრივატიზაციის შედეგად; უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორი კი ის აღმოჩნდება, რომ შემოსავლების ზრდას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სოციალური უკუგების ზრდა, რაც განპირობებულია მონოპოლიური საბაზრო სტრუქტურიდან კონკურენციულზე გადასვლით. თუ დემონოპოლიზაცია დროში ჩამორჩება პრივატიზაციას და იგი განხორციელდება პრივატიზაციის შემდეგ, მაშინ საკუთრების მიღების პრეტენდენტები იმედგაცრუებულნი აღმოჩნდებიან და დემონოპოლიზაციის ზომებისა და პირობების გაურკვეველობის გამო შეამცირებენ თავიანთ მოთხოვნას. თუ პრივატიზაციის დროს ეს ფაქტორი ნათელი არ იქნება, მაშინ მიღებული შედეგი მხოლოდ გააღრმავებს გაურკვეველობას და კონკურენციის განვითარების მსურველების იმედების გაქარწყლებას გამოიწვევს. შესაბამისად, ცალსახად უნდა იქნეს აღიარებული პრივატიზაციამდე დემონოპოლიზაციის განხორციელების უპირატესობა და ეს თანამიმდევრობა წესად უნდა იყოს დანერგილი.

დემონოპოლიზაციის მიმართულებით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში პირველ ნაბიჯს წარმოადგენს „შეზღუდული ბაზრის“ განსაზღვრა (ანუ სხვადასხვა საქონლის წარმოებისა და გასაღების რეგიონის მიხედვით დაჯგუფება, რომელთა ფარგლებშიც ფასდება, თუ როგორ ზემოქმედებს საწარმოების არსებული სტრუქტურა კონკურენციის პოლიტიკაზე), რის შემდეგ უნდა გაირკვეს, მოცემულ ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისათვის აუცილებელია თუ არა დემონოპოლიზაცია და თუ საჭიროა, მაშინ მას უნდა მოჰყვეს ურთიერთდაკავშირებული ანალიტიკური კვლევები, რომლებიც გამოავლენს მიზანშეწონილ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კვებებს საწარმოს სტრუქტურაში, რათა გამოიყოს ცალკეული დამოუკიდებელი წარმონაქმნები.

ცნობილია, რომ შეზღუდული ბაზარი ხასიათდება ორი მნიშვნელოვანი განზომილებით – საქონლითა და გეოგრაფიით. საწყის პარამეტრებს წარმოადგენს საქონლის (მომსახურების) ასორტიმენტი (რომლის რეალიზაციასაც საწარმო ახდენს) და

პროდუქციის გამოშვების ადგილები. თითოეული პროდუქტისათვის შეზღუდული ბაზარი ივსება ამ პროდუქტთან ახლოს მდგომი ანალოგებითა და შემცველებით, რომლებსაც ითვალისწინებს მყიდველი. თითოეული საქონლის ბაზარი უკავშირდება შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარს და საწარმოო პუნქტებს სხვა რაიონებში, რომელთა პროდუქცია შეიძლება ალტერნატივად იქცეს მომხმარებლისათვის.

ნებისმიერი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი, რომელიც ყიდის საქონელს შეზღუდულ ბაზარზე შესაბამის გეოგრაფიულ ზონაში არსებული პუნქტიდან, მყიდველებს სთავაზობს საქონლის კარგ ალტერნატივას ან მის შემცველს და, ამდენად, საწარმოს კონკურენტის როლში გამოდის. ეკონომიკური აგენტები, რომელთა საქონელი ან ადგილმდებარეობა სცილდება შეზღუდული ბაზრის ფარგლებს, არ ან/და ვერ სთავაზობენ მყიდველებს მისაღებ ალტერნატივებს და ასეთი საწარმოსათვის კონკურენციის აქტიურ წყაროს არ წარმოადგენენ.

ანალიზის მომდევნო ეტაპზე გადასვლამდე აუცილებელია, იმის გააზრება, თუ რომელი პროდუქტებია საწარმოს მიერ რეალიზებადი საქონლის შემცველები, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პროდუქტების ფასებზე. დემონოპოლიზაციის ანალიზში სექტორულად დახურული შეზღუდული ბაზრის კონცეფტუალური პრობლემის ერთ-ერთ გადაწყვეტას წარმოადგენს მყიდველების სტიმულირების წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომ პროდუქტის ფუნქციონალური, ხარისხობრივი მახასიათებლებისა და საწარმოო დანახარჯების ურთიერთშედარების საფუძველზე გადაერთონ იმავე ფასით რეალიზებად შემცველებზე. საქონლის ფუნქციონალური მსგავსების შესახებ მყიდველისათვის შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, როდესაც პროდუქტის ჰიპოთეტური ფასი ახლოსაა მის საწარმოო ხარჯებთან.

შეზღუდული ბაზრების განსაზღვრა უნდა ითვალისწინებდეს მათ სამომავლო სავარაუდო დონის ფასებს. აშკარაა, რომ განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ საბაზრო ეკონომიკაში შეუძლებელია ზუსტი პროგნოზების გაკეთება. პოზიციის დაფიქსირებისას, უმჯობესია მკვლევარი შეცდეს შეზღუდული ბაზრის სივიწროვის სასარგებლოდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონკურენციისაკენ მიმართული საფრთხეები.

დემონოპოლიზაციის ანალიზში მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადაწყვეტილების მიღება – საჭიროა თუ არა განსახილველი საწარმოს დემონოპოლიზაცია. რამდენადაც შესაბამისი შეზღუდული ბაზრები უკვე განსაზღვრულია, თითოეული მათგანის მიმართ უნდა დაისვას კითხვა – საჭიროა თუ არა დემონოპოლიზაცია კონკურენციის განვითარებისათვის. კონკურენციის დონე შეიძლება მნიშვნელოვნად არც ამაღლდეს საწარმოს დაყოფის შედეგად, რადგან ასეთი საწარმო ისედაც განიცდის საკმაო კონკურენციას უცხოელი მომწოდებლების ან ბაზრის ახალი სუბიექტების მხრიდან. მეორე მხრივ, შეიძლება, რომ საწარმო იყოს ერთადერთი მონოპოლისტი თავის ბაზარზე. მაშინ, მისი დემონოპოლიზაცია გამოიწვევს საწარმოო ხარჯების გაზრდას საწყის საწარმოო ხარჯებთან შედარებით. ასეთ შემთხვევებში, როდესაც მონოპოლისტს იცავს ბაზარზე შესვლის ბარიერები, უნდა განიხილოს მათი რეგულირების ღონისძიებები, როგორც დემონოპოლიზაციის ალტერნატივა.

აღსანიშნავია, რომ თუ სატრანსპორტო ხარჯები არ არის მაღალი და სატრანსპორტო ბარიერებიც დაბალია, საერთაშორისო ვაჭრობას შეუძლია შეზღუდოს ეფექტი, რომელიც ნაციონალური დარგის დემონოპოლიზაციამ შეიძლება იქონიოს კონკურენციის ხარისხზე შეზღუდულ ბაზარზე; ამ დროს უცხოელი ეკონომიკური აგენტები წარმატებით კონკურირებენ ადგილობრივ ბაზარზე, ამიტომ დემონოპოლიზაცია არსებითად ვერ გაზრდის კონკურენციას ამ ბაზარზე.

საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ბარიერები შეიძლება სხვადასხვა ფორმებით ვლინდებოდეს. საიმპორტო ბარიერები მოიცავს არა მხოლოდ ტარიფებსა და კვოტებს; ამა

თუ იმ კანონმდებლობას შეუძლია შეამსუბუქოს ან გაართულოს ვაჭრობა. მაგალითად, უცხოელი მოვაჭრეები, ვაჭრობის წინაპირობად, ჩვეულებრივ, ითხოვენ ანგარიშსწორებას კონვერტირებად ვალუტაში და მოგების თავისუფალი გადარიცხვის უფლებას. ისეთი საქონლის უცხოელი მწარმოებლები, რომელიც განაწილების სისტემას ან შესაძლოა – ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას საჭიროებდეს, საკონტრაქტო კანონმდებლობას ითხოვენ იურიდიულ სისტემაშიც, რაც მათ ხელს შეუწყობდა მოქმედი კონტრაქტების რეალიზებაში ადგილობრივ დისტრიბუტორებთან. კანონს უცხოური ინვესტიციების შესახებ, შეუძლია აკრძალოს გარკვეული საწარმოების უცხოური მფლობელობა ან დაიცვას მათი საკუთრება კონფისკაციისაგან. ლიცენზიების უცხოელი მფლობელები ნაკლები ხალისით გადასცემენ ლიცენზიებს ადგილობრივ მწარმოებლებს, თუ ლიცენზია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შესახებ საკმარისი ხარისხით არ არის დაცული. თუ ასეთი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები არასაკმარისია, მაშინ უცხოელი მწარმოებლების მხრიდან კონკურენცია სათანადოდ ეფექტური არ იქნება კონკურენციული გარემოს შესაქმნელად ნაციონალურ მონოპოლიებს შორის.

„დროებითი პროტექციონიზმი“, რომელიც შეიძლება მიმზიდველად გვესახებოდეს ქვეყნებისათვის, რომლებიც რადიკალურ ეკონომიკურ ცვლილებებს ახორციელებენ, გაგლენას ახდენს დემონოპოლიზაციის გადაწყვეტილებაზე. დემონოპოლიზაცია შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი, თუ მონოპოლიის ნეგატიური ეფექტი არაა დიდი, საიმპორტო ბარიერები კი მოკლევადიანია. მაგრამ, პრივატიზაცია დემონოპოლიზაციის გარეშე, იწყებს საერთო ინტერესების მქონე ახალი მძლავრი ჯგუფის წარმოშობას, რომელსაც ღია ვაჭრობისათვის ხელის შეშლის სერიოზული განზრახვები ექნება.

როდესაც საიმპორტო ბარიერები და სატრანსპორტო განაკვეთები დაბალია, უცხოელი მიმწოდებლები შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ ადგილობრივ საწარმოებს. და თუ ეს კონკურენცია ადგილობრივი მწარმოებლების ან საქონლის მიმართ სერიოზულია, მაშინ ბაზრის მომმარაგებელი ადგილობრივი საწარმოების დემონოპოლიზაცია არ გააძლიერებს კონკურენციას. თუ საქონელი ადვილად არ იყიდება ან არსებობს თავისუფალი იმპორტის დამაბრკოლებელი სხვა ბარიერები, მაშინ დემონოპოლიზაცია შეიძლება სასურველი აღმოჩნდეს, რადგან, საწარმოები, რომლებიც ასეთ საქონელს ჰყიდიან, ვერ შეძლებენ წინ აღუდგნენ კონკურენციას უცხოელი მწარმოებლების მხრიდან. მაგალითად, საცალო ვაჭრობა და მრავალი სახის მომსახურება. ამდენად, მათი მიმწოდებლები არ უნდა იყოს გამორიცხული დემონოპოლიზაციიდან უცხოური ფირმების მხრიდან ეფექტური კონკურენციის საბაბით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დემონოპოლიზაცია მომავალში უშუალოდ არ გააძლიერებს კონკურენციას იმ ბაზრებზე, რომლებზე შესვლაც შედარებით ადვილია.

ბაზარზე შესვლისა და ხანგრძლივი კონკურენციული ურთიერთობების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამი პირობის დაცვა: ბაზარზე შესვლა უნდა იყოს დროული, მასშტაბური და უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც იგრძნობა კონკურენციული საწყისების ნაკლებობა. ბაზარზე შესვლა შეიძლება ნიშნავდეს ახალი საწარმოს შექმნას შეზღუდულ ბაზარზე ფუნქციონირებისათვის, ან უკვე არსებული საწარმოს საქმიანობის გაფართოებას ასეთი ბაზრის ფარგლებს გარეთ, ამ ბაზრისათვის ახალი წარმოების შექმნის მიზნით.

იმ ქვეყნების ბაზრები, რომლებიც რადიკალური ეკონომიკური რეფორმების პროცესში იმყოფებიან, შედარებით ნაკლებად პასუხობენ ამ პირობებს, ვიდრე ტრადიციული, მომწიფებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ბაზრები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული საქონელი წარმოებაში ჩაშვების საკმარისი სიმარტივით ხასიათდება და მისი რეალიზაციაც არაა ძნელი (საწყისი დანახარჯების დაბალი დონე, საკმარისი კომერციული ეფექტიანობა მცირემასშტაბიანი წარმოების შემთხვევაში), მაინც

აუცილებელია „ეკონომიკური ინფრასტრუქტურის“ არსებობა; კერძოდ, უნდა არსებობდეს მდგრადი ბაზრები შუალედური და საბაზისო ინვესტიციებისათვის, აგრეთვე ეფექტური კანონმდებლობა საკუთრების შესახებ და სახელშეკრულებო სამართალი. თუ ეს პირობები დაცული არ არის, რასაც ხშირად აქვს ადგილი გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში, მაშინ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ბაზარზე შესვლა საკმარისად შეზღუდავს მონოპოლიურ ტენდენციებს საიმისოდ, რომ დემონოპოლიზაცია არ განხორციელდეს.

ერთ-ერთ ფაქტორს, რომელსაც შეუძლია გადაფაროს ბაზარზე შესვლის სირთულეები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, წარმოადგენს ტექნოლოგიური ძვრები. შეფარდებითი საწარმოო ხარჯები მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ბაზარზე შესვლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ ყველა სხვა პირობა თანაბარია, მაშინ ბაზარზე შესვლა სავარაუდოა იმ შემთხვევაში, როდესაც შემსვლელი პირი იყენებს უფრო დაბალი ხარჯებით წარმოების მეთოდს და არა ტრადიციულ მეთოდებს. თუ არსებული მონოპოლიები მოძველებულ და ძვირადღირებულ ტექნოლოგიებს ფლობენ, ხოლო გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბებული ახალი კონკურენტები მზად არიან, განახორციელონ მაღალეფექტიანი ადჰურვილობისა და ტექნოლოგიის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან, მაშინ ბაზარზე შესვლა შეიძლება ადვილი იყოს, და ასეთ შემთხვევაში დემონოპოლიზაცია აუცილებელი არ არის.

ზოგიერთი დარგი შეზღუდულ ბაზრებზე მოთხოვნის მქონე პროდუქციის ასორტიმენტის იმდენად მასშტაბურ ეკონომიკურ მოცვას ახორციელებს, რომ იქმნება ბუნებრივი მონოპოლიის მდგომარეობა, სადაც მხოლოდ ერთ საწარმოს შეუძლია ბაზრის ეფექტურად უზრუნველყოფა, წვრილ მწარმოებლებს კი იმდენად დიდი ხარჯები წარმოექმნებათ, რომ მათი საქმიანობა წამგებიანი ხდება. ასეთმა დარგებმა შეიძლება მოიცვას ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ადგილობრივი განაწილება, აგრეთვე ტელეკომუნიკაციების ზოგიერთი სფერო. თუ მწარმოებლების დიდ რაოდენობას არ შეუძლია ეფექტიანი წარმოება მაღალი დანახარჯების გამო, მაშინ, დემონოპოლიზაციასთან ერთად, საჭიროა, არაეფექტიანი ან არაკონკურენციული საქმიანობის შეზღუდვის სხვა საშუალებები გამოიძებნოს. ერთ-ერთ ასეთ გამოსავალს წარმოადგენს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტის პრივატიზაცია და მისი რეგულირება.

პრაქტიკაში, დემონოპოლიზაციის ღონისძიებების არჩევანი შემოიფარგლება საწყისი ინვესტიციებით. მაგალითად, თუ მოწყობილობების პარკი ერთ ქარხანაშია კონცენტრირებული, მაშინ ამ პარკის გადანაწილება სხვადასხვა საწარმოებში, მოითხოვს ან დაზგების გადაადგილებას, ან ხანგრძლივ მოლაპარაკებებს დაყოფილ საწარმოებს შორის, მართვაში, უძრავ ქონებასა და კომუნალურ მომსახურებებში (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტროენერჯია) ერთობლივი ინვესტიციების ჩადების შესახებ. თუ ასეთი დამატებითი დანახარჯები დიდია, მაშინ დემონოპოლიზაციის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე მოწყობილობები შენარჩუნებული უნდა იქნეს იმავე საწარმოში.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. გოგიაშვილი შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. გამ-ბა “ინოვაცია”, თბ., 2009.
2. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს. კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი). გამ-ბა “ლოი”, თბ., 2007.
3. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბ., გამ-ბა “ლოი”, თბ., 2007.
4. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ. ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის



*Gogiashvili Shalva  
Petelava Slava*

**DEMONOPOLIZATION AND ECONOMIC POLICY OF COMPETITION  
SUMMARY**

During transition period to the market economy, the demonopolization constitutes an important aspect of economic policy of the competition, which is implemented relatively efficiently and easily, if falls in the same time interval or precede the privatization process of monopolist enterprises.

Any delay of the process of demonopolization negatively affects the economic development. The demonopolization may be substantially complicated, if drop behind the privatization, since any and all new enterprises resulting from the privatization would gain the counteracting force.

There is a sore temptation of slow down and/or speed up of the demonopolization process with a view to being rather beneficial for a state. As shown by the experience, the demonopolization boosts proceeds of a state gained through the privatization substantially exceeded by the social benefits, which growth is caused by transition from the monopolistic market structure to the competitive one.

*Грущинская Наталия Николаевна*

**ТЕХНОЛОГИЧЕСКАЯ СОСТАВЛЯЮЩАЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ  
КАК ОСНОВА ЕЕ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ**

Развитие современности обуславливается процессами глобализации, интернационализации, постиндустриальным развитием, интеграционными процессами. Подходя к определению глобализации как многоаспектного явления, можно согласиться с высказыванием Новицкого В.Е.: «Глобализация является формой экспансионизма, которая отражает современный уровень коммуникаций и постиндустриальных, информационных технологий, реалий социокультурного и экономического, воспроизводственного процесса, политической жизни»[7, 5].

Процесс глобализации повлиял на изменение социально-экономической ориентации государств, произошли серьезные изменения в функционировании хозяйственных механизмов этих стран. Глобализация открывает перед человечеством огромные возможности для расширения масштабов обмена товарами, услугами, информацией, технологиями и капиталом, взаимодействия в гуманитарной сфере и духовного обогащения личности. Вместе с тем для значительной части людей она несет в себе существенные угрозы, вызывая разделение стран на «цивилизационный центр» и «периферийную зону», углубляя их дифференциацию в социально-экономическом и научно-техническому развитию. Рассматривая процессы, происходящие в условиях глобализации, следует учитывать изменения и ее самой, ее трансформацию, катализаторами которой можно считать, в первую очередь, технологические изменения в обществе, ведут за собой изменения в экономической, политической, социальной, культурной сферах жизни. Технологические уклады является проводником современных процессов постиндустриального общества

Структурированный анализ технологических укладов осуществлен в научных трудах украинских и российских ученых, таких как Филипенко А.С. [12], Чухно А.А. [14], Юхименко П.И. [14], Леоненко П.М. [14], Лукьяненко Д.Г. [7], Бревдо Т.В. [4], Миронова О.А. [4]. В недавнее время появилось несколько теорий о том, что одним из важнейших, если не главных факторов перехода на новые уровни развития во всех сферах общественной жизни является совершенствование

информационной структуры общества. Дальнейшее развитие общества описывался в трудах ряда ученых, среди них работы Белла [1], Р.Фостера [13].

Мысли о том, что основой информационной экономики являются знания и развитие технологий, придерживается В. Колонтай, О. Михайловська. В теориях постиндустриализма приобретают специфический характер трактовки вопроса сущности, содержания, путей и методов социально-экономических преобразований в национальном и глобальном масштабах, системных трансформаций в странах переходного периода к новой экономической системы и др. Среди наиболее известных представителей данных теорий можно отметить П.Дракера, Белла, М.Кастельса, Ж.Эллюля, Т.Сакайя. Среди украинских ученых Ю.М.Пахомова, О.Г.Белоруса и других.

Учение о технологических укладах имеет большое не только теоретическое, но и практическое значение. Оно дает возможность значительно углубить понимание структуры экономики, тенденций ее развития путем учета изменений соотношения между технологическими укладами. Анализ социально-экономической структуры экономики показывает, что технологическая составляющая данной структуры является основой ее развития. Технологическое развитие является неотъемлемой частью современного развития стран мира. Государства, которые не включаются в данный процесс остаются в стороне от мировых экономических процессов и рискуют исчезнуть как самостоятельные.

Теоретическая основа технологических укладов тесно связана с теориями «длинных волн», которые сопровождали становление и развитие капиталистического способа производства. Фундаментальный вклад в создание указанных теорий сделал М.Д. Кондратьев. Он утверждал, что научно-технический прогресс развивается волнообразно, и каждый цикл длится примерно 45-60 лет. В течение последних веков в истории технологической эволюции изменили друг друга пять волн и сложилось пять технологических укладов [6, 80]. М. Кондратьев ввел понятие «техническая революция как тягловая сила» цикла, разработал теорию «инновационных» пакетов и показал, что нововведения распределяются по времени неравномерно и появляются группами. Современные экономические методы способствовали выделению 1380 видов циклов, касающихся экономики. Однако только три из них имеют практическое и теоретическое значение. Это - циклы товарно-материальных запасов Дж. Китчина (с периодом до 3 лет) циклы инвестиций в оборудование и оборудование К. Жугляра (период 7-11 лет) строительные циклы С. Кузнеца (период 18 - 22 года). По мнению многих исследователей [10,12,14] экономического кризиса 80-х годов, мир переживает завершение цикла роста, поскольку нововведения, которые породили этот цикл, достигли стадии зрелости.

Возникли новые проблемы, в частности, такие: быстрое уменьшение запасов минерального и энергетического сырья; истощения культурного слоя земли; накопления отходов и токсичных продуктов жизнедеятельности, перегрев атмосферы, изменение воздушных потоков; утрата способности окружающей среды (природы) к воспроизведению и саморегуляции. Рождалась новая эпоха, переход к которой означает прерывность непрерывности или период кризиса может быть роковым как для фирм, которые не смогут адаптироваться к новым условиям, так и для общества в целом.

Фазы изобретений и нововведений имеют тенденцию к ускорению, что особенно наглядно видно на примере некоторых важных изобретений, которые реализовались в течение последних 250 лет и волновой динамики больших циклов. Чем ближе к нашему времени, тем больше сокращается разрыв между изобретением и его воплощением в производство [10, 62].

Мировой опыт подтверждает, что длительное развитие в долгосрочном периоде зависит не столько от ресурсных возможностей, сколько от инновационного характера производства в конкретной среде. Большинство экономистов-аналитиков [12, 15] приходят к выводу, что выход из кризиса будет связан с возникновением новой волны новшеств, которая даст длительный стимул следующему периоду роста, что сейчас проявляется в: бурном развитии науки; исчезновении или

радикальной перестройке традиционных отраслей хозяйства; преобразовании сельского хозяйства на научную и капиталоемкую отрасль; развитие сферы услуг; индустриализации развивающихся стран; тенденции к децентрализации модели жизни населения, моделирование производственного процесса и принятия решений; изменениях окружающей среды и необходимости его защиты; возникновении новых концепций организационного развития.

Переходные процессы от одного технологического уклада к другому характеризуется благоприятной конъюнктурой и высокими темпами экономического роста. Переход от одной технологии к другой не является постепенным и непрерывным. По мнению американского исследователя Р. Фостера [13, 156], новые технологии это внезапность, а не запрогнозированный процесс, это разрыв, а не постепенность. Р. Фостер вводит понятие технологического разрыва, который знаменует переход от одной технологии к другой, а развитие каждой технологии характеризуется с помощью логистической S-образной кривой, которая выступает как основной аналитический способ состояния технологического обновления. S-образная кривая отражает зависимость между затратами, связанными с разработкой новой технологии или нового продукта, и результатами, полученными от заключенных средств. Как показывают прогнозы ученых [8; 312], в пятом технологическом укладе, начало которого приходится на 80-е годы XX ст., и ядром которого, как уже отмечалось, является электронная промышленность, волоконно-оптическая техника, биотехнология, геновая инженерия, космонавтика, предполагается индивидуализация производства, императив удовлетворения потребностей и желаний отдельного человека наряду с обществом в целом, полное понимание феномена духовной жизни, которое будет функционировать на базе так называемой психонетики. Это откроет двери в новую эпоху «натурального, природного» неконтролируемого общества, где навсегда исчезнет борьба за выживание и господство над себе подобными.

Такое предсказание дает модель технологий под названием SINIC2 [3, 176]. По своей сути эта модель показывает историю развития человечества в виде двух циклических связей между наукой, технологией и обществом. Первый цикл начинается с прорыва в области научных знаний. В результате «высеиваются» зерна (семена) новых технологий, что, в свою очередь, влияет на жизнь общества и является фактором социальных трансформаций. Второй цикл направлен в обратном направлении и вытекает из потребности общества. Острая необходимость в новой технологии со временем удовлетворяется посредством технических инноваций, которые, в свою очередь, стимулируют дальнейшую научную эволюцию. Таким образом, развитие науки, технологии и общества взаимосвязаны. Изменение в одной из этих сфер является либо причиной, либо следствием изменения другой. А движущей силой этих изменений являются законы эволюционного развития.

Согласно теории SINIC в истории человечества с древнейших времен до наших дней произошло десять главных инновационных сдвигов. Это - переход от примитивного к коллективному обществу, вслед за этим пришли стадии земледелия и ремесленного общества, следующие три - индустриализация, механизация и автоматизация - вместе создали индустриальное общество. Следующая эпоха информатики, оптимизации и автономности является основой возникновения «натурального» общества [3, 207]. Анализ современного инновационного развития свидетельствует об ускорении изменений в промышленности - технологии, структуре, масштабах, территориальном размещении и организации производства, а также в сотрудничестве стран, общей формой которого становится международный трансфер технологий. Следует отметить, что в этих условиях произошла принципиальная переоценка роли «человеческого фактора». Именно современные инновационные изменения связаны с творчеством, интеллектом, знаниями, новаторством человека как основного носителя инновационных идей.

Сейчас в Украине начался новый этап экономической трансформации, точкой отсчета которого стало подключение страны к процессам глобализации. При таких условиях догоняющего и мобилизационной стратегии экономического роста, которые доминируют во втором и третьем

укладах, стали неэффективными. Возникла необходимость переформулировки основных задач развития с целью адаптации национальной специфики страны в новых глобальных условиях. То есть, для пятого технологического уклада мы должны найти принципиально новую модель национального экономического роста - инновационную стратегию. Основной проблемой конструирования основ нового экономического уклада в современных условиях становится фактор адаптации его внутренних характеристик до национального характера индустриальной экономики. Новые отрасли являются специфическими по своим признакам элементами национальной экономики, поскольку они непосредственно подчиняются законам глобальных экономических потоков. Проблемы и перспективы их функционирования - это складноструктурный комплекс глобальной и национальной экономик. Основным проблемным узлом постиндустриального дизайна, который был концептуально определен в последнее время, стала необходимость разработки модели развития постиндустриальной гуманитарной экономики в отдельной стране.

Всего на фоне стремительного роста значимости информационной составляющей уменьшается значимость индустриальных форм организации экономики. Новейшие технологии дают уникальную возможность странам с ограниченными ресурсами «перепрыгнуть» целые циклы промышленного развития, которые еще несколько лет назад надо было пройти, чтобы достичь сегодняшнего уровня экономического развития западного общества.

Если XX ст. было эпохой отраслей, основанных на использовании природных ресурсов и эффективных технологий, то в XXI царят «искусственные интеллектуальные отрасли», экономика интеллектуальных активов, главным фактором развития которых является не производство и внедрение, а наличие идеи, проекта, программы. Для Украины необходимо не только утверждение отраслей глобальной экономики как доминирующих сегментов национального развития, но и определение оптимальной долгосрочной стратегии экономического развития государства. Технологическое развитие экономики предполагает развитие экономики путем прогрессивных сдвигов, привлечение инвестиций, последовательного роста научно - технологического сектора, экономики знаний. Отставание разработки теории технологических укладов, неиспользование ее в процессе государственного прогнозирования и управления приводят к искажениям в развитии страны.

Технология как элемент производительных сил всегда существует в определенной общественно-экономической форме, которая определяется господствующими производственными отношениями. Поэтому, при всем единстве технологической и экономической составляющих общественного производства, между ними неизбежно возникают несоответствия и противоречия. Накопление капитала и научно - технический прогресс меняют структуру капитала, растет техническая вооруженность труда, а следовательно меняется техническое стоимостное строение капитала, определяющих тенденции нормы прибыли к понижению, на этой основе выведены законы убывающей производительности капитала и др.[14, 506].

В Украине серьезная потребность в модернизации экономики назрела уже с первых лет независимости. Именно исчерпание жизненного цикла продуктов и технологий вызывает депрессию и необходимость системного внедрения продуктовых, технологических и организационно-экономических нововведений. Неудовлетворительное состояние научно-инновационной сферы негативно сказывается на технико-экономическом уровне производства и состоянии международного научно-технологического сотрудничества Украины. Формирование новых технологических укладов на Украине происходит медленными темпами, причинами чего являются не только внутренние нестабильные процессы, но и мировая экономическая ситуация. В зависимости от фаз жизненного цикла ТУ меняются и движущие силы экономического роста. В период становления нового ТУ ведущую роль играют страны-инноваторы, которые первыми осваивают базовые нововведения. Сейчас в развитых странах новый (шестой) ТУ выходит из начальной фазы и разворачивается процесс постепенного замещения им предыдущего, что провоцирует как конкурентную борьбу за

технологическое лидерство ТНК и в целом национальных экономик, так и вызывает определенную нестабильность финансовой системы и структурный кризис экономик развитых стран. Для его преодоления недостаточно мер только по спасению банковской системы или реанимации финансового рынка. Необходимы программы стимулирования развития нового ТУ, подъем которого создаст новую длинную волну экономического роста. Политика государства должна быть направлена на приоритетную поддержку высокотехнологичных отраслей, экономика будет двигаться не по спирали, а по замкнутому кругу, и качественный уровень жизни, как страны, так и отдельно взятых людей, будет оставаться на порядок ниже технологически более развитых стран мира. Современный мир меняется достаточно быстро, и даже ориентированные ранее на свою сырьевую мощь страны форсированными темпами начинают перестраивать свои экономики на новый технологический уклад, чтобы обеспечить долгосрочную устойчивость и конкурентоспособность.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Белл Д. Грядущее постиндустриальное общество: Пер. с англ. / Под.ред. В.Л. Иноземцева. - М., 1999 - с. 602
2. Белорус О.Г. Глобальные трансформации торговли: Монография / ИМЭМО НАН Украины - К. - 2008. - С.226
3. Глазьев А. Теория долгосрочного технико-экономического развития. М.: Властелин, 1993. - С. 310
4. Глобализация мировой экономики / Т.В.Бревдо, Ю.Г.Волков, О.А.Миронова. - Ростов - н / Дону: Феникс, - 2008г. - 211с.
5. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура Под ред. О.И. Шкаратан. М.: ГУ-ВШЭ, 2000. - С.608
6. Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения - избранные труды. - М., «Экономика», 2002.
7. Новицкий В.Е. Инновационная парадигма в контексте регулятивных задач / Наук. журн. «Стратегия развития Украины (экономика, социология, право)». - № 1-2, 2008. - С.5 – 8
8. Пахомов Ю.Н., Лукьяненко Д.Г., Губский Б.В. Глобальные трансформации и стратегии экономического развития. Монография. - К.: Украина. - 1998 г.
9. Сакс Дж. Рыночная экономика и Россия. М.: Экономика, 1994. - С. 331
10. Стиглер Дж. Глобализация: тревожные тенденции. - М., 2003. - С. 300
11. Тоффлер, Э. Третья волна - The Third Wave - М.: АСТ, 2010. - 784 с.
12. Филипенко А.С. Глобальные формы экономического развития: история и современность. - М., 2007 - С.670
13. Фостер Р. Обновление производства: атакующие выигрывают. Перевод с английского / - 2002 г.
14. Чухно А.А., Юхименко П.И., Леоненко П.М. Современные экономические теории: Учебник / Под ред .. А.А Чухно. - М., 2007. - С. 878
15. Шумпетер Й. Теория экономического развития. - М.: Прогресс, 1983. - С.212
16. Fisher I. The Nature of Capital and Income. - London, 1927. - P.5, 51 - 52, 68-69
17. World Economic Forum. <http://www.weforum.org>

**PROCESS COMPONENT OF THE NATIONAL ECONOMY  
AS A BASIS FOR ITS COMPETITIVENESS  
SUMMARY**

Globalization trends of modern civilization are caused by processes of transformation, which are under the influence of new factors of the economy, primarily in the technological development of national economies. Technological way occupy a special place in the study of contemporary processes of globalization, along with the integration of information.

*დეალიზილი ღია*

**გლობალური ეკონომიკური პრობლემები და  
მათი ბაზენა მდგრად ეკონომიკურ ბანკოთარებაზე**

მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს გლობალურ პრობლემად ეკონომისტები მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემას მიიჩნევენ. პრობლემა უნივერსალურია, რადგანაც ბიოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო და ლიტოსფერო მთელი პლანეტისათვის ერთია.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, ბუნებრივი რესურსების ინტენსიურმა გამოყენებამ, გარემო პირობების დაბინძურებამ და გაღარიბებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია კაცობრიობის ცხოვრებაში. ბუნებრივი წიაღისეულის არასწორმა ექსპლუატაციამ, ატმოსფეროში მავნე აირებისა და ნივთიერებების გამოფრქვევამ, ატმოსფერო და სხვა მავნე ნარჩენების ზრდამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რამაც მსოფლიო მასშტაბით გააუარესა ეკოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა მეოცე საუკუნეში გაანადგურა 1/4 მსოფლიო მიწის სავარგული, – 2/3 ტყის მასივი. არასასურველი სამრეწველო ნარჩენების მოცულობამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოიმატა 2,5-ჯერ. წყლის დაბინძურება ამავე პერიოდში გაიზარდა 10-ჯერ.

სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადაიტანება ჰაერის მასების მიერ და ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილებზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური დაჭუჭყიანება.

განსაკუთრებით მძაფრ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის ნგრევა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება.

გარემოს დაბინძურება, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება, თავისთავად, უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგის გაზი, ოზონის ფენის გაღარიბება, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს, ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც, დროთა ვითარებაში, შეიძლება სტიქიურ კატაკლიზმებში გადაიზარდოს.

გლობალური დათბობის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ უახლოეს მომავალში შეიძლება მიგვიყვანოს ეკოსისტემათა მდგომარეობისათვის სერიოზულ შედეგებამდე, ასევე აისახოს სამეურნეო წარმოებაზე, მსოფლიო ოკეანის დონეზე, სანაპირო ზოლის მთელი სიგრძის მდგომარეობაზე და მრავალ სხვაში.

გლობალური კლიმატური ცვლილებები უდავოდ ყველა ქვეყანას შეეხება, თუმცა ერთნაირად არა. მაგალითად, რუსეთისათვის კლიმატური ცვლილებები შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს, ზამთარი გახდება თბილი, გვალვა შემცირდება გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დამდეგს. კლიმატი ნაკლებ კონტინენტური გახდება, რაც ხელსაყრელი იქნება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მრავალი დარგისათვის.

ოზონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის შესანარჩუნებლად და მისი კლიმატის ჩამოსაყალიბებლად. ატმოსფეროს ზედა ფენებში ოზონის ფენის შემცირებასთან დაკავშირებით შემოფოტებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო 80-იანი წლების დამდეგსა და მის შუა ხანებში. ოზონის პრობლემის გადაწყვეტაში საერთაშორისო თანამეგობრობამ უეჭველ წარმატებებს მიაღწია.

იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჩვენ ვკარგავთ ბიოლოგიურ სახეობათა მრავალფეროვნებას, სულ უფრო და უფრო მეტია. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მონაცემთა თანახმად, XX საუკუნის ბოლოს, დედამიწაზე ითვლება 22 მლნ სახეობა. მათგან დაახლოებით 1,5 მლნ მეცნიერების მიერაა აღწერილი, დაახლოებით 7 მლნ, ე.ი. 4-ჯერ მეტი, შეიძლება დედამიწის პირისაგან აღიგავოს უახლოეს ოცდაათ წელიწადში. უმაღლეს ცხოველთა შორის 3/4 სახეობის ფრინველი პოპულაციის რაოდენობას კარგავს და ზოგიერთი დამკვირვებლის მტკიცებით, ძუძუმწოვართა რაოდენობის 1/4 გაქრობის საფრთხის წინაშეა. ყოველწლიურად ქრება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები და მხოლოდ ზოგიერთი მათგანია წარმოდგენილი გენეტიკური მასალის მსოფლიო კოლექციებში. ველური ჯიშების საქმე კიდევ უფრო უარესადაა.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაკარგვის ძირითადი მიზეზია: თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგია, გავლურება, საცხოვრებელი გარემოს დარღვევა, ყველა ამ ფაქტორს უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ განვითარებასთან. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სწორედ განვითარებადი ქვეყნებია ყველაზე მდიდარი ბიოლოგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მრავალი მათგანი ტროპიკებშია. ამ ქვეყნებზე მძლავრი ზემოქმედება ხორციელდება ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მიზნით. დედამიწის პირველქმნილი ტყეების მხოლოდ 20% არის მსხვილ, შედარებით ბუნებრივ ეკოსისტემათა ტერიტორიაზე ანდა სასაზღვრო ტყეების კატეგორიაში შედის. 76-მა ქვეყანამ სავსებით დაკარგა თავისი სასაზღვრო ტყეები, ხოლო შენარჩუნებული სასაზღვრო ტყეების 70% მხოლოდ სამ ქვეყანაშია – ბრაზილიაში, კანადასა და რუსეთში. მცენარეთა დანარჩენი სახეობის 30% აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშია. მიუხედავად ამ სახიფათო ტენდენციებისა, საერთაშორისო შეთანხმება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ მხოლოდ ახლა ყალიბდება და, მაინც, კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე და გლობალური ეკოლოგიური ფონდი თავისთავად პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში.

მეორე მნიშვნელოვან პრობლემას ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგისა და ა.შ. სხვადასხვაგვარი დაბინძურება წარმოადგენს.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: “არც ერთ ცოცხალ სახეობას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისაგან შექმნილ გარემოში”, რეალურ და სახიფათო შინაარსს იძენს. სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება, განსაკუთრებით ქალაქებში. ნაგვისდამწველი ქარხნები არ ჭრის პრობლემას, ვინაიდან დედამიწის ზედაპირიდან დაბინძურება გადადის ატმოსფეროში. მდინარეები ჩასადენ

ხრილებად იქცევა ხოლმე, სასმელი წყალი პლანეტის მრავალ რეგიონში არ კმარა და სხვა. როგორც ჩანს, ამ პრობლემებს კარდინალური ტექნიკური გადაწყვეტა არ გააჩნია: ახალი ტექნოლოგიები, რამდენადაც აუცილებელი არ უნდა იყოს, მხოლოდ ამსუბუქებს ავადმყოფობას, გადასწევს რა ლეტალურ დასასრულს.

გარემოს დაბინძურება ადამიანური ცხოველქმედების ნარჩენებით (განსაკუთრებით ქიმიურით და რადიაციულით) დღეს უკვე საკმაოდ მნიშვნელოვნად მოქმედებს მთელ პლანეტარულ ვითარებაზე. უპირველეს ყოვლისა, იგი შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში და კატასტროფულად ამცირებს იმ ადგილებს, რომლებიც ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასურველია.

დღესდღეობით დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები განსაკუთრებულ ფასეულობას იძენს და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მათ ფლობენ.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფიან, გათავისუფლდნენ დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს ღარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიურ სისტემად, რომელიც მხოლოდ საერთო საბაზრო პრინციპებით, ანუ მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელსა და ხელსაყრელს (განვითარებული ქვეყნებისათვის) ხდის.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფიან, გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე, მაგრამ შავი მეტალურგიის, ქიმიური წარმოებების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო წარმოებებისაგან თავის დაღწევას არც ახლა, არც უახლოეს მომავალში კაცობრიობა ვერ შეძლებს – მათ გარეშე განვითარებული ქვეყნები და ყველა სხვა დანარჩენი უბრალოდ ვერ იარსებებს! მაშასადამე, მდიდარი ქვეყნები შეეცდებიან (და უკვე ისწრაფიან კიდევ) გადაიტანონ ეს წარმოებები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. ღარიბი ქვეყნები სამუშაო ადგილებსა და ფულს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის შემოკლების ხარჯზე მიიღებენ.

დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნის მიერ ატმოსფეროს და ოკეანის დაბინძურებაში შეტანილი წვლილი ძალზე განსხვავდება. მაგალითად, ნახშირბადის გამონაბოლქვი წიაღისეული სათბობის დაწვით ერთ სულ მოსახლეზე მერყეობს 5,3 ტ-დან აშშ-ში, 2,4 ტ-მდე იაპონიაში და 0,3 ტ-მდე – ინდოეთში. შესაბამისად განვითარებული ქვეყნები პრაქტიკულად თავისთვის ისაკუთრებენ საერთო პლანეტარული რესურსების დიდი ნაწილის გამოყენებისა და სარგებლობის უფლებებს.

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აჭუჭყიანებს ატმოსფერულ ჰაერს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად უბრუნდება თვით ადამიანს. გარემოს დაბინძურების წყაროებს შორის პირველ ადგილზეა ნახშირბადის წიაღისეული. მათ მიეკუთვნება ნახშირი, ნავთობი და გაზი. მათი წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები აჭუჭყიანებს ატმოსფეროს და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენენ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს რადიაქტიული ნივთიერებები, სითბური გაჭუჭყიანება, ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები, ქიმიურ ზემოქმედებას ახდენს თხევადი ნახშირწყლები, სარეცხი საშუალებები, პლასტმასები, პესტიციდები და სხვა სინთეტიკური ნივთიერებები, აზოტის და გოგირდის ნარჩენები, მძიმე მეტალები, ფტორის შენაერთები, მყარი მინარეგები, ორგანული ნივთიერებები.

წარმოშობის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანტროპოგენური) წარმოშობის მინარეგებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარეგები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და



მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანტროპოგენური წარმოშობის მინარეები წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა, საწვავის წვის პროცესში – შიდა წვის ძრავებში, თბოელექტროსადგურებში, გამათბობელ სისტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად.

ატმოსფეროს ყველაზე გავრცელებული გაზია ნახშირბადის ოქსიდი (CO). მისი ძირითადი მასა წარმოიქმნება სათბობის წვის შედეგად, ხოლო ძირითადი წყარო შიდა წვის ძრავაა. CO ნახშირბადის ოქსიდის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც აღემატება დასაშვებ ზღვარს, ადამიანის ორგანიზმში იწვევს ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, ხოლო ზოგჯერ სიკვდილსაც. ეს აისახება იმით, რომ CO ადვილად უერთდება ჰემოგლობინს. შედეგად ვითარდება მხედველობის დაქვეითება, გულის და ფილტვების მოქმედების გაუარესება, თავის ტკივილი, სპაზმები, სუნთქვის დარღვევა და სიკვდილი. CO-ს გავლენა ორგანიზმზე ფასდება არა მხოლოდ მისი კონცენტრაციით, არამედ მისი მოქმედების ხანგძლივობით.

განსაკუთრებით მავნე გავლენას ადამიანებზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ახდენს SO<sub>2</sub> და SO<sub>3</sub>. მათი მოქმედებით აღინიშნება დაავადებულთა და სიკვდილიანობის სწრაფი ზრდა, მცენარეთა ფოთლების დაზიანება და სხვა.

ატმოსფეროს ძირითადი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებებია: ნახშირბადის ოქსიდი, ნახშირწყალბადები და აზოტის ოქსიდები. ნახშირწყალბადებისა და ნახშირბადის ოქსიდის უდიდესი გამონაბოლქვი აღინიშნება ავტოტრანსპორტის დამუხრუჭებისა და თავისუფალი სვლის დროს, ხოლო აზოტის ოქსიდისა შეესაბამება დიდ სიჩქარეებს. დიზელის ძრავები შედარებით ეკონომიურია და გამოაბოლქვებენ ზოგიერთი ნივთიერების შედარებით ნაკლებ რაოდენობას, მაგრამ დიზელის ძრავა დიდი რაოდენობით გამოაბოლქვებს დაუწვავ ნახშირბადს, ამიტომ ისინი უფრო მეტად აჭუჭყიანებენ გარემოს და უფრო ცუდად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ატმოსფეროს მავნე გამჭუჭყიანებელთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ხმაური, ადამიანებზე განსაკუთრებით მოქმედებს ხმაური 3000-5000 ჰერცი სიხშირის დიაპაზონით – იგი დამღუპველად მოქმედებს სასმენ აპარატზე, ცენტრალურ და ვეგეტატიურ ნერვულ სისტემასა და გულის მუშაობაზე.

დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც არის: ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნემონია, ფილტვების ემფიზემა და სხვა.

ატმოსფეროს გლობალურ გაჭუჭყიანებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება რადიაქტიულ მინარეებს, რამდენადაც სწორედ ისინი წარმოადგენენ უდიდეს საშიშროებას. ატმოსფეროს რადიაქტიული გაჭუჭყიანება განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, რაც დაკავშირებული იყო ბირთვული იარაღის მასობრივ გამოცდებთან. 1963 წელს ბირთვული იარაღის გამოცდა ატმოსფეროსა და კოსმოსში აიკრძალა თუმცა ზოგიერთი ქვეყანა არ შეუერთდა ამ კონცეფციას და განაგრძო იარაღის გამოცდა. სწორედ ამიტომ, ატმოსფეროს რადიაქტიული გაჭუჭყიანების პრობლემა დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

გამოთვლების თანახმად დადგენილია, რომ ბირთვული აფეთქებები იწვევს არა მხოლოდ ლოკალური მასშტაბის შედეგებს, არამედ სერიოზულ, გლობალურ დარღვევებს, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ჰავის შეუქცევად ცვლილებამდე, დედამიწის ოზონის ფენის გარღვევამდე და ბიოსფეროს არსებით გარდაქმნამდე.

გარემოს დაბინძურების პრობლემა, სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარებასა და მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად, ერთ-ერთ

ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ახალი პლანეტარული წესრიგის ჩამოყალიბების სტიმულირებას ახდენს.

განხილულიდან ანალიზის გარეშეც ნათლად ჩანს საერთაშორისო ეკოლოგიური პრობლემების უარყოფითი ზეგავლენა ეკონომიკაზე, მისი მასშტაბურობა და გარკვეული სამომავლო საფრთხე. საერთაშორისო გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დასაძლევად მრავალი ღონისძიება ტარდება როგორც ცალკეულ ქვეყნების, ისე საერთაშორისო საზოგადოების ხარჯზე. 2000 წელს მხოლოდ ბუნების დაცვაზე გამოყოფილი სახსრები 205 მლრდ დოლარი იყო, რამაც მსოფლიო ერთობლივი შიდა პროდუქტის 0.8% შეადგინა. რა თქმა უნდა, ხარჯების ეს სიდიდე პრობლემის საბოლოო მოგვარებას ვერ უზრუნველყოფს.

მსოფლიო ბანკმა, რომელიც ყოველწლიურად განვითარებადი ქვეყნებისათვის დაახლოებით 20 მლრდ დოლარს გამოყოფს, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოში გარემოს დაცვის პრობლემის გადასაჭრელად. რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მსოფლიო ბანკმა დიდი ყურადღება მიაპყრო ბუნების დაცვის საკითხებს და რიგი მაღალშემოსავლიანი პროექტების მხარდაჭერა შეწყვიტა, რომლებიც, კრიტიკოსთა აზრით, განმფლანგველი ან დესტრუქციული იყო. ჯეიმს ვულფერსონმა, რომელიც 1995 წელს 50 წლიანი ისტორიის მქონე ბანკის (იგულისხმება მსოფლიო ბანკი) პრეზიდენტი გახდა, საქვეყნოდ აღიარა მდგრადი განვითარების აუცილებლობა.

ბუნების დაცვის გლობალური ტენდენციები მხოლოდ რვა ქვეყანაში (ოთხ განვითარებულსა და ოთხ განვითარებადში) დომინირებს, რომლებიც აერთიანებენ დედამიწის მთელი მოსახლეობის 56%-სა და მსოფლიო სატყეო მეურნეობის 53%-ს. რვა ეკოლოგიური სახელმწიფო მოიცავს ქვეყანას ყველაზე დიდი მოსახლეობით – ჩინეთს, ქვეყანას ყველაზე მძლავრი ეკონომიკითა და ნახშირბადის ყველაზე დიდი გამონაბოლქვით აშშ-ს, აგრეთვე ბიოლოგიურ სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქვეყანას – ბრაზილიას. ეს ქვეყნები გერმანიასთან, იაპონიასთან, ინდოეთთან, ინდონეზიასთან და რუსეთთან ერთად შედიან თანამეგობრობაში, რომელსაც ეწოდება „E-8“, რვა ქვეყანა, რომელიც, ძირითადად, ეკოლოგიურ ტენდენციებს ასახავს.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დარეგულირების საქმეში ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი სხვადასხვა სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობაა. ამასთან ერთად, ნებისმიერმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაბინძურება ყველასათვის საზიანო იქნება.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას და ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა შეფასდეს, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთავარი პრიორიტეტების გამოყოფას, მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას და საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული განხორციელების ოპტიმალური გზების ძიებას.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. დვალიშვილი ლ. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. ა.

ამავე დროს ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასა და მოდერნიზაციას. ამასთან ერთად გლობალიზაცია თვითონ წარმოშობს ახალ წინააღმდეგობებსა და პრობლემებს მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის ასეთი მაშტაბები ქმნის იმის აუცილებლობას, რომ დღევანდელ პირობებში მსოფლიოს ყველა ქვეყნები სხვადასხვა ხარისხით ჩართულია გლობალიზაციის პროცესში.

გლობალიზაცია ესაა მსოფლიო გლობალური სისტემის ფორმირების, ორგანიზაციის, ფუნქციონირებისა და განვითარების პრინციპულად ახალი ობიექტური პროცესი საერთაშორისო საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.

ცნება “გლობალიზაცია” მრავალწახნაგოვანია. უფრო ფართო გაგებით ესაა ეროვნული და რეგიონული პრობლემების გადაზრდა საერთო მსოფლიო პრობლემად და ახალი სამეურნეო, სოციალური და ბუნებრივ-ბიოლოგიური გლობალური გარემოს ფორმირება. უფრო კონკრეტულად კი - ეკონომიკური და სამეურნეო სტრუქტურების ტრანსფორმაციის ერთიანი მსოფლიო გეოეკონომიკური რეალობის დადგენის პროცესი. გლობალიზაციის კონკრეტულ სფეროებს წარმოადგენს ასევე მეცნიერულ-ტექნიკური ტექნოლოგიები, ზნეობრივ-ეთიკური ფასეულობები (გლობალური ეთიკა), საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე ახალი მუქარა, საერთაშორისო ტერორიზმი, ტრანსნაციონალური დანაშაული, მასიური მოსაპობის იარაღის უკონტროლო გავრცელების გაფართოება.

“გლობალიზაცია” და “თანამედროვე გლობალური პრობლემები” არაა იდენტური ცნებები. პირველ შემთხვევაში საუბარია პროცესზე, მეორე შემთხვევაში კი – პრობლემაზე, რომელიც ამ პროცესებს მოიცავს. თუ “გლობალიზაცია” გამოხატავს ობიექტურ პროცესს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩვენს გარეშე მიმდინარეობს, მეორე ტერმინი – “გლობალიზმი” ახასიათებს ცვლილებას სუბიექტურ სფეროში.

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების უმაღლეს ფაზად შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგი მოიცავს ბუნების, ტექნოლოგიების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებად პროცესთა ერთობლიობას, რომელშიც იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერ-ტექნოლოგიური და სხვა კომპონენტები. ის პროცესები ერთიან სისტემაში ექცევიან ანუ ხდება მათი უნიფიკაცია. დღეს გლობალიზაცია, უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობათა განვითარების ისტორიული ეტაპი, რომელიც გამოხატავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების თანამედროვე ტენდენციებს და თავისებურებებს, სცილდება ეკონომიკური ურთიერთობების საზღვრებს, სხვა პრობლემებთან ერთობლიობაში აღრმავებს ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციის პროცესს, ხელს უწყობს მსოფლიო განვითარების ახალახალი ექტორების წარმოქმნას.

გლობალიზაციის ერთერთ გამოკვეთილ მიმართულებად განიხილება ეკონომიკის გლობალიზაცია (ფინანსების კონცენტრაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციები, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, რეგიონალური ალიანსები, სამუშაო ძალის, კაპიტალის მოძრაობის ტემპები და სხვა), რომელიც მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების ახალი თვისებრივი მდგომარეობა და ისტორიული განვითარების ობიექტური პროცესია, რომელიც საბოლოოდ მთლიანობით და ერთიანი სისტემის ფორმირებას ისახავს მიზნად. იგი წინააღმდეგობრივი პროცესი-მოვლენაა, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ნიშან-თვისებებით, განვითარების ეტაპების თავისებურებებითა და ტენდენციებით. ცნობილია, რომ გლობალიზაცია აჩქარებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მეცნიერების პროგრესს, კომუნიკაციების გაფართოებას. ამასთან ეკონომიკის სოციალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორიც გახდა.

ამასთან, როგორც პოსტკომუნისტური ქვეყნების განვითარების თანამედროვე ტენდენციები გვიჩვენებს გლობალიზაცია ეროვნულ-ისტორიული ტრადიციების, კერძოდ ეროვნული კულტურის სფეროში გარკვეული ზეწოლით “საკუთარი ხელწერის” დამკვიდრებას იწვევს, რასაც მტკივნეულად განიცდიან ახალი სუვერენული სახელმწიფოები. განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს. ამიტომაც, რომ ანტიგლობალიზტები აქტიურობენ და წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმებს მიმართავენ.

გლობალური პროცესების ერთ-ერთ ნეგატიურ მხარედ მოიაზრება ეკონომიკური კრიზისების სწრაფად გავრცელება ერთი რეგიონიდან მეორეში. თუმცა ამავდროულად უფრო ეფექტიანად (ე.ი. გლობალურად) ხდება ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციამ როგორც პროცესმა სისტემურად მოიცვა ცხოვრების ყველა მხარე. არ დარჩენილა არც ერთი ნაწილი ყოფიერებისა თუ ცნობიერებისა, სადაც მან არ შეაღწია და თავისი გავლენა არ მოეხდინოს. მარტო ინტერნეტის ქსელის ფუნქციონირება საკმარისია გლობალიზაციის, როგორც კაცობრიობის განვითარების უკვე განმსაზღვრელი ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის შეფასებისათვის.

ამ მხრივ, ბუნებრივია, არც საქართველო ასცდებოდა ამ პროცესს. მითუმეტეს ძველი სისტემის მოულოდნელად და შედეგზე გაუთვლელი მსხვერვის შემდეგ არც ისე ადვილი იყო სწორი ორიენტირის განსაზღვრა, მითუმეტეს მსოფლიოში არანაირი გამოცდილება არ არსებობდა ახალ საბაზრო სისტემაზე გადასვლისათვის. ჩვენი ქვეყანა დადგა დილემის წინაშე, ან ხარკი უნდა ეხადა ძველი სისტემისათვის და ნელნელა გადასულიყო ახალ გაუთვითცნობიერებელ სისტემაზე ან უარი ეთქვა ყველაფერ წარსულზე და დაეწყო ახალი სისტემის დაჩქარებული ფორმირება.

ამ შემთხვევაში საქართველომ სწორად აღიარა მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში აპრობირებულ საბაზრო პრინციპები, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია. ეს, სწორი სტრატეგიული მიდგომა იყო.

ტრანსფორმაციის პროცესი მეტად მტკივნეული იყო და წინააღმდეგობაში აღმოჩნდა სოციუმში წლების განმავლობაში ჩაკირულ მენტალიტეტთან. ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, იგი გრძელდება, მაგრამ უკვე სულ სხვა ფორმითა და შინაარსით.

ქვეყანა სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ შემთხვევაში ყველაზე რთული აღმოჩნდა განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრა. ეს გასაკებიც იყო. ქვეყანაში ორი ისტორიული პროცესი ერთდროულად დაიწყო: პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება-განმტკიცება და ეროვნული ეკონომიკის კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. ასეთ შემთხვევას ისტორიული ანალოგი არა აქვს. თავად ფორმირებადი სახელმწიფო ვერ აღმოჩნდა მზად ყველაფერი თავის თავზე აეღო და პროცესები სწორი მიმართულებით წარემართა. ამ შემთხვევაში გამოჩნდა ე.წ. “რევოლუციონერთა ძალები”, ძირითადად ქუჩიდან მოსულნი, რომლებსაც არც ინტელექტი ჰქონდა და არც გამოცდილება. ამიტომ თანდათანობით მაგრამ სწრაფად დაიწყო არასწორ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებზე ჩამოყალიბებული “პოლიტიკის” განხორციელება. სახელმწიფო იმდენად სუსტი იყო, რომ იგი ჩამოცილდა ქვეყნის გარდაქმნების პროცესს. დამანგრეველი როლი ითამაშა გარედან შემოთავაზებულმა დოქტრინამ – “შოკურმა თერაპიამ”. თერაპიის ნაცვლად მივიღეთ ნგრევის პროცესი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ობიექტური პროცესი დამანგრეველი ფაქტორი გახდა. აი, მაგალითებიც. 1994 წელს რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მთლიანი შიგა პროდუქტი დაეცა 28%-მდე. სამრეწველო პროდუქციის წარმოება-14%-მდე. ინვესტიციები-2,3%-მდე. 1993 წელს სახელმწიფოს დამტკიცებული ბიუჯეტი არ ჰქონია. ჰიპერინფლაციამ მიაღწია 7500%-ს.

1993-1994 წლებში პენსია შეადგენდა 10 აშშ ცენტის ეკვივალენტს, საშუალო ხელფასი კი – 1,5 დოლარს. ამ პერიოდში ეკონომიკა შევიდა სისტემურ კრიზისში<sup>105</sup>.

ერთი თავისებურებაც. 2010-2011 წლებში მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა დაფიქსირდა 6%-ს დონეზე. ერთი შეხედვით ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე კრიზისის ფონზე, ეს ურიგო მაჩვენებელი როდია. მაგრამ ასეთი ტემპებით ზრდა მთავარ მიზანს – მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და ვერც სისტემური კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარებას ვერ უზრუნველყოფს. რატომ? იმიტომ, რომ შედარებით მაღალი ტემპები, მაღალი მაჩვენებლები ფაქტობრივად ეროვნული ეკონომიკის აღდგენითი-საკომპენსაციო ზრდის პროცესს ასახავს და განისაზღვრება დაბალი საწყისი დონით. მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელთა შედარება რეფორმამდელ დონესთან ობიექტურად გვაჩვენებს მიღწეული დონის რეალურ მნიშვნელობას. ასე მაგალითად, 1990 წლის მიმართ მშპ-ის წარმოება დაეცა: 1994 წელს – 27,8 %-მდე, 2000 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1990 წლის მოცულობის – 38,1%, 2008 წელს – 71%. 2010 წელს მშპ-ს წარმოების რეფორმამდელი დონე გადალახული არ იყო.

საქართველოში გლობალიზაციის გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე თანდათანობით მკვეთრად გამოიკვეთა. მისი გამოვლენის ფორმები მრავალმხრივია, რომელთაგან მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გავლენა და მათი მზარდი როლი. ამ მხრივ პოზიტიური მოვლენაა “ტრასეკასა” და ენერგეტიკული დერეფნის განსაკუთრებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მალე ექსპლუატაციაში შედის ყარსი-ახალქალაქის რკინისგზა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო საზღვაო, საავტომობილო, სარკინიგზო ტრანსპორტით და მილსადენებით ერთმანეთთან აკავშირებს ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკებს. ქვეყანამ შეიძინა გეოეკონომიკური სივრცის რეგულირების საერთაშორისო ფუნქცია.

გლობალიზაციის პროცესს ასახავს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა. საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები 140 ქვეყანასთან აქვს. ქვეყანა რამდენიმე რეგიონული ალიანსის წევრია. იგი ევროკავშირში შესასვლელად ემზადება. დიდ როლს ასრულებს ევროპა-აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებაში. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს საქართველოს აქვს მსოფლიო თანამეგობრობის დიდი მხარდაჭერა.

გლობალიზაციის დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო რუკაზე ნაკლებად მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც საგარეო ვალი არ ჰქონდეს. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია ეკონომიკის მაშტაბები და წარმოების პოტენციური შესაძლებლობები. ამ მხრივ საქართველო არ წარმოადგენს “დიდი ეკონომიკის” ქვეყანას და საგარეო ვალის ფაქტორს განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ამ მხრივ მისი დინამიკა საშიშ ტენდენციებზე მეტყველებს. ასე მაგალითად, 1995 წელს ქვეყნის საგარეო ვალმა შეადგინა 1149,7 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს – 1556,1 მლნ დოლარი, 2003 წელს – 1753,8 მლნ დოლარი. 2009 წლის მაისში საგარეო ვალმა შეადგინა 2,9 მლრდ დოლარი. 2011 წლის დაუზუსტებელი მონაცემებით საგარეო ვალის მოცულობა 8 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2008 წლის კრიზისის დროს მსოფლიო თანამეგობრობიდან საქართველოს გამოეყო 4,5 მლრდ დოლარი, სადაც 3 მლრდ კრედიტია. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქვეყანა არსებითადაა დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე, შესაბამისად, სხვადასხვა ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებზე და მათ მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა სახის რეკომენდაციებზე, რომელიც პოლიტიკური ზეგავლენის სერიოზულ მექანიზმებს წარმოადგენს.

<sup>105</sup> ყველა ციფრობლივი მონაცემები აღებულია “საქსტატის” მასალებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენი წელიწადში ატარებს 50 მლნ ტონა ნავთობს, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი კი – 30 მლრდ კუბურ მეტრ გაზს. ესეც გლობალიზაციის გავლენის სერიოზული საერთაშორისო ფაქტორია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ტემპი არაა მაღალი. ასე მაგალითად, თუ სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა 2003 წელს შეადგენდა 905 მლნ ლარს, 2010 წლისათვის მართალია მისი მოცულობა გაიზარდა 6773,4 მლნ ლარით, მაგრამ 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა 7 მლრდ ლარამდეა გაზრდილი.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ჯერ-ჯერობით არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა, რომელიც თავისი აგებულებით მრავალწილობიანია, სადაც პირობითად შეიძლება გამოვყოთ 3 ძირითადი წილი. ესენია: 1.კერძო კაპიტალისტური წილი, 2.სახელმწიფო სექტორი, და 3.წვრილსასაქონლო წილი. მათი სტრუქტურა შემდეგნაირად ხასიათდება: პირველზე მოდის საწარმოთა 95,7%, მეორეზე – 4,3%, მესამეზე ჯერ-ჯერობით მონაცემები არ მოიპოვება.

საქართველოს ეკონომიკისათვის ტრანსფორმაციის პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია ამ პროცესში დაშვებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების შეცდომებმა.

პირველი, თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის შეცდომა იყო ის, რომ მესამე სამყაროს ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებით დოქტრინა “შოკური თერაპია” – გამოყენებულ იქნა ტოტალიტარულ ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის.

მეორე, თეორიულ-ეკონომიკური ხასიათის შეცდომა იყო ის, რომ ობიექტურად ვერ განისაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისობრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და სოციალისტური სისტემის პოტენციალი. არ იქნა გათვალისწინებული ისიც, რომ კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასვლა იწყებოდა სულ სხვა სატარტო პირობებიდან, ვიდრე ეს ისტორიულად განხორციელდა კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში. ამიტომ მივიღეთ XIX საუკუნის “ველური კაპიტალიზმის” მოდერნიზებული სისტემა. სწორედ ამიტომ გარდამავალი ეტაპი დამანგრეველი ფაქტორი გახდა.

მესამე, თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის შეცდომა იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაშლა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანშეწონილობის უგულებელყოფა.

მეოთხე, დაშვებულ იქნა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომებიც. რეფორმები ეკონომიკის დარგებში სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომებით განხორციელდა. პროცესს არ ჰქონდა კომპლექსური ხასიათი და არათანმიმდევრულად განვითარდა.

*Kvaratskhelia Murman*

## **GLOBALIZATION AND NATIONAL ECONOMIC PROBLEMS IN GEORGIA**

### **SUMMARY**

The article discusses the current state-building processes. Is thoroughly studied system of local government aims, which include structural reform of the executive authorities, local fiscal - budgetary policies to overcome the organizational difficulties.

Issue considerably analyzes Georgia's geopolitical situation in contemporary terms, which suggests an active involvement in international relations. The article focuses on the politics of the Caucasus and the "peaceful Caucasus" well-known idea, that is an important part of a variety of problems of the Eurasian integration.

*თეა ლაზარაშვილი*

**სახელმწიფო სექტორის ბანკითარებაზე გლობალიზაციის ბავშვის  
თეორიული ასპექტები**

გლობალიზაციის პირობებში საჭირო ხდება ყურადღების გამახვილება იმ ცვლილებებზე, რომელებიც წარმოიშობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით ეხება ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა სახელმწიფო სექტორი. სახელმწიფო სექტორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან ბევრი იწერება. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორის როლის გააზრება გლობალიზაციის პირობებში. კერძოდ, თუ რომელ სფეროებშია შესაძლებელი და აუცილებელი სახელმწიფო სექტორი, რომელიც, ერთი მხრივ, არ დაარღვევს საბაზრო მეურნეობის თავისუფლებას და, მეორე მხრივ, შექმნის პირობებს ქვეყნისა და რეგიონების სპეციალიზაციის გადრმავევისათვის მთლიანობაში და ამით ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესის გადრმავებას. ამისათვის აუცილებელია ჩატარდეს ანალიზი შემდეგ მიმართულებებში:

1. რაში მდგომარეობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა;
2. როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობების გამოვლენას;
3. რაში ვლინდება ბაზრის არასრულყოფილება გლობალიზაციის პირობებში, რომელიც უნდა აღმოფხვრას სახელმწიფო სექტორმა.

დღესდღეობით რეგიონისა თუ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრის უამრავი მიდგომა არსებობს, მათგან შეიძლება გამოვყოთ საერთო პრინციპები, რომელებიც კომპანიების წარმატებას იწვევენ. ასეთ პრინციპებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

1. კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად წარმოების ფაქტორების შექმნა. თანამედროვე ეტაპის თავისებურებას წარმოადგენს იმ ფაქტორების შექმნა, რომლითაც თითოეულ ქვეყანას გააჩნია შესაძლებლობა, აქტიური ზემოქმედება მოახდინოს კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფის პროცესებზე. ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, სპეციალიზებულ ფაქტორებზე, რომელებიც კონკურენტულ უპირატესობას ქმნიან.
2. შიდა მოთხოვნის თავისებურებები. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის გლობალიზაცია ამცირებს შიდა მოთხოვნის მნიშვნელობას მწარმოებლებისათვის, თუმცა პრაქტიკულად ასე არ ხდება. სწორედ შიდა მოთხოვნა უზრუნველყოფს მწარმოებლებს იმ ინფორმაციით, რომელიც წარმოშობს მოთხოვნას, სტიმულს აძლევს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს კონკურენტული უპირატესობის შექმნას.
3. მოცემულ ქვეყანაში კონკურენტუნარიანი (მსოფლიო დონეზე) დარგი – მიმწოდებლების ან სხვა დარგების არსებობა ან არარსებობა.
4. ქვეყანაში არსებული კომპანიის მართვისა და ორგანიზაციის პირობების შექმნისა და შიდა კონკურენციის ხასიათი. დღემდე არსებული მართვის სისტემებიდან არც ერთი არ წარმოადგენს უნივერსალურს. განსაზღვრულ დარგში კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მართვის პრაქტიკასთან შერწყმის შედეგს, რომელიც ჩამოყალიბებულია მოცემულ ქვეყანაში დარგში წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივი ძლიერი კონკურენცია, რომელიც მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტზე კონკურენტუნარიანი დარგის ფორმირებით.

კონკურენტუნარიანი დარგისათვის აუცილებელი პირობების შექმნა მხოლოდ საბაზრო პროცესების საქმე არ არის, ძალზე მნიშვნელოვანია თუ განვითარების როგორი ეკონომიკური მიზნები აქვთ დასახული სახელმწიფო სტრუქტურებს და როგორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას აპირებენ. მნიშვნელოვანია, თუ რომელი დარგები აირჩევა, როგორც მეტად პრესტიჟული, კაპიტალისა და ადამიანური რესურსების ჩადებისათვის. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე გეოგრაფიული განლაგება და კონცენტრაცია, რომლებიც აძლიერებენ შიდა კონკურენციას, ახდენენ რესურსების სპეციალიზებას და ხელს უწყობენ მათ შედარებით მწარმოებლურ გამოყენებას, ქმნიან რა ამით მასშტაბებს საგარეო ეკონომიკისათვის.

კონკურენტული უპირატესობის შექმნის საჭიროებას ახალი ელემენტები შეაქვს სახელმწიფო რეგულირების ტრადიციულ მიმართულებებში და ქმნის ახალ მიმართულებებს, რომელთაგან შეიძლება გამოეყოთ:

1. მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
2. საერთო მწარმოებლურობის გაზრდა მაკროეკონომიკურ დონეზე;
3. საერთო წესებისა და აღმძვრელი მოტივების დადგენა, რომლებიც წარმართავს კონკურენტულ ბრძოლას იმ სახით, რომ ხელი შეუწყოს მწარმოებლურობის ზრდას და კონკურენტული უპირატესობების განვითარებას.

თანამედროვე პირობებში შეიძლება მეოთხე მიმართულებაც გამოიყოს, რომელიც კონკურენტუნარიანი რეგიონების განვითარებისათვის შესაძლებლობების უზრუნველყოფას გულისხმობს.

რეგიონის დონეზე სახელმწიფო პოლიტიკა ორი სახის შეიძლება იყოს: 1. ტრადიციული სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საწარმოო დარგების სახეების განვითარებას; 2. პოლიტიკა, მიმართული რეგიონის ეკონომიკური განვითარებისაკენ.

რეგიონული სამრეწველო პოლიტიკა გულისხმობს საერთაშორისო კონკურენციის თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული დარგის მხარდაჭერასა და განვითარებას.

სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებისას განსაკუთრებული ამოცანები დგას ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის წინაშე. ამ შემთხვევაში იგი მოწოდებულია, შექმნას გამორჩეული პრიორიტეტული დარგების დანქარებული განვითარების პირობები, უზრუნველყოს მათი კონკურენტული უპირატესობა სახელმწიფო საწარმოების ინფრასტრუქტურული მიმართულებების შექმნის გზით, შექმნას შეღავათიანი პირობები ეროვნული წარმოებისათვის უცხოურთან შედარებით.

ასეთ სიტუაციაში იცვლება სახელმწიფო სექტორის საწარმოების როლიც: სახელმწიფო საწარმოების არჩეული დარგები უნდა გადაიქცეს ისეთ სექტორად, რომელიც უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს მთლიანად რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის, სადაც, ეროვნულთან ერთად, არსებობს უცხოური საწარმოები და ამგვარად გახდნენ მწარმოებლურობის გაზრდის ფაქტორი წარმოების ფაქტორების გამოყენებით.

თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში პრიორიტეტები უნდა ემთხვეოდეს რეგიონის კომპლექსურ განვითარებას და კონკურენციის სტიმულირებას კონკურენტული უპირატესობების სპეციფიკური ფაქტორების შექმნის საფუძველზე.

დღესდღეობით ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის როლისა და აუცილებლობის შესახებ არსებობს ორი საპირისპირო თვალსაზრისი. ერთი მხრივ, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრენი თვლიან, რომ სახელმწიფო საკუთრების მეშვეობით შექმნან და მხარი დაუჭირონ კონკურენტულ პრიორიტეტულ დარგებს. თუმცა ამ ზომების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება ეკონომიკას მხოლოდ ზიანი მიაყენოს. მეორე მხრივ,

თავისუფალი ბაზრის მომხრენი ფაქტობრივად უარყოფენ იმ დიდ როლს, რომელიც მთავრობას გააჩნია კომპანიის სტიმულირების სფეროში, კონკურენტული უპირატესობის მიღწევასას სახელმწიფო არ ქმნის დარგებს სახელმწიფო სექტორის მეშვეობით – ეს კერძო კომპანიების ამოცანაა. და ეს ამოცანა წარმატებულად გადაწყდება, თუკი მთავრობა სახელმწიფო სექტორის მეშვეობით შექმნის გარემოს, რომლებშიც კომპანიები შეძლებენ, მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობებს.

კონკურენტული გარემოს განვითარების მხარდაჭერისას სახელმწიფო სექტორმა უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული ამოცანები. მათ მიეკუთვნება:

- პროგრესულ პროდუქციაზე მოთხოვნის ჩამოყალიბების სტიმულირება;
- მრეწველობაში მოწინავე ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენება კერძო სექტორის საწარმოებთან უბრალო კოოპერირების გზით;
- სპეციალიზებული ფაქტორების შექმნისათვის უცილებელი პირობების ფორმირება.

გლობალიზაციამ შეიძლება გაცილებით დიდ მასშტაბებს მიაღწიოს თუკი ამის საშუალებას მისცემენ მას სახელმწიფოები. თუმცა მათ შეუძლიათ დაიცვან თავი გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისაგან, მაგრამ მსოფლიოში მისი შეჩერება არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია.

ყოველთვის შეიძლება ისეთი ქვეყნების მოძებნა, რომლებიც თავიანთი პოზიციები გასამყარებლად დაინტერესებული იქნებიან საერთაშორისო თანამშრომლობაში. ამის გამო სახელმწიფოები დგებიან არჩევნის წინაშე: ან მხარი დაუჭირონ გლობალიზაციის პროცესს, დაეხმარონ მას და ეცადონ მიიღონ მისგან სარგებელი თავიანთი ქვეყნისათვის, ანდა წინააღმდეგობა გაუწიონ მას და ამით შეზღუდონ თავიანთი მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობაში და შრომის დანაწილებაში, აღმართონ ბარიერები ახალი ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მოდინების წინააღმდეგ.

მომავალში ძირითადი პრობლემა გლობალიზაციისა და სახელმწიფოების იმ ეროვნულ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების პროცესში იქნება, რომლებიც არსებობენ და იარსებებენ კიდევ. გლობალიზაციის პირობებში დღის წესრიგში დგება ისეთი საკითხები, როგორცაა: იცვლება თუ არა ეროვნული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა “გლობალურ” სამყაროში; რაში მგომარეობს სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების შესაძლო ტრანსფორმაცია, შეცვლის თუ არა გლობალიზაცია არსებულ წარმოდგენებს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ?

ერთნი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოები გლობალიზაციის პირობებში კვლავ დარჩებიან დომინირებად მოთამაშეებად, თუმცა სულ უფრო მეტად შესუსტდება მთავრობების როლი. მეორენი თვლიან, რომ გლობალიზაცია ნელ-ნელა დაიწყებს სახელმწიფოს უფლებების შესუსტებას და ხელს შეუწყობს ეროვნული სახელმწიფოს თანდათანობით დაშლას მათ საბოლოო კვდომამდე.

ეროვნული სახელმწიფოები და მათი მთავრობები, როგორც აღვნიშნეთ შეიძლება სხვადასხვანაირად იყვნენ განწყობილი გლობალიზაციის მიმართ: ამ პროცესში აქტიური მონაწილეობიდან – მისგან სრულ იზოლაციამდე.

მიიღებს თუ არა სახელმწიფო გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობას – ეს მისი არჩევანია. თითქმის ყველა ქვეყანაში მოიძებნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც მოიყვანენ გლობალიზაციის პროცესებში მონაწილეობაზე უარის თქმის სასარგებლო არგუმენტებს, მაგრამ მათი ქმედების მოტივი ერთი იქნება – დაიცვან თავისი არაკონკურენტუნარიანი მწარმოებლები ძლიერი ბაზრის კანონებისაგან. ასეთი მიდგომები ხშირად თავის ხორცშესხმას პოულობს სახელმწიფოს პროტექციონისტურ პოლიტიკაში და ცალკეულ შემთხვევებში ეს შეიძლება გამართლებულიც კი იყოს. თუმცა, აკეთებს რა ასეთ არჩევანს, სახელმწიფო თითქოსდა იზოლირებას უკეთებს თავის ეკონომიკას მსოფლიო პროგრესისაგან.

ამგვარად, მონაწილეობა გლობალიზაციის პროცესში ირჩევა თავად სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლად და ეს არჩევანი პირველ რიგში კეთდება ეროვნული ეკონომიკის პოზიციის გამყარების მიზნით. არსებული გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ სავაჭრო და ფინანსური ნაკადების თავისუფლება ხელს უწყობს ეკონომიკის ტექნოლოგიურ გარდატეხას, მაგრამ სახელმწიფოებმა პირველ რიგში დამოკიდებული ის, რომ გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობამ სარგებელი მოუტანოს არა მარტო ცალკეულ მოქალაქეებს, კორპორაციებს და ა.შ., არამედ მთელ საზოგადოებას. შესაბამისად, გლობალიზაციას არ შეუძლია თავისთავად შეასუსტოს სახელმწიფო, მას შეუძლია მხოლოდ გაამყაროს სახელმწიფო, რომელიც აქტიურად მონაწილეობს მასში, მაგრამ სახელმწიფოს სიძლიერე დამოკიდებულია არა მარტო მის არჩევანზე, არამედ თუ როგორ გამოიყენებს იგი გლობალიზაციიდან შემოთავაზებულ შესაძლებლობებს.

გლობალიზაციის განვითარების პირობებში სახელმწიფოს მომავალი ძირითადად დამოკიდებულია არა მარტო მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებაზე, არამედ, პირველ რიგში, მისი ეკონომიკის მდგომარეობაზე. სწორედ ეროვნული ეკონომიკური უნარყ, ეფექტიანად იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის პირობებში, თავის სასიკეთოდ გამოიყენოს ბაზრების გლობალიზაცია, კაპიტალის ტრანსნაციონალური კონცენტრაცია, საწარმოო ფაქტორებისა და პროდუქტების მობილობა, განსაზღვრავს მომავალში “გლობალიზებულ” მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოს მდგომარეობას.

სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობა, მისი მკაფიო და ცხადი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ბაზრების ლიბერალიზაცია და კონტროლირებადი პრივატიზაცია – აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის. ეროვნული სახელმწიფოს კეთილდღეობა უმეტესად განისაზღვრება მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობით, მის მიერ გატარებული მაკრო და მიკროეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც ეროვნული კომპანიების წარმატებულობის პირობებს ქმნის.

ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა ტრანსნაციონალური პრობლემების გადაწყვეტისას ეროვნული სახელმწიფოებისაგან მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას და, აგრეთვე, გარკვეულ შეზღუდვებს სახელმწიფოს ქმედებებში. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უნარი, შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, შეიზღუდება. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია მხოლოდ დააჩქარებს ბაზრის რეაქციას სახელმწიფოს მიერ არჩეულ კურსზე. ერთ-ერთ საკამათო საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრაციასთან, ეხება სახელმწიფოს უნარს, მის პირობებში შეასრულოს თავისი მარეგულირებელი ფუნქციები და განახორციელოს კონტროლი ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ უკვე დღეს ტრანსნაციონალური კომპანიებისა და უმსხვილესი ბანკების ბატონობა, ფინანსური კაპიტალის უკონტროლო მოძრაობა საშუალებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ სახელმწიფო სუვერენიტეტის გაქრობაზე, სახელმწიფოს უუნარიანობაზე, ეფექტიანად იმოქმედოს ეკონომიკასა და სოციალურ პროცესებზე და აკონტროლოს მათი დენა.

სახელმწიფოს როლის შესახებ კითხვა გლობალიზაციის პირობებში აქტიურად განიხილება სამეცნიერო და საქმიან წრეებში. მონოგრაფიების უმეტესობაში და სტატიებში გვხვდება მოსაზრება, რომ, გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად, სახელმწიფო თანდათანობით კარგავს თავის შესაძლებლობებს, იყოს სრული პატრონი საკუთარ ეკონომიკურ სივრცეში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებს გააჩნიათ ეფექტიანი ინსტრუმენტები ეროვნული ინტერესების დაცვისათვის როგორც საკუთარი ძალებით, ისე სხვა სახელმწიფოებთან მოქმედების კოორდინაციის მეშვეობით საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ინტეგრაციული გაერთიანებების ჩარჩოებში. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სწორედ სავალუტო-საფინანსო სფეროს რეგულირებაში.



თუმცა, იმისდა მიუხედავად, რომ სახელმწიფოები ახლო მომავალში თავიანთ მნიშვნელობას უცვლელად შეინარჩუნებენ, მცდარია. გლობალიზაცია, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს მათ ფუნქციონირებაზე. ეს განპირობებულია შემდეგით:

გლობალიზაციის პირობებში იზრდება ეროვნული ეკონომიკების ურთიერთ-დამოკიდებულება, რის შედეგადაც მკვეთრად მძაფრდება მათი სუსტი მხარეები გარე ფაქტორების ქმედების შედეგად. ასეთი სისუსტის მიზეზი იმალება ეროვნულ სახელმწიფოთა და ზენაციონალური ორგნოების შესაძლებლობებს შორის შეუსაბამობის ზრდაში.

ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს სამეურნეო საქმიანობის ლიბერალიზაციას, რის შედეგადაც სახელმწიფო კარგავს თავისი მარეგულირებელი ფუნქციის გარკვეულ ნაწილს. ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია მკვეთრად განსაზღვრავს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ხასიათს, რომელიც, ტრადიციულად, განიხილება ეკონომიკაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის სახით. მეორე მხრივ, წარმოიშობა სიტუაცია, როდესაც შემორჩენილ ეროვნულ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ ეფექტიანად რეგულირება ეროვნული პოლიტიკის საშუალებებით.

ამ პირობებში ეკონომიკური განვითარების დესტაბილიზაცია შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული.

დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოებს მოეთხოვებათ განსაკუთრებული ძალისხმევა, საკანონმდებლო სისტემისა და ნორმების და აგრეთვე მათი შესრულებისათვის იძულების მექანიზმების გარდაქმნაც კი. ქვეყნების უმეტესობაში ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ჩამოყალიბებული მექანიზმების გარდაქმნა მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. პირველ რიგში, ლაპარაკია ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებისა შესაბამის სფეროებსა და სხვა ქვეყნებთან.

იმ ქვეყნებმა, რომელთაც არ აქვთ გარე სამყაროსთან ღია ფინანსური ბაზრები, პირველ რიგში ჯერ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ფინანსური ბაზრების გახსნილობის დასაშვები ხარისხი უცხოური კაპიტალისათვის და მხოლოდ შემდგომ მიმართონ თავიანთი ძალისხმევა შიდა გარდაქმნებისაკენ: ეროვნული საბანკო კანონმდებლობის განვითარება, ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ეროვნული ფინანსური სისტემის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანი ინსტრუმენტების შემუშავება და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულების ეფექტიანობაზე არა მარტო შიდა პრობლემები ახდენს ზემოქმედებას არამედ გარე ფაქტორებიც, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მსოფლიო მეურნეობასთან ურთიერთკავშირის გაღრმავებასთან. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო ფუნქციების შიდა რეგულირების წესმა უფრო მკაფიოდ უნდა მოახდინოს რეაგირება მსოფლიო ეკონომიკის პარამეტრების ცვლილებაზე. ზოგი სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდეს სხვა ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ქვეყნებთან. აქედან გამომდინარეობს ცალკეულ ქვეყნებში მარეგულირებელი ღონისძიებების უნიფიკაციისა და შეთანხმებების აუცილებლობა.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. Стиллиц Дж. Ю. Экономика государственного сектора. - М., ИНФРА-М, 1997. - 720 с.
2. Лоуг Дж., Гоголева Т. Государственный сектор экономики в условиях глобализации. М. 2009.
3. [http://www.macro\\_econom.ru/economists-233-1.html](http://www.macro_econom.ru/economists-233-1.html)

**THE THEORETICAL ASPECTS OF GLOBALIZATION IMPACT  
ON PUBLIC SECTOR DEVELOPMENT  
SUMMARY**

In the article there is analyzed the theoretical aspects of globalization impact on public sector development. In particular, there are taken into account the changes originated in every sphere of society's life, especially in public sector.

The role and significance of public sector under globalization are considered and the main trends taking place in these conditions are identified.

Two main state policy approaches to globalization process are also considered. Public sector should protect itself from globalization or it should create the conditions to intensify the specialization of a country or region, thereby contributing to globalization processes.

But it should be noticed that no country all over the world can stop globalization processes.

*დალი მაგრაქველიძე*

**საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკის ანალიზის მნიშვნელობა**

საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკის ანალიზის მიზანია ზუსტი წარმოდგენის ფორმირება როგორც საერთოდ პროექტის, ისე ცალკეული სამუშაოების, ეტაპების და ფაზების წარმატებული შესრულების რეალური რისკის შესახებ.

ანალიზის ჩატარებისათვის არსებობს და შეიძლება შემუშავდეს სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ეფუძნება *ექსპერტთა შეფასების* გამოყენებას. აქ მკაცრად უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ მიზნებისათვის მითითებული ანალიზის მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ანალიტიკურ ან საცდელ-სტატისტიკურ მეთოდს, ამ დროისათვის პერსპექტივა არ აქვს. ძალიან მცირეა საინვესტიციო პროექტები პრაქტიკული რეალიზაციის გამოცდილების შესახებ დაზუსტებული საინფორმაციო ბაზა. ძნელია მოიძებნოს დასაწყები პროექტების უკვე დამთავრებული ანალოგები. ამიტომ მეთოდების სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ეფუძნება *ექსპერტთა მოსაზრებების* მიღებას და დამუშავებას – ჯერჯერობით ერთადერთი საშუალებაა, რომელიც რეალურად შეიძლება იქნეს გამოყენებული პრაქტიკული მიზნებისათვის. ამასთან, წინასწარ გვიხდება შეთანხმება იმ შედეგების სიზუსტეზე, რომლებიც, შეიძლება, *ექსპერტთა შეფასების* ბაზაზე იქნეს მიღებული.

საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის რისკის ანალიზის მიზნის მისაღწევად აუცილებლად უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

1) ინფორმაციის მიღება, რომელიც შეიცავს დაზუსტებულ მონაცემებს საინვესტიციო პროექტის, მიღებული გადაწყვეტილებების, სამუშაოების შესრულების, და მისი შემდგომი პრაქტიკული რეალიზაციის გეგმების შესახებ.

2) ანალიზისათვის შეირჩეს და მიიზიდოს კვალიფიციური *ექსპერტები*.

3) დაწვრილებით მოხდეს ანალიზის ტექნოლოგიის გააზრება და შემუშავდეს მის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

4) შემუშავდეს სპეციალური ფორმები, რომლებიც უნდა შეივსოს *ექსპერტების* მიერ.

5) *ექსპერტთა*თვის შემუშავდეს იმ მოთხოვნების შემცველი მკაფიო ინსტრუქცია, რომელიც უნდა დაიცვან *ექსპერტების* პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ამოცანა შეიძლება გადაწყდეს პარალელურად. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად უცილებელია შესრულდეს მოსამზადებელი სამუშაოები გარკვეული მოთხოვნის დაცვით.

*პირველი ამოცანა* საუკეთესოდ შესრულდება, თუ პროექტის რეალიზაციის რისკის ანალიზისათვის ძირითად დოკუმენტად ავიღებთ ბიზნესგეგმას. თუმცა პრაქტიკა გვჩვენებს, რომ რეალურ ბიზნესგეგმებში ხშირად არ არის საჭირო ინფორმაცია. ამიტომ, თუ არ მივაგნებთ დამატებითი ინფორმაციის წყაროს, პროექტის რეალიზაციის რეალურად არსებული რისკი ექსპერტების მიერ შეიძლება მნიშვნელოვნად გადამეტებულად იქნეს შეფასებული. ხშირად ინფორმაცია, რომელსაც ბიზნეს-გეგმა შეიცავს, არასწორად ასახავს პროექტის განმახორციელებელ საწარმოში რეალურად არსებულ სიტუაციას. ეს ასევე შეიძლება დადგინდეს დამატებითი ინფორმაციის საშუალებით. რატომ ხდება ასე? სამწუხაროდ, ასეთ ფაქტს ხშირად აქვს ადგილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ პროექტის რეალიზაციის ბიზნესგეგმის შემმუშავებლებად გარეშე სპეციალისტებს იწვევენ, რომლებიც ცუდად იცნობენ საწარმოს.

*მეორე ამოცანის* გადაჭრა არცთუ ისე ადვილია. ძნელია გქონდეს იმის იმედი, რომ შესაძლებელი იქნება იდეალური ექსპერტების მოწვევა. ძნელია მოიძებნოს ნამდვილად დამოუკიდებელი და ობიექტური სპეციალისტი, რომელიც შეიძლება მიიწვიო კონკრეტული შემთხვევებისთვის. მაგრამ არსებობს კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ექსპერტებმა, რომლებიც მოწვეულნი არიან რისკების შესაფასებლად, უნდა შეასრულონ შემდეგი:

- ხელი მიუწვდებოდეთ პროექტის შესახებ შემმუშავებლების ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციაზე;
- ჰქონდეთ მაღალი ანალიტიკური აზროვნება;
- ჰქონდეთ სფეროს შესაბამისი აუცილებელი ცოდნის დონე;
- პროექტის მიმართ არ იყვნენ პირადად დაინტერესებულნი;
- ჰქონდეთ საშუალება, შეაფასონ ნებისმიერი რაოდენობის იდენტიფიცირებული რისკი.

*მესამე ამოცანის* გადაწყვეტისას უნდა ვეცადოთ, რომ ზოგადად ტექნოლოგიამ და მისი განხორციელებისათვის შემუშავებულმა პროცედურებმა შეუქმნან ექსპერტებს მუშაობისათვის ხელსაყრელი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მათი შეფასებების ობიექტურობას და დამოუკიდებლობას.

*მეოთხე ამოცანის* გადაწყვეტა ითვალისწინებს სპეციალური ფორმის შემუშავებას, რომელშიც ექსპერტებს შეაქვთ ინფორმაცია ანალიზის ჩატარების პროცესში. ეს ფორმები, ერთი მხრივ, უნდა იყოს მარტივი და მოხერხებული, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს ინფორმაციის თვალსაჩინოება, რომელიც მისი ხარისხიან გადამუშავების და სისტემიზაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა შეიძლება შემუშავდეს ფორმები ექსპერტების მიერ მიღებული შედეგების დამუშავებისათვის და განზოგადებისათვის.

*მეხუთე ამოცანა* მდგომარეობს საწარმოს მიერ ან სტანდარტით გათვალისწინებული ინსტრუქციების სახით სპეციალურ დოკუმენტში ანალიზის პროცესში შესასრულებელი ყველა პროცედურის ორგანიზაციულ გაწერასა და რეგლამენტაციაში. მოცემული დოკუმენტი შემუშავდება პროექტის რეალიზაციის რისკის ხარისხიანი ანალიზით დაინტერესებული ხელმძღვანელების მიერ. თუ ანალიზი ხდება რამდენიმე მონაწილის, ინვესტორის ან სახელშეკრებულ ურთიერთობის სხვადასხვა მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ სასურველია დოკუმენტის მათთან შეთანხმება.

ყველა ამოცანა მნიშვნელოვანია, მაგრამ ანალიზის ჩატარების ხარისხზე გადამწყვეტ გავლენას მესამე ამოცანის – ანალიზის ტექნოლოგიის შემუშავება- შესრულება ახდენს.

არსებობს საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკის ანალიზის ჩატარების სხვადასხვა მეთოდიკა, რომლებიც განსხვავდება როგორც შესასრულებელი პროცედურების ერთობლიობით, ისე შედეგნილობით. ფაქტობრივად, თითოეული ასეთი მეთოდიკა წარმოადგენს ავტორთა კონცეფციის ანარეკლს როგორც არსებული რისკების სისტემის მიმართ, ისე პროექტის რეალიზაციის შედეგზე მათი გავლენის ხასიათისადმი. გარდა ამისა, ასეთი მეთოდების შემმუშავებლები სხვადასხვანაირად აფასებენ ექსპერტიზაზე მიწვეული, სპეციალისტების შეფასებების მიცემის შესაძლებლობებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის რეალიზაციისა და პერსპექტივის ადეკვატურ შედეგს.

**ცხრილი 1.**

**ფორმა №1 რისკის ექსპერტული ანალიზისათვის**

№	რისკის დასახელება	საშიშროება	ალბათობა	მნიშვნელობა
1	2	3	4	უჯრ.5 = უჯრ.3 x უჯრ.4

**ცხრილი 2**

**ფორმა №2 რისკის ექსპერტული ანალიზისათვის, რისკის დასათაურება**

№	ექსპერტის სახელი და გვარი	ექსპერტის კომპეტენტურობის დონე	რისკის მნიშვნელობა	რისკის ინტეგრალური დონე
1	2	3	4	უჯრ.5 = უჯრ.3 x უჯრ.4
	.....	.....	.....	.....
	სულ:	$\sum$ მე-3 უჯრ.	–	$\sum$ მე-5 უჯრ.

**ცხრილი 3**

**ფორმა №3 რისკის ექსპერტული ანალიზისათვის**

№	რისკის დასახელება	რისკის ინტეგრალური დონე (ცხრ.6.2-ის შედეგი)	რისკის ზღვრული დონე	დასკვნა (მისაღებია/მიუღებელია)
1	2	3	4	5

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, მიუხედავად პროექტის წარმატებულად რეალიზაციის საერთო ინტერესისა, პროექტის მონაწილეებს და ინვესტორებს განსხვავებული ინტერესები აქვთ, თუ უფრო ზუსტად განემარტავთ, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ განსხვავებულ ინტერესთა სისტემის არსებობაზე. შესაბამისად, განსხვავებულ რისკებს ან მათ ფაქტორებს მონაწილეთათვის და ინვესტორებისათვის უფრო ხშირად ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ, თუ პროექტის მონაწილეებისა უნდა გამოავლინონ რისკები მათი გავლენისა და ხასიათის გათვალისწინებით, ასევე შეეცადონ შეამცირონ ისინი იმისათვის, რომ მიიღონ ინვესტორისგან სახსრები სასურველ პირობებში, ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოავლინოს არსებული რისკები და შეუსაბამოს ჩადებული სახსრების მოსალოდნელ შემოსავლიანობას. თუ სახსრების ჩადების რისკიანობა გადააჭარბებს გარკვეულ დონეს, მაშინ ინვესტორმა შეიძლება უარი თქვას პროექტის

დაფინანსებაზე ან მონაწილეებს შესთავაზოს სხვა, მათთვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელი პირობა.

შესაბამისად, რისკის ანალიზის მეთოდოლოგია და მათში შესაფასებელი ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს იქიდან გამომდინარე, თუ ვის ინტერესებში ხდება ანალიზი, ინვესტორის თუ პროექტის მონაწილის.

პროექტის მონაწილეთათვის რისკის ექსპერტული ანალიზის აღგორითმს შეიძლება ასეთი თანმიმდევრობა ჰქონდეს:

- რისკის თითოეული სახისათვის განისაზღვრება მოცემული პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის მისაღები ზღვრული დონე. რისკის ზღვრული დონე განისაზღვრება ასბალიანი სკალით;

- აუცილებლობის შემთხვევაში დგინდება ექსპერტთა კომპეტენტურობის დონის დიფერენცირებული შეფასება, რომელიც კონფიდენციალურია. შეფასება ხდება ათბალიანი სკალით;

- ექსპერტების მიერ რისკი ფასდება სარისკო ხდომილობის დადგენის ალბათობის კუთხით (ერთის ნაწილებში) და პროექტის წარმატებით დამთავრებაში მოცემული რისკის საშიშროებით (სტაბილური სკალით). ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს თითოეულმა ექსპერტმა, მოცემულია ცხრილ 1-ში;

- ექსპერტების მიერ წარმოდგენილი თითოეული სახის რისკის შეფასება პროექტის მონაწილეების მიერ იკრიბება ცხრილში, რომლის ფორმაც მოყვანილია ცხრილ 2-ში. მასში თითოეული რისკის სახისთვის განსაზღვრულია ინტეგრალური დონე;

- მოცემული რისკისათვის ერთმანეთს ედარება რისკის ინტეგრალური დონე, ექსპერტთა გამოკითხვის შედეგები და ზღვრული დონე (ცხრილი 3) და კეთდება დასკვნა პროექტის შემმუშავებლებისათვის მოცემული სახის რისკის მისაღებლობის შესახებ;

- იმ შემთხვევაში თუ ერთი ან რამდენიმე სახის რისკის მიღებული ზღვრული დონე მიღებულ ინტეგრალურ მნიშვნელობაზე დაბალია, მუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია პროექტის წარმატებულ რეალიზაციაზე მოქმედი გამოვლენილი რისკების დაწვევაზე და ხდება რისკის განმეორებითი ანალიზი.

ზემოთ მოყვანილი აღგორითმი წარმოადგენს რისკის საექსპერტო ანალიზის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს, რომელიც ტარდება პროექტის მონაწილის ინტერესებში. იმისათვის, რომ რისკის ანალიზის შედეგებმა დააკმაყოფილოს ინვესტორი, მიზანშეწონილია რამდენადმე სხვა მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მის ინტერესებს.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაციაში მონაწილეობის გადაწყვეტილების მიღებისას პროფესიონალი ინვესტორი უნდა ხელმძღვანელობდეს მოქმედების გონივრული აღგორითმით, რომელშიც შერწყმულია პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობით მიღებული პრემიალური სარგებელი და რეალურად შეფასებული რისკების სისტემის მისაღებლობა. სწორედ ამაში მდგომარეობს ინვესტორის ინტერესების დაცვა, რომელიც უნდა აიგოს პროფესიონალი ინვესტორის ფსიქოლოგიის და საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის კონკრეტულად შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით.

ამრიგად, ინვესტორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს საინვესტიციო პროექტის ბიზნესგეგმის პირადად ჩატარებული ანალიზის შედეგებს. ეს ნიშნავს, რომ პროფესიონალ ინვესტორს შეუძლია, ბიზნესგეგმის ანალიზისათვის მოწვიოს ნებისმიერი ექსპერტი და კონსულტანტი, მაგრამ, მათი აზრის გათვალისწინებასთან ერთად, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი შთაბეჭდილება, რომელიც ექმნება მოცემული დოკუმენტების პირადად გაცნობის შედეგად. გამოცდილი ინვესტორისათვის საკუთარი შთაბეჭდილებები უნდა იყოს ის ფუნდამენტი, რომელზედაც, როგორც აგურები, ლაგდება არგუმენტები და ფაქტები, რომლებსაც ინვესტორს წარუდგენენ ექსპერტები და კონსულტანტები. აიგება თუ არა ამ საძირკველზე სწორი გადაწყვეტილებები, დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, მაგრამ ფუნდამენტის ხარისხს არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

**THE IMPORTANCE OF RISK ANALYSIS IN THE INVESTMENT PROJECTS  
SUMMARY**

The paper shows that the aim of the analysis of the risk of the investment projects is to form an exact representation about project real risks for those who carry out such an assessment.

There are various methods existing for conducting the analysis and they can be developed based on expert assessment of the application. For these purposes the usage of mentioned methods of the analysis, that is based on analytical or experimental - statistical method, have no perspective. There is a very little information on experience of practical realization of investment projects. It is difficult to find analogies for starting projects in the projects that are already completed. Thus, different options of the methods, that are based on experts opinions and treatments, so far, is the only tool which can actually be used for practical purposes. In addition, we have to agree in advance on the accuracy of the results, which may be obtained on the basis of expert assessment.

*იოსებ მასურაშვილი*  
**სახელმწიფოს როლი ინოვაციების მენეჯმენტში**

ინოვაციური სფერო, როგორც ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფენომენი, მიეკუთვნება არა მარტო საზოგადოებრივი სიკეთის მომხმარებელს, არამედ მის მწარმოებელსაც. ინოვაციურ სფეროში სახელმწიფო ორგანოების მართვის მიზანმიმართული მოქმედებით ხორციელდება ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება და სახელმწიფო მართვის ორგანო ხდება მარეგულირებელი ზემოქმედების სუბიექტი. მან უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი მიზნები მართვის ობიექტის სასურველი მდგომარეობის ან მისი საქმიანობის სასურველი შედეგების სახით.

ფორმულირებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო მართვის ორგანო ირჩევს ზემოქმედების კონკრეტულ საშუალებებს, რომლებიც შეესაბამება შიდა მიზნებს. ამ უკანასკნელთა ინიცირება ხდება განსაზღვრული მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისთვის, ხოლო შემდგომში – რეალიზაციისათვის, რაც ცვლის ინოვაციური ორგანიზაციის ეკონომიკურ ქცევას ინოვაციური პროდუქციის შექმნის პროცესში ან ინოვაციის ბაზარზე.

სახელმწიფო რეგულირებას შეუძლია ინოვაციური ორგანიზაციების მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობის გაფართოება. ორგანიზაცია შეასრულებს იმას, რაც სახელმწიფო ორგანოს სურს იმ შემთხვევაში, თუ იგი მისცემს შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას. მეორე მხრივ, ორგანიზაციამ შეიძლება არ შეცვალოს თავისი ქმედება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას არ ეძლევა შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება; დასასრულ, ორგანიზაციის საშუალებების შემცირებისას იგი შეეცდება, გვერდი აუაროს ამ წინააღმდეგობას, ან შეეცდება კომპენსირება მოახდინოს სხვა საშუალებების გაზრდის საფუძველზე<sup>106</sup>.

ორგანიზაციის სავარაუდო რეაქცია სახელმწიფო რეგულირების საშუალებებზე შეიძლება იყოს შემდგენიანი: ახალი ბაზრების ათვისება, კოოპერაცია სხვა

<sup>106</sup> Giselle Rampersad. Innovation Management. 2009.p.112.

ორგანიზაციებთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, პარტნიორებისა და კრედიტების ძებნა.

შესაძლებლობების შემცირებისას ორგანიზაციის რეაქცია შეიძლება იყოს შემდეგი სახის: არსებული პოტენციალის „ზეექსპლუატაცია“, სარესურსო პოტენციალის შემცირება, რისკის დონისა და ინვესტიციების შემცირება, გაკოტრება და თვითლიკვიდაცია.

სხვადასხვა ქვეყანაში სახელმწიფო არეგულირებს ინოვაციურ ბიზნესს საბაზრო რეგულირებასთან ერთად. საქონელმწარმოებელთა კონკურენტული ბრძოლა უფრო ხშირად მიბმულია ხანმოკლე ფინანსურ ეფექტთან. ბაზრის თვითრეგულირებას არ შეუძლია მაღალი დონის რისკთან დაკავშირებული პერსპექტიული გამოკვლევებისა და დამუშავების უზრუნველყოფა. კერძო მეწარმეები არ არიან ვალდებული, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული სამეურნეო საქმიანობის ინოვაციათა პროექტში.

ცალკეული საწარმოო სუბიექტები, უპირველეს ყოვლისა მცირე საწარმოები, საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან, ვიდრე მსხვილი საწარმოები ინოვაციის რეალიზაციის მიხედვით, რადგან მათ აქვთ უფრო მაღალი დანახარჯები, აგრეთვე არ შესწევთ ფინანსური სახსრების აკუმულირების უნარი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. ამიტომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, მცირე ინოვაციური ბიზნესისთვის ხელის შეწყობა ინფორმაციული უზრუნველყოფით, კადრების მომზადებით, მარკეტინგული კვლევების ჩატარებით<sup>107</sup>.

როდესაც მაღალია გაურკვეველობა ინოვაციური პროექტის კომერციული წარმატებისა, ასევე დიდია ფინანსური რესურსების ხარჯვის ალბათობა; ასეთ შემთხვევაში კერძო სექტორი ამჯობინებს ორიენტაციას არა პერსპექტიულ, არამედ არსებულ მოთხოვნასა და წინადადებებზე. სახელმწიფოს აქტიურობა ხელს უწყობს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისა და საზოგადოების ინტერესების განვითარებას. სახელმწიფო სექტორში, მათ შორის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, შექმნილი სიახლეების გადაცემა კერძო სამამულო საქონელ-მწარმოებლებისათვის მათი მასობრივი გამოშვების მიზნით, ზრდის პროექტის კონკურენტუნარიანობას საშინაო და საგარეო ბაზარზე, უზრუნველყოფს სავაჭრო ბრუნვის აქტიურ საღლოს, რაც იწვევს სახელმწიფოს შემოსავლის ზრდას საწარმოდან შემოსული გაზრდილი გადასახადების სახით. ამავე დროს, სამეურნეო სუბიექტების, მმართველობის სახელმწიფო ორგანოებისა და საწარმოების მიერ ინოვაციური პროექტირების ერთობლივი შესრულება სახელმწიფოს მოუტანს ერთობლივ შემოსავალს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს სოციალური, ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად, რათა ქვეყანაში ამაღლდეს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალი.

სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება მეცნიერულ-ტექნიკურ, ინოვაციურ და ეკონომიკურ სფეროზე, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ორიენტირებულია ინოვაციური აქტიურობის გაზრდაზე; ეს პროცესი ნაციონალურ ეკონომიკაში მიეკუთვნება არა მმართველობით, არამედ მარეგულირებელ პროცესებს. სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს სახელმწიფოს მიზანმიმართულ ზემოქმედებას ეკონომიკურ სისტემებზე, განსაზღვრული პროცესების და ეკონომიკური მოვლენების ცვლილებების უზრუნველყოფას ან ხელშეწყობას, ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციას კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებში.

სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად ფუნქციებს ინოვაციურ სფეროში წარმოადგენს შემდეგი: რესურსების აკუმულირება სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და ინოვაციებში; ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია;

<sup>107</sup> John Storey. The management of innovation. 2004. p.97.

ინოვაციის სტიმულირება, ინოვაციური რისკების დაზღვევა; მოძველებულ პროდუქციაზე სახელმწიფო სანქციების ამუშავება; ინოვაციურ პროცესებში სამართლებრივი ბაზის შექმნა, მათ შორის საავტორო უფლებების დაცვა, ინოვატორების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; ინოვაციური საქმიანობის კადრებით უზრუნველყოფა; ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება; დარგობრივი საზოგადოებრივი სექტორის ინოვაციური პროცესების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; ინოვაციათა მიმართულების სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა; ინოვაციური საქმიანობის სტატუსის ამაღლება საზოგადოებაში; ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება.

სახელმწიფო რეგულირება ემყარება პრიორიტეტების არჩევას, გენერალური სტრატეგიული მიმართულების, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტურ ორიენტაციას. სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი ამოცანაა კომპლექსური მეთოდების გატარება, ორგანიზაციულ-ნორმატიული და სახელმწიფო საფინანსო-სარესურსო დახმარება ინოვაციურად აქტიური მეურნეობისათვის<sup>108</sup>.

სახელმწიფოებრივი რეგულირება რეალიზდება იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებსაც ქმნის საბაზრო ურთიერთობები პოტენციური შესაძლებლობების შესაბამისად და ხელს უშლის ნაციონალური ეკონომიკისათვის ნეგატიური მოვლენების განვითარებას. გერმანიასა და იაპონიაში, სადაც, ტრადიციულად, განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ სახელმწიფოს ზემოქმედებას საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, პროტექციონიზმის ზომებს იყენებენ, სტიქიური კონკურენციის შესაკავებლად, მაშინ, როდესაც ეს ხელსაყრელია ნაციონალური ეკონომიკის სუბიექტებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა – ეს არის მიზანმიმართულ საშუალებათა სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის კომპლექსურ განვითარებას. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა – ეს არის ეფექტური ინოვაციური ბაზრის საქმიანობის ფორმირება და დახმარება, ეკონომიკურად მომგებიანი პირობების შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიის ასათვისებლად, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტური და მტკიცე პოზიციის დასაფიქსირებლად მსოფლიო ბაზარზე.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების ორგანიზაციულ ფორმად შეიძლება მივიღოთ იმ სამინისტროებისა და უწყებების ურთიერთმოქმედი ერთობლიობა, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო-ტექნიკური, ინოვაციური და ეკონომიკური პოტენციალის სხვადასხვა სფეროებისა და შემადგენელ ნაწილებზე, ასევე სამეცნიერო საქმიანობის საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუბიექტები და ინოვაციური პროდუქციის მომხმარებლები – წარმოების სფეროს სუბიექტები. ინოვაციური სფეროს ფაქტობრივ მდგომარეობაზე მონაცემების მიღება შეიძლება სტატისტიკური ანგარიშგების სისტემით, ხოლო კონფლიქტური სიტუაციების შესახებ მონაცემების – სასამართლო სისტემით და საარბიტრაჟო სასამართლოებით.

ინოვაციური სფეროს ფაქტობრივი მდგომარეობის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო მართვის ორგანოებით, ხოლო განხორციელება – ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებით.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის შეუსაბამობა მიზნებთან პრობლემას წარმოადგენს და საჭიროებს სპეციალურ ანალიზს, რომელიც უნდა შეასრულოს სახელმწიფო მმართველმა ორგანოებმა და ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებმა, ან ცალკეულმა კვლევითმა ორგანიზაციებმა. პრობლემური სიტუაციების გამორიცხვა მთავრდება მისი მიკუთვნებით არსებული ინსტიტუციური საშუალებების გამოყენებისადმი (კანონი, ორგანიზაცია, ინსტიტუციური გარიგებები).

<sup>108</sup> Joseph Tidd, J. R. Bessant, Keith Pavitt. Managing Innovation. 2005. p. 118.



პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტისათვის მიზნების კონკრეტიზაცია ინოვაციურ პოლიტიკაში, შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფო ინოვაციური სუბიექტების მიერ. პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის ვარიანტების დამუშავება უნდა მოხდეს სტრატეგიისა და კანონის ფარგლებში. ამ საქმიანობის რეალიზება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების ან დროებითი სამუშაო ორგანოების, ისე მოზიდული ორგანიზაციების მიერ. გადაწყვეტის ეტაპის ოპტიმალური ვარიანტის არჩევანი ხორციელდება პროცედურების საფუძველზე, რომელსაც აქვს შემდეგი სახეები: მოლაპარაკებები, საქმიანობის შინაგანი ნორმები, დანიშნულება.

გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს სტრატეგიული ხასიათი, გარდაიქმნება კერძო გადაწყვეტილებათა სისტემად. გადაწყვეტილების კონკრეტიზაციაში მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ორგანოები, ისინი ახორციელებენ ცვლილებებს სუბიექტთა საქმიანობის პირობებში, რომელთა ურთიერთქმედებისგანაც წარმოიქმნა პრობლემური სიტუაცია.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების განსაზღვრა ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტთა ქმედებების მონაცემების მიღების მსგეველობის პერიოდში, შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების შეპირისპირება სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებთან, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ფაქტობრივ და სასურველ შედეგებს შორის გადახრების გამოვლენამდე.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ობიექტებად გვევლინება ინოვაციური საქმიანობის მრავალი სუბიექტი, წარმოდგენილი სხვადასხვა ორგანიზაციების სახით (სახელმწიფო და არასახელმწიფო), დაკავშირებული მოლაპარაკებებითა და კოოპერაციული გარიგებებით, რომლებიც გამოიმუშავებს თავისი და სახელმწიფოს ურთიერთქმედების წესებს. ინოვაციური პოტენციალის განვითარება შესაძლებელია ნორმალურად ფუნქციონირებადი ეკონომიკის დროს, როდესაც გრძელვადიანი ინვესტირება არის მომგებიანი, ასევე არსებობს კონკურენტული სფერო. ინოვაციური საქმიანობა ძირითადი ფაქტორია კონკურენციაში წარმატების მისაღწევად.

პრინციპების შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე ეკონომიკურ საქმიანობასთან მიმართებაში, ინსტიტუტების ზემოქმედების სიღრმეზე. სამეცნიერო და ინოვაციურ საქმიანობაში სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს განეკუთვნება: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების თავისუფლება, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური მოღვაწეობის და განათლების ინტეგრაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მხარდაჭერა, რესურსების კონცენტრაცია სამეცნიერო განვითარების პრიორიტეტული მიმართულებით, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობაში მოქმედების აქტიურობის სტიმულირება, საერთაშორისო მეცნიერებაში ინოვაციური თანამშრომლობის განვითარება.

საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის მექანიზმი განსხვავებულია, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფოს და ბაზრის ფუნქციების, ცენტრალიზაციისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების გამოყენება სამეურნეო საქმიანობაში, მათი ურთიერთმიმართება განსხვავებულია. თუმცა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წარმოების განვითარების კანონზომიერებები მსგავსია და ინოვაციური საქმიანობისადმი, კერძოდ, მისი გრძელვადიანი ტენდენციებისა და შედეგების აღრიცხვისადმი, მიდგომა ერთნაირია.

სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებაზე იხარჯება სხვადასხვა რაოდენობის ფინანსური სახსრები, რაც მშპ-ს გარკვეული პროცენტული წილით გამოიხატება ბიუჯეტში. ამ მხრივ ლიდერებად გვევლინებიან შვეიცარია, გერმანია, იაპონია, შვედეთი, სამხრეთ კორეა და აშშ. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსების მოცულობით ლიდერობენ

მსოფლიოს ისეთი მოწინავე ქვეყნები, როგორებიცაა: იაპონია, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა და აშშ. მეორე ჯგუფს (მაღალი ტექნოლოგიის ქვეყნები) განეკუთვნება დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვა ევროპული ქვეყნები, ასევე ტაივანი.

კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა (გერმანია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, იაპონია, კანადა, კორეა, ჰოლანდია, ავსტრია, შვედეთი, შვეიცარია, ესპანეთი და აშშ) სადღეისოდ ინდიკატორთა ერთიან სისტემას იყენებს, რომლის შემუშავებაც აგრეგირების რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ მოხერხდა. ამ სისტემამ გააიოლა მასში ჩართული ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის საერთაშორისო შედარება. მოქმედი ელემენტებისა და სისტემური კომპონენტების დიფერენცირებამ შესაძლებელი გახდა ცალკეული ქვეყნების მონაცემთა სისტემატიზება და საერთო მონაცემთა სისტემაში ჩართვა. ამ გზით მოხდა „ინოვაციური ბალანსის“ გამოყვანა, მაგალითად, გერმანიისთვის, რომელმაც, სხვა ქვეყნების მსგავსად, სააშკარაოზე გამოიტანა თავისი სუსტი და ძლიერი ინოვაციური მხარეები. ეს კონცეფცია არის საფუძველი პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად: მეთოდურად გაიმართოს ინოვაციებისა და ინოვაცია-უნარიანობის კომპლექსურობა და მოხერხდეს ფართო საზოგადოებისათვის გასაგები შედეგების გამოყვანა და წარდგენა<sup>1</sup>.

მსოფლიო პრაქტიკაში დახმარების დონისა და ფორმის მიხედვით გამოყოფენ სახელმწიფო ჩარევის აქტიურ სტრატეგიებს, დეცენტრირებულ რეგულირებასა და შერეულს. როცა ხორციელდება აქტიური ჩარევის სტრატეგია, სახელმწიფო აღიარებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ზრდაში სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობას აქვს მთავარი და განმსაზღვრელი როლი. როგორც წესი, ამ სტრატეგიის ამორჩევა ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს კანონმდებლობასა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში.

იაპონიაში, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სტრატეგიით, შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი სახელმწიფოს მართვის ორგანოებსა და საქონელმწარმოებლებს შორის. ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან მსოფლიო სამეურნეო სივრცეში. სახელმწიფო ასრულებს არა მარტო საორიენტაციო ფუნქციას, არამედ აქტიურ როლს თამაშობს იმ მრავალი მნიშვნელოვანი პროგრამის, პროექტის ორგანიზაციასა და დაფინანსებაში, რომელთა განხორციელებასაც ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

აქტიური ჩარევის სტრატეგია, უმაღლესი სკოლის დაფინანსებასა და მნიშვნელოვან შეღავათებთან ერთად იმ კომერციული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ააქტიურებს ინოვაციურ საქმიანობას იაპონიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

სახელმწიფო ზემოქმედება სამეცნიერო და ინოვაციურ საქმიანობაზე ხორციელდება უშუალოდ, სახელმწიფო ეკონომიკურ სფეროს სთავაზობს სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეებისა და ინფრასტრუქტურის შექმნას ინოვაციურ სფეროში; ქმნის პირობებს ყველა იმ მონაწილის ინოვაციური აქტიურობის ასამაღლებლად, რომელიც საქმიანობას ეწევა ინოვაციურ სფეროში; გამოყოფს სახელმწიფო რესურსებს სიახლეებზე პირველადი მოთხოვნილების შესაქმნელად, რაც ფართო გავრცელებას პოვებს ეროვნულ ეკონომიკაში. ასეთი სტრატეგიის გამოყენებისას, სახელმწიფო იყენებს საგადასახადო შეღავათებსა და მეცნიერულ-ინოვაციურ სტიმულებს. ასეთი სტრატეგია ხორციელდება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში.

<sup>1</sup> Welfens Paul J.J., and Heise Michael. 50 Years of EU Economic Dynamics: Integration, Financial Markets and Innovations by Richard Tilly. Springer Education. Nov 12, 2007.

საქართველოში ათეული წლის წინ არსებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც წამყვანი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პრიორიტეტების არჩევაში ეკუთვნოდა სახელმწიფოს, დეცენტრალიზებული რეგულირების სტრატეგიის დროს მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის წარმმართველად გამოდიან სამეურნეო სუბიექტები, და, საქართველოში ეკონომიკური ინტეგრირების პერსპექტივებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს, სამართლებრივი, ეკონომიკური და სხვა პირობები შეუქმნას მათ საქმიანობისათვის.

საქართველოში ინოვაციურ საქმიანობაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მეთოდები შეიძლება დავეყთ ორ ნაწილად: ადმინისტრაციული და ეკონომიკური. მათი თანაფარდობა უნდა განისაზღვროს ინტეგრირებადი ქვეყნების ეკონომიკური სიტუაციით და სახელმწიფოთა მიერ არჩეული რეგულირების კონცეფციით, ბაზარზე ან ცენტრალურ ზემოქმედებაზე დაყრდნობით.

საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში შემავალი ქვეყნისთვის განსახორციელებელი ინოვაციური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად უნდა იქცეს: ერთიანი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, მოწყობილობების დაჩქარებული ამორტიზაციის სისტემა, სამეცნიერო-ტექნიკური და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შეღავათიანი დაბეგვრა, მცირე მეცნიერებატევადი ბიზნესის წახალისება, ინოვაციურ საწარმოთა პირდაპირი დაფინანსება.

ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, ინოვაციური პოლიტიკა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ბაზრის განვითარებასა და იმ ობიექტურ პროცესებთან, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ევროპასთან ეკონომიკურ ინტეგრაციაში.

*Masurashvili Ioseb*

## **GOVERNMENT ROLE IN MANAGEMENT OF INNOVATION SUMMARY**

The state regulation of innovative activity realised by means of purposeful influence of state bodies on economic interests of institutes of innovative sphere, assumes as a condition of the efficiency a prediction reaction of these institutes to actions of the state organisations. The state body, becoming the subject of regulating influence, should formulate own purposes in the form of a desirable condition of object of management or desirable results of its activity. For the achievement of the formulated purposes the state body selects concrete measures of the influence, which perception objects of regulation, being correlated with their own (internal) purposes, initiates the last to development, and in a consequence and realisation of the certain administrative decisions changing economic behaviour of the innovative organisations in the course of creation of an innovative product, or in the market of innovations.

*ეკატერინე მეყანწიშვილი  
თამარ როსტიაშვილი  
მაია სოსელია*

### **გლობალიზაცია და სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში**

სანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოებს, ეროვნული ეკონომიკის გარე სამყაროსთან იზოლირებითა და სხვა ქვეყნებთან მხოლოდ მინიმალური ეკონომიკური კონტაქტების დამყარებით, შეუძლიათ, საკუთარი მოსახლეობისთვის ნორმალური ცხოვრების დონე უზრუნველყონ. მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, ფართო

განვითარება პოვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. სულ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ. ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დაჩქარებული ტემპებით განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი გახდა სახელმწიფოთა ტექნოლოგიური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა, რომელიც უნდა განხორციელდებოდა ერთიანი ძალისხმევით, სხვა გამოსავალი არც ერთ დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყანას არ გააჩნდა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი საზოგადოების განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდებოდა, იგი მუდმივად ადეკვატური იყო ცალკეული ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისა, მისი არსენალი მუდმივად ივსებოდა ახალი მეთოდებით, ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი რეგულირების განხილვას ისტორიულ ასპექტში, ყველაზე გავრცელებული მიდგომით მიღებულია ხუთი ეტაპის გამოყოფა [2, გვ. 7].

პირველი ეტაპი ხასიათდებოდა სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის შესაბამისი პირობების ფორმირებით. მეორე ეტაპიდან სახელმწიფო უფრო ფართოდ ერთვება სამეურნეო საქმიანობაში. იგი, საბაზრო ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე, საკუთარი ეკონომიკური მიზნებიდან და სამრეწველო პოლიტიკიდან გამომდინარე, უფრო გამოკვეთილად იღებს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი სამეურნეო სუბიექტის სახეს. მესამე ეტაპზე სახელმწიფო რეგულირების პროცესში აქცენტს შედარებით დამოუკიდებელ სფეროებზე (სამრეწველო, სოციალური, აგრარული, საბაჟო) აკეთებს. ამ ეტაპის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა ის, რომ საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის წახალისებისა და კაპიტალის გატანის პოლიტიკამ მსოფლიოს ტერიტორიულ-ეკონომიკური დაყოფა გამოიწვია. რაც შეეხება მეოთხე ეტაპს, მას მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მიეკუთვნება. მის მთავარ ნიშნად მიიჩნევა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისადმი უფრო ფართო ხასიათის მინიჭება. მეხუთე ეტაპზე უკვე მიმდინარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მეთოდთა ტრანსფორმაცია გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპის სპეციფიკის შესაბამისად. ხორციელდება განვითარების საშუალოვადიანი პროგრამების მიზნებისა და ამოცანების შეთანხმება გარკვეული ინტეგრაციული კავშირების ჩარჩოებში. მსოფლიო ცივილიზაციამ მნიშვნელოვანი საფუძვლები შექმნა პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირებისათვის. მსოფლიო ცივილიზაციის ტენდენციებმა გლობალიზაციისაკენ, განაპირობა რადიკალური ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაში.

თანამედროვე ეკონომიკა, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა უამრავი სფერო, უნდა გავაანალიზოთ გლობალიზაციის კონტექსტში და განვიხილოთ, როგორც გლობალური ეკონომიკა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერ შედეგს. გლობალური ეკონომიკის მახასიათებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. შედეგად, ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს (განსაკუთრებით პოლიტიკურად და ეკონომიკურად წამყვან ქვეყნებში) შეუძლია მკვეთრი ზეგავლენის მოხდენა სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე.

გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია. სულ უფრო იზრდება ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინფორმაციის გაცვლის მასშტაბები. გლობალიზაცია პირველ რიგში ამყარებს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების პოზიციებს, აძლევს მათ დამატებით შესაძლებლობებსა და უპირატესობებს.

გლობალიზაციის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, რამდენიმე ფაქტორია, რომლებიც უბიძგებს ეროვნული ეკონომიკის ჩართვას გლობალიზაციის პროცესში, ესენია: საქონლისა და მომსახურების მოძრაობა ქვეყნებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის; ადამიანების გადაადგილება ქვეყნებს შორის, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე; ინტელექტუალური პროდუქციისა და იდეების მოძრაობა საკვლევ და სასწავლო ცენტრებს შორის.

იმის გამო, რომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე ქვეყნები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან, მათ არ შეუძლიათ და არც უნდა განახორციელონ თანაბარზომიერად ღია კარის პოლიტიკა. ამასთან, არ შეიძლება გლობალიზაციის პროცესისგან იზოლირება. აუცილებელია თანდათანობით, ეტაპობრივად წარმართოს აღნიშნულ პროცესში ეროვნული ეკონომიკის ჩართვა. მით უმეტეს თანამედროვე მსოფლიოს გააჩნია გლობალიზაციაზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური არსენალი.

გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების ტრანსფორმაციაზე ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: პირველი – ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისადმი მზარდი მოთხოვნა. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის პირობების შექმნის დასახვა; მეორე – ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობის მოქმედებები დაკავშირებულია არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციასთან, არამედ პარტნიორი ქვეყნების კონკრეტულ ნაბიჯებთანაც, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებებთან. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მთავრობის თავისუფლების ხარისხი მცირდება, მაგრამ იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის უნიფიცირებისა და შეთანხმებულობის აუცილებლობა. უფრო მეტიც, მიმდინარეობს სახელმწიფოს სუვერენული ფუნქციების გარკვეული შეზღუდვა, მისი ნაწილი გადაეცემა რეგულირების ზეეროვნულ და რეგიონულ ორგანიზაციებს.

გლობალური ტენდენციების გაძლიერების კვალობაზე, ადამიანის მდგომარეობა ეროვნულ სახელმწიფოზე მეტად ტრანსნაციონალური სტრუქტურების მოქმედებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვნად იზრდება ტრანსნაციონალური ძალების როლი ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვაში. თავის მხრივ, სახელმწიფო ბერკეტები ვერ უზრუნველყოფს ლოკალური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში სამართლიანობის, ეფექტიანობისა და სტაბილურობის ფუნქციების ოპტიმალურ განხორციელებას. ეროვნული სახელმწიფოებისთვის უკვე ცხადია, რომ მათი ეკონომიკური სისტემის კოორდინაციის, დამოუკიდებელი კვლავწარმოების უნარი მხოლოდ საკუთარ წიაღში მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რის გამოც ცდილობენ, განვითარება მსოფლიო მეურნეობის სივრცეში უზრუნველყონ. ამით კი გარკვეული იმუნინგტი გამოიქმნა გლობალური პროცესების არასასურველ ზეგავლენაზე და ღირსეული ადგილი დაიკავეს მსოფლიო მეურნეობაში. ყოველივე ცხადყოფს, რომ სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციაა მოსალოდნელი, რადგანაც, ერთი მხრივ, გლობალური პროცესების გამო ტრადიციული მეთოდებით ეკონომიკაში ჩარევა, ხშირ შემთხვევაში, კონტრეფექტიანია, მეორე მხრივ, ახალი პირობების გათვალისწინებით აუცილებელი ხდება გლობალიზაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის კოორდინაციის, ეროვნული ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანწილად ახალი ფუნქციების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მკვეთრად იკლებს სუვერენული სახელმწიფოს თავისუფლების ხარისხი – წარმართოს ეკონომიკური პროცესები და ასევე მკვეთრად იზრდება იმ მარეგულირებელ ღონისძიებათა არეალი, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო მოთხოვნებისადმი

უნიფიკაციისა და შეთანხმებისაკენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პროცესი ერთი მხრივ ასუსტებს ეროვნული სუვერენული სახელმწიფოების როლს საერთაშორისო სისტემაში, მეორე მხრივ მათ ახალ ფუნქციას უმატებს. თუ საგარეო პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული ეროვნული ფუნქცია, როცა იგი დამოუკიდებლად წყვეტდა თავდაცვისა და უსაფრთხოების პრობლემებს, დღეს სახელმწიფო მოკლებულია ქვეყნის პრობლემებზე სწრაფი რეაგირებისა და საკუთარი ძალებით გადაწყვეტის შესაძლებლობებს. მისი უფლებების რეალიზაციაზე გავლენას ახდენს საერთაშორისო ორგანიზაციები, ამიტომ ეროვნულ მთავრობათა ძალისხმევა იმგვარადაა განსახორციელებელი, რომ გარკვეული ქვეყნის განვითარების ან გავლენის დონემ სხვათა ინტერესების გაუთვალისწინებლობა ან იგნორირება არ გამოიწვიოს.

განვითარების დისპროპორციები ქვეყნებს შორის ისეთი მწვავე, როგორც ამჟამადაა, არ ყოფილა ცივილიზაციის არც ერთ ეტაპზე. ცხადია, გლობალიზაცია რეალურად იწვევს საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის პროცესის გაძლიერებას, სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვრების რღვევას. ამასთანავე, ფართოა შესაძლებლობები და მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ლიდერებს შეუძლიათ, ზეგავლენა მოახდინონ ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებზე. მაშინ, როცა განვითარებული ქვეყნებისთვის მისაღებია არ დაირღვეს განვითარების ამჟამად არსებული ტენდენცია და ბალანსი, განვითარება განხორციელდეს მათი მოდელით, რაც მათი მხრიდან სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალფეროვანი და უაღრესად დახვეწილი მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი, განვითარებადი ქვეყნების წინაშე უპირველეს ამოცანად დგას, მიიღონ გლობალიზაციის გამოწვევა და ღირსეული ადგილი დაიკავონ მიმდინარე პროცესებში, რომელიც ასევე სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი გაძლიერებითაა შესაძლებელი.

გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ იქნება სრულყოფილი თუ არ შევხებით იმ მკვეთრ განსხვავებულობას, რომელიც არსებობს კონიუნქტურის არამდგრადობასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას შორის. ჩვეულებრივ, არასტაბილურობა ასოცირდება საფინანსო-საბიუჯეტო სტაბილიზაციისა და ინფლაციის შემცირების პრობლემასთან, არამდგრადობა დაკავშირებულია ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების (მშპ, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთი, ვაჭრობის პირობები და ა.შ) გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ ცვალებადობასთან. თუ ამ ცვლილებებს თან არ ახლავს განსაზღვრული მოდელი, ეკონომიკური აგენტები უძღურნი არიან განვითარების ტენდენციის პროგნოზირებაში, რაც ეკონომიკაში გაურკვეველობას იწვევს. ასეთ პირობებში მცირდება ინვესტიციები და საფრთხეში ვარდება გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობები. გლობალიზაციით გამოწვეული ეკონომიკის არამდგრადობის მიზეზებია: კაპიტალის უფრო სწრაფი მოძრაობა, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მცდარი გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგების გაძლიერება.

რაც შეეხება განვითარების უთანაბრობას, იგი გამოწვეულია ინდუსტრიულად ნაკლებგანვითარებული ქვეყნების არაადაპტაციული მონაწილეობით საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური პირობები გააჩნია. კერძოდ, სუსტია ან სრულებითაც არ არსებობს გლობალიზაციისათვის აუცილებელი ინსტიტუტები, ეკონომიკა დახურულია და არსებობს პროტექციონიზმი. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი გამოყენება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ქვეყნებში შეწონილი მაკროეკონომიკური პროგრამისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის პირობებში შემოდის უცხოური ინვესტორი. სწორედ ასეთი პირობების დაცვით გათავისუფლებული კაპიტალი არის ეფექტიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გვეყავს კრედიტორები და არა პარტნიორები, ქვეყანა ვერ გამოვა

სილატაკიდან და ვალებიდან. მსოფლიო ეკონომიკა ურთულეს პერიოდს განიცდის. ჩვენ ვცხოვრობთ მაღალი რისკისა და გაურკვევლობის ხანაში. ბანკები, საფინანსო დაწესებულებები და ინვესტორები შეწუხებულები არიან იმით, რომ, ერთი მხრივ, გაძნელებულია ფინანსური რესურსების მობილიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, მათი გამოყენების რისკი მეტად საშიშ ნიშნულამდეა მისული. სწორედ გლობალიზაციას გააჩნია სარგებლიანობის მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა რაციონალური გამოყენება შესაბამის უკუგებას მისცემს მსოფლიო ეკონომიკას.

ამგვარად, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის მიმდინარე პროცესებში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის აუცილებლობა სახეზეა. ამასთანავე, პირველ რიგში, მათი განსხვავებული მიზნებიდან გამომდინარე, განვითარებული ქვეყნებისთვის სასურველი არ არის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აქტიური ხასიათი განვითარებად ქვეყნებში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში გართულდება განვითარების შესაბამისი მოდელის თავზე მოხვევა. სუვერენული სახელმწიფოს როლი შემცირდება დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, მაგრამ მის ფუნქციად დარჩება განვითარების ადეკვატური ღონისძიებების მუდმივი განხორციელება, რაც, პირველ რიგში, საერთაშორისო მიდგომებთან უნიციფირებასა და ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვაში აისახება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ, 2009.
2. Петров А. Государственное регулирование экономики. Ч.1. СПб, 1999, ст. 7
3. Орешин В. Государственное регулирование национальной экономики. Москва, «ИНФРА-М», 2001.
4. Роль государства в становлении и регулировании рыночной экономики. Москва, «ИЕРАН», 1997.

*Mekantsishvili Ekaterine*

*Rostiashvili Tamar*

*Soselia Maia*

### **GLOBALIZATION AND THE ROLE OF A STATE IN THE REGULATION OF AN ECONOMY SUMMARY**

XXI century is a globalization epoch. Globalization is a dynamic process aiming at political, economical, ecological and social stabilization. Globalization can be seen to a certain extent as a component of managerial process of a system which creates foundations for the new society and universal capitalism.

Yet globalization does not represent a conceptual basis defining national economic policies of the most of countries. Attention is focused on the national interest-oriented strategy due to the objective needs of independent states.

Economic results of globalization can be evaluated as positive, taking into consideration general principles and negative and positive sides. Globalization will contribute to higher levels of development, especially for the developing countries. Globalization demolishes artificial political barriers and gives more economic liberty to common people in order to make a better use of their abilities. It brings together individuals and enterprises so that they can plan and lead economies in the right direction and overcome problems in various industries.

## ЛОГИСТИЧЕСКИЙ ПОДХОД ПРИ ОПРЕДЕЛЕНИИ ТЕНДЕНЦИИ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА

Главной отличительной чертой социально-экономических систем с точки зрения кибернетического подхода является присутствие в этих системах сознательно действующего человека, который выполняет функции управления, принятия управленческих решений и контроля за выполнением данных решений. В процессе выполнения этих многоплановых функций должна быть реализована задача обеспечения оптимального роста с учетом соблюдения общих приоритетов макроэкономической системы в рассматриваемой пространственно – временной среде. При этом должны быть учтены как внутренние, так и внешние воздействия на изучаемую экономическую систему.

Народное хозяйство как кибернетическая система является совокупностью всех своих систем и подсистем. Следовательно, определение пространственных и временных условий экономического развития приобретает особую значимость.

Под экономическим пространством подразумевается представление свойств экономики – кибернетической системы в пространстве ее развития. Поэтому пространство народного хозяйства является полной и целостной кибернетической системой, трактуется как пространство ее возможных движений в рамках прогнозируемого развития. Данное пространство обладает такими кибернетическими характеристиками как целостность и неделимость.

Изучение тех процессов макроэкономического пространства, которые органически связаны с экономическим ростом в экономико-кибернетических системах показывает, что динамика и плотность во времени социально-экономических процессов могут быть описаны посредством экономического времени. Пусть  $x$  – пространство входов экономико–кибернетической системы,  $Z$  – пространство параметров состояния, а  $y$  – пространство выходов этой системы. Тогда макроэкономическое пространство будет отображено множеством  $\{x, Z, y\}$ , которое будет адекватным отображением совокупности процессов, протекающих в каждом отдельно взятом сегменте макроэкономической системы и динамики их поведения в условиях экономического роста.

Описание динамики развития требует отображения данного развития с помощью пространственных и временных координат. Поэтому возникает необходимость математической формулировки количественных зависимостей траекторий развития кибернетических систем.

Первоначально определяется временной интервал  $T$ , в пределах которого и будет определяться траектория экономического роста, а затем на базе особенности экономического роста выбирается единица измерения экономического времени, называемой также «тактом» модели. Для описания пространственных координат, отображающих процесс оптимального развития экономико–кибернетической системы, введем следующие обозначения:

$x$  – вектор входа экономико–кибернетической системы, являющийся упорядоченным набором входных величин системы ( $x \in X$ );

$y$  – вектор выхода экономико–кибернетической системы, являющийся упорядоченным набором выходных величин системы ( $y \in Y$ );

$z$  – вектор координат состояний системы, отображающий состав элементов этой системы и способ их соединения ( $z \in Z$ );

$u$  – вектор параметров решений об экономическом росте экономико–кибернетической системы ( $u \in U$ );

$w$  – вектор выходных величин, поступающих в систему управления по каналу обратной связи (здесь  $w = \beta y$  ( $\beta \leq 1$ ), где  $\beta$  – коэффициент обратной связи)



Составим экономико-математическую модель экономического развития экономико-кибернетической системы:

$$Z_{t+1} = F_t(Z_1, Z_{t-1}, \dots, Z_{t-\theta_1}; X_t, X_{t-1}, \dots, X_{t-\theta_2}; u_t, u_{t-1}, \dots, u_{t-\theta_3})$$

$$\sum_{t=0}^T H_t(Z_t, Z_{t-1}, \dots, Z_{t-\theta_1}; X_t, X_{t-1}, \dots, X_{t-\theta_2}; u_t, u_{t-1}, \dots, u_{t-\theta_3}) \leq \hat{H}_t$$

$$w_t = u(Z_t, X_t, u_t)$$

$$y_t = S(Z_t, X_t, u_t)$$

В данной модели первое выражение отображает пространственно-временную динамику вектора внутреннего состояния экономико-кибернетической системы. Оно отображает внутреннее поведение системы в рассматриваемом пространственно – временном контексте. Иными словами, данное выражение аппроксимируется как вид зависимости векторов  $x$  и  $u$  системы в момент времени  $(t+1)$  с учетом продолжительности их взаимодействия  $\theta_1$ . Функция  $H_t$  представляет собой количественную характеристику пространственно-временной динамики изучаемой экономико-кибернетической системы и определяется на основе системного анализа поведения этой системы в временном интервале  $T$ . Оно отображает ограниченность по  $\hat{H}_t$ , то есть тех условий экономического пространства, которые должны быть обязательно учтены в процессе экономического развития (ограничения по материальным и трудовым затратам, по объему и структуре продукции, по качеству продукции и т.д.). Последние системы ограничений данной модели связаны с движением информации в изучаемой экономической системе и пространственно-временной динамикой вектора  $u$ , то есть выходного канала экономической системы. Отметим, что нередки случаи, когда параметры состояния системы в момент  $(t+1)$  зависят как от параметров состояния этой системы в момент  $t$ , так и от параметров более ранних состояний (фактически имеет место процесс с последствиями, являющиеся противоположностью Марковских процессов без последствий). Следовательно, возможно появление некоторых параметров запаздывания. Так, например, прирост в момент  $t$  находится в зависимости от инвестиций как в период  $t$ , так и в предыдущие периоды, однако материализуются только в основных фондов момента  $t$ .


Рассмотрим логистические аспекты динамики экономического роста. Будем рассматривать данную проблему более расширенно с позиции обеспечения оптимального развития экономико-кибернетической системы. Если будем исходить из быстродействия процессов в рамках экономического пространства, то можно сформировать новый механизм отыскания оптимума – метод динамического оптимума.

Сущность данного подхода заключается в том, что здесь основная цель экономического роста определяется как отыскание оптимальных траекторий роста как в экономико-кибернетической системах, так и в ее подсистемах. Следовательно, экономическая логистика подходит к понятию оптимума с позиции полной макроэкономической кибернетической системы.

Предлагаемый экономической логистикой подход к понятию оптимума требует исследования соотношений макроэкономического и микроэкономического оптимума. Учитывая, что как между отдельными составными частями макроэкономической кибернетической системы, так и между областями ее роста присутствуют тесные, прямые и обратные, моноиерархические и полииерархические связи, то оптимальное развитие каждой из этих систем может быть решена только в рамках общего оптимального развития.

Задача обеспечения роста в экономических системах по оптимальной траектории осуществляется на базе специфического инструментария, являющегося синтезом таких функций, как управление, контроль и решение.

В начальный момент экономическая система выводится на оптимальную траекторию, параметры которой определяются исходя из национальных приоритетов, стоящих перед обществом. Далее начинает действовать канал обратной связи и система управления осуществляет контроль над тем, соответствует ли поведение составных частей макроэкономики той траектории, которая определена программой экономического развития. Если обнаружатся отклонения от программы, то принимается управленческое решение, которое направлено на устранение этих отклонений, то есть возвращают экономико-кибернетическую систему или же ее конкретную подсистему на оптимальную траекторию.



**Рисунок 1.** Блок-схема динамического оптимума

Одной из приоритетных задач в условиях рыночной экономики является интеграция в мировую систему хозяйствования и участие в международной торговле. Поэтому траектория оптимального роста страны должна быть определена таким образом, чтобы она обеспечивала экономическую безопасность и доверительную защиту национальной экономики от катаклизмов мировой экономики, которые проявляются сейчас как мировой финансовый кризис. Это, в свою очередь, требует определения условий динамического равновесия экономико-кибернетических систем. Иными словами, проблема определения условий динамического равновесия непосредственно связана с обеспечением оптимального развития экономико-кибернетических систем. Согласно логистическому подходу под динамическим равновесием (устойчивостью) экономико-кибернетических систем понимается такое их свойство, когда ее отклонение от реального экономического развития находится внутри области допустимых решений.

Системный анализ динамической устойчивости экономико-кибернетических систем способствует созданию эффективных методов, на базе которых возможно сохранение оптимальной траектории роста этих систем. Создание этих методов предполагает наличия достаточной информации о специфических свойствах каждой экономической системы и подсистемы и о кибернетическом поведении данных систем в экономическом пространстве. Создание же генеральной стратегии экономического и социального развития страны должно быть достоверно

определено как структурно-топологические характеристика макроэкономического пространства, так и области роста каждой ее составной части.

Как было отмечено выше, применение метода экономической логистики позволяет рационально создать методы и алгоритмы проектирования оптимального экономического роста в макроэкономическом пространстве.

Рассмотрим математические условия обеспечения экономического роста. Предварительно перечислим пять начальных положений экономической логистики:

- динамика переменных состояния системы;
- начальные условия;
- экономическая цель;
- область экономического роста;
- эффективность системы;

Динамика тех переменных, которые отображают состояние системы, определяется следующим образом:

$$Z_{t+1} = F_t(Z_1, Z_{t-1}, \dots, Z_{t-\tau_1}; x_t, x_{t-1}, \dots, x_{t-\tau_1}; y_t, y_{t-1}, \dots, y_{t-\tau_3})$$

Представим данное выражение в упрощенном виде:

$$Z_{t+1} = f_t(Z_1, Z_{t-1}, \dots, Z_{t-S}; x_t, x_{t-1}, \dots, x_{t-S}; b),$$

где  $S$  – самый продолжительный период запаздывания, порождаемый переменными модели. То есть:

$$S = \max(T_1, T_2).$$

Начальными условиями экономического роста можно считать следующие условия:

- $t_0$  – начальный момент оптимизации системы;
- $Z_{t_0-i} = a_{t_0-i}$  ( $i = 0, 1, \dots, S$ ) – начальное состояние системы;
- $x_{t_0-i} = r_{t_0-i}$  ( $i = 0, 1, \dots, S$ ) – начальные управляющие воздействия на систему;

Здесь

$a_{t_0-i}$  – количественная оценка уровня экономического роста;

$r_{t_0-i}$  – решения, принятые в прошлых периодах, которые еще не потеряли своих управленческих воздействий;

Параметры  $a_{t_0-i}$  и  $r_{t_0-i}$  отображают преимущество управленческих решений, принимаемых по динамике экономических систем. Допустим, что принимается управленческое решение по инвестициям. При этом инвестиционные мероприятия, начатые в одном временном отрезке, получают свое продолжение в последующих периодах и существенно влияют на решения, принимаемые в таких областях, как производство, накопление и т.д.

Что же касается начального состояния экономика–кибернетической системы, то лицо принимающее решение может встретиться со следующими ситуациями:

- Заданы точки, соответствующие начальному состоянию экономика–кибернетической системы в микроэкономическом пространстве, то есть известны  $Z_{t_0-i} = a_{t_0-i}$  ( $i = 0, 1, \dots, S$ ).
- Заданы стартовые плоскости экономического пространства, на которой расположено начальное состояние.

В отличие от плановой экономики, для которой характерен второй случай, для рыночной экономики более характерен первый случай, когда фиксированы только точки пространства. В данных условиях по второму варианту можно определить стратегию развития крупных корпораций.

Экономическая цель, стоящая перед функционированием экономико–кибернетической системы, отображается в виде следующей функции:

$$Z_t = \omega (b)$$

Согласно данной функции, при проектировании экономического роста учитываются ряд важных элементов стратегии экономического и социального развития страны. Компоненты же функции  $\omega (b)$  отображают тот экономический уровень, который будет достигнут в конце горизонта планирования. Область роста системы же определяется ограничениями, которые складываются при развитии экономико–кибернетической системы как результат обеспечения равновесия во внутреннем рынке страны.

Математическими формулировками этих ограничений являются следующие:

$$\begin{cases} J_y(x, b) \leq 0 & (y = 1, 2, \dots, p) \\ I_y(x, y) = 0 & (y = p^1 = 1, p^1 + 2, \dots, p) \end{cases}$$

Область развития экономико–кибернетической системы в макроэкономическом пространстве определяется исходя из данных уравнений и неравенств, а также из цели, определяемой как  $Z_t = \omega (b)$ . При этом будет исходить из того, что область допустимых управленческих воздействий на экономическую систему  $X$  и  $x_t \in X$  известны.

Эффективность системы выступает как решающий элемент определения оптимальности траектории роста экономико-кибернетической системы в макроэкономическом пространстве.

Другим важным элементом в определении оптимальных критериев экономического роста служат критерии оптимальности, которые конструируются путем согласования с общей стратегией реализации национальных приоритетов страны.

Итак, нами рассмотрены исходные положения экономической логики как метода проектирования траектории оптимального роста экономико–кибернетических систем в макроэкономическом пространстве. Введем еще два понятия- допустимого управления и оптимального управления.

С точки зрения развития экономико–кибернетических систем под допустимым управлением понимается такое управление, которая определяется как  $\{x_t, b\}$  и  $x \in X$ . Здесь  $X$  – область допустимых значений управленческих реакции  $x_t$  (иными словами допустимая область управления), а  $b$  – цель управляющих воздействий на экономико–кибернетическую систему. При этом, с учетом состояния системы  $Z_t$ , управление этой системой может характеризоваться и контролироваться множеством  $\{x_t, b, Z_t\}$ . Что же касается вопроса оптимальности допустимого управления, то оно будет считаться таковым лишь тогда, когда цель управления будет достигаться при минимальных затратах.

Математической основой оптимизации управления в динамических системах является математический принцип максимума.

Условия обеспечения оптимальных траекторий оптимального экономического роста в экономико–кибернетических системах определяется именно на основе данного принципа.

Пусть перед исследованием поставлена задача выявления логистических характеристик траекторий роста экономико–кибернетических систем. Рассмотрим области роста некоторой абстрактной системы  $S$ . Будем считать, что задан вектор состоящий системы  $Z_t = (Z_1, Z_2, \dots, Z_T)$ . Здесь последовательность  $Z_1, Z_2, \dots, Z_T$  компонент данного вектора отображает траекторию роста изучаемой системы  $S$ :

$$\{Z_t\}_t^T = 0 \text{ или просто } \{Z_t\}_0^T$$

Выявление и точное отображение тех процессов, которые наблюдаются в экономическом пространстве реализуются посредством наиболее полного выявления структурно-топологических свойств области роста. Ниже приведена экономико - математическая модель данных свойств:

$$Z_{t+1} = f_t(Z_t, x_t), x_t \in X$$

Далее, исходя из начального состояния  $Z_0$ , определяется множество траекторий роста для временного отрезка от 0 до  $T$ . Отметим что/, все эти траектории роста имеют направленности к состоянию  $Z_T$ .

Тогда возникает другая проблема, связанная с оценкой каждой траектории роста из множества частных траекторий роста  $Z_{(0,T)}$ .

Если обозначить пространство состояний экономико–кибернетических систем через  $Z$ , а пространство выходных величин этой системы через  $U$ , то эффективность данной системы можно количественно оценить следующим образом:

$$U : Z \rightarrow y.$$

Где  $U$  – функции эффективности поведения экономико–кибернетической системы.

Итак, если в конце временного  $t$  ( $t \in T$ ) выполняется условие  $U(Z_{1t}) > U(Z_{2t})$ , то траектория  $\{Z_{1t}\}_0^T$  считается более эффективной, чем траектория  $\{Z_{2t}\}_0^T$ .

Обобщая данное отношение относительно всех компонентов вектора состояний экономико–кибернетической системы, получим:

$$U(Z_{1t}) \geq U(Z_{2t}) \quad (i = 1, 2, \dots, q)$$

Следовательно, траектория  $\{Z_{1t}\}_0^T$  считается более эффективной, чем траектория  $\{Z_{2t}\}_0^T$  лишь в том случае, если данная траектория обеспечивает сравнительно больших значений всех рассматриваемых параметров эффективности  $i$ .

Таким образом, приходим к понятию упорядоченности в пространстве входных величин. Тогда основной проблемой будет определение такого множества траекторий экономического роста, которые приводят к максимальным результатам по заданной упорядоченности. При этом при нулевом значении траектории роста,  $\{Z_t\}_0^T$  она считается более эффективной, ибо траектории роста, с более значимыми значениями всех параметров эффективности, не существует.

Совокупность эффективных траекторий образуют множество максимальных точек. Так, как во всех случаях существует несколько точек максимума, необходимо выбрать критерий, который наилучшим образом соответствует поставленным стратегическим целям. Выявление логистических характеристик оптимального экономического роста способствует как оптимальному управлению рыночными структурами, так и доверительному прогнозированию их будущих состояний.

*Mirzoev Asad*

## IDENTIFICATION OF TRENDS IN ECONOMIC GROWTH SUMMARY

This paper gives a logistical approach to the problem of determining the optimal trajectory of economic growth in a market economy. Here, economic growth considered from the perspective of systems analysis, it is assumed that economic growth has all the characteristics of a cybernetic system, that is a

complex, dynamic, probabilistic system. The paper presents the mathematical apparatus of optimizing economic growth, which is formulated as a problem of dynamic optimum.

*მარინა მუჩიაშვილი*

### **ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის რეზორმები საქართველოში**

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ძირითადი მიზანია საშუალოვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. კერძოდ, მისი ძირითადი ამოცანაა ბიუჯეტის ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტთან და ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების ზღვრული მოცულობების მიზნობრივი პარამეტრების დაცვისა და ასევე, საბიუჯეტო მდგრადობის ხელშეწყობა, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისათვის, სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებისა და ინვესტორთა ნდობის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მაქსიმალურად დაბალანსებული ბიუჯეტი უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და გლობალური ეკონომიკური გამოწვევების შემთხვევაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა 2011 წელს “ეკონომიკური თავისუფლების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიღება, რითაც განისაზღვრა ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდება (მიღებული კანონის მიხედვით 2014 წლისათვის ამ პარამეტრმა არ უნდა გადააჭარბოს მშპ-ს 3%-ს), ასევე, ამ კანონით დგინდება მშპ-თან სახელმწიფო ვალის შეფარდების ზღვრული 60%-ანი სიდიდე.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესს უფრო სტრატეგიულ ხასიათს ანიჭებს და მას მთავრობის პრიორიტეტების მიმართ უფრო მისადაგებულს ხდის. BDD-ის პირველი დოკუმენტი მოიცავდა 2006-2009 წწ. პერიოდს. მეორე დოკუმენტი – 2007-2010 წწ. პერიოდს და ა. შ. ბოლო დოკუმენტი მოიცავს 2012-2015 წლების პერიოდს. თავდაპირველად საშუალოვადიანი გეგმები დგებოდა საპილოტე სამინისტროებისათვის, რომელთა რიცხვი ეტაპობრივად იზრდებოდა. თანდათანობით იხვეწებოდა დოკუმენტის ფორმაც.

საქართველოში 2011 წელი სახელმწიფო ფინანსების რეფორმისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, ვინაიდან პირველად განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება პროგრამული ბიუჯეტის პრინციპების გათვალისწინებით, რამაც გააძეარა კავშირი ხარჯების საშუალოვადიან დაგეგმვასა (MTEF) და წლიურ ბიუჯეტს შორის.

2012-2015 წლის BDD დოკუმენტი თავსებადია ბიუჯეტის დაგეგმვის ახალ – პროგრამულ ფორმატთან. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე რეფორმები ითვალისწინებს 2013 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის პროგრამულ ფორმატზე გადასვლასაც.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების ანალიზი მოწმობს, რომ მისი დანერგვის გზით მიღებული შედეგები არ არის ერთგვაროვანი. წარმატებული ქვეყნების შემთხვევაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა მოიცავს:

1. საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს (MTFF), რომელიც ადგენს: აგრეგირებულ ფისკალურ მიზნებს, აგრეგირებული ხარჯების ჭერებსა და მათ საშუალოვადიან პროგნოზებს;
2. საბიუჯეტო ჭერებსა და პროგნოზებს ცალკეული სამინისტროებისა და ორგანიზაციებისათვის;

3. რესურსებზე არსებული სერვისების გაწვევისათვის საჭირო მოთხოვნების სიდიდესა (ღირებულებით გამოსახულებაში) და ახალი პოლიტიკის გასატარებლად საჭირო ხარჯების, ან, პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში, საჭირო ხარჯების ბიუჯეტის მთლიან ხარჯებზე ზემოქმედების შეფასებებს.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ძირითადი მიზნებია ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტების მართვაში ფისკალური დისციპლინის გაძლიერება; საბიუჯეტო სახსრების განაწილების რეგულირების გაძლიერება ხარჯების მთავრობის პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების გზით, დარგობრივ სამინისტროებში საბიუჯეტო პროცესებისა და საბიუჯეტო რესურსების მართვის გაუმჯობესება, რათა, მათ მიერ სახელმწიფო მომსახურებების მიწოდებისას, მიღწეულ იქნეს სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი და ეფექტური გამოყენება.

ამ მიზნის მისაღწევად საშუალოვადიანი ბიუჯეტი აერთანებს ორ კომპონენტს:

1. სტრატეგიულ, ანუ “ზემოდან-ქვემოთ” კომპონენტს, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების მართვის გაძლიერებას და საბიუჯეტო რესურსების განაწილებას დარგობრივი სამინისტროებისათვის სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების საფუძველზე და

2. საშუალოვადიანი დაგეგმვის “ქვემოდან-ზემოთ” კომპონენტს, რომელიც გულისხმობს ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესებას დარგობრივი სამინისტროების დონეზე.

ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პოტენციური სარგებელი ევროპის ბევრ ქვეყანაში ცხადი სახითაა მიღებული. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის კარგად შედეგნილმა და კარგად მართულმა ჩარჩომ ხელი უნდა შეუწყოს გაუმჯობესებულ ფისკალურ დისციპლინას და კონტროლს, მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის ზრდას, რაც მიიღწევა პოლიტიკის მიზნების ზუსტად განსაზღვრის, საბიუჯეტო სახსრების განაწილებაში პროგნოზირების უფრო მაღალი დონის, საბიუჯეტო ინფორმაციის საიმედოობის ზრდისა და რესურსების გამოყენებაში უფრო მაღალი ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლების გზით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა მოწმობს, რომ ბევრ ქვეყანაში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვით სათანადო შედეგები ვერ იქნა მიღწეული. ამის მიზეზები ძირითადად შემდეგი იყო: ამ ქვეყნებში ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა განიხილებოდა, როგორც რიტუალი, რომელსაც დაბალი პრაქტიკული ღირებულება გააჩნდა და ის სრულიად გამოყოფილი იყო ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადების პროცესისაგან. გარდა ამისა, საბიუჯეტო ორგანიზაციები აგრეგირებული ხარჯების მაჩვენებლებს, ანუ “ჭერებს” არ განიხილავდნენ როგორ შემზღუდავ ფაქტორს საბიუჯეტო მოლაპარაკებების დროს, რაც ამცირებდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესის “ზემოდან-ქვემოთ” ელემენტის შესაძლებლობებს, კერძოდ, რაც გამოიხატება საბიუჯეტო ორგანიზაციების წახალისებაში, შეზღუდული რაოდენობის რესურსების პირობებში, მათი ხარჯების მიმართულებების პრიორიტეტიზაციისა და მათთვის გამოყოფილი რესურსების განაწილების ეფექტიანობის ამაღლებაში. შედეგად, ამ ორგანიზაციების ხარჯები ნაკლებად იყო ფოკუსირებული სახელმწიფოს პრიორიტეტების მიღწევაზე. ასევე, სხვა სახის საერთო პრობლემა ამ ქვეყნებებში არის სუსტი კოორდინაცია ეროვნულ ან სექტორულ სტრატეგიებს შორის. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის წარუმატებლობის მიზეზი ხშირად ისიც იყო, რომ სათანადოდ არ ფასდებოდა წლიური ბიუჯეტის რეალისტურ დონეზე შედეგისა და დაგეგმვის შესაძლებლობები და ის, თუ რამდენად იძლეოდა ის ბიუჯეტის საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლის შესაძლებლობებს. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში სხვა ქვეყნების ამ სუსტი მხარეების გათვალისწინება საქართველოს საბიუჯეტო პროცესის სრულყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

განვიხილოთ ბიუჯეტის საშუალოვადიანი გეგმის – BDD დოკუმენტის – შედგენის პროცესი საქართველოში. დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და BDD დოკუმენტის შემდგომ შესაბამისობას. ბიუჯეტის საშუალოვადიან გეგმაზე მუშაობა საქართველოში იწყება ყოველი წლის 1 მარტიდან და ის საბოლოო სახის მიღებამდე თითქმის ათვიან პერიოდს გაივლის. კერძოდ, 1 ივნისამდე მთავრობა პარლამენტში წარადგენს BDD-ის თავდაპირველ დოკუმენტს, რომელშიც მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ ინფორმაციაა ასახული. პარლამენტის კომიტეტები დარგების მიხედვით იხილავენ BDD დოკუმენტს და მომზადებულ შენიშვნებს 21 ივნისამდე უგზავნიან მთავრობას. 1 ოქტომბერს, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, მთავრობა პარლამენტში წარადგენს გადამუშავებულ BDD დოკუმენტს; საქართველოს პარლამენტში კანონით დადგენილი პროცესის გავლისა და წლის ბოლოს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ, ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს 1 თვის ვადაში დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს წარუდგენს. საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტში მიიღება ერთი მოსმენით, თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტსა და მთავრობას შორის სამეტაპიანი შეთანხმების პროცესს გადის.

BDD დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობენ: საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და ვადებს; ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ადგენს აღნიშნულ დოკუმენტს; ეროვნული ბანკი; დარგობრივი სამინისტროები; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; სხვა მხარჯავი დაწესებულებები.

BDD დოკუმენტით განისაზღვრება: ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები საშუალოვადიანი პერიოდისათვის (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და სხვა); სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები; მასში მოცემულია: გასული საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზი; მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამები და მათი დაფინანსების ოდენობები; თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმების შემდეგ დაწესებულებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს განსაზღვრავს მთავრობა, ხოლო პარლამენტის და კონტროლის პალატისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებისა და დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს – საქართველოს პარლამენტი.

**ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD დოკუმენტი) -** წარმოადგენს საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიას, ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების და საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების ჩარჩო-საფუძველს და, მეორე მხრივ, მოიცავს იმაზე უფრო ფართო სპექტრის ინფორმაციას ქვეყნის ხელისუფლების ზოგადი პრიორიტეტების შესახებ, ვიდრე ეს სახელმწიფო ბიუჯეტშია ასახული. აღნიშნულ დოკუმენტში ერთიანდება არა მარტო



თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიერ მთავრობის პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამები, არამედ ის ღონისძიებებიც, რაც ამ პრიორიტეტების ფარგლებში ხორციელდება კერძო სექტორის მონაწილეობითა და სახელმწიფოს ხელშეწყობით. დოკუმენტი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების საფუძველი, მოიცავს როგორც საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული მოცულობების შესახებ ინფორმაციას, ასევე მონაცემებს პრიორიტეტების ფარგლებში მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაფინანსების მოცულობისა და წყაროების შესახებ.

2012-2015 წწ. დოკუმენტში აისახა:

**I.** საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ათ პუნქტს: ეს პუნქტებია: 1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა; 2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება; 3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება; 4. რეგიონულ სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება; 5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; 6. სოფლის მეურნეობის განვითარება; 7. განათლების სისტემის გაუმჯობესება; 8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა; 9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ჩამოყალიბება; 10. ურბანული და რეგიონული განვითარება.

**II.** 2010 და 2011 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები.

**III.** 2012-2015 წლებში მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები.

**IV.** საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების აღწერები და ამ პროგრამებზე მიმართული სახსრების მოცულობები და წყაროები.

იმის გამო, რომ ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთგვარ ჩარჩო-საფუძველს წარმოადგენს, მას განსაკუთრებული როლი უჭირავს საბიუჯეტო პროცესში. პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით პირველად მოხდა ქვეყნის პრიორიტეტების და მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების ერთმანეთთან დაკავშირება. ამ დოკუმენტში პირველად აისახა არა მხარჯავი დაწესებულებების პრიორიტეტული მიმართულებები, არამედ კონკრეტული პროგრამები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის ათპუნქტიანი გეგმიდან და რომლის მიხედვითაც ხდება წლიური ბიუჯეტის პროექტში ასიგნებების გადანაწილება თითოეულ მხარჯავ დაწესებულებაზე. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის ახალმა ფორმატმა და პროგრამული პრინციპებით დაგეგმილმა წლიურმა ბიუჯეტმა კიდევ უფრო ნათელი და მჭიდრო გახადა კავშირი საშუალოვადიან დაგეგმვასა (MTEF) და წლიურ ბიუჯეტს შორის.

**ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD დოკუმენტი) სტრუქტურა:**

1 ნაწილი. საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა – 2012-2015 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ათპუნქტიანი გეგმა.

2 ნაწილი. ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები.

3 ნაწილი. გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგები, შემოსულობების ფაქტობრივი მაჩვენებლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

4 ნაწილი. მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების აგრეგირებული მაჩვენებლები და საფინანსო რესურსის პროგნოზები

5 ნაწილი. დასაგეგმი წლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების რიცხოვნობისა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები.

6 ნაწილი. დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები, მათი მოკლე აღწერა.

7 ნაწილი. პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები დაფინანსების წყაროებისა და მოცულობების მითითებით.

8 ნაწილი. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები (BDD დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში საინფორმაციო მიზნებისათვის).

2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავების პროცესში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პირველად დაიგეგმა სახელმწიფო ბიუჯეტი – პროგრამული პრინციპებით. ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტი უფრო ინფორმაციულია და მოიცავს ინფორმაციას არა მარტო პროგრამების დაფინანსების, არამედ მათი შინაარსის, მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, შემუშავდა ბიუჯეტის კანონის ახალი სტრუქტურა და იმ დანართების (პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანართები) ფორმატი, რასაც წინა წლების ბიუჯეტები არ ითვალისწინებდა.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პირველად მოხდა ქვეყნის ფინანსური რესურსების გადანაწილება არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულებების, არამედ სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვითაც. ათპუნქტიანი გეგმიდან გამომდინარე განისაზღვრა 12 ძირითადი პრიორიტეტი, რომელთა ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების პროგრამები. თუმცა, ხარჯების ყველა მიმართულება პრიორიტეტულ მიმართულებად არ უნდა იქნეს წარმოდგენილი და შემდგომი წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში საჭიროა პრიორიტეტების გამსხვილება, სავარაუდოდ, უნდა გამოიყოს 4-5 პრიორიტეტული მიმართულება.

გლობალური ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი მაკროეკონომიკური გარემოსა და პარამეტრების შენარჩუნება და რიგ შემთხვევაში გაუმჯობესებაც კი. აქ მხედველობაშია მისაღები, რომ ბევრ ევროპულ ქვეყანაში კრიზისი სწორედ მაკროპარამეტრების პრობლემურობის გამო წარმოიშვა. ზოგიერთ მათგანში ამის მიზეზი იყო მაღალი საბიუჯეტო დეფიციტი ან მაღალი ვალის მაჩვენებელი, ან დაბალი ეკონომიკური ზრდა. შედეგად შეჩერდა ინვესტიციები, გაკოტრდნენ კომპანიები, სახელმწიფოებს მოუწიათ ხარჯების (მათ შორის, ხელფასებისა და პენსიების) შემცირება, რამაც, საბოლოო ჯამში, სამუშაო ადგილების დაკარგვა და უმუშევრობის გაზრდა გამოიწვია. იმის გამო, რომ საქართველოს ეკონომიკა სრულად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოზეც აისახა. კერძოდ, მსოფლიოს შემცირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია შემცირებული მოთხოვნა საქართველოს საექსპორტო პროდუქტებზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, კაპიტალის გადინება ქვეყნიდან. ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის ქვეყნის შიგნით არსებული რესურსებისა და ბერკეტების, მათ შორის ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტიანი გამოყენება.

**ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის სფეროში არსებული პრობლემები საქართველოში მდგომარეობს იმაში, რომ 1. სუსტია კავშირი საშუალოვადიანი**

განვითარების გეგმას - BDD- დოკუმენტსა და ყოველწლიურ ბიუჯეტებს შორის, რომლის დასაძლევად საჭიროა ამაღლდეს ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტის რეალისტურად მომზადების დონე. **2.** ხშირად ირღვევა BDD-ში საშუალოვადიანი პერიოდისათვის დადგენილი ხარჯების „აგრეგირებული ხარჯების ჭერის“ მშპ-თან თანაფარდობისა და ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან თანაფარდობის კრიტერიუმები, რითაც ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის როლი მნიშვნელოვნად სუსტდება. **3.** სუსტია კონტროლის პალატის როლი ეფექტური გარე აუდიტის, სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. **4.** სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა დარგობრივ სამინისტროებს მიენიჭოს მეტი დამოუკიდებლობა. **5.** საჭიროა შიდა აუდიტის როლის ზრდა ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებაში. **6.** საშუალოვადიანი დაგეგმვის უმთავრეს პრობლემას საქართველოში წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს მეკეთრი ზღვარი ე. წ. “საბაზო ხარჯებსა” და ახალი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებს შორის. ამიტომ, საშუალოვადიანი პერიოდის თითოეული წლისათვის გეგმაში საბიუჯეტო ხარჯების აგრეგირებულ მანვენებლებში ამ პერიოდში განსახორციელებელი ახალ პოლიტიკასთან ასოცირებული ხარჯებიც ზუსტად არ არის იდენტიფიცირებული. ამით მნიშვნელოვნად სუსტდება საშუალოვადიანი დაგეგმვის როლი მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნის მიღწევაში. **7.** მიუხედავად იმისა, რომ BDD დოკუმენტში საქართველოს მთავრობა ცდილობს ასახოს ყველა სახის ფისკალური რისკები (როგორც ცხადი, ისე არაცხადი), პროგნოზების სიზუსტის ხარისხი ხშირად არ არის დამაკმაყოფილებელი. როგორც წესი, ფისკალური პროგნოზები განიცდის მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს და, შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და აგრეგირებული ხარჯების განსაზღვრისათვის ძალიან ზუსტ შემფასებლებს. აღნიშნულის გამო, 2004 წლის შემდგომ პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმებში ყოველწლიურად ხდებოდა მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებების შეტანა, რაც, ხშირ შემთხვევაში, მაკროეკონომიკური არასტაბილურობის, მათ შორის ინფლაციის მაღალი დონის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ბიუჯეტის საშუალოვადიან დაგეგმვაზე გადასვლამ გარკვეული ზომით დადებითი როლი ითამაშა ერთიანი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფაში. უახლოეს წლებში საშუალოვადიანი დაგეგმვის შედეგების ეფექტიანობის ზრდის აუცილებელი პირობაა ყოველწლიურ ბიუჯეტთან მისი კავშირის დონის ამაღლება, ამასთან, აუცილებელი პირობაა ყოველწლიური ბიუჯეტების რეალისტური დაგეგმვა და განსაზღვრული ხარჯვითი პოლიტიკის თანმიმდევრული იმპლემენტაცია.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მარინა მუჩიაშვილი, ნანული არევაძე. “ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა – ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტი“. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები - ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011.
2. ვლადიმერ პაპავა. მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და დაგეგმვის თავისებურებანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. სოციალური ეკონომიკა, № 6, 2007.
3. ვლადიმერ პაპავა. 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2009.
4. რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, მ. მელაშვილი. “ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები”, უნივერსალი, თბილისი, 2004.

5. საქართველოს სამთავრობო პროგრამა “ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე”. 2011 წელი.
6. საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი – “ეკონომიკური გაჯანსაღების გეგმა”, 2011.
7. “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი”, 2010.
8. “პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია”. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2011.
9. საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები: 2011-2014 წლები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011.
10. Costa Ljungman. IMF Working Paper. Expenditure-Ceiling. A Survey. 2008.
11. Jim Brumby. Budgeting Reforms in OECD Member Countries. Paris, 2011.
12. Medium-Term Budgeting, Workshop materials. Center of Excellence in Finance, Ljubljana, Slovenia. May 17-19, 2011.
13. Medium-Term Budgeting, Workshop materials. Center of Excellence in Finance, Ljubljana, Slovenia, April 18-20, 2012.
14. Program Budgeting. Workshop materials. Center of Excellence in Finance, Ljubljana, Slovenia. June 1-3, 2011.

*Muchiashvili Marina*

## **MEDIUM-TERM BUDGETING REFORMS IN GEORGIA SUMMARY**

One of the main reasons of implementation of Medium-Term Budgeting (MTB) in Georgia is to achieve Macroeconomic Stability in the Long Run. MTB is a system for making the budget process more strategic and responsive to the priorities of the government, by introducing a medium term horizon to the budgetary process.

The principal objectives of the MTB are: further strengthen fiscal discipline in the management of the budget of the central government; strengthen the alignment of budgetary allocation and expenditures with the policies and priorities of the government, and strengthen the process of budgeting and budget resource management within the ministries so as to ensure efficiency and cost-effectiveness of the use of public sector resources by line ministries/divisions in the delivery of public services.

A well-designed and well-managed framework for MTB improves fiscal control, allocative efficiency and cost-effectiveness of service delivery, through increased clarity of policy objectives, greater predictability in budget allocation, increased comprehensiveness and validity of budget information and enhanced accountability and transparency in the use of resources.

In practice, however, many attempts to introduce MTB have failed to realize the potential benefits. Frequently, introduction of MTB process has resulted in a process of formal resource-consuming effort of little practical value and often divorced from the annual budget preparation process. In addition budget agencies frequently do not regard aggregate expenditure targets or ceiling as binding during negotiations. This reduces the effectiveness of top-down element of MTB process in challenging budget institutions to prioritize their expenditures and therefore improve the efficiency of their resource allocation within a constrained resource envelope. As a result, the spending plans become wish lists. The budget expenditures increases permanently and becomes main factor of macroeconomic instability.

Sharing the experiences of the different countries in MTB and Program Budgeting spheres will help Georgia to overcome above mentioned challenges and bottlenecks.

**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ძირითადი მიმართულებები საქართველოში**

საქართველოში 2003 წლის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, რაც აისახა მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და, შესაბამისად, ხარჯების წილის ზრდაში. კერძოდ, 1996-2003 წწ-ში ხარჯების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 13-16,6%-ის ფარგლებში მერყეობდა, 2004 წელს ამ თანაფარდობამ მშპ-ის 19,6%-ს, 2005 წელს 22,6%-ს, 2006 წელს 27,7%-ს, 2007 წელს 30,6%-ს, 2008 წელს კი 33,8%-ს მიაღწია. 2008 წლის ხარჯები 1996 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8,8-ჯერ გაიზარდა. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 6754,1 მილიონ ლარს (მშპ-ს 37,7%-ს), 2010 წელს 6 972,3 მილიონ ლარს (მშპ-ს 33,5%-ს) შეადგენდა. 2010 წელს საქართველოს მშპ-მა ნომინალურ გამოსახულებაში კრიზისის წინა დონეს გადააჭარბა (რაც ძირითადად ფასების დონის ზრდით აიხსნებოდა). 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებმა 7459,3 მილიონი ლარი (მშპ-ს 30,8%) შეადგინა. “2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ ხარჯების შესახებ კანონის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 7915,4 მილიონ ლარს აღწევს, თუმცა მისი წილი მშპ-ში 29,9%-მდეა შემცირებული.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების აღნიშნული ზრდა შესაძლებელი გახდა ძირითადად შემოსულობების ზრდის, ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს შეზღუდვის, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის, გადასახადების აკრეფის ადმინისტრირების გაუმჯობესების და, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებისა და გრანტების გამოყოფილი მოცულობების ზრდის ხარჯზე. 2008 და 2011 წლებში შემოსავლებისა და, შესაბამისად, ხარჯების ზრდის დამატებითი წყარო გახდა ამ წლებში 750 მილიონი ლარის ღირებულების ევროობლიგაციების გამოშვება და მათი რეალიზაციიდან შემოსავალის მიღება.

ბოლო ათწლეულში, ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლის მიზნით, ამ სფეროში ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები მოწმობს, რომ მაღალი ეფექტურობით ხასიათდება ის სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში არის ზომიერი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში ეკონომიკური ზრდის წახალისებისათვის ცალკეული ქვეყნის მთავრობები გარკვეულ პოზიტიურ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფოს მიერ მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას, რაც უპირატესად გამოიხატება სახელმწიფო შესყიდვების ზრდაში. თუმცა, აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, გარკვეულწილად, ზომიერებას საჭიროებს, ანუ ისეთი გონივრული საზღვრების დადგენას, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევის თანმდევი უარყოფითი შედეგები, რაც ძირითადად გამოიხატება ამ პოლიტიკის გატარების გამო კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორისაკენ რესურსების გადაჭარბებული ზომით გადადინებაში, რაც ამცირებს რესურსების გამოყენების ეფექტურობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით განსაზღვრულია 7366,5 ათასი ლარის ოდენობით. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის გეგმით გათვალისწინებულ ანალოგიურ მაჩვენებელს 362,7 მილიონი ლარით აღემატება. ფუნქციონალური კოდების მიხედვით, ხარჯების სტრუქტურა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

1. **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მუხლზე (კოდი 701)** - გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 2034,5 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც მთლიანი ასიგნებების 25,7%-ს და ქვეყნის მშპ-ს 7,7%-ს შეადგინს. ამ მუხლის ხარჯები წინა წელთან შედარებით 218,2 მილიონი ლარით (12%-ით) არის გაზრდილი. მათ შორის: აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობისა და საგარეო ურთიერთობისათვის გეგმით გათვალისწინებულია 398,1 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 4,6 მილიონი ლარით არის გაზრდილი; საერთო დანიშნულების მომსახურებისათვის გეგმით გათვალისწინებულია 49,7 მილიონი ლარი; ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისათვის გეგმით გათვალისწინებულია 28,5 მილიონი ლარი, რაც, წინა წელთან შედარებით, 5 მილიონი ლარითაა გაზრდილი; ვალთან დაკავშირებული ოპერაციებისათვის გათვალისწინებულია 335,4 მილიონი ლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით 50 მილიონ ლარს შეადგენს. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის მუხლის მიხედვით გეგმა 55,8 მილიონი ლარით განისაზღვრა. ზრდა წინა წელთან შედარებით 39 მილიონ ლარს შეადგენს.

2. **თავდაცვის სფეროს ხარჯები (კოდი 702)** – პროექტით განისაზღვრა 651,1 მილიონი ლარის ოდენობით. აღნიშნული სფეროს დაფინანსების წილი წინა წელთან შედარებით მთლიანი ასიგნებების 8,8 %-დან 8,2%-მდე, ხოლო მშპ-ს 2,8-დან 2,5 %-მდე შემცირდა. შედარებისათვის, თავდაცვის ხარჯები 2008 წელს მთლიანი ასიგნებების 23%-ს და მშპ-ს 8,1%-ს შეადგენდა, ანუ მოცემული სფეროს ხარჯების წილი მშპ-ში 3,2-ჯერაა შემცირებული.

3. **საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხარჯები (კოდი 703)** 846 მილიონ ლარს შეადგენს. ამ მუხლის წილი მთლიან ასიგნებებში 10,7%-ს, ხოლო მშპ-ში 3,2%-ს შეადგენს. ამ კოდის უმსხვილესი მუხლია პოლიციის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის ხარჯები, რომელიც წინა წელთან შედარებით 10,5 მილიონი ლარით, ხოლო 2010 წელთან შედარებით 40 მილიონი ლარითაა გაზრდილი. სასამართლოებისა და პროკურატურის ხარჯების გეგმა განისაზღვრა 67,5 მილიონი ლარით ამ მიმართულებაზე გასაწევი ხარჯები წინა წელთან შედარებით 4,5 ლარითაა გაზრდილი. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხარჯები განისაზღვრა 102,6 მილიონი ლარის ოდენობით. ამ სფეროს დაფინანსება წინა წელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 5,5 მილიონი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის სფეროში 28,3 მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული, რაც წინა წელთან შედარებით 18,3 მილიონი ლარითაა გაზრდილი.

4. **ეკონომიკური საქმიანობის (კოდი 704)** ხარჯები, გეგმის მიხედვით, 1009,9 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი ასიგნებების 12,8%-სა მშპ-ს-3,8%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული მიმართულებების მიხედვით ხარჯების მოცულობებში არსებითი ცვლილებები შეინიშნება წინა წელთან შედარებით. კერძოდ, სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 103,9 მილიონი ლარის გამოყოფა, რაც წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელზე 73,7 მილიონი ლარით მეტია. იზრდება სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯები წინა წლის 50,5 მილიონი ლარიდან 82,7 მილიონ ლარამდე. სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 0,7 მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2,9 მილიონი ლარით ნაკლებია; იზრდება ტრანსპორტის ხარჯები, წინა წლის 576,6 მილიონი ლარიდან 605 მილიონ ლარამდე, რაც თითქმის მთლიანად საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების დაფინანსებისაკენ წარიმართება. ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 157,8 მილიონი ლარის გამოყოფა. აქედან, 83,7 მილიონი ლარი ტურიზმის სფეროს, ხოლო 74 მილიონი ლარი მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს.

5. **გარემოს დაცვის (კოდი 705)** – ხარჯები განისაზღვრა 22,5 მილიონი ლარით. მთლიან ასიგნებებში ამ სფეროს ხარჯების წილი 0,3%-ს, ხოლო მშპ-ში მხოლოდ 0,1%-ს შეადგენს.

6. **საბინაო-კომუნალური მეურნეობის (კოდი 706)** – ხარჯები განისაზღვრა 89 მილიონი ლარის ოდენობით. თანხები ძირითადად წარიმართება წყალმომარაგების სფეროს დასაფინანსებლად. დაახლოებით 6 მილიონი ლარი მოხმარდა კომუნალური მეურნეობის განვითარებას.

7. **ჯანმრთელობის დაცვის (კოდი 707)** – ხარჯები განისაზღვრა 393,7 მილიონი ლარის ოდენობით, რაც წინა წელთან შედარებით 12 მილიონი ლარითაა გაზრდილი. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯანდაცვის სფეროს ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ასიგნებებში 2004 წლიდან თანდათანობით იზრდებოდა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ბოლო წლებში. კერძოდ, ბიუჯეტის მთლიან ასიგნებებში ეს მაჩვენებელი 2008 წლის 4,2%-დან 2010 წელს 6%-მდე, ხოლო მშპ-ში-1,5%-დან 2%-მდე გაიზარდა. თუმცა 2011 წელს ეს მაჩვენებელი მშპ-ს 1,7%-ს, ხოლო 2012 წლის გეგმის მიხედვით მშპ-ს მხოლოდ 1,5%-ს შეადგენს.

8. **დასვენება, კულტურა, რელიგიის (კოდი 708)** – ხარჯები 164 მილიონი ლარით განისაზღვრა. ამ სფეროს წილი მთლიან ასიგნებებში წინა წლის 1,7 %-დან 2012 წლის გეგმის მიხედვით, 2,1%-მდე გაიზარდა. მშპ-ში მისი წილი მხოლოდ 0, 6%-ს შეადგენს. მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში გათვალისწინებულია 44 მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 6 მილიონი ლარით მეტია. მომსახურება კულტურის სფეროში – 67,8 მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 17,7 მილიონი ლარით მეტია. ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა – 46,5 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 1,2 მილიონი ლარით მეტია. რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გამოიყოფა დაახლოებით 2 მილიონი ლარი.

9. **განათლების (კოდი 709)** - ხარჯები განისაზღვრა 616,3 მილიონი ლარის ოდენობით. ზრდა წინა წელთან შედარებით 50 მილიონი ლარი. ამ სფეროს ხარჯების წილმა მთლიან ასიგნებებში 7,8%-ს (წინა წლის 7,5%-თან შედარებით) და მშპ-ში 2,3% შეადგინა (ანუ წინა წლის მშპ-ში იმავე დონეზე დარჩა). განათლების სფეროში ყველაზე მეტი თანხები გამოიყოფა ზოგადი განათლების დასაფინანსებლად – 422,7 მილიონი ლარი. პროფესიული განათლებისათვის 7,5 მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1,5 მილიონი ლარით ნაკლებია, უმაღლეს განათლებას გამოეყოფა 75,5 მილიონი ლარი, ზრდა წინა წელთან – 4,4 მილიონი ლარი.

10. **სოციალური დაცვის (კოდი 710)** ხარჯები 1536,5 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრა. აქედან, ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას მოხმარდება 1081,3 მილიონი ლარი, ზრდა წინა წელთან შედარებით – 93 მილიონი ლარი, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას – 288,4 მილიონი ლარი, ზრდა წინა წელთან – 51 მილიონი ლარი, სოციალური გაუცხოების მუხლის დაფინანსება – 2011 წლის 109,3 მილიონი ლარიდან გაზრდილია 123,7 მილიონ ლარამდე 2012 წელს. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ხარჯები წინა წლის 99,6 მილიონი ლარიდან შემცირებულია 34,4 მილიონ ლარამდე.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოწმობს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების (ასიგნებების) ფუნქციონალურ სტრუქტურაშიც 1997-2011 წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს. კერძოდ, 1997-2008 წლებში შემცირდა სოციალური სფეროს დარგების (განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის) დაფინანსების წილი მთლიან ხარჯებში 33,7%-დან 30,8%-მდე; ამასთან, 1997-2008 წწ. პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების სფეროების წილი (ასიგნებების 38%-მდე) მთლიან ხარჯებში. 2009 წლიდან

კი ადგილი აქვს ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციას (2011 წლის შესრულების მიხედვით, დაახლოებით 21 %-მდე).

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დღეისათვის მოქმედი კლასიფიკაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოდგენილია 2008 წლიდან და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დაფინანსებაში განხორციელებული ცვლილებები დეტალურად განვიხილოთ 2008-2012 წწ. პერიოდისათვის.

2008 წელს მთლიანად სოციალური სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა) დაფინანსებას მოხმარდა 1 851,3 მილიონი ლარი, ანუ მთლიანი ასიგნებების 27,4%. 2009 წელი - 2 040, 8 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 30,2%, 2010 წელი - 2 197,3 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 31,5%, 2011 წელი - 2375,3 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 33,2%, 2012 წლის გეგმის მიხედვით, 2550,3 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 32,2%, რაც მშპ-ს 9,6%-ს შეადგენს. მთლიანად ამ სფეროს დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2011 წლის ფაქტობრივი მდგომარეობით 527,8 ლარს შეადგენდა, ხოლო 2012 წლის გეგმით ხარჯების ზრდა გათვალისწინებულია 566 ლარამდე.

2008 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების სფეროს დაფინანსებისათვის გამოიყო 419,2 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 6,2%-ს და მშპ-ს 2,2%-ს შეადგენდა. 2009 წელი - 459,6 მილიონი ლარი, ასიგნებების 6,8%, 2010 წელი - 504 მილიონი ლარი, ასიგნებების 7,2%, 2011 წელი - 564,9 მილიონი ლარი, ასიგნებების 7,6%, რაც, ერთ სულზე გაანგარიშებით, 125,6 ლარს შეადგენს. 2012 წლის გეგმით გათვალისწინებულია 460 მილიონი ლარის, ასიგნებების 5,8%-ის გამოყოფა, რაც მშპ-ს მხოლოდ 1,7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების შესაბამის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 2,5-ჯერ ნაკლებია.

2008 წლიდან ეტაპობრივად იზრდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის სფეროზე გამოყოფილი ასიგნებების მოცულობები. კერძოდ, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსების მიზნით გამოიყო 286 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 4,2%, ანუ მშპ-ს 1,5%. 2009 წელს - 331,6 მილიონი ლარი, ასიგნებების 4,9 %, მშპ-ს 1,9 %, 2010 წელი - 415 მილიონი ლარი, ასიგნებების 6%, მშპ-ს 2%, 2011 წელი - 362,5 მილიონი ლარი, ასიგნებების 4,9%, მშპ-ს 1,5%. 2012 წელს გათვალისწინებულია მისი ზრდა 397 მილიონ ლარამდე, რაც ასიგნებების 5%-ს და მშპ-ს 2% გაუტოლდება.

სოციალური დაცვის მუხლზე 2008 წელს მოდიოდა 1 146 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 17%, მშპ-ს 6%, 2009 წელი - 1 250 მილიონი ლარი, ასიგნებების 18,5 %, მშპ-ს 7%, 2010 წელი - 1 278 მილიონი ლარი, ასიგნებების 18,3%, მშპ-ს 6,1%, 2011 წელი - 1 448 მილიონი ლარი, ასიგნებების 19,4%, მშპ-ს 6,1%. 2012 წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 1537 მილიონი ლარი, ასიგნებების 19,4%, მშპ-ს 5,8%. აღსანიშნავია, რომ 2008-2011 წწ. პერიოდში სოციალური სფეროს ასიგნებების მოცულობის 26 %-ით ზრდის მიუხედავად, ამ მუხლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში საბაზისო წელთან შედარებით უცვლელი დარჩა.

საქართველოში სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების რეალური სურათის შეფასების მიზნით განვიხილოთ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ამ ქვეყნებში მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ეროვნული შემოსავალი საშუალოდ 24 ათას დოლარს (მიმდინარე ფასებში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით), დასაქმების საშუალო მაჩვენებელი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 67%-ს, უმუშევრობის დონე კი 7%-ს შეადგენდა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემაჯავლი



ქვეყნების მიხედვით, სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯების წილი საშუალოდ ამ ქვეყნების მშპ-ს 21%-ს აღწევდა. მ.შ. ასაკობრივ პენსიაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-ს მიმართ დაახლოებით 7%-ს შეადგენდა. ამასთან, ჯანდაცვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საშუალოდ იხარჯებოდა მშპ-ის 6,4%, (ხოლო ამ სფეროზე გაწეული მთლიანი ხარჯების წილი – სახელმწიფო ხარჯებს დამატებული კერძო სექტორის დანახარჯები მშპ-ში 9%-ს აღწევდა). ევროსტატის 2009 წლის მონაცემებით, 2006 წელს ევროკავშირის 27 ქვეყანა საშუალოდ სოციალური დაცვის სფეროსაკენ წარმართავდა მათი მშპ-ის დაახლოებით 27 %-ს. სოციალური სფეროს ხარჯები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: ავსტრალია – მშპ-ს 20%, ავსტრია – 31%, ბელგია – 31%, კანადა – 25%, დანია – 35%, ფინეთი – 34%, საფრანგეთი – 33%, ერმანია – 31%, საბერძნეთი – 23%, იტალია – 28%, ნიდერლანდები – 30%, შვედეთი – 35%, დიდი ბრიტანეთი – 25%, აშშ – 25% (უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში ამ მაჩვენებლებში შედის სოციალური სფეროს დაფინანსებაზე ყველა დონის ბიუჯეტებიდან გაწეული ხარჯებისა და კერძო დანახარჯების ჯამი, თუმცა, მასში საშუალოდ დაახლოებით 80%-ზე მეტი მოდის სახელმწიფო დაფინანსებაზე). ამ ქვეყნებში სოციალური სფეროს ხარჯებში მაღალია სოციალური დაზღვევის ხარჯების წილი. მაგალითად, საფრანგეთში ეს მაჩვენებელი მშპ-ს 31,1%-ს, შვედეთში 30,7%-ს, ბელგიაში 30,1%-ს შეადგენდა, თუმცა ის 15%-ზე დაბალი იყო ლატვიაში (12,2%), ესტონეთში (12,4%), ლიტვასა (13,2%) და რუმინეთში (14,0%), რაც იმით აიხსნება, რომ ეს მაჩვენებლები ასახავს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების დონეებში არსებულ განსხვავებებს, ეროვნული სოციალური დაცვის სისტემების დივერსიფიკაციას და, ასევე, თითოეული წევრი ქვეყნის სპეციფიკურ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ სტრუქტურებს. ევროკავშირის 27 ქვეყანა საშუალოდ მოხუცებულობის პენსიებსა და შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების სოციალურ დაცვაზე ხარჯავენ სოციალური დაცვის მთლიანი მოცულობის 46%-ს, ავადმყოფების ჯანდაცვის მიმართულებებზე – 29%-ს, ინვალიდებსა და ოჯახისა და ბავშვთა დაცვაზე – 8%-ს, უმუშევრობის დახმარებაზე – 6%-ს, საბინაო უზრუნველყოფაზე – 4%-ს. კრიზისამდე პერიოდში აშშ-ის საბიუჯეტო ხარჯებში მხოლოდ სოციალურ დაცვაზე, მედიქასა და და მედიკინაზე (ძირითად ჯანდაცვის პროგრამებზე) მთლიანი ხარჯების 41,4% და ქვეყნის მშპ-ს 8,5% მოდიოდა. აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, 2017 წლისათვის გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნული ხარჯების წილის მთლიან დანახარჯებში დაახლოებით 57%-მდე გაზრდა, რის შედეგად ის მშპ-ს მოცულობაში დაახლოებით 11%-ს მიაღწევს (რაც გათვალისწინებულია ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ძირითადად, თავდაცვის ხარჯების შემცირების გზით).

შედარებისათვის განვიხილოთ ზოგიერთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოსათვის 2008-2011 წწ-ში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2008 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1,7 ათას დოლარით, დასაქმების დონე 53,8%-ით, ხოლო უმუშევრობის დონე კი 13,6 პროცენტით განისაზღვრებოდა (თუმცა, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ექსპერტული შეფასებების მიხედვით კიდევ უფრო მაღალი სიდიდე იყო). 2011 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 16 პროცენტს აღემატება და, შესაბამისად, დღეისათვის საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2-ჯერ აღემატებოდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

განვიხილოთ სოციალური სფეროს თითოეული დარგის დაფინანსების საკითხი 2008-2011 წლებში.

2008 წელს მთლიანად სოციალური სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 1 146,1 მილიონი ლარი, ანუ მთლიანი ასიგნებების 17%. 2009 წელს – 1 249,6 მილიონი ლარი,

მთლიანი ასიგნებების 18,5%, 2010 წელს – 1278,2 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 18,3%, 2011 წელს – 1447,9 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 19,4%. 2011 წელს მშპ-ს მანქანებელი (ნომინალურ გამოსახულებაში) 2008 წლის მანქანებელთან შედარებით გაიზარდა 8%-ით, მაშინ, როდესაც სოციალური სფეროს დაფინანსების ზრდა იმავე პერიოდში 26%-ს შეადგენდა. აღნიშნული ზრდის მიუხედავად, საქართველოში სოციალური სფეროს დარგების წილი მთლიან ასიგნებებში აშშ-ის შესაბამის მანქანებელზე დაახლოებით 2-ჯერ დაბალი რჩება.

2008 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან **განათლების სფეროს** დაფინანსებისათვის გამოიყო 419,2 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 6,2%-ს და მშპ-ს 2,2%-ს შეადგენდა. 2009 წელს განათლების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 459,6 მილიონი ლარის, მშპ-ს 2,6 %-ის, ხოლო 2010 წელს - 504 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 7,2% და მშპ-ს 2,4%. 2011 წელი – 564,9 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 7,6%, რაც მშპ-ს 2,3%-ს შეადგენდა. 2011 წელს განათლების სფეროს დაფინანსება 2008 წელთან შედარებით 35%-ით გაიზარდა.

ანალოგიურად, ეტაპობრივად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან **ჯანდაცვის სფეროზე** გამოყოფილი დანახარჯების მოცულობები და მისი წილი მთლიან ხარჯებში. კერძოდ, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსების მიზნით გამოიყო 286 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 4,2%, ანუ მშპ-ს 1,5%. 2009 წელს – 331,6 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 4,9% და მშპ-ს 1,9%. 2010 წელს – 415,0 მილიონი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 6,1%-ს და მშპ-ს 2,0%-ს აღწევს. 2011 წელს – 362,5 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების 4,9%, მშპ-ს 1,5%. 2011 წელს ჯანდაცვის ხარჯების ზრდამ 2008 წელთან შედარებით 26%-ს მიაღწია.

მაშასადამე, 2011 წელს მთლიანად სოციალური სფეროს დარგების დაფინანსებისათვის 2375 მილიონი ლარი, მთლიანი ასიგნებების დაახლოებით 31,8% და მშპ-ის 9,8% გამოიყო. შედარებისათვის, სომხეთში სოციალური სფეროს დარგების დანახარჯების წილი მთლიან ხარჯებში მშპ-ის დაახლოებით 11%-ს შეადგენს. მ.შ. განათლების-3,3%-ს, ჯანდაცვის-1,9%-ს, ხოლო სოციალური დაცვის 5,7%-ს.

მაშასადამე, საქართველოში სოციალური სფეროს დარგები ბიუჯეტიდან მოითხოვენ დაფინანსების დონეების მნიშვნელოვან ზრდას, რადგან ზემოთ აღნიშნულ ქვეყნების ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურების შესწავლიდან ირკვევა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალურ სფეროს დარგებზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა დანარჩენ სფეროებზე გაწეულ დანახარჯებს. საქართველოში 1996–2011 წლებში სოციალური სფეროს დარგებზე გაწეული დანახარჯები დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებით ჩამორჩებოდა სხვა დანარჩენი სფეროების დაფინანსებაზე გაწეულ დანახარჯებს. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური სფეროს დარგების უპირატესი ზომით დაფინანსება წარმოადგენს ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისა და ასევე, ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით წარმატებული შედეგების მქონე სხვა ქვეყნებისათვისაც საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაში პრიორიტეტულ და ძირითად მიმართულებას, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხარჯების არსებული ფუნქციონალური სტრუქტურა საჭიროებს მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს, რას შესაძლებელი გახდება ბიუჯეტის ხარჯების სხვა სფეროებიდან ამ სფეროსაკენ რესურსების გადანაწილების გზით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მუჩიაშვილი მ. სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების პრობლემები საქართველოში//ეკონომისტი, 2012, №1.

2. მუჩიაშვილი მ., კუსრაშვილი ე. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი. ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”. თბილისი, კერა XXII, № 6, 2004.
3. მუჩიაშვილი მ. საქართველოს ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სრუქტურის სრულყოფის მიმართულებები. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2007.
4. მუჩიაშვილი მ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასება გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით //ეკონომისტი, 2011, №1 (გვ. 44-50).
5. მუჩიაშვილი მ. ეკონომიკური კრიზისების ზეგავლენა საპენსიო სისტემებზე (ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე) //ეკონომისტი, 2011, №2.
6. მუჩიაშვილი მ., არევაძე ნ. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა – მაკროეკონომიკური სტაბილურობის ინსტრუმენტი// საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”- მასალების კრებული. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2011 (21-22 ოქტომბერი) (გვ. 141-146).
7. მუჩიაშვილი მ. ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის როლი საქართველოში გრძელვადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში //ეკონომისტი, 2011, №4.
8. OECD (2011), Education at a Glance, OECD Publishing.
9. OECD(2010), Trends Shaping Education, OECD Publishing.
10. OECD (2011), Health at a Glance, OECD Publishing.

*Muchiashvili Marina*

## MAIN DIRECTIONS OF STATE BUDGET EXPENDITURES IN GEORGIA SUMMARY

In the given article the Structure of Georgia’s State Budget expenditures for the period 2003-2012 years is analyzed. The recommendations regarding optimization of the Functional Structure of Georgia State Budget Expenditure on the basis of analyses of the comparative data of OECD, EU and other countries of the world have been given.

*ლაშა ნარსია*

### საქართველოს უსაფრთხოების ეკონომიკური ასპექტები

თანამედროვე პირობებში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური და ტექტონიკური ხასიათის რყევები ცალკეულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. ქვეყნის კეთილდღეობის გარანტი, ხშირ შემთხვევაში, ეკონომიკური სიძლიერეა. ეკონომიკური უსაფრთხოება პოლიტიკური, სამხედრო თუ სოციალური უსაფრთხოების საფუძველია და ის დამყარებულია ეკონომიკურ სიძლიერეზე. ეკონომიკური სიძლიერე შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. აქტიური მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტის საშუალებით გააღწეოს მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენების, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწვევის ან დახმარების გაწვევის შეპირებით.

პასიური გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების გავლენა, ანუ თავი დაიცვას სხვა ქვეყნების ძალისგან. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა განვითარებული ქვეყანა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. ნებისმიერი სტრატეგიის შემქმნელს, ზოგადად, ორი მარტივი და იმავე დროს რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: გაზარდოს საკუთარი ძლიერება, თავისუფლების, დამოუკიდებლობის ხარისხი და შეზღუდოს, დაასუსტოს, შეაკავოს, გააკონტროლოს მოწინააღმდეგე. თანამედროვე გაგებით, სტრატეგია, ასევე, ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება, ესენია: ძალის ფორმირება და საჭირო დროს მისი გამოყენება. საყურადღებოა, რომ, როდესაც ძალის ფორმირებაზე საუბარი, დაპირისპირების მომენტი (მით უმეტეს საბრძოლო) ჯერ არ დამდგარა, ამიტომაც ეს პირველი ელემენტი შედარებით ადვილია მეორეზე. ფაქტობრივად, პირველ ეტაპზე, გარკვეულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ გასაგებად ჩამოვყალიბოთ მიზნები, ავწონ-დავწონოთ საშუალებები და შევქმნათ კონცეფცია, რომელიც ქმნის არსებული საშუალებების გამოყენებით დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას მისაღები რისკის ფარგლებში.

ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია საკმაოდ მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. იგი არის სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, მისი ფუნდამენტი და მატერიალური საფუძველი. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტად გამოდის როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ასევე მისი შემადგენელი ელემენტები: ბუნებრივი რესურსები, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, უძრავი ქონება, ფინანსური რესურსები, ადამიანური რესურსები, სამეურნეო სტრუქტურები, ოჯახი, პიროვნება და ა.შ. ეროვნული ეკონომიკის ნიშნები გლობალურ კრიზისამდე გამოიკვეთა; რუსეთ-საქართველოს ომმა დააჩქარა და გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი. კრიზისმა ყველაზე მეტად დააზარალა სამშენებლო და ტურისტული სექტორები; საბანკო სექტორმა გამოავლინა შედარებითი მდგრადობა და სტაბილურობა, თუმცა მაინც ვერ უზრუნველყო ეკონომიკის დაკრედიტება, რამაც დააჩქარა რეცესიული პროცესები; დაუსაბუთებელმა პრივატიზაციამ და უცხოური ინვესტორების დაფრთხობამ წარმოშვა ახალი რისკები; ვერ მოხერხდა ანტიკრიზისული სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, რის გამოც საფრთხე შეექმნა მის შესრულებას; მთავრობამ დაგვიანებით მიიღო ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო და საბანკო სექტორების სახელმწიფო მხარდაჭერას, თუმცა დაგეგმილი ღონისძიებების რეალიზაციამ მოკლევადიანი ეფექტის პარალელურად გრძელვადიან პერიოდში შეიძლება წარმოშვას ახალი საფრთხეები; საგარეო ვალის დაუსაბუთებელმა ზრდამ შეიძლება შეასუსტოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება; საგადასახადო შემოსავლების შეუსრულებლობის პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდა შეიძლება გახდეს ახალი საფრთხეების წარმოშობის საფუძველი; საქართველოში ეკონომიკური კრიზისის შერბილებებისა და დაძლევის მთავარი ინდიკატორია დონორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება.

პატარა ქვეყნებისათვის აქტიური ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ძალიან რთულია. შესაბამისად, საქართველომ მთავარი აქცენტი ეკონომიკური ძალის ჩამოყალიბებაზე უნდა გააკეთოს.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულად მიგვაჩნია:

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რითაც შესაძლებელია დინამიურად განვითარებადი ეკონომიკის ფორმირება და ეკონომიკური შოკების პრევენცია. არტურ მედისონმა (Arthur Maddison) – გამოკვლევის, „Dynamic Forces of Capitalist Development“-ის ავტორმა დაადგინა, რომ რაც მეტია ქვეყნის მოსახლეობაში განათლებულ ადამიანთა რაოდენობა, მით უფრო მაღალია ამავე სახელმწიფოს ეკონომიკის ზრდის ტემპები, მან ასევე გამოიყვანა დამოკიდებულება, რის მიხედვითაც განათლების ასიგნებათა 1%-ით გაზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის მატებას 0,35%-ით.

– ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). მიჩნეულია, რომ რაც უფრო ნაკლებია მშპ-თან მიმართებაში საგარეო ვაჭრობის პროცენტული მოცულობა, მით უფრო ძლიერია ქვეყნის ეკონომიკა.

– ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების დანერგვა. მიუხედავად ინოვაციათა სასიცოცხლო აუცილებლობისა, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური ხდება მეცნიერებაზე დანახარჯების გადიდება, ორი მთავარი მიზეზია ამ უკანასკნელის განმაპირობებელი; პირველი: ნებისმიერი ახალი იდეა ან პროდუქტი ახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, ამასთან, თავად გამომგონებლები, ხშირად ვერაფერს იღებენ და მოგება სხვებს რჩებათ, რის გამოც ითრგუნება “გამომგონებლობითი სტიმული”, – ახალი იდეების შექმნის ინტერესი ეკარგებათ არა მხოლოდ მეცნიერებს და ინოვატორებს, არამედ იმ ადამიანებს ან სტრუქტურებს, რომლებიც აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს ადრეულ სტადიაზე; მეორე ფაქტორია: “ინფორმაციული ასიმეტრიის” გამოვლინება – გამომგონებელმა (იდეის ავტორმა) გაცილებით მეტი იცის საკუთარი გამომგონებისა და მისი პოტენციური გამოყენების შესახებ, ვიდრე იმ ფინანსისტმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი სახსრები იდეის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, მეცნიერთათვის ძალზე რთულია ადეკვატურად წარადგინონ საკუთარ პროექტთა ღირსებანი და დაამტკიცონ, რომ წარმოდგენილი იდეა სამრეწველო რეალიზაციისას მოგებას მოიტანს, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მეცნიერები და ინვესტორები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, რაც დაფინანსების პრობლემატურობას განაპირობებს.

საქართველოში ჯერ კიდევ შეუძლებელია ინტერნეტმაღაზიის ან სერვისების დაუყოვნებელი გადახდის ბიზნესის იმავე სიადვილით დაწყება, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება.

– იმპორტსა და ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა. ეკონომიკური ძალა უფრო დიდია, თუკი შენ მიერ ექსპორტირებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ხოლო იმპორტზე – პირიქით.

– დიდი მოცულობის საგარეო ვალის აღება, რომელმაც უნდა შეარბილოს ეკონომიკური კრიზისის სიმწვავეს ხარისხი, თავის თავში შეიცავს ახალ ეკონომიკურ საფრთხეს, რომელიც გამოვლინდება გრძელვადიან პერიოდში. საუბარია სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობის სწრაფი ტემპებით ზრდაზე.

– საბანკო სექტორის მიერ განხორციელებულმა ანექსიურმა საკრედიტო პოლიტიკამ სამომხმარებლო-სავაჭრო და სამშენებლო სფეროებში კომერციული ბანკების მდგრადობა მნიშვნელოვნად შეარყია. ბანკების უმეტესი ნაწილი ზარალით მუშაობს. პრობლემური სესხების მოცულობა იზრდება. ბანკები თანდათანობით ნდობას კარგავენ, რაზედაც მეტყველებს დეპოზიტების გადინების ტემპების ზრდა. მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მეწარმის საქმიანობის სფერო, დიფერენცირებული უნდა იქნეს ვაჭრობის, მომსახურებისა და წარმოების სფერო. მიზნობრივი სესხების გაცემით ბანკები უკეთ მოახერხებენ მეწარმის საქმიანობის სწორად შეფასებას, თავის მხრივ, ასეთი მეთოდი მეწარმეებსაც მისცემს საშუალებას, სწორად წარმართონ თავიანთი საქმიანობა.

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სოციალური ფონის გაუმჯობესება. უმუშევრობა მხოლოდ როგორც არასასურველი ეკონომიკური კატეგორია კი არაა, არამედ ის მოსახლეობის მორალური და ფსიქოლოგიური რეგრესის მიზეზია. უსაფრთხო გარემო და დემოკრატიული პროცესების განვითარება საკმაოდ რთულია მიმდებარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში. ეკონომიკის მდგომარეობა, დასაქმება, თვითდასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ურთიერთდაკავშირებულია. წარმოების განვითარება ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას. დასაქმება არის უპირველესი და ძირითადი პირობა მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური დონის უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, დასაქმება უზრუნველყოფს რა გადახდისუნარიან მოთხოვნას, მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ეკონომიკური აღმავლობისათვის. გარდა ამისა, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდა და სამომხმარებლო ბაზრის მიწოდების მიმართ ბალანსის დამყარება ამაღლებს მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობას, რაც ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფო სტიმულების გამოყენება და „უმუშევრობის დაძლევის ეროვნული პროგრამის ამოქმედება“. მასში ის კონკრეტული ქმედებები უნდა გაიწეროს რითაც შესაძლებელი იქნება უმუშევრობის პრობლემის დაძლევა. ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ ცნობილია ოუკენის კანონი, რომლის თანახმად, 2 პროცენტთან ეკონომიკური ზრდა იწვევს დასაქმების ერთპროცენტთან ზრდას.

- ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ინვესტიციური ნაკადების მოზიდვა. მართალია ამ მიმართულებით ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არაა. ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით წმინდა უცხოური ინვესტიცია პოზიტიურ რესურსად უნდა შეფასდეს, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. საჭიროდ მიგვაჩნია ქვეყნის რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისათვის „რეგიონული განვითარების ინვესტიციური აქტივობის პროგრამის განვითარება“. პროგრამაში დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი რეგიონში პოტენციური ინვესტიციური პროექტები. ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების დაწესება. საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩნია, მაგრამ, როგორც ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, ძალზე დაბალია ფუნდამენტური კვლევების გამოყენებითი ასპექტების წილი, ისედაც მიხერულ დანახარჯთა (ფუნდამენტურ კვლევებზე) უკუგება კი 0%-ის ფარგლებშია.

- ინოვაციური პროექტების მენეჯერთა გარეშე, რომელნიც მკვლევართა გუნდს დააკავშირებენ სარისკო („ვენჩურული“) კაპიტალის განმკარგავ ფინანსისტებთან და მრეწველებთან, მდგომარეობა უკეთესობისკენ (ეკონომიკაში) არ შეიცვლება. ერთი სიტყვით, ქვეყნის ეკონომიკისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ინოვაციური პროექტების მენეჯერთა მომზადებას მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის პროცესის ინიცირებისა და განვითარებისათვის, რაც ფუნდამენტური ტიპის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური აღგორითმების გამოყენებით, მეცნიერული მიღწევების ფულში კონვერტაციის საშუალებას მოგვცემს. დღეისათვის უკვე შეინიშნება აღნიშნული სერვისის (მეცნიერულ კვლევათა შედეგების კომერციალიზაციის) მწვავე უკმარისობა. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციური პროექტის მენეჯერი კვალიფიციური დარგობრივი სპეციალისტისაგან, ცხადია, კონკრეტული ტექნოლოგიური ან საწარმოო რეალიზაციათა ცოდნა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მეცნიერული იდეის კომერციალიზაციისათვის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სპეციფიკურ მმართველობით განსწავლულობას.

გარდა დარგობრივი და დარგთაშორისი ცოდნისა, დამწყებ მენეჯერს უცილობლად ესაჭიროება სტაჟირება ბიზნესის იმგვარ წარმომადგენლებთან, რომლებიც ინოვაციურ

ბიზნეს გარემოში მოღვაწეობენ და გააჩნიათ გამოცდილება ინოვაციური სფეროს ინვესტირებაში, კონსალტინგურ და საინვესტიციო სტრუქტურების, სარისკო (“ვენჩურული”) კაპიტალის წარმომადგენლებთან ურთიერთობისა.

თუკი ქვეყანა გარკვეულ მნიშვნელოვან პროდუქტზე მიწოდების მონოპოლიას ან დიდ წილს ფლობს, მისი როგორც პასიური, ისე აქტიური ძალა იზრდება. ევროკავშირის მიმართ, ბუნებრივი აირის სახით, მსგავსი ტიპის ძლიერი ენერგეტიკული ბერკეტი გააჩნია რუსეთს. სწორედ ეს სიტუაცია განაპირობებს საქართველოს პერსპექტივას, ფლობდეს არა მარტო პასიურ, არამედ აქტიურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. რუსული გაზის ყველაზე რეალური ალტერნატივა „ნაბუქოს“ სახით სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი პოტენციური გაზსადენია. სატრანზიტო პოტენციალს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვნად გაზრდა შეუძლია. მონოპოლიის მსგავსი უპირატესობების მოპოვება სპეციალური სავაჭრო შეღავათების მიღებითაც არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან თავისუფალმა ვაჭრობამ საქართველოს შეიძლება მოუტანოს ეკონომიკური ძალის საგრძნობი გაზრდა, ექსპორტი-იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაცია. მიჩნეულია, რომ, რაც უფრო ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს ქვეყანა, ასევე, რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს, მით უფრო დიდია მისი პასიური ეკონომიკური ძალა. ვაჭრობისა და სავაჭრო პარტნიორების მრავალფეროვნება სხვა ქვეყნებს შენზე დიდი გავლენის მოპოვების საშუალებას არ აძლევს.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები. რაც უფრო მეტ უცხოურ სავალუტო რეზერვს ფლობს ქვეყანა, მით უფრო ძლიერი ბერკეტი აქვს მას საგარეო შოკებისგან თავის დასაცავად.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დებულების 100%-ით შესრულება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება, თუმცა, თუ გვსურს, გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობას მივაღწიოთ, მათი გათვალისწინება აუცილებელია. სტაბილური ეკონომიკური წინსვლა, ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს მშენებლობა ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენელია

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებს წარმოადგენს შედარებით მნიშვნელოვანი პარამეტრები, რომლებიც წარმოდგენას იძლევა მთლიანად ეკონომიკური სისტემის მდგომარეობაზე, მის მდგრადობასა და მობილურობაზე, ესენია: მშპ-ს ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი; ინფლაციის ტემპები; უმუშევრობის დონე; მოსახლეობის ქონებრივი დაყოფა; ეკონომიკის კრიმინალიზაცია; მეურნეობის ტექნიკური ბაზის მდგომარეობა; დანახარჯები მეცნიერებასა და განათლებაზე; კონკურენტუნარიანობა; საომპორტო დამოკიდებულება; ეკონომიკის ღიაობა; სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალი და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები არის ხელისუფლების, ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის გააზრებული მოქმედებების და ხერხების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საშინაო და საგარეო მუქარების აღმოფხვრისაკენ. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი სახელმწიფოა, ამიტომ მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა რომელიმე კონკრეტულ უწყებას, არამედ სახელმწიფო მენეჯმენტის მთელ სისტემას და, უპირველეს ყოვლისა, მთავრობას. განსაკუთრებით დიდია ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი და ფუნქციები მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების, მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ვფიქრობთ, დაბალანსებული და ლოგიკურად გააზრებული ქმედებების ერთობლიობა საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ და პრიორიტეტულად ვმართოთ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტები.

**THE ECONOMIC ASPECTS OF SECURITY  
SUMMARY**

For the national security and general welfare of Georgia it is very important to continue stable economic development. For this purpose it is crucial for Georgia to acquire its own decent place in the international economic system. The latest world financial and economic crisis has underlined the risks that accompany the globalized and interdependent world.

The possible deepening or repetition of the world economic crisis is a serious threat for the economic development of Georgia, realization of which would have a negative impact on the development of various sectors of economy and seriously hamper the nation's economic growth. In the case the crisis gets worse, it could especially hardly hit financial markets, which would have a negative impact on the Georgian rapidly developing banking sector.

The possible deepening of the world financial crisis would also influence the volume of the foreign investments. Flow of the private foreign capital into Georgia and productive capacities created by this capital are very important for the economic development of Georgia.

Generally in the case of deepening or repetition of the crisis, economic threats would emerge, such as decrease of the overall demand, decrease of foreign investment, crisis in the banking sector, lower budget income and others.

Effective management of energy threats is also important for the national security. During the last several years Georgia has achieved considerable progress in establishment of stable energy supplies. Despite this success, diversification of sources of energy supplies is still a priority for the national security policy of Georgia. Importance of such diversification is underlined by the incidents of use of energy resources for political pressure and blackmail that are becoming more frequent.

Demography is another important factor for the national development. In comparison with the tendencies of the last period, currently the birth rate and the number of Georgian nationals returning the country are growing. However, it is very important to make sure that these positive trends remain in place in the long-term perspective. Of particular importance is the depopulation process that is going on in some of the mountainous regions of Georgia. This process represents not only social, cultural and demographic problem, but also an important challenge for the national security of Georgia.

Besides the economic, energy and demographic challenges, important issue is protection from various contagious diseases that could cause epidemics. As a consequence of global interdependence and intensive communication between various states that characterizes the modern world it is extremely difficult to localize spread of highly contagious diseases. Such diseases spread very quickly, which even more developed nations than Georgia is find it hard to prevent. Considering position of Georgia as a transit state, such threats must always be taken into account.

*აკაკი პავლიაშვილი*

**სამრეწველო გადატრიალების შედეგები საქართველოში**

როგორც ცნობილია, საქართველოში გლეხის ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო შიდა მოხმარების საგნების, იარაღ-ინვენტარის დამზადების ტრადიცია, რამაც ცალკეულ პირობებში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის პირველსავე ეტაპზე. ამასთან, თუ აქამდე შესაბამისი მასშტაბურობით გამოირჩეოდა მთელი რიგი შიდა მოთხოვნების ნაწარმის ფართოდ წარმოება, კერძოდ შალის, აბრეშუმის, მიწის დასამუშავებელი იარაღ-ინვენტარისა და



სხვათა გაფართოება და ხშირად მათი გარე ბაზარზეც გატანა, ახლა, შექმნილი პირობების გამო, როდესაც უცხოეთიდან შემოდის ეს და სხვა პროდუქცია, აგრეთვე ადგილობრივი, შედარებით მსხვილი საწარმოების შექმნის ტენდენცია, ბუნებრივია, შინამრეწველური დარგები მნიშვნელოვან დაცემას განიცდის.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსათვის ფრიად დამახასიათებელია ხელოსნობის წვრილ საქონლურ წარმოებად გადაქცევის საკმაოდ ინტენსიური პროცესი. აღნიშნულ ვითარებაში, იგი შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა მსხვილი ქალაქების სინამდვილეში, რამდენადაც შესაბამისი მონაცემებით, თუ XIX ს. 80-იანი წლებისათვის ქალაქებში 4000-ზე მეტი სახელოსნო იყო, აქედან 2175, ანუ ნახევარზე მეტი თბილისზე მოდიოდა, ხოლო, რაც შეეხებოდა სოფელს, იქ იყო 1710 სახელოსნო, აქედან უწვრილესი 1 570.

საქართველოში, როგორც ცნობილია, შრომის დანაწილების პროცესი მიმდინარეობდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევრიდან, უფრო განვითარდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და, ბუნებრივია, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რეფორმის პერიოდში, ანუ 50–60-იანი წლების მანძილზე იგი განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს.

როდესაც შეიქმნა მეტ-ნაკლები ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი შრომისათვის, შესაბამისად გაქანება მიეცა შედარებით მსხვილ მემამულეთა საქმიანობას; ოსმალო-ყიზილბაშობის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში წარმოიქმნა არაერთი მსხვილი მამული, შესამჩნევად მომრავლდა კერძო საბატონოების მფლობელთა რიცხვი, რომელთაც ხელი მიჰყვეს რაციონალური მეურნეობის, განსაკუთრებით ტრადიციული დარგების მაღალი გემოვნებით მოწყობას. ამ მიზნით, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ხელი მიჰყო წვრილ-წვრილი მამულების გამსხვილებას და დიდი ხოდაბუნებისა და ზვარ-ვენახების გაშენებას როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთული ცოდნა-გამოცდილების გათვალისწინებით.

თითქმის ამავე პერიოდიდან (XVIII ს. II-ნახ.), გამოცოცხლებას იწყებს ძველი ქალაქები, ჩნდება ახალ-ახალი სავაჭრო ადგილები. ამ მხრივ გამოცოცხლება და ფართომასშტაბურობა შეინიშნებოდა თბილისში, თელავში, გორში, ცხინვალში, ახლავორში და სხვ. დიდი გამოცოცხლება დაეცო აქამდე ფაქტობრივად ჩაკეტილ დარიალის ხეობას, რომელმაც ხელი შეუწყო ანანურის, დუშეთისა და სტეფანწმინდის ქალაქურ ყაიდაზე გადასვლას. ამავე პერიოდში ფრიად დაწინაურდა და მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად იქცა სიღნაღი, ერთობ დიდი აღმავლობა დაეცო ქ. ქუთაისს და დას. საქართველოს სხვა მცირე ქალაქებს, ქალაქური მეურნეობა, ბუნებრივია, მოითხოვდა საზოგადოების ცხოვრების ახალ წესს და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური პირობების ახლებურ მოწყობას. გარდაუვალი გახდა ნაირ-ნაირი სავაჭრო დუქნებისა და ფარდულების მოწყობა, სეზონური სავაჭრო ცენტრების აღმოცენება, შესაბამისად სახელოსნოების გაფართოება, საქარავნო გზების მოწყობა-გააქტიურება და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ხასიათს იღებს ხელოსნური წარმოება და მათი ურთიერთკავშირი. საფუძველი ეყრება ხელოსანთა დიფერენციაციას, ჩნდებიან შეძლებული, მდიდარი და დაბალი ფენის ხელოსნები, რომელთა გარკვეული ნაწილი დაქირავებულ შრომაზე გადადიან, ქირაობენ შავ მუშებს და სხვ. ქართლ-კახეთში XVIII ს. 70-იანი წლებისათვის უკვე ფუნქციონირებდა არაერთი შედარებით მსხვილი საწარმო-სარეწაო. განსაკუთრებით იწყება სამთამადნო დარგის წარმოება, რომლის აღდგენა-გაფართოების მიზნით სამეფო ხელისუფლებამ 60-იან წლებში საქართველოში ასეულობით ანატოლიელი ბერძენი დაასახლა და ამ გზით განაახლეს ვერცხლის საბადოთა დამუშავება ახტალაში, ხელი მიჰყვეს ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებას და

სხვ. ისე რომ, იყო პერიოდები, როდესაც ახტალის ვერცხლის საბადოებში და სარეწაოებში 700-დან 1000-მდე ბერძენი მუშაობდა [1, გვ. 377].

XVIII ს. 70-იანი წლებიდან საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში მეტ-ნაკლებად ჩნდება არაერთი მსხვილი სარეწაო, რომელნიც იმდროინდელი წყაროებით „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდება. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა, მაგალითად, „თოფ-ზარბაზნების“ ქარხანა, სამეფო ზარაფხანა, სტამბა, მინის სარეწაო, მარილსახდელი, „საპნის ქარხანა“, „თოფის წამლის ქარხანა“, სამღებროები, ტყავის დამუშავების სადაბალო და სხვ. რომელთა უმრავლესობა მეფისა და მისი ახლობლების საკუთრებას წარმოადგენდა. აღნიშნული მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები ამა თუ იმ სარეწის იჯარით აძლევდნენ კერძო პირებს, დიდ ვაჭარ-მოქალაქეებს და შეძლებულ ოსტატ-ხელოსნებს. ამ შემთხვევაში, რაკი მოიჯარადრეებს საკუთარი ყმები არ გააჩნდათ, ბუნებრივია, მასში ხელოსან-ოსტატებისა და შავი მუშების დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ამ და სხვა პროცესების მძლავრ ცენტრს კვლავინდებურად თბილისი წარმოადგენდა. მოვლენების დანქარებაში კი უდიდესი როლი ითამაშა დარიალის სავაჭრო გზის გახსნამ, რომლის მეშვეობითაც თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ვაჭრებს საშუალება მიეცათ, კავშირურთიერთობა დაემყარებინათ არა მარტო ასტრახანთან, მოზდოკსა და ყიზლართან, არამედ ნიუნი-ნოვგოროდთან, მოსკოვთან და სხვა. ქალაქებთან. მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნული ვითარებისა, თბილისი ჯერ კიდევ ძირითადად აღმოსავლეთის ქალაქებთან ვაჭრობდა. აქ ყოველდღიურად მოედინებოდა ქარავანი განჯიდან, შემახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და სხვა ქალაქებიდან, თბილისიდან, როგორც ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრიდან, XVIII ს. 50-60-იანი წლებისათვის ყოველთვიურად სხვადასხვა საქონლით დატვირთული 150-200 ურემი გადიოდა. თბილისელ ვაჭრებს ბევრეული გაჰქონდათ ირანისა და ოსმალეთის ქალაქებში. აქედანვე გადიოდა აბრეშუმის ნაწარმი, მატყლი, ტყავეული, ენდრო, ღვინო, თაფლი, ერბო და სხვ. თბილისური საქონელი განსაკუთრებით ფართოდ გაჰქონდათ აგრეთვე კავკასიის მთიანეთში, სადაც აქაური ნახელავი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა [2, გვ. 364].

ამ პერიოდის საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ქ. ქუთაისიც, რომელიც საგარეო ვაჭრობას აწარმოებდა უმთავრესად ოსმალეთის ქალაქებთან, საიდანაც ფართოდ შემოჰქონდათ ევროპული საქონელი.

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის ეკონომიკური აღორძინებისათვის, ერეკლე მეორემ, როგორც დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ, ქვეყნის სამომავლო განვითარების არაერთი საგულისხმო, სრულიად ახალი გზა დასახა და განახორციელა, რომელიც უმთავრესად ევროპისაკენ იყო ორიენტირებული. იგი სავსებით სამართლიანად მიისწრაფოდა დასავლეთისაკენ, საიდანაც მართლაც შესაძლებელი იყო ქვეყნის ძლიერების წყაროს პოტენციალის ზრდა, რაც გამოიხატებოდა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებაში. ამიტომ, იგი ყოველნაირად ცდილობდა, რათა თავის ქვეყანაში მოემრავლებინა „კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი“. ამ მიზნით იგი ცდილობდა უცხოეთიდან მოეზიდა სპეციალისტი-ოსტატები, ხოლო მეცნიერების დასაუფლებლად კი ახალგაზრდებს გზავნიდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამასთან, იგი ერთობ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაპიტალისტ-წამომწეებელთა მოწვევას, მსხვილ ხელოსნურ გაერთიანებებს და ამ მხრივაც სათანადო ნაბიჯებსაც დგამდა.

ყველა აღნიშნული პროცესი, ბუნებრივია, თანდათანობით კიდევ უფრო მასშტაბური ხდება და კარგად გამოკვეთილ სახეს იღებს XIX ს. II ნახევარში და, ამდენად, ზოგიერთ მანუფაქტურულ საწარმოში, სახელოსნოში კაპიტალისტები აერთიანებდნენ ერთი და იმავე სპეციალობის ხელოსნებს.

ასეთი ტიპის მანუფაქტურულ საწარმოებში საკმაოდ დიდი როლდენობით მზადდებოდა საქართველოს ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო საქონელი, რომელთაგან

განსაკუთრებული მოთხოვნებით სარგებლობდა: ბამბის, აბრეშუმის, შალის, ნაბდის, ქუდების, ფეხსაცმელის, რკინის, იარაღ-ინვენტარის, სამშენებლო მასალის, თიხის, მინის, საღვინე კასრების, ხის ავეჯის, საპნის, ტყავისა და სხვ. ნაწარმი. ამდენად, მარტო თბილისის გუბერნიაში 60-იანი წლებისათვის ფუნქციონირებდა 450-მდე მანუფაქტურული საწარმო, სადაც 5 000-ზე მეტი დაქირავებული მუშა შრომობდა. ამ რიცხვში არ შედიოდა სოფლებში მოქმედი მრავალრიცხოვანი გლეხური საწარმოები – სარეწები, რომელნიც ხშირად მანუფაქტურული ტიპის სახელოსნოებს წარმოადგენდნენ.

XVIII ს. 50-60-იან წლებში თანდათან გამოიყო ცალკეული, დიდი საწარმოები, სადაც გაჩნდნენ პირველი მანქანური დანადგარები, თუმცა აქ ჯერ კიდევ ხელით შრომა სჭარბობდა, რაც, თავის მხრივ, მოასწავებდა მანუფაქტურული წარმოებიდან ინდუსტრიულ საწყის ეტაპზე გადასვლას. სწორედ ამ პროცესის ერთ-ერთი დამადასტურებელი იყო საქართველოში მინის წარმოების განვითარება, რომლის ინტენსიური წარმოება გარდაუვალი გახდა ღვინის საბაზრო დანიშნულების გაფართოებასთან ერთად. აღნიშნული პროცესი კი განსაკუთრებით გააქტიურდა XIX ს. პირველ ნახევარში.

XIX ს. 50-60-იან წლებში, გორის მაზრის სოფ. ღვარებში – ატენის ხეობაში უკვე არსებობდა მინის საკმაოდ დიდი მანუფაქტურული საწარმო, რომელიც მემამულე ელიზბარ ერისთავს ეკუთვნოდა და იგი 1843 წლიდან ფუნქციონირებდა. აღნიშნული საწარმო წელიწადში 100 ათასამდე ღვინის ბოთლს, აგრეთვე დიდი რაოდენობით სასარკე მინას და სააფთიაქო ჭურჭელს უშვებდა. აღნიშნულ საწარმოში მრავალი ათეული დაქირავებული მუშა მუშაობდა, სადაც სისტემატურად იყო განაწილებული შრომა. აღსანიშნავია, რომ იგივე ელიზბარ ერისთავი დიდი მემამულეც იყო, რომელიც ქართლის ცალკეულ რეგიონებში ევროპულ ყაიდაზე ადგილობრივი და შემოტანილი ხეხილის ჯიშების ბაზაზე, დიდ ბაღებს აშენებდა.

XIX ს. 80-იანი წლების შუახანებისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 360-მდე წვრილი კაპიტალისტური საწარმო. ამასთან, აღნიშნული მონაცემები დაახლოებითია, რამდენადაც მთელი რიგი დარგებიდან ცნობები არაა შემორჩენილი (ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვ. დამზადება), სადაც მსგავსი საწარმოების არსებობა აუცილებლად სავარაუდებელია. იმ საწარმოებში კი, რომლებზედაც შესაბამისი ცნობებია, სულ 1560-მდე მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1200 ათას მანეთზე მეტს. ეს იყო ათობით ლითონდამმუშავებელი (საზეინკლო, სამჭედლო), სახერხი, საღურგლო, აგურისა და კრამიტის, ტყავის, არყის სახდელი, საპნის, სანთლის, ზეთსახდელი, საამკინძაო, მინერალური წყლების, საკონდიტრო თუ სხვა სახის საწარმოები [2, გვ. 213].

ბუნებრივია, ლითონდამმუშავებელი ქარხნის დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში, სადაც 90-იანი წლების მიწურულს და 900-იანი წლების დასაწყისში გამოირჩეოდნენ იარაღოვის, კარაპეტოვის, ბერეჟანოვის, ანანოვის, პოპოვიჩისა და რუქსის მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნები. მუშათა რაოდენობამ ამ საწარმოებში 300-ს გადააჭარბა, ხოლო პროდუქციის ღირებულებამ – 316 ათას მანეთს. ამავე დროს მექანიკური საწარმოები იყო აგრეთვე ბათუმშიც, სადაც 1900 წლისათვის აქ არსებულ 2 თუჯსასხმელ და მექანიკურ ქარხანაში 125-მდე მუშა შრომობდა და პროდუქციის ღირებულება 140 ათას მანეთს აღწევდა.

90-იანი წლებისათვის, თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა მასშტაბების ზრდასთან ერთად, მიმდინარეობს თვისებრივი ხასიათის ცვლილებები შიგნით წარმოებაში. გარდა იმისა, რომ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს მანქანური წარმოება, აქ თანდათან ინერგება თვით მანქანების ან მათი ნაწილების დამზადებაც. ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული 90-იანი წლებისათვის, რამდენადაც ორთქლის ქვაბების ნაწილი თბილისის ზოგიერთ საწარმოში რომ დაიდგა, დამზადებული იყო პოპოვიჩის ან სხვა თბილისელი კაპიტალისტების ქარხნებში [4, გვ. 58].

რამდენადაც კაპიტალისტური ფაბრიკა თავისი შინაარსით ისეთ მსხვილ წარმოებას წარმოადგენს, რომელიც დამყარებულია დაქირავებულ შრომაზე და ამზადებს პროდუქციას მანქანა-დანადგარების გამოყენებით, ამდენად ასეთი ფაბრიკა და ქარხანა, როგორც აღინიშნა, საქართველოში უპირატესად უცხოელმა მრეწველებმა ააშენეს. 1851 წ. კაპიტალისტმა სტრუშემ თბილისში ააშუშავა მექანიკური ქარხანა, რომელიც დამყარებული იყო ევროპიდან შემოტანილ მანქანებზე. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამომსხმელი ქარხანა. 1863 წ. იმავე უცხოელმა კაპიტალისტმა ბოლნისის სოფ. ჩათახში არსებული რკინის მადნის ბაზაზე, რომლის დამუშავება ჯერ კიდევ XVIII ს. მიმდინარეობდა, ააშენა რკინის და თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც წლიურად 65 000 ფუთ თუჯს უშვებდა. 1865 წ. ინგლისელმა კაპიტალისტმა რუქსმა თბილისში გახსნა მსხვილი მექანიკური ქარხანა და ა.შ. [5, გვ. 162].

ჯერ კიდევ 1862 წ. კავკასიის მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ მეფეს წარუდგინა თბილისისა და ფოთის შორის რკინიგზის გაყვანის პროექტი, რომელიც 1864 წელს დამტკიცდა და მისი მშენებლობა მიანდეს ინგლისელ კაპიტალისტებს, რომლებიც მალევე შეუდგნენ მუშაობას. 1877 წ. სადგურ რიონიდან გაყვანილი იქნა რკინიგზის ხაზი ქუთაისამდე და, ამდენად, ეს ორი მსხვილი ქალაქი დაუკავშირდა ერთმანეთს. ამიერიდან თბილისი მტკიცედ დაუკავშირდა შავ ზღვას, რაკი 1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა თბილისი-ფოთის რკინიგზის ხაზზე. 1883 წ. დამთავრდა რკინიგზის ხაზი – ბათუმი, სამტრედია, თბილისი, ბაქოს შორის და ამით რკინიგზის ხაზი გადაიჭიმა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. შემდგომში რკინიგზის ხაზი გაყვანილი იქნა ქუთაისიდან ტყიბულამდე (1886) და ამრიგად რკინიგზებმა დაახლოვა და ეკონომიკურად შეამჭიდროვა არა მარტო ქვეყნის შიგნით რეგიონები, არამედ მეზობელი სახელმწიფოებიც. აღნიშნულმა მოვლენებმა, ბუნებრივია, დიდად გამოაცოცხლა ადგილობრივი ვაჭრობა, წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავება და, საერთოდ, საზოგადოების ცხოვრების გააქტიურება. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რკინიგზა ერთ-ერთ უდიდეს კაპიტალისტურ საწარმოდ წარმოდგა, რომელზეც იყო ძირითადად დაფუძნებული მრეწველობის ყველა დარგის განვითარება. ამ და სხვა არსებითი ხასიათის მოვლენებმა განაპირობა და დაახქარა 1862-1872 წლებში თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში მსხვილი მექანიკური სახელოსნოების გახსნა, რომლებიც სპეციალურად რკინიგზის მშენებლობას ემსახურებოდნენ. 1883 წელს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნო, რომელიც ერთ-ერთ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა საქართველოში. ამ ყველაზე მსხვილ საწარმოში დასაქმებული იყო რამდენიმე ათასი მუშა. ამავე პროცესებს მოჰყვა სამთამადნო მრეწველობის სწრაფი განვითარება, კერძოდ ქვანახშირისა და მარგანეცის წარმოება და ა.შ.

ფაბრიკულ-ქარხნული მასშტაბებით და დიდმწარმოებლურობით ყურადღებას იქცევდა აგრეთვე ბათუმის მრეწველობა, რომელსაც განსაკუთრებით ეყრება საფუძველი 80-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ბაქოს ნავთობის ექსპორტის ამოქმედება. 1883 წ. ინჟინერმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ დააარსეს „კასპია-შავი ზღვის ნავთის დამამუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება“, რომელიც 1886 წ. გადავიდა როტმილდის პარიზის ფირმის ხელში. ამ დროისათვის ნავთობის ექსპორტისათვის გათვალისწინებული თუნუქის ბიდონებისა და მათი ჩასაწყოები ხის ყუთების დამამზადებელ ქარხანაში, რომელიც ფირმას ეკუთვნოდა, მუშაობდა 469 მუშა. ეს ქარხანა წელიწადში უშვებდა 2800 ათას ცალ ნავთის ტარას. 1885 წ. გაიხსნა კიდევ ორი ქარხანა – სიდერიდისისა და რიხნერის, სადაც მარტო ამ უკანასკნელში მუშათა რაოდენობა 30 ადამატივობდა. ამ ქარხნებში ორთქლის ძრავიანი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული. 1887 წ. დაარსდა ხაჩატურიანცის, მანთაშევის, ძმები ცოვიანოვების ქარხნები და რამდენიმე სხვა წვრილი საწარმო. ამავე პერიოდისათვის ბათუმის ყველა მნიშვნელოვანი საწარმო მექანიზებული იყო. აქვე

მოქმედებდა ნავთის ტარის 5 მსხვილი ფირმის ქარხნები: კასპია-შავი ზღვის საზოგადოების – როტშილდის მანთაშევის, ხაჩატურიანცის, რომელიც ნობელის ფირმისათვის ამზადებდა ნავთის ტარას, ცოვიანოვებისა და სიდერიდისის საწარმოები და სხვ. ამავე საწარმოებს, გარდა თუნუქისა და ხის ყუთების საამქროებისა, ჰქონდათ აგრეთვე მექანიკური სახელოსნოები, სახერხი საწარმოები, სამანქანო და საქვაბე განყოფილებები. ამ საწარმოებში მუშათა რიცხვი 2 ათას აღემატებოდა. პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 7,4 მილიონ მანეთს აღწევდა. 1898 წლის მონაცემებით, ბათუმში დამზადდა სულ 22 მილიონ ცალზე მეტი თუნუქის ყუთი, რომელთა ჩასაწყობად 11 მილიონზე მეტი ხის ყუთი შეიკრა. ისე რომ, ბიდონების საშუალებით, აღნიშნული დროისათვის წლიურად გაჰქონდათ 20 მილიონამდე ფუთი ნავთი [6, გვ. 46].

ამასთან ერთად, 900-იანი წლებისათვის ბათუმის საწარმოებში, სადაც არამარტო ნავთის ტარა მზადდებოდა, არამედ ნავთის გადასხმაც წარმოებდა გემებზე შესაბამისი საქაჩავეების მეშვეობით, მოქმედებდა ორთქლის 17 მანქანა 653 ცხენისძალის სიმძლავრით. აქვე მუსაობდა 48 ორთქლის ქვაბი 1736 ცხენის ძალით. აგრეთვე დინამო მანქანა 13. ისე, რომ სხვადასხვა დაზგისა და აპარატის რაოდენობა ათასზე მეტს შეადგენდა, ხოლო ორთქლის საქაჩავეების რიცხვი 73-ს შეადგენდა. ამასთან, 172 რეზერვუარი და კასრი 17 მილიონ ფუთზე მეტ ნავთობს იტევდა. აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ აქ განლაგებულ ყველა ფირმას გააჩნია საკუთარი სარკინიგზო ხაზი, რიტაც ქარხნები რკინიგზის მაგისტრალს უკავშირდებოდნენ. [7, გვ. 213].

აღნიშნული პერიოდისათვის, თბილისის გუბერნიიდან გამოირჩეოდა საუფლისწულო უწყების ქარხანა ბორჯომის მამულში და ზეზემანის ქარხანა ატენში. ამ ორივე საწარმოში 70-მდე მუშა მუშაობდა, სადაც პროდუქციის ღირებულება 210 მანეთს შეადგენდა. ქუთაისის გუბერნიაში 1900 წელს არსებული სახერხი ქარხნებიდან გამოირჩეოდა სერებრიაკოვის ქარხანა სოფელ მარანში (სენაკის მაზრა) და მაქსიმოვის მემკვიდრეებისა სოფელ აძიუბუაში (სოსუმის ოლქი). ამ საწარმოებში მუშათა რაოდენობა 160 აღწევდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 600 ათას მანეთს აღემატებოდა. ამავე პერიოდისათვის წარმოების ფაბრიკული ფორმა ფეხს იკიდებს აგურის წარმოებაშიც. აღნიშნული დროისათვის მარტო თბილისში ფუნქციონირებდა 4 მსხვილი აგურის ქარხანა, ამავე დროს ამოქმედდა ბერგმანის მინის ქარხანა ბორჯომში, მეორე ამ ტიპის ქარხანა მოქმედებდა ბორჩალოს მაზრაში, რომელიც თავდაპირველად კუჩენბახს ეკუთვნოდა. 70-იანი წლების დასაწყისში ამოქმედდა ერთ-ერთი მსხვილი საწარმო საქართველოში, გ. მირზოევის საფეიქრო ფაბრიკა თბილისში. ფართო მასშტაბით იწყება აგრეთვე ტყავის დამუშავება თბილისში 1875 წელს გრ. ადელხანოვის მიერ დაარსებული ქარხნით, სადაც თავდაპირველად ძირითადი საწარმოო პროცესები მექანიკური იყო. ტყავის მეორე მსხვილი საწარმო თბილისში იყო 1892 წელს ზარგარიანცისა და ვართაზარიანცის მიერ დაარსებული.

საქართველოში ფართო გაქანებით იწყება თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობაც, თუმცა აქ შედარებით გვიან დაიწყო ფართო მასშტაბური მანქანური ტექნიკის დანერგვა. თავდაპირველად აქ შემოდის თამბაქოს მექანიკური საჭრელი დაზგები, ხოლო უფრო გვიან, 90-იანი წლების მიწურულს, პაპიროსის მკეთებელი მანქანებიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, აღნიშნული დროისათვის ჯერ კიდევ არ ხერხდებოდა მთელი პროცესების მექანიზაცია და ხელით შრომა კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა. ამგვარად, 90-იანი წლებისათვის საქართველოში 7 შედარებით მსხვილი თამბაქოს ფაბრიკა ფუნქციონირებდა. აქედან 4 თბილისში, ერთი ქუთაისში და ორი ბათუმში.

რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში ფართო მასშტაბურ ხასიათს იღებს სპირტიანი სასმელების წარმოებაც, რომელთაგან აღსანიშნავია ბორჯომთან ბახის მიერ

1877 წელს დაარსებული საწარმო, სადაც 29 მუშა მუშაობდა და პროდუქციის ღირებულება 161 ათას მანეთს უდრიდა, თუმცა მას დიდხანს ვერ უარსებია და, ამდენად, სპირტისა და საერთოდ სპირტიანი სასმელების ფაბრიკული წარმოება მყარ საფუძველზე მხოლოდ 1884-1885 წლებში გახდა შესაძლებელი. იგი უკავშირდება თბილისში დ. სარაჯიშვილის მიერ არეის სახდელი ქარხნის დაარსებას, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი ბოლქვაძის მიერ საქართველოში პირველად სპირტიანი სასმელების წარმოების დაწყებას. ამავე დროს, მრეწველობის კონცენტრაციის მაგალითს წარმოადგენდა აგრეთვე საპნის, სანთლისა და ზეთსახდელის წარმოება, რომელიც თავმოყრილი იყო თბილისში და მათ ბაზაზე შეიქმნა ერთიანი წარმოება. ფაბრიკული წარმოება ფეხს იკიდებს აგრეთვე ლუდის დამზადებაშიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლუდის მსხვილი ქარხნები ადრიდანვე ეკუთვნოდათ ვეტცელსა და მადერს, სადაც 900-იანი წლებისათვის პირველში 50, ხოლო მეორეში 30-მდე მუშა მუშაობდა.

კაპიტალისტური საწარმოები გაჩნდა აგრეთვე ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოებში, 90-იანი წლებისათვის ხდება პოლიგრაფიული საწარმოს სრული მექანიზაცია. ამ პერიოდისათვის თბილისში უკვე 6 მსხვილი სტამბა არსებობდა. გარდა ამისა, საქართველოში იყო ცალკეული სხვა საკმაოდ მსხვილი საწარმოებიც. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა ასანთის ქარხანა, ცხენის რკინიგზა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სახელოსნოები და სხვ. [8, გვ. 86].

#### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V, 1970.
2. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები. ტ. I, 1931.
3. საქართველოს ისტორია. ტ. I (დამხმარე სახელმძღვანელო), 1962.
4. საქართველოს სახალხო მეურნეობა (1921-1967). პ. გეგეშიძის რედაქტორობით, 1967.
5. საქართველოს ისტორია. ტ. II, 1970.
6. პავლიაშვილი დ. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ისტორია საქართველოში, 1998.
7. ხოშტარია ე. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, 1966.
8. როდონაია ნ. თბილისის მრეწველობა XIX ს. II ნახ. თბილისი, 1961.

*Pavliashvili Akaki*

#### **RESULTS OF INDUSTRIAL REVOLUTION IN GEORGIA SUMMARY**

On the basis of generalization of actual data, the work "Results of Industrial Revolution in Georgia" studies drastic changes that took place in the second part of XVIII and in XIX century, caused by introduction-development of capitalist relations and its role in social-economic life of the country.

## საბარეო ვალის რისკი გლობალიზაციის პირობებში

ვალი, სესხად აღებულ ფულს, ნისიად წადებული საქონლის საფასურს და სხვა მსგავს თანხას ნიშნავს, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი<sup>109</sup>. რაც კონკრეტულად გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. იგი (რისკი) სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის აღბათობაა.

როცა მრავალმხრივ სირთულეებს ქვეყანაში პარადოქსული წინააღმდეგობებიც ახლავს (საწარმოო რესურსების დეფიციტები; მეწარმეობის განვითარების დაბალი დონე; კარგ ცხოვრებაზე მოსახლეობის მაღალი ინტელექტით გამოწვეული პრეტენზიები და ა.შ.), მაშინ თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლის სურვილები ქვეყანას, რისკის გაუთვალისწინებლად ვალის აღების სიკეთეების გათვალისწინების წინა პლანზე წამოწევას აიძულებს.

**პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დამკვიდრებულმა პარადიგმებმა და პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩატარებულმა აგრესიულმა პრივატიზაციამ ქვეყანას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, საგარეო ვალის მასშტაბების ზრდის გარდა, სხვა გამოსავალი არ დაუტოვა.** მაგრამ გლობალიზაციის ფენომენი ამ შემთხვევისათვისაც საიმედო აღმოჩნდა.

ახლო წარსულში ქვეყნის მართვის პრობლემებზე გადაწყვეტილების მიღებისას სამთავრობო სტრუქტურებიდან მეცნიერებს ნაკლებად ეკითხებოდნენ, რაც მეტწილად უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა და შემდეგი მოთხოვნით იფარგლებოდა: მოგვეცით თქვენი წინადადებები ...

ამ მხრივ უკეთესი პირობები პოსტსაბჭოთა საქართველოშიც არ შექმნილა, რამაც მთავრობის მოკრძალებული გადაწყვეტილებების მოსალოდნელი უარყოფითი მხარეების უყურადღებოდ დატოვების პირობები შექმნა.

ვალის აღებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ეკონომიკური რისკის გათვალისწინება შესაბამისი საფრთხეებიდან თავის დაღწევის კარგი გამოსავალი შეიძლება იყოს, თუნდაც მისი მრავალმხრივი განუსაზღვრელობის პირობებში.

რამდენადაც მეცნიერთა შემოქმედებას აგრესიულობა არ ახასიათებს, ისინი მოსალოდნელი საფრთხეების აღსაკვეცად (ან, უკიდურეს შემთხვევაში, სიმწვავის შესასუსტებლად) დამცავ მექანიზმებს ქმნიან, მეცნიერთა შემოქმედება მეცნიერების გლობალიზაციის ერთ-ერთი შენაკადია და კეთილსინდისიერი იდეების სრულყოფას ემსახურება საგარეო ვალის სიკეთეების გონივრული გამოყენება, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ვალის აღების ნიუანსებშიც გარკვევას, ქვეყანაში კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს. მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგი შესაბამისი რისკის მეცნიერული ანალიზის გარეშე სახიფათო აღმოჩნდეს, რასაც ძირითადად ინფორმაციის შეზღუდულობა განაპირობებს.

(მომავლის იმედით მეცნიერები ყოველთვის იტანდნენ სიძნელეებს, რომლებიც მათ ბოლომდე დაუფასებელ შრომას ზოგჯერ თან ახლდა იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ).

ამ მხრივ სავაჭრო ურთიერთობასთან დაკავშირებული პირველადი მონაცემები შედარებით ხელმისაწვდომია, თუმცა სირთულეები მისთვისაც არის დამახასიათებელი. ასეთ პირობებში მოსალოდნელია პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკა მსოფლიოს პროგრესისაგან იზოლირებული დარჩეს, რამდენადაც მისთვის ძნელი იქნება უძრაობისგან

<sup>109</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბილისი, 1986, გვ. 226.

თავის დაღწევა. მაგრამ ესეც შედარებითია. იგი, როგორც განხერხებული ეკონომიკა, გარკვეულ წონასწორობაში ერთხანს შეიძლება დარჩეს, მაგრამ საიმედოა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპებისა და სინერგიული დონის იმპულსების ზეგავლენა გლობალიზაციის პირობებში.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დონორი სახელმწიფოები პოსტსაბჭოთა საქართველოს ეხმარებიან, მათ შორის საჭიროებისამებრ სესხსაც აძლევენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ვალს რომ გადახდა უნდა, ესეც რეალობაა, მით უფრო საგარეო ვალის შემთხვევაში, რომლებსაც რისკი, როგორც მოსალოდნელი ზარალის შიში, ახლავს. ამიტომ არსებითია ვალის გადახდის პირობებსა და გადამხდელის შესაძლებლობებში გარკვევა. მხოლოდ ამის საფუძველზეა მიზანშეწონილი პასუხისმგებლური გადაწყვეტილებით ვალის აღება, რომლის ძირითადი ელემენტი ოპტიმისტური და პესიმისტური პროგნოზებიც არის. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, საჭიროა, საგარეო ვალის ეკონომიკა, რისკთან ერთად, გლობალიზაციის პირობებში, როგორც მიმართულება, ცალკე იქნეს შესწავლილი. ამას მრავალმხრივი შემთხვევებიც განაპირობებს. ასე მაგალითად, აშშ-ში მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებიდან, მაღალი დონის მეცნიერთა დამკვიდრება და იქ სამეცნიერო კვლევების ჩატარება საიმედოა დიდი პერსპექტივით მეცნიერული აღმოჩენებითა და გამოგონებებით.

ყურადსაღებია, შინაარსითა და მნიშვნელობით, გაფრთხილებები ვლადიმერ პაპავას მიერ „ნეკროეკონომიკისა“ და „ზომბირების“ საშიშროებებზე მსოფლიოში [1, გვ. 33-558], რაც რისკის საშიშროებასაც მოიცავს. ამ მხრივ ის შეიძლება განიხილოს, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი მაგალითი.

გლობალიზაციიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნები მრავალმხრივ სიკეთეებს მოეღიან. მაგრამ შევნიშნავთ იმასაც, რომ საგარეო ვალის აღება, შესაძლებელია, სესხის მომცემი სახელმწიფოს შორს გამიზნული აგრესიის გათვალისწინებით, სახიფათოც აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, რუსული მსხვილი კომპანიების მიზანი იყო, ხელში ჩაეგდოთ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული საწარმოები [2, გვ. 23-24].

პოსტსაბჭოთა საქართველოში საგარეო ვალის აღების მასშტაბებისა და იმპორტის ზრდამ მარკენტიგული სამსახურის გაუმჯობესება გამოიწვია. მაგრამ შექმნა ახალი საფრთხეებიც, რომელთანაც დაკავშირებულია რისკის ოპტიმიზაციის გამოვლენა და მეცნიერული ანალიზი, შესაბამისი მართვაც საიმედოა. მაგრამ, ამასთან, გასათვალისწინებელია გლობალიზაციის პირობებში წამოჭრილი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მეტწილად ბრმა რისკით ალაღბედზეა მიშვებული.

ეკონომიკაში არსებული ცალკეული წინააღმდეგობრივი პროცესების განმუხტვა რისკის საშუალებით შესაძლებელია, მაგრამ დაუშვებელია რთული პროცესების გამარტივებული წარმოდგენა, რამდენადაც მან შეიძლება მოსალოდნელი ხიფათის მასშტაბების ზრდა გამოიწვიოს. ამ მხრივ უკეთესია დივერსიფიკაციით სარგებლობა და ა.შ.

**საგარეო ვალის აღებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მისი მიზანშეწონილობაში გარკვევა „ზოგადი მიდგომით“ შეუძლებელია. მოსალოდნელია დეტალიზებაც ვერც მოხერხდეს, მაშინ, როგორც წინაპირობა, უნდა გაირკვეს ვალის ამღების გადახდისუნარიანობა, რათა შეფასდეს მომგებიანობისა და ზარალის სავარაუდო ვარიანტები.**

ამასთან დაკავშირებით სესხის აღების მიზანშეწონილობის შესაფასებლად ნაშრომში [3, გვ. 189-192] დასმული ამოცანისათვის შედგენილია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და ჩატარებულია მისი პირველადი ანალიზი.



პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე მისი უშუალო გამოყენება, სარწმუნო მონაცემების არარსებობის გამო, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. სხვა მიდგომების მოშველიება კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს.

ყველა შემთხვევაში რისკს „ვერ გავექცევით“, რადგან იმ რისკზე თუ არ წახვალ, რომელიც გამოავლინე, მაშინ ავტომატურად სხვა რისკის წინაშე აღმოჩნდები და ა.შ.

საერთოდ, რისკთან დაკავშირებული თუნდაც ზოგადი გაფრთხილება უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. მომავალში სასურველია შეიქმნას ისეთი მსოფლიო წესრიგი, რომელიც შესაძლებელს გახდის ეროვნული სახელმწიფოსათვის გლობალიზაციის სიკეთეების „ხელმისაწვდომობას“ და, ამასთან, ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომელიც შეამცირებს მისთვის თანმდევ რისკს, როგორც საფრთხეს – აღნიშნულია ნაწილი არევაძისა და თინა ჩხეიძის სტატიაში [4, გვ. 657].

ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეცდომის წინაშე აღმოჩნდებით, თუკი მხოლოდ რისკის რაოდენობრივ შეფასებაზე შეგნერდებით და არ გავითვალისწინებთ სხვა სახის მოსალოდნელ ზარალს. ეს, პირველ რიგში, ინფორმაციის დეფიციტს ეხება. ამიტომ მნიშვნელობა ენიჭება იმ მეცნიერის პრაქტიკულ გამოცდილებებსა და ვიზუალური ფილტრის ჩატარების უნარს, რომელიც კვლევას ატარებს და რომელიც ხშირად ამართლებს.

ამ მხრივ საქართველოში საგარეო მანველებელია ვალის კონკრეტული მონაცემები, რომელიც დაფიქსირებულია ნაშრომებში [1, გვ. 73-75; გვ. 89-90], სარწმუნოა, მაგრამ სრული არ არის და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

როდესაც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები იმპორტის უშუალო ჩამანაცვლებელი საწარმოების განვითარების საკითხებს უკავშირდება, რისკისადმი უნდობლობა დაზღვევის გააქტიურებასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს.

გარდა ამისა, შევნიშნავთ, რომ კერძო სექტორის რისკის მართვაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკის აფიშირება საკმარისი არ არის რომ რისკმა და დაზღვევამ, ცალკეულ შემთხვევაში, ეფექტიანად იმუშაონ. ამას ისიც ემატება, რომ მოსახლეობა გამკაცრებულ გადასახადებს შეგუებულია, შეჩვეულია იძულებითი რისკით გადაწყვეტილებების მიღებას, ინფორმაციებს საგარეო ვალების მასშტაბების ზრდაზე და ა.შ. თუმცა მასზე სუსტ რეაქციას ავლენს. ამიტომ შეუძლებელია რისკისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებებში გარკვევა.

იაკობ მესხიას სტატიაში [1, გვ. 59-80] ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დახასიათებულია ფინანსური დავალიანების ზრდა პოსტსაბჭოთა საქართველოში. გამოთქმულია სამართლიანი შენიშვნა საგარეო ვალის ზრდის თაობაზე და ისიც, რომ მონაცემები საგარეო ვალზე არის დაუზუსტებელი. საგარეო ვალებისადმი ზედაპირული მიდგომა, საქართველოს გარდა, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგალითად, უკრაინის მთავრობას მიაჩნია, რომ საგარეო ვალი არანაირ საფრთხეს არ შეიცავს. ამის შესახებ იაკობ მესხიას აღნიშნული აქვს სტატიაში [1, გვ. 67]. რაც განპირობებულია იმით, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა გლობალიზაციის გავლენას თავის სასარგებლოდ აღიქვამს. ამჟამინდელი ცივილიზებული მსოფლიოს სახელმწიფოები რელატიურობის პრინციპებით ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ნეგატიური მოქმედებების განეიტრალებით საერთაშორისო ფუნქციას იძენენ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც, ეკონომიკური კოლაფსის საშიშროებისაგან დამცავ მექანიზმად ეკონომიკური რისკი შეიძლება გამოვიყენოთ, რაც შესაბამისი ამოცანის დაკონკრეტებულად და გამარტივებული დასმითაც ყურადსაღები ხდება.

2005-2011 წლების საქართველოს საგარეო ვალზე მონაცემების მიხედვით<sup>110</sup> ჩვენ შეგვექმნა აზრი იმის შესახებ, რომ წლების განმავლობაში ეს მონაცემები ზუსტდება, რაც იწვევს ერთი და იგივე მაჩვენებლებზე განსხვავებული მონაცემებით გამოწვეულ გაუგებრობას; ცხადია, საგარეო ვალები დროში მეტწილად იზრდება, ხოლო მათი დამოკიდებულება ქვეყნის მშპ-თან უკუპროპორციულია; ის, რომ არ ჩანს საგარეო ვალების უშუალო ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ქვეყნის შინაგანი შესაძლებლობების პოტენციალის ინერტიულობის შედეგია, რომლის ამოქმედებას, რისკის მინიმიზაციით გლობალიზაციის პირობებში, მეტი ძალისხმევა სჭირდება.

რისკის ფაქტორით გამოწვეული პესიმისტური დასკვნებისაგან თავს შევიკავებთ და მაინც აღნიშნავთ, რომ „ცივი ომის“ „ცხელი პოლიტიკა“ დღეს მსოფლიოში გარკვეულწილად გამწვავებულია.

თანამედროვე თეორიები უკვე ვერ აკმაყოფილებს მრავალმხრივი განუსაზღვრელობის გავლენით მეტად გართულებული ეკონომიკური ურთიერთობების მკაცრ მოთხოვნებს. ჯერაც არ შექმნილა იმის პირობები, რომ სიდრმისეულად გარკვეულიყო ის ცვლილებები, რაც მსოფლიოში ხდება და რაც მომავალში მოხდება როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ეს, თავის მხრივ, პროგნოზირებასთან არის დაკავშირებული, რომელსაც რისკიც „მოსდევს“ და ა.შ.

რამაზ აბესაძეს ნაშრომებში [1, გვ. 241-242; 5] აღნიშნული აქვს, რომ მსოფლიო ეკონომიკა შედარებით მარტივი ერთგანზომილებიანი სისტემიდან გადადის მრავალგანზომილებიანი სისტემაში; ეკონომიკაზე, გარდა წმინდა ეკონომიკური ფაქტორებისა, მოქმედებს სოციალურ-პოლიტიკური, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, ინფორმაციული, გლობალური და ა.შ. ფაქტორები. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის ეკონომიკის მომავალი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს შესაბამისი სარისკო სიტუაციებითა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებით. მაგრამ გლობალიზაციის სიკეთე და ეფექტიანობა შეიძლება საიმედო გახდეს ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნითა და დანერგვით, კულტურის სრულყოფით, ადამიანების ინტელექტის ამაღლებით [1, გვ. 241], რაც, ჩვენი აზრითაც, ეკონომიკისა და ცხოვრების კუმანიზაციის შემდგომ საფეხურებზე მსოფლიოში თანამედროვე გლობალიზაციის სიკეთით გამოწვეული შედეგებით დამკვიდრდება.

ზემოთ აღნიშნულთან შესაბამისობაში, გლობალიზაცია ვალის ამდები ქვეყნის განვითარების ოპტიმიზაციის იმედს წინა პლანზე წამოწევს. ამასთან, ისიც არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ სარისკო სიტუაციებში გაურკვეველობის შედეგად ქვეყნის მომავალი კრიზისულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ, არსებითია იმის გათვალისწინებაც, რომ საგარეო ვალის აღების დასაბუთებას თან ახლდეს აღებული სესხის ხარჯვის მკაცრად ჩამოყალიბებული გეგმა-პროექტი ან ბიზნესგეგმა. უფრო უკეთესი იქნება თუ გავითვალისწინებთ ღონისძიებებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გასაძლიერებლად და ინვესტიციების მოსაზიდად. რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ვალის გადახდის მოდელების [6, გვ. 174-185] ეფექტიან გამოყენებას. გაურკვეველობა შეიძლება გაირკვეს, ხოლო განუსაზღვრელობა შესაბამისი პროცესების დადგომამდე (რომლებისკენაც მიმართულია კვლევა) ვერ გაირკვევა. ისინი არ უნდა იქნეს გაიგივებულნი. რისკი არ არის ყველაფერი ის, რაც არ ვიცით სარისკო ობიექტების შესახებ. ჩვენი აზრით, რისკის მართვას მათგან მხოლოდ ნაწილი ემორჩილება.

<sup>110</sup> წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge/index.php?m=306](http://www.nbg.gov.ge/index.php?m=306)

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. შრომები VIII ტომი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010.
2. პაპავა ვ., თაფლაძე თ. „ლიბერალური იმპერიის“ რუსული მოდელი და პოსტრევეოლუციური საქართველოს გამოცდილება. ჟურნალი „ეკონომისტი“, №1, 2009, გვ. 23-26.
3. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი, „უნივერსალი“, 2004.
4. არევაძე ნ., ჩხეიძე თ. გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საბაზისო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი IV. თბილისი. „მეცნიერება“, 2004, გვ. 649-659.
5. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბილისი. „მერიდიანი“, 2006.
6. ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ. საინვესტიციო პროექტები, თეორია, ანალიზი, მართვა. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

*Sarchimelia Roland  
Tapladze Tamar*

### **RISK OF FOREIGN DEBT UNDER GLOBALIZATION SUMMARY**

The article analyzes the causes of putting the attractiveness of foreign debt risk on the first place in connection with globalization and separate cases of denying its expectable threat.

*მზია ტიკიშვილი  
ნინო მიქიაშვილი*

### **ინფორმაციზაცია, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის აუცილებელი პირობა**

ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებების არნახულმა ზრდამ წარმოშვა ახალი ფენომენი, გლობალიზაცია, რომელმაც ძირეულად შეცვალა სამყარო. გლობალიზაცია შეიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და მნიშვნელოვანი კორექტივებიც შეიტანა. გლობალიზაცია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საყოველთაო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციებისა და უნიფიკაციების პროცესი, რომლის ძირითად შედეგს წარმოადგენს შრომის მსოფლიო დანაწილება, მთელი პლანეტის მასშტაბით კაპიტალის, შრომითი და საწარმოო რესურსების მოძრაობა, კანონმდებლობის სტანდარტიზაცია, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების კულტურათა დაახლოება.

გლობალური ეკონომიკა მზარდ გავლენას ახდენს როგორც კომპანიათა ეკონომიკურ მომავალზე, ასევე ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობაზე. ეროვნული წარმოების გლობალიზაცია ადამიანთა კეთილდღეობას ამადლებს, თუ მათ ხელეწიფებათ ინფორმაციის მიღება და გადაამუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესი ამცირებს ადგილობრივ მთავრობათა მხრიდან საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. მათ უჭირთ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება სამამულო წარმოების დასაცავად. ამასთან, ტრანსნაციონალური კომპანიები

საზღვრების გახსნის გზით იაფად ყიდულობენ ნედლეულს. გლობალიზაციის შედეგად უკვე შესაძლებელია ერთი ქვეყნის (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები) ეკონომიკა<sup>111</sup> მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. ამ ზესახელმწიფოს ეროვნული ვალუტა საერთაშორისო ოპერაციების უდიდეს ნაწილში გამოიყენება და მისი კურსის ცვლილება პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე, აფართოებს ან ამცირებს მის მასშტაბებს. აღნიშნული პროცესების ჩამოყალიბება-განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციული ინფრასტრუქტურა.

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი გახდა დინამიურად ცვალებადი და დღითი დღე გაუმჯობესებადი ინფორმაციული ტექნოლოგიები. ბოლო ათწლეულებში საზოგადოების სხვადასხვა ფენების მასობრივი ინფორმატიზაცია ფიქსირდება, რომელიც მოიცავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ რესურსებს. მოსახლეობის ინფორმატიზაცია გულისხმობს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში მონაცემთა დამუშავების ავტომატიზაციას და დაგროვილი ცოდნის დაყვანას საზოგადოების თითოეულ წევრამდე ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების, საკომუნიკაციო, ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციის დამუშავების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობის საფუძველზე. ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება შეუძლებელია მისი საყოველთაო კომპიუტერიზაციის, კიბერნეტიზაციის და ელექტრონიზაციის გარეშე. ახალმა ტექნიკურმა საშუალებებმა: მაღალმწარმოებლურმა კომპიუტერებმა, ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა, მიკროელექტრონიკამ, ოპტოელექტრონიკამ, ლაზერულმა ტექნიკამ, თანამგზავრულმა ტექნიკურმა საშუალებებმა, ხელფონური ინტელექტის გამოყენებამ (ექსპერტული სისტემები), ნანოტექნოლოგიის განვითარებამ მოსახლეობის ინფორმატიზაციის საქმეში კატალიზატორის როლი შეასრულეს. თუმცა საკამათოა მათი უარყოფითი გავლენის მასშტაბები გლობალურ ეკონომიკაზე. მნიშვნელოვნად გამარტივდა ინფორმაციის გაცვლა, ელექტრონული ვაჭრობა, ვირტუალური საწარმოების შექმნა, ფინანსური ოპერაციების წარმოება. უკანასკნელ პერიოდში ინფორმაციულმა სისტემებმა და ტექნოლოგიებმა განუზომლად გაზარდეს ფინანსური კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე.

გლობალიზაციის ამჟამინდელი პროცესში გამოკვეთილია შემდეგი სამი ძირითადი კომპონენტი: 1) ტექნოლოგიები (რომელმაც მკვეთრად შეამცირა კომუნიკაციების და ტრანსპორტირების ხარჯები); 2) შრომის დანაწილების ზრდა; 3) თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტირებული სამთავრობო პოლიტიკა. პრიორიტეტი ტექნოლოგიური სახის ცვლილებებს ენიჭება, რადგან მათი საშუალებით ხორციელდება სიბრტყის დანერგვის უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით.

საზოგადოების ინფორმატიზაციის გარეშე უკვე შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის (ვაჭრობა, ტურიზმი, საბანკო სფერო, საფონდო ბირჟა) განვითარება. ინფორმატიზაცია კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ინფორმაციული მომსახურება ესაჭიროება ბაზრის ყველა მონაწილეს, როგორც საქონლის ან მომსახურების მწარმოებელს, ასევე მომხმარებელს. ინფორმაციული პროდუქტისა და მომსახურების ძირითად სახეს წარმოადგენს მონაცემთა ბაზები, რომლის საფუძველზეც აიგება Web-პორტალები (World Wide Web ანუ Web-მსოფლიო აბლაბუდა). მათში დაფიქსირებულია ინფორმაცია კომპანიის შესახებ, რომელიც შეიძლება ეხებოდეს: პროდუქციის მწარმოებელს, საქონლის ნომენკლატურას, ფასებს, ბირჟებს, სტატისტიკურ მონაცემებს, პარტნიორებს, ინვესტორებს და ა.შ. ასე რომ, თანამედროვე ინფორმაციული

<sup>111</sup> ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას ხშირად განიხილავენ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას.

ტექნოლოგიებით შესაძლებელია როგორც მონაცემებისა და ცოდნის ბაზების დისტანციური წვდომა, ასევე მათი დამუშავება. Web-პორტალების, საკონსულტაციო ცენტრების, Web-გვერდების, სარეკლამო საშუალებებისა და ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების საშუალებით კომპანიის მენეჯერი ეფექტურად წარმართავს კომპანიის საქმიანობას. იგი ბაზრის ანალიზის მიხედვით ერკვევა კონკრეტულ პროდუქციაზე რომელ ქვეყანაში როგორი მოთხოვნაა, სადაა შედარებით იაფი ნედლეული და სხვ., ამგვარი მიდგომით მენეჯერს გაცილებით ოპერატიულად შეუძლია: დაადგინოს ფასი, განსაზღვროს ახალი პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) წარმოების ღირებულება, მოახდინოს ახალი ბაზრების ათვისების შეფასება, გააფართოოს საერთაშორისო ვაჭრობის მომსახურების სპექტრი, განსაზღვროს ვირტუალური ოფისების განლაგების ადგილები, დაადგენოს სარეკლამო ვებგვერდი, ვებვიტრინა, ელექტრონული მაღაზიები, მიიღოს შეკვეთები, აწარმოოს უნაღდო ანგარიშსწორება, ადგილების დაჯავშნა და ა.შ. თანაც ეს ყოველივე ხდება რეალური, კითხვა-პასუხის რეჟიმში დროისა და სივრცის საზღვრების გარეშე. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს ტრანსნაციონალური კომპანიების ჩამოყალიბებას, საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების სტიმულირებას, ტურიზმისა და მიგრაციის ზრდას, საფინანსო ოპერაციების შესრულებას, საკომუნიკაციო-სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას და სხვ. ამდენად, საინფორმაციო სისტემები და საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯერებს ეხმარება საჭირო ინფორმაციის მოძიებაში, მონაცემთა ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმაციულ სისტემებს უკვე სტარატეგიული მნიშვნელობა ენიჭება და დღის წესრიგში დგება ციფრული კომპანიების მართვა. საინფორმაციო სისტემები შეუძლებელ ფუნქციას ასრულებენ კომპანიების ბიზნესპროცესებში, ელექტრონულ კომერციასა და ბიზნესში.

ნებისმიერი საინვესტიციო ან სტრატეგიული გადაწყვეტილება საჭიროებს შესაბამის და თანადროულ ინფორმაციას. საერთაშორისო ბაზარზე უმეტესი წილი ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა (IT) და ინფორმაციულ მომსახურებაზე მოდის. IT მომსახურების გლობალური ბაზარი განსაზღვრავს სწორედ ტრანსნაციონალურ კომპანიათა არსებით შესაძლებლობებს. მენეჯმენტისა და ფირმების მიხედვით ბაზრის კვლევების წამყვანი გლობალური კონსალტინგის მიერ ჩატარებული გამოკვლევების საპროგნოზო მაჩვენებლებით 2017 წელს IT მომსახურებაზე დანახარჯები სხვადასხვა სფეროს მიხედვით 5%-ით გაიზრდება 2012 წელთან შედარებით და მიაღწევს 1,147 მილიარდ დოლარს<sup>112</sup>. მნიშვნელოვნად გაიზრდება ინტერნეტის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებათა (e-contracts) რიცხვი, დაიხვეწება საერთაშორისო ბიზნესში ვირტუალური მოლაპარაკების წარმართვის მეთოდოლოგია და წესები, ფართო ასპარეზო მიეცემა ინტერნეტკონფერენციას (e-conference), როგორც მოლაპარაკების წარმართვის საშუალებას, ელექტრონულ ფოსტას (e-mail), როგორც გარიგების ოფერტასა და აქცეპტს, ელექტრონულ ვაჭრობას (e-commerce) და ა.შ.

თანდათანობით სტრუქტურული რეგიონული სივრცის სანაცვლოდ ხდება ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაცია ერთიანი ქსელური და ინფორმაციული საზოგადოების სახით. სხვადასხვა რელიგიის, კულტურის, ეროვნებისა და ქვეყნების ინდივიდთა გაერთიანებით მიმდინარეობს გლობალური ინფორმაციზაციის პროცესი. აუცილებელი ხდება ახალი მსოფლმხედველობისა და სოციალური შემეცნების გამომუშავება.

ინფორმაციზაციის პროცესს თან სდევს შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების ჩამოყალიბება; შრომის დანაწილება (ცალკეული ქვეყანა სპეციალიზდება განსაზღვრული

<sup>112</sup> Global IT Services industry Analysis 2012-2017: Industry Trend, Profit, and Forecast Analysis, Market Publishers, Lucintel, Feb 2012.

სახის პროდუქციის წარმოებაზე. მაგალითად: შვეიცარია - ფინანსური მომსახურებასა და საათების წარმოებაზე, იაპონია – მანქანათმშენებლობაზე, კუბა – შაქრის წარმოებაზე, აზერბაიჯანი – ნავთობპროდუქტებზე და ა.შ.); სამუშაო ძალის დასაქმების სტრუქტურის შეცვლა; მატერიალური წარმოების დარგში დასაქმებულთა შემცირება და მომსახურე დარგებში პერსონალთა გაზრდა. ინტელექტუალური საქონლის (ინფორმაცია, ცოდნა) წარმოებასა და მომსახურებას პრიორიტეტი ენიჭება. ფაქტობრივად ხდება ინდუსტრიული ეკონომიკიდან ინფორმაციულ ეკონომიკაზე გადასვლა, მომსახურების სფეროზე აქცენტის გაკეთება. ასე მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრი საქართველოში საქსტატის მონაცემების დამუშავების საფუძველზე აქვეყნებს საქართველოს მოწინავე 50 კომპანიის ჩამონათვალს 2011 წლის ბრუნვის მიხედვით, სადაც კომპანიების მხოლოდ 30% მოხვდა წარმოების სფეროდან, 70% კი მომსახურებისა და საცალო ვაჭრობის სფეროდან<sup>113</sup>. რეიტინგით პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს კომპანიებმა, რომლებიც საქართველოში ნავთობის იმპორტს ახორციელებენ და გააჩნიათ ბენზინგასამართი სადგურების ქსელი ქვეყნის მასშტაბით („Socar Georgia Petroleum“ და “Wissol Petroleum Georgia”), რეიტინგით მესამე ადგილზე სახელდება საქართველოს რკინიგზა (Georgian Railway)<sup>114</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლების მანძილზე საქართველოში განხორციელებული ცვლილებები ინფორმაციზაციის სფეროში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება, რაც გამოიხატება:

- საზოგადოების კომპიუტერული განათლების დონის ამაღლებით, კერძოდ:
  - საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები, კოლეჯები, პროფტექნიკური სასწავლებლები, უმაღლესი სკოლები) კომპიუტერიზაციით;
  - საზოგადოების კომპიუტერიზაციით (მერიის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები კომპიუტერული კურსების შესწავლის მიმართულებით);
- სხვადასხვა დარგში სპეციალიზებულ პროგრამათა პაკეტების შექმნა-მოდერნიზაციით და გამოყენებით, დარგობრივი საქმიანობის ავტომატიზებული მართვით;
- მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან ინფორმაციული სივრცის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ერთიანი ქსელური ტექნოლოგიები თამაშობს, ხელს უწყობს რა იერარქიული ტერიტორიების ნაცვლად ე.წ. ქსელური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ის წარმოადგენს ერთდროულად საზოგადოების გლობალიზაციის როგორც საშუალებას, ისე შედეგს. ქსელურ სტრუქტურებზე დაფუძნებული საზოგადოება მოიცავს წინააღმდეგობრიობებს მსოფლიო გლობალიზაციასა და თვითმყოფად კონკრეტულ საზოგადოებას შორის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გლობალურ ეკონომიკაში არსებობს უამრავი პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული სამეურნეო კავშირი. ამ შემთხვევაში გლობალიზაცია და პერსონალიზაცია ერთდროულად მიმდინარეობს და ორივე პროცესი იდენტურობის სახის გამოსატყულებაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი ტექნოლოგიების სფეროში არსებულმა მიღწევებმა, რის საფუძველზეც ინფორმაციული საზოგადოება ვითარდება, გარკვეულწილად პოლიტიკური კომუნიკაციების ხასიათიც კი შეცვალა. ბაზრის საზღვრების გაფართოების გამო მეწარმეები ვეღარ შემოიფარგლებიან მხოლოდ ეროვნული ფასეულობებით, მათ ანგარიში უნდა გაუწიონ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესებს. მოგების კანონმა შეარყია სახელმწიფოს „ეკონომიკური პოლიტიკა“. შესაბამისად, ფინანსური ნაკადები და მათი ცირკულაცია ნაკლებადაა დამოკიდებული

<sup>113</sup> ილიას უნივერსიტეტის ბიზნეს მიმოხილვა „iliauni business review“: <http://ibr.iliauni.edu.ge/index.php/ge/>

<sup>114</sup> Georgian Business&Political Insight: <http://www.bpi.ge>

როგორც ცალკეული ქვეყნის მთავრობასა და ეროვნულ ბანკზე, ასევე მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინფორმაციული ასპექტი მოიცავს:

- არსებითად ახალ სატრანსპორტო, საბანკო, სადაზღვევო, საფინანსო ბაზრების ჩამოყალიბებას, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ და იყენებენ უახლეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, საშუალებებსა და ინსტრუმენტებს;

- საერთაშორისო ურთიერთქმედების ახალი სუბიექტების – მრავალეროვნული კორპორაციების, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის ჩამოყალიბებას;

- ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას და მის ჩქარ მოძველებას;

მეცნიერული ანალიზით დგინდება, რომ რადიკალური ცვლილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს ცივილიზაციის შემდგომ ბედზე, მოხდება სწორედ ინფორმაციულ სფეროში. ინოვაციური საშუალებები და ტექნოლოგიები უფრო ღრმად და ფართოდ შეიჭრება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ძირეულად შეცვლის ცხოვრების სტანდარტულ სახეს და ადამიანთა პროფესიულ საქმიანობას მსოფლიოს ყველა კუთხეში. ამ პროცესების შედეგადაც კი კაცობრიობის ისტორიაში თვისებრივად ახალი შესაძლებლობები გაჩნდება.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა. ეს არის რთული წინააღმდეგობრივი პროცესი იმდენად, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთქმედებებს, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ფართო შესაძლებლობებს უსახავს კაცობრიობის უახლოეს მიღწევებთან თანახიარობის მიმართულებით, უზრუნველყოფს რესურსების ყოველმხრივ ეკონომიას და ასტიმულირებს პროგრესულ ძვრებს. ერთ საზოგადოებად ქცევად ქვეყნებს აიძულებს კაცობრიობის მთავარი პრობლემები (გლობალური დათბობა, ბირთვული ომის საშიშროება) საერთო ძალისხმევით გადაჭრან. თუმცა გლობალიზაციას თან სდევს უარყოფითი შედეგიც, მაგალითად, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული რესურსების არარაციონალურად მოხმარება და ცხოვრების დონის დაცემა, მცირე და საშუალო ბიზნესის თანდათანობითი მოსპობა და ა. შ. ასე რომ, მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის გლობალიზაციის საუკეთესო ნაყოფის მიღება ხელმისაწვდომი არ არის. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობამ უნდა გაიცნობიეროს თავისი ფაქტობრივი და პოტენციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე რა პრიორიტეტული მიმართულებებით უნდა მოახდინოს გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვა, რომ სამომავლოდ მისი, როგორც ქვეყნისა და ერის ინტერესები დაცული იყოს.

დასასრულ, მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლითა და გამოყენებითაა შესაძლებელი პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რა შედეგებამდე მიიყვანს გლობალიზაციის პროცესი როგორც მსოფლიოს, ასევე თითოეულ ქვეყანას.

*Tikishvili Mzia*

*Mikiashvili Nino*

## **INFORMATIZATION AS A NECESSARY CONDITION OF ECONOMIC GLOBALIZATION**

### **SUMMARY**

The article discusses the process of informatization, such as main cause of globalization of the economy. There is proved the formation of the informatization of the Global society, as the information includes:Automation of data processing in all areas of human activity and bringing the accumulated

knowledge to each member of the public based on the summaries of mathematical models, technical resources, communication tools and organization forms of data processing.

There is shown also the role of informatization of growth of modern business (such as: trade, tourism, business, banking business), the stock market development, reduced costs of communications and in the movement of financial flows.

The global process of informatization promotes new outlook, and form of social cognition.

Great importance is attached to the intellectual level. This article also examines the planned activities in Georgia in this directions. There is discussed also informational aspects of economic globalization.

Finally, the article shows that the formation of entire society is accompanied by resistance, with its advantages and disadvantages. And to answer the question “to what results will take us the globalization process” will be given by the Information technologies.

## *ნუნუ ქისტაური*

### **საგადამხდელო ბალანსზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებების განსაზღვრა**

ეკონომიკურ ლიტერატურაში საგადამხდელო ბალანსის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, განსაკუთრებით თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

სრულიად განსხვავებული მიდგომები არსებობს გლობალიზაციის პროცესის დაწყების, მისი არსისა თუ მნიშვნელობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის სათავეები საძიებელია იმ პერიოდში (დაახლოებით XV საუკუნე), როდესაც, უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, დედამიწის მცხოვრებლებმა ერთმანეთის გაცნობა დაიწყეს, ანუ საფუძველი ჩაეყარა მათ ურთიერთობებს; მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის პროცესის დასაწყისი ემთხვევა II მსოფლიო ომის დასასრულს, როცა მოხდა მსოფლიოს ე.წ. დიდი გადანაწილება; მკვლევართა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის დაწყების თარიღი უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლასთან, ე.ი. 1993 წელთან, როდესაც პოსტსაბჭოური და პოსტსოციალისტური სივრცე ღია და მისაწვდომი გახდა დასავლური გლობალიზაციისათვის, კაპიტალის, საქონლის, შრომის რესურსებისა და იდეების თავისუფალი მიმოქცევისათვის. მათი აზრით, საყოველთაო გლობალიზაცია მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისიდან შეიძლება მომხდარიყო, როცა სოციალიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მაუწყებელი გახდა. მხოლოდ ახალ საერთაშორისო ვითარებაში გახდა შესაძლებელი გლობალიზაციის პროცესი განვითარებულიყო.

გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ზოგადად არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება. I შეხედულების თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. ხოლო II შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს, ერებს, მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ განიხილება, როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია.

უხეშად კონცენტრირებული სახით პოპულარული წარმოდგენები გლობალიზაციის შესახებ შესაძლებელია დავიყვანოთ შემდეგ 5 თეზისამდე. გლობალიზაცია არის ა) ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა; ბ) გლობალური, საერთო-საკაცობრიო პრობლემების აღმოცენება; გ) რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიოზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება; დ) ნებისმიერი საზოგადოებრივი პროცესების გავრცელება მთელს მსოფლიოში; ე) ქვეყნების მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა.



დღეს, გლობალიზაციის თანამედროვე პირობებიდან გამომდინარე, როდესაც ქვეყნების ეკონომიკებს შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირებია და დიდია განვითარებული ქვეყნების ზეგავლენა დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკებზე, მეტად რთულია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო საფინანსო სისტემაში ან ქვეყნის განვითარების პროგნოზირება, თუ მკაფიოდ და რეალურად არარის დაბალანსებული საგადასახდლო ბალანსი. ეს უკანასკნელი ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სარკისებურ ასახვას. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის რეზიდენტების ყველა ეკონომიკური გარიგების სისტემატიზებულ ჩანაწერს დანარჩენ მსოფლიოსთან დროის მოცემულ პერიოდში.

საგადასახდლო ბალანსი, ამავე დროს, მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიცაა. მისი საშუალებით ხდება საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შესწავლა, რაც უშუალო კავშირშია სავალუტო კურსთან, წარმოების დონესთან, დასაქმებასა და მოხმარებასთან.

საგადასახდლო ბალანსის მაკროეკონომიკური დანიშნულება იმაშიც მდგომარეობს, რომ ლაკონურად ასახოს მოცემული ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მდგომარეობა მის უცხოელ პარტნიორებთან. ის აგრეთვე ასრულებს ინდიკატორის როლს ფულად-საკრედიტო, სავალუტო, საბიუჯეტო-საგადასახადო, საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის არჩევანში და სახელმწიფო დავალიანების მართვაში. ის დიდწილად განსაზღვრავს გლობალიზაციის გავლენის თავისებურებებს ქვეყნის საგადასახდლო ბალანსზე. იგი შედგება ორი ძირითადი განყოფილებისაგან: მიმდინარე ანგარიშისა და კაპიტალის ანგარიშისაგან (თუმცა ეკონომისტთა ნაწილი მესამე განყოფილებად თვლის ოფიციალური რეზერვების ბალანსს). მიმდინარე ანგარიშის ძირითადი ნაწილია სავაჭრო ბალანსი, რომელიც ასახავს ქვეყნებს შორის მატერიალურ ფასეულობათა გადანაწილებას და რომელიც სხვა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი არხია. ქვეყნებს შორის ფულადი ნაკადების მოძრაობა აისახება კაპიტალის ანგარიშში. ესაა ინვესტიციური კაპიტალის მოძრაობა (მაგ., ინვესტიციები აქციებსა და ობლიგაციებში). სავაჭრო ბალანსი წმინდა სხვაობაა ექსპორტსა და იმპორტს შორის, რომლის დადებითი სიდიდე, ანუ პროფიციტი ფასდება დადებით მოვლენად, მაშინ, როცა სავაჭრო ბალანსის დეფიციტური მდგომარეობა ითვლება არახელსაყრელად. სავაჭრო ბალანსის დეფიციტი უარყოფითად მოქმედებს ეროვნული ვალუტის კურსზე, ვინაიდან ხდება ეროვნული ვალუტის გაღიზება ქვეყნიდან, რაც იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას. სავაჭრო ბალანსის პროფიციტი კი, პირიქით, ზრდის ეროვნული ვალუტის ღირებულებას სხვა ვალუტასთან შედარებით. კაპიტალის ანგარიშში გვევლინება პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახით, ანუ კაპიტალის მოძრაობაზე დიდ გავლენას ახდენს სხვა ქვეყნებში არსებული საფინანსო და ეკონომიკური კლიმატი. როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში უფრო დიდია აქციებისა და ობლიგაციების ხვედრითი წილი ფიქსირებული შემოსავლის მქონე ძლიერი საფონდო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებით. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ უფრო გავრცელებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სესხები.

საგადასახდლო ბალანსის წონასწორული მდგომარეობის მიღწევის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედაა ღია ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებში. აქ გარდა ისეთ ეკონომიკურ ამოცანათა ფართო სპექტრისა, როგორცაა ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, უმუშევრობის დონის შემცირება და ინფლაციის ტემპების კონტროლი, დღის წესრიგში დგას საგადასახდლო ბალანსის წონასწორობის საკითხი.

პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ეკონომიკა ღიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობაში, საერთაშორისო სესხების მიღებასა და შეთავაზებაში. ეკონომიკის გახსნილობა ძალიან მომგებიანია

ჩვეულებრივი საშუალო მდგომარეობის ადამიანისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ს ეკონომიკა ღიაა, ამერიკელი მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომია საქონელი და მომსახურება მთელი მსოფლიოდან (მაგალითად, იაპონური MP3-ფლეიერები, იტალიური ფეხსაცმელები, მატყელისაგან დამზადებული ირლანდიური ნაწარმი და სხვ.). ამის მსგავსად, ფინანსური ბაზრების ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს იმას, რომ დანაზოვის მფლობელ ამერიკელ სუბიექტებს გააჩნიათ აგრეთვე შესაძლებლობა, შეიძინონ გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციები ან ტაივანური კომპანიების აქციები ისევე, როგორც სამამულო ფინანსური აქტივები, ხოლო აშშ-ს ფირმებს, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება, შეუძლიათ მიიღონ სესხები ლონდონში ან ტოკიოში ისევე იოლად, როგორც, ვთქვათ, ნიუ-იორკში. ესეც გლობალიზაციის გავლენის კიდევ ერთი თავისებურებათაგანია მოცემული ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ტენდენციაა ის, რომ მსოფლიო მშპ-ში მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი მცირდება, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონეთა წილი იზრდება. ეს აიხსნება იმით, რომ მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურად მონაწილეობს და ეკონომიკურ ზრდას და საგადამხდელო ბალანსის აქტიურ საღდოს აღწევს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა კეთილდღეობა მსოფლიო მეურნეობაში მათი მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება, რასაც სწორედ გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს. მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობით ეს ქვეყნები მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ და საგადამხდელო ბალანსის დადებითი საღდოთი ხასიათდებიან. ეს ეხება უპირატესად განვითარებულ და ახალინდუსტრიულ ქვეყნებს (ამ დროს პოსტსაბჭოთა და ჩამორჩენილ ქვეყნებს საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი საღდო გააჩნიათ). ე.ი. თანამედროვე პირობებში ქვეყნების კეთილდღეობა დამოკიდებულია მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში მათი მონაწილეობის ხარისხზე. მათი საგადამხდელო ბალანსის საღდო იცვლება ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ხასიათის შესაბამისად. ამიტომ მოცემული ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის თვისებრივი შეფასების ძირითად კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში მისი მონაწილეობისა და მდგრადობის ხარისხი. მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში ქვეყნის ინტეგრაციაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მაჩვენებლები: მოცემული ქვეყნის მშპ-ის წილი მსოფლიო მეურნეობის მშპ-ში; ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი; საგადამხდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი; ქვეყნის კონკურენტუნარიანობა; სავალუტო რეზერვებისა და საგარეო ვალის მდგომარეობა, ანუ ამ ყველაფერში აისახება გლობალიზაციის გავლენის თავისებურება კონკრეტული ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე.

საგადამხდელო ბალანსის სახელმწიფოთაშორისო რეგულირების თეორია დაფუძნებულია კეინზიანიზმის, ნეოკეინზიანიზმის და მონეტარიზმის შეხამებაზე. იგი გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმის პროექტებში. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადამხდელო ბალანსის კოლექტიურ რეგულირებას, რამაც გამოხატულება პოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წესდებაში. საგადამხდელო ბალანსის გაბატონებული მონეტარული კონცეფციების შესაბამისად, სსფ შეიმუშავებს „სტაბილიზაციის“ სტანდარტულ პროგრამებს მაკროეკონომიკური აგრეგატების, რაოდენობრივი ორიენტირების მეშვეობით. სსფ-ის „სტაბილიზაციური პროგრამები“ მოიცავს როგორც მოთხოვნაზე, ასევე მიწოდებაზე ზემოქმედების ღონისძიებებს. განახლებული აღნიშნული პროგრამები მოწმობს საგადამხდელო ბალანსის საერთაშორისო რეგულირების გაძლიერებას.

საგადამხდელო ბალანსს ნებისმიერი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. მით უმეტეს მას განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოსათვის, ვინაიდან იგი თანდათან ერთვება გლობალიზაციის პროცესებში და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მის განვითარებაზე. საქართველოს საგადამხდელო ბალანსი საკმაოდ მგრძობიარე აღმოჩნდა თავის უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებში (რუსეთში 1998 წელს და თურქეთში 2000 წელს) მომხდარი კრიზისების მიმართ. საკმაო ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა (ვინაიდან ენერგომატარებლებს რეგისტრირებული იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ერთი მეხუთედი უკავია). ამასთან, არანაკლები მნიშვნელობისაა თანამედროვე ეტაპზე ვირტუალური ფაქტორების გავლენა (ისეთების, როგორცაა იმიჯი, ნდობა, რწმენა და ა.შ.).

ბოლო წლებში საქართველოს საგადამხდელო ბალანსს დიდი უარყოფითი სალდო ახასიათებს. გარდა ამისა, ქვეყანა განიცდის ფინანსური სახსრების უკმარისობას, რაც გამოწვეულია ინვესტიციების შემცირებით, მასშტაბური საგარეო ვალის დაგროვებით. ამასთან, საფრთხე ექმნება ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის სიმყარის შენარჩუნებას. ყოველივე ამის გამო გარკვეულწილად ფერხდება ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვითარება.

საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს ერთ-ერთ დამაბალანსებელ ელემენტად გვევლინება პირდაპირი ინვესტიციები (თუმცა 2009-2010 წლებში მათი შემცირების ტენდენცია შეინიშნება საქართველოში). უცხოური კერძო კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში უპირატესად პირდაპირი კერძო ინვესტიციებით ხორციელდება, რომელთა დაბანდება წარმოებს უპირატესად შრომატევად (და არა მეცნიერებატევად, კაპიტალტევად და ტექნოტევად) დარგებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სწორად განისაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მოკლევადიან პერიოდში მათმა დადებითმა ზემოქმედებამ (მაგალითად, დასაქმების ზრდა, დარგების რეაბილიტაცია, საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდო), შესაძლოა, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება გამოიწვიოს (არაპრიორიტეტული დარგების განვითარების გამო).

ექსპორტის განვითარება საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე სავაჭრო დეფიციტის შემცირება. საქართველოში კი მეტად დაბალია ადგილობრივი წარმოების განვითარების ტემპი, დაბალი ხარისხის და, შესაბამისად, სუსტი კონკურენტუნარიანობის გამო გაძნელებულია მზა ნაწარმის რეალიზაცია. ამასთან, ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო კავშირების დამყარებას და მარკეტინგული გამოცდილების დაგროვებას დრო სჭირდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების იმ დარგების განვითარებას, რომელთაც მომავალში შეუძლიათ მნიშვნელოვანი საქსპორტო შემოსავლის მოტანა.

დღემდე საგადამხდელო ბალანსის რეგულირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უპირატესად სავაჭრო, ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის საგადამხდელო ბალანსზე სოციალური, ინსტიტუციური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ზემოქმედების გათვალისწინება. ამისათვის მიზანშეწონილია ინვესტიციების უპირატესად სოციალურ და ინოვაციურ სფეროებში განხორციელება. ამასთან, მრავალი ქვეყნის გამოცდილებით, სწორედ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების, ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებითაა შესაძლებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესის გავლენის თავისებურება საგადამხდელო ბალანსზე იმაში აისახება, რომ იგი კარდინალურად ცვლის საგადამხდელო ბალანსის

არსს, ვინაიდან ეს უკანასკნელი უბრალო სტატისტიკურ მანკვებლად კი არ გვევლინება, არამედ საერთაშორისო ეკონომიკაში მოცემული ქვეყნის რეალური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი ხდება.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., არევაძე ნ., სარჩიმელია რ., მელაშვილი მ. „ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები“, თბილისი, „უნივერსალი“, 2004.
2. ვანიშვილი მ., ვაშაკიძე ზ., კიკაჩიშვილი ნ., ჯუღელი გ. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებანი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2009.
3. კენსი მეინარდ ჯ. გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის, ჟ. „ახალი აზრი“ №2(8), 2003.
4. მელიქიძე ვ. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006.
5. ნადარაია ო. გლობალიზაციის მაკროეკონომიკური ინდექსი, ჟ. „ახალი აზრი“ №8 (14), დეკემბერი, 2003.
6. ძაგანია ი. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, №3, რედ. გამ-ბა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

*Kistauri Nunu*

### **ESTIMATING THE INFLUENCE OF THE GLOBALIZATION ON THE TRADE BALANCE SUMMARY**

In economic literature the problems of trade balance regulation occupies an important part especially in terms of modern globalization. In today's world in terms of intensive external economic trade relations and the influential and transitional links between developed and developing countries it is quite difficult to implement active participation in international currency operations or make the forecasting assessment of the economic developments of the country, when the trade balance is not effectively regulated. Trade balance acts as the indicator for choosing the adequate money-credit, currency and fiscal, external trade policies and in the management of state debts.

Depending on the size of the country, the effects of globalization on the trade balance is revealed in the fact that trade balance structure reflects the inclusiveness of the country in the world economy.

*თინათინ ქურდაძე*

### **საქართველოს სახელმწიფო უსიკაალური პოლიტიკა და გლობალიზაცია**

საქართველოსათვის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანი მონაპოვარია ის ეკონომიკური რეფორმები, რაც გულისხმობს, რომ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ვითარდება პარალელურ რეჟიმში აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, უკრაინისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად. სწორედ მსგავსი მიდგომა გახდა საფუძველი იმისა, რომ შეიქმნა კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემო და რეგიონული მმართველობის სერიოზული სისტემა, გაუქმდა ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლები, დაიხვეწილა სტრუქტურული უფლებამოსილებანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ცალკეული ადგილობრივი ბიუჯეტებისა, რომლებიც წარმოდგენილია შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანი ანგარიშთა გეგმის მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტისა და

ტერიტორიული ბიუჯეტების ფორმირება, საგადასახადო შემოსავლების განაწილება ხორციელდება კანონით განსაზღვრული თითოეული მონაწილის საბიუჯეტო უფლებამოსილების განსაზღვრის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, არსებული ფისკალური პოლიტიკა კვლავ საჭიროებს წარმატებულ რეალიზაციასა და დახვეწას. ქართული ტრადიციული ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკას, განხორციელებულს სახელმწიფოს მიერ, ეკონომიკის რეგულირებისათვის, რაც ეფექტიანი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითადი გარანტიაა და საქართველოში მისი სწორად წარმართვის კონცეფცია უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით მსოფლიოში მიღებული საერთო გლობალიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარდინალურად შეიცვალა გადასახადების აგების საფუძვლები, საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისა და გადასახადების ამოღების მეთოდოლოგია, წესები, ბიუჯეტური პროცესის სტადიები და მისი აღსრულების მექანიზმები, შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციის სტრუქტურა. ამის ნათელი მაგალითი იყო გასულ წელს მთავრობის ინიციატივით მიღებული ცვლილებები საგადასახადო ორგანოსთვის ახალი ფუნქციის მინიჭების შესახებ, რომელიც საგადასახადო კოდექსში შევიდა და გულისხმობდა, რომ საგადასახადო ორგანოს საშუალება აქვს, გადასახადის გადამხდელს, ეკონომიკური საქმიანობის ადგილმდებარეობის მიხედვით, უფლებამოსილი პირი ან პირები მიამაგროს და ასე განხორციელოს გადახდა.

ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისი მეტ-ნაკლებად მიბმულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე ყველა კონტექსტში. იმის დასადგენად, თუ რა მოცულობით უნდა მოხდეს ბიუჯეტის შედგენა კონკრეტულ შემთხვევაში როგორც აბსოლუტურ თანხებში, ასევე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომ იგი ოპტიმალურად პასუხობდეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებას, აქ შეიძლება განვიხილოთ „საქსტატის“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოში 2011 წლის სექტემბერში წინა წელთან შედარებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 10,4%-ით გაიზარდა და ამ მაჩვენებელმა 155,6 ლარი შეადგინა, როცა წინა წელს 140,9 ლარი იყო. აგვისტოში ეს მაჩვენებელი 155 ლარი იყო. აქ აღსანიშნავია ის, რომ ეს მაჩვენებელი წინა თვეებში იკლებდა, ხოლო წლის დასაწყისიდან მაისამდე განუწყვეტლივ იზრდებოდა. ასე რომ, 2011 წლის სექტემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 137,8 ლარი იყო (ერთი წლით ადრე 124,8 ლარი იყო, ერთი თვით ადრე – 137,3 ლარი), ოთხსულიანი ოჯახის მინიმუმმა კი შეადგინა 275,6 ლარი (2010 წელს – 249,5). ესა არის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი, რომლის გარეშეც შეუძლებელია სწორი გათვლების გაკეთება ბიუჯეტის მოცულობის დადგენისას. როგორც ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, 2003 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან შედარებით განუწყვეტლივ იზრდებოდა, თუმცა 2008 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება საბიუჯეტო ხარჯებს, მისთვის დამახასიათებელია ზრდადი დინამიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ესარჯავთ მეტს ვიდრე ვაწარმოებთ სხვა ჩვენ უახლოეს მეზობლებთან შედარებით (სომხეთი, ზერბაიჯანი, რუსეთი და სხვები). ერთადერთი, რაც საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება, სახელმწიფო ვალია და ერთ სულ მოსახლეზე 1139,5 დოლარს შეადგენს, 2003 წელს კი ეს მაჩვენებელი 494,5 დოლარი იყო. ამიტომ, საჭიროა მეტი პრაგმატულობა ბიუჯეტის შედგენისას და მეცნიერულად ჩამოყალიბებული დებულებების მიღება. იგი არ უნდა იყოს პირდაპირი იმიტაცია სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და მოწყვეტილი არსებული რეალობისაგან, ქვეყნის ეკონომიკის

თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები, პრაქტიკულ ასპექტში, უმთავრესად ფისკალურ (საგადასახადო-საბიუჯეტო) პოლიტიკაში აისახება. სწორედ ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს იმ უმთავრეს მექანიზმს, რომლითაც ხელისუფლება პრაქტიკულად შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც საგადასახადო, ასევე საბიუჯეტო ხარჯების მეშვეობით მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. ამდენად, შეუძლებელია ქართული საზოგადოება გულგრილი იყოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის მიმართ. ხოლო საქართველოში საბიუჯეტო პრობლემები გაცილებით აქტუალურია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოების ფინანსური და სოციალური სტაბილურობის განმსაზღვრელი საშუალო ფენა და ჯერ კიდევ დიდია დაბალშემოსავლიანი კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა. მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში სახელმწიფომ მიზნად დაისახა ახალი სოციალური რეფორმის რეალიზაცია, რაც გულისხმობს ახალი სადაზღვევო პაკეტის შემოღებას, სრული სადაზღვევო პაკეტით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებიან საპენსიო ასაკის მქონე პირები და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები. ეს უდავოდ დადებითად წაადგება შეჭირვებული ოჯახების ჯანმთელობის დაცვის საქმეს. თუმცა, ვიმედოვნებთ, ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის საგნად არ დარჩება.

აქვე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში ხორციელდება ავტომატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფო დაკვეთების დონე შეიძლება შეიცვალოს მათი მარეგულირებელი კანონების ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მრავალი კანონი, რომელიც დაბეგვრისა და დანახარჯების მექანიზმების სტრუქტურას ეხება, შედგენილია იმგვარად, რომ ფისკალური პოლიტიკის პარამეტრები იცვლება ეკონომიკური პირობების ცვლილების პირდაპირპროპორციულად. ავტომატური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა მჭიდრო კავშირში იმყოფება ფასების დონის, საპროცენტო განაკვეთებისა და წარმოების რეალური დონის ცვალებადობასთან, ეს მოქნილი და მობილური საგადასახადო სისტემის გარანტია.

ჩვენი საგადასახადო სისტემის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ითვლება ის, რომ იგი ორიენტირებულია ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაზე საწარმოთა შემოსავლების მაქსიმალური ოდენობით ამოღების გზით, განსაკუთრებით ისეთი არასაგადასახადო შემოსავლების, როგორიცაა ჯარიმები და საურავები. საგადასახადო სისტემას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი. ერთი მხრივ, აუცილებელია მისი საშუალებით მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, ხოლო მეორე მხრივ, მან უნდა უზრუნველყოს ყველა მეწარმისათვის სასტარტო ეკონომიკური პირობების გათანაბრება და ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება. ამიტომაც, ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი რთულ პრობლემად რჩება. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკაზე მისი მასტიმულირებელი ზემოქმედების მეკეთრი გაძლიერება. გარდა ამისა, მან უნდა უზრუნველყოს ბაზრის სრულფასოვანი სუბიექტებისა და მთელი ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება და ჯანსაღი ლიბერალური ბიზნესგარემოს შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა უნდა შემობრუნდეს ეკონომიკისაკენ, სტიმული მისცეს მის ზრდას და ამით გააფართოს გადასახადებით დასაბეგრი ბაზა.

გლობალიზაციის პირობებში, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია, კონკრეტული ღონისძიებების კომპლექსური დამუშავება. მათ შორის ცვლილებების შეტანა საგადასახადო კანონმდებლობაში საგადასახადო განაკვეთების თვალსაზრისით და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესება, რომელიც არ შეზღუდავს სამეწარმეო აქტივობას და შესაბამისად გააუმჯობესებს სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს და ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ყველაზე აქტუალურია დღეისათვის.

მაშასადამე, შეუძლებელია საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა ფისკალური მიდგომით, ანუ სხვა ქვეყნის გამოცდილების გადმოტანა ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებლად. გადასახადების გადახდა მეწარმეს არ უნდა უჯდებოდეს იმდენი, რომ დარჩენილი წმინდა მოგება ვერ მოახმაროს წარმოების შემდგომ გაფართოებასა და დივერსიფიკაციას. უმჯობესია, საგადასახადო განაკვეთები იყოს მცირე და გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა მეტი, ვიდრე მაღალი საგადასახადო განაკვეთების პირობებში ნაკლები გადამხდელი. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ საგადასახადო, ანუ ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საინვესტიციო პოლიტიკასაც, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას გლობალიზაციის პირობებში, რათა უფრო ადვილი იყოს საქართველოს ინტეგრაცია ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ღონის საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-დიპლომატიურ გაერთიანებებთან.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, 2005.
2. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი, 2011.
3. როგავა ზ. გადასახადები. საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი, 2002.
4. Эви Боди, Роберт К. Мертон. Финансы. Москва. «Санкт-Петербург», Киев, 2005.

*Kurdadze Tinatin*

#### **STATE FISCAL POLICY OF GEORGIA AND GLOBALIZATION SUMMARY**

In the article there is considered a state fiscal policy of Georgia under globalization.

There is emphasized that it is impossible to determine a tax rate by a fiscal approach, according to which a state adopts some experience of some other countries without taking into account its national peculiarities.

It should be noted that an investment policy, aimed at the creation of a favourable investment environment, can also play the specific role in the improvement of a fiscal policy.

**გლობალიზაცია და საქართველოს კონკურენტუნარიანობა,  
ანუ როგორი პოლიტიკა უნდა ავირჩიოთ სამომავლოდ**

თითქმის 150 წელია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კომპანიები ზრუნავენ თავიანთი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მეწარმეთა ცხოვრებაში ეს ჩვეულებრივი ამბავია – „თუ გინდა შეიქმნა ხვალინდელი დღე, დღეს უნდა იზრუნო მის შექმნაზე“. მეწარმე და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაც, რომელიც ასე არ ფიქრობს და ამდაგვარად არ მოქმედებს, განწირულია დასაღუპად.

გლობალიზაციის პროცესის დაწყებამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ ამ პროცესის აუცილებლობა გააძლიერა. მსოფლიოს ყველა ქვეყანა, განურჩევლად იმისა, სად მდებარეობს იგი და რამდენი ზღვა თუ მთა აშორებს სხვა ქვეყნებისგან, ჩართულია გლობალიზაციის პროცესში და ნებისთი თუ უნებლიედ მონაწილეობს გლობალურ კონკურენციაში.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ვერ აცდება გლობალიზაციის პროცესს და ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ მან აწარმოოს ისეთი ხარისხის და ფასის საქონელი, რომლითაც შეძლებს გლობალურ კონკურენტულ ბრძოლაში მიადწიოს წარმატებას. ლოკალურ ბაზრებზე ამ მიზნის მიღწევა ასე თუ ისე ძნელი არ არის, მაგრამ გლობალური ბაზრები მნიშვნელოვნად ართულებს მის მიღწევას.

კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის დიდი თეორეტიკოსი მ. პორტერი წერს, რომ „კონკურენტული სტრატეგიის არჩევისას კომპანიამ უნდა აირჩიოს ორი სტრატეგიიდან ერთ-ერთი, ან დაბალი დანახარჯების სტრატეგია, ან საქონელთა დიფერენციაციის სტრატეგია [1]. მ. პორტერის ეს აზრი ეხება არა მხოლოდ კომპანიებს, არამედ ქვეყნებსაც.

ქართველი მეცნიერის ნ. ხადურის აზრით, „მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, მათ შორის არც განვითარებული ქვეყნები, არ ცდილობენ (და ვერც შეძლებენ) და არც ისახავენ მიზნად კონკურენტული უპირატესობის მიღწევას ყველა იმ საქონელსა და მომსახურების მიხედვით, რომელთა წარმოებაც პოტენციურად შესაძლებელია. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებითაც გარკვეულ სამიზნე ბაზრებზე ფარდობითი უპირატესობის მიღწევა აქვთ შესაძლებელი“ [2, გვ. 30-31]. იმავე აზრის ვართ ჩვენც, და მიგვაჩნია, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი საქონლის და მომსახურების ჩამონათვალი, რომლის ექსპორტსაც მოახდენს იგი მსოფლიო ბაზარზე და რომლის მიხედვითაც ექნება კონკურენტუნარიანობის პრეტენზია.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხშირად გვესმის ფრაზა: „საქართველო უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი ქვეყანა“. ამის მიღწევა მარტო ეკონომიკური რეფორმებით არ მოხდება, საჭიროა რადიკალური ცვლილებების მოხდენა ბიზნესპროცესებში, მათი შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგიებში, მეთოდებსა და მიდგომებში, ორგანიზაციასა და მართვაში.

არავისთვის დასაძალი არ არის, რომ ამ საკითხში საქართველო მეტად ჩამორჩება უცხოეთის ქვეყნებს. მას ტექნოლოგიური განვითარების დონით მსოფლიოში 98-ე ადგილი უკავია (სომხეთსა და აზერბაიჯანსაც კი ჩამორჩება), ხოლო ინოვაციების დანერგვის დონით 125-ე ადგილზე დგას [3]. ამიტომაც არის ქართული პროდუქცია და მომსახურება მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კომპანიებმა და საქართველოს ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევა უნდა მოახმარონ საკუთარი პროდუქციის იმ სახეობების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას,



რომელი პროდუქციითაც ისინი „ფარდობით უპირატესობას მიაღწევენ მსოფლიო ბაზარზე“. ასეთ პროდუქციად ჩვენ მიგვაჩნია ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. ამ აზრისაა ქართველ მეცნიერთა უმეტესობა (ნ. ხადური, ვლ. პაპავა, თ. კუნჭულია, პ. კოლუაშვილი, ვვ. ბარათაშვილი და სხვები) და ამ აზრისაა ქართველი ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. აი მისი აზრი: „ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შექმნა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მსოფლიოში მოთხოვნა არსებობს. თუ ეს განხორციელდება, მოკლე დროში შესაძენე იქნება წინსვლა“ [4, გვ. 3].

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ყველა რეგიონში არის შესაძლებელი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანა, რადგანაც ზოგან რადიაციაა აწეული, ზოგან ნიადაგები ძველთაგანვე სასუქებით არის ჭარბად გაჯერებული. არ გამოდგება ამისთვის ნაომარი ადგილებიც – შიდა ქართლი და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიები. დანარჩენი ადგილები – რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, კახეთის (თუშეთის ჩათვლით), ქვემო ქართლის, გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და სხვათა ბუნებრივი პირობები საუკეთესოა ამ მიზნისთვის.

როგორც ვიცით, რადიკალური გარდაქმნის შემდეგ მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია და მიწის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ნაწილ-ნაწილ გადავიდა სოფლად მცხოვრები თითოეული ოჯახის ხელში. ამან გამოიწვია მიწების დაქუცმაცება, და, რაც მთავარია, მოისპო ის ერთიანი ცენტრალური მომსახურება, რაც მიწის დიდი მასივების მფლობელ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდათ, კერძოდ: აგრონომიული სამსახური, საჯიშე-სათესლე სამსახური, ვეტერინალური სამსახური, სარწყავი წყალი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების (მტს) მომსახურება და სხვ. მაშინ ცენტრალიზებული წესით ხდებოდა იმის განსაზღვრაც თუ რომელ მეურნეობას რა პროდუქტი ეწარმოებინა, რა ვადებში და სად ჩაებარებინა, ე. ი. დაეკმაყოფილებინა სახელმწიფოს მოთხოვნა მასზე. ახლა შემკვეთი არის არა სახელმწიფო, არამედ ბაზარი. კარგია, რომ გლეხს არჩევანი მიეცა პროდუქტის წარმოებაში, მაგრამ გლეხმა არ იცის რისი წარმოება უჯობს, რაზე იქნება მოთხოვნილება ბაზარზე. მათ არც მარკეტოლოგები ჰყავთ (ალბათ არც გაუგიათ ეს სიტყვა), არც აგრონომები და აღარც ვეტერინარები. მეტიც, აგრონომების და ვეტერინარების პროფესიები თითქმის მოისპო. თავიანთი „მიწის ნაგლეჯებზე“ (აბა სხვა რა უნდა ვუწოდოთ 0,10 ჰექტარიან 0,75 ჰექტრამდე დაქუცმაცებულ მიწებს) გლეხები ისე არიან დათითოებულნი, რომ ერთმანეთსაც კი ვეღარ ხვდებიან, თუნდაც საქმეზე აზრთა ურთიერთგანსაზიარებლად. მათ არც ჭკუის დამრიგებელი ჰყავთ და არც დამკვალიანებელი.

იკითხავთ: ქართველ გლეხს თავის საქმეში ჭკუის დარიგება რათ უნდაო. კი ბატონო, გეთანხმებით, როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ კუნჭულია ამბობს: „ქართველ კაცს ვერაფერს ასწავლის ბოსტნეულის მოყვანას, მას ამის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ მას ხელშეწყობა სჭირდება, მან არ იცის მისი მიწის ვარგისიანობა, არ იცის პროდუქტზე მოთხოვნის პერსპექტიულობა, არ იცის დაავადებების წინააღმდეგ აგრო და ვეტერინალური ბრძოლა, არა აქვს სარწყავი წყალი (საბჭოთადროინდელი სარწყავი სისტემები მთლიანად დაინგრა, გაიჭურდა და განადგურდა), არა აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (რომც ჰქონდეს არ იცის მისი მოხმარება) და ა. შ. ეს ის შედეგია, რაც ჩვენ მივიღეთ სოფლის მეურნეობაში გატარებული „შოკური თერაპიით“, კერძოდ იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ნაჩქარევად, ყოველგვარი მომზადების გარეშე, 1992 წელს გლეხებს გადასცა მიწები უსასყიდლოდ პირად საკუთრებაში და ამით დაამთავრა სოფლად რადიკალური გარდაქმნა. ამან სოფლის მეურნეობა დაანგრია.

შეიძლება მაშინდელ ხელისუფლებას მართლაც ჰქონდა ჩაფიქრებული შემდეგში ამ მიმართულებით კარგი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ დაიწყო სამოქალაქო ომი და მათ ეს არ დასცალდათ.

მას შემდეგ გავიდა სრული 20 წელი და საქართველოში ხელისუფლების 2-3-ჯერ შეცვლის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სასიკეთო არაფერი გაკეთებულა. თუ კვლავ თამაზ კუნჭულიას დავესესხებით, „პირველები ვართ სოფლის მეურნეობის დანგრევაში“. ამასვე ამბობს სოფლის მეურნეობის სპეციალისტი პ. კოლუაშვილი და არა მარტო ის. ამავე აზრისაა საქართველოს მთელი გლეხობა.

მართლაც, როგორ შეიძლება სხვანაირად იფიქრო ჩვენი მიწის ნაყოფიერების და ჩვენი კლიმატის მქონე ნორმალურად მოაზროვნე კაცმა, რომელმაც იცის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიოპოტენციალი 10-12 მლნ კაცის გამოკვებაა, რომ საბჭოთა წლებში საქართველოს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი იყო 100%-ზე მეტი, კარტოფილის – 84%, სხვა ბოსტნეულის – 70-73%. ასეთ დროს, კარტოფილი, კიტრი, ხახვი, პომიდორი და თითქმის მთელი სხვა ბოსტნეული საქართველოში აზერბაიჯანიდან, ირანიდან, თურქეთიდან და ეგვიპტიდან შემოდის. სავალალო კიდევ ის არის, რომ ამ პროდუქტის იმპორტი წლიდან წლამდე იზრდება. აი მაგალითი: სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გახეთ „რეზონანსის“ 2012 წლის 17 აპრილის ნომერში ვკითხულობთ: „საქართველოში 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, კარტოფილის იმპორტი 19,4-ჯერ გაიზარდა, თუ 2010 წელს ქვეყანაში შემოვიდა 713 ათასი დოლარის კარტოფილი, 2011 წელს 13,852 მლნ დოლარის კარტოფილის იმპორტი განხორციელდა, 1,4-ჯერ გაიზარდა პომიდორის იმპორტი; 2010 წელს შემოვიდა 4,645 მლნ დოლარის პომიდორი, 2011 წელს კი – 6,711 მლნ დოლარის; 1,2-ჯერ გაიზარდა ხახვის იმპორტი (2010 წელს შემოვიდა – 13,660 მლნ დოლარის, 2011 წელს – 13,660 მლნ დოლარის); 3,4-ჯერ გაიზარდა სტაფილოს იმპორტი, 1,6-ჯერ კიტრის იმპორტი, 3-ჯერ გაიზარდა სიმინდის იმპორტი და ა. შ. [5, გვ. 57].

ამ ფონზე, როდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საქართველოდანაც ხდება პროდუქციის, მ. შ. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და მისი გადამუშავების პროდუქტების გატანა.

2010 წელს საქართველოდან გასულა 5,1 მლნ დოლარის ცხოველები (ძირითადად ცხარი – არაბეთში) და ცხოველური წარმოების პროდუქტები, 1,8 მლნ დოლარის ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და 196,1 მლნ ლარის ალკოჰოლი და უაღკოპოლო სასმელები, თამბაქო, ძმარი, კვების მზა პროდუქტები [6]. ამ ჩამონათვალში არის ისეთი პროდუქტებიც, რომლის იმპორტირებაც ხდება საქართველოში (მაგალითად, კარტოფილი, ზეთი, საქონლის ხორცი და სხვ.). მავანი იფიქრებს, ალბათ ერთი ქვეყნიდან შემოგვაქვს და მეორეში გაგვაქვს. ასეთიც ხდება, მაგრამ ხდება ისეთიც, როდესაც რომელი ქვეყნიდანაც შემოგვაქვს, იმავე ქვეყანაში გაგვაქვს იმავე დასახელების პროდუქტი, მაგრამ ქართული ჯიშის და ქართული წარმოების. ასე ყიდულობს ჩვენგან თურქეთი ქართულ კარტოფილს (ძირითადად ე. წ. "ახალციხურს"), ირანი – ქართულ კომბოსტოს და ქართულ პომიდორს, სომხეთი და ირანი – მეგრულ სიმინდის ფქვილს და სხვ. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენი მოსახლეობის სიღარიბიდან და დაბალ გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე, ჩვენ მათგან დაბალ ფასში ვყიდულობთ დაბალი ხარისხის, ხშირად გენმოდირებული პროდუქტებს, ისინი კი ჩვენგან ყიდულობენ ძვირადღირებულ, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს. ქართველმა მომხმარებელმა იცის, რომ ქართული პროდუქცია უკეთესია, მაგრამ სიღარიბის გამო არ მიუწვდება მასზე ხელი. ქვეყანაში ისეთი მძიმე სოციალური მდგომარეობაა, რომ ადამიანები ხარისხზე აღარ ფიქრობენ, მათთვის მთავარია დაბალი ფასი.

ქართული ჯიშები და საქართველოში წარმოებული პროდუქცია უცხოურ პროდუქციას ვერ უწევს ფასობრივ კონკურენციას. მათი პროდუქცია იაფია იმიტომ, რომ იქ ფერმერებს სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება. მაგალითად, თურქ ფერმერს ექსპორტზე მუშაობის შემთხვევაში, ხარჯების 20%-ს სახელმწიფო უფარავს. მათვე სახელმწიფო ხელშეწყობით ეძლევათ სასუქები, შხამქიმიკატები, უახლესი ტექნოლოგიები. ამის შედეგად მოსავლიანობა აქვთ მაღალი და შესაბამისად პროდუქციის ერთეულის ფასი დაბალი. ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა. 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფლად მიწების პრივატიზება მოხდა, მაგრამ სოფლის მეურნეობამ 1988 წლის დონესაც კი ვერ მიაღწია. კვლავაც მიბმული ვართ იმპორტზე, და, რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს, ჩვენი უგემრიელესი ჭოპორტული პომიდორის, მუხრანული და ლაგოდეხური კიტრის, ქართული ხახვის, აბაშის და ხარაგაულის ფქვილის, რაჭის თაფლის, სამცხე-ჯავახეთის კარტოფილის, ქუთაისური მწვანილის და ა. შ. პატრონებს, ეს პროდუქტები ირან-თურქეთიდან შემოგვაქვს. ჩნდება აზრი – იმიტომ ხომ არ ხდება ქართული პროდუქტების წარმოების იგნორირება, რომ ამაში (იმპორტი გვაქვს მხედველობაში) მავან და მავან სახელმწიფო მოხელეებს თავიანთი წილები აქვთ.

ამის დასტურია ის, რომ პატარა ისრაელმა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე მოახერხა ფაქტობრივად უდაბნო მიწაზე ისეთი მეურნეობა მოეწყო, რომ სურსათზე მოთხოვნილების 90% თვითონ დაეკმაყოფილებინა. წარმოების ეს მოდელი იქ შექმნეს არა დათითოებულმა გლეხებმა, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებამ, რომელმაც ჩამოაყალიბა ფერმერული მეურნეობები, რომელთა ხელში თავი მოუყარა სასოფლო სავარგულების 70%-ს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 75%. მათ ემსახურებათ აგროსამსახურები, მარკეტინგული კავშირები, ვეტერინალური და პროდუქტების გადამამუშავებელი ფირმები და სხვ. მეტიც, ისრაელის სახელმწიფო ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების კვოტებს აძლევს ამ მეურნეობებს, შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ ფასად ყიდულობს ამ კვოტირებულ პროდუქციას, კვოტზე ნამეტს კი ფერმერები ყიდიან თავიანთი შეხედულებისამებრ.

ვიმეორებთ: ეს გააკეთა ისრაელის სახელმწიფო ხელისუფლებამ, მისმა შესაბამისმა სტრუქტურებმა და არა კერძო გლეხებმა. ისრაელის გამოცდილება მაგალითი უნდა იყოს ჩვენთვის, მით უფრო, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწებიც ისრაელზე უკეთესი გვაქვს და ისტორიულადაც, ისრაელისაგან განსხვავებით, მიწათმოქმედი ხალხი ვართ. დაგვიანების მიუხედავად ეს პროცესი სასწრაფოდ უნდა დაიწყო, უნდა მოვასწროთ, სანამ კიდევ საქართველოს სოფლებში ცხოვრობს მოსახლეობის 53%, ამ დონისძიებებით უნდა შევანეროთ სოფლების დაცლა, განსაკუთრებით საზღვრისპირა სოფლების დაცლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტოლფასი იქნება. სოფლების დაცლა ის ტკივილია, რომელიც ლექსად ასე გამოხატა პოეტმა მურმან ლებანიძემ და დარდად გაიყოლა სულეთში:

„ვაი-თუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,  
ვაი-თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს...“

ღიახაც, ჩვენი უნიათობით არაერთი სოფელი დაკარგეთ, არაერთი სავარგული სხვას გადავებარეთ. ახლაც ასეა – ცარიელდება სოფლები და თუ ეს საზღვრისპირა სოფლებს ეხება, გამრავლებული მოსაზღვრე სახელმწიფოების მცხოვრები იკავებენ დაცარიელებულ ადგილებს. ეს ხომ კანონია: „სიცარიელე დიდხანს არ რჩება სიცარიელედ“. ესეც ჩვენი უნიათობაა. საქართველოს შიგნით ძმა რომ ძმას გამოეყოფა ქვიტკირის კედლით შემოღობავს თავისას, რომ ჩიტმა ვერ გადმოიფრინოს ძმის მხრიდან, საქართველოს საზღვრები კი თურმე მოფარდალალებულია... ძველად, ძლიერი საზღვრისპირა სოფლები იყვნენ საზღვრის მცველნი და გუშაგნი, ახლა კი ასეთ სოფლებში ორი სამი მოხუციდა არის დარჩენილი, რომელთაც, ბუნებრივია არავინ ანგარიშს არ გაუწევს.

ასე რომ, სოფლებზე ზრუნვით, პირველ რიგში საზღვრისპირა სოფლებზე ზრუნვით, ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც გავაძლიერებთ. საჭიროა გამოვაცხადოთ სოფელი და სოფლის მეურნეობა პირველი რიგის პრიორიტეტად, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება კი – სამიზნე პროდუქტებად. ორივე მათგანზე გამოვყოთ დიდი დაფინანსება, მივცეთ და დავაფინანსოთ ყველა, ვინც სოფელში ცხოვრობს, ანდა იქ ცხოვრების სურვილს გამოთქვამს, ყველგან გავხსნათ და ავაშოქმედოთ (2-3 სოფელში ერთი) მანქანატრაქტორთა სადგურები, სათესლე მეურნეობები, აგრონომიული და ვეტერინარული მომსახურებები, მიწის ხარისხის დამდგენი ბიუროები, მარკეტინგული სამსახურები და, რაც ყველაზე მთავარია, მივაწოდოთ სოფელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ახალი, უცხოური ტექნოლოგიები. სახელმწიფომ ეს უნდა გააკეთოს უფასოდ და, ამასთან, უმკაცრესად უნდა გააკონტროლოს გადაცემული დაფინანსების მიზნობრივი ხარჯვა. თუ ეს არ გაკეთდა, მოხდება ის, რაც მოხდა მიწების პრივატიზების შემთხვევაში. სოფლის მოსახლეობამ მიწები მიიღეს უფასოდ, მაგრამ კი არ დაამუშავეს, არამედ დაიწვეს მისი გაყიდვა. მყიდველები ძირითადად არიან ჩინელები, კორეელები, ინდოელები, არაბები, თურქები ან ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში გამდიდრებული ე.წ. „ახალი ქართველები“, რომლებიც ამ მიწებს დასამუშაველად კი არ ყიდულობენ, არამედ „სადაჩე“ ფეშენებელური სახლების წამოსაჭიმად. ასე გაიყიდა თითქმის მთელი საქართველო. ამოგებული ფულით გლეხებმა ზოგმა „მერსედესი“ იყიდა, ზოგი საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდა, ზოგმა კი შვილებს უყიდა ქალაქში ბინა. თვითონ კი, ცარიელ-ტარიელი, ან იმ გამდიდრებული ქართველის „სადაჩე“ სახლს დაუდგა ყარაულად, ანდა მიექირავა ჩინელს თუ ინდოელს თავისავე გაყიდულ მიწაზე – მიწის მუშად. ხშირად ესეც სახვეწარია, რადგან ჩინელებს ჩინეთიდან ჩამოჰყავთ მუშახელი, ინდოელებს კი – ინდოეთიდან. ასე თანდათან ვკარგავთ ქართულ ადგილ-მამულს და ჩვენსავე მიწაზე სხვისი მოჯამაგირეები ვხდებით. მერე გვიკვირს, თუ რატომ მოხდა ოსებთან თუ აფხაზებთან საომარი ინციდენტები! საქართველოში უცხოელთა დასახლება ასეთი ინტენსივობით თუ გაგრძელდა, მაშინ კიდევ ბევრ სხვა ინციდენტს უნდა ველოდოთ მომავალში...

ქართველი გლეხი რომ მიწას ყიდის და იმ ფულით ქალაქში „შვილებისთვის ბინას ყიდულობს“ ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ არათუ მას არ ეცხოვრება სოფელში, შვილებსაც აღარ ურჩევს ამას. ასეთ დროს განგაშის ზარებია დასარეკი! ასეთ დროს ერიც და ბერიც უნდა აღდგეს და ამ პროცესს შეუშალოს ხელი, რომ გადარჩეს ჩვენი ადგილ-მამული, არ დაიცალოს სოფლები და საბოლოოდ არ გატიალდეს ჩვენი საზღვრები. უკვე კარგა ხანია ეკლესიამ შეამჩნია ეს პროცესი და მისი კომპეტენციის ფარგლებში დაიწყო ქვეყნის ხელისუფლებისათვის რჩევების მიცემა, საეკლესიო მიწებიც შესთავაზა გლეხებს დასახლებადაც და სხვ. მეტი ეკლესიას რა შეუძლია! ამ პროცესის შეჩერებას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება და დიდი, კოლოსალურად დიდი ფინანსური რესურსი სჭირდება. ძნელია იმის თქმა, რა სიდიდის თანხა დასჭირდება ამ საქმეს, მაგრამ ბულგარეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, რომელმაც მარტო მეფრინველეობის განვითარებისთვის ფერმერებს 35 მლნ დოლარი გრანტი მისცა, ჩვენი სოფლის მეურნეობის მთლიან აღორძინებას, რომელიც 8-10 ქვედარგს (მეფრინველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა და ა. შ.) მოიცავს, 1-მლრდ-მდე დოლარი მაინც დასჭირდება.

ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით უნდა შემუშავდეს პროგრამა სიმბოლური სახელწოდებით „დავუბრუნდეთ სოფელს“, პროგრამას ექნება რეგიონული დაყოფა.

შემუშავდება 11 პროგრამა, რომლებიც ასახავს საქართველოს 11 რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს

პროგრამები დამუშავდება სოფლის მეურნეობის ქვედარგების, პროდუქტების სახეების და მომსახურების სახეების ჭრილში.

სოფლის მეურნეობის ქვედარგების მიხედვით დამუშავდება ქვედარგების – მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა და ა. შ., ხოლო მათ შიგნით ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების (მაგალითად, მებოსტნეობაში რამდენი კარტოფილი, რამდენი ხახვი, ნიორი, სტაფილო და ა. შ. უნდა იქნეს წარმოებული) განვითარების პროგრამები.

მომსახურების სახეების ჭრილში დამუშავდება ქვეპროგრამები: სოფლის მეურნეობის ტექნიკა-ტექნოლოგიით უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ და ინფორმატიკულ მომსახურებაში, აგრონომიული და ვეტერინალური სერვისის განვითარებაში და ა. შ.

ყველა რეგიონული პროგრამა გაწერილი უნდა იყოს შესრულების ვადებზე, შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებსა და დაფინანსების მოცულობაზე.

პროგრამებში ცალკე უნდა გამოიყოს შიდა და გარე ბაზრისთვის წარმოებული პროდუქცია. უნდა დაკონკრეტდეს ცალკეული რეგიონის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის გლობალური ბაზრებისთვის წარმოების პოტენციური შესაძლებლობა დაფინანსების კერძო წყაროს მითითებით.

პროგრამაში უნდა დადგინდეს რეგიონების მიხედვით რა და რამდენი უნდა აწარმოოს თითოეულმა ოჯახმა და რა პირობები ექნება მას ამისთვის. ჩვენი აზრით, ამ ოჯახებმა ყველა მომსახურება უფასოდ უნდა მიიღონ და 10 წლის განმავლობაში მათ არც გადასახადები უნდა გადახდეთ. 10 წელი ის ვადაა, რომლის განმავლობაში ჩვენ შიდა ბაზრსაც გაგაჯერებთ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით უცხოეთის ბაზრებზეც გავაღოთ, ანუ მართლაც დაფუძრუნდებით სოფელს.

საქართველოს მთავრობის მხრიდან ამ მიმართულებით სვლის უმარტივესი სიმპტომები მიმდინარე 2011-2012 წლებში გამოჩნდა. მაგალითად, სოფლის ოჯახებისთვის საწვავის დარიგება მიწების დასამუშავებლად, ტრაქტორების ჩაყვანა კახეთის ზონაში, წეროვანში სათბურის გახსნა და სხვა. მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. ასე გაზაფხული არ მოვა. რადიკალური შემობრუნებაა საჭირო. რადიკალურ შემობრუნებას კი რადიკალური ღონისძიებები და კოლოსალური დაფინანსება სჭირდება. უნდა შევანეროთ ყველაფერი – გზების მშენებლობაც, სკვერების გაშენებაც, სპორტდარბაზების რეკონსტრუქციებიც, რემონტებიც, ლაზიკის აშენებაც და მთელი ეს სახსრები სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მივმართოთ.

ასეთი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა დღეს და უახლოეს მომავალში!

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მხრიდან ეს პოლიტიკური ნება ჯერჯერობით არ ჩანს. საქართველოს სტრატეგიული განვითარების „ათაუნქტიან გეგმაში“ სოფლის მეურნეობის განვითარება მე-6 პუნქტად არის დაფიქსირებული, მაგრამ განსხვავებით ზოგიერთი სხვა დარგისგან – ენერგეტიკა, ტრანსპორტი – მის სახელმწიფო დაფინანსებაზე მინიშნებაც კი არ არის გაკეთებული.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. Портер М. Международная конкуренция, М., 2007.
2. ნ. ხადური, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, თბ., 2010.
3. The Global competitiveness Report 2010-2011.
4. საადღგომო ეპისტილე, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 16-2 აპრილი, 2012.
5. გაზეთი „რეზონანსი“, 17 აპრილი, 2010, გვ. 5 და 7.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, თბ., 2010 (ელექტრონული სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდი).

**GLOBALIZATION AND GEORGIAN COMPETITIVENESS OR  
WHICH POLICY WE SHOULD CHOOSE FOR THE FUTURE  
SUMMARY**

In the article it is considered Georgian competitiveness in globalization. It is said in the article that Georgia can't be competitiveness by own commodity and service in the global market and that's why it should choose such products which could be superior in the global market. The above-mentioned authors think that such goods are environmentally fresh agri-cultural products,

They also give us accelerated proposals in developed market.

The authors's opinion we must work on the new project named after "Return to the villages" and make this project according its regions, we could find the financial resources for it. Our country must allocated 1\$ milliard as a grant to return the population in the village and to develop agriculture. It would be better to care the farms without any taxation. It is essential to form cooperative agricultures and farms. It should be Georgian politics today and for the future.

*გიორგი ყუფარაძე*

**საბასახალო კოლიტიკისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელის მიხედვით**

ნეოკლასიკური თეორიის პროგნოზები გადასახადებისა და ინვესტიციების დამოკიდებულების შესახებ<sup>115</sup> გასულ წლებში გადაიხედა ე.წ. „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ ლიტერატურაში. ქვემოთ განვიხილავთ „ძირითადი პერიფერიის“ (Core-Periphery Model) მოდელის მახასიათებლებს, რომელიც ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის მოდელის ბაზისად ითვლება.

ძირითადი პერიფერიის მოდელი ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის ლიტერატურაში<sup>116</sup> ეყრდნობა ბიზნესის კონცენტრაციის (აგლომერაციის) ცნებას. იგი გულისხმობს შიდა განვითარების პოტენციალის მქონე ეკონომიკას, რომელიც ხასიათდება ბიზნეს-საქმიანობის კონცენტრაციით; ჩვეულებრივ, განლაგების უპირატესობა რეციპიენტი ქვეყნისათვის არის დიდი ბაზარის ქონა, რაც თავის მხრივ ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს.

ამ მოდელის მიხედვით მთლიანი მოთხოვნა დამოკიდებულია დასაქმების დონეზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ინვესტირების დონეზე. შედეგად ქვეყანაში, სადაც ინვესტირება მზარდი ტემპებით ხორციელდებოდა, იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, იზრდებოდა განკარგვითი შემოსავალი და შესაბამისად ბაზრის ზომა საბოლოოდ მოიზიდავს დამატებით ინვესტიციებს და ა.შ.

ეს მოდელი მოიცავს „**ბაზარზე შეღწევის ეფექტებს**“, სადაც ფირმები ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას, რაც განპირობებულია ერთი ან რამდენიმე ფაქტორით

<sup>115</sup> ინვესტირების ნეოკლასიკური მოდელისათვის იხილეთ: Jorgenson D.W. "Capital Theory and Investment Behavior", American Economic Review 53, 24/59, 1963. Auerbach, A. J. "Wealth maximization and the Cost of Capital" Quarterly Journal of Economics 94, pp 433-436, 1979. Auerbach A. J., "Taxation, Corporate Financial policy and the Cost of Capital", Journal of Economic Literature 21, pp 905-940, 1983.

<sup>116</sup> Krugman P, Increasing Returns and Economic Geography, Journal of Political Economy 99, pp 483-499, 1991. Baldwin, R. and P. Krugman "Aglomeration, Integration and tax Harmonisation", CEPR Discussion papers, 2000.

(განსაკუთრებული აქტივების ფლობა, ცოდნითი კაპიტალი და ა.შ.), რასაც მოაქვს ეკონომიკური მოგება. ამ სახის ფორმებს აქვთ ტენდენცია, თავიანთი წარმოება განათავსონ დიდი ბაზრების სიახლოვეს და ექსპორტი გაიტანონ პატარა პერიფერიულ ბაზრებზე, მეორე, ბიზნესის კონცენტრაციის შედეგია „ხარჯების ეფექტი“ – ბიზნესის კონცენტრაცია იწვევს დანახარჯების შემცირებას; შემცირება დაკავშირებულია სამპორტო ხარჯების შეკვეცასთან. მესამე, „ბაზრის გადავსების ეფექტი“ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ხელს უწყობს ბიზნესის გაფანტვას (ე.ი. ხელს უშლის ბიზნესის კონცენტრაციას). გაზრდილი კონკურენცია კიდევ უფრო ღრმავდება. იმატებს კვალიფიციური კადრების ხელფასები, რაც უბიძგებს ფორმებს, გადავიდნენ ნაკლებკონკურენციულ, პერიფერიულ რეგიონებში.

იქ, სადაც ბიზნესის კონცენტრაციის ძალები უფრო ძლიერია ვიდრე დისპერსიის ძალები, კაპიტალის ან სამუშაო ძალის გადაადგილების შოკებმა შეიძლება გამოიწვიოს თვითრეგულირებადი მიგრაცია – მუშებისა და სამრეწველო კაპიტალის გადაადგილება ერთ რეგიონში, საწინააღმდეგო შემთხვევაში შოკს საწინააღმდეგო ეფექტი მოაქვს; ბოლო მთავარი ელემენტი ამ მოდელის არის ვაჭრობის ხარჯები (ტრანსპორტირების ხარჯები), რაც განსაზღვრავს ბიზნეს კონცენტრაციის და დისპერსიის ძალების შედარებით სიძლიერეს. ორივე, ბიზნესის კონცენტრაციის და დისპერსიის ძალები უფრო ძლიერია მაღალი სავაჭრო დანახარჯების პირობებში და შესაბამისად, მათი კლებისას სუსტდება. ამ მოდელის მიხედვით, ბიზნეს დისპერსიის ძალები უფრო ჩქარა სუსტდება, ვიდრე კონცენტრაციის ძალები სავაჭრო ხარჯების კლების კვალობაზე. ასე რომ, სავაჭრო ხარჯების კლების კვალობაზე დომინირებს ბიზნესის კონცენტრაციის ძალები და მიგრაციის შოკი უბიძგებს თვითწარმართვად მიგრაციის ციკლს, ერთ რეგიონში მუშახელის და კაპიტალის გადაადგილებასაკენ.

*გადასახადების გავლენის შეფასება CP მოდელის მიხედვით*  
(ძირითადი პერიფერიის მოდელი)

ძირითადი პერიფერიის მოდელის მახასიათებლები განსხვავდება ინვესტირების ნეოკლასიკური მოდელისაგან და შესაბამისად განსხვავებულია მათ მიერ გადასახადების გავლენის შეფასება. ამ მოდელის ორი ძირითადი მახასიათებელი არის კონცენტრაციის ეფექტით განპირობებული ინერცია და არაწრფივობა. ინერცია ან კაპიტალის კვაზიფიქსირებულობა (რაც გულისხმობს კაპიტალის სიხისტეს პოლიტიკის შოკებზე სულ მცირე ცალკეული მიმართულებებით) გამოწვეულია ზემოთ აღნიშნული ტენდენციით, ბიზნესის აქტივობების (საქმიანობის) გეოგრაფიული კონცენტრაციით, რაც ცვლის საქმიანობის ეკონომიკურ პირობებს გეოგრაფიული კონცენტრაციის კიდევ უფრო გაღრმავებით. კაპიტალის ინერციულობა ნიშნავს ეკონომიკური მოგების გარკვეულ ფიქსირებულობას, რაც ექცევა რეციპიენტი ქვეყნის დაბეგვრის ქვეშ. აგრეთვე ხდება არაწრფივი ეფექტების პროგნოზირება, სადაც ცვლილებებს კაპიტალის უკუგებაში შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში ჰქონდეს მინიმალური გავლენა კაპიტალის განლაგებაზე, მაშინ, როცა შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს დრამატული ეფექტები.


**ასიმეტრიული კორპორაციული დაბეგვრის გავლენა ინვესტიციებზე A და B ქვეყნებში ნეოკლასიკური მოდელისა და ძირითადი პერიფერიის მოდელის მიხედვით<sup>117</sup>.**

ანალიზი უშვებს კაპიტალის (დანაზოგების) ფიქსირებულ ოდენობას, რაც ნაწილდება A და B ქვეყნებში. თავდაპირველად არსებობს თანაბარი მოგების გადასახადის

<sup>117</sup> ამ შემთხვევაში გაკეთებულია დაშვება, რომ ძირითადი პერიფერიის მოდელის პირობებში ბიზნესის კონცენტრაციის ძალები აჭარბებს ბიზნესის დისპერსიის ძალებს

განაკვეთები. კორიზონტალური ღერძი ასახავს A ქვეყნის წილს საინვესტიციო კაპიტალში – აღნიშნულია  $S_A$ , იგი იღებს მნიშვნელობებს ნულიდან (სადაც კორიზონტალური და ვერტიკალური ღერძები იკვეთება) 1-მდე. (ბოლო წერტილი მარჯვნივ  $S_A=1$ ).

**ნახ. 1. FDI-სა და ასიმეტრიული დაბეგვრის ურთიერთკავშირი ძირითადი პერიფერიის მოდელისა და ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით**



ვერტიკალურ ღერძზე დატანილია დაბეგვრამდე უკუგების ნორმათა შეფარდება A და B ქვეყნებში  $F_{KA}/F_{KB}=1$ , ანუ  $F_{KA}=F_{KB}$ . ვერტიკალურ ღერძზე ასევე დატანილია შეფარდებითი საგადასახადო პირობები  $(1-U_B)/(1-U_A)$ , სადაც კორიზონტალური და ვერტიკალური ღერძები იკვეთება  $(1-U_B)/(1-U_A)=1$ , შესაბამისად  $U_B=U_A$ . თავდაპირველად დაგუშვათ, რომ A და B ქვეყანაში არის მსგავსი მოგების გადასახადის განაკვეთები. ე. ი.  $U_{A0}=U_{B0}$ . ე. ი. საგადასახადო პირობები შემდეგია  $(1-U_{B0})/(1-U_{A0})=1$ . ინვესტირების ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, კაპიტალი ქვეყნებს შორის განაწილდება ისე, რომ დაბეგვრის შემდგომი უკუგებები გამოთანაბრდება. იდენტური საწარმოო ფუნქციებით კაპიტალი თანაბრად განაწილდება A და B ქვეყანას შორის. წონასწორობა შეიძლება გამოიხატოს  $F_{KA0}(1-U_{A0})=F_{KB0}(1-U_{B0})$  ტოლობით, სადაც  $F_{KA0}$  და  $F_{KB0}$  კაპიტალის დაბეგვრამდელი უკუგებებია. წონასწორობა მყარდება  $E_0$ -წერტილში, სადაც  $S_A=1/2$ <sup>118</sup>.

განვიხილოთ საგადასახადო პოლიტიკის გავლენის შედეგები (რეფორმა 1), სადაც A ქვეყანა მოგების გადასახადის განაკვეთს წევს  $U_{A1}$ -მდე ( $U_{A1}>U_{B0}$ ). რეფორმა გაზრდის შეფარდებით საგადასახადო პირობებს  $(1-U_B)/(1-U_{A1})$ , რომელიც აჭარბებს 1-ს. ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით – იდენტური დაბეგვრამდელი უკუგებით საწყისი კაპიტალის განთავსებამდე დაბეგვრის შემდგომი უკუგება A ქვეყანაში იქნება დაბალი B ქვეყანაში რეფორმის შემდეგ. კაპიტალი გადაადგილდება A ქვეყნიდან B ქვეყანაში, სადაც კაპიტალის უკუგება უფრო მაღალია. კაპიტალის კლებადი პროდუქტიულობის პირობებში კაპიტალის გადაადგილება გამოიწვევს დაბეგვრამდელი უკუგების ზრდას A ქვეყანაში ( $F_{KA}$ ), და დაბეგვრამდელი უკუგების შემცირებას B ქვეყანაში ( $F_{KB}$ ), სანამ დაბეგვრის შემდგომი შემოსავლები არ გათანაბრდება. ნახ. 1-ზე ცვლილება იქნება  $E_0$ -დან გადაადგილდება  $E_{NC1}$

<sup>118</sup> სხვა განაწილებები გამოიწვევდა კაპიტალის შოკებს, რაც საბოლოოდ მივიდოდა წონასწორობის ფორმირებამდე. მაგალითად, თუ  $S_A < 1/2$ , კაპიტალის კლებადი ზღვრული პროდუქტიულობის დაშვებით,  $F_{KA0} > F_{KB0}$  და შესაბამისად  $F_{KA}(1-U_{A0}) > F_{KB0}(1-U_{B0})$ . მობილური კაპიტალი, რომელიც განთავსდა მაღალი დაბეგვრის შემდგომი უკუგების გამო; ეს სიტუაცია ხელს შეუწყობს კაპიტალს გადაადგილდეს A და B-ში სანამ  $F_{KA0}(1-U_{A0})=F_{KB0}(1-U_{B0})$ . იდენტური საგადასახადო განაკვეთებით და საწარმოო ფუნქციებით ეს ნიშნავს  $F_{A0}=F_{B0}$  ან ეკვივალენტურად  $S_A=S_B=1/2$



(რეფორმის შემდგომი წონასწორობის წერტილი), სადაც  $F_{KA1}(1-U_{A1}) = F_{KB1}(1-U_{B0})$ . ნეოკლასიკური მოდელის დინამიკა არის სტაბილური, კაპიტალი გადაადგილება A ქვეყნიდან B ქვეყანაში საგადასახადო რეფორმის შემდეგ; კაპიტალის უკუგება განიცდის ისეთ ცვლილებას, რომ აბათილებს საწყის ეფექტს (ე. ი. უკუგება კაპიტალზე B ქვეყანაში ეცემა, მაშინ, როცა A-ში იზრდება).

საპირისპიროდ, CP მოდელში ასიმეტრიული საგადასახადო დაბეგვრის ეფექტი შეიძლება იყოს რადიკალურად განსხვავებული. კერძოდ, ასიმეტრიულ დაბეგვრას არ ექნება გავლენა კაპიტალის განლაგებაზე, ან ეფექტები იქნება დრამატული – ასიმეტრიულობის ხარისხზე და შეფარდებით ბიზნეს კონცენტრაციის ძალების ხარისხზე დაყრდნობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, CP მოდელის მთავარი მახასიათებელია ტენდენცია ბიზნესის კონცენტრაციის ძალების, შექმნან პირობები, რაც აძლიერებს ამ ძალებს და აღრმავებს ბიზნესის კონცენტრაციას. CP მოდელი საწყისი თანაბარი მოგების გადასახადის განაკვეთებით ორივე ქვეყანაში, რეფორმამდელი წონასწორობა იქნება იქ, სადაც მთელი კაპიტალი განთავსდება A ქვეყანაში (აღნიშნულია  $C_{PA}$ )<sup>119</sup> ან ალტერნატიულად B ქვეყანაში (აღნიშნულია  $C_{PB}$ ). ილუსტრირების მიზნებისთვის განვიხილოთ საწყისი CP წონასწორობა მთელი კაპიტალის A ქვეყანაში ინვესტირებით,  $C_{PA1}$  წერტილში.

პირველი შედეგი, რაც მოდელიდან გამომდინარეობს, არის კავშირი შეფარდებითი უკუგების განაკვეთისა ( $F_{KA}/F_{KB}$ ) და კაპიტალის დისპერსიის  $S_A$ ; (აღნიშნულია წყვეტილი ხაზით ნახაზზე). კერძოდ, დახრა არის დადებითი, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ ბიზნესის კონცენტრაციიდან სარგებლობა ერთ რეგიონში სხვებთან შედარებით, რაც იზომება შედარებითი უკუგების შეფარდებით, აქვს მიდრეკილება, გაიზარდოს, იზრდება რა კონცენტრაციის ხარისხი საპირისპიროდ, კაპიტალის კონცენტრაცია ნეოკლასიკური ინვესტირების მოდელში არის საპირისპირო – შემცირებული უკუგება კაპიტალზე გაზრდილი კაპიტალის შოკებისათვის, აქვს მიდრეკილება დისპერსიის ძალების გაძლიერებისაკენ.

ახლა ხელახლა განვიხილოთ საგადასახადო პოლიტიკის რეფორმის არჩევანი 1, სადაც A ქვეყანა ზრდის წილს, მოგების გადასახადის განაკვეთს ზემოთ ისე, რომ B ქვეყანაში შეფარდება  $(1-U_B)/(1-U_A)$  აჭარბებს 1-ს. როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, მას შემდეგ, რაც რეალური უკუგების ფარდობა  $F_{KA0}/F_{KB0}$   $C_{PA1}$ -ში აჭარბებს საგადასახადო ფარდობას  $(1-U_B)/(1-U_A)$ , ან სხვა სიტყვებით, მას შემდეგ რაც წმინდა უკუგება კაპიტალზე A ქვეყანაში აგრძელებს გადაჭარბებას  $B[F_{KA0}(1-U_{A1}) > F_{KB0}]$ , საგადასახადო შოკს ამ შემთხვევაში არ ექნება გავლენა კაპიტალის განლაგებაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ბიზნესის კონცენტრაციის მოგების არსებობა A ქვეყანაში ნიშნავს, რომ A ქვეყანას შეუძლია დააწესოს შედარებით მაღალი გადასახადი მოგებაზე, რასაც არ ექნება გავლენა კაპიტალის ხელახლა გადანაწილებაზე.

სიტუაცია იქნება მნიშვნელოვნად განსხვავებული, თუ ქვეყანა გაზრდის განაკვეთს ( $U_{A2} \gg U_{B0}$ ), ამ განაკვეთით ბიზნესის კონცენტრაციის ეკონომია A ქვეყანაში განლაგებით არის მეტი, ვიდრე საგადასახადო წნეხი, რაც იწვევს კაპიტალის გადატანას A-დან B-ში, იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა დაშვებას გავაკეთებთ ბიზნესის დისპერსიისა და კონცენტრაციის ძალების შეფარდებითი სიძლიერის შესახებ, რაც უკავშირდება სანაცვლოდ ვაჭრობის დანახარჯებს, კაპიტალის გადაადგილება შეიძლება იყოს

<sup>119</sup> თუ ინერცია საწყის ეტაპზე თანაბრად განაწილდება A და B-ში, შემთხვევით ან განმეორებით, რაც იწვევს კაპიტალის ნაწილის გადაადგილებას A-ში, (0 ან ბ-ში) ასევე უბიძგებს აგლომერაციის ძალებს გაძლიერებისაკენ, რაც საბოლოოდ მთელ კაპიტალს წაიყვანს A-ში (B-ში).

მნიშვნელოვანი (გამონაკლისი შემთხვევა შეიძლება იყოს, როცა მთელი კაპიტალი B-ში გადაადგილება CP წონასწორობით). შემცირებული საგადასახადო ბაზით A ქვეყანაში ნიშნავს A ქვეყანაში შემცირებულ საგადასახადო შემოსავლებს, ნაცვლად გაზრდილი მოგების გადასახადის განაკვეთისა (ლაფერის მრუდის შედეგი).

მთავარი დასკვნა, რაც გამომდინარეობს ამ მოდელებიდან, არის შემდეგი: ბიზნესის კონცენტრაციის ეკონომია გულისხმობს, რომ პოლიტიკის ეფექტი არის არაწრფივი (როგორც წინა მაგალითში, სადაც პირველ საგადასახადო რეფორმას, მეორესაგან განსხვავებით, არ ჰქონდა მნიშვნელოვანი შედეგი) – ე. ი. კაპიტალის უკუგების ნორმებს შორის ცვლილებებს შეიძლება განსაზღვრულ პირობებში ჰქონდეს მინიმალური ეფექტი წარმოების განლაგებაზე, მაშინ, როცა შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება მოიტანოს დრამატული ცვლილებები. შემდეგი დასკვნა არის აგრეთვე ის, რომ წარსულმა გამოცდილებამ შეიძლება ვერ შემოგვთავაზოს სწორი დასკვნები იმავე რეფორმის შედეგების შესახებ ახლანდელ პირობებში. ასევე დაშვება წრფივი კავშირის არსებობის შესახებ FDI-ს და გადასახადებს შორის იყოს პრობლემატური (ე. ი. მოდელის არასწორი სპეციფიკაცია).

*Kuparadze Giorgi*

**RELATION BETWEEN TAX POLICY AND INVESTMENT LOCATION  
BASED ON NEW ECONOMIC GEOGRAPHY MODELS  
SUMMARY**

In the article is reviewed the effects of tax policy in relation to FDI based on New Economic Geography Models. A key policy conclusion to be drawn is that business concentration economies imply the impact of policy will be non-linear—that is, changes in returns of capital may under certain conditions have minimal impact on the location of industry, while subsequent further changes may have dramatic effects. One implication is that the response of past reforms may offer a poor guide to gauging the impact of similar reforms.

*თეიმურაზ შენგელია*

**გლობალიზაციის უზარაქმნი საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე**

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესთან და გულისხმობს ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც ეფუძნება ღია საბაზრო ეკონომიკასა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპებს. უკანასკნელი განიხილება როგორც არა მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა, არამედ გულისხმობს პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს. საქართველოს ეროვნული ეკონომიკა განიცდის ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციას.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო დრამატიკულად იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი განვითარების მომავალს, ნორმებს და სტანდარტებს, თუმცა გაგვჩვენებს არ ახდენას და არ ცვლის ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას. გლობალიზაციის პროცესი არის განვითარებადი, განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადაპტაციის პროცესი, რადგან არსებულ სიტუაციაში ეკონომიკური აგტარკია საზიანოა ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისათვის. ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, ინტერნაციონალიზაციის შედეგად ეროვნული ეკონომიკის შიგნით მიმდინარე მოვლენები

საზღვარს გარეთ გამოდის. გლობალიზაციის შედეგად კი ესა თუ ის პრობლემა წყდება ქვეყნების ჯგუფის ან მსოფლიოს დონეზე.

გლობალიზაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან გახდა. მეცნიერები ცდილობდნენ, ეპოვათ თანამედროვე გლობალიზაციისა და მისი ისტორიული ანალოგების საერთო ფესვები. გლობალიზაციის ისტორიული წანამძღვრები შეგვიძლია ვეძებოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში. თუმცა გლობალიზმის ადრეული ფორმები არსებობდა უფრო ადრეულ ეპოქებშიც. ამისი მაგალითია რომის იმპერია, ხანის დინასტია და სხვა. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყო “აბრეშუმის გზის” მშენებლობა. მონღოლთა იმპერიაში აბრეშუმის გზამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. 1850 წელს ინდუსტრიული რევოლუციის მხარდამ აღმავლობამ მოითხოვა მეტი რესურსები და გლობალური ბაზარი. ამ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი გახდა უმოქმედო, რამაც ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობის შემდგომი განვითარება მოითხოვდა უფრო მეტ ცოდნას სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ხალხის კულტურის შესახებ. ევრაზიის დერეფნის ბუნებრივი ფუნქციით საქართველო წარმოადგენდა „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვან მონაკვეთს. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63, ახ. წ. 23-24) წერდა, რომ ოთხი გზა თავს იყრიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთაში. მისივე ცნობით, აქ დასახლებული მოსახლეობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას მისდევდა და ამას არა მარტო თავის მოსახმარად, არამედ უცხოეთში გასაყიდად აკეთებდა [9].

საქართველოში გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა. ამჟამად საქართველო დაახლოებით 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულია ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებამ, ასევე, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გარდამავალი პერიოდის მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიო ბანკის პროგრამების ფარგლებში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნესის გარემოს გაუმჯობესების კუთხით შთამბეჭდავი წინსვლა შეიმჩნევა. ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპი 10%-ია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში 9%-ს აღწევს.

ფრეზერის ინსტიტუტის 2011 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენების მიხედვით, საქართველო, წინა წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის 23-ე ადგილზე (7,47 ქულით) იმყოფება. აღნიშნული დაწინაურება განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების წილის შემცირება; მდგრად ვალუტაზე ხელმისაწვდომობის ზრდა (ფულის მოცულობის ზრდა ეკონომიკაში და დაბალი ინფლაციის სტანდარტული გადახრა); საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, სავაჭრო ბარიერების, ბიზნესის რეგულირების ბიუროკრატიული დანახარჯებისა და პროცედურების შემცირება, ბიზნესის დაწყების გამარტივება და სხვა [5. გვ. 22].

Heritage Foundation-ის მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლება; ვაჭრობის თავისუფლება; ფისკალური თავისუფლება; სახელმწიფოსგან თავისუფლება; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო თავისუფლება; ფინანსური თავისუფლება; საკუთრების უფლება; კორუფციისგან გათავისუფლება; შრომის თავისუფლება. Heritage Foundation–ი

თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ქვეყნებს 5 ჯგუფად ჰყოფს: 1. თავისუფალი (80-100%); 2. უპირატესად თავისუფალი (70-79.9%); 3. ზომიერად თავისუფალი (60-69.9%); 4. უპირატესად არათავისუფალი (50-59.9%); 5. რეპრესიული (0-49.9%). ამ კლასიფიკაციაში საქართველო 73 ქულით უპირატესად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება [6, გვ. 28].

ამ ფონდის მიერ საქართველოს თავისუფლების ხარისხი ბიზნესის, ფისკალურ, საინვესტიციო და შრომის ბაზრის სფეროებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებითაა შეფასებული. ბიზნესის დაწვების, ასევე, მისი დახურვის პროცედურები საგრძობლადაა გამარტივებული; საშუალო შეწონილი ტარიფების განაკვეთი უტოლდება 9,5%-ს, რაც საკმაოდ ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმზე მიუთითებს, თუმცა გარკვეული პრობლემებია დაკავშირებული ადურიცხავ სავაჭრო ნაკადებთან. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბზე სახელმწიფოს ხარჯების მოცულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ზომიერად შეიძლება შეფასდეს. ბოლო წლებში სახელმწიფო ხარჯებმა მშპ-ს 25% შეადგინდა. საინვესტიციო სფეროს ლიბერალიზაცია 70%-ითაა შეფასებული. უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებზე ბიზნესის დაწვების თვალსაზრისით ერთნაირი რეჟიმი ვრცელდება, უცხოურ ფირმებს თავისუფლად შეუძლიათ დაარეგისტრირონ თავიანთი ფირმები საქართველოში. ინვესტორებისთვის ძირითად დაბრკოლებას საქართველოში ეკონომიკური გარემო წარმოადგენს. ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპორტის დივერსიფიკაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგან ინვესტორისათვის ყველაზე უფრო მიმზიდველია საექსპორტო სექტორი, რომელიც ორიენტირებულია მეტ უცხოურ ბაზარზე. თავისუფლების დაბალი მაჩვენებელი აქვს ქვეყანას საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ, რომლის მიხედვითაც ჩამორჩება საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს [13, გვ. 31].

საერთაშორისო ორგანიზაცია Global Policy-ს გლობალიზაციის 2011 წლის ინდექსის რეიტინგში, 62 ქვეყანას შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და, მათ შორის, საქართველო არ ფიგურირებენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ გლობალურ ეკონომიკასთან ამ ქვეყნების ინტეგრირებულობის ხარისხს არ მიუღწევია იმ სიდიდისთვის, რომ ანგარიშგასაწევს წარმოადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკა ლიბერალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა. ძლიერ ლიბერალურია ქვეყნის საგარეო სავაჭრო რეჟიმი, ასევე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლისთვის [10].

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა დღეს არ არის გამოცალკევებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და სხვა დონისძიებებთან. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობების გაფართოებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შედწევის გაადვილებას. კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია დივერსიფიკაციის დონისძიებებს, რაც გულისხმობს მიზნობრივი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას, უცხოური ბაზრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ორიენტაციას ტექნოლოგიატევადი ექსპორტის განხორციელებაზე და სხვა. საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი საგარეო სავაჭრო კავშირების დივერსიფიკაციაზეა ორიენტირებული. ვაჭრობის სფეროში მისი განხორციელების

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის წევრობა მვო-ში, რომელიც წარმოადგენს მძლავრ ინსტიტუტს და ქმნის ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებზე დაფუძნებულ სავაჭრო სისტემას. მის ფარგლებში მსოფლიო ვაჭრობის 95% წარმართება. ფაქტობრივად, მვო-ს შეთანხმება ქმნის ჩარჩოს, რომლითაც განისაზღვრება ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ხასიათი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს. ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე და, ამავე დროს, ისეთი ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა: გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედების აცილება; კონკურენტუნარიანობის მოპოვება და შენარჩუნება; ძირითადი საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა; ინვესტიციების მოზიდვა და სხვა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოლო წლებში ქართული პროდუქცია ყველაზე მეტი რაოდენობით იქნა გატანილი ბულგარეთში, გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში და ა.შ. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, საქართველოს ექსპორტის მოცულობა შედარებით მაღალი იყო აშშ-ში, კანადაში, თურქეთში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

საქართველოს შესაძლებლობები, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საქართველოს გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისთვის ქვეყნის სატრანზიტო როლი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ტვირთების, ინვესტიციების და საინფორმაციო ნაკადების ზრდასთან ერთად, შესაბამისად, გაიზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. ისეთი მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. გრძელვადიან პერიოდში, სატრანსპორტო კორიდორის გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული. სატრანსპორტო კორიდორის სრულფასოვანი ფუნქციონირება საჭიროებს სხვა დარგების განვითარებას – ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, სასტუმროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მომსახურების დარგები. მაგრამ, რა თქმა უნდა, სატრანზიტო ფუნქცია არ არის საკმარისი პირობა გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობის დინამიკურ სექტორებში. UNCTAD-ის შეფასებით, დინამიკურ სექტორებს მიეკუთვნება ის სექტორები, რომლებიც 2000 წლის შემდგომ 5-ჯერ მაინც გაიზარდა. ეს სექტორები ხასიათდება მოთხოვნის მდგრადი ზრდითა და ტექნოლოგიური და კვალიფიკაციის მხრივი განვითარებით. მათში შედის სასმელები, ზღვის პროდუქტები, ენერგეტიკული პროდუქტები (მაგალითად, ბიოსაწვავი), სამრეწველო საქონლიდან ელექტრონიკა, საავტომობილო ნაწილები, საფეიქრო და ტანსაცმლის წარმოება, მომსახურება (საინფორმაციო ტექნოლოგიების, სამშენებლო, სატრანსპორტო, მოგზაურობანი, ტელეკომუნიკაციები, ფინანსური და პროფესიული, კომერციული). განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი დარგები, რომლებიც 2000 წლის შემდგომ საშუალოდ წლიურად 7%-ით იზრდება და მისი მსოფლიო ბაზრის მოცულობა 1,3 ტრლნ დოლარს აღწევს [3. გვ 31].

მიუხედავად ამ წარმატებებისა, გლობალიზაციის თემა სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ქართული საზოგადოებისთვის. ქვეყნის ბედსა და მის მომავალზე ჩაფიქრების საფუძველს იძლევა დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, გაუსაძლისი სოციალური ფონი, უმუშევრობა, სოციალური სტრატეფიკაცია, საარსებო მინიმუმი და სხვა.

საქართველოში გაზრდილი ეკონომიკური პრობლემების მთავარი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკის განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესების არაადეკვატური იყო უცხოური რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. საქართველო, მონეტარულ პოსტულატებზე დაყრდნობით, ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. ქვეყანაში სახელმწიფო-მონოპოლისტური სოციალიზმი შეცვალა სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა; სამართლიანობის პრინციპებზე აგებული დემოკრატიული ეკონომიკური სისტემის ნაცვლად მივიღეთ კვაზიდემოკრატიაზე, მოჩვენებით სამართლიანობაზე დაფუძნებული ზედიზერალური კაპიტალიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დასავლურ ღირებულებებთან. მართალია, საქართველოში საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორს ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება, არ არის დაცული კერძო საკუთრება, ძალზე დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობა (იგი შრომითი პოტენციალის დაახლოებით 40%-ია), დაქირავებით დასაქმებულთა წილი (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 21%-ია. 1990 წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 1,6-ჯერ, აქედან, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-ჯერ შემცირდა. საქართველოში რიგი ენდოგენური ფაქტორების გავლენით, მათ შორის ეკონომიკის სექტორების მიხედვით ინვესტიციების არათანაბარი განაწილებისა და განხორციელებული ე.წ. მცირე პრივატიზაციის გამო, ვერ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 6,6% (საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია), საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2% (ევროკავშირში 18%-ია), სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილი მთელი გამოშვების 84,2%-ია და 2-ჯერ აღემატება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს. 2011 წლის 31 მარტის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი 6160993000 ლარს შეადგენს, ხოლო მისი მომსახურებისათვის გადასახდელი პროცენტი 2011 წლის ბოლოსთვის 71,34 მლნ დოლარი იყო [4, გვ. 41].

1989 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა 5460 ათასი კაციდან 4385,4 ათას კაცამდე, ე.ი. 21%-ით შემცირდა. სსფ-ის და მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით, 2011 წელს რეალურმა მშპ-მა (მშპ-ის დეფლატორის – ფასების ჯაჭვური ინდექსის მეთოდით) 1991 წლის დონის მხოლოდ 71,1% შეადგინა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასებით) – 2450 დოლარი, რაც საშუალო მსოფლიო დონის 1/3-საც კი ვერ აღწევს. ამ მნიშვნელოვანი ინდიკატორის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩენა ერთხელ კიდევ მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში საშუალო ფენის დაბალ დონეზე (იგი მხოლოდ 9%-ია). ხელოვნურადაა შემცირებული საარსებო მინიმუმი, რომელიც მხოლოდ ნომინალურად ამცირებს სიღარიბის დონეს. ოთხსულიან ოჯახზე იგი თვეში 226,5 ლარს შეადგენს. მინიმალური ხელფასი 40 ლარია, ხოლო საშუალო ხელფასი – 572,4 ლარი. ექსპერტთა შეფასებით, მოსახლეობის 15% ღარიბია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები (ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალი ფარავს საარსებო მინიმუმს, მაგრამ არ არის საკმარისი ნორმალური აღწარმოებისათვის) 50%-ია, მდიდრები – 5%, ხოლო მათ შორის შეძლებული – 3,5%. ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური საკითხი საარსებო მინიმუმთან არის დაკავშირებული [11].

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 155 ლარია, საშუალო მომხმარებლის – 137 ლარი, ოთხსულიანი ოჯახის – 260 ლარი. საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე [5].

საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება პროდუქტებზე არსებული სეზონური ფასების და ადამიანის მოთხოვნილების აუცილებელი დღიური ნორმის

მიხედვით. დადგენილი დღიური ნორმა 2300 კილოკალორის მიღებას გულისხმობს, რასაც 40 სახეობის სხვადასხვა საკვები პროდუქტი ადგენს. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია სასაქონლო ნომენკლატურის გაზრდა, რიგი საქონლის, თუ მომსახურების დამატებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის არა მარტო ფიზიკური არსებობისთვის, არამედ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების და უნარების განვითარებისთვის.

თუ საქართველოში არსებული საარსებო მინიმუმს და ფასების დონეს შევადარებთ ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ იქ საარსებო მინიმუმი ერთ სულზე წელიწადში 10.830 ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო ოთხსულიანი ოჯახზე – 22.050 ამერიკულ დოლარს, – ანუ დაახლოებით 3091 ლარი თვეში, როცა საქართველოში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 260 ლარით განისაზღვრება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმის თანაფარდობა ამერიკულთან შედარებით, დაახლოებით 8%-ია [6. გვ. 12].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოში, ამერიკასთან შედარებით საერთო შეწონილი ფასების დონე 55%-ია, ხოლო „ბიგმაკის“ ინდექსის თანახმად 85%-ია. ჩვენთან ფასები, მაგალითად, ბენზინზე 40%-ით უფრო მაღალია ვიდრე აშშ-ში, ფრინველის ხორცზე 30%-ით, ბანანზე 70%-ით, ასევე 25%-ით ძვირია საქონლის ხორცი და რიგი სხვა პროდუქტები. გამოდის, რომ ჩვენთან საარსებო მინიმუმი ნამდვილად არ უნდა იყოს ასეთ დაბალ დონეზე ამერიკულ საარსებო მინიმუმთან შედარებით [6, გვ. 32].

ასეთი მწვავე სოციალური სტრატეგიკაციის გამო, საქართველო გამოირჩევა დანაზოგების ძალზე დაბალი დონით და ამ მაჩვენებლის მიხედვით საპარის სამხრეთით მდებარე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში განიხილება. ამიტომ, ვინაიდან დეპოზიტების ბაზა საკმარისი არ იყო, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბანკები საგარეო ბაზრებიდან სესხების მოზიდვას ახერხებდნენ. ამ კამპანიამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ უცხოური ინვესტიციები გახდა არა ქვეყნის შიგა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო, არამედ, შეიძლება ითქვას, ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა.

ურთულესი პრობლემების წინაშეა ქვეყნის აგრარული სექტორი, რაც შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს. გარდა იმისა, რომ 1990 წელთან შედარებით, 2011 წელს საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი 30-დან 8%-მდე დაეცა და წარმოიქმნა სასოფლო-სამეურნეო ლაგი (გარღვევა წარმოების ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობებს შორის), სახეზეა სოფლის მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ქალაქად [3, გვ. 4].

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის რეფორმები, რომელსაც ატარებს ხელისუფლება და მათი შედეგები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც რეფორმები ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების გააზრებული, თანმიმდევრული პოლიტიკა ინსტიტუციური რეფორმების დარგში შეიძლება საქართველოს შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის საწინდარი გახდეს.

### **ბამოყენებული ლიტერატურა**

1. შენგელია თ. საერთაშორისო მენეჯმენტი. თბ., „ახალი საქართველო“, 2012. 734 გვ.
2. შენგელია თ. გლობალური ბიზნესი. თბ., „ახალი საქართველო“. 640გვ.
3. ემა ტუხიაშვილი., „შიში და შიმშილი ინვესტიციებში“, „კვირის პალიტრა“, №42, 21-27 ნოემბერი, 2011. გვ. 23-26.
4. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, 2009.

5. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა, თბ., 2011.
6. [www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=82](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=82)
7. [www.qilipa.wordpress.com/2011/01/29](http://www.qilipa.wordpress.com/2011/01/29)
8. [www.bfm.ge/banks/](http://www.bfm.ge/banks/)
9. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)
10. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
11. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
12. [www.heritagefoundationbec.ge/images/doc/information](http://www.heritagefoundationbec.ge/images/doc/information)
13. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
14. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
15. [www.Germany.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=http://www.osgf.ge/files/publications](http://www.Germany.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=http://www.osgf.ge/files/publications)
16. [www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=3&id\\_artc=1948](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=1948)
17. [www.doingbusiness.org/rankings](http://www.doingbusiness.org/rankings)
18. [www.heritage.org/index/country/georgia](http://www.heritage.org/index/country/georgia)

*Shengelia Teimuraz*

## **THE IMPACT OF GLOBALIZATION ON GEORGIA'S NATIONAL ECONOMY SUMMARY**

Globalization is inevitable and the only way of world economic development. Ongoing integration processes in the world makes it clear that it has no other alternative. Counter way of globalization is destined to economic autarkies and regress of society. Small countries like Georgia has no another way of development than rational and gradual integration in global environment. This thesis is supported by the recent history of Georgia. Georgia must search the most rational ways of integration in world economic globalization processes and by that way ensure its own place in the world economy.

To determine the rate of economic development of our country is used different economic indexes by the international organizations. The role of indexes in analyzing the countries performance became especially active with the advance of globalization processes. The letter has triggered to create new competitive environment for international business. Using the international indices does not change the fundamental approaches of measuring the living standards. Active use of international index is first of all determined by the fact that analysts want to see the real problems in different countries and by that way which is directed towards the activization of real problems to create political will for solving these problems. Another aspect of this question is that how governments would react to these information and possible steps may be taken to address these problems.

Poor social conditions in Georgia (Unemployment, low incomes, low purchasing power of social benefits, rise in price levels etc.) on one hand and advance of countries position in a number of international indexes on the other created some misunderstanding for the citizens and as result they have low confidence and trust to those indexes.

*ვატი შენგელია*

### **გლობალიზაცია და ინტელექტუალური კაპიტალი**

გლობალიზაცია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდაა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის



პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის შესახებ არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველი შეხედულების თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეორე შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს, ერებს, მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ განიხილება, როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია.

ინფორმატიკის ენაზე გლობალიზაცია ისეთი პროგრამული ბირთვის შემუშავების პროცესს ნიშნავს, რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებელი ქვეყნის ენასა და სტანდარტებზე. ის ურთულესი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოვლენაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ქმნადობის და ფუნქციონირების ურთულეს პროცესებს და, თავის მხრივ, შედგება ერთმანეთთან ინტეგრირებული, ერთმანეთის „ინსპირატორი“ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების, ბაზრების, მომსახურების, ფინანსების, ინფორმაციული სისტემების, ინსტიტუციური სტრუქტურების, კულტურებისა და სხვათა ერთობლიობებისაგან, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ გლობალიზაციას.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდანვე დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ტენდენციებს, დასავლეთში არსებულ აზრთა სხვადასხვაობებს. ქართველ მეცნიერ ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგანია ის დადებითი შედეგები და, ამასთანავე, საფრთხეები, რომელიც გლობალიზაციას მოაქვს და მომავალშიც შეუძლია მოუტანოს საქართველოს.

თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ამასთანავე, დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა, გაავრცელონ თავიანთი ფასეულობანი მთელი მსოფლიო მასშტაბით, საყოველთაოდ დაამკვიდრონ აზრი, რომ თითქოსდა დასავლური ცივილიზაცია და კულტურა უნივერსალურია და ყველასათვის მისაღები, შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამკვიდრონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნებისა თუ ცივილიზაციების მხრიდან.

გლობალიზაციის პროცესს ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებამდე მიყვავართ, რომელშიც ერთიანი ნორმების, ინსტიტუტებისა და კულტურული ღირებულებების ფორმირების ტენდენცია შეიმჩნევა. იგი ჩვენი ცხოვრების რეალობაა, რომელსაც ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისგან განსხვავებით, მთელი რიგი არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია. გლობალიზაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქის პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ ეფექტურ საშუალებებს ამ პროცესის შემდგომი გადრმავევა წარმოადგენს. ცალკეული სახელმწიფო ეკონომიკების ერთიან ბაზარში მოქცევას თითოეული ქვეყნისათვის სარგებლობა მოაქვს. ასეთ პირობებში პატარა ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მსხვილ ბაზარზე, თანაც დამოუკიდებლობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ინდივიდუალობა შეინარჩუნონ.

უამრავ დადებით შედეგთან ერთად, გლობალიზაციას მრავალი პრობლემური საკითხებიც ახლავს, სწორად ამ საკითხების გააზრება და გონივრულად გადაწყვეტა

დამოკიდებულია ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალზე. ჩვენი ქვეყნის ძირითადი კაპიტალი სწორედ ინტელექტუალური კაპიტალია. თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა ადამიანია, რომელიც წარმოადგენს კაპიტალში დაგროვებული ცოდნის სუბიექტს. კონკურენტუნარიანი ცოდნა ადამიანის თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს ზრდის, ასეთი ადამიანები ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველია. თანამედროვე გლობალური კულტურა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიულ იდეოლოგიასა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს ემყარება, ნათლად გამოხატავს მისწრაფებას ადამიანის უფლებების თანასწორობისადმი. ასეთი პოსტულატების განხორციელება საკმაოდ ძნელი იყო ისტორიულ არათავისუფალ საზოგადოებებში, სადაც ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდა მათი მემკვიდრეობითი, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილება. დღეისათვის, იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებენ თავისუფლების პრინციპებს, ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორია საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ბრძოლაში, რომლის ეკონომიკური ინტერპრეტაცია გულისხმობს ადამიანის, როგორც მომხმარებლის, მუდმივ სწრაფვას, მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოს მაქსიმალური შემოსავალი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუ ადრეულ ეპოქებში საკმარისი იყო რაიმე ხელობის შესწავლა, რათა ადამიანს თავისი ხელობით მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოს საკუთარი და საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებანი, დღეისათვის სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური პროცესები დღის წესრიგში აყენებს, რომ ადამიანის, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის, კვალიფიკაციის ამაღლება მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ მოხდეს. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა, რომელიც საწარმოო ხარჯების შემცირების ძირითადი პირობაა, მოითხოვს, რომ წარმოების პროცესის წარმართვაში ჩართული იყოს კვალიფიციური მუშახელი. კვალიფიკაციის მუდმივი განახლება ჩვენი დროის თანამედვენიშანია – ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა საწარმოო სტრუქტურებში შემოდებული გადამზადების სავალდებულო პროგრამები, რათა კომპანიების თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, დროულად გაეცნონ და დანერგონ ახალი სამეცნიერო მიღწევები საწარმოო პროცესებში. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოსაცემი სამეცნიერო ლიტერატურა უკვე მოძველებულია ტექნიკური პროგრესისა და ინფორმაციის კოლოსალური სისწრაფით გაგრძელების შედეგად. ინფორმაციის სწრაფად გაგრძელებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განახლების პირობებში, მოძველებული შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადმოცემული ცოდნაც. ამ მხრივ საინტერესოა რომ მსოფლიოს 500 უმდიდრესი ადამიანის რეიტინგში მესამედს შეადგენს ის ადამიანები, რომელთაც უნივერსიტეტის დიპლომი არ აუღიათ. ამ ადამიანების ქონების საშუალო მაჩვენებელი აჭარბებს კიდევაც დიპლომიანი მილიარდერების საშუალო მაჩვენებელს – 2,27 და 2,13 მლრდ.

გლობალიზაციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ინტელექტუალური კაპიტალის როლი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში. დღევანდელი ეკონომიკის წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული ხარისხიან და კონკურენტუნარიან ადამიანურ რესურსზე. ქვეყნის მნიშვნელოვანი კონკურენტული იარაღია ინტელექტუალური კაპიტალი, რომლის ეფექტური მართვა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების საწინდარია. ინტელექტუალური კაპიტალი – ეს არის ყველა იმ არამატერიალური ხელშეუხებელი რესურსების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ფირმის ღირებულებას და კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. ინტელექტუალური კაპიტალის ძირითადი მასაზრდოებელი ცოდნაა. ზოგადად, ეკონომიკის განვითარება ყოველთვის დაფუძნებული იყო ცოდნაზე, მაგრამ გლობალიზაციისა და სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს ფონზე

მისი აქტუალობა უფრო გაიზარდა. მთელ მსოფლიოში განათლებისკენ ლტოლვამ აქამდე არნახული მასშტაბები მიიღო. კვალიფიციური კადრების მომზადება სწავლების ხარისხის ამაღლების გარეშე შეუძლებელია. საერთაშორისო, ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე მიღებულ მრავალ შეთანხმებასა და სხვა დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ განათლების ხარისხის საკითხებს ეხება. UNESCO-ს სტრატეგიულ გეგმაში განათლების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება მთავარ მიზნად არის წარმოდგენილი.

ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება ყველა დონის განათლების კომერციულ მიმწოდებელთა საერთაშორისო ქსელი, ჩნდება საგანმანათლებლო მომსახურების სრულიად ახალი ფორმები, ხორციელდება უცხოური სასწავლებლების პროგრამები მათი ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია კულტურული და ეკონომიკური წინსვლა მხოლოდ უცხოური, თუნდაც, ადაპტირებული სასწავლო პროგრამებით მომზადებული სპეციალისტების მეშვეობით. თუ ქვეყანა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ პოტენციალს არ გამოიყენებს, მაშინ ის ვერც საკუთარ თვითმყოფადობას დაიცავს ახალ გლობალურ სამყაროში და ვერც მოქალაქეებს დაიცავს სიღარიბისგან.

ინტელექტუალური რესურსი მზარდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე. თუ ადრეულ ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოთა კეთილდღეობას წარმოების ექსტენსიური ტიპი განსაზღვრავდა, უკვე გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ეკონომიკური წარმატების საწინდარი გახდა შრომის წარმოების გააფება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადამიანი, როგორც ცოდნის მატარებელი, იქცა ახალი ტექნოლოგიების, ნოვატორული იდეების გენერატორად და სულისჩამდგმელად. ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს კაპიტალის დაგროვებისა და სამუშაო ძალის ზრდის შედეგს წარმოების ხარჯების შემამცირებელი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან ერთად. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით კი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანისეულ ფაქტორზე, რომელიც საწარმოო პროცესებში მონაწილეობს მუდმივად განახლებადი ცოდნის კაპიტალის სახით. რაც მეტია და ახალი დაგროვილი ცოდნა და რაც უფრო შეესაბამება იგი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, მით უფრო მაღალია კაპიტალში შეფასებული ადამიანისეული ცოდნის მაჩვენებელი.

საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე კარგა ხანია დაიწვეს ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას შორის დამოკიდებულების შესწავლა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო სტატია გამოქვეყნდა ონლაინ ჟურნალში Washington Profiled-ში, სადაც ჩამოთვლილია საინტერესო კვლევები ამ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. "კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალების" ავტორის, ართურ მედისონის მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით და მთელს მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს. თუმცა მეტი წილი ე.წ. დიპლომიანი ადამიანებისა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ ასევე მთლიან შიდა პროდუქტში განათლების პროცენტული მაჩვენებლითა (საშუალოდ 5,75%) და უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯის მიხედვითაც (საშუალოდ 10655 დოლარი ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში). მოყვანილი ფაქტები ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაც მეტია განათლებული ხალხის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით მაღალია ეკონომიკის დონე ამ ქვეყნებში.

ადამიანური კაპიტალი, ისევე, როგორც ფიზიკური კაპიტალი, ცვეთას ექვემდებარება. თუმცა აქ საქმე გვაქვს როგორც ცოდნის ცვეთასთან (მოძველებასთან), ასევე ცოდნის მატარებელი ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმხნევის დაცემასთან. ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ერთსა და იმავე ინვესტიციას, სხვა თანაბარი პირობების დროს, თანაბარი შემოსავალი მოაქვს, მაშინ, როცა ორი ადამიანი, თანაბარ პირობებში მიღებული განათლებით, სრულიად განსხვავებულ შედეგებს აღწევს. ამის მიზეზია განსხვავებანი ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, ბუნებრივ მახასიათებლებსა და გარემო პირობებში. უფრო კონკრეტულად, ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მატარებლის ფიზიკური და სულიერი სიმხნევე დამოკიდებულია მრავალ სოციალურ ფაქტორზე – ჯანდაცვის, კულტურისა და დასვენების, კვების დონეზე. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის ფინანსირებას, რაც უცილობლად აისახება შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტურობის ზრდაში. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ინტელექტუალური რესურსების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დღეისათვის საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე ერთობლივი შიდა პროდუქტის 0,2% იხარჯება მაშინ, როცა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე მოწინავე განვითარებული ქვეყნები საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავენ. აშშ-ში მეცნიერების განვითარებაზე იხარჯება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 2,7%, იაპონიაში, ეს მაჩვენებელი – 2,5%-ია, საფრანგეთში – 2,3% და ა.შ.

საქართველოში ამ მიზნით გამოყოფილი თანხა მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს არსებული მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნება-გამოყენებას. საჭიროა ამ საკითხს მეტი ყურადღება მიექცეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურების მხრიდან.

მეცნიერების დაფინანსების წყაროებს შორის ერთ-ერთი უდიდესი ადგილი ეკუთვნის ბიუჯეტის სახსრებს. ეს დაკავშირებულია, ერთი მხრივ, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ცალკეულ სახეობთან. კერძოდ, მათ საერთო საქვეყნო მნიშვნელობასთან როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის, მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სპეციფიკასთან. ბიუჯეტური დაფინანსება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნების მეცნიერების დაფინანსებაში. აშშ-ში იგი შეადგენს 50-55%-ს, გერმანიასა და ინგლისში – 49-50%-ს. ჩვენი ქვეყნის ტრადიციებიდან და მეცნიერების სტრუქტურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მეცნიერება ძირითადად ბიუჯეტიდან დაფინანსდეს.

ჩვენს სინამდვილეში მეცნიერების დაფინანსებას, ტრადიციულად, ქვეყნის ბიუჯეტი ახორციელებდა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ასეთი სახსრები არ გამოიყოფოდა. დღეისათვის ასეთი პრაქტიკა სავსებით მიუღებელია. მუნიციპალურმა ბიუჯეტებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ მეცნიერების დაფინანსებაში. ეს აუცილებელია თვით ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისთვის. ბიუჯეტური სახსრები, როგორც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში, შეიძლება წარიმართოს როგორც სამთავრობო, სახელმწიფო, ისე კერძო სამეცნიერო დაწესებულებების სამუშაოების დასაფინანსებლად, სახელმწიფო შეკვეთების გზით და სხვა არხებით.

ჩვენს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და ტრადიციული სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ბაზაზე საკმარისი საფუძველია სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ურთიერთობების განვითარებისათვის როგორც ახლო მეზობლებთან, ისე საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან. ამგვარი კავშირების მრავალი ფორმა უკვე ჩამოყალიბდა. კერძოდ, ესაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ერთობლივად დამუშავება, ცალკეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პირდაპირი დაფინანსება

უცხო ქვეყნების მიერ, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდების დახმარება, კრედიტების გაცემა და ა.შ.

თანამედროვე ეპოქაში, გლობალიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პირობებში, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნოლოგიების განვითარებამ გააიოლა ინტელექტუალური კაპიტალის მიგრაცია განვითარებადი ქვეყნიდან განვითარებულ ქვეყნებში. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიების განვითარებამ გააადვილა პროფესიონალების დასაქმება თანამედროვე სამყაროში: ისინი ტოვებენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიდიან განვითარებულ ქვეყნებში, რადგან განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ სათანადო რესურსები, რომ დააკმაყოფილონ მათი პროფესიული და სოციალური მოთხოვნები. თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური კაპიტალის მიგრაციის გამომწვევი მიზეზებია: უმუშევრობა; დაბალი ხელფასი; არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია; კვლევების ჩატარების შესაძლებლობის ნაკლებობა; ინტელექტუალური თავისუფლების ნაკლებობა; ცუდი სამუშაო პირობები.

კვალიფიციური მუშახელის დაკარგვა სერიოზულ დარტყმას აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, თუმცა უნდა აღვნიშნოთ დადებითი მხარეებიც, რომელიც ამ პროცესს თან ახლავს: ემიგრანტები სახლში აგზავნიან შემოსავლის გარკვეულ ნაწილს; უცხოეთიდან ბრუნდებიან მაღალკვალიფიციური მუშაკები; შემოდის დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა; გაწეულია კადრების პროფესიული მომზადებისა და ხელფასის ეკონომია; ხდება იმიგრანტთა დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულაცია შემნახველ ბანკებში. ამასთან, უცხოეთში მიღებული სამუშაო გამოცდილება მათ დასაქმების მეტ შესაძლებლობას აძლევს.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესში ინტელექტუალური კაპიტალის გონივრული გამოყენება დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, გლობალიზაციის დადებითი მხარეების დანერგვას და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიურ ჩართვას. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია მოხდეს ინტელექტუალური ძალების მობილიზაცია და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება ქვეყნის საკეთილდღეოდ.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. კეინსი მენარდ ჯონ. გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის. ახალი აზრი,- №2 (8),- 2003.
2. [http://en.wikipedia.org/wiki/Intellectual\\_capital](http://en.wikipedia.org/wiki/Intellectual_capital).
3. [www.businessdictionary.com/definition/intellectual-capital.html](http://www.businessdictionary.com/definition/intellectual-capital.html).
4. [www.amazon.com/Intellectual-Capital-The-Wealth-Organization](http://www.amazon.com/Intellectual-Capital-The-Wealth-Organization).
5. [www.intellectual-capital.net](http://www.intellectual-capital.net).
6. [www.ipower.ge/view\\_conference](http://www.ipower.ge/view_conference).
7. [www.nplg.gov.ge/dlibrary/collect](http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect).
8. [www.nplg.gov.ge/gwdict/index](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index).
9. [irdb.wordpress.com/](http://irdb.wordpress.com/).

*Shengelia Fati*

### **GLOBALIZATION AND INTELLECTUAL CAPITAL SUMMARY**

'Globalization' is commonly used as a shorthand way of describing the spread and connectedness of production, communication and technologies across the world. That spread has involved the interlacing of economic and cultural activity. Globalization in the sense of connectivity in economic and cultural life across the world, has been growing for centuries. However, many believe the current situation is of a fundamentally different order to what has gone before. The speed of communication and exchange, the

complexity and size of the networks involved, and the sheer volume of trade, interaction and risk give what we now label as 'globalization' a peculiar force.

For countries in the vanguard of the world economy, the balance between knowledge and resources has shifted so far towards the former that knowledge has become perhaps the most important factor determining the standard of living - more than land, than tools, than labour. Today's most technologically advanced economies are truly knowledge-based.

The rise of the so-called 'knowledge economy' has meant that economists have been challenged to look beyond labour and capital as the central factors of production. Knowledge capitalism: 'the drive to generate new ideas and turn them into commercial products and services which consumers want' is now just as pervasive and powerful.

In the countries of transitional economy the state still plays a significant role in managing social and economic processes. In this regard, it is especially important to ensure realistic assessment of a country's potential resources, identification of possibilities and formation of a favorable environment for their realization.

### **ჯემალ ხარიტონაშვილი**

### **შრომის დანაწილების საკითხისათვის საზოგადოებაში**

მსოფლიოს სხვადასხვა დროის ეკონომისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შრომის დანაწილების საკითხს.

ძველი ბერძენი მოაზროვნის ქსენოფონტეს (444-353 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) შეხედულებებში შეიმჩნევა მსჯელობა შრომის დანაწილების შესახებ. მისი აზრით, თავისუფალმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს არა ფიზიკური შრომა, არამედ მმართველობა. მან თავის თავზე უნდა აიღოს მუშაობის ზედამხედველობა და კონტროლი. აქ საქმე გვაქვს შრომის დანაწილებასთან ფიზიკურ და გონებრივ შრომად, უფრო ზუსტად, აღმასრულებელ შრომად – ერთი მხრივ და გონებრივ შრომად – მეორე მხრივ.

გარდა ამისა, ცალკეული ოპერაციების უკეთ შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იგი საჭიროდ თვლიდა თვით მონების საშემსრულებლო შრომის დანაწილებას. ამ საკითხში მან საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. თავის აზრს ქსენოფონტე ხატონად გამოთქვამს. იგი მოგვითხრობს ძველ ირანში არსებული ჩვეულების შესახებ, რომ ვისაც მეფე წყალობდა, იმას სადილს აძლევდნენ მეფის სუფრიდან. ქსენოფონტე აცხადებს, რომ აქ საკითხი შეეხებოდა არა მარტო პატივისცემას – მეფის სუფრიდან თვით სადილიც უფრო გემრიელი იყო. რატომ? იმიტომ რომ მეფის სამზარეულოში არსებობდა შრომის დიდი დანაწილება. იქ ერთი მზარეული როდი იყო არამედ, რამდენიმე ათეული. ზოგიერთი მათგანი დასპეციალებული იყო ხორცეული კერძების დამზადებაზე, სხვები თევზეულის, ბოსტნეულის კულინარული ნაწარმის და ა.შ. აქედან ის საერთო დასკვნას აკეთებს: რამდენადაც არსებობს შრომის დანაწილება, ამდენად თითოეული სპეციალიზდება ერთ ან ორ ოპერაციაზე და ამიტომ გამოდის უკეთესი პროდუქცია<sup>120</sup>.

შრომის დანაწილების საკითხს ეხება ასევე ძველი ბერძენი მოაზროვნე პლატონი (427-347 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). შრომის დანაწილება მას გამჟოყავს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ნიჭიდან, „რომ მას შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ცალკეული სამუშაოები“. შრომის დანაწილებაში ის ხედავს წინააღმდეგობის გადაჭრას. ქსენოფონტეს

<sup>120</sup> ქსენოფონტე ათენელი, “შემოკლებული თხზულებები”, მ., ლ., 1935, გვ. 269 (რუს.)

მსგავსად, პლატონიც გვიჩვენებს, რომ თუ ერთი ადამიანი ასრულებს ერთ სამუშაოს, ხოლო მეორე მეორეს, მაშინ თითოეული, უჭკველია, უკეთესად აკეთებს.

პლატონის პირველი დასკვნა ასეთია: სახელმწიფო მოვალეა, ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ერთი და იგივე კაცის მიერ სხვადასხვა საქმის შესრულებას. “თუ შენ მენეჟმენ ხარ, მაშინ იმუშავე მხოლოდ ფესსაცმლის კერვაზე, თერძი ხარ, კერე და სხვის საქმეში ნუ იჭრები”. იგი მათ დასჯასაც კი მოითხოვდა, ვინც დაიწყებდა რამდენიმე საქმის კეთებას. პლატონი აღნიშნავდა, რომ, „თუ ვინმე ასრულებს, ვთქვათ ორ ან სამ ხელობას, ეს ნიშნავს, რომ ერთი პირი ერთი და იმავე დროს წარმოადგენს ორ ან სამ პირს, რაც სრულიად დაუშვებელიაო” (“კანონები”, წიგნი VIII). პლატონის მიხედვით, ეს კანონი უცხოელზეც უნდა ვრცელდებოდეს. თუ უცხოელი რომელიმე ორ ხელობას ასრულებს, უნდა დაისაჯოს ციხეში დამწყვდევით, ფულადი დაჯარიმებით, ანდა ქალაქიდან განდევნით და ასეთი გზით აიძულო ის წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ პირს, და არა რამდენიმეს.

თუ ქსენოფონტეს სისტემაში შრომის დანაწილებას წმინდა სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, პლატონის სისტემაში ის გადატვირთულია უნივერსალურ პრინციპად. მასზეა დამყარებული არა მარტო ეკონომიკური, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება. პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოს აგებს შრომის დანაწილების პრინციპზე.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში სამი წოდება უნდა ყოფილიყო. ყველაზე დაბალ წოდებაში მას შეჰყავს სამეურნეო საქმიანობის შემსრულებელი პირები: ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და სხვა. პლატონის თქმით, ისინი მოკლებულნი არიან აზროვნების უნარს და არ შეუძლიათ სახელმწიფოს უხელმძღვანელონ. მეორე წოდებას წარმოადგენს მეომრები, რომლებიც მშვიდობიან დროს ყოველმხრივ უნდა ანვითარებდნენ თავის თავს ფიზიკურად, ომის დროს კი ქვეყანას იცავდნენ და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ. ყველაზე მაღალი წოდება ფილოსოფოსებია, რომელთა ფუნქციაა სახელმწიფოს მართვა, კანონების გამოცემა, ახალი თაობის აღზრდა და ა.შ.

რამდენადაც უმაღლესი წოდება სახელმწიფოს ხელმძღვანელი იქნება, ხოლო მეომართა წოდება დაკავებული იქნება სახელმწიფოს დაცვითა და ახალი ტერიტორიების დაპყრობით – ეს ორი წოდება თავისუფალი უნდა იყოს ყოველდღიური საქმიანობიდან. ისინი ისეთ პირობებში უნდა იყვნენ, რომლებიც ხელს არ შეუწყობს მათი საკუთრებითი ინტერესების განვითარებას. ასეთი მიდგომა დღესაც აქტუალურია. ცივილურ ქვეყნებში სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებს ეკრძალებათ კერძო ბიზნესი, მისი ღობირება რომ არ მოახდინონ თავისი პოზიციიდან.

XIII საუკუნის იტალიელი ღვთისმეტყველი თომა აქვინელი (1224-1265) ჯეროვან ყურადღებას უთმობდა შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. იგი მას განიხილავდა, როგორც ბუნებრივ მოვლენას და თვლიდა, რომ ის ეყრდნობა საზოგადოების ფენებად დაყოფაზე. თ. აქვინელი წერს: „როგორც ფუტკრების ოჯახში ერთნი აგროვებენ თაფლს, სხვები ცვილისაგან უჯრედს აშენებენ, ხოლო დედა ფუტკარი სრულად არ მონაწილეობს მატერიალურ შრომაში, ასეა ადამიანებშიც. ერთმა მიწა უნდა დაამუშაოს, სხვებმა სახლი აშენონ, ხოლო ადამიანთა ნაწილი თავისუფალი უნდა იყოს საერო საქმიანობისგან. მათ თავი უნდა შესწირონ სულიერ შრომას სხვების სახელის გადასარჩენად.“ თ. აქვინელის მტკიცებით, გლეხები შექმნილია ფიზიკური შრომისათვის, ხოლო განათლებული ფენები გონებრივ შრომას უნდა ეწეოდნენ.

შრომის დანაწილების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ა. სმიტი. თავის ნაშრომს „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბინებისა და მიზეზების შესახებ“ ის შრომის დანაწილების საკითხით იწყებს. ა. სმიტი წერს: „ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას

არსებობისა და კომფორტისათვის ყველა საჭირო საგანს, რასაც იგი მოიხმარს წლის განმავლობაში და რაც ყოველთვის შედგება ან შრომის უშუალო პროდუქტისაგან, ანდა იმისაგან, რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისაგან<sup>121</sup>.

ა. სმითის მიხედვით, ხალხთა სიმდიდრე და მისი გამრავლება დამოკიდებულია შრომის დანაწილების განვითარებაზე.

\* \* \*

შრომის დანაწილების პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდება თანამედროვე საქართველოს საზოგადოებაში. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებში. ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები მოხდა. შეიცვალა სოციალური და საკუთრებითი სტრუქტურა. საზოგადოებამ გამოიარა შოკური თერაპიის პერიოდი. საზოგადოების მეცადინეობის საგანი გახდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების დაძლევა. ასეთ ვითარებაში ერთობლივი ძალისხმევა, რა თქმა უნდა, საჭიროა.

თავის დროზე ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ერი მაშინაა ძლიერი, როცა მისი ყველა კლასი და ფენა შექმნილია. 1883 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „წოდებათა თანასწორობა“ იგი წერდა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვილოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველამ ერთად, საყოველთაოდ“<sup>122</sup>. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება და დასახული მიზნისაკენ დაუღალავი სწრაფვა. „ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე თლა ღხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვია... ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელებისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელიმე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა“<sup>123</sup>.

ერთობლივ ძალისხმევაში ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობაში. საჭიროა შრომის დანაწილება საზოგადოებაში.

დღეს საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია. ადამიანური ენერჯია იხარჯება. ისინი უქმად სხედან სახლებში, უბანში, ეზოში. სხედან და თამაშობენ დომინოსა და ჯოკერს. ვინაიდან სხვა საქმე არა აქვთ, მთელ ენერჯიას ხარჯავენ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე საუბარში. რა თქმა უნდა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველას აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ ენას აზრის მოყოლება უნდა. უმეტესმა მათგანმა ტერმინების: პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.შ. განმარტებაც კი არ იცის. რადგან სიტყვამ მოიტანა განვმარტავ მათ. პოლიტიკა (ბერძნ. *Politika* – სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობაა შინასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში<sup>124</sup>; ეკონომიკა ბოლო ხანებამდე ასე განიმარტებოდა: იოკოს – საოჯახო მეურნეობა, ნომოს კანონი (საოჯახო მეურნეობის კანონი). თანამედროვე ამერიკელი

<sup>121</sup> ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1, თბ., 1938, გვ. 2.

<sup>122</sup> ი. ჭავჭავაძე, წოდებათა თანასწორობა, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1987, გვ. 19.

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 2008, გვ. 3.



ეკონომისტის გ. მენქიუს მიხედვით, ეკონომიკა ნიშნავს “ადამიანს, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება”<sup>125</sup>. ვისაც საკუთარი მეურნეობა ვერ შეუქმნია და მას არ უძღვება, ტყუილად ნუ შეედრება „მოლექსეთა დიდთა სწორთა“, რამეთუ ნათქვამია: „ყველა ბუზი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუისო“. ეკონომიკა არის იმის შესწავლა, როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს. საოჯახო მეურნეობამ თავისი შეზღუდული რესურსების განაწილებისას უნდა გაითვალისწინოს თითოეული წევრის უნარი, ძალისხმევა და სურვილი. გადასაწყვეტია ოჯახის რომელი წევრი რას აკეთებს და რას იღებს სანაცვლოდ. ვინ ამზადებს სადილს? ვინ რეცხავს სარეცხს? ვინ მიიღებს სადილზე დესერტის დამატებით ულუფას? ვინ ირჩევს სატელევიზიო გადაცემას, რომელსაც ყველამ უნდა უყუროს?<sup>126</sup> ოჯახის მსგავსად, საზოგადოებაც მრავალი არჩევანის წინაშე დგას. მან უნდა გადაწყვიტოს, რა სამუშაოები განხორციელდეს და ვინ რა სამუშაო შეასრულოს.“ აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში თითოეულმა ის უნდა აკეთოს, რაც ხელეწიფება მას. თუ ადამიანი ვერ მღერის, სხვას ნუ შეუშლის ხელს სიმღერაში. ნათქვამია „პური მეპურემ გამოაცხოსო“.

პოლიტიკასა და ეკონომიკაში „მოტიკტიკებმა“ იციან პოლიტიკურ დოქტრინებზე (მონროს დოქტრინა, ეიზენჰაუერის დოქტრინა, ბუეზისკის დოქტრინა, ა. დალესის დოქტრინა და სხვა), ეკონომიკური დოქტრინებზე (მერკანტილიზმის დოქტრინა, „ლესე ვერ“ დოქტრინა, „უხილავი ხელის“ თეორია, ავტომატური წონასწორობის თეორია, პროტექციონისტული დოქტრინა და ა.შ.). ისინი უბრალოდ ერთობიან ამ საკითხებზე მსჯელობით, არცთუ იშვიათად აგრესიულად გამოხატავენ თავის აზრს და აბსოლუტად მიიჩნევენ მას. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II განაცხადა: „ზოგიერთი მხოლოდ იმაზე ამბობს მართალიაო, რასაც თვითონ ამბობს“. თუ სხვას უკიჟინებენ კარგად ვერ აკეთებო, შეეცადე შენ გააკეთო უფრო კარგად. არსებობს უკეთესიც და უარესიც. მართალია, იდეალური სჯობია, მაგრამ ასეთი ძნელად მისაღწევია. ანდა ერთისათვის იდეალურად წარმოდგენილი, შეიძლება სხვებისთვის სრულად მიუღებელი იყოს და პირიქით. ღია საზოგადოების შემქმნელის კ. პოპერის თანახმად, „არავის შეიძლება ჰქონდეს მონოპოლია ჭეშმარიტებაზე. ადამიანებს განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები აქვთ და იმისთვის, რომ მშვიდობიანად იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით, მათ გარკვეული ინსტიტუტები სჭირდებათ“.

პლურალისტურ საზოგადოებაში შრომა დანაწილებული უნდა იყოს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ზოგმა ფიზიკურად იშრომოს, ზოგმა კი გონებრივად. ცნობილი ფრანგი მოაზროვნე ა. სენ-სიმონი ადამიანთა საზოგადოების საფუძვლად, მამოძრავებელ ძალებად თვლიდა გონების, მეცნიერებებისა და ცივილიზაციის პროგრესს. ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები შეიძლება ააგონ და დაამხონ ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა. სწავლულთა მნიშვნელობას ა. სენ-სიმონი იმაში ხედავდა, რომ მათ წინასწარხედვა შეუძლიათ. მეცნიერება იმიტომ არის სასარგებლო, რომ იგი წინასწარხედვის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ, მეცნიერნი სხვა ადამიანებზე მაღლა დგანან, მათ სხვებზე მეტად შეუძლიათ წინასწარხედვა. „ფილოსოფოსი აზრის მწვერვალზე დგას. იქიდან იგი უყურებს იმას, თუ როგორი იყო მსოფლიო და როგორი უნდა გახდეს იგი. ფილოსოფოსი არა მარტო მეთვალყურეა, არამედ, მოქმედი პირიცაა. იგი პირველხარისხის მთავარი მოქმედი პირია მორალურ მსოფლიოში, რადგან ადამიანთა საზოგადოებას მართავს მისი შეხედულება მსოფლიოზე. ფილოსოფოსებმა უნდა შეაერთონ თავიანთი ძალები, რათა შექმნან საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც

<sup>125</sup> გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 3.

<sup>126</sup> გ. მენქიუ, იქვე.

შეესაბამება განათლებისა და ცივილიზაციის თანამედროვე მდგომარეობას. ასეთად მიაჩნდა მას ინდუსტრიული სისტემა, რომელსაც აპირისპირებდა ინდივიდუალიზმთან”<sup>127</sup>.

საქართველოს განვითარებაც უნდა დაუკავშირდეს ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიულ კურსს.

*Kharitonashvili Jemal*

## REGARDING THE DIVISION OF LABOR IN SOCIETY SUMMARY

Economists all over the world have paid great attention to the issue of the division of labor.

Regarding the division of labor considerable opinions have been developed by Ksenophon, Plato, Thomas Aquinas, Adam Smith and others. They noted that division of labor is necessary for doing certain work better and improving the quality.

The problem of the division of labor is obvious in Georgian society in its full scale. This is a particularly actual issue in political and economic aspects. Society faces many different choices and has to decide what work should be done and who has to do this or that part of the job. Everyone in a society should do what he/she can. As the saying says “Bread should be made by a baker”. In a pluralistic society everyone should do his/her own job – some should work physically and some should do mental work.

*მამუკა ხუსკივაძე*

### მღვრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში საქართველოში

გასული ათწლეულების განმავლობაში, გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან დაჩქარებას. მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა, რაც არსებითად განაპირობა სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების გაფართოებამ და მისი ეფექტიანობის ამაღლებამ. სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიოში შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 5-ჯერ, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში – 6-ჯერ, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში – 6,5-ჯერ.

სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების სფეროში. მაგალითისათვის, მომპოვებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის ჯამური პროდუქცია ამჟამად მსოფლიო მშპ-ის 12-14%-ს შეადგენს. ეს ნათლად ადასტურებს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების გაძლიერებას, რისი შედეგიც გახდა დედამიწაზე ეკოლოგიური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება. კაცობრიობა შეეჯახა ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა: ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნობა, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება და ა.შ., რამაც გამოიწვია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, შობადობის შემცირება, დაავადებებისა და სიკვდილიანობის ზრდა და სხვა. გლობალიზაციის პროცესებმა და კრიზისული ეკოლოგიურ-ეკონომიკური სიტუაციების უნიფიკაციამ 21-ე საუკუნის დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო სოციუმისათვის განვითარების ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა, რომელსაც შეეძლებოდა

<sup>127</sup> ა. სენ-სიმონი, რწ. ნაწარმოებები, მ., ლ., 1948, გვ. 211 (რუს.)

პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნება და საზოგადოების შემდგომი დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სწორედ განვითარების ახალი მოდელის და პრინციპების შემუშავების მიზნით, 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 176 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელმა, 100 ქვეყნის ლიდერმა, 10000-მა დელეგატმა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა ეკონომიკური განვითარება განხილულიყო იზოლირებულად, გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. კონფერენციის მონაწილეებმა აღიარეს, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელის, აგრეთვე ეკორესურსული და ეკოსტრუქტურული განვითარების შენარჩუნების პირობებში ცივილიზაციის მონაპოვარი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ჩათვლით, განწირულია გაქრობისათვის. ამ კონფერენციაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება კაცობრიობის განვითარების ახალ მოდელზე – მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

მდგრადი განვითარების მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს მისი პრინციპების ინტეგრირებას. ამასთან, არსებობს ზოგიერთი სირთულე, კერძოდ:

- მდგრადი განვითარების კონცეფცია კომპლექსურია, ფართოა შინაარსის მიხედვით და თანამედროვე პირობებში ატარებს უპირატესად დეკლარაციულ ხასიათს. ამიტომ საჭიროა მისი დებულებების უფრო კონკრეტიზება და პრაქტიკული განხორციელების მექანიზმების შემუშავება;

- არ არსებობს მდგრადი განვითარების დეფინიციის სტანდარტული, ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია. მაგალითად, მდგრადი განვითარება, კლასიკური და ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, არის ისეთი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. აღნიშნულ განმარტებას დარგის სპეციალისტები და ექსპერტები ხშირად უწოდებენ არაკონსტრუქციულს, ვინაიდან განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იქნება შორეულ მომავალში მომავალი თაობების მოთხოვნილებები, თითქმის შეუძლებელია. სწორედ მდგრადი განვითარების არსის ერთგვაროვანი გაგების არარსებობის გამო ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული მისი პრინციპების დანერგვის ერთიანი მექანიზმი;

- მდგრადი განვითარება არ განიხილება, როგორც შეფასებისა და რეგულირების მიზნობრივი ობიექტი, შესაბამისად არ ფორმირდება მისი მართვის ერთიანი ორგანოები;

- არ არსებობს მდგრადი განვითარების მიზნობრივი ორიენტირების ადეკვატური შეფასების საზომი.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, მდგრადი განვითარების კონცეფციამ ფართო გავრცელება პოვა. პრაქტიკულად, ბოლო წლების თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის პროგრამული დოკუმენტი შეიცავს თეზისს მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობიდან თაობამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი და უსაფრთხოება, გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების, ანუ კოევილუციის პრობლემა.

პოსტკომუნისტური საქართველოსათვის მდგრად განვითარებაზე გადასვლა, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესებისა და ქვეყნის მსოფლიო თანამეგობრობის წევრად გახდომის სურვილის გათვალისწინებით, წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოსტკომუნისტური საბაზრო

ტრანსფორმაციის პროცესში ეკონომიკის ზრდას ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ექსპლუატაციის ხარჯზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე. შემდგომ ეტაპებზე ზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა უფრო პროგრესული მექანიზმები. აქ კი მდგრადი განვითარების მოდელი უაღტერნატივოა.

მდგრად განვითარებას შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს მომავალზე, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო პრიორიტეტების, სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიისა და ქვეყნის შემდგომი ტრანსფორმაციის პერსპექტივების განსაზღვრაში. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც აქვთ ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა სახის პრობლემები, რთულად შეძლებენ განვითარების სტრატეგიის მორგებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე.

ნებისმიერ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოში, მდგრადი განვითარების პრობლემების გასაანალიზებლად პერსპექტივების შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნეს გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში – “XXI საუკუნის დღის წესრიგი” – ასახული კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც მდგრად განვითარებას სხვადასხვა ასპექტში ახასიათებს. ისინი დაყოფილია სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ინსტიტუციურ კატეგორიებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებმაც უნდა შექმნას წანამდგრადი მდგრად განვითარებაზე გადასვლისათვის. ასეთ პრიორიტეტებად საქართველოსათვის მიზანშეწონილია გამოიყოს შემდეგი:

- თანამედროვე, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიური მოდელების გამოყენება;
- ეფექტიანი წარმოებისა და მოხმარების მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
- ენერგორესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ენერგოდაზოგვის უზრუნველყოფის მიღწევა;
- სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დეგრადაციის სხვადასხვა სახის გამოვლინებების ნეიტრალიზაცია;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა;
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ეკოლოგიურად ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და ა.შ.

პირველი რიგის პრობლემა, რომელიც უკავშირდება მდგრადი განვითარების პროცესებს, არის ეკოლოგიური ფაქტორების ჩართვა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში. ამის მიღწევა შესაძლებელია მდგრადი განვითარების ინდიკატორების შემუშავებითა და ეროვნულ და გლობალურ დონეებზე მისი გათვალისწინების მეშვეობით. ისინი უნდა ჩაირთოს მდგრადი განვითარების საერთაშორისო და ეროვნულ პროგრამებში, ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის გეგმებში.

ამჟამად არსებული ტრადიციული მაკროეკონომიკური მანქვნებლები არ ასახავს ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და გარემოს დაბინძურების ნეგატიურ შედეგებს. მათი ზრდა მიიღწევა ბუნებატყვადი განვითარების საფუძველზე.

რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ ეროვნული სტატისტიკის სრულყოფაზე მასში ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების ჩართვით.

ამჟამად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია მდგრადი განვითარების ინდიკატორები, რომლებიც ხშირად შეიცავს მანქვნებელთა რთულ სისტემას. მდგრადი განვითარების ინდიკატორების შემუშავება წარმოადგენს პროცესს, სადაც საჭიროა დიდი რაოდენობით სტატისტიკური ინფორმაცია, რისი მოპოვებაც ხშირ შემთხვევებში სირთულეებს უკავშირდება (განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა მოუწესრიგებელია. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება საქართველოც). ასეთი ინდიკატორები, როგორც წესი, ინტეგრალური მანქვნებლებია, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ქვეყნის განვითარების ტრაექტორიის ეკოლოგიურობა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას და თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით ასრულებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას აზიასა და ევროპას შორის. თუმცა პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაცია, მასზე გლობალიზაციის ზეგავლენით, საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ეკონომიკური ზრდა საქართველოში (მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე) მიიღწეოდა ძირითადად ბუნებრივი რესურსების შეუზღუდავი მოხმარების საფუძველზე. ადგილი ჰქონდა და აქვს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დეგრადაციას და მასშტაბურ დანაკარგებს. მშპ-ის ზრდას თან ახლავს გარემოში მავნე ნივთიერებების მაღალი ემისია. ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის ტერიტორიის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი მოქცეულია ეკოლოგიური დესტაბილიზაციის რისკის ქვეშ. მწვავედ დგას გაუდაბნოების პრობლემა. სტაციონარული და არასტაციონარული წყაროებიდან გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების საკაერო აუზსა და წყალსატევებში მზარდი გამოშვება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობას.

საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის მისი სუსტი საექსპორტო პოტენციალი, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, საგარეო ვალის ზრდა და სხვა. ასევე უთანაბრობის გაღრმავება რეგიონების განვითარებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ პრობლემათა უმრავლესობას განაპირობებს ისტორიულად ჩამოყალიბებული დისბალანსი რესურსების მოხმარებასა და მათ კვლავწარმოებას შორის. რესურსები გამოიყენება არარაციონალურად და არ იქმნება პირობები მათი არათუ გაფართოებული, არამედ მარტივი კვლავწარმოებისთვისაც კი.

საქართველო არ არის მდიდარი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით, თუმცა არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ტერიტორიის კლიმატური და ეკოლოგიური თვისებები განაპირობებს გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებასა და მდიდარ მინერალურ-რესურსულ ბაზას. ქვეყნის მინერალურ-რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოსა და გამოვლინებას. რესურსული ფონდის 62,8% წარმოადგენს მსხვილ (ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოს, 30,9%—ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს, 6,2% კი გამოვლინებას. ის შედგება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ქიმიური და აგროქიმიური რესურსების, მიწისქვეშა მინერალური წყლებისაგან და სხვა.

ქვეყანა მდიდარია ტყის რესურსებით და ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის ვარგის ნაყოფიერი მიწის რესურსებს. ის ასევე გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარებისა და, ზოგადად, საექსპორტო პოტენციალის ზრდისათვის. თუმცა ძალიან დაბალია მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. ზოგიერთი გათვლებით ის არ აღემატება 25%-ს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, იაპონიაში ის აღწევს 39%-ს, აშშ-ში – 36%, გერმანიაში – 35%-ს. ამ პრობლემის არსებობა აქვეითებს საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას და ხელს უშლის მის გადასვლას მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე. ამიტომ საჭიროა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამსახველი პარამეტრის გაზრდა, რისი მიღწევაც შეიძლება შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებით:

- ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მის სტრუქტურაში მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების ხვედრითი წილის გაზრდა;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვა;
- ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა;
- მაღალი ტექნოლოგიების შემუშავების ხელშეწყობა მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტული განვითარების გზით;
- ეკონომიკის დარგების კლასტერული განვითარების უზრუნველყოფა;
- სამუშაო ძალის მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის დანერგვა;
- სამამულო საქონელმწარმოებლების კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- საექსპორტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;
- რესურსების მოპოვებასა და ექსპორტს შორის ბალანსის შენარჩუნება.

საქართველო განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩება ცხოვრების ხარისხის მიხედვითაც, რომელიც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში ცხოვრების ხარისხი განისაზღვრება შემდეგი შემადგენლებით: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, კეთილდღეობის დონე, განათლება და გარემოს მდგომარეობა. გაეროს მიერ გაანგარიშებული ცხოვრების ხარისხის ინდექსების მიხედვით საქართველო იკავებს 87-ე ადგილს, 5,365 კოეფიციენტით, მაშინ, როცა ლიდერს ირლანდიას აქვს 8,333 კოეფიციენტი.

არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით. ასე მაგალითად, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2011 წელს შეადგენს 73,7 წელს, იაპონიაში კი ეს მაჩვენებელი 83,4 წელია. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია:

- სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლებით;
- მოსახლეობის ეკოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფით;
- სიღარიბის დონის შემცირებით;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდით;
- ეკონომიკური სტიმულების შექმნით.

სხვადასხვა საერთაშორისო ცენტრებისა და ორგანიზაციების მიერ გაანგარიშებული ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის მიხედვით (მასში შედის ეკოსისტემის მდგომარეობის, ეკოლოგიური სტრესის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, ეკოლოგიური ასპექტების,

სოციალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების ამსახველი მაჩვენებლები და ა.შ), საქართველო იკავებს 90-ე ადგილს 51,5 ინდექსით, მაშინ, როცა ლიდერი ქვეყნების – ფინეთის და ნორვეგიის ანალოგიური მაჩვენებლები აღწევს 73-75 ბალს. ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის გაუმჯობესება შესაძლებელია:

- გაუდაბნობასა და მიწის რესურსების სხვა სახის დეგრადაციასთან აქტიური ბრძოლით;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური სისტემის ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნებით;
- ეკოლოგიურად ორიენტირებული ეროვნული ანგარიშების (ე.წ. „მწვანე“ ანგარიშების) სისტემის შემუშავებით და რეალიზაციით;
- ნარჩენების გამოყენებაზე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასა და მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, აგრეთვე, სპეციალური მოწყობილობების (რომლებიც ამცირებენ გარემო ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას) დანერგვაზე საგადასახადო შეღავათების დაწესებით;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გარემო ბუნების დაცვაზე მიმართული ღონისძიებების დაკრედიტებაზე შეღავათების დადგენით, გარემოსდაცვითი საქმიანობის სუბსიდირებით;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებისათვის გადასახადებიდან აკუმულირებული ფულადი სახსრების გამოყენების მექანიზმის სრულყოფით;
- ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის წარმოებისათვის ფინანსური სანქციების მექანიზმის, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის შეღავათებისა და სუბსიდირების სისტემის შექმნით;
- ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის (მათ შორის გარემო ბუნების გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის) ფორმირებით და ამ საქმიანობისათვის სპეციალიზებული ფირმებისა და ცენტრების შექმნით, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში ექსპერტული მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებით.

დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში წარმოადგენს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პერსპექტივებს. ის ხასიათდება არასასურველი ტენდენციებით, რაც ვლინდება შემდეგში:

ქვეყნის მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა, მაღალი მიგრაცია, მოსახლეობის ათას სულზე გაანგარიშებით მიღებული საშუალო დემოგრაფიული მაჩვენებლის, ანუ პრომილეს საგრძნობი შემცირება, დემოგრაფიული დისპროპორციების ზრდა რეგიონებს შორის და სხვა.

საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივების გასაანალიზებლად ასევე აუცილებელია მდგრადი განვითარების პოლიტიკური ბაზისის, საკანონმდებლო ბაზის, რეგიონების მდგრადი განვითარებისა და ინსტიტუციური უზრუნველყოფის შეფასება. არანაკლებ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში ეფექტიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება. ამ მიზნით აუცილებელია:

- მოსახლეობის, პოლიტიკური ძალებისა და მთელი საზოგადოების კონსოლიდაცია მდგრადი განვითარების იდეის ირგვლივ და მისი აქტიური მხარდაჭერა;
- საქართველოს აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მდგრადი განვითარების საკითხებზე მიძღვნილ ფორუმებში, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, მდგრადი განვითარების პრობლემებზე ღონისძიებების ჩატარება საქართველოშიც;
- მართვის ეფექტიანი ორგანოების ჩამოყალიბება და ა.შ

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს დოკუმენტში—”XXI საუკუნის დღის წესრიგი”—შემოთავაზებული მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და ინდიკატორები ახასიათებენ სისტემის “ეკონომიკა-ბუნება-საზოგადოება” ცალკეულ ასპექტებს, სადაც არ ჩანს ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებები. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საქართველოსათვის, ისე, როგორც სხვა ქვეყნებისათვის, შემოღებულ იქნეს დამატებითი კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც უფრო ადეკვატურად ასახავს ამ ქვეყნებში მიმდინარე რეალურ პროცესებს.

საქართველოსთვის მდგრადი განვითარების დამატებითი კრიტერიუმები და ინდიკატორები უნდა ასახავდეს ქვეყნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებებს სისტემის „ეკონომიკა-ბუნება-საზოგადოება“ ფუნქციონირების შესაბამისად, რაოდენობრივად ან თვისებრივად უნდა შეეძლოს მდგრად განვითარებაზე გადასვლის თითოეულ ეტაპზე მიმდინარე პროცესების შეფასება. ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ისეთი ინდიკატორების შემოღება, რომლებიც დაკავშირებული იქნება მიწისა და წყლის რესურსების გამოყენების საკითხებთან.

ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ, მართალია, საქართველოს მთავრობა ახდენს მდგრადი განვითარების იდეების დეკლარირებას და საქართველო მიერთებულია მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს, მაგრამ დღემდე არ არის შემუშავებული მდგრადი განვითარების კონცეფცია, არ არის მიღებული ეკოლოგიური კოდექსი, რითაც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებს, არამედ რუსეთს, ბელორუსიას, ყაზახეთს და უზბეკეთს.

საქართველოს მდგრად განვითარებაზე გადასვლის პერსპექტივების გაანალიზებით ცხადია, რომ ამგვარ განვითარებაზე გადასვლისათვის საჭირო იქნება არცთუ მცირე დრო, აგრეთვე ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ეტაპობრივი გადაჭრა.

ჩვენი აზრით, მდგრად განვითარებაზე გადასვლა უნდა მოხდეს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

პირველი ეტაპი – მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, პირობების მომზადება მდგრადი განვითარების პრინციპების ჩართვისათვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა (მოსამზადებელი ეტაპი).

მეორე ეტაპი – სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ეფექტიანი საბაზრო მექანიზმებისა და ინსტიტუტების ფორმირება, ცხოვრების ხარისხის მიხედვით ლიდერი ქვეყნების შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებისაგან მიღებული დანაკარგების შემცირება, ქვეყნის ეკოლოგიური მდგრადობის მაღალი დონის მიღწევა (შუალედური ეტაპი, საშუალოვადიანი პერსპექტივა).

მესამე ეტაპი – მდგრადი განვითარების აღიარებული კრიტერიუმებისა და პრინციპების დაკმაყოფილება, ანუ მდგრადი განვითარების მიღწევა (დასკვნითი ეტაპი, გრძელვადიანი პერსპექტივა).

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბილისი, ”მერიდიანი”, 2006.
2. წერეთელი გ. გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბილისი, "მეცნიერება", 2003.
3. Бобылев С. Н., Гирусов Э. В., Перелет Р. А. Экономика устойчивого развития. Изд-во Ступени, Москва, 2004.
4. Иванов В.А. Методологические основы устойчивого развития. Москва, 2008.



5. Миркин Б. М., Наумова Л. Г. Устойчивое развитие. Уфа: РИЦ Баш ГУ, 2009.
6. «Наше общее будущее»: Доклад Международной комиссии по окружающей среде и развитию (МКОСР)". Пер. с англ./Под ред. и с послесл. С. А. Евтеева и Р. А. Перелета. М.; Прогресс, 1989.
7. Перелет Р. А. Выявление показателей устойчивого развития. Проблемы окружающей среды и природных ресурсов. ВИНТИ, № 6, 1995.
8. Устойчивое экологобезопасное развитие. Под ред. А. Д. Урсула. М.; Издательство РАГС, 2001.
9. Яблоков А. В. и др. Охрана живой природы: проблемы и перспективы. Под ред. Н. Ф. Реймерса. Москва, 1983.
10. Устойчивое экономическое развитие в условиях глобализации и экономики знаний. Авторс. коллек., Москва, 2007.

*Khuskivadze Mamuka*

**PROBLEMS AND PERSPECTIVES OF SUSTAINABLE ECONOMIC  
DEVELOPMENT OF GEORGIA UNDER GLOBALIZATION  
SUMMARY**

In the work there is considered the problems and perspectives of sustainable economic development of Georgia under globalization.

There is analyzed the criteria of sustainable economic development such as an index of life quality and an index of economic sustainability. There is elucidated the measures of improvement of these indices.

There are formulated the stages of a transition of Georgia to sustainable economic development under globalization.

*მერაბ ჯუღაყიძე*

**ადამიანური კაპიტალი და გლობალიზაცია**

**პრეამბულა**

ადამიანური კაპიტალი არის ცოდნის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის, უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ადამიანის და მთლიანად საზოგადოების მრავალმხრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ტერმინი პირველად თეოდორ შულცმა გამოიყენა, ხოლო მისმა მიმდევარმა გერი ბეკერმა განავითარა ეს იდეა, დაასაბუთა რა ადამიანურ კაპიტალში დაბანდების ეფექტიანობა და ჩამოაყალიბა ადამიანის მოქმედების ეკონომიკური მიდგომა.

თავდაპირველად ადამიანური კაპიტალის ცნება განიხილებოდა, როგორც ინვესტიციების ერთობლიობა ადამიანში, რომელიც მის შრომის უნარს აძლიერებდა - განათლება და პროფესიული ჩვევები. შემდგომ ადამიანური კაპიტალის ცნება არსებითად გაფართოვდა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების უკანასკნელი გაანგარიშებების მიხედვით, მასში ჩართულია სამომხმარებლო დანახარჯები - ოჯახის დანახარჯები კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე, განათლებაზე, კულტურაზე, ასევე სახელმწიფოს დანახარჯები ამ მიმართულებით. ადამიანური კაპიტალი შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელობის და განათლების ფორმით.

ადამიანური კაპიტალი, ფართო გაგებით, ეკონომიკური განვითარების ინტენსიური საწარმოო ფაქტორია, საზოგადოების და ოჯახის განვითარებაა, რომელიც შრომითი რესურსების განათლებულ ნაწილს მოიცავს; ცოდნაა, ინტელექტუალური და

მმართველობითი შრომის ინსტრუმენტი, საცხოვრებელი და შრომითი საქმიანობის გარემოა, რომელიც ადამიანური კაპიტალის (განვითარების საწარმოო ფაქტორი), ეფექტურ და რაციონალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

### **გამოკვლევების მიმოხილვა**

ადამიანური კაპიტალი არის ინტელექტი, ჯანმრთელობა, ცოდნა, ხარისხიანი და მწარმოებლური შრომა და ცხოვრების დონე. ადამიანური კაპიტალი ინოვაციური და ცოდნის ეკონომიკის, როგორც განვითარების შემდგომი მაღალი დონის ფორმირების და განვითარების, მთავარი ფაქტორია. ადამიანური კაპიტალის განვითარების და ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი პირობაა მაღალი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ადამიანური კაპიტალი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ფირმის, ეროვნული.

ადამიანური კაპიტალის თეორია ეყრდნობა ინსტიტუციური, ნეოკლასიკური და ნეოკეინსიანური თეორიების მიღწევებს. მისი წარმოშობა ეკონომიკური მეცნიერების მიმართ რეალური ეკონომიკის და ცხოვრების მოთხოვნებმა განაპირობა. წარმოიშვა ადამიანის როლის და მისი ინტელექტუალური საქმიანობის, დაგროვილი შედეგების საზოგადოების და ეკონომიკის განვითარების ტემპსა და ხარისხზე სიღრმისეული გავლენის პრობლემა. ადამიანური კაპიტალის თეორიის შექმნას ბიძგი მისცა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდის სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც უფრო მეტს შეიცავდნენ, ვიდრე ზრდის კლასიკურ ფაქტორებზე ბაზირებული გაანგარიშებები. თანამედროვე პირობებში რეალური პროცესების განვითარების და ზრდის ანალიზმა ადამიანური კაპიტალი თანამედროვე ეკონომიკის და საზოგადოების განვითარების ძირითად მწარმოებლურ და სოციალურ ფაქტორად ჩამოაყალიბა.

ეკონომიკური კატეგორია „ადამიანური კაპიტალი“ თანდათანობით ყალიბდებოდა. პირველ ეტაპზე იგი შემოიფარგლებოდა ცოდნით და ადამიანის შრომის უნარით. საკმაო პერიოდის განმავლობაში ადამიანური კაპიტალი განვითარების მხოლოდ სოციალურ, ანუ ხარჯვით ფაქტორად ითვლებოდა. კერძოდ, ითვლებოდა, რომ ინვესტიციები აღზრდაში, განათლებაში არის არამწარმოებლური დანახარჯები. მეოცე საუკუნის მე-2 ნახევარში ეს შეხედულება კარდინალურად შეიცვალა. **სტენლი ფიშერის** მიხედვით, ადამიანური კაპიტალი არის ადამიანში განსხეულებული უნარი, მიიღოს შემოსავალი, ანუ იგი მოიცავს დაბადებისთანავე მიღებულ უნარს და ტალანტს, ასევე განათლებას და შეძენილ კვალიფიკაციას.

**საიმონ კუზნეცმა** (რუსული წარმოშობის ამერიკელი ნობელიანტი 1971 წელს) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების შემზღუდავ ფაქტორად წარმოადგინა ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის სასტარტო პოტენციალი, ანუ სტარტზე დაგროვილი ადამიანისეული კაპიტალის საკმარისობა არის მთავარი ფაქტორი. ეს შემთხვევითი არ არის, დაგროვილი ადამიანური კაპიტალის მაღალი დონე და ხარისხი აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების დაჩქარებული განხორციელების, სახელმწიფოს ტრანსფორმაციის, წარმოების ტექნოლოგიური განახლების, ეკონომიკის საბაზრო გარდაქმნისათვის. სწორედ ადამიანური კაპიტალის საკმაოდ მაღალი დონე და ხარისხი უზრუნველყოფს განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ერთ მოსახლეზე მშპ-ს სტაბილურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლებას. ადამიანური კაპიტალი არის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესაძლო სტაბილური ზრდის მთავარი დომინანტი.

ამერიკელმა ეკონომისტმა **ედვარდ დენისონმა** დაამუშავა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების კლასიფიკაცია. მის მიერ შერჩეული 23 ფაქტორიდან 4 მიეკუთვნება შრომას, 4 – კაპიტალს, 1-მიწას, 14 კი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წვლილს გვიჩვენებს. მისი აზრით, ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება არა იმდენად დახარჯული ფაქტორების

რაოდენობით, არამედ მათი ხარისხით და ამ ხარისხის ზრდით. მან გამოიკვლია აშშ-ს ეკონომიკა 1929-1982 წწ. და პირველ ადგილზე სამუშაო ძალის ხარისხი დააყენა. დენისონმა გააკეთა დასკვნა, რომ ერთ მუშაკზე გამოშვების (შრომის მწარმოებლურობა) ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი არის განათლება, როგორც ადამიანური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

**თეოდორ შულცმა** (ნობელიანტი 1979 წელს) ადამიანისეული კაპიტალი საწარმოო ფაქტორად და ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად გამოაცხადა. ადამიანში ინვესტიციის განხორციელების ძირითად შედეგად იგი თვლიდა ადამიანში შრომის უნარის დაგროვებას, საზოგადოებაში მის ეფექტურ შემოქმედებით საქმიანობას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას. იგი თვლიდა, რომ ადამიანისეულ კაპიტალს აქვს მწარმოებლური ხასიათის აუცილებელი ნიშნები, მას შეუძლია დაგროვება და კვლავწარმოება. მისი შეფასებით საზოგადოებაში წარმოებული ერთობლივი პროდუქტიდან ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებაზე გამოიყენება საერთო სიდიდის არა 1/4, როგორც მეოცე საუკუნის კვლავწარმოების უმრავლესი თეორიებიდან გამომდინარეობდა, არამედ – 3/4.

**გერი ბეკერმა** (ნობელიანტი 1992 წელს) ადამიანური კაპიტალის ცნება გადაიტანა მიკროდონეზე. მან განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა შეაფასა ყოველი მუშაკისათვის. დამატებითი შემოსავალი უმაღლესი განათლებისგან მან ასე განსაზღვრა: კოლეჯდამთავრებულის შემოსავალს გამოაკლო ზოგადი საშუალო განათლების მქონე მუშაკის შემოსავალი. განათლების დანახარჯებში შედის როგორც პირდაპირი, ისე ალტერნატიული დანახარჯები – სწავლის პერიოდში ხელიდან გაშვებული შემოსავალი. განათლებაში ინვესტიციების უკუგება მან შეაფასა, როგორც შემოსავლების ხარჯებთან შეფარდება, რაც მიახლოებით წლიური მოგების 12-14%-ის ტოლია. მან განასხვავა სპეციალური და საერთო ინვესტიცია ადამიანში. მუშაკთა სპეციალური მომზადება ფირმის კონკურენტული უპირატესობის ფორმირებას ახდენს, რაშიც თვითონ ფირმები და კორპორაციები არიან დაინტერესებულნი. მან გამოიკვლია პირადი შემოსავლის განაწილება, მისი ასაკობრივი დინამიკა, ქალის და კაცის შრომის ანაზღაურების უთანაბრობა. აჩვენა, რომ განათლება არის შემოსავლების გადიდების საშუალება დაქირავებული მუშაკისათვის, დაქირავებულისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის. შედეგად ფინანსისტები და მეწარმეები განათლებაზე დანახარჯებს განიხილავენ, როგორც პერსპექტიულ კაპიტალდაბანდებებს, რომელსაც შემოსავალი მოაქვს. ბეკერი მუშაკს განიხილაგდა, როგორც მარტივი შრომის ერთი ერთეულის და მასში განხორციელებული ადამიანისეული კაპიტალის ცნობილი რაოდენობის კომბინაციას. მუშაკის ხელფასს (შემოსავალს) – მისი მარტივი შრომის საბაზრო ფასის და ადამიანში დაბანდებული ინვესტიციისგან მიღებული შემოსავლის თანაფარდობას. მისი შეფასებით, მუშაკის შემოსავლის ძირითადი ნაწილი ადამიანურ კაპიტალს მოაქვს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, განათლებაში ჩადებული ინვესტიციის 1%-ით ზრდა იწვევს მშპ-ს 0.35%-ით ზრდას, ხოლო სწავლების ხანგრძლივობის 1 წლით ზრდა – მშპ-ს 3-6%-ით ზრდის.

### **ადამიანური და ფიზიკური კაპიტალი**

კვალიფიციურ შრომას, რომელზეც ჩვენ ფოკუსირებას ვახდენთ, აქვს კოლექტიური სახელი – ადამიანური კაპიტალი, რადგან მას ფიზიკურ კაპიტალთან რამდენიმე მნიშვნელოვანი თვისება აკავშირებს. **პირველი**, როგორც ფიზიკურ კაპიტალში, აქაც ფოკუსირებას ადამიანის პროდუქტიულობის თვისებაზე ვამახვილებთ, რომელიც მეტი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობის მახასიათებელია; **მეორე**, კონცენტრაციას ვახდენთ კვალიფიკაციაზე წარმოებასთან კავშირში, ისევე, როგორც ვამბობთ, რომ

ფიზიკური კაპიტალის მთავარი ასპექტი ის არის, რომ იგი თვითონ არის პროდუქცია. ფიზიკური კაპიტალის წარმოებაზე გაწეული ინვესტიცია ეკონომიკის მთავარი დანახარჯებია; **მესამე**, ორივე კაპიტალი იძლევა უკუგებას, რომელთა ფორმა განსხვავებულია: ადამიანური კაპიტალის უკუგება მისი მფლობელი მუშაკისათვის მაღალ ხელფასში გამოიხატება, რომელიც მხოლოდ მაშინ მიეცემა როცა მუშაობს, ხოლო ფიზიკური კაპიტალის მფლობელი მისგან სიკეთეს იღებს მაშინაც კი, როცა შორეულ კუნძულებზე ისვენებს; **დასასრულ**, ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, ადამიანური კაპიტალიც ცვდება (უფასურდება).

